

180
1984/2



ପ୍ରଗତି

1984
ମାର୍ଚ୍ଚ-ଅପ୍ରେଲ

4

ISSN 0134-9248





რაფაელი, მადონა კონესტაბილე

სურსათი



4

საქართველოს მწერალთა კავშირი
 მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
 ალმანახი

წარმოშობა
 ლიტერატურა

(61)

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
 ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
 კოლეჯია

ივლისი
 აგვისტო

1984

შინაარსი

ჰერმან კიხე, ტრამალის მგელი, რომანი, დახასრული. გერმანიულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა	8
აღამ მიტყვევიანი, პან ტაღუში, გაგრძელება, ნაწევები პოეზიიდან, თარგმნა ოთარ ჭელიძემ	67
ნიკოს კაჭანტავისი, გველი და შრომანი, რომანი, გერმანი- ულიდან თარგმნა თამარ მეხბმა	80
ტადეუშ კუჩევიანი, ლექსები, პოლონურიდან თარგმნა ჭემალ ჭელიძემ	120
თანამედროვე იაკონური კოეზია, თარგმნა სულხან ჭორჭანელმა	122
ფიოდორ დოსტოევისი, გოგონა, თარგმნა გივი კაკაბაძემ	124
ალიოზა გუჩუაშვილი, რად უმუიან ძაღლები, მოთხრობა, ოსურიდან თარგმნა მარგარიტა ვალიუვამ	188
პინდარე, 80-4 პითიური ოდა, ძველბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ	145
მისაილ ზოზუხაძე, მზის ამოსვლის წინ, გაგრძელება, თარგმნა ეთერ თვარაძემ	158
ივან გოლი, გაულ ვინსი, ლექსები, თარგმნა ზადრი გუგუშვილმა	198
მისაილ გულბაკოვი, ბატონ დე მოლიერის ცხოვრება, დახაწევისი, თარგმნა გივი კიკილაშვილმა	202
წერილები	
პიტალი ვილენკინი, აგიდო მოდელიანი, დახასრული, თარგმნა ლარისა ტიტვინიძემ	258
ნოდარ კაკაბაძე, „მღერან რომანსერობს, რა დროს რომანსეროა?“	284
უილიამ კუპერი, უმეფრეს მებრძობათა მრბ, თარგმნა ნანა ახობაძემ	300
მარია აბაიშვილი, რასაც ის ხედავდა, ფერული იყო	306
ივორ დოლგოპოლოვი, რაფაელი, თარგმნა ზადონა ცქიტიშვილმა	317

მთავარი რედაქტორი:
მურან მაჭავარიანი

პ. მგ. მდივანი:
ნანა ღარჩია
ხარედაქციო კოლეგია:
ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი ბაჟანიძე
მზია ბაძრაძე
ზაზუნა ბრეგვაძე
მურან გოგიაშვილი
მაგალი თოფაძე
ნოდარ აბაბაძე
ზურაბ აიკნაძე
ვახუშტი კობახიშვილი
როზან შიშიშოშვილი
გიორგი ნიუნიაძე
ოთარ ნოდია
დალი შანჭიაძე
რუსუდან ყაზულაძე
იორან ქვეცერაძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი ძეგლაძე
დავით წერეთელი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წიფჩივაძე
რეზო ჭავჭავაძე

«**САУНДЖЕ**»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ
АЛЬМАНАХ
ВСЕМИРНОЙ
ЛИТЕРАТУРЫ
НА
ГРУЗИНСКОМ
ЯЗЫКЕ

1984
№ 4
СОЮЗ
ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ
РЕДАКЦИОННАЯ
КОЛЛЕГИЯ ПО
ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ
И
ЛИТЕРАТУРНЫМ
ВЗАИМОСВЯЗЯМ



გარეკანზე: **რუსთაველი. ანჯელო დონის კორტრეტი.**

შეატვრული რედაქტორი ან. თოდრაძე. მხატვარი ა. ვართაგაძე. ტექნიკური რ. იმნაიშვილი.
გამომცემი ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დავით აღმაშენებლის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 28. 04. 84 წ., ბელმონ. დასაბეჭდად 26. 07. 84 წ., ქალაქის ზომა 70 X 108¹/₃₂
სააღრ. თ. 23,8, სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,5. ტირ. 10.000. შეკვ. № 1002.
ფასი 1 მან. 80 კპ.

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

პერმან კესე

ტრამალის მგელი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერძნულიდან

თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

მიერიდან ჩემს სამუშაო ოთახში გრამაფონი ანშობდა ეული ცხოვრების ყაიდას; ჩემს ნატიფ მუსიკალურ სამყაროში უცხოოდ და ბობოქრად შემოიჭრა ამერიკული საცეკვაო ჰანგები. დღემდე მკაცრად გამოწონილ და კარჩაკეტილ ჩემს ყოფაში ბინა დაიდო რალაც ახალმა. შემადრწუნებელმა და ქაოტურმა. სიმართლეს ღალადებდნენ ჰერმინეცა და ტრამალის მგელზე დაწერილი ტრაქტატიც, როცა ირწმუნებოდნენ, ადამიანს ათასი სული გააჩნიაო. ძველთან ერთად ჩემში ყოველდღიურად ახალ-ახალი სული ვლინდებოდა. ყოველი მათგანი თავისას მოითხოვდა და ხორხოციტ მიკლდებდა. ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა, თურმე როგორ ვიტყუებდი თავს. აქამდე ჩემში ყველაზე მთავრად ის უნარი და მიდრეკილებები მიმაჩნდა, რაშიც შემთხვევით თუ აღმოვჩნდებოდი ძლიერი; ჰოდა, თავად შევქმენი პარის სახე და მისი ცხოვრებით ვიწყე ცხოვრება; ის კი, ასე ვთქვათ. პოეზიაში, მუსიკასა და ფილოსოფიაში ღრმად ჩახედული კაცი იყო მხოლოდ და მხოლოდ. ჩემი პიროვნების მეორე ნახევარი კი, ანუ დომხალი მთელი ჩემი შესაძლებლობების, ინსტინქტებისა თუ მიზანმიმსწრაფებებისა ზედმეტ ბარგად ჩავთვალე და ტრამალის მგელს გადავულოცე. სულაც არ ყოფილა სასიამოვნო და თავშესაქცევი ჯერ თავის მოტყუება, მერე კი თვალის ახელა და იმის დანახვა, თუ რარიგ დაქუცმაცებულიყო ჩემი პიროვნება. პირიქით, ყველაფერ ამას ხშირად მწარედ, თითქმის მტკივნეულად განვიცდიდი. აი, ამ გარემოცვაში. სადაც ყველაფერი სხვაგვარად ხშიანობდა, გრამაფონის ხმა დასტურ ჯოჯოხეთურად გაისმოდა. ხანდახან, როცა სადმე მოდურ რესტორანში, ელეგანტურად გამოწყობილი დარდიმანდებისა და ავანტიურისტების წრეში მოვხვდებოდი და უანსტების ცეკვით ვერთობოდი, ჩემს თავს მოლაღატედ ვთვლიდი. ასე მეგონა, ყველაფერს ვუგვერდე, რაც კი რამ ცხოვრებაში წმინდად და სახუკვარად მიმაჩნდა. ჰერმინეს ერთი კვირით მაინც რომ მართო დავეტოვებინე, მყისვე შევეშვებოდი ამ ნაძალადევ და სასაცილო დარდიმანდობას და თავს გაქცევით ვუშვებოდი. მაგრამ ჰერმინე გვერდიდან არ მშორდებოდა. მართალია.

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3.

ქ. მარჭის სახ. საქ. სსრ
საბავშვო ბიბლიოთეკა

ყოველდღე ვერ ვხვდებოდი, მაგრამ მუდმივად მითვალთვალეობდა, თავის ჭკუაზე მატარებდა, მიცავდა. გამომეტყველებაზე მატყობდა, რა შმაგი აზრები მომდიოდა თავში, როგორ ველტვოდი ამბოხსა და განრიდებას, და დამცინავად იღიმებოდა.

რასაც წინათ ჩემს პიროვნებას ვუწოდებდი, ნელ-ნელა ^{სადაღმარებელი} ნადგურდებოდა. სწორედ ამან მიმახვედრა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, თურმე ასე ძალიან რატომ მეშინოდა სიკვდილისა; იმასაც მივხვდი, სიკვდილის წინაშე ეს სამარცხვინო და ამაზრზენი შიში ჩემი ძველი, ყალბი ბიურგერული ყოფის გამოძახილი იყო. უწინდელმა ბატონმა პალერმა, რომელსაც ნიჭიერ მწერლად იცნობდნენ და მოცარტისა და გოეთეს ტრფიალი გახლდათ, ამ სევდიანმა განდევნილმა, წიგნებით სავსე საკანში რომ იჯდა, თავშესაქცევად წერდა ხელოვნების მეტაფიზიკაზე, გენიალურობაზე, ტრაგიზმსა და ადამიანურობაზე და თვითგვემას ეძლეოდა, აქი ველარც გაუძლო ამდენს! დიახ, გონიერებისა და ადამიანურობის მქადაგებელი ბატონი პალერი ნიჭიერი და საინტერესო კაცი იყო, ომის სისასტიკის წინააღმდეგ მებრძოლი, მაგრამ ომის დროს კედელთან არ დამდგარა და ტყვიისთვის არ მიუშვერია მკერდი, რაიც მისი მრწამსის ლოკური დანასკვი იქნებოდა. არა, მან არსებობის სხვა გზა ირჩია, მაგრამ მისი ეს უაღრესად წესიერი და კეთილშობილი საქციელი, რა თქმა უნდა, მაინც დათმობაზე წასვლას ნიშნავდა. იგი შემდგომშიაც ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგი იყო, თუმცა ბანკში ბლომად ელაგა სამრეწველო საწარმოთა აქციები და ამ აქციებიდან შემოსულ პროცენტებს სინდისის ქენჯნის გარეშე ხარჯავდა. ასე იყო ყველაფერში. ძალიან ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, აქაოდა, ქვეყნისმოდულე იდეალისტი ვარო; სევდიან მარტოსულად და მრისხანე წინასწარმეტყველად მოჰქონდა თავი, სინამდვილეში კი მთელი არსებით ბიურგერი იყო; პალერი კიცხავდა ჰერმინეს ცხოვრების ყაიდას, ვერ მოენგლებინა რესტორანში გატარებული ღამეები და იქ გაფლანგული ტალერები, სინდისი ქენჯნიდა და სრულიადაც არ ელტვოდა თავისუფლებასა და სრულყოფას. პირიქით, ყოველნაირად ისწრაფვოდა კვლავ დაებრუნებინა ის ნეტარი დრო, როცა თავისი სულიერი ნებივრობა ჯერ კიდევ სიამოვნებას ანიჭებდა და მისთვის დიდება მოჰქონდა. ზუსტად ასე მისტიროდნენ ომამდელ იდეალურ ყოფას გაზეთის მკითხველები, მას რომ ესოდენ აეთვალწუნებინა და ამოეძულეებინა, რამეთუ ეს უფრო იოლი იყო, ვიდრე განცდილიდან სათანადო დასკვნების გამოტანა! დიახაც რომ გულის ამრევი იყო ეს პარი პალერი! მაგრამ მე რატომღაც მაინც ვეპოტინებოდი ამ კაცს, ვებლაუჭებოდი მის უკვე ჩამოგლეჯილ ნიღაბს, მის სულიერ კოკობზიკობას, ყოველგვარი უწესრიგობისა და შემთხვევითობის შიშს (ამას სიკვდილის შიშიც მიეწერებოდა). ახალგამომცხვარ პარის, — საცეკვაო დარბაზების ამ მორცხვსა და სასაცილო ახალბედას, ღვარძლითა და შურით ვადარებდი უწინდელ პარის ყალბ, იდეალურ სახეს. თუმცა ამასობაში ახალ პარის უკვე მოესწრო ძველში ყველა ის უსიამო ნიშანთვისება აღმოეჩინა, რამაც ასე აღაშფოთა მაშინ, პროფესორთან სტუმრობისას გოეთეს სურათის დანახვაზე. თითონ ძველი პარი ზუსტად ბიურგერულად გაიდვალეებული გოეთე იყო; ამ საოცნებო გმირში, რომლის თვალეშიც მარგალიტივით გამოკრთოდა ბუმბერაზობა, გონება თუ ადამიანობა, საკუთარი სულის კეთილშობილებით გულაჩუყებაც იგრძნობოდა! დალახვროს ეშმაკმა! აი, თურმე როგორ გაცრეცილა ბატონ პალერის იდეალური, წარმტაცი სახე-

ბა, როგორ დაჩაჩანაკებულა და საწყალობელი გამხდარა! ახლა იგი იმ დიდი თანამდებობის კაცს ჩამოგავდა. ყაჩაღებმა რომ გაძარცვეს და ჩამონეული შარვლის აშარა დატოვეს. რაოდენ გონივრული იქნებოდა ამ კაცს ჩამოძონძილი ბოგანოს როლი შეეფერებინა! მაგრამ არა! იგი თავის კონსტრუქციულად-დიოდა, ვითომც მკერდი კვლავ ჩინ-მედლებით ჰქონოდა და მშვენიერად და თან ვაივიშით მოითხოვდა გარდასული დიდება-პატივის მიგებას.

მუსიკოს პაბლოს დროდადრო ვხვდებოდი ხოლმე. ამ კაცზე გარკვეული აზრისა ვიყავი, მაგრამ, ეტყობა, აზრის შეცვლა მომიხდებოდა. რადგან პერმინეს ძალიან უყვარდა იგი და ყოველნაირად ცდილობდა ხშირად ყოფილიყო მასთან. გუნებაში პაბლო მშვენიერ არარაობად მოვნათლე. ეს, ცოტა არ იყოს, პატივმოყვარე, ლამაზი კაბუკი მხიარულ. უდარდელ ბავშვს მაგონებდა, ლალად რომ არაკრავებდა თავის სალამურს და შოკოლადითა და მოფერებით ადვილად მოაქცევდი შენს ჭკუაზე; მაგრამ პაბლო აინუნშიც არ აგდებდა არც ჩემს აზრსა და არც ჩემს მუსიკალურ თეორიებს. თავაზიანად და გულისხმიერად მივდებდა ყურს, პირზე ღიმი არ შორდებოდა. მაგრამ ნამდვილ პასუხს არასოდეს მალირსებდა, თუმცა ეტყობოდა ეი, ასე თუ ისე მაინც მომეხერხებინა მისი დაინტერესება: აშკარად ცდილობდა თავი მოეწონებინა ჩემთვის და თავისი კეთილგანწყობაც ეჩვენებინა. ერთხელ, როცა ერთ-ერთი ასეთი უნაყოფო საუბრისას საშინლად გავლიზიანდი და ლამის უხეშად მივმართე, პაბლომ დარცხვენითა და ნაღვლიანად შემომხედა, ხელზე მარცხენა ხელი მომითათუნა და მოოქრული ზარდახშა გამომიწოდა, თან დასძინა, ეს გიშველისო! ზარდახშაში რაღაც საყნოსი ფხვნილი იყო. მზერით პერმინეს დავეკითხე ნებართვას და, რაკი მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია, ფხვნილი დავყნოსე. მალე მართლაც გამოცოცხლება და სიხალისე დამეტყო; ეტყობა, ფხვნილში კოკაინი იყო გარეული. პერმინემ მითხრა, პაბლოს ასეთი წამლები ბლომად აქვს, საიდუმლო გზებით მოულობს და ხანდახან მეგობრებსაც უწილადებს ხოლმეო. ისიც შევიტყე, თურმე პაბლოს ამას გარდა მშვენიერად სცოდნია ყველა ტკივილგამაყუჩებელი და საძილე საშუალებების გაზავება. მათი მიღების შემდეგ ადამიანი თურმე ნეტარ სიზმრებს ხედავს და მხიარული, სასიყვარულო განწყობაც ეუფლება.

ერთხელ პაბლოს ქალაქში შევხვდი, სანაპიროზე. მყისვე თან გამომყვა. ამჯერად, როგორც იქნა, მოვახერხე საუბარში ამეყოლებინა (იგი მოშავობოვერცხლისფრო წვრილ ჯოხს ატრიალებდა ხელში):

— ბატონო პაბლო, — მივმართე მე, — პერმინეს მეგობარი ბრძანდებით და სწორედ ამიტომ დავინტერესდი თქვენი პიროვნებით. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ თქვენთან საუბარი არცთუ ისე ადვილი საქმეა. არაერთხელ შევეცადე მუსიკაზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მაინტერესებდა თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე. თქვენ კი უბრალო პასუხის ღირსადაც არ გამხადეთ.

ძალზე გულლიად გამიღიმა, მაგრამ ამჯერად უპასუხოდ აღარ დავუტოვებივარ, და მითხრა:

— იცით, მუსიკაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტად მეჩვენება. თავად მე არასოდეს ვლაპარაკობ ამაზე, აბა რა პასუხი უნდა გამეცა თქვენთვის? ყველაფერზე საოცრად ჭკვიანურად და სწორად მსჯელობდით და სრულიად მართალი ბრძანდებოდით! მაგრამ, იცით, რას გეტყვით, მე მუსიკოსი ვარ და არა მეცნიერი, და არა მეგონია, მუსიკოსათვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს იმას,

მართალი ხართ თუ არა: სიმართლე, გემოვნება, განათლება და სხვა მისთანები აქ ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

— კი მაგრამ, მაშ რაღასა აქვს მნიშვნელობა?

— ბატონო პალერ! მთავარი ის გახლავთ, რომ კაცი უკრავდეს, უკრავდეს რაც შეიძლება ზევს, რაც შეიძლება კარგად და შთაგონებულად. აი, ეს არის უმთავრესი, ბატონო ჩემო! მართლ იმით, რომ ბახისა და ჭაიკინის ნაწარმოებებით გქონდეს გამოტენილი თავი და მათზე გონივრული მსჯელობა შეგეძლოს, კაციშვილს ვერ მოუტან სარგებლობას. მაგრამ აი, ამ ჩემს საყვირს რომ ავიღებ ხელში და შიმის დავუკრავ, ავია თუ კარგი, სულერთია, მაინც სიხარულს ვაგრძნობინებ ადამიანს, მთელ ტანში ქრუანტელს მოვგვრი და სისხლს ავუჩქროლებ. აი, ეს გახლავთ უმთავრესი! აბა დაუკვირდით, რა გამომეტყველება აქვთ ადამიანებს, როცა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დასქექს მუსიკა! როგორ უელავთ თვალები, როგორ ებადრებათ ღიმილით სახე და როგორ იწყებენ ფეხები როკვას?! აი, ამისათვის უნდა უკრავდეს კაცი.

— კეთილი, ბატონო პაბლო, მაგრამ ვნების აღმძვრელი მუსიკის გარდა ხომ არსებობს სულიერი მუსიკაც?! განა დღევანდელ მუსიკასთან ერთად უკვდავი მუსიკაც არ გაგვაჩნია? იგი ხომ მაშინაც კი განავრძობს სიცოცხლეს, როცა აღარ უკრავენ. შეგიძლია მარტოდმარტო იწვე ლოგინში და გულში იმეორე პანგები „ჯადოსნური ფლეიტიდან“ ანდა „მათეს ვნებათგან“. არც ფლეიტას გაკარებია კაცი, არც ვიოლინოს სიმისთვის შეუხია ხელი, მუსიკა კი სულში ხშიანობს და ხშიანობს.

— რა თქმა უნდა, ბატონო პალერ! „ტანჯვაც“ და „ვალენსიაც“ ყოველ დამე ალბათ არა ერთი და ორი მარტოსული, მეოცნებე კაცის სულში ხშიანობს. აი, ხელმოკლე მემანქანე გოგონას, სამუშაო ოთახში რომ მიმჯდარა, თავში ბოლო ხანს მოსმენილი უანსტები უტრიალებს და მის პანგს საბეჭდი მანქანის ტაქტს აყოლებს. მართალი ბრძანდებით, დაე, ყველა მარტოსულ კაცს ჰქონდეს თავისი უხმო მუსიკა, „ტანჯვა“ იქნება ეს, „ჯადოსნური ფლეიტა“ თუ „ვალენსია“. მაგრამ ვინ უნდა მოასმენინოს ადამიანებს ეს ეული, უხმო მუსიკა? მხოლოდ ჩვენ, მუსიკოსებმა! ამ მუსიკის ჭერ დაკვრა და მოსმენაა საჭირო. მან ჭერ სისხლი უნდა ავიჩქროლოს; მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია შენს სოროში მოიკალათო, იფიქრო და იოცნებო მასზე...

— გეთანხმებით, — ვუთხარი ცივად, — და მაინც განა შეიძლება ერთ სიმალლეზე დავაყენოთ მოცარტი და მოდური ფოქსტროტი? განა სულერთია ადამიანს ღეთაებრივ, მარადიულ პანგებს მოვასმენინებთ თუ იაფფასიან, დღენაკლულ მუსიკას?

ხმაში მღელვარება რომ დამატყო, პაბლოს სახეზე საოცარი სიკეთე გამოჩნა, მხარზე ალერსიანად მომითათუნა ხელი და ხავერდოვანი ხმით მითხრა:

— ეპ, ჩემო ძვირფააო, სხვადასხვა სიმალლეზე დგანანო, რომ ბრძანეთ, სავსებით მართალი ხართ. არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, მოცარტი იქნება ეს, პაიდნი თუ „ვალენსია“, ყველას თავისი სიმალლე მივუჩინოთ. პირადად ჩემთვის სავსებით სულერთია, სიმალლეების განსაზღვრა ჩემს ხელობას არ შეადგენს, ანდა რაში მეკითხება?! ადვილი შესაძლებელია მოცარტი ასი წლის შემდეგაც დაუკრან, „ვალენსიას“ კი ორ წელიწადში გაუვიდეს ყავლი, ჩემი აზრით ამის განსჯის უფლება თავისუფლად შეგეძლია მამაზეციერს გადავულოცოთ. იგი სამართლიანაა და, მოგესხენებათ, ყველა ჩვენგანის სიცოცხ-

ლის ვადაც მის ხელთაა; პოდა, მანვე გადაწყვიტოს, რამდენ ხანს გაუძღვებს უამთა სვლას ესა თუ ის ფოქსტროტი თუ ვალსი; ვფიქრობ, სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაკარგავს, მუსიკოსებმა კი ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ამოცანები: უნდა დავეუკრათ ის, რაც დღესდღეობით სწადიათ ადამიანებს, და უნდა დავეუკრათ სწადილებს უკეთ, ლამაზად, შთაგონებით.

ამოვიოხრე და ფარ-ხმალი დავყარე, რამეთუ ამ კაცს ვერსაიდან მივუღეჭი.

იყო წამები, როცა ძველი თუ ახალი, ტკივილი თუ ბედნიერება, შიში თუ სიხარული უცნაურად ენაცვლებოდა ერთმანეთს. ხან იყო და ზეცაში დავფრინავდი, ხან ჯოჯოხეთში ამოვყოფდი თავს; ხშირად კი ორივეგან ერთდროულად ვიმყოფებოდი. ძველსა და ახალ პარის ხან საშინელი უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთში, ხან კი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. კაცს შეიძლება კიდევ ეფიქრა, ეტყობა, ბებერი პარი ცოცხლებში აღარ სწერია, მოკვდა და მიწას მიაბარესო; მაგრამ აი, ანაზღად კვლავ გაჩნდებოდა თავის ადგილას, ბატონობდა, ბრძანებლობდა და არაფერი ესწავლებოდა; პაწია ახლადგამომცხვარი ჭაბუკი პარი კი სდუმდა, დარცხვენილი იშმუშნებოდა და ბებერ პარის თავის დაჩაგვრის უფლებას აძლევდა. მაგრამ იყო წუთები, როცა ჭაბუკი პარი გააფთრებით სწვდებოდა ხოლმე ყანურატოში ბებერ პარის. აი, მაშინ კი იტყუდებოდა ერთი ვაი-უშველებელი, იმართებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ხელახლა აიშლებოდა ფიქრები სამართებელზე.

მაგრამ ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ტანჯვა და ბედნიერება ტალღასავით გადამეფარებოდა ხოლმე თავზე. იმ წუთშიც სწორედ ასე დამემართა. ჩემი საცეკვაო დებიუტის მერვე რამდენიმე დღე გავიდა. ერთ საღამოს შინ დავბრუნდი, საწოლ ოთახში შევედი და, პოი, საოცრებავ, ლოგინში მშვენიერი მარია არ დამხვდა? ჩემს სასოწარკვეთილებასა და თან აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ჰერმინესგან ყოველგვარ მოულოდნელობას შეჩვეული ვიყავი, მაგრამ მისმა დღევანდელმა საქციელმა ყველაფერს გადააჭარბა. ეს სამოთხის ჩიტუნია მისი გამოგზავნილი რომ იყო, წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. იმ საღამოს ჩვეულებას ვუღალატე და ჰერმინეს არ შევხვედრივარ. საკათედრო ტაძარში წავედი და დიდებულად, უზადოდ შესრულებული საეკლესიო მუსიკა მოვისმინე; ეს გახლდათ მშვენიერი და თან ნაღვლიანი წიაღსვლა ჩემს გარდასულ ცხოვრებაში, ჩემი სიჭაბუკის ტევრებში, მეოცნებე პარის საუფლოში. ტაძრის ცხავისებრ თაღებზე აქა-იქ ანთებული სანთლის ჩრდილები ირეკლებოდა და გაცოცხლებული ზმანებებივით ლიცილიცებდა. აქ, ამ მაღალგუმბათიან გოტიკურ ტაძარში ვისმენდი ბუქსტეჰუდეს, პახელბელის, ბახისა და ჰაიდნის კმნილებებს და კვლავ მივუყვებოდი ჩემთვის ძვირფას, ძველად ნავალ გზებს; კვლავ ჩამესმოდა ყურში მომღერალი ქალის მშვენიერი ხმა. იგი ბახის ნაწარმობებს მღეროდა. ოდესღაც ვმეგობრობდით კიდევაც ერთმანეთს და მისი შესრულებით არა ერთი და ორი ბრწყინვალე კონცერტი მომისმენია. ძველებური მუსიკის პანგებმა, მისმა უნაპირო ღირსებამ და სიწმინდემ ჩემს ცნობიერებაში სიჭაბუკისდროინდელი აღმაფრენა, აღტყინება და აღფრთოვანება გამოიწვია. ფიქრებში წასული, დანადგლიანებული ვიჭექე ამიღლებულ კლიროსზე. ახლა მე სტუმარი ვიყავ ამ წმინდა, ნეტარ სავანეში, ოდესღაც ჩემს

სამშობლოდ რომ ვიგულებდი. მერე ჰაინისეული ღუეტი ჰანგები მისწ-
 ვდა ჩემს ყურთასმენას და ანაზღად ცრემლები წამსკდა. კონცერტის დამთავ-
 რებისთვის აღარ მომიცდია, მომღერალ ქალთან შეხვედრაც გადავიწყვე (ო,
 ასეთი კონცერტების შემდეგ რამდენი გაციხროვნებული საღამო გამიტარე-
 ბია ოდესღაც მსახიობებთან ერთად!), ტაძრიდან ჩუმად გამოვიდნენ და
 დაღლილ-დაქანცული შევუყვები ღამეულ ქუჩებს, რესტორნის ფანჯრებს მიღ-
 მა ჯაზ-ორკესტრები ჩემი ამჟამინდელი ცხოვრების ჰანგებს უკრავდნენ. ო,
 თურმე რა უგემური დომხალი ყოფილა მთელი ჩემი ყოფა! იმ ღამეს დიდხანს
 ვიხეტიალე. მუსიკასთან ჩემეული, უჩვეულო განცდები მაკავშირებდა და იმაზე
 ვფიქრობდი ახლა. და აი, ჩემს ესოდენ სათუთ და ამავე დროს ავბედით გან-
 ცდებში კვლავ ამოვიკითხე მთელი გერმანული ინტელიგენტურობის ბედ-
 ილბალი. გერმანულ სულში ბუნებასთან კავშირისათვის დედობრივი უფლება
 მუსიკას ენიჭება, იგია თავი და თავი ყველაფრისა. ასეთი რამ არც ერთ ხალხს
 არ მოსდგამს. ჰოდა, ნაცვლად იმისა, ჩვენ, ინტელიგენტი ადამიანები ვაუკა-
 ცურად აღვსდგეთ ამის წინააღმდეგ, ყური მივუგდოთ გონებას, ლოგოსს, სიტ-
 ყვას, პირიქით, ყველანი უკლებლივ ვოცნებობთ ისეთი ენის შექმნაზე, სადაც
 არ იქნება სიტყვები, ენაზე, რომელსაც შეეძლება გამოხატოს გამოუხატველი
 და გამოთქვას გამოუთქმელი. ნაცვლად იმისა, რაც შეიძლება მეტი გულ-
 მოდგინებითა და მოწადინებით დაეკრა თავის საკრავზე, ინტელიგენტი გერმა-
 ნელი დღენიადაგ ეურჩებოდა სიტყვას და გონებას, დღენიადაგ ვაკეღუცე-
 ბოდა მუსიკას. გერმანულმა სულმა მოახერხა მუსიკაში ჩაწვდომოდა ღვთაებ-
 რივ, ნეტარ, ხმიერ სახეებს, იგი იმ ჯადოსნურ, უტკბილეს გრძნობებსა და გან-
 წყობილებებს ეზიარა, რომლებსაც არასოდეს ეწერათ სინამდვილედ ქცევა.
 ჰოდა, ამით გერმანულმა სულმა თვალსა და ხელს შუა დაივიწყა თავისი ქეშ-
 მარტი დანიშნულება. ჩვენ, ინტელიგენტებს, ყველას უკლებლივ, წარმოდგე-
 ნა არა გვქონდა, თუ რა იყო სინამდვილე, უცხო, მტრული თვალთ შევცქერო-
 დით მას; აი, სწორედ ამიტომ იყო ჩვენს გერმანულ სინამდვილეში, ჩვენს
 ისტორიაში, პოლიტიკაში თუ საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის დროს ინ-
 ტელიგენტი კაცის როლი ესოდენ უილაჯო და უბადრუკი. რა თქმა უნდა, თავში
 ხშირად მიტრიალებდა ხოლმე ეს აზრი; დროდადრო მტანჯავდა მწვავე სურ-
 ვილი 'შემექმნა ჩემეული სინამდვილე, მთელი პასუხისმგებლობით გულდა-
 გულ მომეკიდა ხელი საქმისათვის, ნაცვლად იმისა, რომ სულიერ სამყაროში
 დღენიადაგ ესთეტიკისა და გამოყენებითი ხელოვნების საკითხებით ვყოფილი-
 ყავი დაკავებული. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ვალიარებდი საკუთარ უი-
 ლაჯობას და ფარ-ხმალს ვყრიდი განგების წინაშე. განა მართალს არ ამბობ-
 დნენ გენერლები და მსხვილი მრეწველები: „აბა ინტელიგენტებისგან რა ხეირს
 უნდა ელოდეს კაცი“. დიახ, ჩვენ მართლაც სინამდვილეს მოწყვეტილ უბა-
 სუხისმგებლო, ენამოსწრებულ მოლაყბეთა თავყრილობას წარმოვადგენდით
 მხოლოდ! ფუი, დალახვროს ეშმაკმა! სადაა ახლა სამართებელი!

თავში ასეთი აზრები მიტრიალებდა, თან კი მთელი ჩემი არსება მუსი-
 კის ჰანგებს მოეცვა, გული ნალველით მქონდა დამძიმებული, უსასოო სევდით
 შევცქეროდი ცხოვრებას, სინამდვილეს, გრძნობებს, ყველაფერს, რაიც საუ-
 კუნოდ დაკარგული იყო ჩემთვის. აი, ასეთ გუნებაზე დავბრუნდი ბოლოს და
 ბოლოს შინ, ვაი-ვაგლახით ავათავე კიბე და სასტუმრო ოთახში შუქი ავანთე.
 ამაოდ შევეცადე კითხვით შემექცია თავი. გამახსენდა, რომ შეთანხმების...

მე და პერმინე ხვალ სალამოს „სესილის“ ბარში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს და ვისკითა და ცეკვებით გადამეყოლებინა გული. ახლა მარტო საკუთარ თავზე კი არ ვბრაზობდი, პერმინეზეც საშინლად დაბოლმილი ვიყავი. კი ბატონო, ვთქვათ, მას კეთილი და უანგარო ზრახვები ჰქონდა, ვეჭვებოდა, ნამდვილად შესანიშნავი არსება იყო, მაგრამ განა უმჯობესი არ ექნებოდა? დღეს ჩემთვის სიკვდილი დაენებებინა და ამ გიჟურ, უცნაურ და ბობოქარ სამყაროში არ გადავეგდე. სადაც მუდამ უცხო ვიქნები და, თუკი რამ სიკეთე გამაჩნია, გაიხრწნება და ჩაკვდება.

უხალისოდ ჩავაქრე შუქი, საწოლ ოთახში გავედი და ტანზე გახდა დავიწყე. უცრად უჩვეულო სურნელება მეცა. გავოცდი. მთელ ოთახში სუნანოს სუნი ტრიალებდა. საწოლისკენ მივიხედე და მშვენიერი მარია დავინახე. იწვა, ღიდრონი ცისფერი თვალებით შემომცქეროდა და მორცხვად მილიმოდა.

— მარია! — წამოვიძახე და თან გულში გავიფიქრე, ეს რომ დიასახლისმა გამიგოს, ნაღდად ბინიდან გამაგდებს-მეთქი.

— აი, მოვედი! — მითხრა ჩუმიად ქალმა, — მიჯავრდებით?

— არა, არა, გასაღები პერმინემ მოგცათ, ხომ? ასეც ვიცოდი.

— ო, გატყობთ, რომ ბრაზობთ, რაკი ასეა, წავალ.

— არა, მშვენიერო მარია, დარჩი! მაგრამ სწორედ ამ სალამოს ვარ ძალზე უგუნებოდ. ხვალამდე ალბათ ვერც მოვალ ხასიათზე.

ოდნავ დავიხარე მისკენ, ქალმა დიდ, ძლიერ ხელისგულებში მოიქცია ჩემი თავი, მიმიზიდა და ვნებიანად მაკოცა. იქვე საწოლზე ჩამოვჯექი, მისი ხელი ავიღე და ვთხოვე, ჩუმიად ილაპარაკე, არავინ გაგვიგოს-მეთქი. დავყურებდი მის მშვენიერ სავსე პიროსახეს, უცხო რამ დიდი, მომხიბლავი ყვავილივით რომ გადაშლილიყო ბალიშზე, მარიამ ჩემი ხელი ნელ-ნელა მიიტანა ტუჩებთან, მერე საბნის ქვეშ შემაყოფინა და თბილ მკერდზე დამადებინა. ვიგრძენი, როგორ აუღ-ჩაუდიოდა ნელა მკერდი.

— მერე რა, ნუ იქნები გუნებაზე, — თქვა მან, — პერმინეს ნათქვამი აქვს ჩემთვის, დარდს რომ შეუპყროხარ. ამას ადვილად გაგიგებს კაცი. ისევ თუ მოგწონვარ? რა ვიცი, იმ დღეს, ცეკვის დროს ძალზე შეყვარებული თვალებით კი მიყურებდი!

დავუკოცნე თვალები, ტუჩები, ყელი, მკერდი: აულ ცოტა ხნის წინ გავულისებული და დაბოლმილი ვიყავი პერმინეზე, ახლა კი ხელთ მებყრა მისგან მორთმეული ნობათი და მადლიერებით ვიყავ აღსავსე. მარიას ალერსი სულაც არ აყენებდა ტკივილს იმ მშვენიერ მუსიკას, დღეს რომ მოვისმინე; პირიქით, ეს ალერსი ამ მუსიკის ხორცშესხმა და მისი განახიერება იყო. ნელ-ნელა ვხდიდი საბანს ამ მშვენიერ ქალს, ვიდრე კოცნა-კოცნით, მისი ფეხის თიობამდე არ ჩავალწიე. გვერდით რომ მივუწექი, მარიამ ვარდივით გაფურჩქილი პიროსახე ჩემკენ შემოატრიალა და ყოვლისმცოდნე, კეთილი ღიმილით გამიღიმა.

იმ დამეს მარიას გვერდით ვიწექი. ვფხიზლობდი, მაგრამ ძილი რომ მონერეოდა, ბავშვივით ღრმად და გემრიელად მეძინა. დროდადრო გამეღვიძებოდა ხოლმე, ვსვამდი მისი ნორჩი სხეულის ტკბილ ნექტარს, მერე კი მუსიკა-მუსიკაში ბევრს საინტერესო ამბავს ვიგებდი პერმინესა და მის ცხოვრებაზე. ამ ჯურის ადამიანთა ყოფას ნაკლებ ვიცნობდი, თეატრალურ სამყაროში ლუ შემხვედრია უწინ მსგავსი ქალები და კაცები, თან ვითომ ხელოვნებას

მსახურებად რომ მოჰქონდათ თავი, თან კი აღვირახსნილი ცხოვრების მო-
რევში ტრიალებდნენ. და, აი, ახლი მომეცა შესაძლებლობა შევჭრილიყავი ამ
საოცარ, უჩვეულოდ უმანკო და თან გარყვნილი ცხოვრების წიაღში. ჩვეუ-
ლებრივ გაჭირვების წუმბედან ამოსული ეს გოგოები საკმარისად მზაობა და
გონიერებით გამოირჩეოდნენ და ამიტომაც ვერ იმეტებდნენ თავს, მთელი
ცხოვრება რაღაც უხალისო საქმისათვის შეეღობათ და უბადრუკი ხელფასით
დაკმაყოფილებულიყვნენ, ასე, დროდადრო შემთხვევით ნაბობებ გასამრჯელო-
თი გაჰქონდათ თავი. მთელ მათ ავლადიდებას მხოლოდ საკუთარი სიღამაზე
და მომხიბლაობა შეადგენდა. ეს ქალები ხან თვეობით საბეჭდ მანქანებს უკა-
კუნებდნენ, ხან მდიდარი საქმოსნების ხასები იყვნენ და მაფგან ფულსა და
საჩუქრებს იღებდნენ. დროდადრო მდიდრულ ბეწვეულში გამოსწობილნი, მან-
ქანით დაგრილებდნენ და გრანდ-ოტელებში ცხოვრობდნენ. მაგრამ ისეთი
დროებაც დაუდგებოდათ ხოლმე, როცა კვლავ სხვენზე ამოყოფდნენ თავს,
ხანდახან, ძალზე იშვიათად, ვინმე ცოლობასაც შესთავაზებდა, და ისინიც თან-
ხმდებოდნენ სარფიან წინადადებას, თუმცა არცთუ დიდი ხალისით. ამ ქალები-
დან ბევრს სულაც არ აწუხებდა ვნებათაღელვა და, როცა მამაკაცი გასაქანს
აღარ მისცემდა, ზიზღნარევი გრძობით თანხმდებოდა მის წინადადებას, ოღონ-
დაც ბლომად ფული დაეცინცლა. ზოგი კი, — და სწორედ მათ რიცხვს მიე-
კუთვნებოდა მარიაც. — ბუნებას სიყვარულის უჩვეულო ნიჭით დაეჯილდო-
ვებინა. ამ ქალების უმრავლესობამ მშვენიერად იცოდა ორსქესოვანი სიყვა-
რულის გემო. მათი ცხოვრების მიზანს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით
ტკბობა შეადგენდა, და ამიტომაც ოფიციალური, ფულიანი მუშტრების გარდა
სასურველი თაყვანისმცემლებიც ჰყავდათ. ეს ფარვანები თავდავიწყებით,
საქმიანად და გონივრულად, მაგრამ თან ქარაფშუტულად და მიაშიტად ეძ-
ლეოდნენ მჩქეფარ ცხოვრებას, არ ჰკარგავდნენ დამოუკიდებლობას და არც
ყველას ფულს ხარბდებოდნენ; დღენიადაგ თავისი წილი ბედნიერების მო-
ლოდინში იყვნენ. ცხოვრება კი უყვარდათ, მაგრამ ბიურგერულით არ ებლაუ-
ჭებოდნენ მას, იმედს არ კარგავდნენ, რომ გამოჩნდებოდა ზღაპრული უფლია-
წული და მათ თავია კოშკში წაიყვანდა; მაგრამ ქვეცნობიერად არც იმას ივიწ-
ყებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც მძიმე და სავალალო აღსასრული
ელოდათ.

იმ საოცარ ღამეს და მერეც, მომდევნო დღეებში, მარიამ ბევრი რამ და-
მანახა. მან მარტო ვნებათაღელვის წარმტაც თამაშს კი არ მაზიარა, სიყვარუ-
ლის ახლებურად გაგება და აღქმაც მასწავლა. მე ერთი ესთეტი კაცი ვიყავი,
განდევილი ცხოვრებით ვცხოვრობდი და ამიტომაც კინემატოგრაფების, სან-
ტუმროების, ბარებისა თუ ჩაიხანების არასრულფასოვან, აკრძალულ სამყა-
როში ცხოვრება დამამცირებლად მეჩვენებოდა. მარია, პერმინე და მისი
მეგობარი ქალები კი ამ სამყაროში მარტივად ცხოვრობდნენ. იგი მათთვის
არც ბოროტი იყო და არც კეთილი, არც სასურველი და არც საძულველი, ამ
სამყაროში მიედინებოდა მათი ვნებათაღელვით აღსავსე დღემოკლე ცხოვრება;
აქ ეს ქალები თავს ისე გრძობდნენ, როგორც თევზი წყალში, ისე უყვარდათ
შანბანური თუ რაიმე საფირმო კერძი, როგორც ჩვენ გვიყვარს ხოლმე ვინმე
კომპოზიტორი ან პოეტი. მოდურ საცეკვაო პანგებს ან დათაფლულ, სენტიმენ-
ტალურ ჯაზურ სიმღერას შეეძლო ისე აღეფრთოვანებინა, აედღვევებინა და
ფული აეჩუყებინა მათთვის, როგორც ჩვენთვის ნიცშეს ან ჰამსუნს. მარია ჯერ

ლამაზ საქსაფონისტ პაბლოზე მელაპარაკა, მერე სიტყვა იმ ამერიკულ სონგზე ჩამოაგდო, პაბლო რომ უმღეროდა თურმე ხანდახან. ქალი უჩვეულო გაცეცებით, აღფრთოვანებითა და სიყვარულით ლაპარაკობდა და ანთ გაცილებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვიდრე, ვთქვამს, ნატაქა! ხელოვნების თაობაზე ვინმე ვრუდიტის შთამაგონებელ მსჯელს ხანს! მსჯელსება მოეხდინა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს სონგი, მე მზად ვიყავ გამეზიარებინა მარიას აღფრთოვანება. მისმა სიყვარულით გამსჭვალულმა სიტყვებმა და ანთებულმა მზერამ ჩემს ესთეტიკას ღრმა კვალი დაამჩნია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის მიღმა რჩებოდა მშვენიერება, ის მცირე წილი უბადლო მშვენიერებისა, რაშიც დაეჭვება და რისი სადაოდ გახდომა, ჩემი აზრით, არაფრით არ შეიძლებოდა; და ეს უპირველეს ყოვლისა მოცარტი გახლდათ. მაგრამ საღიყო აქ ზღვარი? განა ჩვენ, ამ საქმის ყველა მცოდნე თუ კრიტიკოსი სიჭაბუქეში არ ვალმერთებდით ამა თუ იმ მხატვარსა თუ ხელოვნების ქმნილებას, რომელთა გახსენება ახლა უსიამო ეჭვებსა და გრძნობებს იწვევს ჩვენში? განა ამ თვალთ არ ვუყურებდით ლისტს, ვაგნერს და ბევრი ჩვენგანი ბეთჰოვენსაც კი? განა მარიას ბავშვური გულმხურვალე აღტაცება ამერიკული სონგით ისეთივე ფაქიზი, მშვენიერი და უცილობლად ამაღლებული ესთეტიკური ტკობის შედეგი არ იყო, როგორც, ვთქვათ, ის აღფრთოვანება, რომელსაც განიცდიდა მავანი მეცნიერი „ტრისტანის“ მოსმენისას თუ მავანი დირიჟორი მეცხრე სიმფონიის შესრულებისას? ეს ყველაფერი ბატონ პაბლოს თვალსაზრისს ემთხვეოდა და მისეული სიმართლის დადასტურებას ნიშნავდა!

მშვენიერი პაბლო კი, ეტყობა, მარიას ძალიან უყვარდა!

— უდავოდ ლამაზი მამაკაცია, — ვუთხარი ქალს, — მეც ძალიან მომწონს, მაგრამ ერთი გამაგებინე, მარია, როგორ ახერხებ ერთდროულად ისიც გიყვარდეს და მეც? მე ხომ ერთი მოსაწყენი ბერიკაცი ვარ, ღმერთს ჩემთვის არც სილამაზე მოუცია და არც სინორჩე. აბა ახლა ჩემს ქალბრასაც შეხედე! ესეც არ იყოს, არც საქსაფონზე დაკვრა შეხერხება და ინგლისური სატრფიალო სიმღერების შესრულებაზეც მწყურალად ვარ?

— ნუ ლაპარაკობ ასე საძაგლად! — აღშფოთდა მარია, — ეს ყველაფერი ხომ ძალზე ბუნებრივია. მომწონხარ იმიტომ, რომ შენშიც ვხედავ რაღაც ლამაზს, სასიამოვნოსა და უჩვეულოს, გადასხვაფერება არც გქირდება, რაცა ხარ, ეგა ხარ! აბა რა საჭიროა ასეთ რამეზე ლაპარაკი და ანგარიშის ჩაბარება. იცი, როცა ყელზე ან ყურზე მკოცნი, ვგრძნობ, რომ მოგწონვარ და გიყვარვარ. რაღაც სხვანაირად იცი ხოლმე კოცნა, როგორ აგინსნა აი, ცოტა დარცხვენით. პოდა, ჩემთვის გასაგები ხდება, რომ გიყვარვარ და მადლიერი ხარ ჩემი სილამაზისა. ეს კი ძალიან, ძალიან მომწონს. სხვა მამაკაცებში, პირიქით, შენს საწინააღმდეგო თვისებებს ვაფასებ; მომწონს, როცა არაფრად მაგდებენ და ისე მკოცნიან, თითქოს მოწყალებას მოიღებენ.

ისევ ძიღმა წაგვართვა თავი. მალე გამომეღვიძა და ისევ და ისევ მკერდში ვიკრავდი ამ უმშვენიერეს ყვავილს.

საოცარია, მაგრამ ასე კი იყო: ამ შესანიშნავ ყვავილს კვლავაც და კვლავაც ისე ვუყურებდი, როგორც პერმინესგან ნაბოძებ წყალობას! ყვავილის ნიღბის მიღმა პერმინე იმალებოდა! უნებურად ჩემი შორეული, ჭირვეული სატრფო გამახსენდა, ჩემი საბრალო გულისწორი ერიკა. სილამაზით იგი ალბათ არ ჩამოუვარდებოდა მარიას, მაგრამ არც მასავით აფეთქებულ კვირტს ჰგავ-

და და არც სიყვარული სჩვეოდა ასე თამამად, ნიჭიერად და გაწაფულად სულ რაღაც ორიოდ წაშით მკაფიოდ და მტანჯველად დასიდგა თვალწინ მისი სალუქი სახე, ასე რომ გადაწვნოდა ჩემს ბედ-იღბალს; მერე კი, როცა თავდავიწყებამ თავისი გაიტანა, ეს სახე სიზმრად იქცა და სევდიან შორეთში გაღრმავდა.

წარსულის ნაირ-ნაირი სურათები ამომტივტივდა გონებში ჩემ წარმეტყველებას. ო, როდენ დიდი ხანი გასულა მას მერე, რაც ასე გამოშიგნული, გრძნობადაცლილი, უსურათხატოდ ვცხოვრობდი. ეროსის ხელის ერთი დაქნევი ყველა ხატი უეცრად დაიძრა და აიშალა. ანაზღად ისეთმა აღტაცებამ შემიპყრო და ისე მომეძალა ნაღველი, გულმა ცემა შეწყვიტა; დაეინახე, თურმე რამდიდარი ყოფილა ჩემი ცხოვრების სურათოვანი სამყარო, რამდენი მარადიული ვარსკვლავი თუ თანავარსკვლავედი კიაფობდა თურმე საბრალთ ტრამალის მგლის ცის კაბადონზე. უკიდევანო, სილურჯეშერთული შორეული მოებივით ნაზად და განწმენდილად შემომცქეროდა თვალეში გადასული ბავშვობა და დედაჩემი, ზანზალაკების ხმად იღვრებოდა ჩემი მეგობრების გუნდი. აქვე იყო ზღაპრული პერმანიცი, სულაერ ძმობას რომ დაეკავშირებინა პერმინესთან. უამრავ ქალთა სახე, ტბის სიღრმიდან ამოტივტივებული ყვავილებივით სურნელოვანი და არამიწიერი, აქანავდა ჩემ თვალწინ. იყო დრო, ამ ქალებს ვეტრფოდი, მათი სურვილი მკლავდა და ვალმერთებდი კიდევ. მაგრამ მხოლოდ ზოგიერთს თუ დავეუფლე, იმ ქალთაგან მხოლოდ ერთი-ორი თუ მინდოდა ჩემად. აი, ჩემი ცოლიც გამოჩნდა; მრავალი წელი გავატარეთ ერთად. მან მასწავლა მეგობრობის, მორჩილებისა და ქედუხრელობის ყადრი; მერე ბევრი დავიდარაბა დამატება თავს, მაგრამ ამ ქალის მიმართ ბოლო დღემდე შემომრჩა ღრმა ნდობის გრძნობა, შემომრჩა იმ დღემდე, ვიდრე დასნეულდებოდა და ჭკუაზე შეიშლებოდა. სრულიად მოულოდნელად ამბოხი მომიწყო და კი არ წავიდა, გაიქცა ჩემგან. ახლადა მივხვდი, თურმე რა ძალიან მყვარებია ეს ქალი, როგორ მწამდა მისი, რაკი მისმა საქციელმა ასეთ სასოწარკვეთილებებაში ჩამაგდო და ასეთი ლახვარი ჩამცა. კვლავ დამიდგა თვალწინ უთვალავი სურათ-ხატი: ზოგისთვის ძალმიძდა თავისი სახელი მეწოდებინა, ზოგიც ასე უსახელოდ მინავლულიყო. ყველა მათგანი, განახლებული და განწმენდილი, კვლავ უკლებლივ ამოტივტივდა ჩემი ამლამინდელი სიყვარულის მორევიდან, კვლავ შემახსენა თავი იმ ამბებმა, დარდისგან რა ხანია დავიწყებას რომ მისცემოდა. დიახ, გამახსენდა, რომ ეს სურათ-ხატნი შეადგენდნენ ჩემი ცხოვრების საუნჯესა და ღირებულებას; თურმე რა მარადიულნი ყოფილან ეს ვარსკვლავებად ქცეული ამბები, რომელთა დავიწყება მოვახერხე, მეხსიერებიდან წაშლა კი — ვერა! ამ ამბებმა კრილოსნად აასხა ჩემი ცხოვრების ზღაპარი, ხოლო მათი ვარსკვლავისებური კიაფი ჩემი ამქვეყნიური არსებობის უტყუარ საფასურად იქცა. იოლი ყოფა არასოდეს მქონია. დუხჭირი, შეცდომებით სავსე და გაუხარელი იყო ჩემი ცხოვრება; ბევრი რამის უარყოფა მომიხდა და ბევრისგან განდგომაც. იმ მარილის სიმლაშეც ვიგეზე, ყველა ადამიანის ბედ-იღბალს რომ ურეგია. სამაგიეროდ ისეთი მდიდრული, დიახ, დიახ, მდიდრული და სიაბაყით აღსავსე იყო ეს ცხოვრება, იმ სიდუხჭირეშიც არ დაუკარგავს მეფური დიდებულება. რაღა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს აღსასრულიც დადგებოდა. მაგრამ რაც უნდა უბადრუკად წარმართულიყო იმ დღემდე ჩემი ცხოვრება, ახლა შემეძლო შეთქვა, თვითმყოფა-

დი იყო იგი, ანკარა წყარო ჰქონდა სათავედ, და მისი მფლობელიც უბადრუკი გროშებისკენ კი არა, ვარსკვლავებისკენ აღაპყრობდა ხელებს ადრეცავე.

ეს ყველაფერი კარგა ხნის წინათ იყო. იას მერე ბევრმა წყალში ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა უკვე მთლად კარგად აღარ მაგონდება იმ ლამის ყველა წერილმანი. მხოლოდ ცალკეული სიტყვებიღა მახსოვს: ჩვენს ყველაგან თქმული. მახსოვს ალფოსიანი, ნაზი შეხება და ვარსკვლავებივით კაშკაშა წუთები, როცა, სიყვარულით დაღლილები, თავს ვაღწევდით ღრმა ძილს. მაგრამ მას მერე, რაც უფსკრულის პირას ვიდექი, იმ ლამით, სწორედ იმ ლამით შემომანათა საკუთარმა ცხოვრებამ დაუნდობელი ელვარებით. იმ ლამით ხელახლა მივხვდი, რომ თურმე შემთხვევა — ბუდი ყოფილა და ჩემი გავერანებული ცხოვრების უდაბნოშიც შეიძლება ბუტავდეს ღვთაებრივი ლამპარი. და აი, კვლავ შვებით ამოიხუნთქა სულმა, კვლავ დამიბრუნდა თვალისჩინი. იყო წუთები, თავში ლამის სისხლი ამვარდნოდა, როცა გავიფიქრებდი, საკმარისია ერთად მოვუყარო თავი ყველა ამ სურათ-ხატს. პარი-პალერისეული მგლური ცხოვრება ერთ მთლიან სურათად ვაქციო, და თავად მეც შევერწყები ამ სურათ-ხატთა სამყაროს და უკვდავთა დასში ჩავირიცხები-მეთქი. განა ყველა ადამიანის მიზანს იჭითკენ სწრაფვა და იმ დასთან შერწყმის მცდელობა არ შეადგენდა?!

დილით ერთად ვისაუზმეთ. მერე რის ვაი-ვაგლახით მოვახერხე და მარია შეუმჩნევლად გავაპარე სახლიდან. იმავე დღეს იქვე, მეზობელ უბანში ჩვენი მომავალი შეხვედრებისათვის პატარა ოთახი ვიჭირავე.

ჰერმინეს სიტყვისთვის არ უღალატნია, დაპირებისამებრ დადიოდა ჩემთან და მაინც მასწავლა ბოსტონი. შკაცრი და დაუღალავი გამოდგა ჩემი მასწავლებელი, გაკვეთილი არ გამოუტოვებია; გადაწყვეტილი ჰქონდა კარნავალზე ერთად წავსულიყავით. კოსტიუმისათვის ფული გამომართვა, მაგრამ მითხრა, როგორი იქნება, არ მკითხოო. მასთან სტუმრად მისვლა კი ჯერჯერობით ისევ აკრძალული მქონდა. ისიც არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა.

კარნავალამდე დარჩენილმა სამმა კვირამ შესანიშნავად ჩაიარა. ასე მეგონა, მარიასთანა სატრფო ცხოვრებაში არა მყოლია-მეთქი. აქამდე რომ მიყვარდა, იმ ქალებისგან ყოველთვის ჰკუასა და განსწავლულობაა მოვითხოვდი, იმას კი ვერ ვხედავდი, რომ ყველაზე გონიერი და განათლებული ქალიც კი არამცთუ ვერ აკმაყოფილებდა ჩემს გონებრივ მოთხოვნებს, კიდევაც ეწინააღმდეგებოდა მათ, ქალებთან შეხვედრისას საკუთარი ფიქრებითა და პრობლემებით ვიყავი დაკავებული და ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლება ერთ საათზე მეტხანს გყვარებოდა ქალი, რომელსაც ერთი წიგნი არ წაეკითხა. არ იცოდა წიგნის ყადრი და ჩაიკოვსკისა და ბეთპოვენს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდა. მარიაც უსწავლელი იყო. მას არ სჭირდებოდა არც მიკიბ-მოკიბული გზებით სიარული და არც უცხო სამყაროს შეთხზვა-წარმოსახვა; ყველა მისი პრობლემა თვით გრძნობებიდან იბადებოდა. თავისი საოცარი სხეულის, ფერის და თმის, ხმის, კანისა და ტემპერამენტის წყალობით მარიას სურდა რაც შეიძლება სისხლსავსედ შეეგრძნო ღვთით მომადლებული ვნების სიმძაფრე და სიყვარულის ნეტარება. ნატიფი სხეულის ჯადოსნური მიხრა-მოხრითა და ანცობით ცდილობდა სატრფოსათვის საპასუხო სინაზე გამოეძალა, სასიყვარულო თამაშში ჩაება და ნეტარების მწვერვალზე აეყვანა ისიცა და საკუთარი თავიც.

აი, რა იყო ამ ქალის ხელოვნება, მისი ცხოვრების მიზანი! ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იმ პირველი გაუბედავი ცეკვის დროს შევიგრძენ, ჯერ კიდევ მაშინ ვიყნოსე ამ გენიალური, უჩვეულოდ ნატიფი ვნებათაღელვის სურბელი და აკი მოჯადოებული დავრჩი კიდევაც.

თქმა არ უნდა, ყოვლისმცოდნე ჰერმინეს შემთხვევით სარ-მარტიუსთან მარია ჩემთან, ეს ქალი მთელი თავისი არსებით გაზაფხულისა და ვარდების სურნელს აფრქვევდა; მაგრამ ის ბედნიერება კი ვერა და ვერ მხვდა წილად, რომ მარიას ერთადერთი სატრფო ვყოფილიყავი, ანდა მის თვალში სხვაზე მეტი უპირატესობა მქონოდა. მე ამ ქალისთვის ერთი მრავალთაგანი ვიყავი. დროს ხშირად ვერ პოულობდა ჩემთვის, ხანდახან ნაშუადღევს ერთ საათს თუ დამით-ნობდა, იშვიათად მთელ ღამეს. აოც ფულს მართმევდა. რატომღაც ეჭვი მქონდა, რომ ეს ჰერმინეს ხრიკები იყო. საჩუქრებს კი სიამოვნებით იღებდა; თუ, ვთქვათ, წითელი ტყავის საფულეს ვაჩუქებდი, ნებას მრთავდა შიგ წინასწარ ორი-სამი ოქროსმანეთიანი ჩამედო. პო, მართლა, ის წითელი საფულე რომ ვაჩუქე, სიცილად არ ეყო! თავისთავად საფულე ძალიან ღამაში, მაგრამ ძველმოდური იყო. აქამდე ასეთი რალაცებისა ისევე არაფერი გამეგებოდა, როგორც ესკიმოსების ენისა, მარიასგან კი ბევრი რამ ვისწავლე. უპირველესად გავიგე, რომ ყველა ეს სამშვენიისი თუ მოდადქცეული ფუფუნების საგანი სულაც არ არის სისულელე და ფულს დახარბებული მრეწველების თუ საქმოსნების გამოგონილი რამ; ესაა საგანთა მშვენიერი, მრავალფეროვანი. პატარა ან, უფრო სწორად, დიდი სამყარო, რომლის ერთადერთი მიზანია: ემსახუროს სიყვარულს, გაამძაფროს ვნებები, გააცოცხლოს ჩვენ გარშემო ჩამკვდარი სამყარო, შეგვძინოს სიყვარულის ახლებურად განცდის უნარი; და ეს საგნები მართლაც იძენდნენ ჯადოსნურ ძალას, დაწყებული სუნამოთი, ბეჭდით თუ ქამრის ბალთით და სამეჭლისო ფეხსაცმლით, საპაპიროსეთი თუ ჩანთით დამთავრებული. ეს ყველაფერი: ჩანთა, საფულე, ყვავილები თუ მარაო საგნებს როდი წარმოადგენდა. ეს სიყვარულის ჯადო-თილისმისა თუ ხიბლის მთელი არსენალი გახლდათ. ეს საგნები ადამიანებს თავისებურ მალემსრბოლობას თუ მეგზურობას უწევდა.

ხშირად მიფიქრია, ნეტავ მარიას ვინმე თუ უყვარს-მეთქი. რატომღაც მეგონა, პაბლოს მიმართ ვერ იყო გულგრილი. ამ კაცს დაბინდული, შავი თვალები ჰქონდა და გრძელი, ფერმკრთალი, ნატიფი და სევდიანი ხელები. ერთხელ ვუთხარი კიდევაც, რატომღაც მეგონია, ალერსის დროს პაბლო ძალიან ზანტი, ნებიერი და დუნე უნდა იყოს-მეთქი; მარიამ ამაზე მიბასუხა, სულაც არაო. მართალია, ნელა აღიგზნება, მაგრამ თანდათანობით მთელი სხეული კაი მოკრივესავეით ან მოჭირითესავეით ეძაბება და ძალზე ვაჟკაცური და მომთხოვნი ხდებაო. ასე და ამრიგად, ამა თუ იმ მუსიკოსსა თუ მსახიობზე, ჩვენი წრის ქალებსა თუ კაცებზე არა ერთი და ორი საიდუმლო შევიტყვე. გავხედე ადამიანთა მტრობისა და მეგობრობის ზედაპირს და იმ სამყაროში თანდათანობით გავშინაურდი (ეს მე, რომელიც აქ სრულიად უცხო კაცად ვგრძნობდი თავს!). ჰერმინეზეც ბევრი რამ გავიგე. განსაკუთრებით კი ხშირად მიხდებოდა შეხვედრა პაბლოსთან, რომელიც მარიას ძალიან უყვარდა. ქალი დროდადრო მის იდუმალ წამლებს ხმარობდა და მეც მიმასპინძლდებოდა ამ უებარი საშუალებებით. პაბლოც სულ ერთთავად ჩემი გულის მოგებას ცდილობდა. ერთხელ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა:

— გეტყობათ, თავს ძალზე უბედურად გრძნობთ. არ ვარგა ასე! გულ-წრფელად ვწუხვარ ამის გამო. იქნებ ცოტ-ცოტა ობიუმი მოსწოთ!

დროდადრო მეცვლებოდა აზრი ამ გონიერ, მიაბიტ და თან შეუცნობელ ადამიანზე. მერე დავმეგობრდით კიდევ და ხშირად ვსარგებლობდით მისი წამლებით. გრძნობდა, მარიაზე შეყვარებული რომ ვიყავი, და ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ერვენებოდა. ერთხელ პაბლომ „წვეულება“ მოაწყო თავის ბინაზე, სადღაც ქალაქგარეთ, სასტუმროს მანსარდაზე რომ დაედო. ოთახში მხოლოდ ერთი სკამი ედგა და მე და მარიას საწოლზე მოგვიხდა ჯდომა. პაბლომ სამი სხვადასხვა ბოთლიდან რაღაც სასმელი შეაზავა და ბოლოს უჩვეულო გემოს ლიქიორი დაგვალევინა. მერე კი, კარგ გუნებაზე რომ დამიგულა, თვალეზანთებულმა შემომთავაზა, სამივეს ერთად გაგვემართა სასიყვარულო ორგია. ცივად ვიუარე, რადგან ასეთი რამ წარმოუდგენლად მეჩვენა; თუმცა ცალი თვალი მაინც მარიასკენ გავაპარე, აბა ის რა აზრისაა-მეთქი; ქალმაც მაშინვე მე ამიბა მხარი, მაგრამ მის ანთებულ მზერაში სინანული დავინახე, რომ ორგია არ შედგა. პაბლო ჩემი უარით გულნაკლული დარჩა, თუმცა არ შემომწყრომია.

— აფსუს, — თქვა მან, — ჰარის ხშირად მეტისმეტად მოეძალება ხოლმე სინდისი. რა გაეწყობა! ისე კი დიახაც რომ დიდებული, მართლაც დიდებული რამ იქნებოდა! თუმცა ამის ნაცვლად შემიძლია აი, ეს შემოგთავაზოთ!

ყალიონიდან რამდენიმე ნაფაზი დავარტყით, მერე თვალგახელილი უძრავად ვისხედით და წარმოსახვაში სამივენი განვიცდიდით იმ სცენას, პაბლომ რომ შემოგვთავაზა. ვნებააშლილი მარია მთელი ტანით ცახცახებდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი შეუძლოდ ვიგრძენი. პაბლომ ლოგინზე დამაწვინა და წვეთები დამალევინა. უეცრად ჯერ ერთ, მერე მეორე ქუთუთოზე ვილაცის ტუჩები შემეხო, სიოსავით მსუბუქი და ნაზი. თავი ისე დავიჭირე, ვითომ მეგონა, მარიამ მაკოცა-მეთქი. თუმცა მშვენივრად ვიცოდი, ეს პაბლო იყო.

მაგრამ ამ კაცმა ყველაზე მეტად ერთ საღამოს გამაოცა. შინ მეწვია და მითხრა, ოცი ფრანკი მჭირდება, თუ მომცემ, ამაღამ მარიას დაგიტომობო.

— პაბლო, — წამოვიძახე შეშინებულმა. — გესმით კი, რას ამბობთ? განა იმაზე სამარცხვინო რა არის, შენი სატრფო ფულზე დაუთმო ვილაცას? არა, თქვენი ნათქვამი ვითომ არც გაშიგია.

თანაგრძნობით შემომხედა.

— ნება თქვენია, ბატონო ჰარი! რაც არ გინდათ, ღმერთმა ნუ მოგცეთ: თქვენვე ირთულებთ ხოლმე ცხოვრებას. კარგი, რაკილა ასე გნებავთ, ნუ გაატარებთ ამაღამდელ ღამეს მარიასთან, ფული კი სესხად მომეცით, სასწრაფოდ მჭირდება; იცოდეთ, აუცილებლად ჩავასესხებთ.

— რისთვის გჭირდებათ?

— აგოსტინოსთვის მინდა. თქვენც იცნობთ მას. აი, ის ჩია კაცი, მეორე ვიოლინოზე რომ უკრავს. შეუძლოდაა, ეს ერთი კვირაა უბატრონოდ გდია და თან კაპიკი ფული არა აქვს. მეც სწორედ ახლა ვარ ჯიბეგაფხეკილი.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. თან გადავწყვიტე საკუთარ თავზე შური მეძია და აგოსტინოსთან გავყევი, სხვენზე რომ ჰქონდა უბადრუკი ბინა. პაბლომ რძე და წამალი მიუტანა, ლოგინი გაუსწორა, ოთახი გაუნიავა და სიცხისგან გათანგულ შუბლზე ისე კონტად და მოხერხებულად დაადო საფენი, კაი

მოწყალების დასაც შეშურდებოდა. იმავე საღამოს „სიტი“ ბარში ვნახე პაბლო. გათენებამდე საქსაფონზე უკრავდა.

პერმინესთან ხშირად მისაუბრია მარიაზე, მის ხელეზზე, მხრებსა თუ თეძოებზე, ხშირად მთელი გრძნობით გაგვიხსენებია, როგორი სიცილი და კოცნა იცოდა, როგორ ცეკვავდა.

— ეს უკვე გაჩვენა მარიამ? — მკითხა ერთხელ პერმინემ და ამიწერა, როგორ უნდა კოცნის დროს ენის ტრიალი. ვთხოვე, თვითონ მაჩვენე-მეთქი. მაგრამ ერთი კი შემომიბღვირა და, მაგის დრო ჯერ არ არის, ჯერ შენი სატრფო არ გავმხდარვარო, მომიგო.

ვკითხე, ასე დაწვრილებით საიდან იცი მარიას კოცნის ხელოვნება და ამ ქალის კიდევ ბევრი ისეთი საიდუმლო. რაც შეიძლება მხოლოდ მისმა შეყვარებულმა იცოდეს-მეთქი.

— ო, — წამოიძახა პერმინემ, — ჩვენ ხომ შეგობრები ვართ! ნუთუ გგონია, ერთმანეთს რაიმეს ვუმაღავთ? ერთად ლოგინიც გაგვიზიარებია და გვიცელქია კიდევ. არა, რაც მართალია, მართალია, ბრწყინვალე გოგო გამოიქირე. მაგასთან ვერავინ მოვა.

— პერმინე, ალბათ მაინც გექნებათ ისეთი საიდუმლო, ერთმანეთს რომ ვერ გაანდობთ. ნუთუ ჩემზედაც მოუყევი ყველაფერი?

— არა, ეს სულ სხვა ამბავია, მარია ვერ გაიგებს ამას. ბრწყინვალე გოგოა, ბედნიერი კაცი ყოფილხარ, მას რომ შეხვდი, მაგრამ მე და შენ შორის ისეთი ამბები ტრიალებს, ის ვერ მიხვდება. ისე კი შენზე, პაი, პაი, რომ ბევრი რამ ვუამბე! ბევრიც ისეთი ვუთხარი, შენ რომ არ მომიწონებ. მაგრამ რა მექნა! რალაციით ხომ უნდა მეცდუნებინა, შენთან რომ მოსულიყო?! ისე კი, ჩემო მეგობარო, ჩემზე უკეთ ვერც მარია გაგიგებს და ვერც ვინმე სხვა. მარიამ რალაც-რალაცები მომიყვა შენზე. ისე რომ, რაც იმან იცის, მეც ვიცი და უკვე ისე კარგად ვიცნობ, თითქოს ბევრჯერ გაგვეზიარებინოს სარეცელი.

მერე კვლავ შევხვდი მარიას. ვუყურებდი და ვერაფრით მერწმუნებინა, როგორ შეეძლო პერმინეც ჩემსავით ყვარებოდა, მის თმასა და სხეულს ასევე შიალერსებოდა და ეკოცნა, ასევე დამტკბარიყო და ნეტარება ეგრძნო. და აი, უეცრად სრულიად ახალი, ორჭოფული და რთული ურთიერთდამოკიდებულების წინაშე აღმოვჩნდი; დავინახე, თუ რაოდენ ახალი შესაძლებლობები იმალება ცხოვრებისა თუ სიყვარულის წიაღში და უმაღლეს ათასი სულის პატრონი. ცრემლის მგელი გამახსენდა, ტრაქტატში რომ იყო აღწერილი.

მარიას გაცნობიდან დიდ კარნავალამდე მცირე დრო იყო. თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ განცდა იმისა, რომ ეს იყო ჩემი ხსნა და ნეტარების მწვერვალს მივაღწიე, არასოდეს მქონია. სულ უფრო და უფრო აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი, მხოლოდ გადასადგმელად მომზადებული ნაბიჯია, რომ ყველაფერი წინა მაქვს და მოსახდენი ჯერ კიდევ არ მომხდარა.

ცეკვა უკვე იმდენად კარგად ვისწავლე, რომ შეიძლებოდა კარნავალში მონაწილეობა მიმეღო. პირზე კი ყველას კარნავალი ეკერა.

პერმინეს თავისი საიდუმლო მქონდა. ვერაფრით ვერ წამოვაცდენინე. ზემზე რა ეცმებოდა. „ალბათ როგორმე გამომარჩევ ხალხში. თუ ვერ მიცნობ, თვითონ მიგახვედრებ, წინასწარ კი რა საჭიროა იცოდე“, — მეუბნებოდა. ჩემი ტანსაცმლითაც დიდად არ დაინტერესებულა, ამიტომაც გადავწყვიტე

ჩვეულებრივად ჩაცმული მივსულიყავი. მარია კარნავალზე რომ დავპატიუე, გამომიციხადა, უკვე მიწვეული ვარო, და მართლაც შესასვლელი ბილეთი მაჩვენა. იმედგაცრუებული დავრჩი; გული მწყდებოდა, რომ ზემზე მარტოდმართო მომიხდებოდა მისვლა. ხელოვნების მესვეურები ყოველწლიურად მართავდნენ ასეთ კარნავალს „გლობუსის“ დარბაზებში და იგი მარტოდმართობის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ თავყრილობად ითვლებოდა.

იმ დღეებში იშვიათად ვხვდებოდი ჰერმინეს. კარნავალის წინა დღესაც ცოტა ხნით შემოიარა: ბილეთი მქონდა მისთვის ნაყიდი და უნდა წაეღო. ერთხანს მშვიდად იჯდა ჩემთან ოთახში, მერე კი ჩვენ შორის ის სამახსოვრო საუბარი გაიმართა, ასეთი ღრმა შთაბეჭდილება რომ მოახდინა ჩემზე.

— ისე, მგონი, ახლა კარგად უნდა გრძნობდე თავს, არა? — მითხრა მან, — ცეკვა მშვენივრად ისწავლე. კაცს ერთი თვე თუ არ უნახიხარ, ველარც კი გიცნობს.

— დიახ, — ვალიარე მე, — კარგა ხანია ასე ჩემი სიამოვნებისთვის აღარ მიცხოვრია. ყველაფერ ამას შენ უნდა გიმადლოდე, ჩემო ჰერმინე.

— ო, შენ ფიქრობ, მე და არა მშვენიერ მარიას?

— განა თავად მარიაც შენით ბოძებული წყალობა არ არის?! მართლაც რომ დიდებული ქალია.

— დიახ, ტრამალის მგელო, შენ რომ გკვირდებოდა, სწორედ ის ქალია: ლამაზი, ახალგაზრდა, ახლა ისიცა თქვი, სიყვარულში როგორაა გაწაფული?! თან ყოველდღიურად ხელმისაწვდომიც არ არის. მარიას სხვა კაცებიც რომ არ ჰყავდეს და იშვიათი სტუმარი არ იყოს შენი, ასე კარგად ვერც აეწყობოდა საქმე?!
 დიახ, ჰერმინე ამაშიც მართალი იყო და მეც დავეთანხმე.

— ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ რაც გეწადა, ყველაფერი აღისრულე, არა?

— არა, ჰერმინე, მაგას ნუ იტყვი. თქმა არ უნდა, ჩემს ცხოვრებას თავისებური ეშხი და ლაზათი მიეცა, ახლა ამქვეყნად რაღაც მახარებს და მანუგეშებს. შეიძლება ვთქვა, ბედნიერიც კი ვარ-მეთქი, მაგრამ...

— აი, ხომ ხედავ! სხვა რაღა გინდა?

— არა, მე უფრო მეტი მინდა. ჩემთვის არ კმარა, რომ ბედნიერი ვარ. განგებას ამისთვის არ გავუჩენივარ, ეს არ არის ჩემი დანიშნულება.

— მაშ რა გინდა? მაინცდამაინც უბედურად უნდა გრძნობდე თავს? ნუ-თუ არ მოგბეზრდა ეს ყველაფერი? დაგავიწყდა, სამართებელზე ფიქრი რომ არ გასვენებდა და შინ ვერ ჩერდებოდი?

— არა, ჰერმინე, არა. მართალია, მაშინ ძალზე უბედურად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ეს რაღაც უაზრო, სულელური უბედურება იყო.

— ვითომ რატომ?

— იცი, რატომ? რაკილა სიკვდილი მეწადა, აღარც უნდა მშინებოდა მისი. ის უბედურება კი, მე რომ მჭირდება და ასე ვნატრობ, სულ სხვაა. მან ტანჯვა უნდა მომაწყუროს და სიკვდილი მანატრებიხოს, აი, ასეთ უბედურებას თუ ბედნიერებას ვნატრობ.

— მშვენივრად მესმის შენი, ამაში ღვიძლი და-ძმა ვართ მე და შენ. მაგრამ რატომ გინდა გაექცე ბედნიერებას, მარიასთან რომ ჰპოვე? რატომ არა ხარ ემაყოფილი?

ქ. მარქსის ს. ხ. 70აქ. სსრ
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 ბიბლიოთეკის მ. ს. ს. ს.

— ო, არა, ამ ბედნიერებაზე უარს არ ვამბობ, კმაყოფილი ვარ და მადლობის მეტი არაფერი მეტქმის. ეს ბედნიერება მზიან დღეს მაგონებს, წვიმიანი შემოდგომით რომ გამოერევა ხოლმე, მაგრამ ვგრძნობ, დიდი დღე არ უწერია, რადგან უნაყოფოა იგი. კმაყოფილებას კი განმასტრქენებს, მაგრამ ჩემს სულსა და გულს არ ეკარება. ეს ბედნიერება ტრამალის მგელის თვლებსა პგვრის, მთყირკების გრძნობას უღვიძებს და არ ღირს იმად, რომ მისი გულისთვის მოკვდეს კაცი.

— ტრამალის მგელო, მაშ სიკვდილი აუცილებელი ყოფილა შენთვის?

— ვგონებ, კი! დიდი ბედნიერება მხვდა წილად, შემძლია კიდევ დიდხანს განვიცადო იგი. მართალია, დროდადრო ეს ბედნიერება მტოვებს, მეც გონს მოვდივარ და სევდას მივეცემი ხოლმე, მაგრამ ამ ბედნიერების შენარჩუნების გამო კი არა! მთელი ჩემი ფიქრი იქითკენაა მიმართული, ვიტანჯო, ოლონდ წინანდელზე უფრო ლამაზად და ღირსეულად, ვოცნებობ ისეთ ტანჯვაზე, სიკვდილისთვის რომ შემამზადებს და დამიყოლიებს.

პერმინემ ნაზი და თან დაბინდული მზერა შემაგლო; დროდადრო სჩვეოდა ხოლმე ასეთი გამოხედვა, ო, რა დიდებული და თან შემზარავი თვალები ჰქონდა! ძალიან ჩუმად, ნელ-ნელა, თითქოს სიტყვებს მარცვლავსო, ლაპარაკი წამოიწყო. მთელი არსებით დავიძაბე, რომ მისი ნათქვამი გამეგონა:

— დღეს რაღაც ისეთი მინდა გითხრა, რაც დიდი ხანია ვიცი. შენც იცი ეს, თუმცა საკუთარ თავს ვერ გატყდომიხარ. ახლა იმას გეტყვი, რაც მე და შენ, ჩვენ ორივეს ბედ-იღბალს შეეხება. პარი! შენ ხელოვანი და მოაზროვნე კაცი იყავი, აღესილი სიხარულითა და რწმენით; ყოველთვის ელტვოდი რაღაც დიდსა და მარადიულსა და არასოდეს გაკმაყოფილებდა მცირე, რაგინდ მშვენიერიც არ უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ რაც უფრო მეტად გაფხიზლებდა და საკუთარ თავთან პირისპირ გაყენებდა ცხოვრება, მით მეტად ეძლეოდი ტანჯვას, შიშსა და სასოწარკვეთას, შენს თვალში უფასურდებოდა ყოველივე მშვენიერი და წმინდა, რასაც უწინ შესტრფოდი და ეთაყვანებოდი. მერე თანდათან გაგიჭრა რწმენა ადამიანებისა და ჩვენი მაღალი დანიშნულებისადმი და სუნთქვა გაგიჭირდა. სულისხუთვა კი სიკვდილის უსასტიკესი ნაირსახეობაა. ხომ ასეა, პარი? ხომ ასეთი ბედი გარგუნა განგებამ?

თანხმობის ნიშნად ვუქნევდი და ვუქნევდი თავს.

ცხოვრებაზე შენეული წარმოდგენა გქონდა, აღესილი იყავ რწმენითა და მიზნებით, თავს დასდებდი საგმირო საქმეებისათვის, არ შეეპუებოდი მსხვერპლსა და ტანჯვას; მაგრამ მერე თანდათან დაინახე, რომ ამქვეყნად არავინ მოითხოვს შენგან გმირობას, მსხვერპლსა და სხვა ამგვარებს, რომ ეს ცხოვრება გმირობითა და თავგანწირული საქმეებით აღსავსე პოემა როდია! დიან, მიხვდი, რომ ჩვენი ცხოვრება ერთი პატარა ბიურგერული სენაკია თურმე, სადაც ადამიანები სავსებით კმაყოფილდებიან ჭამით, ყავის სმითა და წინდის ქსოვით, ბანქოს თამაშით და რადიომუსიკის მოსმენით, და თუკი ადამიანი შესტრფის გმირობასა და მშვენიერებაზე ოცნებას, პატივისცემითაა განმსჭვალული დიდი პოეტებისა თუ წმინდანების მიმართ, მას სულელად თვლიან და დონ კიხოტად ნათლავენ, აი, ასეა ეს. პოდა, მეც იგივე დამემართა, ჩემო მეგობარო! ურიგო გოგო არ ვიყავი. ჩემი დანიშნულება ამქვეყნად ის იყო, მაღალი იდეალებით მეცხოვრა, საკუთარი თავისთვის დიდი მოთხოვნები წამეყენებინა და ღირსეული საქმეების აღმასრულებელი გავმხდარიყავი. შემედლო

მძიმე ხვედრი მეტვირთა: ვყოფილიყავი მეფის თანამეცხედრე, რევოლუციონერის სატრფო, გენიოსის და ან მწვალებლის დედა. ბედმა კი, მართალია, გემოვნებიან, მაგრამ მაინც კურტიზან ქალად მაქცია მხოლოდ. და ესეც დიდის დავიდარაბით მოვახერხე! აი, ასე წარიმართა ჩემი ცხოვრება. ერთხანს ნუგეშს ვერ ვპოულობდი და ყველაფერს საკუთარ თავს ვაბრალებდი. ხიბარტოლე, რომ ყოველთვის ცხოვრების მხარეზეა და, რაკილა ცხოვრებამ ჩემს მშვენიერ ოცნებებს ასე დასცინა. ეტყობა, სულელური და ფუჭი ყოფილა ეს ოცნებები-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში იყო. სმენა და მხედველობა კარგი მქონდა, არც ცნობისმოყვარეობა მაკლდა და აი, ეგრეთ წოდებულ ცხოვრებას დაკვირვებული თვალთ დავეწყე ყურება. ზედმიწევნით შევისწავლე ჩემი ნაცნობ-მეგობრები, დავაკვირდი ორმოცდაათიოდე ადამიანის ბედს და იცი, რა დავინახე, პარი? თურმე სიმაართლე ჩემი ოცნებების მხარეზე იყო! ასეთივე მართალი ოცნებები გქონდა შენც, ხოლო ცხოვრება, სინამდვილე კი სტყუოდა და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჩემისთანა ქალს სხვაგზა არ ჰქონდა, მონად უნდა გახდომოდა ვილაც საქმოსანს და საბეჭდი მანქანის კაქუნში უბადრუკად და უაზროდ ჩაბერებულყო. შესაძლოა იმ საქმოსანს ფულების გამო ცოლადაც გაჰყოლოდა, ან არადა, როსკიბობა დაეწყო. დიახ, ეს ყველაფერი ისეთივე უსამართლობა იყო, როგორც ის, რომ შენისთანა კაცს განგება სიმართლევს, შიშსა და სასოწარკვეთას არგუნებს ხვედრად და იძულებულს ხდის სამართებელს დაავლოს ხელი. ეტყობა, ჩემი გაჭირვება უფრო მატერიალური და ზნეობრივი ხასიათისა იყო, შენი კი სულიერი. მაგრამ გზა ერთნაირი განგელეთ. ალბათ ფიქრობ, რომ არ მესმის, თუ რატომ გიპყრობს ფოქსტროტის ცეკვის შიში, რატომ გძულს ბარები და საცეკვაო დარბაზები, რატომ აგითვალწუნებია ჯაზური მუსიკა და მთელი ეს სისულელე? არა. ყველაფერი მშვენიერად მესმის. ასევე კარგად ვიცი, თუ რატომ გეზიზდება პოლიტიკა, გალიზიანებს პარტიისა თუ პრესის უაზრო ლაქლაქი და უპასუხისმგებლო აურზაური, მესმის, რატომ გაგდებს სასოწარკვეთილებაში წარსული თუ მომავალი ომი, რატომ მოქმედებს შენზე ასე თანამედროვე ადამიანის ფიქრის, კითხვის, შენების, მუსიკის შექმნის, ზეიმისა თუ სწავლა-განათლების დაუფლების ყაიდა! პაი, პაი, რომ მართალი ხარ; დიახ, შენს მხარეზეა სიმაართლე და მაინც გარდაუვალი დაღუპვა გელის. დღევანდელი მარტივი, მცონარა და უხეში სამყაროს კვალობაზე ერთობ მომთხოვნი და ხარბი ჩანხარ. იგი თავისი სტომაქიდან უკან ამოგანთხევს და მოგისვრის, რამეთუ ამ სამყაროსთვის შენ ერთი განზომილებით მეტი გაგაჩნია, ჩვენისთანა ადამიანებს დღეს ცხოვრება და ამ ცხოვრებით ტკობა არ უწერიათ. ვინც წრიბინის ნაცვლად მუსიკას მოითხოვს, სიამოვნების ნაცვლად — სიხარულს, ანცობის ნაცვლად — ქეშმარიტ ვნებათაღელვას, — მან ამ დიდებულ სამყაროში არ შეიძლება შინაურულად იგრძნოს თავი...

ქალმა თვალები ძირს დახარა და დაფიქრდა.

— ჰერმინე, ჩემო დიკო! რა მშვენიერი თვალეები გაქვს! — ვუთხარი ნახად. — განა შენ არ მასწავლე ფოქსტროტი! მაგრამ რას გულისხმობდი, როცა მითხარი, ჩვენისთანა ადამიანებს, რომელთაც ერთით მეტი განზომილება გააჩნიათ, არ შეუძლიათ აქ ცხოვრებაო? გამაგებინე, რაშია საქმე? მხოლოდ ჩვენს დროშია ასე თუ ყოველთვის ასე იყო?

— არ ვიცი. მთლად არ მინდა დავკარგო ამ ქვეყნისადმი პატივისცემის

გრძნობა და მინდა ვირწმუნო, რომ ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს დროებაში ხდება, რომ ეს მხოლოდ მისი სენია, მისი ამჟამინდელი უბედურება. ქვეყნის მესვეურნი ჯიქურ და არცთუ უშედეგოდ ემზადებიან ახალი ომისათვის, ჩვენ კი ამასობაში ფოქსტროტს ვცეკვავთ. ფულებს ვიხვევთ და მოკლავთ, მივირთმევთ. ამ დროს ხომ სამყარო ერთობ მარტივად უნდა გამოიყურებოდეს! მოდი, ნუ დავკარგავთ იმედს, არსებობდა უკეთესი ხანა და კვლავაც იქნება. ისევ დადგება უფრო მდიდარი, ლალი და გონიერი დროება; მაგრამ მერყდა ჩვენ რა?! ან იქნებ ყოველთვის ასე იყო.

— ყოველთვის ასე იყო, როგორც დღეს? როგორ, ნუთუ ეს ქვეყანა მუდამ პოლიტიკოსების, სპეკულანტების, ლაქიებისა და დარღიმანდებისა იყო და ადამიანებს სული ეხუთებოდათ?

— შესაძლოა ასეც იყო, არ ვიცი, და ეგ არც არავინ იცის. თუმცა განა სულერთი არ არის? ჩემო კარგო, ახლა შენს სათაყვანო ადამიანზე, მოცარტზე ვფიქრობდი. გახსოვს, ხანდახან მიყვებოდდი და წერილებსაც მიკითხავდი მასზე. იმას როგორღა წაუვიდა საქმე? იმ დროს ვინღა განაგებდა ქვეყანას, ვინ იხვევდა მოსახვეჭს, ვის ებყრა ხელთ მართვა-გამგებლობის სადავეები. მოცარტსა თუ მავან საქმოსნებს, მოცარტსა თუ გონებაჩლუნგ კაცუნებს? აბა გაიხსენე, როგორ მოკვდა და როგორ დაშარხეს? მე მგონია, როგორც ყოფილა, ისე იქნება აწ და მარადის. მოგეხსენება, სკოლებში ასწავლიან საგანს, „მსოფლიო ისტორიას“ რომ უწოდებენ. რატომღაც მისი ზეპირად ცოდნა აუცილებლად ითვლება განათლებული კაცისათვის. არადა, ამ ისტორიის გმირები, გენიოსი ადამიანები, საგმირო საქმეები თუ გრძნობები ყველაფერი სიცრუეა, სკოლის მასწავლებლების მონაჩმახია, ვითომდა ბავშვების გასანათლებლად და გარკვეულ ასაკში ქუის შესაქცევად. ასე ყოფილა ათადან-ბაბადან: დრო, ქვეყნიერება, ფული და ძალაუფლება მუდამყამს ჩლუნგ, ჭკუათხელ ადამიანებს სკერიათ ხელთ, ხოლო დანარჩენებს, ჭეშმარიტ ადამიანებს არაფერზე მიუწვდებოდათ ხელი, დიახ, არაფერზე, გარდა სიკვდილისა.

— მხოლოდ ესაა მათი ხვედრი?

— არა, მათ კიდევ მარადისობა რჩებათ.

— შენ ალბათ მომავალ თაობებში გადასულ სახელსა და დიდებას გულისხმობ, არა?

— არა, ჩემო მგელუკავ, დიდება სულაც არ მიგულისხმია, ან კი რა ფასი აქვს მას?! ნუთუ ფიქრობ, ყველა ჭეშმარიტმა ადამიანმა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, სახელი გაითქვა და თაობებისთვის ცნობილი გახდა?

— რა თქმა უნდა, არა!

— აი, ხომ ხედავ, დიდებას არ ვგულისხმობდი. დიდება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო ცნებაა და ამიტომაც მასწავლებლების საზრუნავს შეადგენს. არა და არა, დიდება არამც და არამც არ მიგულისხმია. იმას კი, რასაც მე მარადისობას ვუწოდებ, მორწმუნენი სასუფეველს ეძახიან. ჰოდა, გუნებაში მიფიქრია ხოლმე: ჩვენისთანა ადამიანები, ამ ქვეყნიერებისგან რაღაც უფრო მეტს რომ მოვიტხოვოთ, კაეშანი რომ გვჭამს და განგებას ერთი ზედმეტი განზომილებით დაუუჭილდოვებივართ, საერთოდ ვერ გასძლებდნენ ამქვეყნად, ამ სამყაროს მიღმა რომ არ ყოფილიყო კიდევ სხვა, ზეგარდმო სამყაროს სუნთქვა, დროის მიღმა რომ არ არსებულიყო მარადისობა. აი, სწორედ იქ დაუდვია ბინა ჭეშმარიტების საუფლოს, იგი მოიცავს მოცარტის მუსიკასა თუ შენი სათაყვა-

ნებელი პოეტების ლექსებს. ამ საუფლოს განუკუთვნებია წმინდანებიც. სასწაულებს რომ ახდენდნენ, მოწამებრივი სიკვდილით ეცდებოდნენ და ადამიანებს ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებდნენ. მარადისობა ხეიდროს ასევე ყოველი ჭეშმარიტი ნაღვაწისა თუ გრძნობისა, თუმცა შესაძლოა კაცებს უკობაზე არავის არაფერი სმენია, არც არავის უნახავს. ჩაუწერიან და მძიმე მძიმელობისთვის არ შემოუნახავს.

— მართალი ხარ, — უთხარი მე.

— ღვთისმოსავნი ამაში მაინც ყველაზე უკეთ ერკვეოდნენ. — განაგრძო პერმინემ დაფიქრებით. — სწორედ ამიტომ იყო, რომ მოიგონეს წმინდანთა დასა და ის, რასაც „წმინდანთა თანა შერაცხვა“ უწოდეს. წმინდანები ჭეშმარიტი ადამიანები, მაცხოვრის უმცროსი ძმები არიან. მთელი ჩვენი სიცოცხლე მათგან მიმავალ გზაზე სვლია, იქით მივყავართ ყოველ კეთილ საქმეს, გაბედულ აზრსა თუ სიყვარულს.

წმინდანთა დასს წინათ მხატვრები ცის კაბადონზე წარმოგვიდგენდნენ ხოლმე მშვიდი, ვაცისკროვნებული მშვენიერი სახეებით, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც წედან „მარადისობა“ უწოდეს. ტრამალის მგელო, ესაა დროისა და მოჩვენებითი ბილულობის მიღმა მდებარე სამეფო და იქაა ჩვენი აღვილსამყოფელი, ჩვენი სავანე, იქითკენ მივილტვიოთ სულით და გულით და ამიტომაც შევნატრით აგრერიგად სიკვდილს. აქ კვლავ ჩხოვებ შენს გოეთეს, ნოვალისა და მოცარტს. მე კი — ყველა ჩემს წმინდანს: ქრისტეფორეს, ფილიპუნერისა და სხვებს. წმინდანებს შორის ბევრი იყო ცოდვილი. ეგებ ცოდვაც გზაა წმინდანობისკენ, დიან, ცოდვაცა და მანკიურობაც. ალბათ ვაგეცინება, მაგრამ ხშირად მიფიქრია, ხომ შეიძლება ის ჩემი მეგობარი პაბლოც იდუმალი წმინდანი იყოს-მეთქი. ეჰ, პარი, რამდენი სიბინძურე და უაზრობა უნდა გამოვიაროთ, რომ შინ მივიდეთ! არადა, კაცი არ მეგულება. შინისაკენ მიმავალი გზა რომ მიგვანიშნოს; ამ გზაზე ჩვენი ერთადერთი მეგზური მშობლიურ კერი-აზე კაეშანია.

უკანასკნელი სიტყვები პერმინემ ავლავ ძლივს გასაგონად წარმოთქვა, ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მზე ჩადიოდა. მის სხივებში კიადობდა წიგნების ოქროსფერი ვარაყი. პერმინეს თავი ხელისგულებში მოვიტყე, შუბლზე ვეამბორე და ლოყა ლოყაზე დაძმურად მივიღე ერთხანს ასე ვიყავით გაყუჩებული. ახლა ჩემი ნატვრა იყო, რაც შეიძლება დიდხანს ვმსხდარიყავით ასე და დღეს აღარსად ვყოფილიყავით წასასვლელი, მაგრამ მარია შემპირდა, ამალამ, დიდი მეჯლისის წინა ღამეს, შენი ვიქნებიო.

მასთან კი მივდიოდი, მაგრამ ფიქრებით სხვაგან დავფრინავდი. ახლა მხოლოდ პერმინეს სიტყვებს დაეპყრო ჩემი გონება. ასე მეგონა, რაც მისგან მოკისმინე, ჩემი საკუთარი აზრებია-მეთქი, ამ ნათელმხილველმა ჭალმა ჯერ ჩემს გულში ამოიკითხა, მერე კი საკუთარ თავს შთაბერა და ისე გადმომცა ეს აზრები, რომ სულ ახლებურად წარმომსდგარიყვნენ ჩემ წინაშე. იმ წუთში განსაკუთრებით მადლიერი ვიყავი პერმინესი იმის გამო, რომ მარადისობაზე ჩამოგდო სიტყვა. ეს აზრი აუცილებელი იყო ჩემთვის, რამეთუ მის გარეშე ვერც სიცოცხლეს შევძლებდი და ვერც სიკვდილს. დღეს ჩემმა ცეკვის მასწავლებელმა და მეგობარმა ხელახლა დამანახა დროის მიღმა მყოფი იმჭვეყნიური წმინდა ცხოვრება. მაჩუქა მუდმივ ფაეულობათა ღვთიური სამყარო. ჩემდაუნებურად სიზმარში ნანახი გოეთე გამახსენდა, თვალწინ დამიდგა მოხუცი ბრძენის

სახე, არაადამიანური სიცილით რომ იცინოდა და მისეულ, უკვდავ ყაიდაზე მე-
ოხუნჯებოდა. მხოლოდ ახლად მივხვდი, თუ რას ნიშნავდა გოეთეს სიცილი,
უკვდავთა სიცილი ეს სიცილი უსაზღვრო იყო, იგი ნათელი სხივით კიაფობ-
და მხოლოდ, ასეთ სხივს ტოვებს ხოლმე თავის შემდეგ ქვეყნისადამიანი,
როცა იგი მიწიერი ტანჯვით, ცოდვა-მადლის განკითხვითა და სხვა სხვათა თუ
გაუგებრობებით აღსავსე გზას გაივლის და სივრცეში მარადისობისაკენ გაიჭ-
რება. ეს მარადისობა კი სხვა არაფერია, თუ არა დროის არტახებიდან გან-
თავისუფლება, მისი დაბრუნება უცოდველობისაკენ, მისი უკუქმნა სივრცედ.

მივათვალისწინოთ-მოვათვალისწინოთ ის ადგილი, სადაც მე და მარია საღამო-
ობით ვგახშობდით ხოლმე, ჯერ არ მოსულიყო, აი, მის მოლოდინში, განაპი-
რა უბნის წყნარ სამიკიტნოში ვიჯექი და ჰერმინესთან საუბარი არ მშორდუ-
ბოდა თავიდან, წელანდელი აზრები ისეთი ნაცნობი და მშობლიური მეჩვენე-
ბოდა, თითქოს ისინი ჩემი საკუთარი მითოლოგიის, ჩემი ყველაზე სანუკვარი
ხილვების სამყაროდან ამოტივტივებულიყვნენ! საოცარია, საიდან მეცნობოდა
ეს ყველაფერი? საიდან ვიცნობდი უკვდავთ, ეულად რომ სახლობდნენ დრო-
ის მიღმა სივრცეში და ხილვებად რომ ქცეულიყვნენ? სად მენახა ეს ბროლი-
ვით გამჭვირვალე მარადისობა, ეთერივით რომ შემორტყმოდა მათ გარს; ანდა
როგორ შევიგრძნობდი არამიწიერი სამყაროს ამ ცივი, გაციხროვნებულ სიცი-
ხადეს?! ფიქრებში წასულს გამახსენდა ცალკეული ადგილები მოცარტის „კა-
საციებიდან“ თუ ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირიდან“, მომეჩვენა,
თითქოს ამ მუსიკაში ყველგან ის ცივი, გაციხროვნებული სიციხადე და ეთერო-
ვანი სიკამკამე რიალებდა. დიან, სწორედ რომ ასე იყო; ეს მუსიკა გაქვავებულ,
სივრცედ გარდაქმნილ დროდ ქცეულიყო და თავზე მუდმივ ათინათად დაჰ-
ნათოდა ზეადამიანური სიციხადე, მარადიული ღვთიური სიცილი. ო, სიზმარში
ჩილული ჩემი მოხუცი გოეთეს საკარცხულიც ხომ სწორედ აქ იყო! ანაზღად
ყურში ეს საოცარი სიცილი ჩამესმა, გავიგონე, როგორ იცინოდნენ უკვდავნი,
მონუსხულივით ვიჯექი. მერე ყილეტის ჯიბიდან ფანქარი ამოვიღე და ქალღმერთს
დავუწყე ძებნა. ხელში ღვინოების პრეისკურანტი მომხვდა, გადმოვაბრუნე და
მეორე გვერდზე ლექსის წერა დავიწყე. ეს ლექსი მხოლოდ მეორე დღეს აღ-
მოვაჩინე ჯიბეში. აი, ისიც:

უკვდავნი

ცეცხლის ალივით ნელა ირჩება
კაცთა სიმაძღვრე და სიღატაკე.
ჩვენკენ მოიწევს, თრთის და თახთახებს
გავსილი ტანჯვით და მოყირკებით.
მყრალი, მზრჩოლავი, უმი და ცხელი
ბრბო გატენილი ვნებით და შიშით —
მკვლელი, მგეახშე, მლოცველი, გიჟი —
ჩვენკენ მოპყვება გამოწვდილ ხელებს.
თავის თავს თქვეფს და სიტკბოთი ნაკვებს
უკანვე ანთხებს, რაც წელან შთანთქა.
ომი სწყურია, მშვენიერს აწებს
და საროსკიპოს გვირგვინებს აღგამს.
ქვეყანა ცოდვას უმაღვე ჩარბავს
მას აგზნებს შედლი, სისხლი და ჯანყი.
ის ყველასათვის იქცევა ტალღად

და მერე ყველას წუმბეში ჩაყრის.
ჩვენ კი, მომსთველნი სხვაგვარი სვესი,
ვისაც წილად გვხვდა ვარსკვლავთა ზვედრი,
ვართ და არ ვიციოთ ჯამი და სქესი,
დღე და საათი, მამრა და მდუდრო.



თქვენს ცოდვილ ყოფას, ჩიჯენას და ჭგლეფას
და წანლეკავი ვნებების სისინს
ცოხ ლაყვარდიდან დაგცქერიოთ მზისით
და ხანგრძლივია ჩვენი დღე მერად.

ჩვენ აღვივსებით კოსმიურ ზამთრით
და წუთისოუელს ჩვენს ყოფას კადრით,
და ვარსკვლავების უდრეგ მწყობრივით
მარადიული გვაბრწყენს ციმციმი.
გველუშაპია ჩვენი მშობილი,
მარადისია ჩვენი სიცილი!

მაღე მარიაც მოვიდა, ხალისიანად ვივანშმეთ და ჩვენს ბინაზე წავედით.
იმ საღამოს ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი, თბილი და ალერსიანი იყო. ამ
ქალის სისალუტქესა თუ სიანცეში ისეთი ჯადო-თილისმა იყო ჩაქსოვილი,
საოცარმა სურვილმა შემიბყრო მისი მონა-მორჩილი გავმხდარიყავი.

— მარია, დღეს ღმერთივით დიდებული ხარ. — ვუთხარი მე, — მაგრამ
მოდე, მეტისმეტად ნუ გადავიქანცავთ თავს, ხვალ ხომ კარნავალია?! ვინ იქ-
ნება შენი რაინდი? ეპ. ჩემო შროშანო, ვაითუ იგი ზღაპრული უფლისწული
გამოდგეს და მოგიტაცოს. ვაითუ აღარასოდეს დამიბრუნდე? დღეს ისე მესიყ-
ვარულები, განშორებია წინ რომ სჩვევია ხოლმე ვნებიან სატრფოს, ისე მე-
ფერები, თითქოს ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყოს!

ტუჩები სულ ახლოს მომიტანა ყურთან და წამჩურჩულა:

— ნურაფერს იტყვი, პარი! ჩვენთვის ყოველი დღე შეიძლება უკანასკ-
ნელი გამოდგეს. პერმინე რომ დაგებატრონება, მერე შენ ჩემთან მომსვლელი
აღარა ხარ. სულ ადვილი შესაძლებელია, ხვალ დადგეს ეს დღე.

და აი, მაშინ, მეჯლისის წინა ღამეს მთელი სიმძაფრით დამეუფლა იმ დღე-
თა ორჭოფული, ტკბილ-მწარე განცდა. ალბათ სწორედ ეს იყო ბედნიერება, რა-
საც იმ წუთში შევიგრძნობდი: ვტკბებოდი მარიას სილამაზითა და თვინიერე-
ბით, ვეხებოდი მის სხეულს, მთელი არსებით ვეძლეოდი ვნებათაღელვის
ტკბილ ნეტარებას. რაიც ასე გვიან, სიბერეში მარჯუნა ბედმა წილად. ნება-
ნება მარწევდა სიყვარულის ღბილი, მანანავებელი ტალღები, მაგრამ ეს ყვე-
ლაფერი ზედაპირზე ხდებოდა. შიგნით ყველაფერი აღსავსე იყო რალაც მნიშ-
ვნელობით, ყველაფერზე დაძაბულობა და ბედისწერის სუნთქვა აღბეჭდილი-
ყო. და ვიდრე მე მთელი გატაცებითა და სინაზით ვიყავი ჩაძირული ტკბილი.
სულისშემძვრელი ტრფობის ათასგვარ წვრილმანთა ზღვაში და თითქოსდა
მხოლოდ ბედნიერების ტალღები დგაფუნებდა ირგვლივ, ვგრძნობდი, ბედის-
წერა როგორ მიმაგელვებდა წინ და დამფრთხალი ულაცვიით როგორ ისროდა
ტლინკებს! ვხედავდი, ელდანაკრავი და გულდაწურული, ხრამ-უფსკრულებისაკენ
რომ მიიწევდა და მზადყოფნით შეპყურებდა თვალეებში სიკვდილს! ჯერ კიდევ

¹ ლექსები თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ.

სულ ცოტა ხნის წინ რიდიოა და მორცხვად ვუფროხილი ხორციელ ტრფობას, მაშინებდა მარიას გიჟმაჟი, თვინიერი სიყვარული; ახლა კი სიკვდილს შიშს შევეპყარი, მაგრამ უკვე ისიც ვიცოდი, რომ ეს შიში სულ მალე თავგანწირვად და ხსნად იქცეოდა.

ეროვნული

ასე უხმოდ ვედლეოდით სიყვარულის გიჟმაჟ თამაშს და უჩვეულო ქვლით შევიგრძნობდით ურთიერთტკობის ნეტარებას; ჩემი სული კი ამ დროს ეთხოვებოდა მარიას, ეთხოვებოდა ყველაფერს, რაიც მისი ნიშატი იყო აღბეჭდილი. ვიდრე აღსასრული მოვიდოდა, ამ ქალის წყალობით ერთხელ კიდევ ვეზიარე ზერელე თამაშის ბავშვურ აღფრთოვანებას, ვიგემე ხანმოკლე სიხარულით აღსავსე წუთები, შევიგრძენი ბავშვისა თუ ცხოველის უცოდველობა და სქესის უმანკობა. მსგავსი განცდა უწინ იშვიათად თუ მქონია, რამეთუ ყველაფერს, რასაც ხორციელი სიყვარული ერქვა, ჩემთვის ყოველთვის ცოდვის სიმწარე დაჰკრავდა. ეს იყო ტკბილი, მაგრამ თან მწკლარტე გემო აკრძალული ხილისა, რომლის წინაშეც გონიერ ადამიანს დიდი სიფრთხილე მართებს. ახლა კი ჰერმინემ და მარიამ უმანკობით გარემოცულ ედემის ბაღში მიმიწვიეს და მეც მადლიერებით გავხდი მათი სტუმარი. მაგრამ აი, ჩემი წასვლის დროც დადგა. ძალზე ლამაზი იყო ეს ედემი, ძალზე თბილოდა იქ. ჩემი ხვედრი კი იყო კვლავ განმეგრძო ბრძოლა ცხოვრების გვირგვინის მოსაპოვებლად, კვლავ გამომესყიდა ამ ცხოვრების უთვალავი ცოდვა. იოლ სიცოცხლეს, სიყვარულსა თუ სიკვდილს ჩემს თვალში არავითარი ფასი არ ჰქონდა.

ქალის ქარაგმული ლაპარაკიდან მივხვდი, რომ ხვალინდელ კარნავალზე თუ მისი დამთავრების შემდეგ დიდი ღრეობა უნდა გამართულიყო და ჩვენც უჩვეულო სიამოვნება გველოდა. იქნებ ეს მართლა აღსასრულია?! იქნებ მარიას წინათგრძნობა არ ატყუებდა და დღეს უკანასკნელად ვიწვექით ერთად?! იქნება ხვალ სულ სხვაგვარად შემოგვეტრიალებოდა ბედი?! მთელი არსებით მომიცვა მწველმა კაეშანმა; თან სულისშემძვრელი შიშიც ვიგრძენი. მარიაზე სასოწარკვეთით ჩაბლაუჭებულმა ერთხელ კიდევ ხარბად დავირბინე მისი ედემის ყველა ბილიკი თუ ბუჩქნარი, ერთხელ კიდევ ჩავკბიჩე სამოთხის ხის ტკბილი ნაყოფი.

იმ ღამის უძინარს, დღე მეძინა. დილით აბანოში წავედი. შინ დადლილ-დაჭანცული დაგბრუნდი, საწოლი ოთახი ჩავაბნელე და ტანზე გახდას შევეუდექი. ჭიბეში ჩემს ლექსს წავაწყდი, მაგრამ იქვე მიმავიწყდა. მაშინვე ლოგინში ჩავწექი. მერე კი აღარც მარია გამხსენებია, აღარც ჰერმინე და აღარც კარნავალი. მთელი დღე მეძინა. საღამოს რომ ავდექი, მხოლოდ პირის პარსვისას მომაგონდა, რომ კარნავალი ერთ საათში დაიწყებოდა და ფრაკის ქვეშ ჩაიცმელი პერანგი უნდა მომეშზადებინა. მშვენიერ გუნებაზე ვიყავი; ჩავიცვი და სახლიდან გამოვედი. მიხლოდა ცოტა წამეხემსა.

ასეთ კარნავალს პირველად ვესწრებოდი. სხვათა შორის მსგავს გასართობ ადგილებში დროდადრო წინათაც დავდიოდი და ზოგჯერ ამ სანახაობებში თავისებურ ეშხსა და ლაზათსაც ვხედავდი, მაგრამ ცეკვით კი არასოდეს მიცეკვია და მხოლოდ მაყურებელი ვიყავი ხოლმე. ამიტომ, ცოტა არ იყოს, სასაცილო მეჩვენებოდა, ხალხი ასეთ გართობებზე აღტყინებითა და სიხარულით რომ ლაპარაკობდა. დღეს კი ამ კარნავალს მე თვითონ დიდ ამბად ეთვლიდი და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ველოდი. მეწყვილე ქალი არ მყავდა, ამიტომაც გადავწყვიტე ცოტა მოგვიანებით მივალ-მეთქი. ჰერმინემაც ასე პირჩია.

უწინ „ფოლადის მუზარადში“ ვეძებდი თავშესაფარს. საღამომობით აქ ცხოვრებაზე გულაყრილი მამაკაცები კლავდნენ დროს; წრუბავდნენ ღვინოს და ბერბიჭებად ასაღებდნენ თავს. ამ ბოლო ხანებში იშვიათად თუ გავივლიდი ხოლმე იქით, ლუდხანაში სიარული აღარ შეეფერებოდა ჩემი კულანდელი ცხოვრების ყაიდას. დღეს საღამოს კი გულმა უნებლიეთ აქეთკენ — ვეჭოქმწოჯ — ბედისწერასთან შეხლის თუ განშორების ამ სევდანარევი სიხარულის უამს ჩემი ცხოვრების ყველა მიჯნა თუ სამახსოვრო ადგილი ერთხელ კიდევ გაციასკროვ ნდა წარსულის ათინათით და ეს ათინათი ისეთი მშვენიერი იყო, გული მეტკინა. ამ სხივმა გაანათა თამბაქოს ბოლით გაყლენთილი ლუდხანაც; ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ხშირი სტუმარი გახლდით აქ; ცოტა ხნის წინ სულ ცოტა რამ მინდოდა თავდავიწყებისათვის. საკმარისი იყო ერთი ბოთლი აქაური ღვინო დამელია და მერე შემეძლო შინ წავსულიყავი, ერთი ღამით კიდევ ჩავწოლილიყავი ჩემს ეულ ლოგინში, ერთი დღით კიდევ შეფრიგებოდი ჩემს უსასოო ცხოვრებას. უფრო ძლიერ აღმგზნებ საშუალებებს მოგვიანებით გავუსინჯე გემო და ბლომადაც ვყლაპე ეს ტკბილი შხამი. ღიმილით გადავაბიჯე ძველი ლუდხანის ზღურბლს. დიასახლისი გულლიად შემომეგება, მუშტრებმა უხმოდ დამიქნიეს თავი. შემწვარი წიწილა მომიტანეს. უბრალო, ნათალ ჭიქაში ჩქერად იღვრებოდა ახალი, კამკამა, ელზასური ღვინო, ალერსიანად შემომცქეროდნენ ხის სუფთა თეთრი მაგიდები, ძველი ყვითელი პანელი. შეფეჭცეოდი საქმელს, ზედ ვაყოლებდი ღვინოს და სულ უფრო და უფრო მიპყრობდა ჭკობისა და განშორების განცდა. ეს ტკბილი და თან სულში ესოდენ მტკივნეულად გამჭდარი გრძნობა ადრე ასე სრულად არაოდეს გამიჯვნია ჩემს უწინდელ ცხოვრებასთან შედუღებებულ საგნებსა და ადგილებს, ახლა კი მომწიფებულ იყო და გამოცალკევებას ლამობდა. „თანამედროვე“ ადამიანი ამ გრძნობას სენტემენტალობას უწოდებს. მას აღარ იტაცებს ერთ დროს აგრერიგად საყვარელი და სანუკვარი საგნები. იგი გულგრილია თვით საკუთარი ავტომობილის მიმართაც კი, და ჩაუვარდება თუ არა ხელსაყრელი შემთხვევა, მას უკეთესი მარკის მანქანით ცვლის. თანამედროვე ადამიანი ენერგიულია და საქმიანი, თან ჯანმრთელი და გულცივიც. ერთი სიტყვით, დიდებული ვინმეა და აი, ნახავთ. მომავალ ომში როგორ გამოიჩინოს თავი! ჩემთვის სულერთი იყო ეს ყველაფერი, რამეთუ არც ძველ დროებას ვეკუთვნოდი და არც ახალს. მე ერთი დროიდან ამოვარდნილი კაცი ვიყავი და უგზო-უკვლოდ მიექროდი სადღაც, სიკვდილი მეწადა და იქითკენ მივილტვოდი. სენტემენტების საწინააღმდეგო არაფერი მქონდა; მიხაროდა და მადლიერი ვიყავ, რომ ჩემს ჩაფერფლილ გულში კიდევ ღვიოდა გრძნობის მსგავსი რამ. ლუდხანამ მოგონებები ამიშალა: მაგონდებოდა, როგორ შეჩვეული ვიყავი ამ ძველ, ნაჩორკნ სკამებს, სარცარი სიმძაფრით შევიგრძნობდი ბოლისა და ღვინის სუნს, მინანავებდა ჩვეულების, სიტბოს და სამშობლოს განცდის დარი გრძნობა; ახლა ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა; მშვენიერი რამაა გამოთხოვება! იგი ალბობს ადამიანის გულს. ახლა ეს ხმელი სკამიც მიყვარდა, ნათალი ჭიქაც, ჩაციებული ელზასური ღვინოც, ხილის გემო რომ დაჰკრავდა. ამ დარბაზში ყველა და ყველაფერი ახლობელი მეჩვენებოდა ახლა. მიყვარდა ეს მეოცნებე და თან იმედგაცრუებული ლოთი სახეები, რომელთაც რა ხანია უკვე თანამეინახედ გავხდომოდი; ვტკბებოდი ბიურგერული სენტემენტებით, ძველებური დარდიმანდული რომანტიკის სურნელი რომ დაჰკრავდა. ეს იმ გარდასულ ჰაბუკურ დღე-

თა სურხელი ვაზლდათ, როცა ლუდხანას, ღვინოს თუ სიგარას ჯერ კიდევ აკრძალული ხილის გემო ჰქონდა, როცა ეს ყველაფერი შეუტყობელი და დიდებული რამ იყო ჩვენთვის. მაგრამ ტრამალის მგელი ადრე კი შეტყობებულა, რომ კბილები დაეკრაჭუნებინა და ჩემი სენტიმენტები ლუქა-ლუქა ექცია. ასე მშვიდად ვიჯექი, წარსულით გაციაკროვნებული, დაქრულნი მინათობთა სუსტი სხივები დამკიაფებდა. უკვე რომ მოესწროთ ჩასვნიქმს.

ლუდხანაში შემწვარი წაბლით მოვაკრე შემოვიდა. მთელი მუჭა ვიყიდე. მერე ყვავილების გამყიდველი დედაბერი გამოჩნდა. მასაც გამოვართვი რამდენიმე მიზაკი და დიასახლისს მივართვი. თურმე ფრაკში ვიყავი. ეს კი მაშინლა წევამჩნიე. ფულის გადახდა რომ დავაპირე და ხელს ჩვეულ ადგილას ვედარ მოზედა პიჯაკის ჯიბე. კარნავალი! ჰერმინე!

მაგრამ ჯერ ძალიან ადრე იყო და ვერ გადამეწყვიტა, ანლავე წავსულიყავი „გლობუსში“ თუ უფრო მოგვიანებით. თანაც უკანასკნელ ხანს ასეთი დროსტარებისა თუ თავყრილობის ადგილებზე ერთგვარ უხერხულობასა და შებოჭილობას ვგრძნობდი; არ მინდოდა ხალხით გაჭედულ, დიდ, ხმაურიან დარბაზებში გამოჩენა, პატარა ბიჭივით მაშინებდა უცხო გარემო, მოზეიმეთა დანახვა, ცეკვები.

ქუჩაში ხეტიალის დროს რომელიღაც კინოთეატრს ჩავუარე, თვალი შევაგლე სინათლის მოციანგე კონებს, უხარმაზარ ფერად აფიშებს და გზა განვაგრძე. მერე მოვტრიალდი და კინოში შევედი. თერთმეტ საათამდე შემეძლო არხეინად ვმჯდარიყავი აქ, სიბნელეში. მეთვალყურე ქალის დანმარებით, პატარა ფარნით გზას რომ მინათებდა, ფარდებს შორის გავძვერი. ჩაბნელებულ დარბაზში შევედი და თავისუფალი ადგილი მოვძებნე, ასე და ამრიგად, ამოყავი თავი ძველ ალთქმაში. მსგავს ფილმებს ვითომდა კეთილშობილური, წმინდა მიზნებით უშვებენ და არა მოგების წადილით. ეს სურათები მდიდრულად და დახვეწილი გემოვნებითაა გადაღებული და მათზე საღმრთო სჯულის მასწავლებლებსაც კი დაჰყავთ ხოლმე თავიანთი მოსწავლეები. ამჯერად მოაეს და ისრაელთა თავგადასავალს უჩვენებდნენ ეგვიპტეში. ჩვენ თვალწინ გადაიშალა უდაბნოსა გავარვარებულ ქვიშაში მოლაშლაშე ზღვა ხალხი. უამრავი ცხენი თუ აქლემი. დიდებულად იყო ნაჩვენები ფარაონებისა და მათი სასახლეების მთელი ბრწყინვალება და იუდეველთა ტანჯვა-წამება. ვიხილე თეატრალურად დიდებული მოსე; თმა უოლტ უიტმენივით ჰქონდა დავარცხნილი და ხელთ ავერთხი ებყრა; ვოტანისებური გრძელი ნაბიჯით, მედიდურად და პირქუშად მიუძღვებოდა იუდეველებს უდაბნოში. ვხედავდი, წითელი ზღვის პირას მდგარი, როგორ შეჰლალადებდა ღმერთს. მერე დავინახე, რომ წითელი ზღვა უცბად გაირღვა და მრისხანედ აგორებულ ზვირთებს შორის ღარტაფი გაჩნდა. (თუ რა ხრიკებით გადაიღეს ეს კადრები კინოს მესვეურებმა, ეს საკითხი ალბათ დიდხანს ექნებათ საკამათოდ კონფირმანდებს, პასტორის თათხნობით რომ შემოსულიყვნენ ამ რელიგიურ ფილმზე) აი, თავად წინასწარმეტყველიცა და შიშით შეძრწუნებული ხალხიც გაუყვა ღარტაფისკენ გზას. მალე მათ უკან ფარაონის ეტლები გამოჩნდა. ვხედავდი, თავდაპირველად გაოგნებული და შეშინებული ეგვიპტელები ზღვის ნაპირზე რომ შედგნენ, მაგრამ მალე გაბედულად გაიჭრნენ წინ. ოქროს ჯავშანში ჩასმული, ბრწყინვალე ფარაონი ამალითა და ეტლებითურთ აზვირთებულ ტალღებში შთაინთქა, მე კი აკადელის შესანიშნავი დუეტი გამახსენდა ორი ბანისათვის, სადაც იგივე ამ-

ბავი ბრწყინვალედაა ამღერებული. ვხედავდი სინას მთაზე აღმავალ მოსეს; მერე ისიც ვიხილე, პიტალო კლდეზე აღმართულ ამ პირქუშ ვმირ რელოვა. ქარიშხლით, ჭექა-ქუხილითა და ელვის ნაპერწყლებით როგორ ამტრობდა ათ ალთქმას; მისი უღირსი ხალხი კი ამ დროს ოქროს კერპს აღმართავდა მთის ძირში და აღვირახსნილ ღრეობასა და ქეიფს ეძლეოდა. საკმაოდ უცნაურად მეჩვენებოდა ეს ყველაფერი. დიახ, ჩემთვის უჩვეულო იყო, საკუთარი თვალთა რომ ვხედავდი ამ რელიგიურ ამბებს თავისი გმირებითა და სასწაულებით; ერთ დროს მათი შემწეობით ბუნდოვანი წარმოდგენა შეგვქმნოდა ჩვენთვის უცხო, ზეგარდმო სამყაროზე, ახლა კი ყველაფერი ფულზე თამაშდებოდა მადლიერი მაცურებლის წინაშე, ჩუმად რომ შეექცეოდა თან მოტანილ ფუნთუშებს. ამ პატარა სურათში მთელი სიცხადით ჩანდა კულტურის უბადრუტობა, მისი გაუფასურება ჩვენს დროში. ღმერთო ჩემო! ხომ აგვცდებოდა ეს ღორობა, ეგვიპტელებთან ერთად მაშინ იუდეველებიც რომ დაღუპულიყვნენ?! ნეტა ყველა ხალხი ცეცხლითა და მახვილით მოესრათ და აღეგავათ პიროსაგან მიწისა, ისინი ვაჟკაცურად დაიხოცებოდნენ, ჩვენ კი აგვცდებოდა ეს საშინელი მოჩვენებითი, ნახევრისნახევრული სიკვდილი, ჩვენი ზვედრი რომ გამხდარა! ფილმმა და მისით გამოწვეულმა გრძნობებმა კი არ შემინელა, უსიამოდ გამიძლიერა იდუმალი შებოჭილობა და ანგარიშიუცემელი შიში კარნავალის წინაშე. პერმინეზე დავიწყე ფიქრი, ბოლოს და ბოლოს თავი ვაიძულე „გლობუსში“ წავსულიყავი და მის დარბაზებში შემებედა ფეხის შედგმა. უკვე გვიანი იყო, მეჯლისი კარგა ხნის დაწყებული ჩანდა. პალტოს გახდა ვერც მოვასწარი, რომ, სრულიად ფხიზელმა და შეშინებულმა, მოყაყანე ნიღბების ბრბოშა ამოვყავი თავი, მოზეიმენი მოურიდებლად მეხეტქებოდნენ და მუჯლუგუნს მკრავდნენ; გოგოები მთხოვდნენ, შამპანურით გაგვიმასპინძლდით, ტაკიმასხარები მხარზე მიტყაპუნებდნენ ხელებს და „შენობით“ მომმართავდნენ. ყველანი მოვიშორე თავიდან, ხალხით გაქედილ დარბაზებში რის ვაი-ვაგლაბით გავარღვიე გზა და გასახდელამდე მივალწიე. პალტოს ნომერი გულდაგულ შევინახე, თან გუნებაში ვიფიქრე, თუ ამ ორომტრიალს დიდხანს ვერ გავუძელი, ნომერი ალბათ მალე ისევ დამჭირდება-მეთქი.

უზარმაზარი შენობის ყველა დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა: ყველგან ცეკვავდნენ, სარდაფშიაც კი. დერეფანსა და კიბეებზე ნიღბების ტევა აღარ იყო, ირგვლივ სიცილ-კისკისი და გნიასი ისმოდა. გულდამძიმებული მივარღვევდი ბრბოს. ერთგან ზანგების ორკესტი მოკალათებულიყო, ცოტა მოშორებით ხალხური მუსიკის შემსრულებლები ისხდნენ. გაჩახჩახებული მთავარი დარბაზიდან გარეთ გამოვედი. ავდიოდ-ჩავდიოდი კიბეებზე, დავებეტებოდი ბარებში, ბუფეტებში, შევდიოდი ოთახებში, სადაც შამპანურს სვამდნენ. კედლებზე თანამედროვე მხატვრების ფერციმციმა ტილოები გამოეკიდათ, „ფოვისტების“ მანერით შესრულებული. ვიღას არ ნახავდით ამ ზეიმზე! მხატვრებს, ეჟურნალისტებს, მეცნიერებს, საქმოსნებს და, რაღა თქმა უნდა, ქალაქის მაღალ საზოგადოებას. ერთ-ერთ ორკესტრში პაბლო იჩდა და გატაცებით არაკრაკებდა თავის დაკლაკნილ საყვირს. მიცნო თუ არა, მისალმების ნიშნად საკრავი უფრო ხმამაღლა აარაკრაკა. ხალხის ტალღა კი ხან ერთ დარბაზისკენ გამაქანებდა, ხან — მეორისკენ. კიბეებზე ასვლა-ჩასვლით დავილაღე. სარდაფის ერთ-ერთი დერეფანი ჯოჯოხეთს განასახიერებდა იქ ეშმაკების მუსიკალური ანსამბლი ბობოქრობდა. მინდოდა ჰერმანესა და მარისათვის მომეკრა

რვალი და მათ საძებნელად გავეშურე. რამდენჯერმე ვცადე მთავარ დარბაზში შემედწია, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამით გამოდგა: ან თავად ვიხვედი უკან, ანდა ხალხის ტალღა ვერ ვუბეჭავდებოდი. შუალაშემ მოატანა, მე კი ჯერაც არავინ მენახა. ცეკვით არ მიცეკვია, მაგრამ უკვე ესე დამცხა და თავბრუ დამეხეა, სრულიად უცხო ადამიანების გვერდით სკამზე ჩამოვჯექი და ღვინო მოვიტხოვე. ვიფიქრე კიდევ, ასეთი ხმაურიანი დროსტარება ჩემისთანა ბებერი კაცის საქმე არ არის-მეთქი. ყურებჩამოყრილი ვწრუბავდი ღვინოს და თან ქალების გაშიშვლებულ მკლავებსა და ზურგებს შევცქეროდი. დროდადრო უცნაურ საქარნავლო ტანსაცმელში გამოწყობილი ბრბო მუჯლუგუნების კვრით ჩამიქროლებდა ხოლმე გვერდით. უხმოდ მოვიცილე თავიდან რამდენიმე გოგო; ზოგმა მუხლებზე დასკუბება მომინდომა, ზოგმა საცეკვაოდ გამიხმო. ერთმა მათგანმა „ჩაჯლანა ბებრუხუნაც“ კი მიწოდა, და ალბათ ღირსი ვიყავი კიდევ. ვიფიქრე, დავლევ, იქნება ცოტა გავხალისდე და გუნებაზე მოვიდე-მეთქი, მაგრამ ღვინოსაც ვერ ჩავატანე გემო და ჭიქა რის ვაი-ვაგლახით გამოვცალე. ახლა კი ვიგრძენი, რომ ზურგს უკან ხანადაფჩენილი ტრამალის მგელი ამომდგომოდა. ვერაფერი მოვუხერხე თავს, აქ საჩემო ადგილი არ იყო! გულით და სულით მინდოდა გავმხიარულებულიყავი, მაგრამ ამო იყო ჩემი მცდელობა; მთელი ეს ბობოქარი მხიარულება, სიცილ-კისკისი თუ შმაგი თავდავიწყება სისულელედ და ნაძალადევად მეჩვენებოდა.

— ამიტომაც, ასე ღამის პირველ საათზე, იმედგაცრუებულმა და გაბოროტებულმა, კვლავ გასახდელისკენ ავიღე გეზი, რომ პალტო ჩამეცვა და შინ წავსულიყავი. ვგრძნობდი, ბრძოლა წავაგე და კვლავ ტრამალის მგელთან მომიხდებოდა დაბრუნება. ძალიან კი შეეჭვებოდა, ჰერმინეს ეს ეპატიებინა ჩემთვის, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ ძალმიძდა. ვაი-ვაგლახით მივარღვევდი გზას გასახდელისაკენ, თან ყურადღებით ვათვალიერებდი, იქნებ ვინმე ნაცნობ გოგოს მაინც მოვკრა თვალი-მეთქი. ამოდ, აი, უკვე გასახდელთან ვიდექი. თავაზიანმა მეგარდერობემ ხელი გამომიწოდა ნომრის ჩამოსართმევად. უილეტის ჯიბე მოვისინჯე, ნომერი აღარსად იყო! დალახვროს ეშმაკმა, ესლა მაკლდა! წელან, მოწყენილი რომ დავეხეტებოდი დარბაზიდან დარბაზში, და მერვეც, სკამზე რომ ვიჯექი, უგემურ ღვინოს შევექცეოდი და ვერ გადამეწყვიტა, წავსულიყავი თუ დავრჩენილიყავი, რამდენჯერაც მოვისინჯე ჯიბე, მრგვალი, ბრტყელი ქეტონი მუდამ ადგილზე იყო. ახლა კი სადღაც ვამქრალიყო! ყველაფერი თითქოს ჩემს ჯიბრზე ხდებოდა!

— ნომერი დაგეკარგა? — გამკივანი ხმით ჩამძახა ყურში ზიზილპიპილა ჭინკამ, — აი, მეგობარო, ჩემი ინებეთ! — მომძახა და თავისი ნომერი გამომიწოდა. ანგარიშმიუცემლად გამოვართვი და ხელში შევატრიალ-შემოვატრი-ალე. როცა მოვიხედე, დაგვაჯული ჭინკა სადღაც ვამქრალიყო.

პატარა მრგვალი მუყაოს ნაგლეჯი თვალებთან ახლოს მივიტანე, რომ ნომერი გამერჩია და მის ნაცვლად რაღაც წვრილი, ოკრობოკრო ასოებიათ ნაწერი შემრჩა ხელში. მეგარდერობეს ვთხოვე, ერთ წუთს მადროვე-მეთქი, იქვე ლამპიონთან მივედი და წვრილი, აჩხაბაჩხა ასოების კითხვას შევუდექი. ამ ნაჯღაბნიდან ბოლოს ძლივძლივობით ამოვიკითხე:

დღეს ღამის ოთხი საათიდან — მაგიური თეატრი, მხოლოდ შემ-ლილთათვის. შესვლის საფასური — გონებაა. არა ყველასთვის. ჰერმინე ჯოჯობეთშია.

ხომ ვინახავთ თოჯინა-მარიონეტს? მსახიობს, ერთი წამით ხელიდან თუ გაეშვა ბაწარი, ტიკინა უსიცოცხლოდ დაეკიდება: მაგრამ არ, შეავლებენ თუ არა ხელს, კვლავ გაცოცხლდება, ამოძრავდება და თამაშსა და როკვას მოჰყვება. მეც სწორედ ასე დამემართა: საკმარისი იყო ჯადო ბაწრისათვის ხელი გამოეკრათ, რომ ჭაბუკური ცეცხლით ანთებული უკან ავბრუნდებოდა. იმ რომმტრიალში, საიდანაც მიხრწნილი ბებერივით არაქათგამოცლილსა და ხალისდაკარგულს, ეს-ესაა გაქცევა მიხდოდა. ალბათ ასე გაშმაგებით არც ერთი ცოდვილი არ მიიღტვოდა ჯოჯობეთისაკენ. სულ ცოტა ხნის წინ ლაქის ფეხსაცმელიც მიჭერდა, სუნამოს სუნით გაყდენთილი ბლანტე ჰაერიც გულს მირევდა და სიცხისგან სული მეხუთებოდა. ახლა კი უანსტების რიტმქვეშ მჩატედ და მარდად დავირბინე ყველა დარბაზი, რომ ჯოჯობეთში ამომეყო თავი. ჰაერი თითქოს თილისმით გაივსო. ფრთაშესხმულს ახლა წინ მიმაქროლებდა ეს სიცხე, მოგრუბუნე მუსიკა, ფერთა ციგლიგი, ქალების მხრების სურნელი, სიცილ-ვისკისი, ცეკვის რიტმი და თვალთა ელვარება. უეცრად ვილაც მოცეკვავე ესპანელი ქალი ჩამეხვია და მთხოვა: „მეცეკვე!“ „არ შემიძლია, ჯოჯობეთში მიმეჩქარება, მაგრამ მზად ვარ შენი კოცნა თან წარვიტაცო“. — მივუგე. ნილაბათარებულმა ალისფერი ტუჩები ჩემს ტუჩებს მიუახლოვა და მხოლოდ კოცნის დროს შევიცანი მარია. ხელები მაგრად შემოვხვიე, სავსე ბაგე მაისის ვარდს მიუგავდა. ასე ტუჩიტუჩშეწებებული განვაგრძობდით ცეკვას, გვერდით ჩავუქროლეთ პაბლოს. მას თავისი საყვირი სატრფოსავით ჩაეკრა გულში და ნაზად აკვნესებდა, გაბრწყინებული, თითქოს არამქვეყნიური მზერა შეგვაგლო და ამ მზერამ რომელიღაც ლამაზი ცხოველი მომაგონა. ოციოდ ნაბიჯიც არ გვექნებოდა გადადგმული, რომ მუსიკა დადუმდა. სინანულით შევუშვი მარიას ხელი.

— სიამოვნებით გეცეკვებოდით კიდევ, — ვუთხარი მისი სითბოთი დამთვრალმა, — წამოდი, ცოტაზე გამაცილე! ო, მარია, რომ იცოდე, როგორ მიყვარს შენი მშვენიერი მხრები, მომეყრდენი კიდევ ერთი წუთით! მაგრამ არა, უნდა წავიდე, ხომ გესმის, ჰერმინე ჯოჯობეთშია და თავისთან მიხმობს.

— ასეც ვიცოდი. მშვიდობით, ჰარი! სიყვარულით მოგიგონებ მუდამ. დამემშვიდობა. თითქოს შემოდგომა დამდგარიყო, თითქოს ბედისწერის კარნახით გაფურჩქნულიყო ასე გულსავსედ ეს დამათრობელი მაისის ვარდი.

სირბილით გავუყვავი გრძელ დერეფანს. ყველგან იდუმალი ფაციფუცი იგრძნობოდა. კიბეზე დავეშვი და ჯოჯობეთში ამოვყავი თავი. კუბრივით შავ კედლებზე კაშკაშა ნათურები ენთო. გაშმაგებით უკრავდა ეშმაკთა ორკესტრი. ბარში, მაღალ სკამზე უნილბოდ იჯდა ფრაკში გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილი. მან სწრაფი, დამცინავი მზერა შემაგლო. მოცეკვავეთა აზვირთებულმა ტალღამ კედელთან მიმაგლო. ძალზე ვიწრო დარბაზში ორი ათეული წყვილი ცეკვაავდა. ხარბად და შიშით ვათვალიერებდი ყველა ქალს. უმრავლესობას ისევ ნიღბები ეკეთა. ზოგი მათგანი მიცინოდა კიდევ. ჰერმინე კი არსად ჩანდა. დამცინავად მიყურებდა ის ლამაზი ყმაწვილი, ბარში მაღალ სკამზე რომ შემომქდარიყო. რატომღაც მეგონა, ახლა რომ ცეკვა დაიწყება, ჰერმინე გამოჩნდება და გამიწვევს-მეთქი. მაგრამ ეს ცეკვაც დამთავრდა, მოსვლით კი არავინ მოსულა ჩემთან. ბარში გავედი, დაბალჭერიანი, პატარა დარბაზის კუთხეში რომ იყო მოთავსებული. იმ ყმაწვილის სიახლოვეს გავჩერდი და სასმელი მოვითხოვე. ეწრუპავდი ვისკის და თან მის სახეს გვერდიდან ვაკვირდებოდი. უეცრად

ძალზე მეტნი იგი და იმ სურათით ამალელებელი მომეჩვენა, გარდასულ დღეთა მტკერი რომ გადაეფარება და ასე ძვირფასი გახდება ხოლმე ჩვენთვის. ო, მაშინ კი შეგვართი: ეს ხომ პერმანი იყო, ჩემი სიყრმის მეგობარი!

— პერმან! — წარმოვთქვი გაუბედავად. ყმაწვილმა გაიღიმა.

— პარი, მიპოვე?

ეს პერმინე იყო. თმა ცოტა სხვაგვარად დაეფარებოდა, ~~შეშლილი~~ ~~საყულო~~ ხეშოთ აეწია. ოდნავ ფერუმარილწასმული გონიერი სახე გაფითრებოდა. განიერსახელოებიანი შავი ფრაკის თეთრი ყოშებიდან საოცრად პაწია ხელები მოუჩანდა, მამაკაცის წინდები ეცვა. ჯღალი აბრეშუმისა, გრძელი შავი შარვალი კი უფრო გამოკვეთდა მისი ფეხების სინატიფეს.

— პერმინე, მაშ ამ კოსტიუმზე მეუბნებოდით, ჩაცმულს მნახავ თუ არა, უმალ შეგიყვარდებიო?

თავი დამიქნია.

— ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ბანოვანი მოვხიბლეთ. ახლა კი შენი ჯერია, მოდი, ჯერ შამპანური დავლიოთ!

მაღალ სკამებზე შემომსხდარნი, შამპანურს შევექცეოდით, დარბაზში კი სიმებიანი ორკესტრი გრგვინავდა და ცეკვებს დასასრული არ უჩანდა. ეს იყო და ეს. ასე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემიყვარდა პერმინე, რაკი მამაკაცის ტანსაცმელი ეცვა. ვერ ვეცეკვებოდით; სინაზის გამოჩენის უფლებაც არ მჭონდა და თავის შებეზრებაც ვერ მინდოდა მისთვის. მართალია, ამ ტანსაცმელში ერთობ შორეული და მიუწვდომელიც მეჩვენა, მაგრამ მისი მზერა, სიტყვები თუ მიხრა-მოხრა ქალური სინაზით იყო სავსე. ჰოდა, ახლოსაც არ გავკარებდით, ისე გავები მისი ჯადო-თილისმის ბადეში. დიახ, თავად მისი როლი გულისხმობდა ამ ჯადოქრობას, იგი პერმ აფროდიტული იყო. ხომ მესაუბრებოდა ქალი პერმანზე, ჩემსა და საკუთარ ბავშვობაზე. იმ ხანაზე, სქესობრივ მოწიფულობას რომ უძღვის წინ, როცა ყმაწვილი მარტოოდენ ორივე სქესის არსებისადმი კი არ მიიღტვის, არამედ მისი ლტოლვა მოიცავს ყოველივე ხორციელსა თუ სულიერს, და ეს სიყვარული ყველაფერს იმ ჩიბლით მოსაგს და გარდასახვის იმ ზღაპრულ უნარს ანიჭებს, მხოლოდ რჩეულთ და პოეტებს რომ გაძყვებათ ხოლმე ცხოვრების მიწურულამდე! პერმინე მართლაც ბიჭად ქცეულიყო, ეწეოდა სიგარეტს, მესაუბრებოდა ლაღად და გონივრულად, ხან ოდნავ დამცინავდაც კი, მაგრამ მისი საქციელი ვნებათაღელვით იყო გაცისკროვნებული, ჩემი გრძნობებისკენ იკვალავდა გზას და წარმტაც ცდუნებად ქცეულიყო.

მეგონა, საფუძვლიანად, ახლოს ვიცნობ-მეთქი პერმინეს! მაგრამ ამ დამით რა ახლებურად მომევიღინა იგი! რა ნაზად და შეპარვით მზევედა ვნებათაღელვის ბადეში და როგორ თამაშ-თამაშ, ჯადო-თილისმით შემასმევდა ტკბილ სამსალას!

ვისხედით, ვმასლაათობდით და თან შამპანურს შევექცეოდით. მერე ფათე-რაკების ძებნაში დარბაზ-დარბაზ დავიწყეთ ბორიალი. ამოვიღებდით ნიშანში რომელიმე ქალ-ვაფს და ვუთვალთვალავდით მათ სასიყვარულო თამაშს. პერმინე მირჩევდა, ვინ გამეწვია საცეკვაოდ, თან მარიგებდა, რა გზით უნდა მეცდუნებინა იგი. თავს ერთმანეთის მეტოქებად ვასაღებდით, ავედევნებოდით ერთსა და იმავე ქალს, რიგრიგობით ვეცეკვებოდით და ორივენი ვცდილობდით მოგვენადირებინა მისი გული. ეს ყველაფერი მხოლოდ ნიღბების თამაში იყო,

ჩვენ ორს შორის გამართული; ეს თამაში კიდევ უფრო გვიმძაფრებდა ვნებას და ვეაზხოვრებდა ერთმანეთს. ყველაფერს ზღაპრული იერი დაჰკრავდა, ერთი განზომილებით უფრო მდიდარი და ღრმა გამხდარიყო, ყველაფერი თამაშსა და სამბოლოს წარმოადგენდა. ერთი მშვენიერი ქალი შევამჩნიეთ, ავადმყოფური სახე ჰქონდა, ნაღვლიანი ჩანდა. ჰერმანმა საცეკვაოდ გაიხმო და კარგ გუნებაზე დააყენა. მალე ისინი ერთ-ერთ ფანჩატურში გაუჩინარდნენ, სადაც ხალხი შამპანურს სვამდა. ჰერმანი მერე მიყვებოდა, როგორ გამოსცადა ამ ქალზე თავისი ლესბიური ჯადოქრობის ძალა. მაგრამ ჩემთვის ეს აგუგუნებული დარბაზები, ეს ხმაურიანი შენობა, შეზარხოშებული ნიღბების ეს თავყრილობა თანდათანობით შეშლილ ზღაპრულ სამოთხედ გადაიქცა. ყვავილიდან ყვავილზე დავფრინავდი, უფრო და უფრო მათრობდა მათი მაცდური სურნელი, ნაყოფს ნაყოფზე ალაღბებდზე დაუყვებოდა და ეს იყვარებოდა ჩემი ცნობის-მოყვარე თითები; ფოთლების მწვანე ფანჩატურიდან მაცდურად მიმზერდნენ გველები, შავ კანკრობს ზემოდან ლოტოსის ყვავილი დაჰფარფატებდა, ფასკუნჯები მიხმობდნენ აქოჩრილ მწვანეში, ეს ყველაფერი კი მხოლოდ ერთი მიზნით, ერთი სანუკვარი სურვილით მსჭვალავდა და ჩემი ოცნებაც მხოლოდ ამ ერთადერთს ელტვოდა. მალე ვიღაც უცნობ ქალიშვილთან მომიხდა ცეკვა. ანთებული, შეჭიკჭიკებული, ვნებიანად და ალტაცებით მეწეოდა თავისკენ; ის-ია იყო არამიწიერი ნეტარების ზღვაში ვაპირებდი ჩაძირვას, რომ უეცრად გაიცინა და მითხრა: „პირდაპირ ველარა გცნობ. ცოტა ხნის წინ როგორი სულელური და მოსაწყენი იყავი“. ვიცანი, ეს ის ქალი იყო. რამდენიმე საათის წინ რომ მითხრა, „ოჰ, შე ბებერო ჩაქლანა“. ალბათ თუ იფიქრა, ახლა კი ჩაგიგდე ხელშიო. მაგრამ როგორც კი მომდევნო ცეკვა დაიწყო, სხვა ქალის მკლავებში აღმოვჩნდი მომწყვდელი და ახლა უკვე მისი სურვილი მწვავდა. ორ საათზე მეტხანს ვცეკვავდი ასე. არც ერთი ცეკვა არ გამომიტოვებია, ისიც კი, თავის დღეში რომ არ მესწავლა. დროდადრო ჩემ შორიახლოს მომლიმარე ქაბუკი გამოჩნდებოდა. ეს ჰერმანი იყო. თავს დამიქნევდა და კვლავ ბრბოს შეერეოდა. ამ საკარნავალო ღამეს ეს ორმოცდაათი წლის კაცი პირველად ვეზიარე გრძნობას, თავის დღეში რომ არ განმიცდია, თუმცა ალბათ ნებისმიერ გოგონას თუ სტუდენტს გამოუცდია მისი სიტკბოება. ეს გახლდათ განკდა დღესასწაულისა, საერთო აღმაფრენით ტკბობისა. ეს იყო პიროვნების ბრბოში გათქვეფის, unio mystica¹ იდეალური სიხარულის განკდა. ხშირად მსმენია, როგორ მსჯელობდნენ ამაზე, ყველა მოახლე გოგომ იცოდა ეს. ხშირად ვყოფილვარ იმის მოწმე, როგორ ანთებით თვალები ადამიანებს მსგავსი ამბების მოყოლისას, მე კი ამაზე თან ოდნავ მედიდურად, თან შურიტაც ჩამციხებია. ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მინახავს, დაბინდულ თვალებში როგორ ჩასდგომია ეს სხივი ოცნების ტალღებში შეჭრილ მარტოსულ კაცს. მინახავს ეს ღიმილი და შეშლილობის ზღვარს მიღწეული თავდავიწყება საერთო თრობაში გათქვეფილი ადამიანისა. შემეძლია ამის უამრავი მაგალითიც მოვიყვანო დიდსა თუ პატარა ადამიანზე. მინახავს ეს სხივიანი ღიმილი შეზარხოშებული რეკრუტის, მეზღვაურის თუ საზეიმო გამოსვლის ვნებათაღელვით შეპყრობილი დიდი მსახიობის სახეზე! მე იგი ომში მიმავალი ახალგაზრდა ჯარისკაცის სახეზეც შემეძინევია. სულ ცოტა ხნის

¹ მისტიკური კავშირი (ლით.).

წინ კი ეს განდგომილი, ბედნიერი ღიმილი, აღტაცებით, სიყვარულით, დაცინვითა და შურით შეპყრობილმა, ჩემი მეგობრის—პაბლოს სახეზეც ვიხილე! ორკესტრში მიმჯდარიყო, ბანგდალეულის ნეტარებით მიუხუტებინა გულზე თავისი საქსაფონი და აღტაცებულ, დაბინდულ მზერას არ აშორებდა დირჟორს, მედოლესა და ბანჯოს დამკვრელს. ხანდახან მიფიქრია, ასეთი ღიმილი, ასეთი ბავშვური სხივი მხოლოდ ძალზე ახალგაზრდა ადამიანების ანდა იმ ხალხების ხვედრია, რომლებიც თავს უფლებას არ აძლევენ მოახდინონ საკუთარ წარმომადგენელთა მკვეთრი ინდივიდუალიზაცია და გამიჯვნა-მეთქი. ახლა კი ამ კურთხეულ ღამეს, მე, ტრამალის მგელი პარი, თავად გავეცისკროვებინე ამ ღიმილს, თავად დავცურავდი უძირო, ბალღური, ზღაპრული ბედნიერების ტალღებში, თავად მათრობდა თანამზრახველობის, მუსიკის, რიტმის, ღვინისა და ვნებათაღელვის ბანგი. წინათ ზშირად დამცინავი ღიმილითა და უძალო მედიდურობით მომისმენია, ასეთი მეჭლისის შემდეგ აღფრთოვანებით რომ შეუქია ვინმე სტუდენტს ეს ყოველივე. ახლა საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი, ჩემი პიროვნება მარილივით გამდნარიყო საზეიმო აღტყინებაში. ვინმე ქალს თუ ვეცეკვებოდი, მარტო ის კი არ მყავდა მომწყვდელი მკლავებში, მარტო მისი თმა კი არ მეხებოდა და მის სურნელს კი არ შევიგრძნობდი! არა! ახლა მე მეკუთვნოდა ყველა ქალი, ვინც ამ დარბაზს ჩემსავით ცეკვა-ცეკვით უვლიდა, ვისი მოციმციმე სახეც ჩემ თვალწინ ვეებერთელა ზღაპრული ყვავილივით გაიკიაფებდა. მეც ასევე ყველას კუთვნილებად ვგრძნობდი თავს, ყველანი თანაზიარობის ძაფით ვიყავით გადაბმულნი. ასეთივე განცდა მქონდა კაცების მიმართაც, მათი თანაზიარიც ვიყავი, არც ისინი იყვნენ ჩემთვის უცხონი, მათი ღიმილი ჩემი ღიმილი იყო. ისინი ჩემკენ მოილტვოდნენ. მე — მათკენ.

იმ ზამთარს მთელ მსოფლიოს მოედო ახალი ფოქსტროტი, „სიყვარულის ტანჯვის“ სახელით რომ გახდა ცნობილი. იმ ღამეს ეს ფოქსტროტი არა ერთხელ და ორჯერ დაუკრეს ზედიზედ, მოცეკვავეები კი ისევ და ისევ მოითხოვდნენ მის განმეორებას. „სიყვარულის ტანჯვის“ პანგებით მთვრალები, ორკესტრთან ერთად ვლიდინებდით მას. სულმოუთქმელად ვცეკვავდი. ვეცეკვებოდი ყველა ქალს, ვინც კი ჩემს სიახლოვეს მოხვდებოდა: მთლად წიწკვ გოგონებს, ათქვირებულ ახალგაზრდა ქალებს, შემოდგომის ნაყოფივით სიმწიფეში შესულ ბანოვნებს, საწყალობლად ჩამომჰქნარ მანდილოსნებს. ერთნაირად მადფრთოვანებდა ყველა და სახეზე ბედნიერი ღიმილი დამთამაშებდა. და აი, როცა პაბლომ ის ადამიანი, მუდამ საცოდავად რომ მიაჩნდა, უეცრად გაციისკროვნებული დაინახა, თვალები აუციმციმდა, მერე აღფრთოვანებული ადგილიდან წამოიჭრა, სკამზე აძვრა და უფრო გულდაგულ ჩაჰბერა საყვირს. პაბლოს ლოყები ებერებოდა და „სიყვარულის ტანჯვის“ ტაქტზე გახელებით ირწეოდა. მე და ჩემმა წყვილმა პაეროვანი კოცნა გავუგზავნეთ და თან ხმა ავაყოლეთ საცეკვაო პანგს. ეჰ, მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში. ერთხელ სომ მაინც ვიყავ ბედნიერი. ხომ მივხვდი, თუ რა არის აღფრთოვანება, ერთხელ ხომ მაინც ავყარე ბორკილები საკუთარ თავს და პატარა ბავშვად თუ პაბლოს ძმად ვიგრძენი თავი.

დროის შეგრძნების უნარი დავკარგე. უკვე აღარ ვიცი, რამდენ საათსა თუ წუთს გრძელდებოდა ეს დამათრობელი ბედნიერება. ისიც ვერ შევამჩნიე, რომ ზეიმი უფრო და უფრო ეშხში შევიდა და ბოლოს ერთ პატარა დარბაზში

გადმოინაცვლა. სტუმრების უმრავლესობა უკვე წასულ-წამოსულიყო. დერეფნები სიჩუმემ მოიცვა, სინათლე ბევრგან ჩაქრა, კიბეები დაცარიელდა. ზემო დარბაზებში ნელ-ნელა მიწყდა მუსიკის ხმა, ერთიმეორის მიყოლებით დაიშალა ორკესტრები. მხოლოდ მთავარ დარბაზში და ქვევით, კოლონადში, ჯერ კიდევ ბობოქრობდა და სულ უფრო და უფრო ცხოველდებდა ვენების მღიარულება. ბიჭურად ჩაცმულ პერმინესთან ვერ ვიცეკვებდი, ამიტომ ცეკვებს შორის შესვენების დროს შემთხვევით თუ წავაწყდებოდი და თავს დავუკრავდით ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს იგი მარტო თვალის არედან კი არა, ფიქრებიდანაც გამიქრა. ტვინი აღარ მიმუშავებდა; ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ცეკვის ეინს აყოლილი მოცეკვავეების ბრბოში გავითქვიფე. შევიყნოსავდი ნაირ-ნაირ სურნელს, ყურში ჩამესმოდა უჩვეულო ხმები, სიტყვები, ოხვრა. მესალმებოდნენ და თავისკენ ვნებიანად მიხმობდნენ უცხო თვალები და სახეები; ქალების ტუჩებით, ლოყებით, მხრებით, მკერდითა და მუხლებით გარემოცულს, მუსიკის პანგები აგორებულ ტალღასავით რიტმულად მარწყვდა აქეთ-იქით.

მერე ერთი წამით თითქოს ბურანიდან გამოვერკვიე. დავინახე უკანასკნელი სტუმრები, მათ ახლა ერთ-ერთ შორეულ პატარა დარბაზში მოეყარათ თავი. იქ ჯერ კიდევ უკრავდა მუსიკა. ანაზდად შავ კოლომბინას მოვკარი თვალი. ამ მომხიბვლელ, კვირტივით აფეთქებულ გოგონას ფერუმაბრილი ესვა და სტუმრებიდან მხოლოდ მასლა ეკეთა ნიღაბი. მისი მშვენიერი სხეული ამ ღამით არც ერთხელ არ მომხვედრია თვალში. სხვა სტუმრებს შეხედავდით თუ არა, უმაღლეს დედადობით, რომ უკვე გვიანი საათი იყო: პირისახე გასწითლებოდათ, ტანსაცმელი, საყელოები და გულისპირები დასკმუქნოდათ. თეთრ პირისახეზე ნიღაბაფარებულ შავ კოლომბინას კი გატკიცინებული კაბა ეცვა, პეწენიკი გულისპირი და თოვლივით ქათქათა მაქმანიანი ყოშები ეკეთა, თმა ის-ის იყო დაევარცხნა. გულმა მისკენ გამიწია, წელზე ხელი შემოვხვიე და საცეკვაოდ გავიტაცე. ქალის სურნელოვანი გულისპირი ნიკაპზე მიღიტინებდა მისი თმის კულუღი ლოყაზე მელამუნებოდა; იმ ღამეს არც ერთ ქალს არ ჰქონია ასეთი ნორჩი და მკვრივი სხეული. ცეკვაში უცბად ამყვა, ხან ნაზად და ამაღლვებლად მეკვროდა, ხან უკან დაიწევდა და კვლავ ახალ-ახალი შეხების სიამეს მპირდებოდა. და აი, შუა ცეკვის დროს უეცრად დავინახე და მის ტუჩებს დავუწყე ძებნა. ქალმა მედიდური, დიდი ხნის ნაცნობი ღიმილით გამიღიმა და მეც, ბედნიერმა, მყისვე ვიცანი ეს მკვრივი ნიკაპი, მხრები, იდაყვები, ხელები. ეს უკვე პერმანი კი არა, პერმინე იყო, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, ნორჩი, ოდნავ სუნამოშეფრქვეული და შებუდრული. ჩვენი მხურვალე ტუჩები ერთმანეთს შეხვდა. ერთი წამით მთელი სხეულით მუხლებამდე ხარბად და თვინიერად მომეკრა, მერე ტუჩები მომარიდა და გულჩათბრობილმა თავშეკავებით განაგრძო ცეკვა. მუსიკა რომ მიწყდა, ხელიხელგადახვეულები შევიჩერდით. აღგზნებული წყვილები ჩვენ გარშემო ტაშს უკრავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ყვიროდნენ და მოითხოვდნენ, დაოსებულ ორკესტრს ერთხელ კიდევ დაეკრა „სიყვარულის ტანჯვა“. და აი, უეცრად ყველამ შევამჩნიეთ, რომ გათენებულებიყ. ფარდებს მიღმა მქრქალი სინათლე დავინახეთ და მივხვდით, მხიარულება დასასრულს უახლოვდებოდა; ნელ-ნელა დადლილობამაც შეგვახსენა თავი და ჩვენც ალაღბედზე, სიცილ-ხარხართა და სასოწარკვეთით ერთხელ კიდევ ჩავებით ცეკვის ფერხულში, შმაგად შევიქვით მუ-

სიკის რიტმში, სინათლის ნაკადში, მშფოთვარედ ვროკავდით და ასე, ერთმანეთზე გადაჭდობილებმა, ერთხელ კიდევ ნეტარებით შევიგრძენით, როგორ გადაგვეფარა თავზე უზარმაზარი ტალღა. ახლა, ცეკვის დროს პერმინეს/გაუქრს მედიდურობა, დაცინვა თუ გულცივობა. მან იცოდა, რომ უკვე აღარავითარი ძალისხმევა არ სჭირდებოდა ჩემთვის თავი შეეყვარებინა, შე-~~უკვე~~ შე-~~უკვე~~ შე-~~უკვე~~ ხელთ ვიყავი. ქალი თავის თავს მთავაზობდა; მისი ცეკვა, მზერა, კოცნა, ღიმილი ამხელდა ამას. ახლა ერთმანეთს შეერწყა ყველა ქალი, ვინც კი ამ მშფოთვარე ღამეს აღმაგზნო ანდა ჩემდამი უინით აინთო, და იმ ერთადერთ ქალად იქცა, ახლა მკლავებში რომ მყავდა მომწყვდეული.

დიდხანს გაგრძელდა ეს საქორწინო როკვა. ორჯერ თუ სამჯერ მიჩუმდა მუსიკა; მესაყვირებმა ძირს დაუშვეს საყვირები. პიანისტი სკამიდან წამოდგა; პირველი მევიოლინე დაოსებული აკანტურებდა თავს. მაგრამ კვლავ ხელახლა იწყებოდა ყველაფერი. უკანასკნელი მოცეკვავეები მავედრებელი შეძახილებით ცდილობდნენ ორკესტრის წახალისებას და მუსიკოსებიც კვლავ და კვლავ უკრავდნენ უფრო სწრაფად და უფრო მეტი გაშმაგებით. მერე მუსიკა მიწყდა, ჩვენ კი ჯერ ისევ ხელიხელგადახვეულნი ვიდექით და, გიჟური ცეკვით აქოშინებულები, მძიმედ ვსუნთქავდით. ხმაურით დაეშვა როიალის სასურავი. მესაყვირებთან და მევიოლნეებთან ერთად ჩვენც დავუშვიტ ძირს მოდლილი მკლავები, ფლეიტისტმა თვალი ჩაგვიკრა და საკრავი ბუდეში ჩადო. კარები გაიღო. დარბაზში ცივი პაერი შემოიკრა; მალე შინ წასასვლელად გამზადებული მსახურებიც გამოჩნდნენ პალტოებით ხელში; ბარმენმა სინათლე გამორთო. შემზარავად, არაამქვეყნიურად მომეჩვენა უეცრად ეს აბანაკება; მოცეკვავეები, სულ ცოტა ხნის წინ თვალანთებულნი რომ როკავდნენ, ახლა შემცივნულნი ეხვეოდნენ პალტოებში და საყულოებს ზემოთ იწევდნენ. პერმინე გაფითრებული იდგა, მაგრამ იღიმებოდა. მერე მკლავები ნელა ასწია და თმა გაისწორა. დავინახე, სინათლეზე როგორ გაიკიაფა მისმა იღლიამ. წვრილმა, საოცრად ნაზმა ჩრდილმა როგორ გადაურბინა გულისპირით დახურულ მკერდზე და, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩრდილის ამ მოფარფარტე ზოლმა ღიმილივით შეისრუტა ქალის მთელი მომხიბვლელობა, მისი წარმტაცი სხეულის თრთოლვა და შესაძლებლობათა უსაზღვრობა.

ვიდექით და შევეყურებდით ერთმანეთს. დარბაზში კაციშვილი აღარ ჩანდა და შენობაშიც აღარავინ იყო ჩვენს მეტი. ვავიგონე, სადღაც ქვევით როგორ გაჯახუნდა კარი, დაიმსხვრა ჭიქა, მიწყდა ხითხითი და ყველაფერი ავტომანქანების ავბედით გუგუნს შეერთო. მერე სადღაც, შორს, ენით უთქმელ სიმაღლეზე სიცილი გაისმა. ეს უჩვეულოდ წკრიალა და მხიარული სიცილი ამავე დროს შემზარავი და უცხოც იყო; მას ბროლის სივამკამე და ყინულის სიცივე დაჰკრავდა, ნათელი და სხივმოსილი იყო. მაგრამ თან გამყინავიცა და დაუნდობელიც. საიდან მეცნობოდა ეს საოცარი სიცილი? ვერა და ვერ გაჩეხსენებინა.

ასე ვიდექით ორნი და შევეყურებდით ერთმანეთს. წამით თითქოს გონს მოვეგე და გამოვფხიზლდი. ვიგრძენი, რა საზიზღრად მეკვროდა ტანზე ოფლიანი, ცივი ტანსაცმელი; დავინახე დაკმუჭნილი, გაოფლილი ყოშებიდან გადმოშვერილი ჩემი წითელი დაძარღვული ხელები. მაგრამ მაშინვე ისევ მომეშვა გულზე. პერმინეს მზერამ გააქარწყლა ყველაფერი. ასე მეგონა, მისი თვალებიდან ჩემი საკუთარი სული მიმზერს-მეთქი. მთელი სინამდვილე ინგ-

რეოდა ჩემ გარშემო, არარაობად იქცეოდა ჩემი ვნებათაღელვის რეალობაც, ჰერმინესაკენ ასეთი ძალით რომ მიმაქანებდა.

— ხომ მზადა ხარ? — მკითხა ჰერმინემ და წელან მკერდზე ანაზდად ატორტმანებული ჩრდილივით გაუქრა ღიმილი. სადღაც ზევით, შორს, იდუმალ სივრცეში ის საოცარი სიცილიც მიწყდა. თავი დავეუქნიე; ფიჭქმეუქმზად ვიყავი. ამ დროს კარებში პაბლო გამოჩნდა და მხიარული მხერგით მხემა მზადა; ასეთი თვალებით ცხოველები იმზირებიან ხოლმე, მაგრამ მათ გამოხედვაში ყოველთვის უფრო მეტ სერიოზულობას იგრძნობს კაცი. ამ კაცს კი თვალები დღენიადაგ უცინოდა და სწორედ ეს სიცილი აძლევდა ადამიანურ იერს. ალტაცებული პაბლო სულით და გულით გვიხმობდა თავისთან. წითელყოშებიანი კრელი აბრეშუმის საშინაო ხალათი ეცვა. ხალათის გაოფლიანებული საყელოცა და მოქანცული ფერმკრთალი სახეც ყოშების ფონზე კიდევ უფრო მომკვანარი უჩანდა. მაგრამ პაბლოს მოციმციმე, შავი თვალების მზერა ყველაფერს აქარწყლებდა, ეს თვალები გაჯადოებდა.

პაბლოს ფეხდაფეხ მივყევით. კართან ჩუმად მითხრა:

— პარი, ძმობილო, პატარა ატრაქციონზე მინდა მიგიწვიოთ. იქ შესვლის უფლება მხოლოდ შეშლილთ აქვთ. შესვლის საფასური — გონება გახლავთ. მზადა ხართ?

კვლავ დავეუქნიე თავი.

რა საუცხოო ყმაწვილია! მარჯვნივ ჰერმინეს, მარცხნივ მე ნაზად და მზრუნველად გამოგვდო ხელი, კიბე ჩაგვატარა და ერთ პატარა, მრგვალო ოთახში შეგვიყვანა. ოთახი ზემოდან მოცისფრო შუქით იყო განათებული და შიგ პაწია მრგვალი მაგიდისა და სამი სავარძლის მეტი არაფერი იდგა. დავესხედით.

ნეტა სად ვიყავით? ნუთუ მეძინა? ერთხანს მეგონა, შინა ვარ-მეთქი, მერე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მანქანით სადღაც მივდიოდი. მაგრამ არა! მოცისფრო შუქით განათებულ ოთახში ვიჯექ, გარშემო კი გაუხშობებული პაერი და გათხიერებული სინამდვილე მეკრა. რატომ იყო ჰერმინე ასე გაფითრებული?! რატომ ლაპარაკობდა ამდენს პაბლო? იქნებ მე ვაიძულე ბდი ელაპარაკა, იქნებ მე ვლაღადებდი მისი ბაგეებით? იქნება მისი შავი თვალებიდანაც ჩემი სული, — ეს თავგზააბნეული ფრინველი, — მიმზერდა, ისევე როგორც ჰერმინეს მოლაღურიისფერი თვალებიდან?!

ჩვენი მეგობარი პაბლო დიდხანს გვემაასლათებოდა ოდნავ გადაპრანკვით, კეთილად და მეგობრულად; არც კამათი აინტერესებდა და არც ვინმეს მოსაზრებები, ის კი არადა, ვფიქრობდი კიდევ, ნეტავ საერთოდ თუ შესწევს აზროვნების უნარი-მეთქი; ჰოდა, ახლა ეს კაცი სიკეთით გამთბარი ხმით უშეცდომოდ, წყალივით არაკრაკებდა:

— მეგობრებო, მოწვეული ბრძანდებით ატრაქციონზე. პარი დიდი ხანია ნატრობს და ელოდება მას. ახლა საკმაოდ გვიანია და ყველანი ალბათ, ცოტა არ იყოს, გადაქანცული ვართ. ამიტომაც ჯერ მცირე ხნით აქ შევისვენოთ და ბალღონე მოვიკრიბოთ.

კედლის ნიშიდან სამი სასმისი და პატარა, სასაცილო ბოთლი გადმოიღო; მერე ფერადი ფიცრებით ნაკეთები ერთი ბეწო ეგზოტიკური ზარდახშა მოიტანა. სამივე სასმისი შეავსო და ზარდახშიდან სამი წვრილი, გრძელი, ყვითელი სიგარეტი ამოიღო; აბრეშუმის ხალათის ჯიბიდან კვესი დააძრო და მოგ-

ვიკიდა. სავარძელში ჩასვენებულები, ნება-ნება ვაბოლებდით სიგარეტს, საკმეველივით სქელ ბოლს ვუშვებდით და თან ხელინელ ვწრუპავდით მომწკლარტო-მოტკბო სითხეს. სასმელი უჩვეულო გემოსი იყო. ასეთი რომ ჩემს დღეში არ დამელია. მაცოცხლებელი ძალა ჰქონდა და გუნებას საოცრად ანალისებდა. სიმძიმის შეგრძნება თითქოს გამიქრა. ასე მეგონა, სხეული კაეჭილქვესებამეთქი. ვისხედით, პატარ-პატარა ნაფაზებს ვარტყამდით და უჩვეულო სასმელს ვწრუპავდით. თავს სულ უფრო და უფრო მხიარულად და მსუბუქად ვგრძნობდით. პაბლო თბილი, მოგუდული ხმით განაგრძობდა საუბარს:

— ძვირფასო პარი! ძალზე მოწარული ვარ, რომ დღეს ცოტათი მაინც შემიძლია გიმასპინძლოთ. ცხოვრებას ბევრჯერ მოუბეზრებია თქვენთვის თავი და სურვილიც ბევრჯერ დაგბადებიათ გასცლოდით ამ ქვეყანას, ხომ მართალია? გიოცნებიათ, განდგომოდით ამ დროს, სამყაროსა და სინამდვილეს და ისეთ სინამდვილეში, ისეთ სამყაროში დაგედოთ ბინა, სადაც არ იარსებებდა დრო. მაშ ასე, ძვირფასო მეგობარო! ახლა შეგიძლიათ აღისრულოთ გულისწადილი. სწორედ ამისათვის მოგიწვიეთ. თქვენ იცით, სადაც არის მიმალული ის მიღმა სამყარო; იცით ისიც, რომ ეს ნანატრი სამყარო თქვენი საკუთარი სულის ნაწილს შეადგენს. მხოლოდ თქვენს სულში ცოცხლობს ის მეორე სინამდვილე, რომელზედაც ასე ოცნებობთ. მე ისეთს ვერაფერს შემოგთავაზებთ, რაიც თქვენში უკვე არ ბუდობს. მე მხოლოდ ძალმიძს თქვენივე სულის სურათ-ხატთა დარბაზი დაგატაროთ, ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლო და ბიძგი მოგცეთ, გასაღები ჩაგიგდოთ ხელში. ჩემი მეშვეობით შეძლებთ ხილული გახადოთ თქვენივე საკუთარი სამყარო, ესაა და ეს.

პაბლომ კრელი ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო და მრგვალი სარკე ამოიღო.

— აი, შეხედეთ, აქამდე როგორს ხედავდით საკუთარ თავს!

სარკე თვალებთან მომიტანა (უეცრად საბავშვო ლექსი გამახსენდა: „ო, სარკევ, სარკევ, როცა ჩაგხედავ“). ბუნდოვნად და არეულად დავინახე შემზარავი სურათი, მშფოთვარე, ბობოქარი და მოთუხთუხე: დიან, ეს მე ვიყავი, პარი პალერი; პარიში კი ტრამალის მგელი ჩასაფრებულო, ველური და მშვენიერი, თუმცა მის დაბნეულ, შეზინებულ მზერაში ხან სინარბე გამოკრთაოდა, ხან კაეშანი. მგლის მუდმივად მოძრავი იერსახე დროდადრო ქრებოდა, მერე კი ისევ იკვეთებოდა. ხომ გინახავთ, როგორ აამღვრევს და აქოჩრავს ხოლმე მდინარეს სხვა შეფერალობის შენაკადი, როგორ ეურჩება ერთმანეთს ორი ჩქერი, ერთმანეთისკენ მიიკვალთება და მთლიან ნაკადად ქცევას ლაშობს?! ნაღვლიანად, ძალზე ნაღვლიანად მიმზერდა ეს ეფემერული, სანახევროდ ხორცშესხმული მგელი მშვენიერი ველური თვალებით.

— აი, როგორს ხედავთ საკუთარ თავს. — გაიმეორა პაბლომ ტკბილად და სარკე ისევ ჯიბეში ჩაიდო. თვალები მადლიერებით დავხუჭე და ელექსირის ყლუბი მოვსვი.

— ახლა უკვე შევისვენეთ, ცოტა მოვმაგრდით და წავიმუსაიფეთ კიდევ. თუ დაღლილობამ მთლიანად გაგიარათ, წაგიყვანთ და ჩემს პატარა თეატრს გიჩვენებთ. თანახმა ხართ?

ფეხზე წამოვდექით. პაბლო ღიმილით გაგვიძღვა წინ, რომელიღაც კარი შეაღო და ფარდა გადასწია. თეატრის მრგვალი, ნალისებური დერეფნის შუაგულში ამოვყავით თავი. მოხვეული გასასვლელის ორივე მხარეს საოცრად ვიწრო კიბეები იყო ჩამწკრივებული და ლოქებში გადიოდა.

— ესეც ჩვენი თეატრი! — განაცხადა პაბლომ, — მხიარული თეატრია და იმედია, ბევრ რამ სასაცილოს იხილავთ აქ. — ესა თქვა და თან ტრამალა გაიცინა. ამ დროს ორიოდე ისეთი ბგერა გამოსცა, ტანში გამტრავებს კვლავ ის წკრილა, უცნაური სიცილი იყო, წელან რომ ჩამომესმა ზემოდან.

— ჩემს პაწია თეატრში, რამდენიც გნებავთ, იმდენი უთქვამს ასი, ათასი. ყველა კარს უკან შეგიძლიათ ჰპოვოთ ის, რასაც ეძიებთ. — ტრამალა მეგობარო, ეს შესანიშნავი სურათების გალერეა გახლავთ, მაგრამ მისი ნახვა ვერაფერს გარგებთ, თუკი, როგორიც ხართ, ისეთივე დარჩებით და ისე დაათვალიერებთ მას. რასაც ჩვეულების თანახმად თქვენს პიროვნებას უწოდებთ, აი, სწორედ ის შეგბოჭავთ და დაგაბრმავებთ. მაგრამ, ვგონებ, კარგა ხანია უნდა მიმხვდარიყავით, რომ დროის გადალახვა, სინამდვილიდან გაქცევა, ანდა, რაც გინდა ის დაუძახეთ თქვენს სევდას, სხვა არაფერია, თუ არა ეგრეთწოდებული პიროვნებისგან განთავისუფლების სურვილი. პიროვნება ის საპყრობილეა, სადაც თქვენა ხართ გამომწყვდლებული ამიტომაც, თუ თეატრში თქვენი ახლანდელი იერსახით შეხვალთ, ყველაფერს პარის თვალებით, ტრამალის მგლის ძველი სათვალით დაინახავთ. აი, აქ სწორედ იმისათვის მოგიწევით, რომ ეს სათვალე მოიხსნათ, თქვენი ღრმად პატივცემული პიროვნება კი გასახდელში დატოვოთ. იცოდეთ, როცა კი მოინდომებთ, იგი კვლავ თქვენი იქნება. ნიადაგი საუცხოოდ გაქვთ შემზადებული: აგერ, მშვენიერ მეჯლისშიც მონაწილეობდით, ტრამალის მგლის ტრაქტატშიც წაიკითხეთ, დაბოლოს ეს-ესაი ცოტაოდენი აღმგზნები სასმელიც შეესვით. პარი, როგორც კი თქვენს პატივცემულ პიროვნებას გასახდელში დატოვებთ, შეგიძლიათ თეატრის მარცხენა მხარეს დაეპატრონოთ, მარჯვენა მხარე კი პერმინესი იქნება. თუკი მოინდომებთ, შეგიძლიათ ერთმანეთს შიგ შეხვდეთ. პერმინე, ჰქენი სიკეთე და ცოტა ხნით ფარდის უკან გადი. ჯერ პარი მინდა შევიყვანო.

პერმინემ გვერდით ჩაუარა უზარმაზარ სარკეს, უკანა კედელს იატაკიდან თალამდე რომ ფარავდა, და ხელმარჯვნივ გაუჩინარდა.

— აბა, პარი, ახლა კი წამობრძანდით და შეეცადეთ რაც შეიძლება ხალისიანად იყოთ. მთელი ჩემი ჩანადვიქრის მიზანია. კარგ გუნებაზე დაგაყენოთ და სიცილი გასწავლოთ. იმედია, ამ საქმეში თქვენც შემიწყობთ ხელს. თავს კარგად გრძნობთ, ხომ? შიშით ხომ არ გეშინიათ? კეთილი და პატიოსანი. ახლა კი გაბედულად უნდა შემოაბიჯოთ ჩვენს ვითარს სამყაროში, მერე, ჩვენი ადამიწესების თანახმად, ერთი პატარა ვითარსი თვითმკვლელობა გაითამაშოთ; თან ამ დროს სიამოვნებაც უნდა განიცადოთ.

ჯიბიდან კვლავ ამოიღო პატარა სარკე და თვალებთან მომიტანა. იქიდან ესეც და ისეც ის შემცბარი, გონებაამღვრეული პარი მიმზერდა, მგლის იერსახეში რომ გამლხვარიყო. ამ ერთობ ნაცნობი და მართლაცდა არასასიამოვნო სურათის განადგურება არ შეიძლებოდა ჩემთვის მტკივნეული ყოფილიყო.

— დიან, ეს სურათი უკვე ზედმეტია თქვენთვის, ჩემო მეგობარო, საჭირო აღარაა და უნდა გააქროთ იგი. სრულიად საკმარისი იქნება, თუ სურათს დახედავთ და გულწრფელად გაიცინებთ, რა თქმა უნდა, საამისო გუნებ-განწყობა უნდა გქონდეთ, ეს იუმორის სკოლა გახლავთ და სიცილი უნდა ისწავლოთ. ჯანსაღი იუმორი კი მაშინ იწყება, როცა კაცი საკუთარ თავს დიდად არაფრად აგდებს.

ჯიქურ ჩავიხედე სარკეში (კვლავ გამახსენდა, „ო, სარკევ, სარკევ, როცა

ჩაგხედავ!“), იქიდან პარი-მგელი შემანკებოდა. სულის სიღრმეში წამით ნელა, მაგრამ მტკივნეულად შემოტოკდა რალაც, ეს თითქოს მოგონება იყო, მშობ-ლიური კერიის მონატრებისა თუ სინდისის ქენჯნის მაგვარი რამ. შერე ეს ცო-ტაოდენ დამთრგუნველი გრძნობა ახლით შეიცვალა. მსგავსი განცდა ეუფლე-ბა ადამიანს, როცა კოკაინით გაყურებული ყბიდან მტკივნეულად ამოადრო-ბენ, შვებით ამოისუნთქავს და თან გაოცებულია, რომ ყველაფერი ასე უმტკივ-ნეულოდ მოხდა. ამასთან საოცრად მხნედ და მზიარულად ვიყავი, და ერთი სული მქონდა გამეცინა. რაკილა საკუთარ თავთან ვერაფერი გავაწყე და თანაც ვიცოდი, რომ მხოლოდ ამასლა შეეძლო ჩემი ხსნა, დაუოკებელი ხარხარი ამიტ-ყდა.

სარკეში ბუნდოვანი გამოსახულება შეტოკდა და გაქრა: სარკის პაწია მრგვალი ზედაპირი, თითქოს უეცრად ამოიწვიაო. განაცრისტრდა, ხორკლიანი და მქრქალი გახდა. პაბლომ სიცილით მოისროლა სარკე, იგი გაგორდა და უსასრულო დერეფანში მიიკარგა.

— რა მშვენივრად იცინოდი, პარი. — წამოიძახა პაბლომ, — უთუოდ ისწავლი ისეთ სიცილს, უკვდავთ რომ სჩვევიათ. ბოლოს და ბოლოს ხომ აუგე ანდერძი ტრამალის მგელს. აქ სამართებით ვერას გახდები. უფრთხილ-დი, არ გაცოცხლდეს! ახლა კი უკვე შეგიძლია მიატოვო ეს სულელური სი-ნამდვილე. უახლოეს ხანს, როგორც კი შემთხვევა მოგვეცემა, ბრუდერშაფტი უნდა დავლიოთ მე და შენ. დღევანდელივით ჯერ არასოდეს მომწონებიხარ, ჩემო ძვირფასო. მომავალში, თუკი მოინდომებ, შეგვიძლია ვიფილოსოფოსოთ, ვიკამათოთ და, რამდენიც მოგესურვება, იმდენი ვისაუბროთ მუსიკაზე, მო-ცარტზე, გლუკზე, პლატონსა თუ გოეთეზე. ალბათ ახლა კი მიხვდები, უწინ რატომ ვერ ვახერხებდით ამას. იმედია, ბედი გავიღიმებს და დღეს ტრამალის მგელს თავს დაადწეე. რა თქმა უნდა, შენი თვითმკვლელობა მოჩვენებითი იქ-ნება. ალბათ იცი, რომ მაგიურ თეატრში ვიმყოფებით, აქ კი მხოლოდ გამოსა-ხულებებია და არა სინამდვილე. შეარჩიე მშვენიერი, ხალისიანი გამოსახულე-ბები და დაგვიმტკიცე, რომ ნამდვილად აღარა ხარ შეყვარებული შენს ორჭო-ფულ პიროვნებაზე! მაგრამ, თუკი მაინც შეეცდები მის მობრუნებას, საკმა-რისია კვლავ ჩაიხედო სარკეში, ახლა რომ გიჩვენებ. ალბათ გახსოვს ძველე-ბური ბრძნული შეგონება; კედელზე ორი სარკის ქონას ერთი ვერ-ჩივნოს ხელშიო. ჰა! ჰა! ჰა! (და პაბლომ კვლავ იმ მშვენიერი, შემზარავი სიცილით გაიცინა.) მაშ ასე; ახლა კი ერთი პატარა მზიარული ამბავი უნდა გა-ვითამაშოთ. რაკილა შენს პიროვნებას სათვალე ჩამოხსენი, მოდი ახლა და ნამ-დვილ სარკეში ჩაიხედე! ერთობ ნასიამოვნები დარჩები.

სიცილ-სიცილით, ალერსიანად დამადო მხარზე ხელი და უეცრად შემოტ-რილდა. ახლა უკვე უზარმაზარი კედლის სარკის წინ ვიდექი და ჩემს თავს შევცქეროდი.

მეყსეულად შევაველე თვალი ჩემთვის ნაცნობ პარის; უჩვეულოდ მზიარული, ნათელი და მომღიმარე სახე ჰქონდა. ვიცანი თუ არა, დაშლა დაიწყო. ჯერ ერთი სხეული მოწყდა და ჩამოეცალა, შემდეგ მეორე, მესამე, მეათე, მე-ოცე და მალე ის უზარმაზარი სარკე უამრავი პარითა და მისი ნაწილებით შე-ივსო, რომელთაც წამიერად ვხედავდი და ვცნობდი. ამ უთვალავ პარის შორის ჩემი ხნის ხალხიც ერია, იყვნენ ჩემზე უფროსებიც, მთლად მოხუცებიც, სრუ-ლიად ახალგაზრდა ჯაბუკებიც, ბიჭუნებიც და მოსწავლეებიც, მოზარდებიც და

ზავშეებიც; ერთად დარბოდნენ და დახტოდნენ ორმოცდაათი და ოცი წლის პარი, ოცდაათი და ხუთი წლისა. ზოგი ჭკუადამჯდარი და დარბაისელი იყო, ზოგი — მხიარული და სასაცილო. ერთმანეთში ირეოდნენ მშვენიერად გამოწყობილი, ჩამოკონკილი თუ დედიშობილა, მელოტი თუ გრძელკუთხუთებიანი გამოსახულებანი. თითოეულ მათგანში ჩემს თავს ვხედავდი. ისინი წამოვრდნენ გამიღვებდნენ თვალწინ და, ვიცნობდი თუ არა, უმაღლესად მსხვედრასხვა მხარეს, აქეთ-იქით გარბოდნენ, სარკის სიღრმეში იმალებოდნენ, მერე კი სარკიდან ჩემკენ მოიწევდნენ. ვიღაც კობტა ჭაბუკი სიცილ-სიცილით ჩაეკრა პაბლოს მკერდში, ხელი გადაჰხვია და მასთან ერთად სადღაც გაიქცა. განსაკუთრებით ერთი მშვენიერი, მომხიბლავი ბიჭი მომეწონა. ასე, თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა; ელვის სისწრაფით გამოვარდა დერეფანში და კარებზე წარწერებს გულმოდგინედ დაუწყო კითხვა; უკან დავედევნე. ბიჭი ერთ კართან შედგა და ზედ ასეთი წარწერა წავიკითხე:

ყველა ქალი ზენია!
ჩააგდე ნასვრეტში ერთი მარკა!

პირმშვენიერი ბიჭი პაერში შეხტა, თავით წინ გაიჭრა, ნასვრეტში შევარდა და კარს მიღმა გაუჩინარდა. აღარც პაბლო ჩანდა არსად და აღარც სარკე. მასთან ერთად პარის მრავალრიცხოვანი გამოსახულებებიც გამქრალიყო. მივხვდი: ამ თეატრში ახლა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვიყავი და ცნობის-მოყვარეობით დავიარე ყველა კარი; თან წარწერებს ვკითხულობდი, ნაირ-ნაირ ნეტარებას რომ პირდებოდა ადამიანს. ჩემი ყურადღება შემდეგმა წარწერამ მიიპყრო:

გიწვევთ მხიარულ ნადირობაზე!
მსხვილფეხა ნადირი — ავტომობილებია!

ვიწრო კარი შევალე და შევედი. მყისვე საშინელ ხმაურსა და ორომტრიალში მოვხვდი. ქუჩებში დაჯავშნილი ავტომობილები დაჰქროდნენ და ფუხით მოსიარულეებზე ნადირობა გაეჩაღებინათ. ბორბლებით სრესდნენ და შენობების კედლებს ზედ აჭყლეტდნენ. მაშინვე მივხვდი: ეს ბრძოლა ადამიანებსა და მანქანებს შორის გამართულიყო. დიდი ხანია ემზადებოდნენ ისინი ამ ბრძოლისათვის, დიდი ხანია მის მოლოდინში იყვნენ, ეშინოდათ მისი და პა, ბოლოს და ბოლოს მაინც გაჩაღდა ეს ბრძოლა. ყველგან დაჩეხილ-დაფლეთილი გვამები ეყარა, არემარე მოფენილი იყო დამსხვრეული, მიკვლეტილ-მოკვლეტილი, ნახევრად გადაბუგული ავტომობილებით. ამ შეშლილი სამყაროს თავზე თვითმფრინავები დაქროდნენ. სახლების სახურავებსა და ფანჯრებიდან მათ თოფებსა და ტყვიამფრქვევებს ესროდნენ. ყველა კედელზე დიდებული ცეცხლოვანი პლაკატები ეკიდა და ზედ ჩირადნებივით კიაფობდა უზარმაზარი ასოები. პლაკატები მოუწოდებდა მთელ ერს ბოლოს და ბოლოს ადამიანების მხარე დაეჭირა, აღმდგარიყო მანქანების წინააღმდეგ, ამოეყლიტა გაქსუებული, გადაპრანკული, აუნამონასხურები ბობოლეები, მანქანების მეოხებით ხალხს რომ წვეს ადენდნენ, და ზედ მიეკოლებინა უზარმაზარი, ღრილა, ბოროტად მოგრუხუნე, ჯოჯოხეთურად

მოჭყვიტინე ავტომობილები; ბოლოს და ბოლოს ცეცხლის აღისთვის მიეცა ფაბრიკები და ეს წაბილწული დედამიწა ცოტათი მაინც გაეწმინდა და გაეთავისუფლებინა; იქნებ მაშინ მაინც ამობიბინებულაყო კვლავ ბალახი, კემენტის მტერით დაფარული სამყარო კვლავ ამწვანებულაყო ტყეებით, მღელღობითა და მინდვრებით, ამოჩუხჩუხებულაყო ნაკადულები, ჩამდგარიყო შაობები. სამაგიეროდ, სხვა პლაკატებს, ვიღაცის ნიჭიერი ხელით საუცხოოდ შესრულებულს, დიდებულად სტილიზებულსა და ჭკვიანურს, სულაც არ ეტყობოდა ის ბავშვური ყაიდა; აქ ჭყეტელა ფერები ნაზ ფერებს შეეცვალა. ეს პლაკატები მღელღარებით აუწყებდნენ ყველა ბობოლას თუ კეთილგონიერ ადამიანს ანარქიით გამოწვეული ქაოსის საშიშროებას, გულისამაჩუყებლად აღწერდნენ წესრიგის, შრომის, საკუთრების, კულტურისა და სამართლის სიკეთეს და ხოტბა-დიდებას ასხამდნენ მანქანებს, ადამიანის ამ უკანასკნელ მონაპოვარს, რომლის წყალობითაც მას ღმერთად ქცევა უწერია. დაფიქრებითა და აღტაცებით ვკითხულობდი წითელ-მწვანე წარწერებს, საოცარ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე მათი მგზნებარე მჭევრმეტყველება და რკინის ლოგიკა; ისინი სიმართლეს ღაღადებდნენ, რწმენას მინერგავდნენ და მეც ხან ერთ, ხან კი მეორე პლაკატს შევცქეროდი. ჩემ გარშემო სროლა გახშირდა და ეს საშინლად მიშლიდა ხელს, თუმცა ერთი რამ აშკარა იყო: ეს გახლდათ ბრძოლა გააფორებული, დიდებული და საოცრად მიმზიდველი, აქ საქმე როდი ეხებოდა იმპერატორს, რესპუბლიკას, სახელმწიფო საზღვრებს, ბაირადებს და პარტიებს, ერთი სიტყვით, მსგავს დეკორატიულ და თეატრალურ სისულელეებს; ამ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ ადამიანები, ვისაც უპაერობისგან სული შეხუთვოდა, ცხოვრება მობეზრებოდა და თავის უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავდა. ამ ადამიანებს ლითონის ცივილიზებული სამყაროს სრული განადგურება ეწადათ. ვხედავდი, რა აშკარად გამოსჭვიოდა მათ თვალებში კაცთააკლისა და ქვეყნიერების შემუსვრის წყურვილი; მერე ეს ველური წითელი ყვავილები ჩემშიც გაიშალა, ახარხარდა და მეც სიხარულით ჩავები ბრძოლაში.

ყველაზე მეტად მაინც იმან გამახარა, რომ ჩემ გვერდით ანაზდად ჩემი სკოლის ამხანაგი — გუსტავი დავინახე; ათეული წლების მანძილზე აღარაფერი მსმენოდა მასზე. ჩემი ადრეული ბავშვობის მეგობრებიდან გუსტავი ყველაზე დაუდევარი, ძლიერი და სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. სული გამიწანათდა, როცა ძველებურად ჩამიპაჭუნა ცისფერი თვალები, მანიშნა, მომყევით, და მეც ფეხდაფეხ დავედევნე.

— ღმერთო ჩემო, გუსტავ, — შევძახე გაბედნიერებულმა, — შეხვედრაც ამას ჰქვია! ერთი მითხარი, რა კაცი დადგა შენგან?

ბრაზმორეულმა გაიცინა, ზუსტად ისე, ბიჭობაში რომ იცოდა.

— შე დოყლაპიავ, შენა, უთუოდ სულში უნდა ჩაუძვრე ადამიანს და შეკითხვებითა და ლაქლაქით თავი შეაბეზრო?! ღვთისმეტყველების პროფესორი გახლავარ, აი, რა დადგა ჩემგან! ხომ ვაიგე?! ჩემო ბიჭუნავ, საბედნიეროდ ახლა ღვთისმეტყველებისთვის აღარავის სცხელა, ომია, ომი! აბა, მომყევით!

პატარა სატვირთო მანქანა გრუხუნით გამოიჭრა ჩვენკენ. გუსტავმა შაშხანიდან ესროლა და მძლოლი გადმოაგდო, შემდეგ მაიმუნით მარდად აძვრა მანქანაზე, გააჩერა, მეც შიგ ჩამისვა და ტყვიის ქარცეცხლში გიჟური სიღწო-

ფიოტ გააქროლა დამსხვრეული მანქანების ხროვაზე. ქალაქი ნელ-ნელა უკან დარჩა.

— ვის მხარეზე ხარ, მეფაბრიკეებისა? — ვკითხე მეგობარს.

— აბა მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! ეგ უკვე გემოვნების საკითხია და, ქალაქიდან რომ გავალთ, იქ გავარკვევთ. თუმცა არა, მოიცა, პირადად შე უფრო იმის მომხრე ვარ, რომ ახალი პარტია შეეკმნათ, ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა სულერთი არ არის? თეოლოგი კაცი ვარ. ჩემი წინაპარი ლუთერი თავის დროზე მთავრებსა და ბობოლებს ედგა მხარში გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჰოდა, მისი ეს შეცდომა ცოტა ხომ მაინც უნდა გამოეასწოროთ?! ეს კი ერთი უვარგისი მანქანაა, მაგრამ იმედია, რამდენიმე კილომეტრს კიდევ გაივლის.

ქალაქიდან, როგორც იქნა, გავადწიეთ, ნაზი, ფრთამალი ნიავივით ჩავუქროლეთ აბიბინებულ მდელოებს, კარგა ხანს ვიარეთ უკიდუგანო ველებზე, მერე კი ნელ-ნელა ცაში აზიდული მთებისკენ ავიღეთ გეზი. ყინულივით მოსაარკულ გზაზე შევჩერდით, ლაღად რომ აჭრილიყო პაერში გამოკიდებულ კლდესა და დაბალ მოაჯირს შორის და ზემოთ, დასალიერში ლურჯად მოკამამე ტბამდე გადიოდა.

— რა მშვენიერი მიდამოა! — ვთქვი მე.

— ჩინებულია, ამ ადგილს საღერძე გზაც შეიძლება შევარქვათ. ჩემო პარი! აი, ნახავ, აქ არა ერთსა და ორ ლერძს გამოუვა წირვა.

გზის პირას დიდი იტალიური ფიჭვი იდგა. ზემოთ, მის ტოტებზე, ფიცრებისგან შეკრული ჭიხურის მსგავსი სათვალთვალო კოშკი დაედგათ. გუსტავმა ვადაიხარხარა და ეშმაკურად ჩამიპაჭუნა ცისფერი თვალი. ორივენი სწრაფად გადმოვხტით მანქანიდან, ხეზე ავცოცდით და აქოშინებულები ჭიხურში შევძვერით. იჭაურობა ძალზე მოგვეწონა. რატა არ დაგვხვდა იქ: თოფები, დამბაჩები, ტყვიით სავსე ყუთები, სულის მოთქმა და საფარში მოყუჩება ვერ მოვასწარით, რომ იქვე, მოსახვევიდან საყვირის ხრინწიანი, მბრძანებლური ხმა გაისმა. მალე უზარმაზარი, დიდებული მანქანა გამოჩნდა. უჩვეულო სისწრაფით მიპქროდა მთაში გაქრილ ლარივით სწორ გზაზე, თოფები უკვე მოვამზადეთ. საოცარი სანახაობა იყო.

— მძლოლს დაუმიზნე! — სწრაფად მიბრძანა გუსტავმა.

მძიმე მანქანა ის-ის იყო გაგვისწორდა. მძლოლის ლურჯ ქუდს დაუმიზნე და ვესროლე. იგი საჯდომზე ჩაცურდა, მანქანა კი წინ გავარდა და კლდეს შეეხეთქა, მერე ისევ უკან გამოვარდა, ვეება გატიკნულ ბზიკივით დაეტაკა დაბალ მოაჯირს, ამოტრიალდა და გრუხუნით გადაეშვა უფსკრულში.

— მაგის საქმე გათავებულია! — გაიცინა გუსტავმა, — მომდევნო მანქანა ჩემზე იყოს!

და აი, კვლავ მოპქროდა ჩვენკენ მანქანა. შიგ სამი თუ ოთხი მგზავრი იჯდა. ქალის თავს მოვკარი თვალი. მისი ცისფერი ქალაღაიის წვერი გარეთ გადმოკიდებულყო და ახლა პაერში სწორხაზოვნად მიცურავდა. მართალი ვითხრათ, ამის დანახვაზე გული შემეკუმშა. ვინ იცის, ვინ მზეთუნახავს ეფარა იგი. ღმერთო ჩემო, თუ მაინცდამაინც ყაჩაღობანას ვთამაშობდით, უფრო მართებული, უფრო ვაჟკაცური არ იქნებოდა კეთილშობილი მაგალითებისთვის მოგვება და ამ ხოცვა-ყლეუტაში მშვენიერ ბანოვნებზე არ აღგვემართა ხელი?! მაგრამ გუსტავმა უკვე გაისროლა. მძლოლი შეტორტმანდა და ძირს ჩაცურდა.

მანქანა კი ჯერ გადმოვიდებულ კლდესთან შეჩერდა, მერე ისევ უკან გამო-
ვარდა და ბორბლებამოტრიალებული გზაზე დაენარცხა. ცოტა ხანს დაველო-
დეთ, მგზავრები ხაფანგში მომწყვდეულბივით უხმოდ გართხმულნიყვნენ მან-
ქანის ქვეშ, მანქანა ისევ ღმუოდა და ხროტინებდა, ბორბლები სასაცილოდ
ტრიალებდა ჰაერში. უეცრად საშინელი ჭახანი გაისმა და მანქანის წითელი
ალი ავარდა.

— ფორდია, — თქვა გუსტავმა, — ახლა უნდა ჩავიდეთ და გზა გავ-
წმინდოთ.

ქვევით ჩავედით და აღმოვადებულ მანქანას მივუახლოვდით. იგი სულ მა-
ლე დაიწვა. ნორჩი ხის ტოტებიდან ძალაყინები გავაკეთეთ, გაბუგულ მანქა-
ნას ქვეშ შევუგდეთ. გზის პირას მივათრიეთ და ხრამში გადავუძახეთ. ქვემო-
დან კარგა ხანს ისმოდა ეკალ-ბარდების ლაწალუწი. მანქანის ამოტრიალების
დროს ორი გვამი გადმოვარდნილიყო და ახლა გზაზე ეგდო; ტანისამოსი ორი-
ვეს ზედ შემობუგოდა. ერთ-ერთ მათგანს პიჯაკის ნაშთები შემორჩენოდა
ტანზე. ჭიბეები გავუჩხრიკე, იქნება რაიმე საბუთი აქვს და მისი ვინაობა შე-
ვიტყო-მეთქი. ტყავის საფულე ვუბოვე, შიგ სავიზიტო ბარათები ეწყო, ერთი
ცალი ავიღე და წავიკითხე: „ტატ ტვამ ასი“¹.

— რა გონება მახვილურია, — თქვა გუსტავმა, — მართლაცდა განა სულ-
ერთი არ არის, რა ჰქვიათ ამ ადამიანებს, ახლა რომ ვზოცავთ?! აბა რაში გვე-
კითხება, ჩვენი არ იყოს, ამ საცოდავი ხალხის ვინაობა. ეს სამყარო უნდა მო-
ისრაა და ჩვენც მას უნდა მივყვეთ.

გვამები მანქანას მივაყოლეთ და ხრამში გადავუძახეთ. უკვე ახალი მან-
ქანა გვიახლოვდებოდა პიპინ-პიპინით. გზიდან არ გადავსულვართ, ისე დავც-
ხრილეთ ტყვიებით. მანქანამ მთვრალივით წაიფორთხიალა, ცოტაზე წინ გაიჭ-
რა, მერე კი ხროტინით დაასკდა მიწას. შიგ მჯდომი მგზავრი ადგილიდან არ
დაძრულა, ასე იჯდა ერთხანს. მალე ვილაც მშვენიერი გოგო სალ-სალამათად
გადმოვიდა მანქანიდან, თუმცა კი გაფითრებული იყო და მთელი სხეულით
ცახცახებდა. თავაზიანად მივესალმეთ და დახმარება შევთავაზეთ. ძალზე შე-
შინებული ჩანდა, ხმას ვერ იღებდა და ერთხანს შეშლილივით მოგვჩერებოდა.

— აბა ახლა კი ვნახოთ, როგორ არის ამ ბებრუხუნა ვაჟბატონის საქ-
მე? — თქვა გუსტავმა და მგზავრს მიუტრიალდა, მოკლული მძღოლის უკან
საჯდომზე რომ იყო მისვენებული. მოკლე ჭალარა თმა ჰქონდა, ჭროლა, გო-
ნიერი თვალები ფართოდ დაეღო, მაგრამ, ეტყობა, კარგა გვარიანად უნდა ყო-
ფილიყო დასახიჩრებული. ასეა თუ ისე, პირიდან სისხლი სდიოდა, კისერი კი
ავისმომასწავებლად მოღრეცოდა და გვერდზე ჰქონდა გადაგებული.

— ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: გუსტავს მეძახიან. ჩვენს
თავს უფლება მივეცი, თქვენი მძღოლი დაგვეცხრილა. თუ შეიძლება გვიო-
ხარით, ვინ ბრძანდებით?

მოხუცი ცივად და სევდიანად შემოგვეყურებდა წვრილი ჭროლა თვა-
ლებით.

— მთავარი პროკურორი ლოერინგი გახლავართ, — გვითხრა მან ნელა. —
თქვენ განა თუ მართლ ჩემი საბრალო მძღოლი მოკალით, მეც მომიღეთ ბოლო!
ვგრძნობ, ჩემი აღსასრულის ეამი დადგა. კი მაგრამ, რატომ გვესროლეთ?

¹ ეს შენა ხარ (სანსკ.).

— ერობ ღიღი სიჩქარით მიდიოდით.

— არა, სიჩქარე ჩვეულებრივი იყო.

— ბატონო მთავარო პროკურორო! ის, რაც გუშინ ჩვეულებრივად მიგვაჩნდა, დღეისათვის უკვე არაჩვეულებრივად ითვლება. ჩვენი აზრით, ნებისმიერი სიჩქარე, რომელსაც დღეს მანქანა ავითარებს, ძალზე დიდია. ჩვენ ყველა მანქანის დამტვრევას ვაპირებთ, დიახ, ყველა მანქანისა თუ მექანიზმისა, უკლებლივ.

— თქვენს თოფებსაც დაამტვრევთ?

— მაგის ჭერიც დადგება, თუკი საამისო დრო დაგვრჩა. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ხვალ თუ ზეგ ყველას დალუპვა გველის. ისიც გეცოდინებათ, დედამიწის ეს კუთხე მეტისმეტად მჭიდროდ რომაა დასახლებული. შემდგომ ამისა კი კაცი თავისუფლად ამოისუნთქავს.

— განურჩევლად ესვრით ყველას?

— დიახ, დიახ. ზოგი ადამიანი, რა თქმა უნდა, გვებრალებს; აი, მაგალითად, ძალზე მეცოდება ეს ლამაზი ახალგაზრდა ქალი, ალბათ თქვენი ქალიშვილია, არა?

— არა, ჩემი სტენოგრაფისტი ვახლავთ.

— მით უკეთესი. ახლა კი გთხოვთ თავად გადმობრძანდეთ ანდა ნება დაგვრთოთ გადმოგაბრძანოთ მანდედან. მანქანა უნდა მოესპოთ.

— მირჩევნია, მეც ზედ მიმაყოლოთ!

— ნება თქვენია. თუ შეიძლება, კიდევ ერთ შეკითხვას მოგცემთ! წელან ბრძანეთ, პროკურორი ვარო. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება ადამიანი პროკურორად მუშაობდეს. რამდენადაც ვიცი, თქვენ მსჯავრს სდებთ და განაჩენი გამოგაქვთ ადამიანებისათვის, მეტწილად ღარიბებისათვის და ამით ცხოვრობთ. ასეა, ხომ?

— დიახ, ასეა. მე ჩემი მოვალეობა მაკისრია და კიდევაც ვასრულებ მას. ზუსტად ასევე ვალდებულია ქალათიც სიცოცხლეს გამოასალმოს, ვისაც მე სასიკვდილო განაჩენს გამოვუტან. განა თქვენც იგივე ხელობა არ ამოგიჩვეიათ? თქვენც ხომ ხოცავთ!

— მართალი ბრძანებაა, ოღონდ ჩვენ იმიტომ კი არ ვხოცავთ, რომ ასეთი მოვალეობა გვაკისრია, არამედ იმიტომ, რომ სიამოვნება განვიცადოთ. უფრო მეტსაც გეტყვით: ამას იმიტომ ვჩადივართ, რომ ეს ქვეყანა ჩვენთვის უსიამოვნებისა და სასოწარკვეთის ბუდეა. აი, სწორედ ამიტომ გვანიჭებს სიამოვნებას მკვლელობა. თქვენ კი არ გსიამოვნებთ, როცა ვინმეს კლავთ?

— იცით, რას გეტყვით, უკვე თავი მომაბეზრეთ. კეთილინებეთ და აღასრულეთ თქვენი განზრახვა. რაკილა არ გცოდნიათ, თუ რა არის მოვალეობის გრძნობა...

იგი დადუმდა და ტუჩები ისე მოპრუწა, თითქოს გადმოფურობდა უნდაო, მაგრამ პირიდან მხოლოდ ცოტაოდენი სისხლი გადმოუვიდა და ნიკაბზე შეაბმა.

— მოითმინეთ! — უთხრა გუსტავმა თავაზიანად, — მოვალეობის გრძნობა დიახაც რომ აღარა მაქვს; ერთ დროს იძულებული ვიყავ მასთან ხშირად მქონოდა საჭმე: მე ზომ ღვთისმეტყველების პროფესორი ვარ. ამას გარდა, ომშიც ვახლდით ჯარისკაცად. წინათ ვფიქრობდი, რასაც უფროსობა მიბრძანებს, უსიტყვოდ უნდა შევასრულო-მეთქი. დიახ, ბრძანების შესრულება მოვალეო-

ბად მიმაჩნდა. მაგრამ რა ხეირი ვნახე ამაში? ისე, ჩემთვის რომ გვეკითხათ, მერჩივნა, რასაც მიბრძანებდნენ, იმის საწინააღმდეგო მეკეთებინა უოველთ-ვის. ახლა კი მოვალეობის გრძნობა უცხო ხალია ჩემთვის. სამაგიეროდ, ვარ-გად ვხვდები, რა არის დანაშაული. თუმცა ვინ იცის. — ეგებ ეს ერთი და იგი-ვეც იყოს?! დედის საშოდან რომ ვიშვი, ამით ხომ უკვე ჩაბრუნებული ვიქნები. დიახ, რაკილა განგებამ სიცოცხლის განაჩენი გამომიტანა, ვალდებული ვარ ვითვლებოდე ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომად, ვიყო ჯარისკაცი, ვხო-ცო ადამიანები, ვიხადო ბეგარა, რომ ხელი შევეწყო შეიარაღების ზრდას. და აი, ახლაც, ამ წუთშიც, ისევე როგორც ოდესღაც ომის დროს, ჩემი ამქვეყნად არსებობის დანაშაულმა ხელახლა მაიძულა მკვლელობა ჩამედინა. მაგრამ ამ-ჯერად დავძლიე ზიზღის გრძნობა და თავიან-ფეხიანად გავეხვიე დანაშაულის ქსელში. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუკი ეს სულელი, დახშული სამყა-რო ნანგრევებად იქცევა და, დიდად მოხარული ვიქნები, ჩემი ხელიც თუ ერე-ვა ამ საქმეში. ისე, მასთან ერთად მეც სიამოვნებით დავიღუპები.

პროფესორმა სისხლშემხმარი ტუჩებით დიდის ვაი-ვაგლახით ჩაიღიმასა-ვით. ღიმილი დიდი ვერაფერი შეილი გამოუვიდა, მაგრამ ამით თავისი კეთილ-განწყობა კი გვაგრძნობინა.

— კეთილი, — თქვა მან, — მაშ, გამოდის, კოლეგები ცყოფილვართ. ბატონო კოლეგა, გთხოვთ აღასრულოთ თქვენი ვალი.

ლამაზ გოგონას, ვზის პირას რომ იდგა, გული შეუღონდა და იქვე ჩაი-კეცა.

ამასობაში კვლავ შემოგვესმა მანქანის გრუხუნო. მთელი სისწრაფით გვიახლოვდებოდა. გოგონა განზე გაეათრიეთ, კლდეს ავეკარით და დავაცა-დეთ, ვიდრე ახალი მსხვერპლი დამსხვრეულ მანქანას შეასკდებოდა. მძლოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა, მანქანა ყალყზე შედგა. მაგრამ არაფერი დაშავებია. სასწრაფოდ დავავლეთ თოფებს ხელი და ახალი მგზავრები ნიშანში ამოვი-ღეთ.

— გადმოდით! — გასცა ბრძანება გუსტავმა. — ხელები მაღლა!

მანქანიდან სამი კაცი გადმოძვრა და ხელები მორჩილად ასწია.

— ექიმი თუ ვინმე თქვენში? — იკითხა გუსტავმა. სამივემ უარი თქვა.

— მაშინ ჩემი თხოვნაა: აი, ეს კაცი, მანქანაში რომაა გაჩხირული, ფრთხი-ლად გადმოსვით; მძიმედაა დაშავებული. მერე კი თქვენთან ჩაისვით და უახ-ლოეს ქალაქამდე მიიყვანეთ. აბა, შევუდგეთ საქმეს!

მალე მგზავრებმა ბერიკაცი თავიანთ მანქანაში გადაიყვანეს. გუსტავმა ნიშანი მისცა და მანქანა წავიდა.

სტენი:გრაფისტი გოგონა ამასობაში გონს მოსულიყო და თვალყურს ადევ-ნებდა მომხდარ ამბებს, ჩვენ კი ერთობ ნასიამოვნები გახლდით. ასეთი ძვირ-ფასი ნადავლი რომ ვიგდეთ ხელთ.

— გოგონავ, — უთხრა გუსტავმა, — როგორც ხედავთ, პატრონი დაკარ-გეთ. იმედია, ამ ბერიკაცთან სხვა რამ სიახლოვე არ გქონიათ. ამიერიდან მე გაგიწევთ მფარველობას და სამსახურში მიგიღებთ. ვფიქრობ, კეთილად ვითა-ნამშრომლებთ. მაშ ასე, უნდა ვიჩქაროთ. აქ ეს სიწყნარე დიდხანს არ გასტანს. ცოცვა თუ შეგიძლიათ? ზემოთ უნდა ავძვრეთ.

ღრო აღარ დაგვიკარგავს, სამივენი ხეზე აუფოფხდით, ჩვენს ჯიხურში. უეცრად გოგონა ცუდად გახდა, მაგრამ კონიაკი ჩავაყლაბეთ და მალე იმდენად

გამოკეთდა, რომ აღფრთოვანება ვერ დაბალა, ეს რა დიდებული ხელი იშლება მთებზე და ტბაზეო. მერე თავიც გაგვაცნო და გვითხრა, დორას შეძახისო.

ამ დროს ქვევით კვლავ გამოჩნდა ავტომობილი. არ შეჩერებულა ფრთხილად აუარა გვერდი შარაზე დაგდებულ მანქანას და მერე უცქერდა სიჩქარით წინ გაიჭრა.

— თავის დაძვრენა უნდა! — გაეცინა გუსტავს და ტყვიით მოცელა მძღოლი. მანქანა ხტუნვა-ხტუნვით მიიჭრა მოაჯირთან, გაარღვია და უფსკრულის თავზე დაეკიდა.

— დორა! თოფის ხმარება თუ შეგიძლიათ? — ვკითხე ქალს. არ იცოდა, მაგრამ მალე ისწავლა, როგორ დაეტენა შაშხანა. თავდაპირველად ძალზე მოუხერხებლად ამოძრავებდა ხელებს და თითოც კი გადაიგლიჯა. ამაზე ღრიალი მორთო და ინგლისური სალბუნის მოგვეთხოვა. მაგრამ გუსტავმა აუხსნა, ახლა იმია და შენი გამბედაობა და სიმამაცე უნდა დაგვიმტკიცოთ. ამის შემდეგ საჭმე მშვენივრად აეწყო.

— ჩვენ რაღა გვეშველება? — იკითხა დორამ მოგვიანებით.

— არ ვიცი, — მიუგო გუსტავმა. — ჩემს მეგობარ ჰარის ლამაზი ქალები უყვარს. ალბათ ის გაგიწევთ პატრონობას.

— პო, მაგრამ ის ხალხი პოლიციას და ჯარისკაცებს რომ მოგვაყენებს და ყველას ამოგვხოცავენ?

— პოლიცია და მისთანები უკვე აღარ არსებობს! ორში ერთი უნდა ავირჩიოთ, დორა! ან წყნარად უნდა ვისხდეთ აქ, ზევით, და ყველა მანქანა დაეცხრილოთ, ან არადა, თავად უნდა ჩავსხდეთ მანქანაში, გავიდეთ აქედან და სხვებს მივცეთ საშუალება გვესროლონ. ვის მხარეზედაც არ ვიქნებით, სულერთია. მე, მაგალითად, იმ აზრისა ვარ, რომ სჯობია აქ დავრჩეთ.

ქვევით ისევ გამოჩნდა ავტომობილი. ჩვენამდე მოაღწია მისმა ხმამაღალი-მა პიპინმა. თვალის დახამხამებაში მოვუღრეთ ბოლო და პა. იგი უკვე შარაზე ეგდო.

— ვერც კი წარმომედგინა, თუ სროლა ასეთ სიამოვნებას მომანიჭებდა! წინათ კი ომის წინააღმდეგი ვიყავი. — ვთქვი მე.

გუსტავს გაეღიმა.

— სწორედ ეგაა, რომ ქვეყანაზე ჭიანჭველებივით მომრავლდა ხალხი. უწინ ეს ასე არ შეიძინებოდა, ახლა კი თვალში საცემი გახდა, ადამიანი მარტო ჰაერის ჩასუნთქვით კი არ კმაყოფილდება, მანქანაც ნებავეს. თქმა არ უნდა, ჩვენი ახლანდელი საქციელი ძალზე არაგონივრულია, მე ვიტყვოდი, ბავშვური რამ თამაშია; მაგრამ განა ომიც ასეთივე ბავშვური თამაში არ იყო! გაივლის დრო და კაცობრიობა ალბათ გამოხანავს ისეთ გონივრულ გზას, რაიც შეაფერბებს ადამის მოდგმის გამრავლებას. ჯერჯერობით კი ძნელია ამ საშინელი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, თუმცა ჩვენს საქმეს მაინც ვაკეთებთ: ადამიანთა რიცხვს თანდათანობით ვამცირებთ!

— დიახ, — ვთქვი მე, — ჩვენი საქციელი ალბათ სიგიჟეა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ საჭიროა და აუცილებელი. ძალზე ცუდია, როცა კაცობრიობა მეტისმეტად დაბავს გონებას და ცდილობს წესრიგში მოიყვანოს ისეთი საგნები და მოვლენები, რაც გონების ჩარჩოებში ვერ თავსდება. სწორედ ამ დროს წარმოიშვება იდეალიზმი. აი, მაგალითად ისეთი, ამერიკელებს და ბოლშევიკებს რომ ახასიათებთ. ეს იდეალები ერთობ გონივრულია, მაგრამ ძალმომ-

რეობითი და ყაჩაღურია, რამეთუ ძალზე ამარტივებენ ცხოვრებას. ადამიანის ხატს, ოდესღაც მაღალ იდეალს რომ წარმოადგენდა, ახლა სტერეოტიპად გადაქცევის საფრთხე ემუქრება. იქნება ჩვენ, შეშლილებმა შევძლოთ შისი ხელახლა გაგეთილშობილება?!

— ეკ, შე ძველო, შენა! — სიცილით მომიგო გუსტავმა ერთობ ჭკვიანურად კი მსჯელობ. აი! სიბრძნის წყაროს მოსმენა სასარგებლოა და გულსაც უხარია, შესაძლოა მართალიცა ხარ! მაგრამ პატივი დამდე და თოფი დატენე! მგონი, მეტისმეტად წაგილო ოცნებამ, ყოველ წუთს მოსალოდნელია „ჯიხვების“ გამოჩენა; იმათთან კი, ხომ იცი, ფილოსოფიით ვერაფერს გააწყობ, ტყვიები უნდა გელაგოს ლულაში.

ამასობაში კიდევ ერთი მანქანა გამოჩნდა და იქვე გადაყირავდა. გზა მთლიანად ჩაიხერვა. ვილაც ქლალთმიანი ზონზროხა კაცი, ცოცხალი რომ გადაჩენილიყო და ახლა დამტვრეულ მანქანასთან იდგა, ხელებს შეშლილივით იქნევდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეტყობა, ჩვენს ადგილსამყოფელს ეძებდა. ბოლოს შეგვნიშნა კიდევ, ბრდღვინვა-ბრდღვინვით ჩვენკენ გამოექანა და რევოლვერი რამდენჯერმე გვესროლა.

— ახლავე მოშორდით მანდედან, თორემ გაგათავეთ! — ჩასძახა გუსტავმა. ქლალთმიანმა გუსტავი მიზანში ამოიღო და ერთხელ კიდევ ესროლა, მაშინ კი ორი გასროლით განვართხეთ იგი მიწას.

ამის შემდეგ ორი მანქანა მოგვიახლოვდა; იმათაც გამოვუყვანეთ წირვა. გზაზე სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა. ეტყობა, ხმა გავარდა, აქ გავლა საჩიფათოაო. დრო ვიხელთეთ და მშვენიერ მიდამოს დავუწყეთ თვალიერება. ტბის გადაღმა, ლარტაფში პატარა ქალაქი მოჩანდა. ახლა იგი მთლიანად კვამლში იყო გახვეული. მალე ცეცხლის ენებიც შევნიშნეთ, სახურავიდან სახურავზე რომ გადადიოდა. აქა-იქ სროლის ხმა ისმოდა. დორამ წაისლუკუნა. ცრემლიანი ლოყები შევუშვარალე.

— ნუთუ ყველანი უნდა დავინოცოთ? — იკითხა მან. პასუხი არ გაგვიცია. ამასობაში ჭკვევით, გზაზე ვილაც კაცი გამოჩნდა. დამსხვრეული მანქანების გროვა რომ დაინახა, ჯერ გარშემო შემოუარა, მერე დაიხარა და ერთერთ მანქანაში შეძვრა. იქიდან კრელი ქოლგა, ქალის ტყავის ჩანთა და ერთი ბოთლი ღვინო გამოათრია და გზისპირა მოაჩირზე დინჯად ჩამოჯდა. ბოთლი მოიყუდა და მოსვა; მერე ჩანთიდან ვერცხლის ქალაღში გახვეული რაღაც ამოიღო და შეჭამა. ბოთლი ძირამდე რომ გამოცალა, ქოლგა იღლიაში ამოიჩარა და მზიარულად განაგრძო გზა. წყნარად მიაბიჯებდა.

— ნუთუ შეგიძლია ასეთ საუცხოო ყმაწვილს ესროლო და თავი გაუხვრიტო? — ეკითხე გუსტავს, — ღმერთია მოწამე, ამის გამკეთებელი მე არა ვარ.

— არც არის საჭირო, — წაიბურტყუნა ჩემმა მეგობარმა. შემცბარი ჩანდა. საკმარისი იყო ეს უწყინარი, მშვიდი, უმანკო და ჯერაც უცოდველი კაცი დაგვენახა, რომ ჩვენი ნაქებარი და უცილობელი საქციელისათვის ეჭვის თვალთ შეგვეხედა და საზიზღრად მოგვჩვენებოდა. ფუი, დალახვროს ეშმაკმა! რამდენი სისხლია ირგვლივ! შეგვრცხვა. მაგრამ ამბობენ, ომში გენერლებსაც უუფლებათ დროდადრო მსგავსი გრძნობაო.

— წავიდეთ აქედან, — დაიწუწუნა დორამ, — დაბლა ჩავიდეთ. მანქანებში ალბათ მოიძებნება ცოტა რამ საჭმელი. ნუთუ არ მოგშივდათ?!

ქვემოთ, აღმოდებულ ქალაქში მშფოთვარედ და შიშით ჩამორეკეს ზარებმა. ნელ-ნელა დავეშვიტ ქვემოთ. დორას ხერგილზე გადაძრომაში რომ ვენ-მარებოდი, დავიხარე და მუხლებზე ვაკოცე. მან გადაიკისკისა, მაგრამ სწორედ ამ დროს ფიცრებმა ველარ გაუძლო ჩვენს სიმძიმეს და ორივენი სადღაც უფსკრულში გადავეშვიტეთ...

საქონლის
შეზღოვანება

და პა, კვლავ მრგვალ დერეფანში ვიყავი. ჭერაც არ გამწვანებოდა ნადირობის შთაბეჭდილება. კარებს თვლა აღარ ჰქონდა. ყველგან მიხმობდა წარწერები:

Muabor¹
ნებისმიერ ცხოველად ან მცენარედ გადაქცევა

კამასუტრა
სიყვარულის ინდური ხელოვნება;
კურსი დამწყებთათვის: სიყვარულის
დაუფლების 42 საშუალება

ტკბობა თვითმკვლევლობით!
საკუთარი სიცილი მოგიღებს
ბოლოს

გნებავთ ხულად გადაქცევა?
აღმოსავლური სიბრძნე

ო, ნეტა ათასი ენა მქონდეს!
მხოლოდ მამაკაცებისათვის

ევროპის დაღუბვა.
ფასდაკლებით. ჭერჭერობით ბადალი არა მყავს

ხელოვნების იდეალი
დროის გადაქცევა სივრცედ
მუსიკის მეოხებით.

მცინარე ცრემლი
იუმორის ოთახი

¹ გადავიქცევი (ლათ.).

განდევნილის თამაშობანი
ხავსებით გასწევს ნებისმიერი
ურთიერთობის მაგივრობას.



ქართული

საბავშვო ჟურნალი

წარწერათა რიგს დასასრული არ უჩანდა. ერთ-ერთი შათგანი გვამცნობდა:

პიროვნების აგების გაკვეთილი.
წარმატება განადღებული გაქვთ

წარწერა რატომღაც საყურადღებოდ მეჩვენა და ამ კარში შევედი.

ჩაბჟუტულ, წყნარ ოთახში მოვხვდი. სკამის ხსენება არსად იყო. იატაკზე ვიდეო კაცი იჯდა აღმოსავლურ ყაიდაზე ფეხმორთხმული. წინ ჭადრაკის დაფისმაგვარი ფიცარი დაედო. თავდაპირველად ვიფიქრე, ჩემი მეგობარი პაბლო-მეთქი, რადგან მასაც აბრეშუმის ხალათი ეცვა და ისეთივე მუქი მოციმციმე თვალები ჰქონდა.

— ნუთუ პაბლო ხართ? — ვკითხე მე.

— არაფინაც არა ვარ, — მომიგო-ალერსიანად, — აქ არავის არა აქვს სახელი. ჩვენთან პიროვნებები არ არსებობენ. მე მოჭადრაკე გახლავარ. თუ გნებავთ, ჩავიტარებთ გაკვეთილს, თუ როგორ ხდება პიროვნების აგება.

— დიახ, დიდად დამაინტერესებთ.

— მაშინ გთხოვთ, თქვენი ფიგურებიდან რამდენიმე ათეული ცალი გადმომცეთ.

— როგორ თუ ჩემი ფიგურებიდან?

— დიახ, სწორედ ის ფიგურები მჭირდება, თქვენი პიროვნების დაშლის შედეგად რომ მიიღეთ. მათ გარეშე აბა როგორ შევძლებ თამაშს?!

სარკე თვალებთან მომიტანა და კვლავ დაეინახე, როგორ დაიყო, დაიშალა მთელი ჩემი არსება უთვალავ „მედ“. ეტყობა, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილიყო, მაგრამ ახლა ფიგურები ძალიან პატარა ჩანდა, ჩვეულებრივი ჭადრაკის ზომისა. თითების ნელი, დამაჯერებელი მოძრაობით მოთამაშემ რამდენიმე ათეული ფიგურა აარჩია და იატაკზე, ჭადრაკის დაფის გვერდით დააწყო. ან გაბმით, თითქოს კარგად დაზუთხულ მოხსენებას ან ლექციას იმეორებდა, წარმოთქვა:

— მოგეხსენებათ, რომ არსებობს მცდარი და ავბედითი მოსაზრება, თითქოს ადამიანი მარადიულ მთლიანობას წარმოადგენდეს. ისიც იცით, რომ ადამიანი სულთა სიმრავლის ჯამს შეადგენს და უთვალავ „მეს“ მოიცავს. პიროვნების ამ მოჩვენებითი მთლიანობის დანაწევრება ფიგურებად შეშლილობად ითვლება. მეცნიერებამ მას სახელიც გამოუჩინა და შიზოფრენია შეარქვა. მეცნიერება იმ მხრივაც მართალია, რომ სიმრავლეთა ერთად თავმოყრა არაფრით არ ხერხდება მათი წესრიგში მოყვანის, მართვისა და დაწყობა-დალაგების გარეშე. მაგრამ მეცნიერება ცდება, როდესაც ჰგონია, თითქოს არსებობს „მეს“ ქვესახეთა სიმრავლის ერთჯერადი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი უცვლელი წესრიგი. მეცნიერების ამ შეცდომას უამრავი არასასიამოვნო შედეგი

მოპყვა. მისი ერთადერთი ღირებულება ისაა, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს შრომა უმარტივეს და თავიდან აშორებს ცდების ჩატარებისა თუ ტვინის განძრევის აუცილებლობას. ამ შეცდომის შედეგი ის გახლავთ, რომ „ნორმალურად“ და თვით სოციალურად სრულყოფილადაც კი ჩშირად განუკურნებელი შეშლილები ითვლებიან, ხოლო ნორმალურ ადამიანებს კი გიჟებად შერაცხავენ. ამიტომაც ეს არასრულფასოვანი მეცნიერული ფსიქოლოგია გვინდა განვაგრძოთ ცნებით, რომელსაც აგების ხელოვნებას ვუწოდებთ. ადამიანს, რომელმაც იცის, თუ რას ნიშნავს საკუთარი „მეს“ დაშლა, გვინდა დავანახოთ, რომ ყოველთვის შეუძლია ნებისმიერი თანამიმდევრობით დააწყოს და დააღაგოს ეს ნაწილები და ამგვარად ცხოვრებისეულ თამაშში უსასრულო მრავალფეროვნებას მიაღწიოს. როგორც მწერალი ქმნის ხოლმე დრამას ფიგურათა გროვიდან, ასევე ჩვენც ჩვენივე გახლეჩილი „მეს“ ფიგურებიდან ვქმნით ახალ-ახალ ჯგუფებს, ახალ-ახალ თამაშობებს, მუდამ გაურკვეველსა და დაძაბულ ვითარებებს. აი, შეხედეთ!

მან მშვიდად, დაფიქრებით აიღო ხელში ფიგურები, ზოგი ნალვლიანი და ძლიერი, ზოგიც ნაზი, სხარტი თუ მოუქნელი. მოხუცებად, ჭაბუკებად, ბავშვებად და ქალებად გარდასახული ეს ფიგურები დაფაზე დააღაგა და სწრაფად გააწყო პარტია. ისინიც უმაღლესად განლაგდნენ ჯგუფებად თუ მწკრივებად, მოემზადნენ სათამაშოდ და საბრძოლველად, სამეგობროდ და სამტროდ და ერთი ციდა სამყარო შექმნეს. მერე კი, მერე რა იხილა ჩემმა თვალებმა?! მოთამაშემ ამ პაწია, ცოცხალი, მაგრამ მოწესრიგებული სამყაროს ფიგურები აიძულა ამოძრავებულიყვნენ, თამაშსა და ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ, ერთმანეთს დაახლოებოდნენ, ერთმანეთი შეპყვარებოდნენ, ექორწინათ და გამრავლებულიყვნენ; ეს მართლაც რომ მრავალგმირიანი დრამა იყო, ბობოქარი და თვალწარმტაცი!

მერე მოთამაშემ მხიარულად გადაუსვა ხელი დაფას და ფიგურები ფრთხილად მიყარა გვერდზე, იმავე წუთს ისევ ერთად მოხვეტა და დაფიქრებით, როგორც ეს საქმეში ჩახედულ ადამიანებს სჩვევიათ, იმავე ფიგურებიდან სრულიად ახალი პარტია გააწყო, ერთმანეთს დაუკავშირა და გადახლართა სულ სხვადასხვა ჯგუფები; მეთრე პარტია პირველს ჰგავდა და არცა ჰგავდა: ეს იმავე მასალისგან ნაგები სამყარო იყო, სახეშეცვლილი სხვა ტონალობისა და ტემპის, სხვა მახვილებისა და ვითარებების წყალობით. და აი, ეს გონიერი ხუროთმოძღვარი ფიგურებიდან პარტიას პარტიაზე აგებდა. თითოეული მათგანი ჩემი ნაწილი იყო. ყველანი თითქოსდა რალაციით წააგავდნენ ერთმანეთს, აშკარად ერთსა და იმავე სამყაროს განუკუთვნებოდნენ და ერთი ბუდისანი იყვნენ, და მაინც ყოველ მათგანს სიახლის სურნელი დაჰკრავდა.

— ცხოვრების ხელოვნება სწორედ ამას ჰქვია! — თქვა მოთამაშემ დამრიგებლური კილოთი, — შემდგომ, თუკი მოისურვებთ, თავადაც შეგიძლიათ გააცოცხლოთ, გაართულოთ, განაგრძოთ და გაამდიდროთ საკუთარი ცხოვრების თამაში, ეს ყველაფერი თქვენს ხელთაა. ისევე, როგორც სიგიჟე, ამ სიტყვის ზეგაგებით, ყოველგვარი სიბრძნის დასაბამს წარმოადგენს, ასევე შიზოფრენიაც ყველა ხელოვნების თუ წარმოსახვის საწყისად უნდა მივიჩნიოთ. ეს ნაწილობრივ თავად მეცნიერებმაც კი აღიარეს. მაგალითად, მსგავსი რამ შეიძლება ამოიკითხოთ „უფლისწულის ჯადოსნურ ბუკში“. ეს მშვენიერი წიგ-

ნი მოგვიტხოვს, თუ როგორ გაუკეთილშობილებია მეცნიერის რუღუნებით აღსავსე, მუყაითი შრომა ბრწყინვალე ერთობას რამდენიმე შეშლილ მხატვართან, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომ არიან მოთავსებული. აი, აბლა კითხვან წაიღეთ თქვენი ფიგურები, ეს თამაში კიდევ არა ერთხელ და ორჯერ მოგანიჭებთ სიამოვნებას! აი, შეხედეთ! ეს ფიგურა, მოჩვენებასავით, რომ მოგვევლინათ აქ და მთელ პარტიას ვიუშნოვებთ, ხვალ დაკნინდება და უვნებელი გახდება. აი, აქ, ამ საბრალო, კეთილ ფიგურას განგებამ ჯერჯერობით მხოლოდ უბედობა არგუნა წილად, სამაგიეროდ მომდევნო პარტიაში დედოფლად გადაიჭყვევა. მაშ, ასე, კაი დროსტარებას ვისურვებთ, ბატონო ჩემო!

მადლიერების გრძნობით შეპყრობილმა, მდაბლად დავუკარი თავი ამ ნიჭიერ მოჭადრაკეს, ფიგურები ჯიბეში ჩავიწყე და ვიწრო კარით გარეთ გამოვედი.

ასე მეგონა, ახლავე, აქვე, ამ დერეფანში, იატაკზე დავჯდები და უსასრულოდ ვითამაშებ ამ ფიგურებით-მეთქი. მაგრამ თეატრის მრგვალ, ნათელ დერეფანში გამოვედი თუ არა, ახალმა დინებებმა წამილო. ისინი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. თვალწინ ასეთმა წარწერამ გამიკიაფა:

სახწაული ტრამაღის მგლის
მომთვინიერებისა

წარწერა წავიკითხე და ათასნაირი გრძნობა ამეშალა: მტანჯველად შემიკუმშა გული ჩემი წარსულიდან, გარდასული სინამდვილიდან შემოჭრილმა შიშმა და სიმძიმეში. აკანკალებული ხელით შევადე კარი და თავი საბაზრო ბალაგანში ამოვყავი. უბადრუკი სცენა რკინის გისოსებით შემოეფარგლათ. სცენაზე მომთვინიერებელი იდგა. თავი ერთობ ყოყორულად ეჭირა და რატომღაც თაღლითის შთაბეჭდილებას სტოვებდა. უზარმაზარი უღვაშები და დაკუნთული მკლავები ჰქონდა. ჰყეტელა საცირკო ტანისამოსში გამოწყობილიყო, მაგრამ მაინც უსინდისოდ და ამაზრზენად მგავდა მე. და უეცრად, კაცს გული რომ მოუკვდებოდა, ისეთი სანახაობა გადამეშალა თვალწინ! ამ ჯანღონით სავსე კაცმა ძალღივით საბელშებმული, ვეებერთელა, ლამაზი, თუმცა კი გაძვალტყავებული მგელი გამოიყვანა. მხეცის მზერაში მონური შიში გამოკრთოდა. ერთობ საზიზღარი და ამაზრზენი, მაგრამ თან მალულად ნეტარი საცქერი იყო, ეს სასტიკი მომთვინიერებელი თავის ჰკუაზე როგორ იტარებდა ამ კეთილშობილსა და ამავე დროს სამარცხვინოდ დაბეჩავებულ მხეცს, როგორ აიძულებდა შეესრულებინა განსაცვიფრებლად რთული ილეთები. რაღა მეთქმოდა! ამ ჩემს დაწყევლილ ტყუპის ცალს მართლაც რომ უზადოდ გაეწვრთნა თავისი მგელი; პატრონს ძალღური ერთგულებით უდრტვინველად მორჩილებდა: ყველა მის შეძახილსა თუ მათრახის გატკაცუნებაზე მუხლებზე ეცემოდა, თავს იმკვდარუნებდა, მომთვინიერებელს თვალეებში შესციცინებდა. თვინიერად მიუბრუნებდა ხოლმე კბილებში გაჩრილ კვერცხს, ხორცის ნაჭერსა თუ კალათას, დაინახავდა თუ არა, მომთვინიერებელს ხელიდან მათრახი გაუვარდაო, მგელი მყისვე მიუძუნძულებდა, თან მონური ლაციცით აქიციანებდა კუდს. ცოტა ხანში სცენაზე ჯერ ბოცვერი გამოიყვანეს, მერე თეთრი ბატკანიც მოაყოლეს ზედ. მგელმა კბილები დააკრაჭუნა და უსაშველო სიხარბისგან ნერწყვიც კი წამოუვიდა, მაგრამ პირი არც ერთისთვის არ და-

უკარებია. მომთვინიერებელმა უბრძანა თუ არა, მხეცმა კამარა შეკრა და ნარ-
ნარად გადაევიდა თავზე ბოცვერსა და ბატკანს. აკანკალებული პირუტყვები
მიწას განერთხნენ. მგელი კი მათ შორის გაწვა, წინა თათები ზურგზე დააწ-
ყო და სამივემ ერთად გულის ამაჩუყებელი ოჯახური იდილიის სურათი წარ-
მოგვიდგინა. ამისათვის მომთვინიერებელმა მგელს თავისი ხელით შეაქამა
ერთი ფილა შოკოლადი. ცოდვის სახილავი იყო, რა შესაშური ოსტატობით
აბერებდა მგელი უარი ეთქვა თავის ჭეშმარიტ ბუნებაზე. ამის შემყურეს
თმა ყალყზე დამიდგა.

მაგრამ წარმოდგენის მეორე ნაწილში აღელვებულ მაყურებელს და თავად
მგელსაც ამ ტანჯვის საზღაურად ჯილდო ხვდა წილად. ეს უზადო ხელოვნე-
ბით შედგენილი პროგრამა მალე დამთავრდა. მომთვინიერებელი საზეიმო სა-
ხით, ნეტარი ღიმილით გადაიხარა მგლისა და ბატკნის მხარეზე, და, აი, უც-
ბად როლები შეიცვალა. პარის ტყუპის ცალმა ანაზდად თავის დაბლა დაკ-
ვრით მათრახი მგლის ფეხებთან დააგდო, მერე კანკალი აუვარდა, მოიბუზა
და ისეთივე შესაბრალისი სანახავი გახდა, წელან მგელი რომ იყო. მხეცი კი
უკვე დრუნჩს ილოკავდა, გაუქრა წელანდელი დაძაბულობა და სიყალბე, ახ-
ლა თვალეზავარებულმა სხეული შემართა და კვლავ დაიბრუნა ის თავისი
ნანიანატრი ველური ბუნება.

ამჯერად უკვე მგელი მბრძანებლობდა, ადამიანი კი მისი მონა-მორჩილი
გამხდარიყო. მგლის ბრძანებაზე მუხლებზე ეცემოდა, მას ბაძავდა, ენას აგ-
დებდა და დაბჯენილი კბილებით ტანზე სამოსს იგლეჯდა. ადამიანთა მომთვი-
ნიერებლის ნებას აყოლილი, ხან ორ ფეხზე, ხან კი ოთხზე დადიოდა, ელაქუ-
ცებოდა მბრძანებელს, თავს იმკვდარუნებდა, მგელს ზურგზე ისვამდა და
ასეირნებდა, მათრახს აწოდებდა. ოსტატური მორჩილებით იტანდა ამ საში-
ნელ დამცირებასა და უკულმართობას. სცენაზე ერთი ლამაზი გოგო გამო-
ვიდა, გაწვრთნილ კაცს მიუახლოვდა, ნიკაპზე ხელი მოუთათუნა და ლოყა ლო-
ყაზე მიადო. კაცი კი კვლავ ოთხზე განაგრძობდა ფორთხვას, მხეცად რჩებო-
და და თავს აკანტურებდა. მერე ლამაზმანს კბილები დაუკრაჭუნა და ბო-
ლო-ბოლო ისე მგლურად შეუღრინა, რომ ქალი გაიქცა. ამის შემდეგ გაწ-
რთვნილ კაცს შოკოლადი შესთავაზეს, მან კი მხოლოდ ზიზლით დახედა და
გვერდზე მოისროლა. დასასრულ ისევ შემოიყვანეს ის თეთრი ბატკანი და მსუ-
ქანი ბოცვერი. გაწვრთნილმა კაცმა უკანასკნელი ნომერი შეასრულა და ისე
ოსტატურად გადაიქცა მგლად, იმის შეხედვას არაფერი სჯობდა. ხელებითა და
კბილებით ეკვეთა აჭყვირებულ ცხოველებს: ბეწვს ბლუჯა-ბლუჯა აცლიდა,
ღიმილით ფლეთდა ცოცხალ ხორცს, ბანგდალეულივით ნაბავდა თვალებს
და თავდავიწყებით ეწაფებოდა თბილ სისხლს.

შეძრწუნებული გარეთ გამოვვარდი. დავრწმუნდი, რომ ეს მაგიური თე-
ატრი სულაც არ ყოფილა სამოთხე, რომ მისი გარეგნული სილამაზის მიღმა
ჯოჯობეთის ყველა ტანჯვა იმალებოდა. ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ აქაც არსა-
ით ჩანდა ხსნა?!

შეშინებული ადგილს ვერ ვპოულობდი, პირში სისხლისა და შოკოლადის
ამაზრზენ გემოს შევიგრძნობდი, სულითა და გულით მეწადა თავი დამედწია
ამ მღვრიე ტალღისათვის, ნაკლებად შემზარავი, უფრო გასახარი სურათები
წარმომედგინა. „ო, მეგობრებო, ნუ იქმთ ამას!“ — ხმიანობდა გული. უეც-
რად შევძრწუნდი. ის საშინელი ფოტოები გამახსენდა ფრონტიდან, ხანდახან

რომ გვხვდებოდა ხოლმე ომის დროს. მიწაზე მიმოზნეულ გვამებს სახეზე შერჩენილი აირწინალები სატანისეულ იერს აძლევდა. ვაი, თურმე / რა სულელი და მიაბიტი ცყოფილვარ, მოყვასის სიყვარულს რომ დავატარებდა გულით, ომის წინააღმდეგი ვიყავი და შეძრწუნებული შევცქეროდი ამ სურათებს!

დღესდღეობით კი უკვე ვიცოდი: არ შეიძლება ამქვეყნად ვინმეს ისეთი ამაზრზენი, მხეცური და ბოროტი აზრი გაეელოთ თავში, — მომთვინიერებელი იქნებოდა ეს, მინისტრი, გენერალი თუ შეშლილი. — რომ იგი ჩემი წარმოსახვისათვის უცხო ყოფილიყო.

შვებით ამოვისუნთქე, როდესაც გამახსენდა წარწერა, წარმოდგენის დაწყებისას ასე რომ აღაფრთოვანა ის პირმშვენიერი ჭაბუკი. წარწერა იუწყებოდა:

ყველა ქალი შენია

უეცრად მომეჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს ალბათ მართლაც ესლა შეიძლება იყოს ადამიანის ყველაზე სასუკვარა ნატვრა-მეთქი. გამეხარდა, რაკილა კვლავ მომეცა საშუალება გავცქეროდი იმ წყეულ მგლურ სამყაროს, და შიგნით შევედი.

შევედი და, ჰოი, საოცრებაე! მყიხვე დამეუფლა ზღაპრული და თან საოცრად ნაცნობი გრძნობა: სახეზე ჩემი ყმაწვილკაცობის დროინდელი სურნელი მომელამუნა, პატარა ბიჭობისა და სიჭაბუკის განცდა დამეუფლა და ძარღვებში ჭაბუკურად ამიჩქროლდა სისხლი. სულ ცოტა ხნის წინანდელი აზრები თუ საქციელი, მთელი ჩემი არსება უეცრად სადღაც შთაინთქა და მე კვლავაც ჭაბუკად ვიგრძენი თავი. რაღაც ერთი საათის, რამდენიმე წუთის წინ ვფიქრობდი, ვიცი, რას ნიშნავს სიყვარული, სურვილი და ლტოლვა-მეთქი, ახლა კი მივხვდი, რომ ეს ხანდაზმული კაცის სიყვარული და ლტოლვა იყო. და აი, კვლავ ახალგაზრდა ვიყავი, სხეულში კვლავ ცეცხლი მიგიზგიზებდა. ჭაბუკური იყო ეს ძლიერად მქროლავი ლტოლვა, მარტის ქარივით ფრთამალი, ახლადქმნილი და ნაღდი, ჰა, კვლავ აბრიალდა წარსულის მინავლული ჭიაკოკონა, კვლავ ძალუმად და ხმასავსედ აქლერდა გარდასულ დღეთა მუსიკა, ამიჩუხჩუხა სისხლი, შეეხმიანა ჩემს სულს და აამღერა იგი!

ახლა მე თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის ყმაწვილი ვიყავი. თავი ბერძნულლათინურითა და ბრწყინვალე პოეტთა ლექსებით მქონდა გამოტენილი, ათასნაირი პატივმოყვარე მიზან-სწრაფვა მიტრიალებდა, წარმოსახვა დამძიმებული მქონდა ხელოვანი კაცის ოცნებებით, მაგრამ ყველა ამ მოციმციმე სხივზე ღრმად, ძლიერად და შემზარავად ჩემში სიყვარულის ცეცხლი, სქესის ყივილი და ვნების მომთენთავი წინათგრძნობა ენთო და კიაფობდა.

იმ დღეს ჩემს პატარა, მშობლიურ ქალაქს ქარაფიდან გადმოვცქეროდი. პაერში ნოტიო ქარისა და პირველი იების სურნელი იდგა. ვხედავდი ქვევით, ქალაქში, როგორ მილივლივებდა მდინარე, გამოკრთოდა შუქი მშობლიური სახლის ფანჯრებში. ჩემ ირგვლივ ყველაფერს, ამ ხმებსა თუ სურნელს საოცრად მათრობელა სისავსე და სიახლე მქონდა. ყველაფერში პირველქმნილობა და ფერთა გაბადრული სიუხვე იგრძნობოდა და გაზაფხულის ქარში ისეთი არამიწიერი სისბეტაკით სუნთქავდა, მხოლოდ ჩემი ადრეული ჭაბუკური აღმაფრენის ყველაზე სისხლსავსე პოეტურ წუთებში რომ მეხილა ოდესღაც.

ვიდექი გორაკზე, ქარი მიწეწავდა გრძელ თმას. ტრფობის საოცრებო კაეშნით შეპყრობილმა, ოღნავ ამოკვირებულ მწვანე ბუჩქს ხორჩი, ეს-ესაა იდეტქებული ბუტკო წავაწყვიტე, ახლოს მივიტანე და დავეყნოსე (მისმა სურნელმა კვლავ ამიშალა წარსულის მოგონებები). მწვანე კვირტს ძენძვა დავუწყებე მტუჩებით, ჯერაც რომ არ ეგემათ ქალის კოცნა და როგორც კი კვირტის მომწმინდომე-კლარტო გემო შევიგრძენი. მყისვე მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს, გვიანი სიჭაბუკისდროინდელი გაზაფხულის ერთი კვირადღე მომელამუნა, გამახსენდა ერთბელ, სეირნობისას როზა კრაისლერს რომ შევეფეთე და მოწიწებით მივესალმე. პოი, რა თავდავიწყებით მიყვარდა!

შიშნარევა მოლოდინით შევეყურებდი ამ მშვენიერ ქალიშვილს. მას ჯერ კიდევ არ ვყავდი შემჩნეული და, ოცნებაში წასული, მარტო მოემართებოდა ჩემკენ. ზურგზე მსხვილი ნაწნავეები ეყაოა, ლოყებთან კი თმა გამოშლოდა და ქარი კულულებს უწეწავდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რა მშვენიერი იყო ეს ქალიშვილი, შევეყურებდი, რა ლამაზად და მეოცნებედ ენანავებოდა ქარი მის ნაზს თმას. რა ამალელვებლად შემოტმასნიდა ნორჩ სხეულს პაეროვანი ლურჯი კაბა. ზუსტად ისევე, როგორც იმ გაღეჭილი კვირტის მომწმინდომ და თან სასიამოვნო გემომ მძაფრად მაგრძობინა გაზაფხულის მთელი სიტკბოება და ავბედითი სიხარული, ასევე ამ გოგონას დანახვაზეც ვიგრძენი, როგორ შემიპყრო სიყვარულის მომაკვდინებელმა განცდამ. ეს ქალი დაეუფლა ჩემს წარმოსახვას და შემძრა უზარმაზარი შესაძლებლობების, დაპირებებისა თუ უსახელო წადილის, წარმოუდგენელი ძრწოლის, შიშისა თუ ტანჯვის, შინაგანი ხსნისა თუ უღრმესი დანაშაულის უსაშველო წინათგობობამ!

ო, როგორ მწვავდა ენას გაზაფხულის ეს მწკლარტე გემო! როგორ ენცვებოდა და ენანავებოდა ქარი მის ვარდისფერ ლოყებზე ჩამოშლილ თმას! მერე ის იყო მოძიახლოვდა, შემომხედა და მიცნო. სახეზე ერთი წამით აღმურომა გადაჰკრა და თვალი ამაროდა. მე კონფირმანდის ქუდი მოვიხადე და მივესალმე. როზა უმაღ გონს მოეგო, გამიღიმა. მერე თავი ზევით ასწია, სალაძზე დარბაისელი ქალის სალმითვე მიპასუხა და მტკიცე, ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა. ო, რამდენი სასიყვარულო ნატვრა, წადილი და აღფრთოვანება დავადევნე მაშინ კვალდაკვალ!

ეს მოხდა ოდესღაც, ერთ კვირა დღეს, ამ ოცდაათწლიანი წლის წინათ. ახლა კი ყველაფერი მაშინდელი უკან დაბრუნებულიყო: ის გორაკიც, ქალაქიცა და მარტის ქარიც, კვირტის სურნელიცა და წაბლისფერთმიანი როზაც. ჩემში მომძლავრებულიყო იმდროინდელი ლტოლვა და კვლავ იმ ნეტარ, სულისშემხუთველ შიშს შევეპყარი. ყველაფერი ძველებურად იყო და ასე მეგონა, მერე აღარავინ მყვარებია ისე ძლიერ, მაშინ როზა რომ მიყვარდა-მეთქი. მაგრამ ამჯერად სხვაგვარი შეხვედრა მეწერა მასთან. შევამჩნიე, რომ მიცნო და სახე შეეფავლა: მერე შეეცადა თავიანი სიწითლე დემალა და მყისვე მივხვდი, რომ გულგრილი ვერ იყო ჩემდამი. ამ შეხვედრას ორივესთვის ერთნაირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წესით ახლა კვლავ უნდა მომეხადა ქუდი და ასე ქუდით ხელში, საზეიმოდ გაჯგობული უნდა ვმდგარიყავი მის წინ, ვიდრე იგი გვერდით არ ჩამივლიდა. მაგრამ შიშის და ძრწოლების მიუხედავად, ამჯერად ისე მოვიქეცი. როგორც სისხლმა მიკარნახა და შევძახე: „როზა, ჩემო მშვენიერო, მშვენიერო გოგონავ, მადლობა დმერთს, რომ მოხვედი; რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!“

იმ წუთში ნათქვამი დიდად მოსწრებული ვერ გამომივიდა. მაგრამ აქ უკვე გონიერებას არც ერთი აღარ დაგიდევდით და სიტყვებმა გაქრა როზამ მაშინდელივით დარბაისელი ქალის ნაბიჯით როდი ჩამიარა! შეჩერდა, შემომხედა, კიდევ უფრო შეეფაკლა ლოყები და მითხრა:

— გამარჯობა, პარი. ნუთუ მართლა მოგწონვარ? *მეც მინდა*

ჯანსაღი სახე და მუქი თვალები ერთიანად უციმციმებდა. აი, მაშინლა მიუხვდი. თურმე რარიც გამბრუნდებია ცხოვრების გზა და რა ბედუკულობართი ვყოფილვარ სიყვარულში. და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდა. მაშინ. იმ კვირადღეს. როზას წასვლის საშუალება რომ მივეცი. მაგრამ ჩემი იმდღევანდელი შეცდომა უკვე გამოსწორებული იყო. გარშემო ყველაფერს სხვა ელფერი დასდებოდა და მშვენიერ გუნებაზე ვიყავი.

ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და, ასე ხელხელჩაკიდებულნი, ნელ-ნელა გავუყვებით გზას: თავს უსაზღვროდ ბედნიერად ვგრძნობდით, მაგრამ ერთობ დარცხვენილი კი ვიყავით, არ ვიცოდით, რა გვექნა და მოგვემოქმედა. უხერხულად აწურულებმა, უცრად სირბილი დავიწყეთ; ასე გავრბოდით, ვიდრე დაღლილობისგან სუნთქვა არ შეგვეკრა. მერე გავჩერდით, მაგრამ ერთმანეთისთვის ხელი არ გაგვიშვია. ჯერ კიდევ ბავშვები გვეთქმობდა და არ ვიცოდით, რა გვეღონა; ამიტომ იყო, რომ იმ კვირადღით უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავით. თუმცა ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ ერთმანეთისთვის პირველი კოცნა გვეძღვნა. ერთხანს ასე აქოშინებული ვიდექით, მერე ბალახზე დავსხედით. როზას მოფერება დავუწყე ხელზე, ის კი მეორე ხელს დარცხვენით მისვამდა თმაზე. ფეხზე რომ წამოვდექით, ერთმანეთს დავეტოლეთ. ოდნავ თუ ვიქნებოდით მასზე მაღალი, მაგრამ რატომღაც არ მიხდოდა ამის თქმა და ვუთხარი, ტოლები ვართ, ღმერთმა ერთმანეთისთვის გაგვაჩინა და მოგვიანებით უნდა დავქორწინდეთ-მეთქი. როზამ ამაზე მომიგო, იების სუნი მცემსო. ჩავიმუხლეთ, ახლად ამობიბინებულ ბალახში ერთ-ორი მოკლეღეროიანი ია ვიპოვეთ და ერთმანეთს ვუძღვევით. მერე, როცა აგრილდა და ქარაფებზე მზის სინათლე ირიბ ზოლებად გაწვა, როზამ განაცხადა, ჩემი შინ წასვლის დრო დადგაო. ორივემ საოცრად მოვიწყინეთ. გაცილება ვერ შევბედე, მაგრამ უკვე ერთ საერთო საიდუმლოს ვიყავით ნაზიარები და ეს ჩვენთვის უდიდესი სასწაული იყო. ერთხანს ისევ ვიდექი ზევით, ქარაფებთან და როზას ნაჩუქარ იებს ვყნოსავდი; მერე მიწაზე გავწექი. ჩემ შინ უფსკრულს დაელო ხახა, გაღმა კი ქალაქი გადაშლილიყო. მანამდე ვიყურებოდი ქვევით, ვიდრე შორს როზას მოხდენილი პატარა ტანი არ შევნიშნე. დავინახე, ვას რომ ჩაუარა და ხიდზე გადაირბინა. ახლა კი ვიცოდი, უკვე შინ იქნებოდა მისული. წარმოვიდგინე, როგორ გადი-გამოდიოდა ოთახიდან ოთახში. მე კი აქ, ზემოთ ვიწექი და, თუმცა ძალზე შორს ვიყავი მისგან, ჩვენ შორის უხილავი ძაფები გაბმულიყო, ერთნაირი ძალით ვიყავით დამუხტულნი, ჩვენ შორის საიდუმლო ჰქროდა.

მერე, იმ გაზაფხულზე, სადაც მოვახელთებდით, იქ ვხვდებოდით ერთმანეთს: ქარაფებთან თუ ბალის ლობესთან. მალე იასამანიც აყვავდა და ჩვენ ერთმანეთს პირველი შემცბარი კოცნა ვუძღვევით. ბავშვები ვიყავით და დიდად ვერაფრით გავაკვირვებდით ერთმანეთს. ჩვენს კოცნას ჯერ არც სიმბურვალე ჰქონდა და არც სისავსე; ისღა მოვახერხე, ყურებს უკან ჩამოშლილ კულულებზე ფრთხილად მოვეფერე. სამაგიეროდ ეს სიყვარული და აღფრთოვანება მთლიანად ჩვენი იყო და ჩვენს საკუთრებას შეადგენდა. მორცხვი შეხებით.

უმწიფარი სატრფიალო სიტყვებით თუ მოკრძალებული ლოდინით ვსწავლობდით, როგორ შეგვეგრძნო ახალი ბედნიერება და ზემო-ზემო ნელინელ მივუყვებოდით სიყვარულის კიბეს.

ასე, როზათი და იებით დაწყებული, ერთხელ კიდევ ხელახლა განვიცადე ჭაბუკური ტრფობის დღეები. მაგრამ აი, ჩემი ცის კაბადონზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავები ამობრწყინდა და როზა თვალს მიეფარა. გამოჩნდა ირმგარდი, მზემ უფრო ცხოველმყოფლად გამოანათა, ცაზე ვარსკვლავები ამორიალდნენ, მაგრამ არც როზა და არც ირმგარდი არ გამხდარა ჩემი. ასე საფეხურ-საფეხურ მომიხდა ზესვლა ცხოვრების კიბეზე, ბევრი რამ გადამხდა თავს, ბევრი რამეც ვისწავლე, ხელახლა ისევ დავკარგე ირმგარდიცა და ანაც კვლავ შევტრფოდი ყველა ქალს, ოდესღაც, სიტყბუკეში რომ მიყვარდა, მაგრამ ახლა უკვე შემწევდა ძალა ყველა მათგანი სიყვარულს მეზიარებინა, რალაციით დამესაჩუქრებინა და მისგანაც მიმელო საპასუხო ნობათი. სინამდვილედ ქცეულიყო სურვილები, ოცნებები თუ შესაძლებლობანი, ერთ დროს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში რომ მოკალათებულიყო; ო, ჩემი ცხოვრების წარმტაცო ყვავილებო, იდა იყავი ეს თუ ლორე, ვინც კი ოდესმე მყვარებიხართ, თუნდაც ეს სიყვარული ერთი ზაფხულის, ერთი თვისა თუ ერთი დღის ყოფილიყო!

ვგრძნობდი, ახლა ისევ ის ცეცხლოვანი ჭაბუკი ვიყავი, ჭიჭურ რომ მიილტვოდა სიყვარულის კარიბჭისკენ. ვგრძნობდი, ახლა სასიცოცხლოდ სულს რომ შთავბერავდი და გასახარი ნერგივით შევფოფინებდი ჩემს ბუნებაში ჩაგვირისტებულ ნიქსა და უნარს, რომლისა მხოლოდ უბადრუკი ნამცეცეები მქონდა ნაგემი. ახლა ლოდინით აღარ მაწვა გულზე საკუთარი „მე“-ს სახემრავლობა, ხელს აღარ მიშლიდა ფიქრებით შექირვებული მოაზროვნე, სულს არ მიწამლავდა ტრამალის მგელი, იერიში აღარ მოქმონდა ჩემზე პოეტს, ფანტასტსა თუ მორალისტს. არა, ახლა მე მხოლოდ სიყვარულით, ბედნიერებითა და ტანჯვით ვსუნთქავდი. ირმგარდმა ცეკვა მასწავლა, იდამ კოცნის ხელოვნებას მაზიარა, ხოლო მათ შორის უმშვენიერესმა — ემამ შემოდგომის ერთ სადამოს, თელის მოშრიალე ფოთლებქვეშ პირველად გამომიწოდა საკოცნელად თავისი თავთუხისფერი მკერდი და ნეტარების ფიალა შემასვა.

პაბლოს პატარა თეატრში ბევრი რამ განვიცადე. სიტყვებით ძნელია ყველაფრის გადმოცემა. თუკი ოდესმე ვინმე ქალი მყვარებია, ახლა ყველა ჩემად მეგულვოდა. ყოველი მათგანი იმას მაზიარებდა, რაც მხოლოდ მას შეეძლო მოეცა ჩემთვის და თითოეულს მხოლოდ იმით ვასაჩუქრებდი, რაც მხოლოდ მას შეეძლო მიელო ძღვნად ჩემგან. საკმაოდ მიგემია სიყვარულიც, ბედნიერებაცა და ნეტარებაც, მაგრამ გზაკვალაბნეულიც ბევრჯერ ვყოფილვარ და ტანჯვაც არანაკლები განმიცდია. ახლა, ამ ზღაპრულ საათს, ჩემი ცხოვრების წალკოტში ჯადოსნურად ყვაოდა სიყვარული, ბევრჯერ ხელიდან რომ გამიშვია, ჩემ ირგვლივ გაფურჩქვნილიყვნენ ნაზი, უბიწო, ჩახჩახა, მოლივლივე თუ მრუმე, მყის მკვნიობადი ყვავილები, აღზევებული მოემართებოდა ჩემკენ ფრთამალი ვნება, მიყუჩებული ზმანებები, მწველი ნალველი, შემდრკალი კვდომა, გასხივოსნებული განახლება. ვხედავდი ქალებს, რომელთა ხელში მოგდება სწრაფად, იერიშის მიტანით შეიძლებოდა; იყვნენ ისეთებიც, დიდხანს, თმენით რომ დავდევდი. პოი, რა ბედნიერებას მანიჭებდა მაშინ ეს დევნა! ისევ გაცისკროვნდა სინათლის სხივით ჩემი ცხოვრების ბნელით მოცული კუთხე-კუნჭულ, სადაც ოდესღაც თუნდაც ერთი წუთით მაინც მიუღებმევარ სქესის

ყოფილს, ავუნთივარ ქალის მზერას, მივუზიდივარ მისი ხავერდოვანი კანის ელვარებას. ყველაფერი, რაშიც ოდესღაც ხელი მომცაროდა, ახლა ჩემი იყო. ჩემი იყო ყველა ქალი. ყველა მათგანი თავის განუმეორებელ სურნელს ტოვებდა: აი, ის ქალიც გამოჩნდა, თავთუხისფერი კულულების ქვეშ უჩვეულოდ მუჭი თვალები რომ მოუჩანდა. ოდესღაც, ალბათ სულ რაღაც შემთხვევით საათი ვიდექი ჩქარი მატარებლის დერეფანში ამ ქალის გვერდით. მჯერა, ხმა რომ არ გაუცია ჩემთვის, ისე მაზიარა სიყვარულის ხელოვნებას. აი, კიდევ: წყნარი, ხავერდისკანიანი ჩინელი ქალი, გაქვავებული ღიმილი რომ შეხმობოდა პირზე. იგი მარსელის ნავსადგურში ვნახე. სწორი, კუბრივით შავი თმა და მოლივლივე თვალები ჰქონდა. მანაც, მაგრძობინა სიყვარულის სიტკბოება, ჯერ გაუგონარი და უჩვეულო. ყველა ქალს მისეული იდუმალება, მისეული მიწიერი საუფლოს სურნელი ჰქონდა, თავისებურად იკოცნებოდა და იცინოდა, თავისებური კდემამოსილებითა თუ ურცხვობით გამოირჩეოდა. ამ ქალებს ტალღა აქეთ-იქით მიაქანებდა, მეც ნაფოტივით მაქანავებდა და ხან მათლოვებდა, ხან მაშორებდა მათ. ეს იყო ანცი, ბალღური ნავარდი ხორციელი სიყვარულის ზღვაში, იგი აღსავსე იყო მშვენიერებით, ლიფათითა თუ მოულოდნელობით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა! თურმე რა მდიდარი ცხოვრება მქონია გამოვლილი! რამდენი სატრფიალო თავგადასავალი, საამური შემთხვევა და ცდუნება ყოფილა ამ ჩემს, ერთი შეხედვით უბადრუკსა და უსიყვარულო მგლურ ცხოვრებაში. თავის დროზე თითქმის ყველა შემთხვევა ხელიდან გავუშვი, ყველა ცდუნებას დავაღწიე თავი; თუკი ზოგჯერ მაინც გაგებვოდი ხოლმე ამ ცდუნებათა ბადეში, ვცდილობდი რაც შეიძლება მალე დამევიწყებინა ყველაფერი. აქ აი, აქ უკლებლივ შემონახული იყო ყველა შემთხვევა. ვხედავდი ჩემს განვლილ ცხოვრებას, ხელახლა განვიცდიდი ყველაფერს, ხელახლა მოვაძებნინე მათ ჩემი თავი და ჩავიძირე გარდასულ დღეთა დაისისფერ ბინდბუნდში. პაბლო ერთხელ ჩემს ცდუნებას რომ შეეცადა, ის შემთხვევაც გავიხსენე. მერე სხვა, უფრო ადრინდელი ამბებიც ამომიტივტივდა გონებაში; თავის დროზე მათი არაფერი გამეგებოდა. ეს იყო სამი თუ ოთხი ადამიანის განსაცვიფრებელი თამაში; ახლა მათ ღიმილ-ღიმილით მეც ჩამაბეს თავიანთ ფერხულში. და უეცრად ისეთი ამბებისა და თამაშების მოწმე გავხდი, კაცის ენას რომ არ ძალუძს აღწერა. მერე ისევ ამოვყვინთე ცდუნებების, მანკიერებებისა და შეხლა-შემოხლის ამ უკიდევანო მორევიდან. ახლა უკვე ერთი წყნარი, ჩუმი, ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული, დაბრძენებული კაცი ვიყავ, კაცი, ჰერმინესათვის მომწიფებული; ჩემი მრავალსახოვანი მითოლოგიის უკანასკნელი მოქმედი პირი ახლა ჰერმინე იყო. მისი სახელი სულ ბოლოს ამომიტივტივდა სახელთა უსასრულო რიგიდან. მყისვე გონს მოვეგე და სიყვარულის ზღაპარიც დამთავრდა, რამეთუ აქ, ჯადოსნური სარკის ბინდბუნდში არ მინდოდა ჰერმინესთან შეხვედრა. ახლა პირი მთლიანად ამ ქალის კუთვნილებას შეადგენდა და საჭირო იყო ჯადრაცის დაფაზე ისე განმელაგებინა ჩემი ფიგურები, რომ ჰერმინეს გარშემო მოეყარა თავი და ისე აღსრულებულიყო ყოველივე.

ტალღამ ნაპირზე გამოძრია. და აი, კვლავ თეატრის მიყრუებულ გასასვლელში ვიდექი. აღარ ვიცოდი, რა მელონა! ჯიბიდან ფიგურების ამოღება დავაპირე, მაგრამ ეს სურვილიც უმაღ გამიქრა. გარს შემომრტყმოდნა კართა, წარწერათა და ჯადოსნურ სარკეთა უკიდევანო სამყარო. იქვე ახლოს წარწერა

შეგნიშნე; ჩემდაუნებურად წავიკითხე:

კაცი სიყვარულით
როგორ შეიძლება მოკლა



ქართული

პერმინე რესტორანში

შეგვართი. ჩემს ცნობიერებაში წამით გაიკიაფა სურათმა: პერმინე რესტორანში ზის, მაგიდასთან. უეცრად თავს ანებებს ჰამა-სმას და ავბედით საუბარს იწყებს. აი, სწორედ მაშინ მესროლა ის შემზარავი, დინჯი მზერა და მითხრა: მარტო იმიტომ შეგაყვარებ თავს, რომ შენი ხელით მოვკვდეო. შიშის მძიმე შავი ტალღა გადამეფარა გულზე. უეცრად კვლავ დამიდგა თვალწინ ყოველივე, ხელახლა ვიგრძენი, რომ უბედურების ეს განაჩენი თავად განგებას გამოეტანა ჩემთვის. სასოწარკვეთილმა ჯიბეში მოვაფათურე ხელი, რომ ჰადრაკის ფიგურები ამომეღო და ცოტა წამეთაშაშა. მინდოდა მთლიანად შემეცვალა ჩემი საქადრაკო პარტიის პირვანდელი განლაგება, მაგრამ ფიგურები ჯიბეში აღარ აღმომაჩნდა და მათ ნაცვლად დანა შემრჩა ხელში. საშინლად შეშინებული დერეფანში გავვარდი და კარებს ჩავუქროლე, მერე ანაზდად უზარმაზარი სარკის წინ შევჩერდი და შიგ ჩავიხედე. სარკიდან ჩემი სიმაღლე, უზარმაზარი მშვენიერი მგელი შემომცქეროდა. თავისთვის წყნარად იდგა და, შეშინებული, მიუსვენრად აცეცებდა თვალებს. მერე თვალი რომ ჩამიკრა და ჩაიციხა, ლაშები გაეხსნა და ალისფერი ენა გამოუჩნდა.

სად იყო პაბლო? სად იყო პერმინე? ან ის გონიერი ყმაწვილი სადღა იყო, ასე მშვენივრად რომ შემუსაიფა პიროვნების აგებაზე? ერთხელ კიდევ ჩავიხედე სარკეში. ვიფიქრე, ნამდვილად გაუგვიძლი-მეთქი, მაღალი სარკის მიღმა აღარ ჩანდა ენაგადმოგდებული მგელი, არავითარი მგლის ხსენება არ იყო, შიგ ჩემი გამოსახულება ირუკლებოდა. ეს მე მოეჩანდი სარკეში, განაცრისფრებული და ყველა თამაშწილნაყარი ჰარა. ზიწიერებას თავისი დაღი დაესვა მისთვის. დაღლილი და გაფითრებული ჩანდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ამ კაცთან, ამ პიროვნებასთან ლაპარაკი შეიძლებოდა.

— პარი, რას აკეთებ აქ? — ვკითხე მე.

— არაფერს, — შემეხშიანა სარკიდან, — უბრალოდ ვუცდი. სიკვდილს ვუცდი.

— მერედა სად არის სიკვდილი? — ჩავვკითხე ისევ.

— მოვა, — მომიგო მან.

თეატრის შიგნით, ცარიელ ოთახებში მუსიკის ხმა გაისმა. ეს მშვენიერი და თან შემზარავი მუსიკა „დონ ეუანი“-დან იყო და ქვის სტუმრის გამოჩენას გვაუწყებდა. ყინულივით ცივმა ხმებმა ავბედითი გუგუნით გაავსო იდუმალი შენობა. ეს იმქვეყნიური ხმები იყო და უკვდავთაგან მოდიოდა.

— მოცარტი! — გავიფიქრე გულში და ამ სიტყვა-თილისმით ჩემი სულიერი ცხოვრების ყველაზე სანუკვარსა და ამაღლებულ ხატებს მოვუხმე.

ამ დროს ჩემს ზურგს უკან გამყინავი ხმით ხმამაღლა გაიციხა ვილაცამ. ეს სიცილი, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუცნობელი, მხოლოდ იმქვეყნიურ ტანჯვას ნაზიარები და იმქვეყნიური ღვთაებრივი იუმორის პირმშო იყო.

ამ სიცილით მონუსხული და გაბედნიერებული, შემოვეტრიალდი და აი, მოცარტიც გამოჩნდა. სიცილით ჩამიარა გვერდით და მშვიდად გაეშურა ერთ-ერთი კარისაკენ, ლოყაში რომ გადიოდა; გააღო და შევიდა. გულამომჯდარი

დავედევნე ჩემი სიჭაბუკის კერპს, ჩემი ტრფობისა და ოცნების მარადიულ საწადელს. კვლავ გაისმა მუსიკა. მოცარტი ლოყის მოაჯირთან იდგა, თეატრში ირაფერი ჩანდა, მთელი ეს უკიდევანო სივრცე ბნელში შთანთქმულიყო.

— ხედავთ, — თქვა მოცარტმა, — თურმე უსაქსაფონოდაც შეიძლება ოლას გავიდეს კაცი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამით სრულიად არ შინდა დავ-ცე ამ შესანიშნავი საკრავის ღირსება.

— სადა ვართ ამჟამად? — ვკითხე მე.

— „დონ ჟუანის“ უკანასკნელ მოქმედებაზე ვიმყოფებით; ლეპორელო უკვე მუხლებზეა დამხობილი. შესანიშნავი სცენაა და, ღმერთმანი, მუსიკასაც არა უშავს რა; ამ მუსიკაში ჯერ კიდევ გამოსჭვივის ბევრი რამ ადამიანურა, მაგრამ მაინც უკვე იგრძნობა რაღაც იმპვეყნიური, აი, თუნდაც ეს სიცილი, ხომ ასეა?

ესაა უკანასკნელი დიდი მუსიკა, რომელიც კი დაიწერა. — წარმოვ-თქვი სკოლის მასწავლებელივით საზეიმოდ, — რასაკვირველია, მერე შუბერ-ტი და ჰუგო ვოლფიც მოვიდნენ; ვერც საბრალო ღვთაებრივ შოპენს დაივიწყებს კაცი. მაესტრო, ვხედავ, კობები შეჰყარეთ, დიახ, არის კიდევ ბეთპოვენი და ისიც შესანიშნავია. მაგრამ რარიგ მშვენიერიც არ უნდა იყოს ეს ყველა-ფერი, მაინც დანაწევრებულ-დაქუცმაცებულია. იქეთი სრულყოფილად მთლი-ანი ნაწარმოები, როგორიც „დონ ჟუანი“. კაცის გონებას აღარ შეუქმნია.

— ნუ ხართ ასე დაძაბული! — მითხრა მოცარტმა და საოცრად სარკაზ-მულად გაიცინა, — გეტყობათ, თქვენც მუსიკოსი ბრძანდებით, არა? მე კი გადავწყვიტე საქმეს შევეშვა და დავისვენო. დროდადრო, გართობის მიზ-ნით თუღა შევაგლებ ხოლმე თვალს ამ რია-რიას.

ხელები მალა ასწია, თითქოს დირიჟორობსო. სადღაც შორს მთვარე თუ რომელიღაც გაცრეცილი ცდომილი ამოგორდა. მოაჯირს მიღმა გავცქე-როდი უსაზღვრო სივრცეა. ნისლში ტაატიტ მიცურავდნენ ღრუბლები. სად-ღაც, დასალიერში, ოღნავ შესამჩნევად იკვეთებოდნენ მთები და ზღვები, ჩვენ ქვემოთ კი უდაბნოსმაგვარი უკიდევანო ველი გადაშლილიყო. ველზე დარ-ბაისლური შესახედაობის, გრძელწვერება მოხუცი ნალვლიანი სახით მოუძ-ლოდა წინ შაოსანი მამაკაცების ამალას. მოხუცი ერთობ შეწუხებული და ნალ-ვლიანი ჩანდა. მოცარტმა თქვა:

— აი, შეხედეთ, ეს ბრამსია. იგი გათავისუფლებას ლამობს. მაგრამ იქამ-ღე ჯერ კიდევ დიდი დროა.

მერე შევიტყვე, რომ ის შაოსანი ადამიანები იმ ბგერებისა და ნოტების შემსრულებლები არიან, რომლებიც ღვთაებრივი თვალსაზრისით ზედმეტი იყო პარტიტურებში.

— ორკესტრირება მეტისმეტად აქვს გადატვირთული და მასალაც უამ-რავია დახარჯული, — თავი გაიქნია მოცარტმა.

მალე ამის შემდეგ რიჰარდ ვაგნერი დავინახეთ, ისიც ხალხის ჯარს მოუძლოდა წინ; ვიგრძენით, რა უზარმაზარ ტვირთად აწვა მხრებზე მათი სიმ-ძიმე. მერე თვალი გავადევნეთ, დაღლილი ნაბიჯით, ტანჯულივით ნელ-ნელა როგორ წალასლასდა.

— ჩემს ყმაწვილკაცობაში ორივე ერთობ ურთიერთსაპირისპირო მუსი-კოსად ითვლებოდა, — შევნიშნე მე.

მოცარტმა გაიცინა.

— დიან, ეს მუდამ ასეა. მაგრამ განსაზღვრული მანძილიდან ასეთი ურთიერთდაპირისპირებულობანი ჩვეულებრივ ძალზე ემსგავსებიან ზოლმე ერთმანეთს. ისე, კაცმა რომ თქვას, გადატვირთული ორკესტრირება ვაგნერისა და ბრამსის პირადი შეცდომა როდი იყო, ეს მათი დროების შეცდომა გახლდათ.

— როგორ? მერედა ამის გამო ასე მკაცრად უნდა აგონ, *გასუფხუე! — წა-
მოვიძახე გამკიცხავად.*

— რა თქმა უნდა. ყველაფერი საფეხურ-საფეხურ მიდის. შემდეგში, როცა ორივენი დაფარავენ თავისი დროების ვალს, გაირკვევა, დარჩათ კი თვითონ იმდენი პირადი ვალი, რომ ღირდეს მათგან ამ ვალის მოთხოვნა.

— კი მაგრამ, განა ეს მათი ბრალია?

— რა თქმა უნდა, არა! მათ იმაშიაც არ მიუძღვით ბრალი, რომ ადამმა სამოთხის ვაშლი გაკბიჩა, მაგრამ მაინც უნდა ზღონ მისი დანაშაული.

— ეს ხომ საშინელებაა!

— ცხადია, მაგრამ განა თავად ცხოვრება კი არ არის საშინელება?! ბრალი არაფერში მიგიძღვის და პასუხი კი უნდა აგო! რაკილა მოვევლინე ქვეყნიერებას, ამით უკვე ჩაიღინე დანაშაული. ეტყობა, ძალზე ცუდად უსწავლებიათ თქვენთვის საღეთო სჯული, თუკი ეს არ იცით.

თავი ძალზე უბედურად ვიგრძენი.

ისევ იმქვეყნიურ უდაბნოში მოხეტიალე ქანცაწყვეტილი მგზავრი დავინახე. ეს მე ვიყავი. ხელში ჩემივე ხელით დაწერილი აუარება უსარგებლო წიგნი, თხზულება თუ ფელეტონი მქონდა ჩაბლუჯული. უკან ასოთამწყობების მთელი ლაშქარი მომდევდა, ამდენი შრომა რომ დაეხარჯათ ჩემს წიგნებზე. მათ უკან ზღვა მკითხველები მოსდევდნენ და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდნენ. ღმერთო ჩემო! ამას გარდა ხომ ადამიც იყო და სამოთხის ვაშლიც, ხომ არსებობდა ის პირველქმნილი ცოდვაც! მაშასადამე, ადამიანმა უნდა ზღონ ყველა ეს დანაშაული, გაიაროს უსასრულო სალხინებელი და მხოლოდ შემდეგ კითხოს თავის თავს, ამის მიღმა არსებობდა კია რაიმე პირადული, საკუთარი, თუ მთელი ჩემი მცდელობა თავისი შედეგებით მარტოოდენ ზღვის ზედაპირზე მოგდებული ქაფი და მოვლენათა ნაკადში უაზრო თამაში იყოო?!

ჩემი ჩამოგრძელებული სახე რომ დაინახა, მოცარტმა ხმამალლა გულიანად გადაიხარხარა, პაერში შეხტა, ფეხები ააბაკუნა. თან დამძახოდა:

— რაო, ბიჭუნავ, აგეწვა კუჭი, აგტკივდა ტყლიბი? მაშ, გაიხსენე გაიძვერა, უბადრუკი და სისხლისმსმელი შენი მკითხველი? გაიხსენე ასოთამწყობნი, მწვალებელნი, თითლიბაზი და წყეული მოშურნენი შენნი? გულიანად კი გამაცინე, შე გველეშაპო, ისე მაამე, გამასავათე, რომ საცაა შარვალს გავავსებ! პოი, შე გულუბრყვილო, სტამბის საღებავით შეთხიპნილო კაცო! შენს კაეშნიან გულს სანთელს დაეუნთებ საპამპულაოდ! მაშ იზლუქუნე და იწუწუნე, იპამპულე, იშაყირე, კუდი აქიცინე, ტყუილები ჩმაზე! ღმერთი ინებებს, ტანჯვას გავგებებს, მაგ ჭდაბნის საზღაურად ჯოჯოხეთს მოგიზღავს, რა უხეირო, რა არანაღდია ყველაფერი, რაც რომ შეგითხზავს!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ისეთმა სიბრაზემ შემიპყრო, სევდა და ნაღველი ვისლა ახსოვდა! მოცარტს ნაწნავში ვწვდი. იგი პაერში აფრინდა, ნაწნავი თანდათან დაგრძელდა და ბოლოს კომეტის კუდივით გაიწელა. ნაწნავზე ჩაფრენილი, სამყაროს თავზე დაეჭროდი. დასწყევლოს ღმერთმა! როგორ ციოდა აქ, ზევით. მაინც როგორ უძლებდნენ უკვდავნი ამ ყინულივით ცივ პაერს! თუმ-

ცა ეს გაუხშობული ცივი პაერი რაღაცნაირად აცოცხლებდა ადამიანს. რამდენიმე წამს კი შევიგრძენი მისი ცხოველყოფელი ძალა და მერე ვიხსენებ წამერთვა. უეცრად მთელი ჩემი არსება ორღესული ფოლადივით დასრმა, ყინულივით ცივმა ძხიარულმა განწყობამ მოიცვა; სურვილმა ამიტანა მოცარტივით წკრიალა, ბობოქარი და არამიწიერი სიცილით მეცინა ჩემგანამდე დროს სუნთქვა შემეკრა და გრძნობა დავკარგე.

სიხ-სიხისიხი

გონს რომ მოვეგე, საშინლად დაბნეული ვიყავი და ტანში მამტვრევდა. დერეფნის თეთრი სინათლე მოსარკულ იატაკზე ირეკლებოდა. ვერა და ვერ გავერიე უკვდავთა დასში, ჯერაც ვერ შევძელი იქ დამკვიდრება. ისევ და ისევ ამქვეყნიური გაუგებრობის, ტანჯვის, ტრამალის მგლების, ჯოჯობეთურ, რთულ მიწიერ სამყაროში ვიმყოფებოდი! სწორე ვითხრათ, ვერაფერი სახარბიელო აღგილი იყო! საოცრად მიჭირდა იქ ყოფნა. არა, როგორმე უნდა მოღებოდა ბოლო ყოველივე ამას!

კედლის დიდ სარკეში ჩემ პირდაპირ პარი იდგა. შესახედავად ვერაფერი შვილი იყო და დაახლოებით იმ პარის წააგავდა, ჯერ პროფესორთან სტუმრობის დამეს, მერე კი „შავ არწივში“ მეჯლისის შემდეგ რომ ვიხილე, მაგრამ მას მერე ძალზე დიდი დრო გასულიყო; მრავალი, მრავალი ასეული წელი! პარი გაზრდილიყო, ცეკვაც ესწავლა და მაგიური თეატრების სტუმარიც გამხდარიყო; უკვე მოვსმინა მოცარტის სიცილი და ახლა აღარც ცეკვებისა და ქალების შიში ჰქონდა და აღარც დანების. ბოლოს და ბოლოს საშუალო ნიჭის პატრონი კაციც კი მომწიფდებოდა, თუკი საუკუნეებს გადაუჯირითებს. კარგა ხანს ვუყურებდი სარკეში პარის: რა თქმა უნდა, მისი ცნობა დიდად არ გამჭირვებია; რაღაცით მაინც წააგავდა თხუთმეტი წლის პარის, მარტის ერთ კვირა დღეს ქარაფებთან რომ შეხვდა, როზას და კონფირმანდის ქუდი მოუხადა. მაგრამ იმ ხნის მერე მომატებოდა რამდენიმე ასეული წელი, გადავარდნილიყო მუსიკასა და ფილოსოფიაში და ყველაფერი მოყირჭებოდა; ეს პარი „ფოლადის მუზარადში“ შეექცეოდა ელზასურ ლეინოს, კრიშნაზე ეკამათებოდა დარბაისელ მეცნიერებს, უკვე გამოეგლო ერიკას და მარიას ტრფობა და ჰერმინეს მეგობარი გამხდარიყო; ამ პარის უკვე დაეცხრილა ავტომობილები და დამე გაეთია ხავერდისკანიან ჩინელ ქალთან; იგი შეხვედროდა გოეთესა და მოცარტს, ზოგ-ზოგ აღგილას გაერღვია დროისა და მოჩვენებითი სინამდვილის ბაღე, რომელშიც ჯერაც გახლართული იყო. მერე რა, რომ დაკარგა ის მშვენიერი საჭადრაკო ფიგურები?! სიმაგიეროდ ახლა ჯიბეში ჩინებული დანა ედო! წინ, წინ გასწი, ბებერო პარი. შე ძველო, დამაშვრალი ბიჭო! ფუი, დალახვროს ეშმაკმა! თურმე რა მწარე გემო ჰქონია ცხოვრებას! პარის მივაფურთხე, მერე სარკეს წიხლი ვკარი და ნამსხვრევებად ვაქციე.

ნელ-ნელა დავუყევი აგუგუნებულ დერეფანს. ყურადღებით ვათვალიერებდი კარებს, სულ მცირე ხნის წინ ამდენ სიკეთეს რომ მპირდებოდა ახლა არც ერთზე აღარ იყო წარწერა. მშვიდად დავუარე მაგიური თეატრის ასობით კარს! განა დღეს არ იყო, კარნავალზე რომ ვიყავი?! მას შემდეგ ასე წელი გასულიყო. სულ მალე საერთოდ აღარ იარსებებდა არავითარი წლები. ერთი რამ კიდევ მრჩებოდა გასაკეთებელი: ისევ და ისევ მელოდა ჰერმინე. ალბათ ძალიან უცნაური იქნებოდა ეს ქორწილი! მღვრიე ტალღა მიმაქანებდა იქით;

მე, ბრამალის მგელი კი პირქუშად მიეყვებოდი დინებას. ფუი, დალახვ-როს ეშმაკმა!

ბოლო კართან შევდექი. მღვრიე ტალღაც სწორედ იქით მიმაქანებდა! ო, როზა! ო, ჩემო შორეული სიჭაბუკე! გოეთევ და მოცარტო! მგვალე და ერთი უბრალო. თუმც კი საამური სურათი გადამეშალა. მგვალე მგვალე გაშლილ ხალიჩაზე გვერდიგვერდ ორი მშვენიერი შიშველი ადამიანი იწვა: პერმინე და პაბლო შევიცანი. ღრმა ძილში იყვნენ წასული, თან იმ ვნებათა-ღელვისგან ქანცგამოცლილნი ჩანდნენ ასე დაუოკებელი რომ ჰგონია ადამიანს, სინამდვილეში კი სწრაფად რომ ყირჭდება. მართლაცდა თვალწარმტაცი სურათი იყო! ხალიჩაზე ეაცთა მოდგმის ორი მშვენიერი ნაშიერის უზადო სხეულები გართხმულიყო. პერმინეს მარჯვენა ძუძუს ქვეშ მოლურჯო-მოწითალო მრგვალი ლაქა მოუჩანდა. ეს ვნებიანი ნაკბენი პაბლოს ბროლის კბილების ნაკვალევი გახლდათ. დანა ტარამდე პირდაპირ იმ ნაკბენში ჩავასვი. პერმინეს ნაზ თეთრ კანზე სისხლი გადმოწანწკარდა. საქმე სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ალბათ სისხლს ეოცნით შევუშრობდი. ახლა კი არ შემეძლო ამის გაკეთება. ვხედავდი, როგორ გადმოდიოდა ჭრილობიდან სისხლი; ისიც დავინახე, პერმინემ წამით თვალები რომ გაახილა და მის მზერაში მწარე ტკივილი და უსაზღვრო გაოცება ამოვიკითხე. „ნეტავ ააე რამ გააოცა-მეთქი“, გავიფიქრე გულში, მერე მინდოდა თვალები მაინც დამეხუჭა მისთვის, მაგრამ ესეც აღარ დამჭირვებია, თავისთავად დაეხუჭა. ასე აღსრულდა ყოველივე. პერმინე ოდნავ შეტრიალდა გვერდზე; დავინახე, იღლიდან მკერდამდე მსუბუქი, ნაზი ჩრდილი რომ გაცურდა. ამ ჩრდილმა თითქოს რაღაცა მომაგონა, მაგრამ ვერ გავიხსენე, რა, დამვიწყებოდა. ეს იყო და ეს. პერმინე აღარ განძრეულა! კარგა ხანს დავყურებდი ასე. ბოლოს, თითქოს ბურანიდან გამოვერკვიეო, წავლა დავაპირო. სწორედ ამ დროს დავინახე, პაბლომ თვალები გაახილა, გაიზმორა და გასწორდა. მერე უსულო ქალისკენ გადაიხარა და ჩაიღიმა. „აოა, ამ ბიჭის დაბრძენებას არა და არ დაადგა საშველი, ყველაფერზე ელიმება-მეთქი, გავიფიქრე გულში. პაბლომ ფრთხილად გადაკეცა ხალიჩის კუთხე, პერმინეს მკერდზე წააფარა. ისე რომ, ჭრილობა აღარ ჩანდა, და უხმოდ გავიდა ლოყიდან. ნეტა სად წავიდა? ნუთუ ყველამ მიმატოვა? მარტოდმარტო ვიყავი ახლა ხალიჩაწაფარებულ მიცვალებულთან. ეს ქალი მიყვარდა და მშურდა მისი. ფერმკრთალ შუბლზე თმის კულული ჩამოშლოდა, ოდნავ გაღებული ბაგე გაცრეცილ სახეზე ალისფრად ელავდა, ნაზსა და სურნელოვან თმიდან პატარა, ნაქანდაკარი ყური გამოკრთოდა.

აღისრულა პერმინემ საწადელი, მანამდე მოვკალი სატრფო, ვიდრე ჩემი გახდებოდა. ვგრძნობდი, საოცრება რომ ჩავიდინე. მუხლებზე დამზობილი ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ შემეფასებინა ჩემი საქციელი. ვერ გამეგო, კარგად, სწორად მოვიქეცი თუ არა. ნეტავ რას მეტყოდა ამაზე ის ბრძენი მოქადრავე, რას მეტყოდა პაბლო? არ ვიცოდი და არც ფიქრის თავი მქონდა. პერმინეს მიმჭრალ სახეზე უფრო და უფრო ალისფრად ელავდა ბაგე. ეს გაცრეცილი პირისახე ჩემს ცხოვრებას, ჩემს მისხალ-მისხალ გამოწონილ სიყვარულსა და ბედნიერებას მაგონებდა. ამ გაქვავებული სახის, თეთრი მხრებისა და ხელების შემყურეს საშინელი შიში მიპყრობდა, ვგრძნობდი, როგორ მოიპარებოდა ჩემკენ ზამთრის სიცივე და სიმარტოვე, თანდათან როგორ მეყინებოდა თითები და ტუჩები. ნუთუ საკუთარი ხელით ჩავაქრე მზე? ნუთუ თა-

გად სიცოცხლეს ამოვგლიჯე მკერდიდან გული? ნუთუ კოსმოსის მომაკვდინებელი სიცივე იჭრებოდა ახლა სივრციდან? ძრწოლვით შევყურებდი ქალის გაქვავებულ შუბლს, ჩამოშლილ კულულს, ყურის ნიჟარის გაცრეცილ კრთომას. ეს სიცივე მომაკვდინებელი, მაგრამ მაინც მშვენიერი იყო, წკრიალებდა, ნება-ნება ეღერდა და მუსიკასავით ხმიანობდა.

ოდესღაც, წარსულში ერთხელ ხომ უკვე ვიგრძენი ეს! მრწონდა, რომ ჰგავდა ბედნიერებას?! ერთხელ ხომ უკვე მოსმენილი მქონდა ეს მუსიკა?! დიახ, ეს მოცარტისა და უკვდავთა მუსიკა იყო!

ანაზღად ლექსი გამახსენდა, სადღაც რომ მქონდა ამოკითხული:

ჩვენ კი, მომხვედლნი სხვაგვარი სვესი,
ვიხაც წილად გვხვდა ვარსკვლავთა ხვედრი,
ვართ და არ ვიცით ჟამი და სქესი,
დღე და საათი, მამრი და მდედრი.
და ვარსკვლავების უდრეკ მწყობრივით
მარადიული გვაბრწყენს ციმციმი,
გვეღეშაპია ჩვენი ძმობილი,
მარადისია ჩვენი სიცილი...

სწორედ ამ დროს ლოყის კარი გაიღო და მოცარტი შემოვიდა. ხელმეორედ რომ შევხედე, მაშინლა ვიცანი, ნაწნავი აღარ ჰქონდა, აღარც მუხლებამდე შარვალი და აბზინდიანი ფეხსაცმელი ეცვა; თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილიყო, ისე ახლოს მომიჯდა, კინაღამ არ გავაფრთხილე, ჰერმინეს სისხლით არ დაისვარო-მეთქი. დაჯდა თუ არა, მოცარტმა მთელი გულისყურით დაუწყო კირკიტი გარშემო დადგმულ პატარა ხელსაწყოებს. აღტაცებით შევყურებდი მის მოქნილ, მარდ თითებს და გამიელვა, რა სიამოვნებით ვიხილავდი-მეთქი ამ ხელებს კლავიშებზე ამოძრავებულს. დაფიქრებული, უფრო სწორად, ოცნებაში წასული ვჭვრეტდი მის მშვენიერ ჰკვიან ხელებს, მისი სიახლოვე მათბობდა და, ცოტა არ იყოს, მაშინებდა კიდევ. ისე კი სულაც არ მაინტერესებდა, რა ჭანჭიკ-ხრახნებით იყო გართული და რას საქმიანობდა.

მოცარტმა რადიომიმღები ააწყო, მერე ჩართო და თქვა:

— ჰენდელის ფა-მაჟორის „კონჩერტო გროსოს“ გადმოსცემენ მიუნჰენიდან.

მართლაცდა, ჩემდა გასაკვირად და თავზარდასაცემად, თუნუქის ძაბრიდან ბრონქიალური ხველებისა და კბილებსშუა აღრაჭუნებული რეზინის ხმები შემომესმა, გრამაფონის პატრონები და რადიომსმენელები მუსიკას რომ უწოდებდნენ. მაგრამ, ამ ლორწოდან და ხრიწინიდან მალე ჭუჭყისგან განწმენდილი ძველი დიდებული სურათივით ამოიმართა ღვთაებრივი მუსიკის კეთილშობილი პანგები, მისი მეფური კილო, ცივი, ღრმა სუნთქვა და სიმთა სრულხმოვანება.

— ღმერთო ჩემო, მოცარტ! — წამოვიძახე შეძრწუნებულმა, — რას სჩადიხართ? ნუთუ მართლა გაქვთ განზრახული მეც ჩამაბათ ამ საზიზღრობაში და საკუთარი თავიც? ნუთუ მართლა აპირებთ თავზე დაგვამხოთ ეს საძულველი ყუთი, ხელოვნებასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბძოლაში ჩვენი დროების გამარჯვების მაუწყებელ უკანასკნელ ძღვევამოსილ იარაღად რომ ქცეულა?

ო, რომ იცოდეთ, როგორ გაიცინა ჩემმა ზარდამცემმა თანამოსაუბრემ!

რა ცივი, იღუმალი. უხმო და ამავე დროს გამანადგურებელი იყო ეს სიცილი! ნეტარებით შეჰყურებდა ჩემს ტანჯვას. ატრიალებდა წყეულ ხრახნებს, თუნუქის ძაბრს. ცდილობდა დასახიჩრებელი, გაუსულგულოებული, შეწამლული მუსიკა სიცილით როგორმე გარეთ გამოეღვნა. მერე სიცილითვე მიბასუხა:

— მეზობელო! აღტყინება რა საჭიროა! აბა ერთი ყურადღება შეიქცეოთ ამ რიტარდანდოს! სწორედ რომ აღმოჩენაა, არა? სულწასულო ადამიანო! შეეცადეთ თავში შეუშვათ ამ რიტარდანდოს იდეა! გესმით ბანის ხმები? ღმერთებივით არ მოაბიჯებენ განა?! დაე, მოხუცი ჰენდელის ამ აღმოჩენამ განჭოლოს და დააშოშმინოს თქვენი მშფოთვარე გული, კაცუნავ! აბა ერთი ყოველგვარი პათეტიკისა და დაციხვის გარეშე ყური მიუგდეთ ამ სასაცილო ყუთს და დაინახავთ, მია მართლაც სულელურ საფარქვეშ როგორ კიაფობს ამ ღვთაებრივი მუსიკის შორეული ხატი. ყური მიუგდეთ! აქ შეიძლება რაღაც-რაღაცები ისწავლოს კაცმა! ეს დამთხვეული რუპორი ამქვეყნად თითქოსდა ყველაზე უგუნურ, უსარგებლო და აკრძალულ საქმეს აკეთებს. ალაღბედზე, სულელურად, უხეშად და თავზებელაღებით გამოუხმობს გარეთ სადღაც შესრულებულ მუსიკას, თან ყველაზე გარკვეულ, ყველაზე უადგილო ადგილას ამახინჯებს მას. და მაინც არ ძალუძს ჩაკლას ამ მუსიკის პირველქმნილი სული და ჩვენ მხოლოდ მისი ტექნიკური უილაჯობისა და უსულგულო საქმიანობის მოწმენი ვხდებით. აბა კარგად მოუსმინეთ, კაცუნავ! ეს საჭიროა თქვენთვის! დაცქვიტეთ ყურები! აი, ასე. თქვენ ისმენთ კრამარტო რადიომიმღების მეოხებით პატივყრილ ჰენდელს, რომელიც ამ საზიზღარ ვითარებაშიაც კი ღვთაებრივად ეღერს, ჩემო ძვირფასო, ამასთან ერთად თქვენ ისმენთ და ხედავთ ჩვენი ცხოვრების შესანიშნავ სიმბოლოს. რადიოს სმენისას შეიტყობთ, რომ წარმოებს მუდმივი ბრძოლა იდეასა და მის განხორციელებას, დროსა და მარადისობას, ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის. ჩემო ძვირფასო, მოგეხსენებათ, რადიოს შეუძლია ამქვეყნიური ბრწყინვალე მუსიკის ჰანგები ათი წუთის მანძილზე აფრქვიოს ყველაზე წარმოუდგენელ ადგილებშიც კი, ბიურგერულ სალონებში იქნება ეს თუ სახლების სხვენზე. რადიოს შეუძლია თავზე დაამხოს ეს ჰანგები მსმენელებს, ლაქლაქით რომ იქცევენ თავს, საქმელს თქველედენ, ამთქნარებენ ანდა სძინავთ. რადიო ძარცავს მუსიკას, ჰპარავს მას სილამაზეს, ვნებას და გრძნობიერებას, აფუჭებს, ამახინჯებს და დორბლავს მას, მაგრამ მისი სულის ჩაკვლა მაინც არ ძალუძს. ცხოვრებაც, ვგრეთ წოდებული სინამდვილეს ზუსტად ასევე თამაშ-თამაშით ფანტავს სამყაროს სურათთა ბრწყინვალე დასს, ჰენდელის მუსიკას ფეხდაფეხ მოაყოლებს მოხსენებას საშუალო სამრეწველო საწარმოებში ბალანსია გასწორების ტექნიკაზე, ბგერათა გულისამრევ ლორწოდ აქცევს ორკესტრის ჯადოსნურ ჰანგებს, ცდილობს იდეას და სინამდვილეს, ორკესტრსა და სმენას შორის ჩაჩურთოს თავისი ტექნიკა თუ საქმიანობა, გასაჭირი და ამოება. ჩემო პატარავ, მთელი ცხოვრება ასეა მოწყობილი და აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. ერთი კია, თუ ვირები არა ვართ, სიცილ-სიცილში უნდა გავატაროთ ეს ყველაფერი. თქვენისთანა ადამიანს სულაც არ შეშვენის რადიოსი თუ ცხოვრების გაკრიტიკება. უმჯობესია, ჯერ მოსმენა ისწავლოთ! ისწავლეთ დინჯად შეხედოთ იმას, რაიც დინჯ მოპყრობას იმსახურებს. დანარჩენზე შეგიძლიათ იცინოთ! მაგრამ განა თავად კი უკეთ იქცეოდით?! განა თქვენი საქციელი კი უფრო მეტი კეთილშობილებით, გონივრულობითა თუ გემოვნებით გამოიჩინოდა?! არა და არა, ბატონო პარი! თქვე-

ნივე ცხოვრებიდან რაღაც საზიზღარი ავადმყოფობის ისტორია შეითხნეთ და საკუთარი ნიჭიერება უბედურებად აქციეთ. ახლა კი, როგორც ვხედავ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ, ამ მომხიბვლელსა და წარმტაც გოგონას დანა ჩაეციოთ გულში და სიცოცხლეს გამოასალმეთ! თქვენი აზრით, სწორია ეს?

— რაო, სწორიაო? რა თქმა უნდა, არა! — წამოვიძახე სანთწერკვეთილ-მა. — ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი ხომ სიყალბე, არნახტლი სხსტლელე და საძაგლობაა! მოცარტი მე პირუტყვი ვარ, უგუნური, გაავებული, დასნეულებული პირუტყვი. ამაში სავსებით მართალი ბრძანდებით. ხოლო რაც შეეხება გოგონას, ყველაფერი მისი თანხმობით მოხდა, მე მხოლოდ სურვილი აღვუსრულე.

მოცარტმა უხმოდ გაიცინა, მაგრამ მაინც მოიღო წყალობა და რადიო გამორთო. თავის მართლება უეცრად რატომღაც ძალზე სულელურად მეჩვენა, თუმცა კი ეს წუთია გულწრფელად მჭეროდა ჩემი სიმართლისა. მერე გამახსენდა: ერთხელ პერმინემ დროსა და მარადისობაზე რომ ჩამოაგდო ლაბარაკი, მზად ვიყავი მისი აზრები ჩემი საკუთარი აზრების ანარეკლად ჩამეთვალა; ხოლო როცა პერმინეს დაებადა ის აზრი და მითხრა, შენი ხელით უნდა მოვკვდეო, არც კი მიცდია გადამეთქმევიანებინა. კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ეს შემზარავი, უცნაური აზრი არამეტუ დასაშვებად და სარწმუნოდ მივიჩნიე, წინასწარ კიდევ გამოვიცანი?! იქნებ იმიტომ, რომ მეც ამასვე ვფიქრობდი? რაღა სწორედ იმ დროს მოვკალი პერმინე, როცა იგი სხვის მკლავებში შეიშველი ვიზილე?

მოცარტმა მრავლისმცოდნე კაცის სიცილით გაიცინა, დამცინავად და უხმოდ.

— რა ხუმარა ყოფილხართ, პარი! — მითხრა შემდგომ, — ნუთუ ამ ლამაზ გოგოს გულში დანის ჩაყვების მეტი არაფერი უნდოდა თქვენგან? ჩემო კარგო! ეგ საკენკი სხვებს დაუყარეთ! ისე კი მარჯვედ გაგიყრიათ დანა, საბრალო გოგო მყისვე გათავებულა. სხვათა შორის, ვგონებ, დროა დავუფიქრდეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თქვენს საქციელს ამ ბანოვნის მიმართ! ან იქნებ აპირებთ სასჯელს დაუძვრეთ?

— არა და არა, — წამოვიძახე მე, — ნუთუ ვერაფერი გაიგეთ? რაო, სასჯელს დავუძვრეო? ამქვეყნად ახლა უკვე ერთადერთი სურვილი მამოძრავებს. მინდა დანაშაული გამოვისყიდო. დიან, გამოვისყიდო! დაე, მომკლან, მომსპონ, ახლა მე ყველაფრის ღირსი ვარ!

მოცარტმა საოცრად დამცინავე მზერა მესროლა.

— ერთობ მაღალფარდოვნად კი მსჯელობთ! მაგრამ იმედია, იუმორს ისწავლით, ჩვეულებრივ იგი სახრჩობელამისჯილი კაცის იარაღია, პოდა, სწორედ სახრჩობელაზე გაიგებთ მის ფასს. მზად ხართ კია ამისათვის? პო, კეთილი და პატიოსანი, რაკი ასეა, მიბრძანდით პროკურორთან და შეეცადეთ როგორმე გაუძლოთ სასამართლოს მთელ დავიდარაბას, რადგან იქ იუმორის ნატამალს ვერ წააწყდებით. მერე კი მოემზადეთ, რომ ერთ სისხამ დილას ციხის ეზოში უდრტვინველად მოგკვეთონ თავი. ამისათვისაც მზადა ხართ?

ანაზღად ჩემ წინ წარწერა აკიაფდა:

პარის სიკვდილით დასჯა

თანხმობის ნიშნად თავი დავაქნიე. და აი, მოულოდნელად ციხის ეზოში

აღმოვჩნდი. ეზოს გალავანში გისოსიანი ფანჯრები იყო ჩატანებული. იქვე გაკრიალებული გილიოტინა მოჩანდა. ეზოში მოსასხამებსა და სერთუკებში გამოწყობილი ათიოდე კაცი იდგა. მეც გამიყვანეს. ადრიანი დილის სუსხით გათოშილს, გული შიშნარევი დარდით მქონდა შეკუმშული. მაგრამ ყველაფერზე ყაბულს ვიყავი, ყველაფერს მზადყოფნით ვხვდებოდი.

ბრძანება გასცეს თუ არა, რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოვდგი და მუხლებზე დავეცი. პროკურორმა ქუდი მოიხადა და ჩაახველა. დანარჩენებმაც ჩაახველეს. პროკურორმა გრავილი გაშალა და კითხვა დაიწყო:

— ბატონებო! თქვენ წინაშეა პარი პალერი; მას ბრალად ედება ჩვენი მაგური თეატრის ბოროტად გამოყენება. როცა მან ჩვენი მშვენიერი სურათების გალერეა ეგოეთ წოდებულ სინამდვილესთან გააიგივა და გათქვიფა, ხოლო სარკეში არეკლილი გოგონა ასეთივე არეკლილი დანით სასიკვდილოდ განგმირა, ამ საქციელით მართოდენ ჩვენი მალალი ხელოვნება როდი შეურაცხყო! იგი არაიუმორისტული გზით შეეცადა ჩვენი თეატრი თვითმკვლელობის იარაღად გამოეყენებინა! ამიტომაც სასამართლომ პალერს მარადიული სიცოცხლის განაჩენი გამოუტანა. შემდგომ ამისა, მას თორმეტი საათის განმავლობაში აეკრძალა ჩვენს თეატრში შემოსვლა. ამასთან ერთად ძალაში რჩება ბრალდებულისათვის გამოტანილი ერთჯერადი დაცინვის განაჩენიც. ბატონებო! ვთხოვთ, აღასრულოთ! ერთი, ორი, სამი!

მესამე თვლაზე ყველა იქ მყოფი ერთად ახარხარდა; ეს ციური დასის სიცილი იყო, ადამიანის ყურისათვის აუტანელი, არაამქვეყნიური და შემზარავი.

გონს რომ მოვეგე, მოცარტი ისევ ჩემ გვერდით იჯდა; მან უწინდებურად მომითათუნა მხარზე ხელი და მითხრა:

— ხომ გაიგეთ, რა განაჩენიც გამოუტანიათ თქვენთვის? თავს ძალა უნდა დაატანოთ და მომავალში შესძლოთ ცხოვრების რადიომუსიკის მოსმენა. ეს სასარგებლო იქნება თქვენთვის! ჩემო საყვარელო, სულელო ბიჭო! დიდი ნიჭიერებით ვერ დაიკვებხნით, მაგრამ, ვგონებ, თანდათანობით მიხვდებით, რას მოითხოვენ თქვენგან; სიცილი უნდა ისწავლოთ, აი, რა! უნდა მიხვდეთ, რას ნიშნავს ცხოვრების სახრჩობელაზე ასული კაცის იუმორი. რა თქმა უნდა, ამქვეყნად ყველაფრისთვის ხართ მზად, გარდა იმისა, რასაც თქვენგან მოითხოვენ! მზად ხართ მკერდში დანა ჩასცეთ გოგონას და ზეიმით შეხვდეთ სიკვდილს; ალბათ ასევე მზად ხართ ასი წლის მანძილზე ამათრახოთ და დათრგუნოთ საკუთარი ხორცი, ასეა თუ არა?

— დიახ, დიახ, რასაკვირველია; სულითა და გულით მზად ვარ! — შევძახე მთელი გრძნობით.

— ო, რა თქმა უნდა, დიდბუნებოვანი ადამიანი ბრძანდებით და კაცმა შეიძლება ნებისმიერი უგუნური და იუმორსმოკლებული საქციელი ჩაგადენინოთ, ყველაფერი გაგაკეთებინოთ, რაც პათეტიკურია და გონებამახვილობას მოკლებული, მაგრამ ჩემი გაბიაბრუება არც ისე ადვილია. ვფიქრობ, ეგ თქვენი რომანტიკული ცოდვების მონანიება გახვრეტულ გროშადაც არ ღირს. დაუდევარო ადამიანო! სიკვდილით დასჯასა და თავის მოკვეთას ელტვიოთ! ამ სულელური იდეალისათვის მზად ხართ კიდევ ათობით მკვლელობა ჩაიდინოთ! დალაზეროს ეშმაკმა! სიკვდილი კი გინდათ, მაგრამ სწორედაც რომ უნდა იცოცხლოთ! ისე კი ახია თქვენზე უმკაცრესი სასჯელი დაგადოთ კაცმა!

- მაინც რა სასჯელია ასეთი?
- მაგალითად, ეს გოგონა გავაცოცხლოთ და ცოლად შეგროთ.
- არა, ამისთვის შემზადებული არა ვარ. შეიძლება დიდი ცოდვა დატ-
რილდეს.

— ვითომ უკვე საკმაო ცოდვა არ გქონდეთ დატრფალებული! მაგრამ ახლა ბოლო უნდა მოელოს ამ პათეტიკასა და აცთველას! ბოლოს გონს მოდით! თქვენ უნდა იცოცხლოთ, ისწავლოთ სიცილი და ცხოვრების წყვეული რადიომუსიკის მოსმენა! აი, მაშინ კი შესძლებთ მოწიწებით მოეპყ-
რათ მის მიღმა მიმალულ სულს. უნდა შეიძლოთ დასცინოთ მუსიკის ამ გნი-
ასს, ეს არის და ეს, მეტი თქვენ არაფერი მოგუთხოვებათ.

დანა პირს არ მიხსნიდა და კბილებში ჩუმადლა გამოვცერი:

— კი მაგრამ, ბატონო მოცარტ, ვთქვათ, და უარი განვაცხადე? ვთქვათ, არ მოგეცით ნება ტრამალის მგელი თქვენს ჭკუაზე ატაროთ და მის ბედ-
ილბალში ჩაერიოთ?

— მაშინ ჩემი რჩევა იქნება ერთხელ კიდევ მოგეწია ეს მშვენიერი სიგა-
რეტი, — ძალზე მშვიდად მომიგო მოცარტმა.

ვიდრე ამას იტყოდა და უაღრესი ჯიბიდან ჩამბაზის სიმარჯვით დააძვრენ-
და სიგარეტს, იგი მოცარტი აღარ იყო. ახლა მუქი, უჩვეულო თვალებით
ჩემი მეგობარი პაბლო შემომცქეროდა გულთბილად, ტყუპისცალივით ჰგავდა
იმ კაცს, ფიგურებით თამაში რომ მასწავლა.

— პაბლო! — წამოვიძახე შემკრთალმა, — პაბლო, სადა ვართ?

პაბლომ სიგარეტი მომაწოდა და მომიკიდა.

— ახლა ჩემს მაგიურ თეატრში ვიმყოფებით. შეგიძლია ინატრო, რაც
გინდა: ტანგოს სწავლა იქნება ეს, გენერლობა თუ ალექსანდრე დიდთან გასა-
უბრება; მოკლე ხანში ყველა სურვილი აგისრულდება, მაგრამ, პარი, ისიც
უნდა ვითხრა, რომ, ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუე. თავგზა სულმთლად და-
გებნა, ჩემი პაწია თეატრის იუმორი ხელპყავი და საშინელი უმსგავსოება
ჩაიღინე, დანა იხმარე და ჩვენი სურათ-ხატთა წარმტაცი სამყარო სინამდვი-
ლის ლაქებით წაბილწე. ნამდვილად არ გეკადრებოდა ასეთი საქციელი. იმე-
დია, ეს ყველაფერი ექვიანობის ნიადაგზე მოიმოქმედე, რაკილა მე და პერმი-
ნე ერთად მწოლიარე დაგვინახე. აი, ამ ფიგურას, სამწუხაროდ, არ გცოდნია,
როგორ უნდა მოქცეოდი, მე კი მეგონა, უკეთ იყავი დაუფლებული თამაშს.
არა უშავს რა, ამ საქმეს ადვილად მოევლება.

პაბლომ პერმინე ხელში აიყვანა. ქალი მის თითებში უეცრად დაპატა-
რავდა და საჭადრაკო ფიგურის ოდენა გახდა. მერე პაბლომ იგი იმ ჯიბეში ჩა-
ისვა, საიდანაც წელან სიგარეტი ამოიღო.

სასიამოვნოდ იფრქვეოდა ირგვლივ სქელი ავამლის მოტკბო სურნელი.
თავი გამოცარიელებული მქონდა და მზად ვიყავი თუნდაც მთელი წელი გამე-
ტარებინა ძილში. დიახ, ახლა კი მივხვდი ყველაფერს. პაბლოსიც გავიგე და
მოცარტისაც. სადღაც, ზურგს უკან მისი შემზარავი სიცილი შემომესმა. ვი-
ცოდრი, რომ ახლა ჯიბეში მეწყო ყველა ფიგურა, რომლითაც შემედლო ასა-
ათასი ცხოვრება ამეწყო და გამეთამაშებინა. გაოგნებული ვცდილობდი ჩავ-
წვდომოდი თამაშის არსს, მეწადა ხელახლა განმეცადა ამ თამაშით მოგვრილი
ტანჯვა, ერთხელ კიდევ შევძრწუნებულიყავი მისი უაზრობით. დიახ, დაუოკე-
ბელი სურვილი მქონდა. ისევ და ისევ გამეველო ჩემი თვითარსის ჯოჯოხეთი.

გულში გავიფიქრე, ერთხელაც იქნება შევძლებ უკეთესად თამაშს, ერთხე-
ლაც იქნება ვისწავლი სიცილს-მეთქი. მე მელოდა პაბლო, მელოდა მოცარტი.

გლენებთან, ჩრდილში სხედან პანთა სუფრის წევრებიც
და ჟღერს მუსიკა მხიარული, სოპლიცელების;
ამ დროს ტადეუშს დაუძახეს, მაგრამ საცოლეს
წამით არ ტოვებს, ჩუმად ახალ ამბავს აცნობებს:
„ზოფია, იქნებ შენც ღირსეულ აზრად მიგაჩნდეს,
რასაც აქ გეტყვი, რაც ჩემსავით ესმის ბიძაჩემს:
შენი კუთვნილი მამულები, ყველა სოფელი
ჩემი გახდება, მე ვიქნები მათი მფლობელი,
მაგრამ შენს გლენებს თუ არ ვიცნობ – რა ავუკრძალო?
მათსაც ქალბატონს თუ არ ვკითხე, მათ რა ვუბრძანო?!
როცა სამშობლო საყვარელი ახლა ჩვენია,
ბედნიერებად ყმა-გლენობას რა დარჩენია,
გარდა იმისა, სხვა ბატონი რომ მოუვიდათ,
რომ მათ ისევე მოვექცევით – მხოლოდ გულთბილად.
გარდა მიწაზე ოფლის ღვრისა, გარდა წვალების,
მათ რას ვუტოვებ შემდგომ ჩემი გარდაცვალების?
ჯარისკაცი ვარ და ვიცი, რაც მოკვდავთ მოგველის;
ჭირვეულობით ბატონთაგან ვცოდავთ ყოველი,
არც ყველა გლენი გვეყოლება ორს მადლობელი,
ადამიანი ვარ და მერქვას მონათმფლობელი?
ხელისუფლებას ვანდოთ ყველა და მივაკუთვნოთ,
უნაღვლოდ ვითვლით, როცა მათ ბედს კანონს დავუთმობთ:
ჩვენ, თავისუფლებს, რა ოცნება არ გვისრულდება!
გლენებსაც მივცეთ სანატრელი თავისუფლება!
მემკვიდრეობით მიიღებენ მიწას მშრომელნი,
სადაც შობილან და მოურწყავთ სისხლით რომელიც,
რითიც ცოცხლობენ; რაა მათი ყოფა უმიწოდ?
მაგრამ გაფრთხილებ, ამთავითვე არ დავივიწყოთ,
რომ დაგვადონებს, მეგობარო ჩემო, ზარალი,
რომ მოგვაკლდება მამულების შემოსავალი,
რომ ხელგაშლილად ვერ ვიცხოვრებთ, როგორც გვჩვეოდა;
მე ბავშვობიდან შევჩვევივარ მომჭირნეობას,
შენ კი, მაღალი წრის ქალიშვილს, აქ დასაზრობად

* დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3.

გავემეტება მშვენიერი ახალგაზრდობა?
 დედაქალაქში გაქვს უტკბესი წლები გავლილი,
 სოფლად ცხოვრება შეგეძლება გლეხის ქალივით?
 მორიდებულად უპასუხა მიჯნურს ზოსიამ: *ერწმუნებელი*
 „ქალი ვარ, სახლში ხელისუფლობს – ვინც უფროსია, *მეცა*
 რასაც გადაწყვეტ ჩემი ქმარი, თანხმობის გარდა,
 რა მეთქმის? მე ჯერ სამბრძანებლოდ ვარ ახალგაზრდა.
 თუ უფლებათა დათმობისას გაღარიბდები,
 ტადეუშ, მაშინ ჩემთვის ასმაგ გარაინდდები,
 სოფელში ობლად გაზრდილს ბედმა არ გამიწბილა,
 ჩემი წარსულის, წარმომობის არა ვიცი რა.
 მხოლოდ ეს მახსოვს, სოპლიცებმა როგორ მიშველეს,
 ერთი საწყალი, უპატრონო გოგო მიშვილეს,
 მათ მომიარეს, მათ გამზარდეს და გამათხოვეს,
 უნახაობა ქალაქისა აღარ მალონებს,
 სოფელი მიყვარს, არ მაშინებს, არა, ძვირფასო,
 როდის ვცხოვრობდი დიდ ქალაქში, აღარც კი მახსოვს,
 გჯეროდეს, როცა მოვიგონებ დღეებს ურგებელს –
 მერჩია ჩემი ჯუჯულები პეტერბურგელებს.
 ხალხი მართობდა, ბავშვს ნაღველი როცა მწვევია,
 ახლა ქალაქის ის წრე ჩემთვის მოსაწყენია.
 ზამთრის ვილნოში სულ ცოტა ხანს სტუმრად ყოფნისას
 მივხვდი, რომ მყუდრო ყოფა მიყვარს უფრო სოფლისა,
 მენატრებოდა სოპლიცოვოს ხალხთან გართობა;
 საქმეს არ გუკრთი, მომდევს ჯანი, ახალგაზრდობა.
 სახლობის საქმე: გასაღებთა კარგად შენახვა,
 კერის მოვლა და სხვა რაც ვიცი, აღბათ შენც ნახავ“.
 ვიდრე ზოსია თავის სათქმელს დაამთავრებდა,
 გერვაზიმ კუშტად, მოსვლის უმაღლეს, თქვა ნამთვრალეებმა:
 „რაც განგიზრახავს, მოსამართლის პირით გავიგე,
 თავისუფლებას და საკუთარ მიწებს არიგებ.
 მაგრამ მამულებს რა მოუვა, ვერ გამიგია!
 დიდად მაშინებს და მგონია, ეგეც ხრიკია
 უცხოურ მოდის, რაც უცხოურ ყალიბს უხდება,
 გლეხებს, შლახტელებს სწამთ სხვაგვარი თავისუფლება!
 ადამის ძენი ვართ ყველანი, გამიგონია,
 თუმცა ხლოპობას წინაპარი ხამი ჰყოლია,
 ებრაელობას – იაფეტი, შლახტელებს – სემი,
 ოღონდ, თითქოსდა სხვებს ვჯობივართ, ისე ვიქცევით.
 ოღონდ ქადაგებს სულ სხვაგვარად მღვდელი წირვისას,
 რომ ის კანონი იყო ყოვლად ძველი ძირისა,
 რომ ქრისტემ, თავად მეფის სწორმა, გომში შობილმა,
 ებრაელთ შორის, ყველა ფენა დააძმობილა.
 დე, ეგრე იყოს, ეგრერიგად რაკი სჯობია!
 განსაკუთრებით კი ვთხოვ ჩემს დიდ პანი ზოფიას,

უფლება თუ აქვს, მან მიბრძანოს და შესრულდება...
 მაგრამ არ იყოს ეს ისეთი თავისუფლება,
 როგორც ურჯულო კარპმა¹ სცადა ერთხელ ოდესღაც,
 თავისუფლება მიანიჭა გლეხებს, რომლებსაც
 ხელმწიფე შემდეგ სამმაგ დალას ახდევინებდა.
 გირჩევთ, გლეხებიც შლახტელები გახდნენ იქნება,
 და ძველი წესით ჩვენი გერბი მათ დაუულოცოთ,
 ჯარის ერთ ნაწილს მიწა დიდმა პანმა უბოძოს,
 სხვა დანარჩენებს — პან სოპლიცამ; ასე თუ მოგწონთ,
 გერბიან გლეხებს რემბაილოც მაშინ უფრო ცნობს,
 როგორც შლახტელ ძმებს. და სეიმიც თქვენ მოგემხრობათ,
 დიდძალ მამულებს ჩააბარებთ ერთობ, გლეხობას,
 მაგრამ ნუ შიშობთ, ხილარიბე არ დაგეტყობათ,
 გადამალული მაქვს ხიმლიდრე, თქვენ რაც გეყოფათ,
 დმერთმა აშოროს, პაპის სულის სანუგეშებლად,
 პანი ზოხიას ხელებს შრომით გაუხეშება.



მე ერთი რაღაც ვიცი კოშკში გადამალული,
 რა არის მასთან პორეშკას და სხვათა მალული,
 სკივრში, სპილოს ძვლის ვეშაპებთან ჩახავთ საუნჯეს:
 ბეჭდებს, ალმასებს, ოქროს ძეწკვებს, მრავალ ჯამ-ჭურჭელს,
 ოქროს ფიალებს, ოქროს გემებს და სამაჯურებს,
 რომლითაც წლებმა პან სტოლნიკი დაასაჩუქრეს.
 ძვირფასი განძი მიწაშია ღრმად ჩამარხული,
 პანი ზოფიას ზღაპრულ მზითვად გადანახული.

მას ვუვლი, ისე ვუფრთხილდები, ვითარც თვალისჩინს,
 მემკვიდრეობად რაც დარჩება მდიდარ ქალიშვილს,
 განძს ვიცავ ყაჩაღ-მძარცველთაგან, მეფის კაცთაგან
 და თქვენგან, ჩემო პან ტადეუმ, სოპლიცათაგან,
 ახლა კი ვუთვნილ ტალერებზე ვდავობ, რომელიც
 სტოლნიკთან ერთგულ სამსახურის გამო მომელის.
 ვფიქრობდი, ძველ ქიშპს მოვრჩებოდით და იმ ფულებით
 შევაკეთებდი კოშკს, — როდესაც დავიბრუნებდით.
 დღეს კი ფულს ახალ პანს ვაბარებ ხელშეუხებლად,
 პანი სოპლიცავ, მეც წილად ვხვდი თქვენს შეუღლებას,
 შენს ხელქვეითად აქ დავრჩები, შენი კვნესამე,
 გავზრდი თაობას პორეშკათა ჭურჭვემ მესამეს,
 ხმაღში გავწაფავ ჩემი დიდი ქალბატონის შვილს,
 თუ ბიჭი იქნა, ხმლის სიყვარულს განა მოიშლის!
 ბიჭი იქნება! ბიჭად ჩავთვლი იმას დღეიდან,
 რადგან ომის წინ სულ ბიჭები იბადებიან“.

ის იყო კიდევ დაასრულა სიტყვა მოხუცმა —
 პროტაზი მათკენ ერთ სამხედრო პირს გამოუძღვა,

¹ იგნატი კარპი — 1803 წ.-ს კილნოს მხარეში გაათავისუფლა თავისი გლეხები, რომლებიც ეკონომიურად შემდეგ ძალიან დაეცნენ.

გულის ჯიბიდან ამოიღო ოდა იმ წამში,
როცა ზვიადად შედგა იგი ორთა წინაშე;
მისი თანმხლები ოფიცერი წერდა ოდესღაც
დედაქალაქში, გრძელ ლექსებთან ერთად, ოდესღაც,
ჯარშიც განაგრძო პოეტობა, არ მოიწყინა,
უშველებელი ოდით ახლაც გამოიბრწყინა.
პროტაზი უკვე მესამასე სტრიქონს გასცილდა,
მიუახლოვდა პწკარებს: „პოი, იყო რა წმინდა,
რა მტკივნეული სიხარული ამო წამების!
შენი ლამაზი სახის ერთი ამოძრავებით
ყველა სიავის გაყინული ქვაც კი გააღღვე,
შენ ჰიმენის იარაღით მარსი დაღაბვრე,
ხელით მოჰგლიჯე გველი შუბლზე შემოხვეული!“
ვაჭქუხდა ოდა —ახალ მოღად შემოღებულნი,
პან ტადეუშის და ზოფიას გულს აოსებდა,
მათ ტაში დასცხეს, რადგან აღარ სურდათ მოსმენა.
სკამზე შემდგარა სწორედ მაშინ მღვდელი სოფლისა
და, რაზეც მასთან საუბრობდა წელან სოპლიცა —
ხმამალლა უთქვამს ტადეუშის ნება-სურვილი,
მაგრამ ამითი ვერ მოუხლავს ყველას წყურვილი.

როგორც კი ასეთ ახალ ამბავს მოჰკრეს მათ ყური,
ყველანი პანთან და პანისთან მოდგნენ ხმაურით,
„ვაშა ჩვენს პანებს!“ აღმოხდებათ, თვალეცრემლიანნი,
მუხლმოდრეკილნი წყვილის ფერხთით დაეცემიან.
დაძახებამდე ტადეუშმა ღრმად ჩაისუნთქა:
„ვაშა თანასწორუფლებიან და თავისუფალ
პოლონეთს“, თქვა და სჭექს დომბროვსკიც: „ხალხს გაუმარჯოს“
ხალხი პასუხობს: „ჩვენს ბელადებს, ჯარს გაუმარჯოს!“
ყველა მიწა-წყალს, ჯარსა და მშობელ ხალხს უსურვებდა
დღეგრძელობას და გამარჯვებას დაუსრულებლად.
მარტო ბუხმანი დარჩა განზე, რადგან პროექტი
მოსწონდა, ოღონდ შენიშვნებით და ჩასწორებით;
ჯერ ლეგალური კომისია უნდა შეექმნათ,
რომ განეხილათ დაწვრილებით, რომლის შედეგად...
რჩევები მისი დრომ დატოვა მხოლოდ რჩევებად;
დრო ველარც ცეკვამოწყურებულთ შეაჩერებდა.

სამემკვიდრეო კომისიის ჩანან გამწკრივებული
ქალბატონები — ოფიცრებთან დაწყვილებულნი,
ჯარისკაცებთან და ქალებთან დგანან წყვილებიც
თანასოფლელი გოგონების და ყმაწვილების.
აჰა, ორკესტრიც სამხედროთა იმ წამს ეახლათ,
პოლონეზიო! ერთხმად ყველა წყვილმა შესძახა,
მაგრამ სოპლიცამ ჩასჩურჩულა ბატონ გენერალს:



ქართული
საქმიანობა

„უბრძანე, ახლა არ დაუკრან მათ პირველებმა, გვემართებს, ოჯახის ძველი წესით, ჯერ სიმღერებით, ცეკვით აღვნიშნოთ დღე ჩემი ძის ბედნიერების. შეხედე, უცდის ციმბალისტი მევიოლინეს, მესალამურე მოუთმენლად ელის ორივეს, კობზარს თვალეში ელვა უკრთის აღტკინებისგან; ეგენი ახლა რომ გავუშვა, ატირდებიან. ჯერ მათ დაიწყონ, აჰყვებიან შემდეგ სტუმრები, სხვა მუსიკაზე ვერ დახტიან ჩვენებურები“.

ნიშანი მისცეს და სახელოს ზემოთ აიწევს, მევიოლინე ვრიფს ჩაბლუჯავს, ხემით დაიწყებს საკრავზე ნიკაპდაყრდნობილი სიმთა ეღერებას, მესაყვირენი ჩაბერავენ მისაშველებლად, აიტაცებენ მოტივს, მხრები ფრთებად ერხევათ, მძლავრი ჩაბერვით ჰანგი უცებ ცეცხლში ეხვევა, გაფრინდებიან, თითქოს იწყეს ცისკენ აწევა, როგორც ბავშვებმა ბერეასის წითელლაწვებამ, სამწუხაროა, ციმბალისტთა ხმა რომ არ ისმის, ბევრი არიან, მაგრამ დაკვრის არ აქვთ ხალისი, მათ იანკელი ახლომახლო როცა ეგულვით, ციმბალზე დაკვრას ვერ ბედავენ მოკრძალებულნი (მთელ ზამთარს იგი სადღაც იყო, ვერსად ენახათ, ახლა კი ჯართა მთავარ შტაბთან ერთად ეახლათ), მისი ნიჭის და ხელოვნების ყველას სჯეროდა, მუსიკის ენით ჯადოქრული ენამჭევრობა და სულში ცეცხლის გაჩაღება ემარჯვებოდა, დაუკარიო, ახლაც ყველა ეაჯებოდა; ბოლოს ებრაელს ხალხი როცა არ მოეშვება, მოიმიზეზა მან ხელების გაუხეშება, გადაჩვევა და დიდი რიდი სარდალთ წინაშე თავს დახრის იგი მოკრძალებით, მაგრამ იმ წამში მასთან ზოსია გამოჩნდება და ხემს მიართმევს, თან თეთრ წვერებზე მოფერებით თვალეებს მიანთებს, თხოვს: „თუ ხათრი გაქვს, დაუკარი რამე, იანკელ, დღე ნიშნობისა ვარსკვლავივით ამიკიაფე, ჩემს დღეობებზე რომ უკრავდი, ისე დაუკარ!“

ზოსიას ხვდება იგი, როგორც პირმშოს სახუკვარს, თანხმობის ნიშნად თავს დაუკრავს და სავარძელზე, შუა სცენაზე მას პატივით დააბრძანებენ, მერე მუხლებზე დაუდებენ თავის ციმბალას; ომის ვეტერანს ჰგავს მოხუცი — ჯარში მიმავალს, შვილიშვილები რომ აწვდიან ხმაღს მხიარულნი, დაფიქრებული რომ უცინის მათ სიყვარულით, თუმც არ სჭერია იარაღი — ათი წელია, მაგრამ მაინც სწამს — ხმალი ხელს არ დავიწყებია.

ორმა შევირდმა დაიჩოქა მის ციმბაღასთან,
 ყმაწვილნი საკრავს აუწყობენ სიმებს თანდათან;
 იანკელს თავი დაუხრია და მოთმინებით
 ხემს ათამაშებს, ფიქრში იღებს აკორდს თითებით,
 უცებ დასცხო მან ხემი სიმებს და ხმა გამოსცა
 მეორე დარტყმა წააგავდა თავსხმას საოცარს,
 კოკისპირული წვიმასავით ხმები აწვიმა,
 მხოლოდ მოსინჯა და ორივე ხემი ასწია;
 როცა დაუკრა კვლავ, ფარფალი იწყეს ხემებმა,
 თითქოს ბუზის ფრთა უფაქიზეს სიმებს ეხება
 და ძლივს გასაგონ ბგერებს არხვეს ათრთოლებული,
 მაესტრო ცაში იყურება შთაგონებული,
 მერე დახედავს, შეაფასებს — რა ხმას გამოსცემს,
 კაი ხნის წინათ მიტოვებულ საკრავს ამოწმებს.
 ბოლოს ორივე ხემი დასცხო სიმებს ოსტატმა,
 მსმენელებს მთელი გულისყური ისევ მოსტაცა,
 ხმა გადმოღვარა კაპელაზე არანაკლები,
 თითქოს აჟღერდნენ ზარები და ზანზალაკები;
 „სამი მაისის პოლონეზი“ ლამაზ სათუნებს
 და ყმაწვილკაცებს საცეკვაოდ წამოახტუნებს;
 მოხუცთა ფიქრი კი წარსულში მოჰყავს იმ ბგერებს,
 როცა ელჩები, სენატი და ხალხი სიმღერებს
 უძღვნიდა მეფეს შეხვედრისას ცეკვა-თამაშით
 ყოველ სამ მაისს და რატუმის ელვარ დარბაზში
 დიდხანს ისმოდა: „ჩვენს ხელმწიფეს ვივა!.. დიდება!..
 სეიმს დიდება!.. პოლონეთის მიწას დიდება!“
 ოსტატის ხელში იძაგრება ბგერა ზამბარად,
 და უცბად ერთმა ცრუ აკორდმა სმენა გაბზარა
 როგორც შუშაზე რკინის ნაჭრის გაღრჭიალება,
 ყველა ძრწუნდება, ყველა იჭვით განიმსჭვალება,
 აღბათ საკრავი მოეშალა ან შეეშალა?
 მხიარულება წინათგრძნობამ შავმა შეცვალა,
 მაგრამ იანკელს არ შეშლია!.. ვანგებ არხვედა
 ხემით იმავ სიმს, ბგერის უფრო ასამაღლებლად,
 იმეორებდა კვლავ ხმამაღლა აკორდს დარღვეულს
 და აქიშპებდა სხვა აკორდებს — ხმაშეთანხმებულს.
 ხალხის ბუნება შვეებით ისევ გამოიცვალა,
 მეგასაღებემ ჭეჭა: „ეგ ხომ ტარგოვიცაა!“
 ამ დროს ბოროტი ბგერა გაბმულ სტვენად იქცევა,
 მუსიკის მაღალ, მძლავრ ტონებთან ერთად იცვლება
 და ისევ ხემის მეშვეობით მოქრის ბანებთან,
 უფრო ხმამაღალ, მძლავრ ბგერათა ჯგრო იბადება,
 მარშის ტაქტიდან ისმის ზრინვა ომის, შეტევის,
 სროლის, მტირალი ბავშვების ხმა, მოთქმა დედების.
 დიდმა ოსტატმა ომის მთელი საშინელება

ისე დახატა, რომ ქალებმაც თვალის შევლება შესძლეს ცრემლების ღაპალუპით და შეძრწოლებით ამბად სიმღერად გაგონილი პრადის ბრძოლების. ბოლოს დარეკა ყველა ბგერა მან და იმ წამში მოგუდა კიდევ, ჩარეკაო თითქოს მიწაში.



ძლივს რომ დამშვიდდნენ მსმენელები აღტაცებულნი, ისევ მოესმათ სხვა მუსიკა ახლად წვეული, სიმები თრთიან კვნესით, ნაზად ხმადაწეული, როგორც ბუჩქი ობობას ქსელს თავდაღწეული. ხმა ზემოთ იწევს, ფართოვდება ნელი ტონები, მათ ებადება აკორდების ლეგიონები, რეკვისმაგვარი თანხმოვანი ხმები ირხევა, თანდათან ჩნდება მეომრული ძველი სიმღერა ჭაობების და უღრან ტყეთა ტყვე ჯარისკაცზე, შინ რომ შიმშილით გატანჯული ველარ მიაღწევს, ბოლოს ცხენის წინ დაეცემა და მიუსაფარს თავისი რაში ფლოქეთა ცემით გაუთხრის საფლავს. ამ ძველ სიმღერას, პოლონეთის ჯარის საყვარელს, სამხედროებმა პატივი სცეს, თავი დახარეს.

ყველა შემოკრბა იანკელთან და მოაგონდათ დრო საშინელი, როცა წრფელი პანგი აბორგდა, სიმღერა იგი მთელ პოლონელ ხალხს ედებოდა, ძველ ჯარისკაცებს ახლა მისით ახსენდებოდათ თოშში, ყინვაში, ხვატში ძმებთან ერთად წამება, ხალხური პანგი საზიდარშიც ბევრს აწყენარებდა, უცბად ასწია ყველამ თავი, რადგან ხმამალლა ოსტატმა ხმები ტაქტის შეცვლით კვლავ განაახლა, თვალი შეავლო საკრავს მან და ორივე ხელით ისე ღონივრად დასცხო სიმებს ორივე ხემი, რომ საყვირების ხმებად ძლევის მარში გამოსცა, ცნობილი იყო ის სიმღერა ხალხში საოცრად: „ისევ ფეხზე დგას პოლონეთი! წინ, წინ! დომბროვსკი, პოლონეთისკენ!“ ყველამ ტაში დასცხო, ბოლოს კი თითქოს მას თავად აოცებდა, რასაც უკრავდა, ხემებს თითები შეუშვა და ჩამოუვარდა მელიის ქუდი მხრებზე ცისკენ ხელებადმართულს, ღაწვები წითლად უღვიოდა წვერებგაბარდულს ახალგაზრდულად მოელვარე, ფართო თვალები დომბროვსკისაკენ მიემართა აღფრთოვანებით, მერე სახეზე მიიფარა სწრაფად ხელები, წასკდა ბერიკაცს შეუწყვეტელ ღვარად ცრემლები. „ლოცვა გელოდა, გენერალო, — თქვა აღელვებით, — დიდხანს გელოდა, როგორც მოსეს — ებრაელები.“

დიდი ხნის წინათ უკარნახა ხალხს წინათგრძნობამ,
რომ სასწაულით მოვლენიხარ მათ წინამძღოლად.
დიდხანს იცოცხლე და იომე, ო, ჩვენო“, თქვა და
ვერ მოერია მოძალებულ ცრემლების ღვართქაფს,
რადგან სამშობლოს სიყვარული აკანკალებდა
ჭარმაგ ებრაელს პოლონელზე არანაკლებად.
დომბროვსკიმ ხელი გაუწოდა ნიშნად მადლობის,
მან მთავარსარდალს სცა თაყვანი ხელზე ამბორით.

ქვეყნის პოლონეზი. პოდკომორნის არ ავიწყდება
ცეკვის წინ ფართო სახელოთა აკაპიწება,
ულვაშს გადიგრებს, ხელს ზოსიას გაუწვდის იგი,
თავს დაუკრავს და უერთდებათ სხვა წყვილთა რიგი.
ცეკვა დაიწყო, პირველ წყვილად უკვე მიუძღვის
მწკრივს პოდკომორნი, ცეკვის ყადრი უკეთ ვინც უწყის!

ბალახში ბრწყინავს ოქროსფერი ფეხსაცმელები,
ბზინავს ქამრები, უელვარებს ხმლებს სარტყელები;
ის კი მოძრაობს თავისუფლად, თითქოს არც სურდეს,
მაგრამ ყოველი მიხრა-მოხრით თვითონ გარწმუნებს—
რას ფიქრობს იგი: აი, შედგა, თავის ცალს თითქოს
ჩურჩულით უნდა საიდუმლო რაღაცა კითხოს,
მაგრამ მას ქალი პირს არიდებს, განზე გაურბის,
რცხვენია, არ სურს წამოწყება მასთან საუბრის,
კონფედერატკას იხდის იგი, თავს უკრავს რიდით,
ქალი გაბედავს და შეხედავს უხმოდ, დუმილით;
ცეკვას ანელებს, კავალური მას თვალს აყოლებს
და ბოლოს ქალი გაღიმებას არ დააყოვნებს;
მისი პასუხით მოცეკვავე გაამაყდება,
ფეხს აუჩქარებს, მოქიშპეებს მალლით დახედავს,
და თავის ყანჩისბუმბულიან კონფედერატკას
ხან მარცხნივ იქცევს, ხანაც შუბლზე კობტად იფხატავს,
ბოლოს კეფაზე რომ მოიგდებს, ულვაშს იგრიხავს,
მოდის, უმზერენ ეჭვის თვალთ ულანს რიხიანს,
კუდში მისდევენ მოქიშპენი; მათგან გაქცევა
სწადია თავის ცალთან ერთად, თავის დაღწევა;
ზოგჯერ ჩერდება, ხელს ზემოთ სწევს და მორჩილებით
თხოვს აუქციონ გვერდი, სდევენ, როგორც ჩრდილები,
მოცეკვავენი და გაურბის იგი სხვა წყვილებს,
მოხერხებულად გზას შეიცვლის, წყვილებს აწბილებს,
თავს აბეზრებენ რგოლებივით გარსმოვლებულნი,
ხელს ხმლის ვადაზე ივლებს იგი ბრაზმორეული.
თითქოს იძახის გამომწვევად: „არც მედარდებით!
დე, ეჭვიანებს ეშინოდეთ!...“ თან შემართებით

შეაცვლევინებს წყვილებს რიგის თანმიმდევრობას,
იზიდავს ახალ-ახალ ტალღებს ნაირფეროვანს
„ახალგაზრდებო, მას შეხედეთ! (ქება ვაისმის)
ახ, საბოლოო არის აღბათ ცეკვა მაგისი!“



ძველ ფრანტს გაძლოლა პოლონეზის არ შეეშლება! მის ირგვლივ მწკრივი ხან იკვრება და ხან იშლება,
იგრაგნებაო თითქოს ასკეც ჯარბი ვეება,
ქალთა და კაცთა ტანსაცმელი ნაირფერებად,
თვალისმომჭრელად ბრწყინავს, ბზინავს გველის კანივით,
მოოქროვილი ჩამავალი მზის ელვარებით
და არეკლილი მუქ კედლებზე პანის სახლისა.

მხოლოდ კაპრალი ვერაფერმა გაახალისა,
არ ცეკვავს საკი დობეინელი, არ მხიარულობს,
მხრებჩამოყრილი არას ხედავს სასიხარულოს,
დგას მოღუშული, გულმოსული, სვემოწამლული,
ზოსიას ტრფიალს ვერ ივიწყებს, ხელმოცარული,
იხსენებს: გოგოს რომ უკრეფდა მინდვრის გვირილებს,
ყვავილებისას როგორ წნავდა მისთვის გვირგვინებს,
მისთვის შერჩევა ჩიტის ბუდის და ბლის კურკათა
საყურეების ვაკეთება რარიგ უყვარდა!
უმადურს ბევრი საჩუქარი უძღვნა გულწრფელად,
მის გამო მამის მუქარას და ლანძღვას უძღვებდა;
ვინც გაურბოდა, მას ღობიდან უთვალთვალებდა,
ხან ბუჩქებიდან გასცქეროდა, ჩუმად სარკმელთან
რომ დაენახა, თმებს ზოსია როგორ იწნავდა,
ეზოში ჭვრეტდა დამპურებელს მამლაყინწათა,
ბოსტანშიც თვალყურს ადევნებდა კიტრის კრეფისას;
ო, უმადური! დობეინელმა იგი შერისხა,
თავი ჩაქინდრა და მაზურკის სტვენით გართული
გარეთ გავიდა შუბლზე კასკეტჩამოფნატული,
იარაღის მცველთ შეუერთდა მარტო ბანაკში,
ფიქრთ ვასართველად წამოიწყო ბანქოს თამაში,
ღვინით იხრჩობდა ბოდმას მოხუც ჯარისკაცებთან,
მაგრამ სიყვარულს – მარად უცვლელს – რა წარსტაცებდა!

ზოსია პირველ წყვილად უვლის წრეს მხიარული,
შორით ძლივს მოჩანს, გაჰფენია ფეხქვეშ მამული,
ამწვანებული და თავადაც მწვანედ მოსილი
ვარსკვლავთ ციმციმით იღბენს მწუხრის ანგელოზივით,
წალკოტში როცა დაგოგმანებს; ხელად მიხვდებით,
სად ცეკვავს იგი, სხვა წყვილების მზერის მიხედვით,
მას მიპყრობია ყველას თვალი და ამ საღამოს
წყვილად შერჩენას პოდკომორნი ლამობს ამაოდ,
აჰა, წაჰგვარეს ცალი ეჭვით შეპყრობილებმა,

მერე დომბროვსკი ქალს ცოტა ხანს შეფიქრებდა,
 თავს გრძნობდა იმ წამს ბედნიურად ძღვევამოს/ძღედ,
 მაგრამ ვენერალს დედოფალი ხელად მოსცილდა,
 ძალზე დაქანცულს მიღვევია ცეკვის პოვსილა,
 წყვილგამოცლილი პან ტადეუსს ხვდება ზონის,
 მასთან დარჩენა მოსწყურდება, მწკრივს მიატოვებს,
 საქმროსთან ერთად მიაკითხავს იგი ბატონებს,
 მათ ფიალათა შესავსებად გაემართება,
 ხეფე-დედოფალს მასპინძლობის ვალი მართებდა.

იღვა დაისი სითბოთი და შვებით აღსავსე,
 ღრუბლის ფთილები კიაფობდნენ ცის კამარაზე,
 დასავლეთისკენ გადახრილნი, ავდრის მაცნენი,
 ოღონდ ნათელნი და მსუბუქნი, ქარში ნარწყენი,
 თითქოს ლაქვარდის იალღზე იწვა ცხვრის ფარა,
 შორს ჩამავალი მზე მოჰგავდა მბრწყინავ ფიალას,
 მოოქროვილი და გარშემო აღმოდებული,
 შუაში ცეცხლი უღელავდა აბორგებული,
 ცას მარგალიტის ფერი ელო, ხელა კრთებოდა.
 ეფარებოდა მზეს ღრუბელი, ფერმკრთალდებოდა,
 ცხელი ჰაერი თავდახრილმა აღისდაგვარად
 ამოისუნთქა ერთხელ კიდევ და ძილს ჰაბარდა.
 შლახტა კი სვამდა, არ აკლებდა სადღევგრძელოებს
 ხეფე-დედოფალს, ნაპოლეონს, სარდლებს წვეულებს,
 ნთქავდნენ ყველანი ერთმანეთის ჯიბრით დასალევს,
 სამივე წყვილის სადღევგრძელო რიგით დაცალეს,
 დალოცეს ყველა მეგობარი, სტუმრად წვეული,
 მოიხსენიეს თბილად ყველა მიცვალებული,
 მეს იქ ვიყავი, ღვინო ვსვი და მათთან ვიღებინე,
 წიგნად დავწერე, რაც ვისმინე და რაც ვიხილე.

ვაილოგი

პარიზის ქუჩებს შეხიზნული ასე ვფიქრობდი,
 როცა ხმაურში ალყა მერტყა გარს უპირობის,
 წყევლის, კამათის, იმედების — აწ მინავლულის,
 ნავვიანევი საყვედურის და სინანულის.

ო, უბედობა საზღვარგარეთ თავს გვაწყევლინებს!
 არ გვშორდებოდა ავი ქამი გადახვეწილებს,
 ფუნდაფებ გვდევდა აღმფოთება, უღვოთი ვანგაში,
 ყველა შემხვედრი მტრად მიგვაჩნდა უცხო ქალაქში.

ჯაჭვის მარწუხი დასახრჩობად გვეჭირებოდა,
 განსატევებლად, სული ყელში გვებჯინებოდა.

როცა ჩვენს ჩვილს არ იგებდნენ განგებ ყრუები,
 როცა სამშობლოს ხმას ვუსმენდით ვარიყულები,
 როგორც გლოვის ზარს სამარესთან და სულთათანას,
 როცა ბოროტ მტერს და მეგობრად მოსულ სატანას
 ეწადა ჩვენი გაძევება, აღგვა მიწიდან, საქართველო
საბჭოთა კავშირი
 შუქის ნასახი როცა ცაში გაქრა პირწმინდად,
 მოგვძაგებოდა ჩვენ ეს, განა გასაკვირია!
 დიდი ხნის ტანჯვამ როცა ტვინი მთლად აგვირია,
 როცა თვალეზუ ლიბრად გვქონდა ბოღმა აკრული,
 უცებ ერთმანეთს დავერიეთ გონდაკარგულნი.

ნეტავი ახლა სულ პატარა ჩიტად მაქცია,
 გადავიფრენდი საშინელ ცეცხლს, გრიგალს, ქარ-წვიმას,
 რომ დავიბრუნო კარგი დარი — დავიწყებული,
 ბაღლობის წლები, ჩვენი სახლი — მამისეული.

მძიმე ვამს გული ერთი რაძით გახალვათდება,
 როდესაც ბუხარს მიუჯდები ამხანაგებთან
 ვეროპის გნიასს შინ ჩაკერვით გარიდებული,
 ბედნიერ დროზე ოცნებებში გარინლებული,
 უცხოდ აღარ გრძნობ თავს მამულზე დაფიქრებული.
 სამაგიეროდ ზღვად დაღვრილი სისხლის დელგმაზე,
 უკუნით მოცულ პოლონეთზე, მის დიდებაზე,
 რომელიც ჯერ არ მიმქრალიყო, ფერფლში ფეთქავდა, —
 მათზე ფიქრს სული წამებული ვერც კი ბედავდა!
 ხალხმა გაუძლო ისეთ ჯვარცმას, რომლის ხსენებით
 ახლაც ვძრწუნდებით და მკვდრის ცივი ოფლით ვსველდებით.

იქ ძმა მრავალი მგლოვიარის ძაძით მეგულვის,
 იქ პაერია წყევლა-კრულვით დამძიმებული,
 იმ საშინელი გარემოს ცა ბნელზე ბნელია—
 ელჭექის ჩიტი — ქარიშხალაც ვერ შეუყრენილა.

ჩემო სამშობლოვ! ახლა გერგო ოთხი ფიცარი,
 ენას არ ძალუძს დანაკარგის რომ თქვას სიმწარე!
 ეპ, ვისმა ბავემ დაიკვეხნოს სიტყვა ისეთი,
 რომლითაც ისევ გვედირსება სითბო, იმედი,
 წარსულის წყვდიადს გაგვინათებს შვება-ნუგემით,
 გაქვაგებულ გულს გაგვიცოცხლებს ცხელ საგულეში
 უბედურების საბოლოოდ მოსაგლოვებლად.
 მსგავსი სათქმელის საწუთროში მოსაპოვებლად
 ჩვენ საუკუნე არ გვეყოფა თავდაწყველილთაც,
 უნდა ვეძიოთ სიტყვა იგი ათას წელიწადს.
 და ბოლოს როცა გოროზ ღრუნით მტარვალს გესლიანს
 შურისძიების მძლე ლომები თავს დაესხმიან,

როცა ძლეული მტრის სროტინი თავისუფლებას
 გვამცნობს და უცბად დიდი ნატვრა აგვისრულდება,
 ძლევის გუგუნით არწივები ჩვენი როდესაც
 მოადგებიან საზღვრებამდე ფრენით ბოლესდავს,
 ცხარე ბრძოლიდან დუშმანს ცოცხალს ვერ გაუშვებენ,
 მოსისხლის სისხლით გაძლებიან, ფრთებს დაუშვებენ
 მუხის ფოთლებით შემკობილნი მშობელ მხარეში,
 მაშინ საბრძოლო იარაღის, ომის გარეშე,
 დაუბრუნდება გმირთ ლაშქარი ისევ სიმღერებს,
 ყველა მათგანი თავის მაღალ ხვედრს შეიფერებს,
 არ დაირცხვენენ იმ გარდასულ დღეთა ხსენებით,
 მამების ბედზე იტირებენ თავად წრფელები,
 მწუხარე, მაგრამ ვაჟკაცური წმინდა ცრემლებით.
 ჩვენ, მთელს წარსულში მიუხმობელთ და მიუწვევართ,
 როგორც ბუნდოვან მომავალში, დაგვრჩა უცვლელად
 მშვიდობიანი მხარე კიდევ, სადაც სვე-ბედად
 პოლონელს ყრმობა და ბალლობა დაეძებნება;
 ჩვენთან შერწყმული განუყოფლად მარად ის არის,
 როგორც პირველი სიყვარული დაუვიწყარი;
 არ მოუწამლავს ჯერ ის მწარე დაბნეულობას,
 არც უნაყოფო სინანულით დასნეულებას,
 არ დაბინდულა ჟამთა სრბოლით, და რომ ძალუძდეს
 ჩემს გულს გაფრენა, დავხედავდი მინდვრებს, ნაფუძვრებს,
 სადაც, რა იყო, არ ვიცოდი ღვარძლი, ცრემლები,
 დავნავარდობდით ტრიალ ველზე ცვარით სველები,
 ვსეტიალობდით ტყე-ღრეებში, თან გაკვირვებით
 ვაცქერდებოდით ხეზე პირველ გაშლას კვირტების,
 ვთელავდით მინდვრის ჭრელ ყვავილებს და იალაღზე
 ვერ აუვლიდით გვერდს თამამად აყრილ ბალახებს.

ის მხარე ვახლდათ ბედნიერი, მწირი, მწყაზარი,
 მარტოდენ ჩვენი, ვით ღვთის სამწყსო უზარმაზარი,
 იქ ყველაფერი ჩვენი იყო; ისევ უცდომლად
 მახსოვს ყოველი, რაც გარს გვერტყა – ჩვენ გვეკუთვნოდა,
 იმ დიდ ცაცხვიდან, მწვანე ბორცვზე რომ შრიალებდა,
 ჩვენ და გარშემო მოხასხასე მოლს ჩრდილს გვაფენდა,
 იმ ცივ წყარომდე, ფერდობზე რომ მოჩქრიალებდა,
 იყო მეზობლის სამოსახლო ბაღი ყოველი
 სამანიანად, რა ნაცნობი, რა ახლობელი!
 იქ ბევრი თანამემამულე დაგვრჩა ერთგული,
 ვინც საიმედო, სამეგობრო კაცად გვევლვის,
 ვინც მოკავშირედ გვექცა მარად, ხალხს არ განუდგა.
 შინ ვინ დავტოვე? დედა, დაი და, რა თქმა უნდა –
 შინაურები; ჩვენს ახლობლებს როცა გავცილდით,
 უფრო გამძაფრდა განშორების გრძნობა განცდილით,

კარგა ხანს ველარ ჩაგვეწრიტა ცრემლი თვალებში...
 თავის ბატონთან იქ უფროა ახლოს ფარეში,
 ვიდრე აქ ცოლი მეუღლესთან. იქ, ჩვენს მხარეში
 ხმაღს დაიტირებს ჯარისკაცი მეტი კაენით,
 ვიდრე აქ ძმა-ძმას, ჩვენში ძაღლის სიკვდილს თან ახლავს
 მეტი წუხილი, ვიდრე სხვაგან გმირის დამარხვას.

ვახლე თუ არა კალამს ხელი, ძმებო, მაშინვე
 სიტყვა სიტყვაზე სიმღერებმა შემომამშველეს,
 როგორც ზღაპარში უკაცრიელ, ტიალ კუნძულის
 ბურუსში ოდეს წეროების გუნდს მონუსხული
 ბიჭუნას გმინვა შემოესმა, განა ნადირთა,
 თითო ბუმბული ჩაისროლეს მათ ზღვის ნაპირთან,
 ბავშვს გამოესხა უცბად ფრთები და შინ გაფრინდა.

ნეტა მომასწრო სიხარულის იმ წამს, როდესაც
 ხალხს შემოივლის ეს პოემა და გოგონებსაც
 დაემღერებათ ძაღვის რთვისას საღამოობით
 არა მარტოდენ სანუკვარი საგალობელი —
 ერთ ობოლ გოგოს ვიოლინო როგორ უყვარდა,
 ბატები როგორ დაივიწყა, როცა უკრავდა,
 ველარ იპოვა, რაც დაკარგა იმ უბედურმა,
 საწყალი ღამით სახლში აღარ მიბრუნებულა,
 ეს წიგნიც ეგებ გოგონათა ბაგეს ფერებით
 მისწვდეს უბრალო, ვით ხალხური ჰანგის ბგერები.

ჩვენც ასე ერთ დროს თავს ვიქცევდით ბედნიერები —
 მწვანე მდელოზე დიდი ვერხვის ჩრდილში გართხმულნი
 იუსტინისა და ვესლავას წიგნით გართულნი,
 იქ ეკონომიც უჯდა ხოლმე თავის მაგიდას,
 გამოგვივარდა ხშირად თვითონ პანიც ბალიდან,
 კითხვას აროდეს არ გვიშლიდნენ, ზოგჯერ კიდევაც
 გვიხსნიდნენ ჩვენთვის გაუგებარ ჭეშმარიტებას.
 ცუდს პატიობდნენ, კარგს ასხამდნენ ქება-დიდებას.

მგოსანთა დიდი სახელისა გვშურდა, რომელიც
 კიდევ გრგვინავდა ტყე-ველთა და გულთა მპყრობელი,
 კაპიტოლიუმს ფერფლი მათი თუმც არ ეღირსა,
 მაგრამ გვირგვინი, რაც სოფელელ ქალს უწნავს ეკლისა,
 ასჯერ ტკბილია, ვიდრე დაფნა უკვდავებისა.



ქართული
ბიზნეს-ბეჭდვა

რომანი

ბერძნულიდან თარგმნა თამარ მახსია

ნიკოს კაზანძაკისი ცნობილი ბერძენი მწერალია. თავდაპირველად იგი აღიარებული იქნა როგორც ბრწყინვალე დრამატურგი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, მაგრამ ბოლოს სახელი დაიმკვიდრა როგორც მეოცე საუკუნის უდიდესმა რომანისტმა. მის კალამს ეკუთვნის ტრაგედიები: „ოდისეისი“, „ნიკიტორე ფოკა“, „ქრისტე“, „კონსტანტინე პალეოლოგი“, „ბუდა“, „სოდომი და გომორი“, „კაპოდისტრია“, „ქრისტეფორე კოლუმბი“ და მრავალი სხვა, რომლებიც ღღესაც წარმატებით იდგმება ათენის თეატრებში და საბერძნეთის საზღვრებს გარეთაც. გამოცემული იქვს ესეები და მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ესპანეთზე, იტალიაზე, ეგვიპტეზე და სინაზე. ჩინეთზე, იაპონიაზე, რუსეთზე და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მეგობრობა აკავშირებდა მას საბჭოთა კავშირთან. იგი იყო გაზეთ „ელეფთეროს ლოგოს“-ის სპეციალური კორესპონდენტი სსრკ-ში 1927-1928 წ.წ. იგი ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით. აქ მან დაწერა სცენარი „ლენინი“ აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „პრავდაში“, ხოლო საბერძნეთში დაბრუნებულმა გამოსცა „რუსული ლიტერატურის ისტორია“.

შესანიშნავად ფლობდა იგი უცხო ენებს, ბერძნულ ენაზე თარგმნა „ღვთაებრივი კომედია“, „ფაუსტი“, დარვინის შრომები, ნიცშე, ბერქსონი, რემბო, ეკერმანი და მრავალი საბავშვო წაგნი. მანვე თარგმნა ძველი ბერძნულიდან „ილიადა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. კაზანძაკისმა სახელი მოიხვეჭა როგორც მეოცე საუკუნის დიდმა რომანისტმა. მისი რომანების გმირები არიან სულით ძლიერი და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები. დაუოკებელი მადიებელნი აზლისა, მშვენიერისა და მიუწვდომლისა. მათი იდეალია იცხოვრონ აკ, რომ ამ ცხოვრებიდან წავიდნენ ვალმოხდილნი, ამალღებულნი, ესთეტიკური და ყოველივე ამას მიაღწიონ კომპრომისის გარეშე.

დიდი ხანია გასცდა საბერძნეთის საზღვრებს ნ. კაზანძაკისის წიგნები. აღიარეს და შესანიშნავი შეფასება მისცეს მათ ცნობილმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა. მის რომანზე „ღვთის გლახა“ რეი ბრედბერი წერს: „ეს არის სამაგიდო წიგნი მეოცე საუკუნის ადამიანისა და იგი იარსებებს ძველი და ახალი აღთქმის გვერდით მომავალ საუკუნეებში“.

„გველი და შრომანი“ ნ. კაზანძაკისის პირველი რომანია, ამ ნაწარმოებმა მას მაშინვე უდიდესი აღიარება მოუტანა. ჩვენი სურვილია, რომ ქართველმა მკითხველმაც სწორედ ამ პირველი ნაწარმოებით გაიცნოს ეს დიდი და მეტად საინტერესო მწერალი-მოაზროვნე, რომელიც დიდი სიმპათიით მოიხსენიებს თავის ნაწარმოებებში საქართველოსა და ქართველ ხალხს. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველიც შეიყვარებს მას და მის ძლეღვარე, მიუწვდომელი მშვენიერებისა და მარადიულობის მადიებელ გმირებს.

მთარგმნელი ხაგან



მაისის 3

ოსევ სიცხე მაქვს. ერთხანტელი მივლის მთელს სხეულში. რა-
ლაცა წვალობს და იძაბება ჩემს გონებაში — ჩემს გონებაში —
იშლება უეცრად, მერე კი ისევ იხვევა მოუთვინიერებელი აზრი ჩემს შუბლს
მიღმა. იფანტება მისი სხეულის სურნელი, ნელ-ნელა კვდება ჩემს ირგვლივ.
სულ უფრო ღრმად შემოდის ჩემს გვაში და მითრობს სულს. ვილაც გასაქცე-
ვად მიბიძგებს, რომ დავეწიო, კვლავ დავაბრუნო, რათა კვლავ დამიჯდეს მუხ-
ლებზე და კვლავაც მომაგებოს ბაგენი თვისნი.

მისი წითელი ტუჩები ორ დიდ სისხლის წვეთს მაგონებენ, და როცა ვიხ-
რები საკოცნელად, რაღაც ველური ეინი და პირვანდელი საუკუნეების კა-
ციკამიათა ინსტინქტი ჩქეფს ჩემს ძარღვებში — ერთიანად ვცახცახებ — ასე
მგონია ადამიანის ზორცსა ვწოვ, რომელსაც სისხლი სდის.

მაისის 4

დღეს რაღაც უფრო მშვიდად ვარ. ამალამ არ მოვა. მსურს იგი და მეში-
ნია მისი, უცნაურია, რასაც მის მიმართ განვიცდი. ამ კურთხეული სხეუ-
ლისათვის, ამ დიდი თვალებისათვის და წითელი, სისხლსავსე ტუჩებისათვის.

ერთ საღამოს დამწუხრებული ვიჯექი ბაღში, ქალაქგარეთ. ვგრძნობდ-
რომ ვილაცას ელოდა ჩემი სული. მოვიხვდე და დავინახე: მოციინარი და ლა-
მაზი მოაბიჯებდა ხეებს შორის. ვილაცის ხელმა მიბიძგა. ო, მახსოვს, ვილა-
ცის ყოვლადძლიერმა ხელმა მიბიძგა. მივუახლოვდი და ვუთხარი ჩემი სა-
ხელი, სახელი ცნობილი ხელოვანისა, და ნებართვა ვთხოვე დამეხატა.

შემიყვარდა და შევეყვარდი — მარადიული, მონოტონური, ყოვლად-
პარმონიული სიმღერა!

ახლა კი მინდა მოვიდეს იგი, დიდთვალეა და სისხლსავსე ტუჩებით,
დამეშხოს და ამივსოს ბინა თრობითა და ბედნიერების შიშით. მოვი-
დეს და გამიშეშოს ყველა ძარღვი, დამიშრიტოს სხეული ნერვული და მო-
მაკვდინებელი ალერსით. და იმ ადგილებში, სადაც მკოცნის, მთელი დღე ტკი-
ვილსა ვგრძნობ როგორც სიღამწერეს. მის ბაგეთაგან საწამლავისებრი სიტკბო-
ებანი მელვრებიან ტუჩებზე და მიშეშებენ მთელს აზრსა და მთელს სხეულს.

როცა წავა და სურვილი მიჩნდება დავჩატო რაიმე, მხოლოდ უცნაური,
ეგზოტიკური ხაზები, შუქთა და ჩრდილთა რაღაც გარყვნილი ერთიანობანი
და ფერთა ბოდვანი გამოსხლტებიან ჩემი თითებიდან. უკიდევანო და უძრა-
ვი ზღვები, უცნაური ფორმის ღრუბლები, რომლებიც ზეცაზე დაჰქრიან, ჩა-
მოდინან ქორიზონტზე და აბნელებენ უჩვეულო და დიდ ჩამავალ მზეებს...

მაისის 5

შემოიჭერი ჩემს სულში და ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. და გელოდი. გე-
ლოდი ისე, როგორც ზამთარს გაყინული და უდაბური მიწა, რომელსაც სტკი-
ვა და ელოდება. შენ ხარ გაზაფხული, მოდიხარ და იჭრები ნელ-ნელა ჩემს
სულში. შენს ნაბიჯებში იშლებიან, იფურჩქნებიან და სურნელს აფრქვევენ
ჩემი ფიქრები. ქვემოთ, შენს ფერხთით იზრდება და იღიმის იმედის ფერი.

თბილია სუნთქვა შენი და მაიმედებელი დააბაჯებს ჩემს სულზე და იღვიძებენ უსიყვარულო ზამთართაგან გახევებული ჩემი სიზმრები. გიციქვრენ შენ გაუოცებლად და გიღიმიან. იცოდნენ, რომ მოხვიდოდი. ~~აღმეღრიდა~~ ჩიტები თვალებს ახელენ ჩემში და იბერტყავენ ფრთებს. შენ კი იღიძები და ნელა, მშვიდად იჭრები, დედოფალო, ჩემს სულში.

ნელა, მშვიდად იჭრები ჩემს სულში, ვარდთა სიამაყით და სიხშირით დიდთა სურთა. ჩუმი ვედრებით მორცხვთა იათა. და ერთი ამბორი შეკავებული გაწოლილა, კრთის და ცახცახებს ჩემს სხეულში. შენ გაზაფხული ხარ, ჰოი, რჩეულო და კურთხეულო, მე კი დედამიწა. დიდი და გაოყვნილი დედა, რომელიც აპობს წიაღს და ელოდება.

მაისის 10

მოდინ... რაღაც იღუმალი მონატრება ეუფლება ჩემს სულს. თეთრი ოცნება იბუდებს დიდ მარმარილოებზე და მეძახს. მოდი ჩემთან, ვავწვებით მარმარილოდქცეული ჰარმონიის ფერხით, ხელებს ჩავკიდებთ ერთმანეთს და ჩვენს ქვემოთ იქნება ცოდვილი ქალაქი. უფრო ზემოთ კი, წყალში, დავინახავთ, თუ როგორ სცვივით იებს ფურცლები დაისისას.

სცვივით ფურცლები იებს დაისისას და დღესასწაულობენ იქ, ქვემოთ, ფერები. ჰოი, ყოვლადსაყვარელო! შეკვეთება მუხლები სურვილისაგან და ამბორნი ზეიმობენ ჩემს ბაგეებზე. სიცოცხლის ყოვლადძლიერი სიხარული ბორგავს ჩემს მკერდში. გაზაფხულის იღუმალი ღვიხით და ბოდვით მასპინძლობს ჩემს სულს სიყვარული.

ჰოი, ყოვლადსაყვარელო, ზეიმობს ჩემი სიყვარული ამალამ და შეხედე, წმინდა პროცესია, ზეამოდის კერამიკონიდან! და მოემართება, მხიარული და ხმაურიანი — მსგავსად ტაღლისა, რომელიც სიმღერით ამოდის და სიყვარულით შებყრობილი ჰკოცნის ლამაზ კლდეებს.

ჰოი საყვარელო და ჰოი ღმერთქალო, აღიმართე მარმარილოზე და გაიღიმე. დიდი პანათენობაა? ჩემი სიყვარულისა. სიზმრები ჩემი შემოსილია საზეიმო სამოსით, წამოემართნენ ისინი სასაფლაოდან, გამოიარეს კარიბჭე და ნელ-ნელა ადიან წმიდა კლდეზე. ხელში უჭირავთ ლამაზი, ძვირფასი და ოსტატურად ნაქსოვი წმიდა რიდე. დღედაღამ დასტრიალებდნენ მას ჩემი მოფუსფუსე და შეყვარებული ფიქრები და ქარგავდნენ. მთვარის მაგიათს ქვეშ — ღამით, მზის ცეცხლოვან სიყვარულში — დღისით, დასტრიალებდნენ და ქსოვდნენ.

ჰოი საყვარელო და ჰოი ღმერთქალო, აღიმართე მარმარილოზე და გაიღიმე. ნიკე გიზის ხელზე. სხეული შენი სპილოს ძვლისაა და ანათებს ბნელში. შენს ფერხით იკლავნება დიდი გველი — მიწისქვეშეთის ღმერთი, რომელიც ანიაგებს დოვლათს დედამიწის წიაღიდან. ამაყად აღმართულან სვეტები და ცოცხლდება უსპეტაკესი ყვავილობა მარმარილოთა, კვლავ მოდის ყველა ღმერთი კოსმიდზე და მეტოქეებზე კვლავაც ცხადდება ომი ღაპითებსა და კენტავრებს შორის.

ო, გაიცინე-მეთქი, ჰოი სიცოცხლე და ჰოი სიყვარულო! დაობლებულ ფრონტონზე კვლავაც დაბრუნდებიან მარმარილოდქცეული ფიქრები ფიდიასისა, ქალწული ღმერთქალი დაიბადება მთლად აღჭურვილი, ირგვლივ ღმერთები შემოუდგებიან და გაიღიმებენ.

კვლავ გაახლდებიან ტრიგლიფები და კოსმიდები, გადაიქიმება ჩემოდან სახურავი, გაიღვიძებენ მიძინებული ფერები, მოვლენ მხიარული და ყოველადმშვენიერი ჩვენი გატაცებული ქანდაკებები, აივლიან თავიანთ კვარცხლებეებს უსპეტაკესი თეძოების ნაზი რხევით მარმარილოთა ფსტატურ ნაწებში.

პოი სიყვარულო და პოი ღმერთქალო, აღიმართე მარმარილოზე, ამაღლდი თალის სიღრმეში, უბიწოო, და გაიღიმე. პროცესია ახლა მარმარილოს კიბეებზე ამოდის და მოილტვის, რომ განერთხას შენს ფერხით და თავიანი გცეს შენ. ჩემი შავი წინათგრძნობები და აღვირახსნილი მისწრაფებები, გაუცინარი ფიქრები, ყველანი ერთად შეკრულნი შენს სამსხვერპლოსთან ეცემიან, რომ შეგეწირონ. ამხედრებულნი მორბიან შენს ტაძართან, პოი სიყვარულო. ჩემი სურვილები, დაუმორჩილებელი ქალწულები, აივლიან კალათებით ხელში პროპილეებს, ხელთ უჭირავთ წითელი, ველური ყვავილების უთვალავი კონა, ჩემი გარყვნილი გულის წიაღიდან რომ შეაგროვეს.

შენა ხარ ერთადერთი ქალღმერთი, შენა ხარ ჭეშმარიტება და გამარჯვება. შენს შუბლზე უკვდავება ილიმება, ინთება შენს ბაგეებზე ამოება ცხოვრებისა და ყოველივე დაფარული და სამარცხვინო სიყვარულისა წითლად გაჩნდება ლოყებზე. შენა ხარ ჰარმონია, ჭეშმარიტება და სიცოცხლე! ზვირთივით ამოდის და განირთხმება პართენონის ქვემოთ წმიდა პროცესია ჩემი სიყვარულისა, მუხლს იყრიან ჩემი სურვილები და მღუმარენი ფურცელ-ფურცელ გიყრიან თავიანთ ყვავილებს.

ო, მოდი, ამაოებავ ჩემის სულისა! ჩამოდი მარმარილოდან, მომაგებე ბაგენი შენნი და მომიძღვენ სხეული შენი. საუკუნეთა ოცნებანი ცვივიან კაპიტელთაგან და აწ გარდაცვლილ თაობათა მისწრაფებები ზეამოდიან მიწიდან. სიცოცხლის წყურვილი თეთრ მარმარილოთა მკედარ მღუმარებაში წითლად ანათებს და მეუფლება.

ქვემოთ, ნაშუადღევის მქრქალ შუქზე სალამინის წყლებიდან და კერამიკონის მიწებიდან ამოდიან დიდი მოლოდინები და ადიან უზარმაზარ წმიდა კლდეზე. მოდი, დიდი პანათენობაა ჩემი სიყვარულისა ამაღამ.

მოდი, პანათენური აზარფეშებივით ავივსოთ გულები ოცნების ღვინით. გაბრწყინდებიან თვალები ჩვენნი ცხოვრებისეული სიმთვრალისაგან და ბაგენი ჩვენნი აივსებიან კოცნით. მოდი, ერთად ვუგალობოთ ამ კლდიდან მშვენებას აპოლონისას, დიონისეს სუროს და ათენას ფართო შუბლს; მარადიულ ახალგაზრდობას ჰებესი და წითელ ტუჩებს აფროდიტესი, მარად ამბორყოფილთ და მარად მწყურვალთ.

მოდი, დავთვრეთ დაუსრულებელი ღიმილით ჩვენი ზეცისა, ჩვენი დედამიწის ფერთა ეროტიული ერთიანობით, კოლონოსის³ იადონთა გალობით და მზის სხივივით ოქროსფერი პიმეტის⁴ თაფლით.

მოდი, უკვდავი ღმერთებივით ჩვენც გავწვეთ აქ, ამ მარმარილოს სარტყელზე სალამინის⁵ პირდაპირო, უზარმაზარი ალაფივით რომ ამოდის ზღვიდან და გვიღიმის. დაე გადაიხსნან ვარდთა კოკრებივით, ნელსაცბებელთა ჭურჭლებივით და მაცედრებელი ბაგეებივით ჩვენი გულები და ადიდონ მალაღნი ღმერთნი, ასე მშვენიერი რომ შექმნეს სიცოცხლე, ბაგენი შენნი — ასე წითელი და სიყვარული ჩემი — ასე ძლიერი.

დაე დაიწყონ ცეკვა, სიმღერა და მსახურება მშვენიერისა მისმა დიდმა მსახურებმა: სოკრატემ და ალკიბიადემ, ფიდიასმა და დიოტიმამ.⁶ პერიკ-

ლემ და ახპასიამ, ხოლო ღვთივგამორჩეულმა ხალხმა მისმა — ყველა ათენელმა და ყველა ატიკელმა — ერთად, მხიარულად იგალობოს მსახურთა მხიარული მისამღერი. გაიფურჩქნოს ყველა ყვაილი ირგვლივ, კეთილზმრავანებამ და ბუტბუტმა ზღვისამ ამოაღწიოს ისევ აქამდის და ოლიმპოს მთელი მყუდროება და სიხარული, აწ უკვე გაძარცული, ისევ დაბრუნდეს აქ, გაიბნეს პართენონის კაპიტელთაგან და კორიატიდთა სამოსებიდან და ამიერიდან ატიკელთა სინატიფე — დიდი და წმიდა ქრუანტელი სიყვარულისა — ჩაეწნას ვაჟკაცთა შუბლებს.

11 მაისი

ო, თეთრ ზეწრებზე მიგდებული შენი უძრავი სხეული, შენი გაშლილი თმები ბალიშზე და ფერდაკარგული შენი ტუჩები, რომელთაც რაღაცის თქმა სურდათ და ვერ ამბობდნენ!

15 მაისი

ყოველი ძაფი ჩემი ხორცისა ჰკოცნიდა და ერთმანეთს ჰყვარობდა ჩემში. და როცა სარეცლის სიღრმეში, აქ, სადაც გვიღიმოდა რომელიღაც ღმერთი, ჩემი ვნების მთელი სიმძაფრით მიგიზიდე, მაგრად გადავეჭდეთ ერთმანეთს და შენთა ქუთუთოთა ფეხქვა და გაბრძოლება ვიგრძენი ჩემს ბაგეთა ქვემოთ, მივხვდი, რომ გადავუარე მარადიულობის ჭიშკრას და რომ ჩემს მკლავებში ფეთქავდა დატყვევებული ბედნიერება და მარადიულობა დიდთა ძრწოლათა.

შეგხედე და გიხილე ფერმკრთალი, ლამაზი და იღუმალეებით მოსილი. მუხლი მოვიყარე შენს წინაშე იქ, სარეცლის სიღრმეში და ხელები შემოვაჭდე დაღლილობას და სიფერმკრთალეს შენი ტანისას, ჰოი, ქურუმო ნეტარებისა და სიყვარულისა და ჰოი შემოქმედო წამიერ მარადიულობათა!

ვიგრძენი, რომ რომელიღაც საიდუმლო სრულდებოდა შენში. რაღაც სილაყვარდე გამოკრთოდა შენი დახუჭული თვალებიდან და რაღაც ფოსფორული ნათება კვეთდა, აქანდაკებდა და ეალერსებრდა შენს თეძოებს. და ვთქვი: ჰოი ქურუმო ვნებისა და ბინდო გონებისავ, შენ ერთადერთს შეგიძლია ნუგეშინისცემა და მოკვდინება ჩემის სულისა.

* * *

„ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თაკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა ვიდრემდის დღესა შერიყურებამდე და აჩრდილთა შეძრვად... რაბამ განშუშნდეს ძუძუნი შენნი, დაო ჩემო, სძალო, რაჲ განშუშნდეს ძუძუნი შენნი უფროს ღვინისაგან, და სულნელება სამოსელთა შენთა უფროს ყოველთა ნელსაცხებელთა. გოლი და მოსწუშთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქუჭშე ენასა შენსა და კეთილ სულნელება სამოსელთა შენთა, ვითარცა კეთილ სულნელება ლიბანისა. მტილი დაჭშული და ჩემი სძალი, მტილი დაჭშული წყარო დაბეჭდული. მოციქულებანი შენნი სამოთხე ვარდთა ნაყოფსა თანა ვაშლთათა, კვბრი ნარდაინითურთ. ნარდაინი და ქურქუმა ლერწმისა და კინამო. ყოველთაგან ხეთა ლიბანისათა, მური და ალო ყოველთა თანა პირველთა ნელსაცხებელთა... აღდეგ, ჩრდი-

ლოო, და მოვედ ბღვარო და მოჰბერე ქარი მტილსა ჩემსა, და რათა დიოდენ ნელსაცხებელნი ჩემნი“



ნარინეშვილი ივლისი

სიცხე მაქვს. ვიტანჯები. აქ, აქ, მკერდში. რაღაც ცეცხლსა და დუღილს ვგრძნობ ძარღვებში. ასე მგონია, თუ რომელიმე არტერიას გადავიქსნი და სისხლს გამოვიდენ, დავმწვიდდები.

† ივლისი

ყვავილები მინდა ჩავიწნა თმაში. ვარდები და ვაშლებიც; სურნელებას მინდა ვაფრქვევდე ირგვლივ და მათზე განვრთხა მთელი ჩემი სიყვარული.

სრულიად მწვანე სურათ ადვილს იხსნის, იხლართება ჩემი გონების ირგვლივ და რომელიღაც სამყაროს ეძებს მოსაზრევნად. ვარდთა და იათა ყვავილობის საიდუმლო სრულდება ჩემში, მესმის კვირტთა სკდომა. ტოტების თვალთა ახელა და გალობა, გალობა ჩიტებისა...

რომელიღაც საიდუმლო სრულდება ჩემში და რომელიღაც ღვთისმსახურება. ვიხედები გულში და მესმის გალობანი, ლოცვები. ფრთებს გაშლის შრიალი და გულისცემა, ევზოტიკური ზარის ხმებივით რომ უხმობენ ჩემს ფიქრებს ღვთისმსახურებაზე.

ვგრძნობ, რომელიღაც ღმერთი შეშოდის ჩემში, შემოქმედის სული დაქრის ჩემს აზრებზე და თითი, რომელსაც ნათელი მოწვევითაც, მეხება შუბლზე. რაფაელი და პრაქსიტელე იღწვიან ჩემში, მესმის რბილი, ყოვლადძლიერი ფუნჯის მოძრაობა გულზე და ვგრძნობ, რომ ახატებიან და ცოცხლდებიან ზედ დიდი ტილოები. ღვთისმშობლები ტკბილი ღიმილითა და მიუწვდომელი სიკეთით. ანგელოსები, ოქროსფერი თავები რომ დაუყრდნიათ პაწაწა ხელებზე, ყვავილთა თვალებით უცქერენ ზეცას და დუბან.

ვგრძნობ, რაღაც საიდუმლო სატენი თლის, სასწაულმოქმედი ხელი მოძრაობს და აქანდაკებს მარმარილოს საამაყეს ჩემს შუბლს მიღმა. ღმერთთა მარმარილოსებრი აჩრდილები მთვარესავით ანათებენ ჩემი სულის სიღრმეში და ცოცხლდებიან აწ გარდაცვლილთა სიზმრები. იბადებიან ტრფობანი და კნიდელი აფროდიტე, სამყაროს დამამშვენებელი ზორცისმეფეა ყვავილივით ამოდის ჩემი ვნებების ზვირთებში მშვიდი და ნდომამორეული მუხლს იყრის ჩემში არაებული პრაქსიტელე, უცქერს თავის ფრინეს⁸ და ელიძება...

* * *

ნეტავ მთელი ჩემი ვნება ერთ ამბორად იქცეოდეს, მოვიდოდეს ერთხელ ღამით და ერთიანად ჩაგოცნიდეს!

10 ივლისი

თვალემა არ მიძლებიან მისი ცქერით, თავს მაყრდნობს მკერდზე და მორცხვად, რიღით მეხვევა მუხლებზე და მშვიდდება. ფრთხილად, ფრთხილად ვეალერსები თმაზე, ისევე როგორც დედა ეფერება შვილს, როცა აძინებს. რომელიღაც ლოცვა მისხლტება ბაგეთაგან და ნელ-ნელა ეწნება თმაში...

საოცრებათა უბიწო ბრწყინვალეობით და მიღმიერი სამყაროს მარავან-
დებით ბრწყინავ მოვლი ღამე ჩემს გულში. ისე როგორც ღმერთი ქორიბის
აღმოდებულ მაცვლის ბუჩქში.

შენი სიყვარული მთვარის ვერცხლისფერი ალერსივით სიმშვიდითა და
ნათლით მოსავს ჩემს სულს. როცა შენ გიცქერ, რაღაც სიმძიმე მუხლებს
მიკვეთავს. უნებურად მებორკება ხელები და სული ჩემი მთლიანად იხსნება
შენს წინაშე — ასე იშლება ყვავილი, როცა მას მზე იხილავს.

ლოცვებად ვიღვრები. ექსტაზში ვვარდები და ბაგენი მეცრიცებიან სა-
დიდებელთაგან. რწმენაა ის, რასაც შენს მიმართ განვიცდი და მიწა ავიდე
ყოველ დღით მაღალ მთებზე, რომლებიც ჩუმად საუბრობენ ზეცასთან.
ავიდე იმ დროს, როცა განთიადი სიყვარულით ავარდისფერებს მწვერვალებს, —
ავიდე: მუხლი მოვიყარო და შენ მოგიხმო.

გხედავ, როგორ იზოდები და იფურჩქნები ჩემს წინაშე ეგზოტიკური,
რომელიღაც ყოვლადმშვენიერი ხორცისმიერი ყვავილივით. იცის შენმა მოქ-
ნილმა ტანმა სუროთა საიდუმლო და ეხლართებიან ერთურთს. როცა დადიხარ
ან როცა მომეყრდნობი, როცა გააპობ ბაგეებს, თვალებს დახრი და მნებ-
დები, სადიდებელია და მუსიკაა შენთა ნაკვთთა წნული. შენს ზვევანაში იმა-
ლებიან მარადიული ვნების საიდუმლოებანი და შენს თვალებში დაცურავენ
გამოცანები ზღვათა.

შენს ბაგეთაგან წვეთავენ, წვეთავენ საწამლავები დიდთა ამბორთა. ზე-
ამოიჭრება ხოლმე და იფრქვევა შენი სხეულიდან ფარული სიმშვიდე მა-
ნიტთა.

გხედავ ჩემს წინაშე, ჩემი ცხოვრების უდაბნოში, ფინიკივით რომ იზ-
რდები ჩემთა მონატრებათა სითბოთი გამონაკვები.

ლამაზი ხარ. ლამაზი, როგორც უმანკოება და სიკვდილივით ლამაზი.
პოი, გრძელბეპლოსიანო? სიყვარულო, შემოსილი ხარ შენი თეთრი ყელიდან
მოყოლებული, ჩამოგყვება მკერდზე, მაგრად გეწნება ფერდებზე, იტყვევებს
შენს თეძოებს და მიგყვება ქვემოთ. ქუსლებამდის, ჩემი ვნება.

გხედავ, როგორ მოდიხარ ნელ-ნელა და მსუბუქად, ჩემი ოცნებები მკიდ-
როდ გეკვრის. მსგავსად სიზმრისა, რომელსაც გაღვიძების ეშინია. მოდიხარ
ნელა, მშვიდად — ხელს ვიწვდი წინ და ვხუჭავ თვალებს — პოი სიხარულო
თვალთაო! — უმჯობესია გიხილო.

რა სურნელია მაშ ის, დამთვრალი და თავაშვეებული რომ იფრქვევა შენი
სხეულიდან? როცა მეყრდნობი, თითქოს შენს ტანს ერთი ნაწილი შორდება,
ჩემს სხეულს უერთდება და ვეზიარები. თვრებიან აზრები ჩემი და საუბ-
რობენ ჩემი ყველაზე ფარული სურვილები. და როგორც საკმეველი, პოი
სიყვარულო და პოი ღმერთქალო, გარს გევლება და გიგალობს, სხეულში დატ-
ყვევებული გყავს და აფრქვევ ბოდვათა საიდუმლოებებს. გეყრდნობი და
გხედავ მიუწვდომელ და განვლილ სამყაროებს, რომლებიც რამდენადაც ბერ-

დებიან და მიდიან, მით უფრო სწუხან. ასტარტეს¹⁰ ტაძარში ვიმყოფები და საკმეველი იწვის ბომონებზე, სურნელებიან ჰკოცნიან ძუძუთა სიმრავლით უხამს ქანდაკებას.

დავდივარ სურნელოვან მცენარეთა შორის და ვიკარგებ ჩემს სურათს და სურათა ტყეში და მესმის დიდი ღმერთქალისადმი შესაწირავი სურათის კვნესა. და ყველგან, ყველგან — ფოთლებში, ტაძართა გუმბათებში, გარყვნილის ქანდაკების ირგვლივ. ჩემი სულის თვალები ხედავენ მზით გარუჯულ, ტუჩებგაბუტულ და ტუჩებშეღებულ ქურუმ ქალებს, თმაზე ოქროს დიადემით, წმიდა ჩიტით ხელში მომლოდინეთ და მომლიძართ.

21 ივლისა

როცა ახელ შენს დიდრონ თვალებს და მიცქერ, ჩემს წინ იშლებიან შორეული, მეზღვაურის ხორციით უძლები უნავსაყუდო ზღვები, რაღაც იდუმალი ბადეები, ხომალდებს რომ იზიდავენ, რომელიღაც ღრმა წყლები, დედათა ცრემლებით რომ ცოცხლობენ და ახლდებიან; უცხო ზვირთები, სიმღერით, ალერსით და ვნებიანი შეხებით რომ ხრავენ, ნამსხვრევებად აქცევენ და ანადგურებენ ვეება და სიყვარულით მოსილ კლდეებს; რომელიღაც ღრმა წყლები, რომლებიც უბედურებებს უღობიან და რომელთა მახლობლადაც წკრიალებენ მარადიული, მომაკვდინებელი სიმღერები საყვარულისა.

როცა ახელ შენს დიდრონ თვალებს და მიცქერ, მაგნიტი რამე, მიზიდავს თავისკენ, იდუმალი მაგნიტი რამე, და რომელიღაც ყოვლად პარმონიული ხმა ტკბილად მიმღერის და მომიხმობს შენი მკლავებისაკენ, პოი, ღორელაი სულთაო! — პოი, ბედუკუღმართო მეზღვაურო საყვარულისა, დაედავიხრჩო შენთა ზვირთთა ნატიფ სიკეკლუცეში.

22 ივლისა

შენი დიდრონი, მიბნედილი თვალები დღედაღამ მინათებენ და წინ მიმიძღვიან. ბრწყინავენ სიყვარულის ბილიკზე და აცისკროვნებენ თავიანთი ტკბილი ნათებით ცხოვრების გზას. მზე გადამევლო თავზე და ქრება წყალში. ვარსკვლავები იფურჩქნებიან ზეცის საიდუმლო ზღურბლთან დამით, მაგრამ ქრებიან და იკარგებიან სიბნელეში და მე კი ვძაბავ სულს ჩემსას შენს სხეულზე, აგონიით მივიწევ შენი თვალების დიდი საიდუმლოებებისკენ, ჩემს წინაშე რომ ინთებიან და გზას მიკაფავენ ღამეში.

დაცურავენ მათი სხივები ჩემს თმაში, ნაზად მკოცნიან შუბლზე და ნათელმოსილი ალერსივით მეღვრებიან სულში. იწმინდება სული ჩემი სრულიად, მშვიდდებიან ჩემთა ვნებათა ზვირთები, რომელიღაც ცისფერ და უღრუბლო ცაზე იწურება სული ჩემი და დღედაღამ სიყვარულის ორი ჩაუჭრობელი ვარსკვლავით ბრწყინავენ მასზე და ცახცახებენ შენი დიდრონი, ღამაში და მძიმედმოძრავი თვალები.

23 ივლისა

ერთადერთი ქალი ხარ შენ, რომელმაც სული ამივსე. როცა თმაზე გადამისვამ ნელ-ნელა ხელს, იდუმალი სამყაროები იღვიძებენ ჩემში; შრომანთა, ვარდთა და სურათა იდუმალი ყვავილობა ყვავილობს და იხლართება ჩემ-

თა აზრთა გარშემო. მინდა დავიხარო, გვირგვინები და ვარდები, მრავალნა-
ცადი ვნებანი და სიყვარულის საიდუმლოებანი დაგიფინო ვხაზე. ^{არცა მო-}
ლოდინი შენი გაბრწყინდება და ვარდებით აავსებს სულს ჩემსას. ^{ჩემთა მო-}
ნატრებათა ტყეებიდან, ჩემთა სურვილთა მთაგრეხილებიდან და ჩემთა ვნე-
ბათა ხშირი ფოთლებიდან გხედავ, როგორ მოღაბარ მოქნილი და მღუმარე
და მეტისმეტად გახარებული. მწყობრში დგებიან ჩემი სიზმრები, ^{უხლმოდ-}
რეკილნი მიწაზე ცვივიან და შემოგცქერიან. ნათელივით დააბიჯებენ ჩემს
სულზე. ხელებს აერთებენ ნელ-ნელა ჩემი გრძნობები შენს ნაკვალევზე,
რომ პირჯვარი გადაისახონ.

16 ივლისი

ვზივარ ჩემს სახელოსნოში ნახატების წინ, რომლებიც დავიწყე და ნე-
ღარ ვასრულებ, — ვზივარ და ვფიქრობ, მღვიძარი ვარ და სიზმარს ვხედავ.
ვხედავ ჩემს სიყვარულს, მომღიძარი და უხმაურო რომ მიახლოვდება, დიდ-
თვალემა და თეთრი, უბიწო შუბლით, რომლისთვისაც ჭერაც არ უკოცნია და
არ შეუბღალავს აზრის მუხლუხოს. ქვემოთ, მის ფერხით დაფენილი მაქვს
ჩემი ბედნიერება, სიხარული, ჩემთა უცოდველობათა შროშანები და ლოტო-
სის წმინდა ყვავილი. ფეხს ადგამს მათ, კლავს და მოაბიჯებს ჩუმი და მომღი-
ძარი ჩემს სულზე. და ვკანკალებ სიყვარულისა და შიშისაგან. იქ, ქვემოთ,
სულს ებრძვიან ბედნიერება, სიხარული და შროშანები ჩემი და მესმის, გახუ-
რებულ რკინასავით რომ ეწებებიან მისი ტუჩები ჩემს თმას.

სისხლს მიეღვარებს ვნების საწამლავი. კოი, ჩიეულო ჩემო! მე თუ მოვ-
კვდები, მოვკვდები ღამით, შუაღამით, შენს მკლავებში — სიყვარულისა და
შიშისაგან.

II

20 ივლისი

მოვიდა ამაღამ მოციანარი და მხიარული და სასეირნოდ წამიყვანა. ღამე
იყო და სახლებმა დაძინება იწყეს. ოჯახის კაცები სახლებში ბრუნდებოდ-
ნენ ცოლებთან ერთად, დინჯები და არმოუბარნი... უძილობისაგან ფერგამ-
კრთალი, სევდამორეული ახალგაზრდები კი ნელ-ნელა მიუყვებოდნენ ქუჩებს
დარდის გასაქარვებლად. დროდადრო მოისმოდა რომელიღაც მიმავალი
ეტლის ხმაური. ჩვენ კი მივდიოდით აჩქარებით, — მღუმარენი. არ მინდო-
და და არც შემეძლო ცხოვრების ამ ბანალური შეხებისას მასთან მესაუბრა.

გარეთ, კლდეზე, ზღვასთან ახლოს დავსხედით. რაღაც სიმძიმე გაწოლი-
ლიყო ჩვენს გულებზე. შავი ღრუბლები ეკიდა ჩვენ ზემოთ. დამწუხრე-
ბულნი, თითქოსდა ცრემლებით იყენენ აღვსილი. ორთავე ვშფოთავდით. აღ-
ბათ რაღაც წინათგრძნობის გამო. ვერ შევძელით იმავე ადგილზე დარჩენა.
დამუნჯებულნი ბოლთას ვცემდით ქვიშაზე. უკიდევანო ზღვა ჩვენ წინაშე:
თითქოს რაღაც უზარმაზარი ღამე ამოდიოდა წყლებიდან — რაღაც გაუძ-
ლები მწუხარება.

უკან დავბრუნდით მღუმარენი და დარდიანნი. გაყრისას, როცა დავიხარე
და თვალებში ჩავხედე, სრულად დავინახე ჩემი აგონია — და ვიბილე უსაზ-

ღერო ღამე, უსაზღვრო წყნილი — ვიგრძენი, რომ ჩემში თავი შეუფარებია რაღაც დაჭრილსა და ღამაზს, რომელიც ტირილს იწყებს.



აფორიაქებული ვარ, სისუსტემ მოიცვა სხეული ჩემი და სხეული ჩემი. ვჯდები სამუშაოდ და მივარდება დაღლილი ხელი, თვალები შენუჭება და ვფიქრობ... ჰო, ახლა ვხვდები, ჰო, რაღაც იდუმალეობა და უცნობი უბედურების სიფერმკრთალე მაცდურად ეჩვევიან და უქანდაკებენ სხეულს. დიახ, როცა პირველად დავიჩოქე მის წინაშე ქვემოთ. ბაღში, ღამე იყო, მარტონი ვიყავით და შევძრწუნდი შიშისა და სიყვარულისაგან. ირგვლივ ხეები კვნესოდნენ და ვხედავდი, როგორ სცვიოდა ვარდს ფურცლები. დიახ, რაღაც განადგურება ჩასაფრებულყო იქ და გვითვალისწინებდა. ეს იყო ღამაზი, მშვიდი, ჩემი, როგორც ორი ცოცხალი ია, ისე მოჩანდნენ მისი თვალები ღამეში. როგორც უზარმაზარი ყვავილი შროშანისა, ისე იზნიქებოდა მისი თეთრი ტანი, ქალწულებრივი და უმანკო. ყვავილთა მტვერი მრუშობდა ფოთლებში, და როცა დავიჩოქე მის წინ, რაღაც დაჭრილის და სასიკვდილოდ განწირულის ხმა აღმომხდა გულიდან. აღმოვიდა, გადამიპო მკერდი და დამაფრქვია ტუჩებზე მარადიული ტანჯვა მარადიულ სიტყვათა: მიყვარხარ.

საშინელება მოედო ბაღს და ვარდთა გოდება ჩამესმა გულში. რაღაც ჩამწყდა. და როცა, ჰოი საბრალოვ, ტუჩები და სხეული შენი მიანდე ჩემთა ვნებათა ველურ აღერსს და როცა ფერმკრთალი დაეცი ქვემოთ, ფოთოლდაც-ვენილ ვარდებზე, არ დაგინახავს არაფერი? არა? ჰოი, საბრალოვ! ახლა ვგრძნობ, ფოთოლთა იმ შავ მისტერიაში ზეწამოიჭრა. დაჭიმა დიდრონი ფრთები ღამის ბოროტმა დემონმა და მისთა ბაგეთაგან გამოვარდა, დაგვაცხრა თავს და აავსო ბაღი ბოროტის მაუწყებელმა და სიკვდილის მომტანმა სიცილმა.

შემოვბრუნდი და შემოგხედე ფერმკრთალსა და ბედნიერს მკვდარ ვარდებს შორის. გამოიწოდე მკლავები ჩემი ყელისაკენ და ვიგრძენი, რაღაც ძალა და რაღაც ბედისწერა. — დაბმული, უძლური და ბედნიერი მსხვერპლი ტკივილისა და სიყვარულისა, — მეწეოდა იქ, საიდუმლო ფოთლებში, შავ ფრთათა ქვემოთ.

2 აგვისტო

არა, უნდა დაისვას წერტილი. მეტიმეტად მეძაბება გონება და მეშინია: მეშინია იმ გიგანტური ბრძოლის გამო, რომელიც ჩემს შუბლს მიღმა მიმდინარეობს. ახლა, როცა მოვა, უნდა ავხსნა ეს მისტერია. მარტონი ვიქნებით, ვერავინ მოგვისმენს. საღამო იქნება, უნდა მივაახლოვო იგი სინათლესთან და შევხედო. რა ხომალდებია ბოლოს და ბოლოს, ამ ზღვებში რომ დაცურავენ. და რად მოაქვთ მძიმედ დატვირთულთ მწუხარებანი ჩემი სულისათვის? შინდა ვნახო. უნდა დავაფარო ხელი ტუჩებზე, რომ არ დავინახო ისინი. მაშინებს მათი ხილვა, მაშინებს მისთვისვე. უნდა დავუფარო შუბლი და თმა და მთელი ტანი ჩემი სხეულით და მხოლოდ თვალები უნდა დავუტოვო დია, დავინახო და ჩავხედო შიგ. ოჰ, საჭაროა დაისვას წერტილი! მეშინია, არ გაეგვიდე, დღეს დილით სამუშაოდ დავჯექი, ქალის ესკიზი გამომისხლტა ხელ-

თავან და გაწვა ტილოზე, მკერდზე კი სისხლის დიდი წვეთივით, ქრილობასავით, წითელი ყაყაჩო აღმოაჩნდა დაბატული



მოვიდა, ლამაზი, მორცხვა, იმედიათი, ტუჩები წითელნი, სისხლივით კი არა, ვარდის კოკორივით, რომელიც, გეგონებათ, მგზავრს ესალმება და უღიმისო, თვალები ჰქონდა ხავერდივით რბილი, და მათზე გაწვა სული ჩემი და ამოისუნთქა, და როცა ხელმა მისმა მიუალერსა შუბლს ჩემსას, აწრი დამიმშვიდდა, შეწყვიტა მოთქმა და დაემორჩილა ყოველად ძლიერ და უსპეტაკეს პაწაწა ხელს, გაიღიმა, ბაგენი გააბო მოუბარ ვარდს ვხედავო, გეგონებოდა.

ვიმუშავე თუ არა დღეს? არა, ჩემო სიყვარულო, შენზე ვფიქრობდი, მივვარდი და დავბაღე დილანდელი ნაბატი, რომ არ დაეხაბა, თა სავრთო აქვს ამაა მასთან? დაეხარე მის მუხლებთან, მივუახლოვე თავი და ვუმღერე ჩემი სიყვარული, სიყვარული მშვიდა, ნაზი, — ანკარა წყალივით რომ მილივლივებს ლიანების სიმშვიდის ხავერდში, რაღაც გაშეშება — რაღაც სიმშვიდე, სიკვდილის ბედნიეობის ნაზ უფერტიურასავით გაიბნა ჩემში, აღარ შემიძლო ფიქრი, სიყვარულს მღეროდა გული ჩემი — ისე, რომ არც კი მესმოდა, რას ამბობდა, თითქოსდა ცალკე ორგანო ყოფილიყო ჩემგან დამოუკიდებელი, თითქოს ზამბარა იყო, რომელსაც შევეხე და თამაში დაიწყო.

ისმენდა იგი და იღიმებოდა, მეც ვისმენდი და მშურდა ასეთი სიმშვიდის და ასეთი კვდომისა სიყვარულში — როცა დაამთავრა გულმა, სიჩუმე ჩამოვარდა და ოთახში ხშირი ჩრდილები შემოვიდნენ; დავინახე, როგორ დაინახა მღუმარი და ბედნიერი და როგორ მიეწებნენ მისი ტუჩები ჩემს ტუჩებს — როგორც ორი უცნაური და სისხლიანი წურბელა, რომლებიც სულელებს შოვენ.

რაღაც სიგიჟე და რაღაც შხამი მოედო ჩემს სხეულს, მივიზიდე და მისთა ძუძუთა სირბილე ვიგრძენი მკერდზე — სხეული უცაბეცაბედა და მევეროდა — და როცა გავიყარე დაღლილები, ბედნიერები და ძღუმარენი, და დავრჩი მარტო, რაღაც უსახლვრო სულიერი ტკივილი ამოტივტივდა ჩემში — თითქოს არაფერი მქონდა საიძედო და სასინარულო, თითქოს მარტო ვიყავი, მარტოდმარტო ლამეში...

პოი, იდუმალი აგონია და თრთოლა შენი სხეულისა ზეწარზე! მღელვარება გქონდა სამსხვერპლოზე მოსოლოლილი მსხვერპლისა და შენს თვალებში გული მისდიოდით მარადიულ ვნებათა წყლებს.

ამბორნი ჩვენნი იყვნენ ცახცახნი წინათგრძნობათა, სულთმობრძაობა სიხარულისა, პარმონიული დაცემა მთელი ჩვენი ბედნიერებისა და ჩემთა სიზმართა უიმედო გოდება.

ს. აგვისტო

ბოლოს ვცემ გიჟივით ჩემს სახელოსნოში, კვლავაც უცნაური ზაზები, ქრიზანთემები, სისხლის წვეთები მოსნლტებიან ხელიდან და ორგიებს ეძლევიან, ძალა მერთმევა, ვერ ვმუშაობ, არაფერი ლოგიკურის შეკოწიწება და შექმნა აღარ შემიძლია, მისი დაბატვა დავიწყე გუშინ და მოვხაზე ტანი

მისი ისეთი, როგორც გუშინწინ ლამით ვიხილე — და როგორც კი დავასრულე, ვნახე: თურმე დამიხატავს უზარმაზარი შრომანი, მოჭრილი და უგულოდ გადაგდებული ერთ უცნაურ, მრავალგზის დაკლავნილ მდინარეში. დღეს კი ვხედავ, ეს არ არის მდინარე, არამედ უზარმაზარი გველია, რომელიც სადაც მისრიალებს დაკლავნილი და პირში ლამაზი და უზარმაზარი შრომანი უჭირავს.

11 აგვისტო

ჰოი, საოცრება შენი ტანისა, ყოვლად მშვენიერი რომ მისვენებულა საწოლზე! და ვნებით დატვირთული შენი მძიმე ქუთუთოები! ჰოი, ელვარება შენი ტანისა სიბნელეში!

ვისურვებდი ფურცლები შემომეცალა ვარდებისათვის, კვიპაროსისათვის — ტოტები, შემეგროვებინა ყვავილები, ლოცვები და გოდებანი და შენ შიგ ჩამეგდე! და მარად ზედ დაგყურებდე, ჰოი გარდაცვლილო სიყვარულო ჩემო, და შენს გაშლილ თმაზე განვუტევო სული ჩემი. ასე რომ გხედავ ახლა, ამდამ, კვლავ დაღლილსა და ყოვლად მშვენიერს და უძრავს, აღვაპყრობ ხელებს და ვევედრები დიდ ძალას, მომაკვდინებელს, გაილოს თანაგრძნობა და მოწყალება ჩვენზე, უბედურ შეყვარებულებზე და ახლა, როცა ფერმკრთალი და დაღლილი ხარ, გამოგვიგზავნოს ნუგეში დიდი, — ძმა სიყვარულისა, სიხარული მარადიული და მყუდროება მარადიული.

გძინავს და იღიმები... ვიხედები შენთა ქუთუთოთა სიფერმკრთალისა და შენთა დიდთა წამწამთა მიღმა და ვამჩნევ სიამოვნების ბრწყინვალეებით და მონატრებით დასველებულ შენს თვალებს. ამბორთა სიშმაგე დაგთამაშებს და დაგცახცახებს, ჰოი უძლებო, ბაგეებზე და შენს მკერდზე იბურცება და ადი-ჩამოდის ზვირთი, ზვირთი ხორცისა, რომელიც დელავს ნეტარების იდუმალ ქარბუქში.

გეხვევი და ფართხალებს ჩემს მკლავებში დატყვევებული ზვირთი, იგრიხება ქვემოთ და მთლიანად მფარავს უსაზღვრო ხავერდის ალერსით, თითქოს რომელიღაც ხომალდის დაღუპვა განუზრახავს, თითქოს დაღუპვა განუზრახავს და გაქცევა...

გძინავს და იღიმები. მინდა თმაში გტაცო ხელი, დაგადო ხელი ყელის იმ ამობურცულ ადგილზე, რომელიც ადი-ჩამოდის, მოგიჭირო და დავტკბე შენი ტკივილით, ო ძალზე საყვარელო, ვნახო, როგორ გაგეხილება უეცრად შეშინებული თვალები, რა ფერს მისცემს მათ შიში და რას უზამ ტუჩებს. უნდა მოგიჭირო ორთავე ხელი ყელის მფეთქავ ადგილზე და უნდა ვნახო, რა ლამაზად შემომეგრიხება და შემომეხვევა შენი სხეულის გველი. გაგიდიდდება თვალთა გუგები და მღელვარება შენი ხმისა დამატკბობელი იქნება, როგორც ის ხმები და წყევლა, რაიც მესმის ზოგჯერ ლამით, სულთმობრძავი ვარსკვლავები რომ გამოსცემენ. მოიბუზები იქ, საწოლის კუთხეში დაიწყებ ვედრებას და ჰოი ველურო განცხრომავ! ვიგრძნობ შენი თბილი და რბილი სისხლის დინებას ჩემთა ხელთაგან, ჩემი თითებიდან, ვიგრძნობ, როგორ დაეცემიან თეთრ ზეწრებზე და როგორ იწვეთებენ მაქმანებიდან...

რა დამეშართა? არაფერი, ჩემო სიყვარულო. ფერმკრთალი რადა ვარ? ალბათ დაღლილობისა და სიყვარულის გამო. გეძინა, დაგყურებდი. გიცქერდი და ვიღიმებოდი. არა, ხმა არ მითრთის... რად უნდა მითრთოდეს, ჩემო

... გეძინა და ვიცქვრდი, უცნაური ვნებანა ინთებოდნენ ჩემში: ... სურვილთა და წავიდეთ სხვაგან, სადაც სხვაგან, ჩემო სიყვარულს, მეც არ ვიცი, სად... იქ, სადაც უძრავი და იღუმალის წყლებიდან ზეამოდის მარადიული სიზაოული, დავწვებით იქ, მდუმარენი, ლამაზები და ბედნიერები. ვაწვებებთ ტუჩებს და ამბორი ჩვენი იქნება მარადიული, მიწაზე ვიქნებით დაწოლილები და ღამეები გადაგვიქროლებენ თავს; დატკნებიან ვარდები, დასცვივათ ფურცლები, ჩვენი ამბორი კი იქნება ურყევი და უკიდვგანო მარადიულობასავით და ღამესავით.

გეძინა და სიყვარულის სიმღერას ვაფრქვევდი ზენს ქუთუთოებზე და ზენს მოკუმულ ტუჩებზე.

ნუ სტირი; ჰოი ყოვლად საყვარელო! ველურია და მახინჯი ჩემი სიყვარული, მაგრამ მარადიული.

12 აგვისტო

ნუ სტირი. ნუ სტირი... ღვინომ სიყვარულისამან, ღვინომ სიყვარულისამან დაატრო სული ჩემი.

15 აგვისტო

ფერმკრთალი ვარ და ღონემიბდილი, ჯერ კიდევ ლოგინში ვწევარ და ეცდილობ მოვიგონო: მაინც რომელი ანგელოსი იყო, ღამით რომ გამომეცხადა სიზმარში, ფრთები გაშალა ჩემ ზემოთ და ბრძოლაში გამომიწვია?

ჯერ კიდევ ვგრძნობ ტანზე ძლიერ მოჭერას; ცეცხლოვანი კრილობები დამიტოვეს, მგონი, მისმა ხელებმა, განძრევა არ შემიძლია. ვილაცამ სრულიად წამართვა ღამით შეგრძნების ძალა, იმ ხესა ვგავარ, მთელი ღამე წვიმები და ქარიშხლები რომ სცემდნენ. ტრიუმფის შეუბრალებელი ენებით თვალეებში და სულთამხუთავის ძალით ხელებში, ვილაც მომიანლოვდა ღამით და ვიბრძოდი უნუგეშოდ. სიცოცხლე მინდოდა და გიგანტად მაქცია სიცოცხლის წყურვილმა, ო, როგორ მსრესდა ანგელოსი, რომელსაც არ გააჩნდა არც თანაგრძნობა და არც შეწყალება; მის თვალეებში ბრწყინავდნენ გამარჯვებათა ველური ელვარებანი. ჯერ კიდევ ვგრძნობ ჩემს ტუჩებზე, ქუთუთოებზე, თმასა და ბეჭებზე მის ველურ და ცხელ სუნთქვას, უდაბნოს ქვიშის ღრმა სუნთქვის მსგავსს. ახლა მღელვარებით და შიშის კანკალით ვღიქრობ: მაინც რომელი იყო ის ანგელოსი, ღამით რომ გამომეცხადა სიზმარში და თავს დამაფინა ფრთები?

17 აგვისტო

მოცახცახე და ღამაზი, ჩაწითლებული თვალეებით, ალბათ ტირილისაგან, შემოვიდა დღეს ჩემს ბინაში, თითქოს იადონი შევარდენის ბუდეში ჩაფრენილიყოს. თანაგრძნობა, სიყვარული და რაღაც შეწყალება დაიძრნენ ჩემში და შემირბილეს სიტყვები. რაღა ხარ ფერმკრთალი, ჩემო სიყვარულო? არა, არ ვიტყვი? ოჰ, ღმერთს მავედრებდი? რაღაც ველურმა სიცილმა გამიბოგული. არაფერი მითქვამს. ჰოი საბრალოვ, ნეტავ გცოდნოდა, რა გავიფიქრე!

შროშანების თაიგული მომიტანა. ხელი მომკიდა თავზე, მკერდზე მიიზიდა ჩუმად და რაღაცას ბუტბუტებდნენ მისი ტუჩები. ვშიშობ, ლოცუ-

ლობდა. რაღაც მძიმე სურნელი, ცხელი და უკადრისი ამოდიოდა მისი ტანი-
დან და იჭრებოდა ჩემს სხეულში.

ვთხოვე გაჩუმებულიყო. დაგვლიჯე შროშანები და მოვიბნე მისი ტუ-
ჩები. შენს სხეულთან ზიაოება მინდა ამაღამ. მწყურია საკურთხევად და წმი-
ნდა კანკელი შენი ტანისა. ჭეშმარიტმა ღვთის მსახურმა გსხვევს და უნდა
შევწირო ამაღამ, ტაძარი შენი სხეული უნდა იყოს და ბოდვანი ჩვენნი —
საგალობლები, ხოლო სარწმუნოებრივი და ზექვეყნიური ექსტაზი იქნება
ჩვენი უძლურება განცხრომია შემდეგ. უნდა ვეზიარო ყოველ შენს მოძრაო-
ბას, მთელ შენს სიმორცხვეს და მთელ საიდუმლოს შენი სხეულისას. და
როცა ღონემიხდილი მიესვენები თეთრ ზეწარზე, როცა შენს თეთრ ხელებს
ალარ ექნებათ მოხვევის ძალა, მოვალ და მუხლს მოვიყრი შენ წინაშე, პოი
წმინდაო ტრაპეზო ნეტაობისა, აღვაპყრობ ხელებს და ვილოცებ.

მერე გაგიხელ თვალებს და მათ ღრმა სილურჯეში იმ საიდუმლოს წა-
ვიკითხავ, რომელსაც მიმაღავ.

22 აგვისტო

მუხლს ვყერი შენ წინაშე, პოი რჩეულო ჩემი სულისა და გვედრები.
მომეცი რაიმე იმ უბიწო სიმშვიდისაგან, რომელსაც სძინავს და იღიმება
შენს შუბლზე, შენთა მოძრაობათა დიდებული სინარნარისაგან, მთვარის შუქი-
საგან, რასაც მშვიდად და თეთრად ასხივებს ღამეთა დედოფალი — სული
შენი. ვიცქირები შენს უთქმელ თვალებში და გვედრები.

სხვაგან სად არიან კიდევ სიჩუმისა და სიმშვიდის ამდენი სამყაროები,
შენს დიდ თვალებში რომ დაცურავენ და იღიმებიან? ვიხრები და ვუცქერ.
შენი აზრები ბალის შროშანებივით იხრებიან და იძირებიან შენთა თვალთა
აუზღვრველ ტბებში. უცნაური ზეცანი, უღრუბლონი და უქუხილონი, მხო-
ლოდ სინათლით და პარმონიით აღვსილნი — აღვსილნი ღმერთით — ირეკ-
ლებიან და ჩუმად საუბრობენ შენთა თვალთა წყლებში. ვგრძნობ, იქ იბუ-
დებს გამოცანა ბედნიერებისა და საიდუმლო სიმშვიდისა და ტბებში იღვრე-
ბიან საღამოთი, როცა გაწვება სინათლე დასაკლეთით და ფარავს წყლებს.
შენს თვალებში დაცურავენ სხვა ქვეყნებიდან წამოსული სინათლით, თეთრი
სიმღერებით და იღუმალი შროშანებით დატვირთული დიდი ხომალდები.
თეთრად შემოსილი ანგელოსი კიჩოზე დგას გაწლილი ფრთებით. არც ლაპა-
რაკობს, არც იცინის, ნელ-ნელა ცურდება და უჩინარდება შენს სულში —
პოი ზღვაო უკიდევანოვ და პოი სიმშვიდეო!

ო, ნუ ხუჭავ თვალებს კოცნისას! მინდა ვნახო, რას ფიქრობენ აჩგელო-
სები იმ დროს, როცა ხრი კოცნით დატვირთულ ქუთუთოებს და როვორ იბ-
რძებიან და იმსხვრევიან ხომალდები იმ საწინელ გრაგალში, რომელსაც ჩემ-
თა ვნებათა ქარიშხლები აჩაღებენ შენს თვალებში.

24 აგვისტო

ოპ, ნეტავ არაფერი მყვარებოდა, არაფერი მძულებოდა, წავსულიყავი
აღამიანებისაგან მოშორებით, მხეცებთან ახლოს — უდაბნოში და იქ, ჩემს
დაუმორჩილებელ სულთან მხოლოდყოფილს მეცქირა ზეცისათვის, რათა გა-
მემყარებინა აზრი უკიდევანო უდაბნოს სანახაობასთან, მეშვა ქარიშხლის სტი-

ქიონი და ერთი დაქროლვა მხურვალეებისა; შევერთებოდი უდაბნოს უტყვე
სულს და მომენათლა სული ჩემი ნათლობით ცეცხლისა იმ უვრებში, ყოველ
სალამოს ორგებში რომ იმყოფებან და მრუშობენ ქვემოთ, დასავლეთით.

ოპ. ნეტავ არაფერი მყვარებოდა და დავკმაყოფილებულიყავი იმ დიდი
ნოსტალგიით, რომელსაც განიცდის სული ჩემი უდაბნოს მიმართ.

ავგისტოს #1, დილა

მშვიდად ვარ, რაღაც სიჩუმე ასუდარებს და რბილად, ნაზად ეზვევა
ჩემს სულს. წავედი ტყის პირას, რათა წამოვწოლილიყავი ჩრდილში, ჩავხვე-
ოდი დედამიწას და დამევიწყებინა ყოველივე. გარს შემოჯარული უზარმა-
ზარი ხეები და წინ აყუდებული მთები მიშთობდნენ „მეს“, ანადგურებდნენ
ტკივილს ჩემსას და სიხარულს ჩემსას. ღრმად ვგრძნობდი, რომ მეც ერთი
ნაწილი ვიყავი ამ ტყისა, ჩის ტანი ვიყავი, რომელიც ფიქრობს, დადის, იტო-
ტება, ფოთლები სცვივა და ავდება... მდინარის ტალღა, რომელიც ტირილით
იბადება, ხან კი სიმღერით მიგორავს ზღვაში სასიკვდილოდ... რად უნდა ვი-
ყოთ მარადიულები? რად — ასეთი ეგოისტები? ზოგიერთი მწერივით
საამბორობლად და სასიკვდილოდ დავიბადეთ, მიწაზე გაბნეული ჩვენი
მტვერი გამოჰკვებავს და შობს ელემენტს ხასას და კლდისას და ჩიტისას,
რომელიც მღერის, და ნაკადულისას, რომელიც ტირის. აზრი ჩვენი უცვლელ-
ლად გახდება ნაწილი სხვა თაობათა აზრებისა, გაივლიან უთვალავი საუაუ-
ნეები, მოვლენ დღეები, როცა სიცივისაგან იკანკალებენ ადამიანები, მოიბუ-
ზებიან, სიცოცხლეს და სიტბოს მოძებნიან ეკვატორის ირგვლივ, მუცლის
სიღრმეში, და უკანასკნელი დედა შობს უკანასკნელ შვილს; დასასრული კა-
ცობრიობისა და ქვეყნიერებისა გაისმება გინების მსგავსად და არც კი შე-
აკრთობს სხვა ვარსკვლავებს, რომლებიც იმოძრავენ ლამაზ და მთლად
ღიმილმორეულ ცაზე. რაოდენ სასაცილოები ვართ ჩვენი ტანჯვით, სიძულ-
ვილით და სიყვარულით! როცა ვზივარ და ვუცქერ ჩემ წინ მოსიარულე
ადამიანებს, ასე მგონია, სადღაც შორს ვიმყოფები, ძალიან შორს და ვაკ-
ვირდები. რაღაც იშვიათი, იშვიათი ხმაური და ხმათა ჩურჩული ძლივს
აღწევს ჩემამდე. ვხედავ ამ არსებებს: მიდი-მოდთან ამაყები, თავაწეულები,
უყვართ და სძულთ, ჩხუბობენ და იცინიან და მირბიან ენმორეულნი, ყვე-
ლანი, ყველანი, გაუვალნი, მდუმარე და უძლები ორმოსაკენ. ვხედავ, როგორ
ცვივიან სათითაოდ, შუა წყდება მათი სიცილი და ეცემიან, როგორც წვიმის
წვეთები ზღვაში.

წამოწოლილი დიდ ხეთა ჩრდილში ვფიქრობ: რამდენად უფრო მშვენი-
ერი იქნება, რომ შეწყდებოდეს ყოველი ტანჯვა, მხარი რომ მისცენ ერთი-
მეორეს, რომ ანუგეშოს, რამეთუ ცხოვრობს, რომ ააცდინოს ყოველი დაბრ-
კოლება გზაზე და მშვიდად, ნელა და უმტკივნეულოდ უბიძგოს გაბედნიე-
რებულს საფლავში. მარადიულია იქ სიმშვიდე, ამბოროთა ჩურჩული არ შე-
აწფოთებს იქ, ქვემოთ, ჩვენს ძვლებს. ვნებანი ველარ აღწევენ მიწის ქვეშ.
ზღვა ავლავაც იმღერებს თავის გრძელ სიმღერებს, ზემოთ იჩურჩულებენ და
იცახცახებენ ხეები ქარში, აყვავდებიან და იკვნესებენ ცულის დარტყმათა
ხმაზე. ადამიანი სიყვარულით იქნება შემოსილი, ხოლო მხეცები იღმუვლე-
ბენ ტყეთა სიღრმეში სიყვარულისა და შიმშილისაგან. ყველაფერი იმოძრა-

ვებს; დაიტანჯებიან და იყვირებენ ჩვენ ზემოთ, მხოლოდღა ჩვენ, მშვიდნი, უძრავნი, გულზე ხელებდაკრეფილნი დაველოდებით მიწის ქვეშ.



გან აგვისტო, შუაღამი

რა უნდოდა? რად ვიხილე იგი ამაღამ ჩემს სახელოსნოში? მშვიდად მოსიარულემ, მომლიმარი და ლამაზი, ხორცსავსე, კოცნაში სიმკრასქლით და ბურცული ტუჩებით?

რად მოხვედი ამაღამ, როცა ასე მკვდარი ვიყავი?

აჰ, კოცნა გინდა; ჩემო სიყვარულო? კოცნა გინდა?

დავეკეტოთ ფანჯრები, რადგან მეშინია. ვარსკვლავების მეშინია, იქ, ზემოთ რომ იცინიან, კვდებიან და იმ სიტყვების მეშინია, ხეები რომ ამბობენ. ფერმკრთალი რადა ვარ? გინდა გაიგო. ჩემო სიყვარულო, ფერმკრთალი რადა ვარ? მკვდარი ვარ. სასაფლაოდან ვბრუნდები ახლა. მოვედი, რომ გაკოცო და მთლიანად დაგეპატრონო. მოდი, მომეცი სული შენი და ტუჩები შენი, რომ მოვწამლო ისინი ამაღამ. უნდა მოგიტხო სასაფლაოს საიდუმლოებანი და უნდა გიჩვენო, პოი რჩეულო ჩემო, რას ხედავენ თვალთა ფოსოები, რომლებიც დღედაღამ მიწაში იტყვირებია. გიჟი, გიჟი გგონივარ? მიწა თითქოს შუშისა იყოს, ისე ვხედავ ყოველ ძვალსა და ყოველ მიცვალეზულს, გულზელ-დაკრეფილნი რომ წვანან და ლბებიან. შენზე უკეთესი თვალეზი მაქვს და მუბლები თითქოს კრისტალები იყოს, ისე ვხედავ აზროვნების მექანიზმის ყველა ზამბარას და ყველა კოშმარს.

გესმის ჩემი? არა? ოჰ, ჩემო სიყვარულო! მიყვარხარ და მეშინია. მინდა მოხვიდე მთლიანად, მთლიანად, მთელი შენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, რომ გადავექდოთ ერთმანეთს, რომ ჩავიმალო შენს სხეულში. დავიკარგო და აღარაფერი დავინახო. აღარ დავინახო დიდი აჩრდილი, თავზე რომ მაზის და მიბნელებს სულს. ხედავ? თითქოს შავი ფრთა იყოს, რომელიც გივანტურად იშლება და წვება ჩვენს თავებზე.

ოჰ დამბალე, გამათბე და მაკოცე, პოი საბრალოვ, რადგან მეშინია... მეშინია.

გან აგვისტო

პოი საბრალოვ და გულუბრყვილო სიყვარულო, ნეტავ იცოდე, რას ვმალავ გულში ბედნიერი და დაღლილი წახვედი გუშინ შუაღამით. უნუგეშოდ გიცქერდი მიმავალს — ფანჯარასთან ვიდექი და გიყურებდი. ვხედავდი შენს ტანს, სითეთრეს რომ აფრქვევდა ღამეში, მესმოდა, როგორ იკარგებოდნენ ნელ-ნელა შენი ნაბიჯები და ვხედავდი, როგორ ქრებოდა სისპეტაკე შენი.

იმედდაკარგული ვიყავი და როცა ღამეში შენც დაგკარგე, არ ვიცი, რატომ, ბაღში ჩავედი და დავგლიჯე ყველა ვარდი.

გან სექტემბერი

ერთად მივდივართ. ნდობით მეყრდნობა, ერთად ვბრუნდებით სახლში. ვხურავთ ფანჯრებს და კარებს, ვაქრობთ შუქს, ვაფარებთ ფარდებს და სრულიად მარტონი ვრჩებით საწოლის საღრმეში. თვალეზი ვუცქერ, წელზე ვტაცებ ხელს და ვუყურებ. საოცარია, როგორ არ ყვირის და არ უხმობს საშ-

ველად ვინმეს ან არ კვდება შიშისაგან ზეწარზე.

პოი საბრალოვ, ჭერ კიდევ ვერ გაიგე ვინა ვარ და როცა მარტონი ვრჩებით ურთიერთჩახვეულნი, არ გეუფლება ზეგარდმო სიკვდილის წინა/გრძობა? როგორღა შეგიძლია იყო მშვიდი და შეყვარებულე? რთუცა... ვინიდავ და ვითხოვ შენგან საიდუმლოს შენი სხეულისა და ვითხოვ წყურველეს მოკვლას — უფრო მეტად სულის წყურვილსა, ვიდრე ხორცისა, — შენს ბაგეებზე და შენი ტანის გაყრუოლებაში ვგრძნობ, როგორ გადმოდის ჩემში და როგორ ტირის გადაულახავი ვნება სიკვდილისა.

რალაცა ტირის ჩვენს ამბორში და მკვდართა ძვლების ხახუნი იგრძნობა ჩვენს ხვევნაში; რალაც გარინდება ახლავს ჩვენი სიყვარულის გულისცემას.

რალაცა ტირის ჩემში, პოი, ძალზე საყვარელო, და გვედრება. როცა უძრავი და ფერმკრთალი წევხარ ლოგინზე და თვალებს ხუჭავ მეტი სიამოვნებისათვის, რალაც ტირის ჩემში და გვედრება, რომ დახუჭო თვალები, დახუჭო თვალები და აღარ გაიღვიძო მეტად.

6 სექტემბერი

ჩემს ყველაზე საიდუმლო აზრთა სიღრმეში ჩუმად კრთის წმინდა კანკელი ჩემი სულისა. მასზე აღემართე შენი კერპი, პოი ძალზე საყვარელო. მუხლს იყრიან ჩემი მღელვარე სიზმრები შენ წინაშე და გამსახურებენ, ჩემი აზრები კი კანდელებივით ანთია და დნება შენს ფერხთით. სიყვარული ჩემი ეკლის გვირგვინს გიწნავს თავზე და ჩემი უსაზღვრო და ურყევი წუხილი შენი მესვეტეა. სულს ებრძვიან ჩემი ვნებანი შენს ფერხთით და ამოიება ჩემი გვაშისა საკმეველივით ზეამოდის შენს სისპეტაკეთა ირგვლივ. რალაც იდუმალი, განუწყვეტელი ღვთისმსახურება სრულდება დღედაღამ ჩემს გულში, ჩემი ყოველი ძარღვი და მთელი ჩემი ფიქრები შენი გაცნობის შემდეგ ლოცვას მიეჩვივნენ. მუხლს ვიყრი მთელი არსებით შენი კერპის წინ, რომელიც დგას და ბრწყინავს წმიდათაწმიდაში ჩემი სულისა. მუხლს ვიყრი და ვლოცულობ დიდი ღმერთების წინაშე; პოი გალატეა! კვლავაც დაბრუნდი მარმარილოთა მომაკვდინებელ უძრაობაში, მარადიულ სიმშვიდეში და მარადიულ სილამაზეში — რადგან მეშინია. სულიერი ტკივილის რომელიღაც ტალღა იზრდება და ზეამოდის ჩემს გულში, ბლავის და იმუქრება შენ ირგვლივ. რალაც უზარმაზარი სიმაძღრე გარტყამს წრეს.

ო, დაბრუნდი, გალატეა, სიკვდილის მარმარილოდქცეულ სილამაზეში, ვიდრემდის დაგფარავს ტალღა მთლიანად, ვიდრე ნაოჭები შეგიბლალავენ უბიწო მუხლს. ვიცი წამალი, რომელიც შობს ყოველ ტკივილს, ვიცი უკვდავი წყალი, რომლის შემსმელსაც აღარ მოსწყურდება მეტად. პოი, სიყვარულო ჩემო, მობრუნდი შენი კვარცხლბეკიდან, მოდი წაგბილწო ჩემი ტუჩებით და წვეთ-წვეთად ჩაგაწვეთო დიდი ვნება, წუხილი დიდი და დიდი მონატრება ნირვანისა, სადაც სილამაზე მარადიულია, სიზმარი ტკბილია და ურყევი, სიამოვნება ნიუქტესი¹¹ კი არ იწამლება რიყრაყის სიმწარით.

პოი გალატეა! სულის სიღრმეში მუხლს იყრის შენი კერპის წინაშე ყველა ჩემი აზრი, ყველა ჩემი სიზმარი და ყოველი გაყრუოლება ჩემი სხეულისა და უხმობენ სიკვდილს.

8 სექტემბერი

უთხარი სულს შენსას დაიჩოქოს ჩემს მახლობლად, რწმენით გააპოს ბაგენი და დაელოდოს: სიყვარულის წმიდა ბარძიში უჭირავს ხელში ანგელოსს მწუხარებისა, დაპქრის ქვეყანასა ზედა და აზიარებს სულს.

გველი და შრომანი

10 სექტემბერი

ბოლოს ვცემ. ვილაცხვ ველოდები. ქალაქიდან გავრბივარ, ავდივარ გორაკზე, ვიხედები წინ და ვფიქრობ. მზე ნელ-ნელა მთის უკან ცურდება, ხოლო მის ირგვლივ ოქროსფერი და წითელი ღრუბლები მწუხრის სიმშვიდეს ხლართავენ წყლებზე. იფრქვევა ხეებზე ნაშუადღევის მყუდროება, ჰკოცნის კლდეებს და ტკბილად სძინავს ზღვაზე და მთათა მწვერვალებზე. ნელ-ნელა ფრთებს შლიან ჩიტები და ზანტად მიფრინავენ ბუდეებში. ვარსკვლავები ჩნდებიან ცაზე და ილიმებიან. უცქერენ მდაბალნი სულნი, ისინიც შლიან ფრთებს პირჯვრისწერის ყოვლისშემძლეობით და პოულობენ იქ, სხივებზე, ბუდეებს.

ყველაფერს სძინავს და სიზმარშია დედამიწაზე. არ ვინძრევი, რათა არ გავაღვიძო მწერთა სამყაროები, რომელთაც სძინავთ ჩემს ფერხთით. ყველაფერი ჩუმდება, მთიდან ამოვა ახლა ფერმკრთალი და მშვიდი მთვარე და როგორც რომელიღაც უცნობი დედის ნახად მოსიყვარულე თვალი, უდარაჯებს შვილების ძილს.

ყველაფერი ჩუმდება. ვზივარ გორაკზე, ვიცქირები წინ და ვფიქრობ. დამე იბუდებს ჩემს გულში. და ვფიქრობ. ზღვის მყუდროება, ხეთა სიჩუმე და ვარსკვლავები შემოდინან სულში. და ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ შემოდის ჩემში და როგორ მკვიდრდება მკვდარი ნივთების ნუგეშდაკარგული ბედნიერება.

15 სექტემბერი

მოდის, ერთად ვიტყვით, რომელიღაც ტალღა წყალდიდობასავით ზეამოდის ჩემში, ღმუის შენს ირგვლივ და გვედრება. ჩემი სულის ცრემლი იზრდება შენს ირგვლივ და გვედრება.

მოდის, იმათთვის ვიტყვით, ვისაც არ შეუძლია ტირილი, ვისაც თვალები ამომშრალი აქვს და გული კი ცრემლითა აქვს სავსე; იმ ყვაილებიანების, რომლებიც იშლებიან და ჰკნებიან, მთებისათვის, შარად ღმერთებს რომ გახეკუთვნებიან და რომელთაც მხოლოდ სიკვდილისას განუშორებიან; ხათელი შუბლებისათვის, პატარა ბუდის მქონე დადი ფრთებისათვის, ვარსკვლავებისათვის, რომლებიც რალაციის სათქმელად იბრძვიან და ვერ აჩეხებენ. მოდი და ნუ ვაკოცებთ ერთმანეთს ამაღამ — მხოლოდ ვიტყვით... ცრემლები თანდათანობით ჩამოწვენ ჩემს სულში და ახლა ვიხრჩობი. ვიხრჩობი. პოი საბრალოვ და პოი საყვარელო! მოდი და მხოლოდ მატრე ამაღამ სარეცელზე. შემიმსუბუქე სული წარღვნითა და ტკივლით.

16 სექტემბერი

ტყდება ყვაილი, როცა ბევრ ცვარს უგზავნის ზეცა. და დნება სული ჩემი სიყვარულისგან.

ალი იწვის ჩემში. ხატის წინ ანთებული ჩაუქრობელი კანდელაკით, გარეული ფრინველის ფრთებივით უცნაური, დიდი ფრთები ~~ჩემს~~ ჩემს წინ, რომელიღაც ბრწყალი მიკაწრავს გულს და ცრემლის დიდი, მღუმარე წვეთები სისხლივით წვეთავენ ერთიმეორეზე და მიღრღნიან ~~სულს~~ სულს.

ნუ სტირი და ნუ შიშობ, ო, ძალზე საყვარელო. სულიერი წუხნილის დიდი არწივია და ხიყვარულის ჩაუქრობელი ჩირაღდანია იგი. ნუ სტირი — გულიმი ტკივილს ჩემსას და ძგერას მისას იმსხვრევა გული ჩემი და გადმოსჩქევს სისხლი და მოდის ღამე. მსუბუქად, ნაზად მადებ ხელს შუბლზე და უჩინარდებიან ფრთები, სისხლი აღარ მდის — მიშუშდება ყველა კრილობა. შეშურებია იქ, მალლა, ღმერთს და შურისძიებით აღვსილა. არა, ნუ ვიტორებთ — ნუ ვიკადრებთ! რაღაც უკვდავს წვას და ღიმილს ვგრძნობ ჩემში. იგივე ალია ჩემში, რაც მას აქვს და იგივე არსი — რაც ვარსკვლავებს. მრისხანებს ჩემში უკვდავება, ნეტარება უოვლადღიერებისა და დიდი ამბორი, რომელიც სამყაროს შემოქმედთ აქვთ ფერდებში. დაუმსხვრეველი ბორკილები მჭაქვავენ დედამიწაზე, მაგრამ ვგრძნობ ჩემში ვილაცას, რომელსაც არ ნებავეს მოიდრიკოს თავი ღვთის წინაშე!

გუშინ ღამით, როცა შიშველს ცუცქერდი კანდელის მქრქალ შუქზე, რაღაც ველურმა ვნებამ სისხლი მადინა მკერდიდან. მომეჩვენა, რომ მთლიანად დავეუფლე მას და აღარ დარჩა არავითარი საიდუმლო მასში, რომელიც არ შემიბთალავს. ყველგან, მთელს მის შიშველ სხეულზე, ჩემთა ამბორთა ნაჭრილობევეები, ჩემი ხელების შეურაცხყოფელი ალერსი, ჩემი სხეულის ავხორცი და გველისებური ნაკვალევია.

საუკუნო გზებია, ჩემმა ვნებამ რომ გაიარა. მომეჩვენა, რომ მთლიანად დავეუფლე, მთლიანად, — მხოლოდ ერთი წითელი საიდუმლოდა დამრჩა კიდევ. დამალულა შიგნით, მისი კანის ქვეშ, მის ქუთუთოებზე და მის სრულიად თეთრ ძუძუთა ბორცვებში — იქ იყო დამალული და ვგრძნობდი, რომ ბრუნავდა და მრუშობდა, სრულიად წითელი, ძარღვებში.

და მივხვდი, რომ არ დავეუფლებივარ მთლიანად.

ოჰ, იდინოს სისხლმა და დაიდვაროს ზეწრებზე, იფართხალოს მისმა სხეულმა საწოლზე, გაეხილოს შიშით აღვსილი თვალები და გამოიწოდოს ხელები იმედითა და შიშით ჩემს ყელზე შემოსახვევნად!...

ოჰ, მშვენიერება სისხლისა!

და გამეღიმა გუშინ ღამით, პოი, საყვარელო ჩემო, მანამ არ მოგკვდები, ვიდრე მთლიანად არ დავეუფლები.

მინდა ვიჩქარო, მინდა მთლიანად დავეუფლო. დავეუფლო ყველა თეთრ საიდუმლოს შენი სიშიშველისა, რომელსაც სძინავს და იცდის. იქნებ მოვასწრო და ბოლომდე ამოვაშრო ბაგენი შენნი, შენი სხეული და ყოველი გაქრყოლება შენი, შენი ფერდების სიღრმეში რომ იცდის, რომ შენი ვერც ერთი ამბორი ვერ წაიღოს ქარონმა, რომ ყველა მე წარგტაცო. მინდა ვიჩქარო,

რადგანაც ვგრძნობ, რომ ვკვდებით, რაღაც გვეცლება გამუდმებით ფეხქვეშ. საათის რომელიღაც ისარი იქ, ზემოთ, მიიწევს, მიიწევს და გვიანლოვდება ღამე. რაღაც მაგნიტი გვეწევა მიწის სიღრმიდან, ვერა გრძნობ, ჩემო სიყვარულო? ძლიერად გვეწევა — ამაოდ ვეჭიდებით ყვავილებს ვხვებ, ითხრებიან ყვავილები, მკვდრები გვრჩებიან ხელში და მკვდრებით. ჰოი, სიყვარულო ჩემო, მჭიდროდ შემომახლართე ირგვლივ: მოხუცებულ სითეტრე შენი ტანისა, კიდევ უფრო მაგრად მომეკარი, მოდი, შევაწებოთ ჩვენ. უბედურმა შეყვარებულებმა, ტუჩები და სულები ჩვენი და სხეულები ჩვენი ჩვენთა ვნებათა დიდ ისართან, მოდი, შემომეწანა ირგვლივ, იქნებ დავაყოვნოთ ცოტათი, იქნებ ჩაიარონ წუთებმა ისე, რომ არ ჩავეშვათ იქ, ქვემოთ. ოჰ, იქ, ქვემოთ, მიწაში, საითაც გვეწევა ყოვლადძლიერი მაგნიტი. მოდი ვიჩქაროთ. ნუ დამიძალავ საიდუმლოს შენი სხეულისა. რომელიღაც ბაკხელის სულსა ვგრძნობ ჩემში! ნუ გეშინია, დაბუჭე თვალები და მომეცი ხელი, მოდი გიჩვენო ყველა გაუვალი ბილიკი ნეტარებისა, რომელიც კი ვიცი. მრისხანედ გადაგვივლის ღამეთა ბურუსი და ზეამოვლენ ჩვენი გულ-ღვიძლიდან ამბორნი. მოდი ვიჩქაროთ. ვილაც გვიდარაჯებს საწოლის კუთხეში. რომელიღაც წინათგრძნობა განფენილა სუდარისმაგვარ ზეწრებზე. ოჰ, საით გავიქცე და შენი სხეულის რომელ ხვეულში შთავეინთქა, როგორ ჩავდნე ისე, რომ არ მოვკვდე — რომ არ მოვკვდე მანამ, სანამ მთლიანად არ დაგეუფლები.

27 სექტემბერი

ვიცქერ და მგონია, ჰოი უძღებო და ჰოი დედაკაცო, თუ მიმოვაბნევ ჩემს სიყვარულს დედამიწაზე, განაყოფიერდება უნაყოფო მიწა, მუცლად იღებს და შობს წითელ ვარდებს, ყაყაჩოებს, ხვართქლასა და სუროებს.

28 სექტემბერი

ო, როგორ შემოგხედო, როგორ დავადნო სხეული შენი და როგორ განვფინო ვნება ჩემი შენს წყურვილზე, რომ მივიღო ის დიდი ნეტარება, რომელიც შენს თვალებში დაცურავს, ცურდება შენს ფერდებზე და უთქმელი და მიუკარებელი იღვრება შენს თეძოებს ქვემოთ!

მწყურია სხეული შენი და როცა მაგრად ვუჭერ მკლავებს, ფართხალებს და ყვირის ველური ხვევნის ტკვილისაგან, რაღაც გოდების მსგავსი ხმა აღმომდის შიგნიდან, გულს მიფლეთს განხიბლვა და რწმენა იმისა, რომ რაღაც სხვას ვეძებ. ვიბრები და მესმის, როგორ ცელავს ჩემში რომელიღაც ნამგალი უცნაურ, მოტირალ საგნებს. ვაგანაზე და დავადნე სხეული შენი მონატრებათა ცეცხლში. მივეცი მას ყველა ხვეული უბიწო იდეებისა და ღამეულ ქროლვათა ყველა ალერსი, მიგიზიდე, თვალებში ჩაგხედე და ვთქვი: შენა ხარ ჩემი სიზმარი. ხმა აღმომხდა და რაღაც გოდებამ შემეფრთხო გული.

ჰოი, ყოვლადსაყვარელო! არა, არა, ვერ მოვასწრებ მთლიანად შენს დაუფლებას.

30 სექტემბერი

თუ სხეული ჩემი სავსებით დაგნებდება და იცახცახებს მთლიანად შენთა ალერსთაგან, ჰოი, ყოვლადსაყვარელო, თუ მთელი ჩემი სხეული მოინათ-

ლება განცხრომისა და ორგიათა ოჯღში — შუბლი ჩემი დარჩება მშრალი. სხეულთა დღესასწაულს მოშორებული, სიამოვნებისა და გაოცების მიღმა, გაუცინარი და მწუხარე, მწუხარე...



3 ოქტომბერი

გუშინ საღამოს, როცა მოვიდა მომღიმარი, გამომიწიდა და თვალებში ჩავხედე, მარტონი ვიყავით და ნახევრად დახურული ფანჯრებიდან ქვემოთ, პორიზონტზე, მოჩანდა მომაკვდავი მზის სისხლიანი ბრძოლა. რას ამბობდნენ ფოთლები ქვემოთ ბაღში, რად კენესოდნენ ხეები და რად იწვდიდნენ ტოტებს ნუგეშდაკარგული ხელებივით და ვილაცას უხმობდნენ ღამეში? თვალებში ჩავხედე და გავიღიმე. დიახ, ყოველ საღამოს მოაშურებ ჩემს მკლავებს, ჰოი საბრალოვ და ჰოი საყვარელო! გაჯადოებენ და გაბატონებენ თვალები ჩემი...

მთლიანად დაგეუფლე, დავიბყარი ყოველი შენი უჯრედი და ყოველი საიდუმლო შენი სიშიშვლისა. პატარა ხარ და სუსტი, იბუზები ნელ-ნელა ჩემს წინ და ჩემთა ამბორთა ითხოვ სასიცოცხლოდ. პატარა ხარ და სუსტი, მოიწევ ჩემსკენ ღამით და ჩემთა ბაგეთაგან სვამ საწამლაგს, რომელსაც მოუთვინიერებელ ვნებებს ვაწვეთებ ხოლმე. ო, საბრალოვ! მაინც ვერა ვგრძნობ, რომ მე ვარ ის მაგნიტი, სწორედ მე გეწვევი მიწის სიღრმიდან, მე გალავ და მე გიმონებ?

4 ოქტომბერი

როცა გული უღონდებათ ტუჩებს შენს ტანზე, მეცოდებიან შენი საბრალო ბაგენი, შენი უბიწო თვალები, შენი თეთრი შუბლი და შენი ძუძუები, რომლებიც მხოლოდ სიყვარულს ფლობენ. მენანები მთლიანად, რადგან მთლიანად გბღალავ, რადგან ვგრძნობ, რომ ტუჩები ჩემი ცბიერნი არიან და არ განბანილან ამდენ წაკითხულ წიგნთაგან და იმ მუხლუხობებს გვანან, რომლებიც კოცნიან და აქუტყიანებენ შროშანთა ფურცლებს.

5 ოქტომბერი

ვდგავარ და გიცქერ. მძულს სისპეტაკე შენი შუბლისა და შენი თვალების უსაზღვრო მიაშიტობა. სპეტაკი ხარ და თვალებს მიჭრილობებ. მინდა უმოწყალოდ მოგდრიკო, მივუშვა ნებაზე სული ჩემი, რომ გადავიაროს და დაგისეროს სული ნაოჭებით. მინდა გაგასისხლიანო გული დაკრილ და უნუგეშო იმედთა სისხლით და უკურნებელი ფართხალით იმედგადაწყვეტილი აზრებისა.

სპეტაკი ხარ და თვალებს მიჭრილობებ.

მინდა მკლავებში მყავდე მომწყვდეული ღამეების განმავლობაში, განთიადისას კი გამოხვიდე უცნობი და იმედგადაწყვეტილი, განუკურნელი ჭრილობებით გულთან და გადაულახავი წყურვილით სიკვდილისა შენს დიდრონ და ღამაზე თვალებში, რომ მე შევქმნა შენი აზროვნება, წავბილწო გული შენი და შთავასხა სული შენი იმ გაბრწნილ საშოში, სადაც შთაისხა ჩემი სული. ძალას ვგრძნობ, რომ ერთ ღამეში აგხადო ნამუსი, რომ გამოძახილი ჩემი ტკივილისა, შვა ნაყოფი ჩემი სულის აღვირაბსნილობისა, სურნელება-

დაკარგული და ამაზრზენ ბუსუსიანი შრომანი. ფოთლებდაგლეჯილი. თით-
კოსდა უზარმაზარ ქარიშხალს გადაევლოს ზედ ლამის განმავლობაში

10 ოქტომბერი

ო, ნეტავ მიეკრა საწოლის კიდეს, გაწვე ზეწარზე, დავხურო ფანჯრები.
დავუშვა ფარდები, თავს დაგაცხრე მთელი ღამე და ამოგწოვო სული!..

10 ოქტომბერი

დადნა შენი სხეულის ნაკეთები ჩემთა ალერსთაგან და გამოშრნენ ბაგენი
შენი ჩემთა ამბორთაგან. მთლიანად მომენდე და შეურაცხვეყავი ყველა საი-
ღუმლო, ყველა გაფრუოლება და ყველა მღელვარება შენი სხეულისა. დავ-
ბეჭდე ჩემი ვნების ამბორით ყველა ხვეული შენი ტანისა და სიმაძღრე ამო-
დის, ამოდის სიყვარულთან ერთად.

გადაგსინჯე ჩემი ალვირახსნილი სულის მიკროსკოპით. ვიცი, რასაც
ამბობენ შენი თვალები გრძელი წამწამების მიღმა, რას ამბობს მოძრაობა შენი
ხელისა და რას იძახის შენი სიჩუმე სიბნელეში. ვიცი, რხევისას, დაბრისას
როგორ იცვლება და ნაოკდება შენი სხეული, რამდენი ღარი უკეთდება
შენს ძუძუებს და როგორ ამოდის შენი ღრმა და თბილი სუნთქვა. ყველაფერი,
ყველაფერი ვიცი. შრომანთა სიფითრით და ღუმფარას სინარნარით ეცემა
საწოლზე შენი სხეული. ტუჩები გეკუმება და გეხუჭება სრულიად თეთრი
თვალთა კაკლები. იზღარბება ჩემი ყელის გარშემო, დაღლილი და სრულიად
თეთრი, შენი მარჯვენა ხელი, ვიცი, რისი თქმაც გინდა, როცა პირს გააღებ
და ვიცი, რასაც ხედავ, როცა თვალებს ხუჭავ, ისიც ვიცი, რასაც ფიქრობ.
როცა ხელა და მორცხვად გიწითლდება ლოყები.

ტანის რხევისაგან, როცა მოდიხარ, და სითბოსაგან შენი სულისა მოსალ-
მებისას, უკვე ვიცი, რამდენ კოცნას მაჩუქებ და რა სიტყვებს მეტყვი. მთლიან-
ნად შეგისწავლე, ჩემს გახრწნილ სულს რომ აქვს, იმ მიკროსკოპით, პოი, საბ-
რალოვ... და იხილე — იხილე, სიმაძღრე ამოდის სიყვარულთან ერთად.

11 ოქტომბერი

შუადღე. დიდი სიყვარულის ცეცხლოვანი ხვევნანი ჩამოდინა ზეციდან და
ურყევი მიწა დედად იქცევა. მშვიდდებიან ოქროსფერი თავთავები და მძი-
მედ ხრიან თავებს, თითქოს ფიქრობენ, თითქოს წინასწარ გრძნობენ ნამვალს.
ჩუმდებიან გაღმა მთები. გართხმულა უზარმაზარი დედამიწა და ჩუმდებიან ჩი-
ტები ხეებზე, ისვენებენ ცხოველები ჩრდილებში. საგანთა უსაზღვრო რიცხვ-
ში და ცოცხალ არსებათა უძრაობაში, მზის ცეცხლოვან ამბორებში, რომლე-
ბიც ფარავენ და ანაყოფიერებენ მიწას, ისმის რაღაც უცნაური და საიდუმლო
ღრჭიალი. გეგონება, ცახცახებს დედამიწა. ალბათ სიამოვნებისაგან, ან იქნებ
ტკივილისაგან.

და პოი, რჩეულო ჩემო, უეცრად, მონატრებასავით და ალივით გამიელვა
გონებაში და ტანში ცეცხლოვანმა და დაუვიწყარმა შუადღემ ჩვენი ბედნიე-
რებისა — შუადღემ, როცა ჩვენს სულებზე იწვოდა დიდი მზე სიყვარულისა.



შემოეძარცვა ფოთლები გაზაფხულს და ჩაქრა ზაფხული ჩვენი სიყვარული-
ლისა. გადასცქერიან მდინარეს ტირიფები და ტირილი ჩნდება ტყეებში, რა-
ღაც წინათგრძნობა ამძიმებს ხეებს. შემოდგომა მიმძიმებს გულს, და როცა
სულს შენი მოლოდინი გადაუჭროლებს, მის ნაკვალევზე გოდებს რაღაც სხლ-
ტომა იმედგადაწყვეტილ სიზმართა, რომლებიც ძირს დანარცხებულან და ტი-
რიან მიწაზე დაცვენილი ფოთლებივით, ტკივილისაგან რომ კვნესიან, როცა
მათზე დავდივართ და ვაბიჯებთ.

20 ოქტომბერი

იმედგადაწყვეტილი ვწნავ ხელებს შენს ირვკლივ და თვალებში გიც-
ქერ. აღარაფერი გაქვს სხვა ჩემთვის მოსაცემი?

21 ოქტომბერი

მინდა შეგიტყუო ერთხელ, ღამით ტყის ყველაზე ღრმა სიბნელეში,
მარტონი ვიყოთ, არ დაგვნათოდნენ ზემოდან ვარსკვლავები და გათქმევირო
ყველა უკადრისი სიტყვა, რომელიც კი იცი, რომ გამოსცრა შენთა ბაგეთაგან
მთელი სიბინძურე, რასაც ითავსებს და რისი მოგონებისაც სცხვენია შენს
მახსოვრობას; სიტყვები, რომელთაგანაც სირცხვილი დაწვებს ედება, სმენას
არცხვენს და აჩენს საიდუმლოებებს სიშიშვლისა.

რაღაც უხამსი ვნება ზვირთდება ჩემში და ცდილობს გაიგოს ყველა
უკადრისი სიტყვა, რომელიც კი იცი. მინდა ვნახო, როგორ შეურაცხიყვე-
ბიან შენი მორცხვი ტუჩები. მაგრამ არ ვაწითლდვ სრულებით, არ იმერყეო,
რომ გქონდეს ჭორიკანა ენა და უხეში გამოხედვა, უკადრისი ქცევა, რომ
ხელიხელჩაჰკიდებულნი და ავხორცნი უსირცხვილოდ აღმოვიდნენ ყველა
შენი უწმინდური განზრახვანი და ნაკეთთა გაბრწნილი სინარნარენი ლიტანიო-
ზე, წინაშე ასტაროთის ქანდაკებისა. გვექნება აღვირახსნილობა სიყვარული-
სა, ჰოი ხაზრადოვ, უძრავი ვიქნები შენს წინაშე და ჩიგხედავ თვალებში, რომ
არ დამიმალო არაფერი! რომ არ დამიმალო არაფერი და რომ მომაფურთხო
ყველა უკადრისი სიტყვა, რომელიც კი იცი. იქნებ შეგიძლია და მაგრძნობი-
რო რომელიღაც ახალი და უცნობი სიამოვნება. სიამოვნება სიყვარულის სი-
ძულვილისა, აშაზრზენობისა და შეგინებისა მაშინ მოგებხვევი ხვევნიტ ცხო-
ველთა მძუნაობის ღამეში. და ვიგრძნობ, როგორ იფართბალებს ჩემს ზეულებში
რაღაც ჩემეული, ნაყოფი ჩემი ტკივილისა — სხეული, რომელიც მე შევქმენი
და რომელსაც მევე ავხადე ნამუსი — ხორცისმიერი იარალი ჩემის სევდისა
და ღრმა და განუკურნელი აღვირახსნილობა ჩემის გონებისა. და გმთანტჳავ
მთლიანად, რადგან მთლად ჩემი იქნები და ბოლოს ვიგრძნობ დიდ ტრიუმფს,
რომელსაც გრძნობენ დიდნი დამპყრობნი, დიდნი გამანადგურებელნი და
დიდნი შემოქმედნი!

22 ოქტომბერი

აფორიაქებული ვარ, აფორიაქებული. რაღაც ტკივილმა გაიღვიძა ჩემში.
ავად ვარ. ხელები მიხურს, ასე მგონია, თუ გადავიკაწრავ ცოტათი ხორცს და
დავინახავ ცოტაოდენ — ოჰ, სულ ერთ წვეთ სისხლს! — დავმშვიდდები.

26 ოქტომბერი

დღეს დილით ჩემს ბაღში ჩავედი დასასვენებლად. გაღვიძებორათ ყვავილებს და ცვრით დამძიმებულნი სურნელებისმფრქვეველ პირჯვარს იწერდნენ დილის ვარსკვლავზე. მხოლოდღა ერთ შროშანს ეძინა ხევიაჩუბს შორის. მის ნახევრად მოხრილ ფოთლებს შორის ვხედავდი, თუ მგლ-მცლმქცაგორ ამოდოდა პატარა და ლამაზი მწერი — გაჭირვებით შლიდა ფრთებს, თიქოს მტვრით ჰქონდა დატვირთული ან კიდევ სიამოვნებით. უძილობას ჩაებუდებინა შროშანში. ვხედავდი, მძიმედ რომ მოფარფატებდა ხეებს შორის ნეტარებით მთვრალი. ვიგრძენი, რომ თვალეზი ლამეულ მონატრებათა მოლოდინით ჰქონდა სავსე და ვერაფერს ხედავდა. იქ, სადღაც მთელი ლამის განმავლობაში ობობა ხლართავდა ქსელს. და იცდიდა. ჰოი, ფართხალი მისი სიკვდილის ხლართებში! მსხვერპლს მიაშურა ობობამ, მე კი უბრად გავძვერი ტოტებს შორის ისე დაღლილი, რომ არც კი გამიწვდია ხელი სიყვარულის უბედური მსხვერპლისათვის.

საბოლოოდ დავიწყებული მქონდა ეს. არც კი მომგონებია მთელი დღის განმავლობაში, და როცა განთიადისას წამოვედი დაღლილი მისთა ხვევნათაგან, მთვრალი მისთა ამბორთაგან, მთელი ლამის განმავლობაში რომ მიმასპინძლდებოდნენ მისი ტუჩები, — უცებ, არ ვიცი რატომ, მომაგონდა საბრალო მწერი და დავინახე ობობა, რომელიც იქ, სადღაც ხლართავდა, ხლართავდა დიდ ქსელს სიკვდილისას.

29 ოქტომბერი

ოპ, რამდენ რასმე ვგრძნობ სხვებისაგან განსხვავებით! ვზივარ ახლა, შუალამით და ვფიქრობ. ახლახან წავიდა ჩემგან დაღლილი და დამწუხრებულნი, რადგან გავაძვევე. როცა დავიხარე, შუბლი ჩემი ჩავდე მის ძუძუთა შორის და ვიგრძენი რაღაც ბედნიერების და თავდავიწყების მსგავსი რომ დაცურავდა ჩემში და მიყუჩებდა ტკივილს, ერთმა უზარმაზარმა მრისხანებამ მთლიანად ამაფორიაქა; უცებ მომეჩვენა, რომ ხორცთა მთელი ეს სიმრავლე: ეს თვალეზი, ტუჩები და ხმის სინარჩარე ვიღაცამ თავს დამაბერტყა მისაძინებლად — ისევე როგორც ბავშვებს აძლევენ ხოლმე სათამაშოს, რომ არ იტირონ. რაღაც სიძულვილის მაგვარი წამოიძარტა ჩემში, რაღაც ირონია და რაღაც ტალღა და მინდა გავთელო ეს ნამცეციც, რომელსაც ჩემკენ ისვრიან და ვკვდები შიმშილისაგან. არა, არა, რაღაც სხვას ვეძებ, რაღაც სხვას, რაღაც სხვას.

მიერზივარ ფანჯარასთან და ვხედავ, მუნჯი ლამე გაწოლილა და შემომხვევია ირგვლივ. სძინავთ ხეებს. მხოლოდღა მთვარე ფხიზლობს მათ ზემოთ. მესმის მსუბუქი სუნთქვა, ვარდები რომ სუნთქავენ ძილში. ვხრი ლამით, შემობურულ თავს, ვუსმენ სიჩუმეს. და ვფიქრობ: მაინც რა არის ის, რასაც ვეძებ?

10 ნოემბერი

გადავიღალე. დამისისხლიანდა ფეხები ცხოვრების გზაზე ხეტიალში. დამეწვა სულის ფრთები ვნებათა ცეცხლში.

გადავიღალე, სისხლის წვეთებითაა აღნიშნული ჩემი გზა მიწაზე. უსაზღვროა ვნებათა მეუფება, ჰოი, რჩეულო, და უსაზღვროა ბილიკი გოდებისა.

ბევრი რამ ნახა სულმა ჩემმა და დაბრმავდა. ბრმამ, უჯობოდ, მოხრილმა მთელი ჩემი საგვარეულოს სულიერი ტკივილისაგან, სამშობლოსაგან გაძვეებულია, დაბადებამდის უკვე დამნაშავემ — მოვალწიე შენს მუხლბრძანების.

ჰოი, ანტიგონე, სულისა ჩემისაო, — მიმოფანტე შენი ოქროსფერი თმა ჩემს ფერხთით და წარმხოცე სისხლი.

მომეცი ხელი, ჰოი, ასულო ჩემი ტკივილისა, და გამიძებნე ბრმას.

11 ნოემბერი

მიიწვევს მატლი სიყვარულის ვარდისკენ. მთელი ქვეყნიერებაც ვერ დაამშვიდებს ჩემს აზრს. შენზე დიდია სამყარო. რაღაც დიდ მისწრაფებასა ვგრძნობ მაღალი მთების მიმართ, დიდი ჰორიზონტებისა და ლალი ნიავის მიმართ ღრუბლებს ზემოთ. არწივი იმალება ჩემში, მიკაწრავს გულს და სამშობლოს ეძებს. დაიქანცა სული ჩემი სულ დაბლა ფრენით და დაიქანცა გული ჩემი ტირილისაგან. გადაიღალა სამყაროს ტირილის, ვარსკვლავთა ჩუმი ტკივილისა და ზღვის უნუგეშო ღმუილის სმენით. გადაიღალა სხეული ჩემი, გამძვინვარდა შუბლი ჩემი და მინდა ჩავწვე დიდ საწოლში, დავიკრიფო ხელები და დაველოდო. ვინ იცის! სიღრმეში ოკეანე მარად უძრავი, მშვიდი და მკვდარია. იქნებ იქ, ზემოთ, სხვა ოკეანეშიც, სადაც მოგზაურობენ და ილუბებიან ვარსკვლავები, არსებობს უფრო მეტად უსაზღვრო ღრმული, სადაც არასოდეს ყოფილა სიცოცხლე და ტკივილი, და არის ურყევი ხვრელები და მკვდარი სამყარო — მარადიული ცისფერი სუდარები რჩეულთა და მოწამეთა სულთათვის.

12 ნოემბერი

ზოგჯერ მეჩვენება, რომ სულაც არ არის წარმოსახვა, რასაც დღედაღამ ხედავენ ჩემი სულის თვალები. ასე მგონია, ეს უმაღლესი დაძაბულობაა ჩემი გონებისა იმისათვის, რომ მოიგონოს. სხვა სამყაროებიდან მოვდივარ დატვირთული მოლოდინით, ცრემლებით და მოუთვინიერებელი ვნებებით. ამქვეყნიურ ბოროტებათაგან შეუბღალავი და სრულიად უცოდველი, დღედაღამ მოტირალ რაღაც სულსა ვგრძნობ ჩემში. ტირის იგი იმ საიდუმლო საყვედურთათვის, ნახივრად ჩამჭრალ მოლოდინთათვის და უცნაურ ჩრდილთათვის, რომლებიც ჩაივლიან და ნელ-ნელა მოჩვენებებივით შორი და ნელა მოძრავი სუდარებით მიიწევენ ჩემი მეხსიერების ბნელ სიღრმეებში. საუკეთესო სამყაროთაგან მოდის სული ჩემი და ვარსკვლავთა განუკურნელი სევდა ახლავს. მცირეა ჩემთვის ამქვეყნიური სიხარული, ირონიიაა ჩემთა ვნებათათვის დიდება და არ ძალუძს სიყვარულს ჩემი გულის აღვსება, ნამცვრევებსა ჰგვანან, უდაბნოს ცხელ ქვიშაზე რომ ცვივიან. მთვარეული ვარ ამა ქვეყნისა, დავდივარ გახელილი თვალებით და ვერარას ვხედავ. დავატარებ უცნაურ სამყაროებს და დღედაღამ ვუცქერ მათ, დიდ და ლამაზ სამყაროებს, სადაც დაგროვდა ტანჯვა და ურყევად აზის ჩემს სულს. დავაბიჯებ მიწაზე და დიდ პარმონიულ ზღვებს ვხედავ ჩემს წინ; ვხედავ, როგორ მიცურავენ და იკარგებიან გემები, ვხედავ ვარსკვლავების გამაჩენას და მათ ღიმილს მსგავსად მზიებისა, — ჩემი ძველი ნაცნობები და ძველი სასახლეები ჩემი სულისა.

ვარსკვლავებს შორის მოგზაურობისას გზას ასცდა სული ჩემი. სუსტია

და პატარა ხელი შენი, პოი, ყოველადსაყვარელო, და თვალები შენნი — არა ღრმა. სხვა პაწაწა სამყაროთაგანია სული შენი და არ ძალგიდს ~~ქმარიტი~~ გზის ჩვენება. ღამით, როცა მარტონი ვართ, არ ძალგიდს ამიტაცულ შენი თეთრი ხელებით და სამშობლოში წამიყვანო.

ქართული
სამშობლო

პოი, საბრალო სურნელებანი, სულში რომ გროვდებიან და იცდიან! პოი, საიდუმლო წმინდა ტრაპეზი, გონების სამსხვერბლოზე რომ მალღდება ძოწეულთ დაბურული. და შეიდბეჭდიანი, მისტიური წიგნი, დაბურული რომ დევს მასზე და იცდის.

ღიაა მშვენიერი კიშკარი, წმიდა ბარძიმი კი ცარიელია და წლების მანძილზე უნუგეშოდ ელოდება სისხლსა და ხორცს. ვაერთებ ხელებს და ველოდები. ფერმკრთალი ვარ და შავ წინათგრძნობათა ცახცახი მიკვეთავს მუხლებს. დნება სული ჩემი ტკივილისაგან. უნუგეშოდ ტირის ჩემში წყურვილი დიდი ღვთისმსახურებისა. მთელი ჩემი სხეული, ყველა ჩემი განზრახვა, ყველა წყურვილი ჩემი ტანიაა დიდი ზიარების მოლოდინშია. დღედაღამ ვიხედები სულის სიღრმეში, სადაც ელვარებს ცარიელი და იმედდაკარგული ბარძიმი.

და მეშინია... ვხვდები... ვზივარ უბრაოდ — ადამი, გაძევებული ხელმწიფე, და მაგონდება რომელიღაც სხვა სამშობლო და ვტირი — ვტირი ობოლთა და გაძევებულთა უნუგეშოდ და მწარე ტირილით.

18 ნოემბერი

მეყრდნობი და ამბორნი შენნი მიშოეტენ სხეულს, მთელს ჩემს სიხარულს და თავს მაყრი საგანძურს ალერსთა, რომლებაც შენს ხელებში იმალებიან. მეწნები ირგვლივ ისე, როგორც სურო კვიპაროსს — და ვარ უძრავი, არაფერი მახარებს და არაფერი მაწუხებს, არ ვიძვრი და ვფიქრობ. ვფიქრობ მზის ჩასვლაზე, რომელიც ყოველთვის ღამაზია და ერთნაირი, ამდენი ნაღველი ახლავს და ამდენი სისხლის დამდენი ტკივილი სულთმობრძაობაში. ვფიქრობ ვარსკვლავებზე, რომლებიც უხილავი, მოტირალი ღმერთის ცრემლებივით წყდებიან. მკოცნი და გიყვარვარ, მე კი შორიდან სულ უფრო მესმის შრომანთა კენესა, რომლებსაც სცვივით ფურცლები წყლებზე, იათა ოცნებები ფოთლებში ჩამალული, ვარდთა ტირილი, ეკლებსაგან რომ დაჭრილან ღამით... შეგრძნებათა უცნაური ყვავილობა იწყება ჩემს სულში და მესმის საგანთა ღრმა და უსაზღვრო ტირილი... მეყრდნობი, პოი საბრალოვ! მკოცნი და მეხვევი, მე კი არც მიხარია და აღარც ვწუხვარ. ვერა გხედავ. მეც მომტირალე საგანთა ერთი ნაწილი ვარ, ვშეშდები და ვფიქრობ...

სული ჩემი ეოლური ღირაა, რომელსაც ეალერსება ამოკვნესა ქვეყნიერებისა. თვალებში მიტირის ყველა საიდუმლო დაისისა და ყველა მონატრება მაღალთა შუბლთა... მეყრდნობი, პოი, საბრალოვ, და მკოცნი და იცინი, იცინი და უმღერი სიყვარულს, სიხარულს და სიცოცხლეს... აღვიქვამ როგორც უზარმაზარ შრომანს, რომელიც დახრილა ჩემზე და ტირის — საბრალო შრომანს, ვარდთა ეკალთაგან დაჭრილს.

18 ნოემბერი, შუაღამე

უზარმაზარ სამყაროებს ვგრძნობ ჩემში. უცნაურ და საშინელ სამყაროთა ყვავილობას, ჩემი სულის ყოველი ყვავილი ქრებანთემა, სატანური, გადახსნილი და დიდი მხატვრის ყვითელ და წითელ ტილოებს.

სხვა სამყაროთათვის ვარ შექმნილი. ვგრძნობ იმ სიღრმეებს, რომლებსაც ვგრძნობენ მოწამეთა და რჩეულთა სულები. ოკეანეს, წყალდიდობას და გამოცანას დიდი თვალებისას და საიდუმლოთ, რომლებიც იმალებიან მაღალ შუბლთა ნაოჭების სიღრმეში. მეუფებს და ტირის ღრმად ჩემში ნოსტალგია სხვა ულამაზესი სამშობლოსი.

20 ნოემბერი

სიყვარულსა და ცხოვრებისეულ სიხარულზე უმეტესია, მეცნიერებაზე და დიდებაზე მაღლაა, ვარსკვლავთა მიღმა ის, რასაც ვეძებ. ნუ გიბყრივარ შენს მკლავებში დამწყვდევლი ჩემი ფრთებით.

ერთი აჩრდილი და მხოლოდ ერთი გაელვება ხარ შენ ჩემი სულის დიდ მოგზაურობაში, შენი თვალები ორი წმინდა წყაროა, რომლებიც მოვიდნენ, რათა შევსვა და კვლავ იწვეთონ ერთი წუთით ჩემმა აზრებმა. შენთა ძუძუთა შორის იმალება რბილი ბალიში, რომელზედაც წუთით მივიძინე, რათა კვლავ გამღვიძებოდა. ნუ გყევიარ შებოჭილი. გამოცანა არც შენს ფერდებში და არც შენს დიდრონ თვალებშია დამალული. პატარა და სუსტია ხელები შენი და ვერ ვხვევიან მთელს ჩემს სულს. რომელიღაც მაგნიტი ღვას ვარსკვლავებს ზემოთ და მეწევა. ერთის მთელი ჩემი სხეული დიდი ნოსტალგიით და დიდი ვნებით დამაგნიტებული. ვილაც მეწევა ვარსკვლავებიდან. ნუ გყევიარ შებოჭილი. სიყვარულზე და სიცოცხლის სიხარულზე მეტია ის, რასაც ვეძებ.

28 ნოემბერი

მთელი დღის ცხოვრებისაგან ღონემიხდილი ლოგინში ჩავწექა. უკუნეთი ღამე ჩასაფრებულიყო ჩემს ფანჯარასთან და გაიბნა ირგვლივ ჩუმი და სრულიად შავი, როგორც კი ჩავაქრე შუქი. გავწექი ჩემი დაღლილი სხეულით საწოლზე, ჩავრგე თავი რბილ ბალიშში და ბედნიერმა სიამოვნებით დავხუჭე თვალები.

ნეტარად მოედო ჩემს სხეულს სიმშვიდე და მყუდროება. რაღაც ავზორცობის მსგავსი გაიხსნა ჩემში. ბედნიერმა დავხუჭე თვალები და გავიაზრე დიდი ღამე სიკვდილისა.

4 დეკემბერი

უკიდევანო დაისი გაწვა ჩემში. რომელიღაც მზე კვდება ჩემში და წითელი სუდარა ეფინება და იცრიცება წყლებზე. ყოველივე დუმდება ჩემს გულში მძიმე სიჩუმით, რომელიც ფარავს დიდ მღელვარებათ და დიდ გვამთ.

რომელიღაც ზარის სასიკვდილო ექოები ისმის ჩემს სულში და ვგრძნობ, იმ ზარსა ვგავს, საღამოობით რომ ისმის ხოლმე ჰაერში, ნელა-ნელა რომ დასტირის მოშაკვდავ დღეს.

11 დეკემბერი

რომელიღაც საიდუმლო სხეული მოკალათებულა ჩემს გულში და გველბა. სულს ებრძვის რაღაც გიგანტური ჩემს გულში.



მინდება ხოლმე დავხატო სული ჩემი. მარადიული გრეხილი ლაოკოონისა. გველები — სიბრძნისა და ტკივილის კრუნჩხვანი. და ჩემთა სიზმრისეულ შვილთა ნელი და დაუსრულებელი მოშობა.

22 დეკემბერი

ჩემში, შიგ გულში, ვგრძნობ უზარმაზარ „შიმშილის კოშკს“. ვილაცამ ჩამკეტა იქ, ჩემს სიზმრებთან ერთად. გავიგონე კარების დახშობის ხმა და გასაღებების მდინარეში ჩაცვენა. თვალებში შევეყურებ ჩემს სიზმრებს და ვღუშვარ. გამიშრა ცრემლები. მუნჯი ვარ და უძრავი. ჩაუვლიან ხოლმე სათოფურებს დღეები, ტირიან შვილები ჩემნი და გარს მეხვევიან. თითო-თითოდ პირქვე ცვივიან მკვდრები ჩემს ფერხთით. და დავრჩი მარტო. დაზვინულან ჩემს ირგვლივ მათი ლამაზი და ფერმკრთალი ვვამები ღია თვალებით, თითქოსდა ჯერ კიდევ საყვედურს გამოთქვამენ. ბრმა ვარ და დავეძებ მათ ჩემი გულის ღამეში... ჩემი გულის ღამეში რომელიღაც მამა ტირის და დავეძებს თავის შვილებს.

22 დეკემბერი. უძილობა

„ხმაი პრამათ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყეებისა მრავალი; რაქელ სტიროდა შვილთა თვსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემისა, რამეთუ არა არიან“.

23 დეკემბერი

ვერ ვიძინებდი. რაღაც კოშმარი — ფიქრი — ჩემს მკერდს ეღებოდა და იძულებული ვიყავი ვარეთ გამოვსულიყავი დასასვენებლად. მინდოდა მერბინა მანამ, სანამ არ დავდლიდი ჩემს სხეულს, სანამ იარები არ გამიჩნდებოდა ფეხებზე და არ დავუძღურდებოდი — რომ დამვიწყებოდა, რომ მეტად აღარ მეხილა ის თვალები, რომელთა სიღრმეშიც ამდენი გულუბრყვილობა, ამდენი უმანკოება და ამდენი ცისფერი ბედნიერებაა. მათ სიღრმეში, ისე, რომ მათ არც კი იციან, იმალება და სძინავს მთელს სამყაროს, რომელიც ჩემთან გამოთქვამს საყვედურს. დავდივარ ღამეში უდაბურ გზებზე, გარეთ, ხეებქვეშ, და ვფიქრობ. და ვხედავ საგნებს, რომელთაც ვერა ხედავენ სხვები. დავდივარ და ვგრძნობ. დგას მიკროსკოპი ჩემი სულის თვალთა წინ და მიწამლავს სიცოცხლეს. სხვებს შეუიარაღებელი თვალები აქვთ და ვერა ხედავენ საიდუმლოებებს. როცა დავცქერი ანკარა წყალს, რომელიც მორაკრაკებს და მოედინება და ვუახლოვდები წყურვილის მოსაკლავად — მიკროსკოპი მიჩვენებს მატლთა გროვას, უთვალავ მიკრობებსა და პატარა ურჩხულებს, რომლებიც დაცურავენ და თამაშობენ, იკოცნებიან და საცეცებს იწვდიან დადარაჯებულნი. როცა ვუახლოვდები ვარდს დასაყნოსად, მის ფურცლებში ვხედავ უშნო და შიშველ

ბოჭკოებს, ათას ცოცხალ რასზე და მონადირე წებოვან ორგანიზმებს ხედ რომ დაეცოცავენ.

მშვენიერ ქალთა ბაგეებზე ვხედავ ამბოროთა ხვევას, მრუშობას და დამახინჯებებს. ნაოჭებს ვამჩნევ მათ შუბლებზე და ღამეულ ალტყინებათა და უხამს სიყვარულთა ბნელ თავშესაფრებს მათ თვალებში. სინარულით დაეცა ვეწყენისას კი ვამჩნევ, უზარმაზარი ტკივილი და სინდისის ქენჯნა როგორ მოიციავს, როგორ აბნელებს და იმონებს მათ. შენი თვალების მიღმა, პოი, საბრალოვ, ვხედავ, როგორ ეცემა და გროვდება შავ ფრთათა ღამე და განცხრომაში, რომელიც გვიდამბლავებს და გვიუძღურებს სხეულებს. ჩვენთა ამბოროთა ექოში და ჩვენი საწოლის ერთიულ სიღრმეში, რომელთაც ამდენი საიდუმლო იციან ჩვენი — ჩემი სულის თვალთა წინ ურყევი მიკროსკოპი მიჩვენებს ორი მთრთოლვარე ჩონჩხის ხვევას, მესმის ძვალთა ხახუნი და შიგ, სულის სიღრმეში ვგრძნობ სიცივეს და საფლავთა საშინელებას.

21 დეკემბერი

ო, როცა წარმოგიდგენ საფლავში, ნეტარებისა და ძრწოლის ველური ინტიმქტი ზვირთივით წაშოიშართება ხოლმე ჩემს სისხლში და სურვილი მიჩნდება გტაცო ხელი, შევაწებო ბაგენი ჩემნი შენს ბაგეებს და მიგიზიდო უიმედობისა და სიყვარულის მთელი ძალით, რომ ერთ ხორცად ვიქცეთ, ერთად დავდნეთ ცეცხლში ხვევებისა — რომ შევეწებოთ ჩვენი სხეულის ერთ უზარმაზარ ამბოროთად და ერთხელ ღამით, შუალამით, ვანუტყევთ სული მეჩისდამტეხ ნეტარებაში, რათა ვერაფერი იპოვოს ქარონმა ჩვენგან წასაღები გარდა ცოტაოდენი ნაცრისა.

25 დეკემბერი

მომიძღვენ ბაგენი შენნი, მომიძღვენ მთელი შენი სხეული და მთელი მადლი შენთა რხევათა, მთელი ზვირთი შენი ტანისა, ნეტარების თავაწყვეტილი ვნებანი და სიკვდილის ველური გაურქოლებანი იღვიძებენ ჩემს სისხლში ამაღამ, აქ. მთლიანად უნდა გაგწურო ამაოამ, უნდა მოგკიდო ხელები და ჩემი უკურნებელი ვნების ცეცხლოვანი ნიშნები უნდა დაგიტოვო ტანზე. ნუთუ არა გრძნობ შენც, მთვარის ქვეშ, რომელიც უზარმაზარ კუბოსავით ისვრის ცაზე თავის უკურნებელ ტკივილს, ნუთუ არა გრძნობ აუცილებლობას იმისა, რომ ვიჩქაროთ სიამოვნება, ნუთუ არ გესმის, როგორ ამოდის ჩვენს ირგვლივ, როგორ ღმუის, როგორ გვარტყამს ალყას უფრო და უფრო მჭიდროდ, უფრო და უფრო მჭიდროდ დიდი და გამოუთქმელი ზღვა სიკვდილისა?

რალაც იძაბება ჩემს გონებაში. რალაც ველური, სიგიჟისა და სიყვარულის მსგავსი, ორგიებს აწყობს ჩემს სულში. მეშინია არ გავვიყდე, ღრმად, ძალიან ღრმად ხედავენ თვალები ჩემნი და ტირიან.

მოდო ვიჩქაროთ, რამეთუ მოვკვდეთ უნდა, რამეთუ ჩონჩხნი უნუგეშოდ წვანან შიწაში. მოდი, მოდი, კვდებიან ჩვენს ირგვლივ, სულს ებრძვიან ძირს ყვავილები და ქენებიან, ხოლო ჩვენს მალა არ ქრებიან ვარსკვლავები! რამდენი ნათელი და უნუგეშო ღრამა არ გადაგვხდენია თავს — მარადიულ მთრთოლვაში და მარადიულ სიჩუმეში!

მოდო, მომაგებე ბაგენი შენნი და ნუ დაბიკავებ შენს სხეულს. მინდა შემოგაწნა ირგვლივ ჩემი სხეული და პოი, საბრალოვ, მინდა ჩავაწვეთო საგან-

ძური ჩემთა ბაგეთა, მოგიწამლო მთელი სული ჩემთა წინათგრძნობათა შხამით.

81. დეკემბერი

წარღვნამ წალეკა ქვეყნიერება. იხრჩობოდა უბედური დედა, ხოლო წყლიდან ჯერ კიდევ მოსჩანდა მისი ამოშვერილი, სასოწარკვეთილი ნელიბი, მაინც ბავშვისა გადარჩენას რომ ლამობდნენ. წყალი მატულობდა და მატულობდა...

81. დეკემბერი

ვარდებით, ვარდებით, ვარდებით მოვრთავდე ნეტავ სულს ჩემსას, ვიდრე მოკვდებოდეს. ღამე იყო უმთვარო, ერთად ვიყოთ და თავს გადაგვიაროს მძიმე და უთქმელმა ვნებამ. ხანძარს გავდეს უკანასკნელი გამოშუქება ჩვენი სიყვარულისა, გაწითლდეს შუალამე სირცხვილისაგან და ბაგენი ჩვენნი გაქვავდნენ ერთ უზარმაზარ, მუნჯ და მარადიულ ამბორად. ჩვენი ამბორის სიშმაგე კი გაიქცეს შუალამისას და დაუღვიძოს თირკმელები ტყის ბინადართ, დააგიყოს ისინი ღამეული შეერთების ნდომით, გადაუჭროლოს ყვავილებს, დაუხსნას ქამრები და გამოამელავნებინოს საიდუმლოებანი.

ვარდებით, ვარდებით, ვარდებით მოვრთავდე ნეტავ სულს ჩემსას, ვიდრე მოკვდებოდეს. უზარმაზარი ტკივილი აღმომდის გულიდან და მინდა, ჰოი, საბრალოვ და ჰოი, საყვარელო, მიგიზიდო ჩემი სხეულის მთელი ძალით — ისევე როგორც ღამით ტყეებში ერთერთს ეჭდობიან მხეცები, როცა ნდომა უწევავთ და უფორიაქებთ გულ-ღვიძლს.

უზარმაზარი ტკივილი აღმომდის გულიდან, ნეტარებისა და ორგების აღები მენთება თვალებში, ხოლო ჩემს ტუჩებზე სიცილი კრთის და ცახცახებს ტკივილისაგან. სული ჩემი მწუხარებისაგან გაგიყებულთ ჰგავს, სიცილს რომ იწყებენ მერე.

ვარდები, ვარდები, ვარდები. დაე ვიცინო, რადგან არ შემიძლია ტირილი. კრუნჩხვაა სიცილი ჩემი და, ჰოი, საბრალოვ, სიგიჟეს ჰგავს, სიძულვილსა და აბუჩად აგდებას. კბენასა ჰგვანან ამბორნი ჩემნი. ვდგევარ, თვალებში გიცქერ, გიხუტებ და კვლავ გიცქერ. და არ ვიცი მძულხარ და მინდა დაგახრჩო, თუ გაგიყებულნი ვარ სიყვარულისგან და მინდა ვიყოთ გადაჭდობილნი, შეუღლებულნი, ჩახვეულნი და გაქვავებულნი ღამეების განმავლობაში.

81 იანვარი

არა, ნუ სტირი, ჩემო სიყვარულო, მეწვეთებიან შენი ცრემლები და მიწვავენ მთელს ხორცსა და მთელს სულს. ნუ სტირი, ჩემო სიყვარულო, შენაბრალი არ არის, თუკი შენს გულს არ შეუძლია დამშვიდება ჩემი სულისა. შენი ბრალი არ არის, თუკი შენთა ამბორთა ნანინას არ შეუძლია ჩემი ტკივილის დაძინება ყოველ საღამოს. სიყვარულის ტკივილია იგი, მთლიანად რომ ღამე უფლა. და მარადიული განზიბვლაა, რომელიც თანა სდევს ბედნიერ ვნებას. ჰოი, ყვავილთა დახშული ფურცლები, რომლებიც მალავენ სიშიშვლეს და მზის აფხორცი ხელი კი ხსნიან მათ იმისათვის, რომ ისიამოვნოს და მერე დაატკნოს უმაღ! ჰოი, მარადიული დაჩლუნგება და შებღალვა სიყვარულისა! წავი-

ბილწეთ აზრები, ჰოი, სულამითინ ჩემის სულისა, ფინიკიის სანაპიროთა მისტიურ ტაძრებში და ფარულ ჭალებში, სადაც ორგებსა მისცემიან ინსტრუმენტები, ქურუმი ქალები კი იცდიან, და წამოიმართებიან ყოვლადძლიერი და თავშეუკავებელი ხორცნი ასტარტესი. დაიღალა სული ჩემი იმ სისპეტაკეთაგანსა, რომლებზედაც ჩერ კიდევ ასასვლელია — შემცირება უხამსობისა და სიბუღვილისა.

ჰოი, უხამსობა ამბორთა და ნაყოფიერების საზარდულოთა.

ქალდების მისტერიალური ბომონებიდან და სირიის აღვირახსნილი სამსხვერპლოებიდან მოვიდა ერთ დღეს ელადის სანაპიროებზე მშვენიერებაწართმეული, უხამსი და სულელური ღიმილით სქელ ტუჩებზე ნაყოფიერების ქალღმერთის ხის ქანდაკება. იქიდან ამოფრინდა ყოვლადმშვენიერი. ამაყი და მორცხვი თავისი სიშიშვლის გამო, ძუძუებზე და საკდემელზე დაფარებული ხელით, სპეტაკი და უბიწო ელინელი ღვთაება სიღამაზისა... ჰოი, საყვარელო ჩემო, ზემოდის სისპეტაკეთა მონატრება ჩემში. სიყვარულის პრაქსიტელემ ზეციური აფროდიტეს კერპი მინდა აღვმართო გარყვნილია ნამსხვრევებზე, და ჰოი, საყვარელო! რომელიდაც სპეტაკი ვნება ცელავს ვარდებსა და სუროებს ჩემში და შროშანთა დიდი თესლისათვის ძრწის სული ჩემი.

3 იანვარი

ჰოი! გაქრა სიმღერა და მეტად აღარ დაბრუნდება ვარსკვლავებიდან. ჩამოვარდა ცხოვრება ყვავილიდან, გაიბნენ სურნელებანი და შეიბლალნენ სისპეტაკენი. განცხრომის მუხლუხნომ გასვარა ფოთლები. ამბორთა სიმწარე მოკალათებულა ჩემს ტუჩებზე და ზღვის რაღაც ავადმყოფობა აღმოდის ჩემში — დიდი, შემადრწუნებელი ზიზლი სიყვარულისა. ნუ წნავ შენთა ალერსთა ჩემი ყელის გარშემო და ნუ ტირი. ნუ იკადრებ ტირილს. დე აღმოვიდეს ბედისწერის ზღვა ჩვენს ირგვლივ. დაე დაგვატყდეს თავს დიდი წყევლა. ნუ ტირი. რომელიდაც შურიანი და მკაცრი დედინაცვალი ცდუნდება ზემოთ ჩვენი ცხოვრებით, როგორც შევარდენი გვრიტით. რამდენჯერ გაკოცე და რამდენჯერ ფართხალბედი სიამოვნებისაგან ზეწრებზე? არ გახსოვს, შენ არ გახსოვს, იმას ახსოვს. იქ, ზემოთ აღინუსხნენ და აიწონენ, ჰოი, საბრალოვ, დიდი ძალის მიერ, რომელიც მარად შურიანობს და მარად შურს იძიებს. შენ არ გახსოვს, მას ახსოვს. და ახლა ნუ ტირი. მოდი და შემოგვეხლართე მჭიდროდ, ჰოი, საბრალო სუროვ, ზღვა აღმოდის ჩემს ირგვლივ, აღმოდის. არა, ვერც ლოცვა, ვერც ვედრება ვერ დამიმახინჩებს ტუჩებს. ტკივილმა გამიმხეცა და გამიამაყა სული, იკრუნჩხება, მაგრამ არ დნება. მოვკვდები უძრავი, ჩუმი, გაბრძოლების და ვედრების გარეშე. მოვკვდები ბედნიერი, რადგან ჩემთან ერთად ჩაგითრევ, ჩემთან ერთად ჩაგითრევ საფლავში, ჰოი, საბრალოვ და ჰოი, საყვარელო.

6 იანვარი

ამალამ სრულიად შევაძრწუნე საშინელებისაგან. ლამაზმა და მოწყურებულმა ჩემი ტუჩებისაკენ გამოიწია ისევე, როგორც იადონი იწევს გველის თვალებისაკენ. მაფორიაქებდა იმის ხილვის წყურვილი, თუ როგორ წარმოაჩენდა მას სიურპრიზი, რომელიც გავუმზადე. საწოლისაკენ წავუძეხი მოცინარსა და მდუმარეს. უკვე დაღამებულიყო და ფანჯრები დაკეტილი გვქონდა. ქარი უსტვენდა ტევრში. ზღვის ღმუილი ისე მოისმოდა შორიდან, როგორც უზარმაზარი

მკერდის ამოკვნესა. ნათურა ჩამქრალი მქონდა და მხოლოდღა ერთი პატარა კან-
დელი აძევებდა სიბნელეს. წარვუძეხ მომღიმარსა და მდუმარეს საწოლისაკენ
და ტუჩებით დავუმალე თვალები. რაღაც საშინელება ეკიდა ჩვენს ზემოთ. როცა
თვალები გაახილა და მალღა აიხეღა, პოი, საბრალო! საშინელმე კვიცილმე-გაუპო
მკერდი, თვალები შიშისაგან გაუფართოვღა და მზერა გაეყინღ. — მხეღღღ ტანი
უცახცახებღა. თეთრი, მბრწყინავი თავის ქალა შავ ხავერდში მქონღა მოთავ-
სებულღი იქ, სამკაულად. ყბები დაღებულღი მქონღა, თითქოს იცინოღა, ხოლო
თვალთა ფოსოებში რაღაც შავ საიდუმლოებებს ეძინათ.

ჯერ კიდევ ვგრძნობ მთელი ზენი სხეულის ცახცახს ჩემს ხელებში, პოი,
საბრალოვ! ძირს ჩამოცურღა საწოლიდან და მოცახცახე ხელებში ჩამალა
სახე. დიდი, ჩუმი ცრემლები ადიოღა თვალებიდან. საშინელი კრუნჩხვა უტო-
კებღა ზეღა ტუჩს და მთელი სხეული უკრთოღა. ასე ტყდებღა ლერწამი ლამის
ცივი სუნთქვისაგან. ვუცქერღი თვალებში და ვუყურებღი შიშის ზრღასა და
მოდრღობას. და როცა დავიხარე მის საკოცნელად, რათღ დამემშვიდებინა, მოი-
ბუზღა ჩემს ფერხთით, შემომეხვიღ მუხლებზე და შემევეღრა.

ასე, — გავიფიქრე, — ასე ევეღრებოღნენ ღმერთებს.

შემევეღრა, რომ შემეწყყალებინა და მყვარებოღა, ოლოღ არ მეტანჯა. რა
ღამიშავა ისეთი, რომ ვტანჯო? რა ვთხოვე და რა არ მომცა? ტიროღა და იხვე-
წებოღა. უნუგეშო, ხეთღ წვეროები იხრებოღნენ გარეთ და ფოთლებს უხმობ-
ღნენ. მივხვღი, საბრალო, ღარიბი ვარღები, რომელთაც არ შეუძლიათ წინაღმ-
ღეგობის გაწევა და ბრძოლა, — საბრალო, მიუსაფარი ვარღები იძრცვებოღნენ
ქვემოთ, ბაღში...

6 იანვარი

არ გესმის ჩემი. ჯერ ვერ გამიგე. არსებობს სიხარული საფლავთღ ღამეში
და უამრავი იაღონი გაღობს კვიპაროსებში. ჭეშმარიტია და უეშმაკო თავის
ქალათღ სიცილი. გუშინ ღამით, როცა მეხვეწებოღი, გიცქერღი და რაღაც
უთქმელი ტკივილი მიცეღავღა იმეღებს. არ გესმის ჩემი.

სიყვარულის უმშვენიერესი სიმბოლოღა მიცვალებულღს თავის ქალღ და
განცხრომის სამკაული ლოგინისათვის. და მაინც არღ შობს ზენში ხვეწის და
ამბოროის ველურ ვნებებს ვიდრე მოკვდებოღდე? არღ გრძნობ, რაოღენი სევღა,
რაოღენი შხამი წვეთავს მისი უტყვი თვალებიღან, გაშიშვლებული, უხორცო
პირიღან და ეღება ზეწრებს?

არ გესმის ჩემი. ჩემო სიყვარულო, ჯერ არ მომიწამლიხარ მთლიანად.

როცა იგრძნობ, თუ რას ამბობს სანაპიროს კვნესღ და ქოხები ღამით, რად
ხმაურობენ იქ, მალღა, ვარსკვლავები და რად ცახცახებენ, როცა შეგეძღლება
გაიგონო ყვავილთღ ტირილი და ტირილი სულებისღ დაბაღებისღ, როცა მეტყვი,
თუ რად იცინიან ყბები მიწაში და რანი არიან ისინი, ქარში რომ ცახცახებენ
და ტირიან — მაშინ ჩაგიკრავ გულში მთლიანად, მაშინ ჩაგკოცნი, რადგან მა-
შინ მთლად ჩემი იქნები — ხორციც და სულიც.

როცა მოხვალ, ერთხელ ღამით, მომღიმარი და ბეღნიერი, მაგრად მიმიკ-
რავ მკერდზე და მეტყვი: მოდი, სიყვარულო, სიკვდილის ვნებღ აღმოღის ჩემ-

ში... მარადიული ამბორის სიტკბოება მოედინება ჩემში და მევედრება. მაშინ მოგეხვევი მთლიანად, რადგან მთლიანად ჩემი იქნები.

მეშინია, რომ გავგიჟდები. უცნაურ კრუნჩხვებს ვამჩნევ ჩემში. საიდუმლო სიმები მიწყდებიან გულში, დიდი ცრემლები წვეთავენ და მსხგრეტენ გონებას. ისეთ რამეს ვგრძნობ ხოლმე, რასაც სხვები ვერაფერს გრძნობენ. როცა საღამომობით ჩემს ბაღში გამოვდივარ, ვიცი, რასაც ამბობენ ვარდები და რას პასუხობენ ყასმინები, რა სიმხდალესაც ფიქრობენ და სიზმრად ნახულობენ იები. ვიცი, რასაც ამბობენ ტყვიისფერი ღრუბლები და ვნებების რა საიდუმლო დაინახეს თვალებმა ყვაავთა, რომლებიც დაფრენენ და თავს დამჩხავიან. მთლად ვცახცახებ სიარულისას, რადგან ყოველ ჩემს ნაბიჯში ვგრძნობ ქვეყნიერების აღგვას, ჭიანჭველების სულთმობრძაობას და მწერების სიკვდილს. ვარსკვლავები იქ, მაღლა, ახვა სამყაროთა ენაზე წერენ. ვკითხულობ და ფერი მეკარგება. და როცა ის მოდის, რაოდენ შორსაც არ უნდა იყოს, ვგრძნობ და ისე ვკანკალებ, როგორც ნემსი, როცა მას მაგნიტი უახლოვდება. მეშინია, რომ გავგიჟდები. აზრები იბადებიან ჩემში, უალოდ იწვიან და გაუქრობ კვალს ავლებენ. საშინელი და გიჟური სიმღერები ამოდინან ჩემი არსებიდან და მიწვავენ ტუჩებს. აღშფოთდნენ ჩემი სულის ვნებანი და ვგრძნობ, უფსკრულთა მივყავარ. გულგრილობა. იცვლებიან პეიზაჟები. ხელებს გულზე ვიკრეფ და გავრბივარ, გავრბივარ შეუჩერებლად.

ხან უშფოთველი და დიდი ზღვებით ჩემს მაჩლობლად, ხან ძალზე მაღალი ხეები, რომლებსაც მეხი ეცემათ, სრულიად მწვანე ფერდობები დიდი და უცნაური სისხლის წვეთებით — თითქოს ყაყაჩოებიან. ზოგჯერ ყვავილთა საწოლები, მოცურავე მისტერიები, რომლებიც იცინიან და იცდიან ბნელ ხვიარათა შორის. ყველაფერს ვგრძნობ, ყველაფერს: ამბორთა მსუბუქ ჩურჩულს, ბუდეებიდან რომ მოისმის ღამით და შროშანთა კვნესას მთვარიანში — იმ უკიდევანო ჰარმონიის თანაფარდს, რომელიც ვარსკვლავებს აკავებს. ვხედავ საიდუმლოებებს, რომლებსაც რჩეულნი ხედავენ. ფერი დავკარგე, დამიავადდა სული და ჭკნება იგი წმინდა წყურვილით სიკვდილისა.

10 იანვარი

ო, ნეტავ შემძლებოდა და გონება ჩემი აღმეყვანა ჩემთა ვნებათა თანატოლად, ნეტავ შემეძლოს, მოვიწვიო მთელი კაცობრიობა ერთ დღეს ჩემს წინაშე და ვუქადაგო ის, რასაც ვგრძნობ.

10 იანვარი, შუადამე

არ ვიცი რატომ, და ზოგჯერ უფრო მეტად ვგრძნობ, რომ უხილავ ძალთა გამბაზები ვართ. მსახიობები ვართ. ვთამაშობთ ცხოვრების კომედიას და ვართობთ მათ. ვგრძნობ, რომ დროა გავწყვიტოთ ბორკილები. ჩამოვუშვათ სცენის ფარდა და გამოვაცხადოთ ტკივილი, წყევლა და დიდი ანათემა. სიხარული, სიყვარული, რწმენა და გონების ღამეული ზმანებანი ჩაქრნენ განთიადის პირველ სისხლიან ღამეშივე. აღარაფერი დავრჩენია, გარდა დაღლილობისა, წყევლისა, გონების გამოფიტვისა და სიმართლის ტკივილისა. არ მომკვდარა პრომეთეს არწივი, რადგან მარადიულია იგი, მაგრამ ღამილი, რომელიც იფურჩქნება ყველა მარმარილოში და გულუბრყვილო წინაპართა სიცოცხლეში, დღეს პამლეტის თავის ქალის ყბების საშინელ გამოცანად იქცა. ვცხოვრობთ, ვიბრძვით, ვეალერსებით, გვძულს, — საბრალო ქმნილებანი, — უეცრად იპო-

ბა მიწა ჩვენს ფეხქვეშ და ერთიმეორეს ვაცვივდებით მუნჯები, გაყვითლებულნი და იმედგადაწყვეტილნი. არავითარი იმედი, მარადიული ღამეა სიფლავი — მარადიული ღამეა ძვალთა, იმედთა და აზრთა, ჰოი, აღშფოთება. რომელიც ანათემასავით, გოდებასავით და წყალდიდობასავით აღმოდის! ჰოი, ნათელი შუბლები, რომლებიც კვდებიან და დიდი და ღამაზი თვალები, რომლებიც იხუჭებიან!..

12 იანვარი

ვერა, ვერასდროს იგრძნობ შენ იმ ზიზღს, რასაც მე განვიცდი, დიდ გულსრევას, რასაც მე ბრბოს მიმართ ვგრძნობ. აკროპოლისივით იზრდება ამაცი კოშკი ჩემს სულში. არავითარი ბილიკი არ მიემართება კოშკისაკენ და არავითარი ხიდი არ აერთებს მას ქვეყნიერებასთან. გამოყოფილია და მიუდგომელი. უფანჯრო და უკარებო. ქვემოთ სხვა სული იშლება ათასი თავისუფალი გზით და მთლად ღიაა კარი ბრბოსათვის, ათასები დადიან შიგ, მიდი-ბოდიან და მისვრიან სულის დაბალ საფეხურებს, არავითარი ბილიკი არ მიემართება კოშკისაკენ. ბრბო ვერასოდეს შეაღწევს კოშკში.

ბოლთას ვცემ კოშკში ეული მღუმარე, უსიხარულო და უტკივილო, ყველაფრის მიმართ გულგრილი და ეული. დიდი, ცივი და უკაცრიელია მისი დარბაზები. ქვემოთ, სულში მესმის ბრბოს ყვირილი, განსჯა და კილვა. მწერთა ზუზუნით აღწევს კოშკში მათი ყვირილი და რისხვა. ღრმა ზიზღსა ვგრძნობ სულის იმ საფეხურების მიმართ, რომლებიც სამყაროს ეხებიან. ზღვასავით იშლება ჩემში საკუთარი მე და სიხარულის ღიმილი გონებაამდე აღწევს. ბრბოს უხანსი შეხება ვერასოდეს გააჭუჭყიანებს ჩემს კოშკს და ვერასოდეს გაისვრებიან მისი მარმარილოები ნაფეხურებით. ხოლო მათი ხელები, თვალები და აზრები ვერასოდეს შეურაცხყოფენ წმიდათა წმიდას ჩემი სულისა.

15 იანვარი

ნეტავ, რა ღრუბლებია ეს, ზღვიდან რომ წამოიშრებიან ხოლმე ერთიმეორის მოყოლებით და ჩემს გულში იბუდებენ?

16 იანვარი

ასე მგონია, ვიღაც არის ჰაერში და მითვალთვალებს. დიდი თვალი, რომელმაც არ იცის ძილი, არ იცის ცრემლი, მიცქერს შიგ სულში. ასე მგონია, თვითონ მე მივდევ. სადაც არ წავალ, ჩემდაუნებურად უკან მიმათრევს დამაგნიტებულს, უსულოს და უნუგეშო ვნებებით შეპყრობილს. მიცქერს და ვგრძნობ, იჭრება ჩემში, რაღაცას მიპობს, აკვირდება, რა ხდება ჩემს სულში, დუმს და არ მწყალობს. ვგრძნობ, მარიონეტი ვარ, ვიღაცის ხელმა ამიყვანა სამყაროს სცენაზე, რათა სიამოვნება მივანიჭო უხილავ ძალებს — მონა იმ ხელისა, რომელიც მიბიძგებს და ეჭო, დატყვევებული და მორჩილი, ყოვლადძლიერი, ხმისა. ასე მგონია, ჰაერში ვიღაც არის და მითვალთვალებს. აღშფოთება ბობოქრობს ჩემში, არ მინდა ვიქცე უხილავ ძალთა სათამაშოდ. არ მივცემ ნებას ჩემს სულს, რომ უმოწყალო თვალის სასაცილოდ იქცეს. ვხედავ, მითვალთვალებს, — თითქოს დრამა რაიმე ვიყო, — ზის ლოყაში და მიყურებს. გუშინ გავიქეცი ხშირ ფოთლოვან ტყეში. მგონია, გავგიჟდები. ოფლი წურწურით მომ-

დიოდა. აფორიაქებული ვიყავი. აჭამდისაც მოაღწევს, ვამბობდი, ფრთლებს შორისაც გამოაღწევს, რომ სული ამიწეწოს? და ვიგრძენი. ვიგრძენი, რაღაც მოცოცავდა ნელა, მოთმინებით და თანაბარი მოძრაობით ჩემს შუბლზე. ის იყო. აცახცახბდი. თავი ავწიე. თვალი უძრავად იდგა და მძყუნებდა — ჩალაცხაირ სიხარულს ვამჩნევდი ახლა მის სიღრმეში. ვთამაშობდი, მონი სიხარულზე! კეთილ არს ხვედრი ჩემი!

20 იანვარი

არა, აღარ ვიტანჯები. დაიღალა სხეული ჩემი და მინდა დავწვე, დავხუჭო თვალები და დავისვენო. რაღაც კვდება ჩემში დღის განმავლობაში და რომელიღაც ძაფი წყდება. შუბლი ჩემი დასერა და გაბურლა მისმა გამოხედვამ. ღამით, როცა დასაძინებლად ვწვები, ჯერ სიბნელე იშლება ჩემს წინ, მაგრამ საღდაც მახლობლად ვგრძნობ დარაჯებს. ვცახცახებ, ვმალავ სახეს და ვხედავ. ზღვასავით გადაშლილა ჩემს წინ სიბნელე. ყველაფერი ჩუმდება. თითქოს ვიღაცას ელიან. ნელა-ნელა, სიბნელეში ამოდის მზე — უცნაური, უსხივებო, სითბოსგან დაცლილი, ფოლადის დისკო, მანათობელი და საბედისწერო. თვალი. მთლიანად ვცახცახებ. ვიღვიძებ შეშინებული და იქ ზემოთ, საწოლის თეთრ ცაზე, ჩვეულ ადგილზე, ზის დე. მიცქერს უძრავი თვალი.

21 იანვარი

ნუ ცახცახებ, ჩემო სიყვარულო. მე შენი შეყვარებული ვარ. ნუ გეშინია სიბნელის. ორთავე ერთად ჩავიკეტებით აქ. ვერავინ შეძლებს შემოსვლას. ავანთებ წითელაბაყურიან პატარა ნათურას, რომ ვარდისფრად გაანათოს ზეწრები, რადგან მაშინებს მათი სითეთრე, თითქოს სუღარებიანო.

და როცა შაბრალომ გაშალა სხეული თვისი სუღარისმაგვარ ზეწარზე, როცა შემოაწნა ხელები თვისი ჩემს ყელს, და სხეული თვისი ჩემს სხეულს, როცა მომაგება ბაგენი თვისნი და დაფიხარე მისი თვალებისაკენ — გავიღიმე.

ოჰ! გაფიქრება იმისა, რომ შემიძლია მოვკვდე მაშინ, როცა მოვისურვებ, საშინელი სიხარულით ავსებს ჩემს მეს, ყოვლისშემძლეობას ვგრძნობ ხელებში და ვიღიმები.

ორმაგი რწმენით და სიხარულით გეხვევი ახლა. არასოდეს გამეჭკვევა შენი ტანის ზვირთი მკლავებიდან. მარად ჩემი ერთგული იქნები. ჩავეხვევით ერთმანეთს, სხვა ყველაფრის მიმართ გულგრილნი, და ვერაფერს გავიგონებთ. ბოროტების საუკუნეები გადაგვივლიან თავს, ადამიანთა სიძულვილი და სიცოცხლის ხმაური. შემადრწუნებელი იქნება ხვევნა იქ, ქვემოთ, მაგრამ ვიცი — მარადიული. მუდამ ჩემს მახლობლად იქნები, აღარ წახვალ და როცა შუღამით წამოიშართება ყველა მიცვალებული, შენ არ შეგეძლება ადგომა, რადგან გადაწნულები ვიქნებით ერთმანეთს და ვერავინ აღიქვამს იმ სიყვარულსა და საშინელებას, რომელიც იქ, ქვემოთ აღსრულდება.

22 იანვარი

უკიდევანო ზღვა, უზვირთებო, მშვიდი და ღრმა. ნაპირი არა ჩანს, ზეცა მძიმეა და ღრუბლიანი. არც ფრინველის ქაჭანებაა ჰაერში და არც თევზისა მკვდარ წყლებში. მხოლოდ შუაში, ზღვის შუაგულში, უცნაური ფორმის კუბოს მსგავსი ნავი დაცურავს წყალზე. უიალქნოდ, უნიჩბოდ და უსაქოდ. ნელ-

ნელა დაცურავს და მის ირგვლივ, მისი ქიმის გარშემო ძლივს შესაშინევად, უხმაუროდ იპობა წყალი. თითქოს უხილავი ხელი უბიძგებსო ზემოდან. მომეჩვენა, რომ ორთავე ნავში ვიყავით. ჩემო სიყვარულო, ერთმანეთის კბერ-დით ვიწეჩით, პირზე სანთლის ჭვრებით¹², ერთმანეთის გვერდით ვიწეჩით მკვდრები.

25 იანვარი

რომელიღაც სამყარო ჩაიძირა ჩემში. ზოგჯერ, როცა სული ჩემი კიდევ გამჭვირვალეა, ვიხრები და საიდუმლოებებს ვუცქერ მის სიღრმეში. დიდი, თეთრი მარმარილოები დამსხვრეულან და გროვად ყრიან დანგრეული ტარების გუმბათების ქვეშ. დაბზარულან სასახლის სვეტები, წყლები ჩადიან შიგ და სჭამენ და გლეჯენ დიდ-დიდ ნახატებს. ზარები აღარ რეკავენ. იძრცვე-ბიან ბალები და ჩიტები აღარ სხედან ტოტებზე, რომ იგალობონ. შიშველი კედლებიღაა მხოლოდ. მარმარილოს სვეტები დგანან ჯერ კიდევ. რაღაც გუგუნნი და კვილი იგრძნობა ჩემს გულში, უძრავი, ჩუმი და იმედგადაწყვეტილი ვამ-ბობ: იქცევა რომელიღაც მარმარილოს სვეტი.

26 იანვარი, შუაღამე

ვზივარ და ვფიქრობ იმ საბრალო ჩიტებზე, გველის მზერა რომ აჯადო-ებთ. თვალებს მიაპყრობს გველი ჩიტს და ისიც ცახცახს იწყებს უმალ, თითქოს ძარღვები შეეკუმშაო. აგონიის და შიშის ხმა აღმოხდება ყელიდან და გამვ-ლედი მაშინვე მიხვდება, რომ იქ, სადღაც გველია ახლოს. ტოტებზე დახტის ზემოთ და ქვემოთ საბრალო ჩიტი, თითქოს გაქცევას ცდილობსო, მაგრამ კი-დეც უფრო უახლოვდება თავის მომნუსხველს. თვალები ხისთვის მიუშტერე-ბია გველს... უფრო და უფრო უახლოვდება ჩიტი, უახლოვდება და ბოლოს თვით უვარდება გველს გაღებულ ხახაში.

ვზივარ და ვფიქრობ და ვტირი ყოველივე იმას, რაც მოჯადოებულია და უნუგეშოდ მიიწევს სიკვდილისკენ.

28 თებერვალი

„მომეც თვალები შენი, რათა ჩემი ტუჩებით დაგიხუჭო და არ იცქირებ-ოდნენ ზემოთ. გამიშვი, ხელი დაგადო შუბლზე. რომ განგიახლო აზრი. მოდი, მომეყრდენი. მწყურია ამბორი შენი, ჰოი ძალზე საყვარელო! და მწყურია სა-ყვარული შენი! მოდი, კვლავაც ვირბინოთ ჩვენი სიყვარულის იაფენილ ბილი-კებზე, როგორც სხვა დროს. მოდი, მოწყურებიათ ბაგეებს ჩემსას. მშვენიერია ღამე, მთვარე უფრო ვერცხლისფერი, ვარსკვლავები უფრო შეყვარებულნი. მოდი. ეს მე ვარ შენი შეყვარებული! წავალთ სანაპიროს ბოლოში, ჩამოვსხდე-ბით კლდეზე და შენს კალთას მიყრდნობილი მოვისმენ ჰარმონიას, რომელსაც ზღვის ბუტბუტი გამოსცემს ჩვენთა ამბორთა ჰიმნის თანხლებით. შემოეხვევი ნელ-ნელა ჩემს სხეულს, თვალებს ღრმად ჩაძირავ ჩემს თვალებში და ჩემთა ბაგეთა მახლობლად გადმოვდგრი მთელს შენს სიყვარულს“.

ვგრძნობ, სიზმრებს მიძაბავს რომელიღაც ღმერთი. სისხლი მდინარესა-ვით მოედინება ჩემში და დაჭრილთა უცნაური კვნესანი იგრძნობა ჩემს სულში.

მოაყრდენი შენი ლოყა ჩემსას. ეცადე შეიკავო ცრემლები, ნუ მიუშვებ

გულს შენსას, რომ გაიბზაროს ტკივილისაგან და მისმინე: შენთა ბაგეთა მახლობლად გადმოვდგრი მთელს ჩემს სიყვარულს.

ვიცი კუნძული, რომელიც ამოდის იქ, ქვემოთ. შენ ვერა ხედავ მე ვხედავ იქ, ქვემოთ, სადაც ზეცა ზღვას ჰკოცნის. დაუსრულებელ სასიყვარულო სიმღერათა ჩუმი ნოტები გარბიან იქიდან, დადიან დიდ ტალღებზე, საუკუნეებენ შუალამისას, ჩემს გულში აღწევენ, დადიან წყლებზე და ისწრაფიან ჩემს საპოვნელად. ვგრძნობ მათ შემოჭრას ჩემში და ვედრებას. მჭიდროდ ეწნებიან ჩემს სულს, უმღერიან უცნაურ, თუ უცნაურ სიმღერებს და ეწევიან აი იქით, შორს, ყოვლად ჰარმონიული კუნძულისაკენ. თეთრი ხელები მიიწევენ იქით, ხედავ? ნიშანს მაძლევენ, ტალღებს შორის რომ მივყვე, რომ წავიდე, მიცქერენ და მიხმობენ დიდი და ლამაზი თვალები... ნუ სტირი, ჩემო სიყვარულო, ნუ, მოერიე ტკივილს და უსმინე ჩემს სიყვარულს. ნუ იტყვი, რომ გიყვი ვარ: შენ ვერა ხედავ, მაგრამ მე ვხედავ.

მოსცილდა ნავი კუნძულს, დაცურავს ნელ-ნელა ზღვაზე და ჩვენს წასაყვანად მოემართება. მოდი, ჩემო სიყვარულო, წამოვწვებით ნავში, სიყვარულის ვნება დაბერავს იალქნებს, დიდი სიმშვიდე გაწვება ტალღაზე, ხელებს შემოგახვევ ყელზე, მოეძებნი შენს ტუჩებს და დავიძინებთ. ცხოვრების ხმაური იქ, ქვემოთ აღარ შეგვიწყვეტს ხვევნას. აღარ შებღალავს ჩვენს სიყვარულს მოსაბეზრებელი ურთიერთობა ქეყნიერებასთან. მარტონი ვიქნებით ზღვაზე, ჩაფლულნი ყოვლად ჰარმონიულ სიმღერაში, რომელიც მოჯადოებული კუნძულიდან ამოვა. თეთრი ხელები უხიძგებენ ნავს, ხოლო დიდრონი და ლამაზი თვალები წინ დაუდგებიან და წარუძღვებიან. საუკუნეებს ჩავიკეტავთ გულეებში. შეჩერდება დრო და აღარ შებღალავს ჩვენს სიყვარულს. ვარსკვლავები იცურებენ ჩვენს ზემოთ, მოკვდებიან სამყაროები, იბატონებს ტკივილი და მკვლელობა, ჩვენ კი ვიქნებით უძრავნი და შეყვარებულნი. ზღვა იქნება უმფოთველი, იალქნები დაბერილი, დიდი თვალები იბრწყინებენ წინ და ჩვენი ნავი მარად ივლის იდუმალეებისა და ჰარმონიისაკენ.

2 მარტი

დამშვიდებული ვარ.

დამშვიდებული ვარ, რადგან სასოწარკვეთილი ვარ.

25 მარტი

მშვიდად ვარ, მშვიდად, — სუდარა გადაეფარა ჩემს სულს, უხილავი ხელი მიბიძგებს და სხვისი მძიმე ხმა ლაპარაკობს და მბრძანებლობს ჩემში. ვილაყამ დაილაპარაკა ჩემში და დავემორჩილე. ჩემს ვილას მოვაშურე ქალაქგარეთ, აღამიანებისაგან მოშორებით და მივწერე, მოსულიყო აქ, სადაც სიყვარული ჩვენი ირგვლივმყოფი მთებივით მშვიდი და დიდი იქნება.

მშვიდად ვარ, უკიდურესად მშვიდად. გახარებულმა მიპასუხა, რომ მოვა. იმედოვნებს, რომ მთებში და სიმწვანეში შერბილდება ჩემი სიყვარული და ტუჩები ჩემი აღარ შეიგინებენ მეტად. მხოლოდ აკოცონ და იგი სიხარულით მოვა.

მარტო ვარ, მოვიტანე ყველა ჩემი ნახატი და კედელზე ჩამოვკიდე. ქრიზანთემები, უცნაური შტრიხები და ჩამავალი მზეები.

მშვიდად ვარ. უკიდურესად მშვიდად. ხმა გაისმა ჩემს სულში და დავემორჩილე. სწრაფად გავიქეცი, ვილაყის ხელმა მიბიძგა, ვიგრძენი, იგივე ხელი

იყო, რომელმაც მაშინაც მიბიძგა, როცა პირველად ვნახე იგი. გავჩვევი ქვე-
მთ, ბაღში, და თუკი სადმე ყვავილი იყო, სულ დავგრიფე. შრომანებში და ვა-
რდებში ჩაეფლო საწოლი. გაივსო იატაკი. მძიმე სურნელი იფრქვევა და სურ-
ნელოვანი სიკვდილივით აწვება მკერდს. ვაქცავ ფანჯრებს და კარებს.

მშვიდად ვარ. უკიდურესად მშვიდად. უცნაური სიხარული კვიტიანივით
ადი-ჩამოდის მკერდში, მაგრამ ვგრძნობ, სიხარულია — ალბათ ძალიან დიდია
და ყელს მიგლეჯს. მოვა, ფანჯრები დაკეტილი მექნება. უცბად შეეფრქვევა
ყვავილთა სურნელება, მაშინვე დავკეცავ კარებს, მუხლებზე დავეცემი მის
წინაშე და ვთხოვ ბაგეებს. ოჰ, არა ვარ გიჟი! არა ვარ გიჟი! შემოვეხვევი და
ვთხოვ მარადიულ ამბორს...

ჰოი საბრალოვო.. ვგრძნობ, ვერ მოგაყენებდი ამ ტკივილს, სიკვდილის
სიტკბოება რომ არ დაღვრილიყო ჩემს სულში მბრძანებლურად. ჰოი
დიდო მოგზაურობავ! გიჟურ სიხარულს ვგრძნობ, ლუზა რომ ჩაუშვია ჩემს არ-
სებაში და ტირის. დაკეტილი მაქვს ყველა ფანჯარა და კარი. თუ ყვავილთა
სურნელი ვერ შეძლებს წაგვიყვანოს მარადიულ სიმშვიდეში — უკანასკნელი
იმედილა მრჩება, ძვირადღირებული შხამი, რომელსაც უმტკივნეულად მო-
აქვს მარადიული სიხარული, დიდი სიხარული.

მშვიდად ვარ. უკიდურესად მშვიდად. ვზივარ განძრცულ ბაღში და ვფი-
ქრობ. ვიყურები იქით, თეთრი ბილიკებისაკენ. საიდანაც ის უნდა გამოჩნდეს,
მომღიმარი, დალოცვილი ტანით და მშვიდი თვალებით, რომლებიც აირეკლავენ
მინდორთა მწვანე სიმყუდროვეს.

ბილიკი, რომელმაც ის უნდა მოიყვანოს, ღამით გველსა ჰგავს, რომელიც
მორბის დაკლავილი, მოდის და ჩერდება ჩემს წინ.

და ვფიქრობ. ზოგჯერ ძილში ავისმომასწავებელ სიზმარს ვხედავ, უც-
ნაური ნუგეში მეუფლება და ვამბობ: სიზმარია... სხეულის უხეში მოძრაო-
ბით ვიდვიძებ, როგორც კი მოვისურვებ, და შვებას ვბოვებ. ვფიქრობ, მთელი
ჩემი ცხოვრება უცნაური სიზმარი ხომ არ იყო? ეს სიყვარული, მთელი ეს სა-
შინელება და სიკვდილის იმედი ერთი გრძელი სიზმარი ხომ არ არის და ბო-
ლოს, როცა ახლა, ღამით განძრცულ ბაღში ვზივარ და მას ველოდები, ხომ
არ გადავწყვიტე სხეულის უხეში მოძრაობით გავიღვიძო და თავი დავაღწიო
სიზმარს? და ვფიქრობ: საინტერესოა, ახლა იწყება ძილი თუ მოვრდება იგი?
ოჰ, როგორ მტკივა რაღაც შიგნით! როგორ მტკივა რაღაც გულში! ელვისავით
მიპობენ გონებას სასოწარკვეთილი აზრები და მათ ელვარებაში ვასწრებ და
განვიკითხავ სხვა სამყაროებს. შორეულ, შორეულ სამყაროს ჩაძირულ ატ-
ლანტიდელთა!..

უშფოთველი და უკიდურესად ზღვა გაწოლილა ჩემს წინ მდუმარედ ჩამ-
ოდინან ზეციდან იები და იბნევიან დასავლეთში. სიყვარულის ვარსკვლავი ილი-
მება წყლებზე. მეჩვენება, რომ მარტონი ვართ, ჩემო სიყვარულო, მარტონი
ვართ პატარა ნავში, ყვავის ფრთებივით შავფრებიან ნავში და ნალვლიანნი,
ნალვლიანნი მივცურავთ უცნობი მისამართისაკენ. არ ვლაპარაკობთ, რადგან გუ-
ლის სიღრმიდან უცნაური კვიტიანი ზეამოდის და გვაბრჩობს. დამწუხრებულნი
დავცურავთ წყლებზე, უცნობი მისამართით, დასავლეთისაკენ. თვალები მიგ-
ვიპყრია იქით, ოქროსა და სისხლისფერი ღრუბლებისაკენ, სადაც ნელა კვდება
მზე.

ვზივარ და ვფიქრობ განძრცულ ბაღში. ბნელი ეფინება ხეებს, ცაზე ვა-

რსკვლავები ინთებიან. სიხარული. უფრო მეტად დამწუხრებული, ხელში გა-
ნიშეშდა. ზღვა სიკვდილის ნეტარებას მღერის შორიდან. საიდუმლო სალამუ-
რი იზიდავს ვარსკვლავებს. სიმშვიდე ედება მწვერვალებს და ხეთი ფოთლები
საუბრობენ ჩუმჩუმად. ჰოი, საბრალოვ! ჰოი, საბრალოვ! ეფერებ... გავიქცე,
დავიმალე უღრან ტყეში, პირქვე დავეცე მიწაზე და მივუშვა ცრემლები, რათა
იღინონ, იღინონ შენთვის, შენთვის ჩემთან ნაცნობობა რომ გეწერა...

* * *

აქ მთავრდებოდა გულის დღიური ჩემი საბრალო მეგობრისა — დიდი ხე-
ლოვანისა — დაწერილი უწესრიგოდ დაფანტულ ფურცლებზე ნერვული ხე-
ლით.

ერთხელ დილით აცახცახებული მსახური მოვიდა და მითხრა გავქცეული-
ყავი ჩემი მეგობრის ვილაში. მაშინვე რაღაც უბედურება წარმოვიდგინე, რა-
დგან ვიცნობდი ჩემს მეგობარს და ვიცოდი მისი სიყვარულის ამბავიც. შე-
ვანტვრიეთ ოთახის კარი და ყვავილთა დამახრჩობელი სურნელი გვეცა. სას-
წრაფოდ გავაღე კარ-ფანჯარა.

საშინელი სანახაობა! ქალი ფანჯარისკენ გაწეულიყო, ალბათ გაღება უნ-
დოდა, მის ფერხთით, ფანჯარასთან, გასრესილი ყვავილები ეყარა, დაკრუნ-
ჩხული თითები გასისხლიანებოდა, — ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ
საბრალო უიმედოდ იბრძოდა ფანჯრის გასაღებად და სულის მოსათქმელად —
კაცი არ უშვებდა.

იწვა ფერმკრთალი და ღონემიხდილი შიშისაგან გადიდებული თვალებით.
საშინელების და შიშის კრთომა — და სიძულვილი — კიდევ უფრო ალამაზე-
ბდა მის უმანკო სახეს. მისი მოქნილი ტანი სასოწარკვეთილი და მკვდარი
ესვენა ყვავილებზე.

კაცი მშვიდი ღიმილით იწვა ძირს, მის გვერდით, და სიყვარულის გამო-
უთქმელი მოძრაობით ხელები ქალისთვის ყელზე შემოეხვია.

* * *

მათ ზემოთ ეკიდა უცნაური სურათი, რომელზეც ჩანდა ნაღვლიანი გზა,
საბრალო და დიდი ხელოვანის გონებამ რომ აირჩია.

დიდი უდაბნო, სრულიად წითელი ჩამავალი მზე ასისხლიანებდა ზეცას.
უზარმაზარ გველს რკალები გაეხსნა და ქვიშაზე მისრიალებდა, ხოლო პირით,
საიდანაც შხამი სდიოდა, ეჭირა, ეფერებოდა და კბენდა პატარა, უთეთრეს და
დამჭკნარ შროშანს.

შენიშვნები:

1 კერამიკონი — ანტიკური ხანის სასაფლაო ათენის მახლობლად, სადაც იმარხებოდნენ
ათენის ღირსეული მოქალაქენი. აქედან იწყებოდა პროცესია პანათენური დღესასწაულების
დროს.

2 პანათენობა — ქალღმერთ ათენასადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო ზეიმი.
არსებობდა დიდი და მცირე პანათენური დღესასწაულები. დიდი პანათენობა იმართებოდა
ოლიმპიადის ყოველ მესამე წელს, ხოლო მცირე — ყოველწლიურად.

3 კოლონოს — ადგილის სახელწოდება ატიკაში, სადაც ბორცვზე აღმართული იყო

პოსეიდონის ტაძარი. ცნობილია აგრეთვე ევმენიდების ქალი კოლონოსში. აქ არის ოიდიპოსის საფლავიც. კოლონოსი სოფოკლეს სამშობლოა.

4 პიმბტი — მთა ატიკაში. განთქმულია თავისი თაფლით და მარმარილოებით.

5 სალამინი — კუნძული სარონის ყურის ჩრდილო ნაწილში. ძვ. წ. 480 წ. თემისტოკლეს წინამძღოლობით ბერძნებმა აქ დაამარცხეს სპარსეთის ფლოტი. ამ დროიდან ბერძენთათვის სალამინი გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

6 დიოტიმა — ქურუმი ქალი. პლატონის „ნაღიმის“ მიხედვით სოკრატეს მოძღვარი.

7 კნიდელი აფროდიტე — პრაქსიტელეს ქანდაკება, რომელიც იდგა ქ. კნიდოსში, აფროდიტეს ცნობილ ტაძარში.

8 ფრინი — ათენელი პეტერა, რომლის სახეც პრაქსიტელემ გამოაქანდაკა კნიდელ აფროდიტეში.

9 კეკლონი — სამოსი. კაბა.

10 ასტარტი, იგივე ასტაროტი — ფინიკიური ნაყოფიერების ღვთაება.

11 ნიუბტი|ნიბტი — ძლევაშოსილი ქალღმერთი. ღამის განსახიერება.

12 ბერძნული ტრადიციის მიხედვით მიცვალებულებს დასაფლავებისას პირზე სანთლის ქვარს ადებენ.



ტაღეუზ რუქევირი

ლექსები



ქართული
წიგლმწიფთა

პოლონურიდან თარგმნა ჯემალ ბელიძემ

ბარდასახვა

კაბინეტში

ჩემმა ბიჭუნამ შემოირბინა:

— მამი, შენ ძერა ხარ,

მე კი — თავუნა.

დავხურე წიგნი და მე უმაღვე

ფრთები შემესხა

და კლანჭები წამომეზარდა.

და ფრთების ჩრდილი

დაფარფატებს ირგვლივ კედლებზე

მრისხანე ძერა ვარ,

ის კი — თავუნა.

— შენ რუხი მგელი ხარ,

მე კი — ბუკუა.

და ჩვენ დავრბივართ მაგიდის
ირგვლივ.

ფანჯრის მინები ელვარებენ

სიბნელეში,

როგორც ეშვები...

მაგრამ ბუკუა

დედისკენ გარბის

და თავს აფარებს

მის მზრუნველ კალთას.

მოახერხა

იანეკი ერთი წლის არის,

ოთხფეხზე დადის.

ერთ დღეს კი...

ვნახე

იგი

ორ ფეხზე იდგა.

„ოჰო, — ამოვისუნთქე შვებით,—

კვლავ მოახერხა ეს ფოკუსი

ჩვენმა მხცოვანმა კაცობრიობამ.“

დაყოლია

ნუ გეშინია,

ეს შენი სახლია.

ხედავ მაგიდას, აი კარადაც.

მაგიდაზე დევს ვაშლი.

ავეჯის ნუ გეშინია,

სულელო!

ის კაცი აღარ დაბრუნდება.

შენ გეშინია სკამის?

კალმების? ძველი გაზეთის?

ნუ აზვიადებ,

როგორ იქცევი?

გინდა იყო გამორჩეული?

გაიცინე.

ის კაცი აღარ დაბრუნდება.

შემოგვხედე.

ნუ იმალები კუთხეში.

ნუ დგები კედელთან.

არავინ გიბრძანებს

კედელთან დგომას.

დაბრუნება

ბევრი მაქვს ლექსი,
რომელსაც ველარ შევურიგდები.
წლები გადიან, მაგრამ
არ შემიძლია შევურიგდე მათ,
არც შემიძლია ზურგი ვაქციო.
ისინი ცუდი ლექსებია, მაგრამ
მე ვშვი ისინი.
ისინი ჩემგან შორს არიან:
უსუსურნი და უსულგულონი,
მაგრამ გავა დრო

და კვლავ მოვლენ, მომაკითხავენ,
წარმატებულნი,
ზადიანები და უზადონი,
განკიცხულნი და
დამცირებულნი —
ერთარსებად იქცევიან
და კვლავ შემოვლენ ჩემში,
რათა არ მოხდეს ისე, რომ
სიმართოვეში მოვკვდე.

ჩამოსრჩობილთა დედა

დაეხეტება გულგრილ ბრბოში.
აქ, ამ ქუჩებში,
დადის დედა ჩამოსრჩობილთა,
შავად მოსილს და
მხრებჩამოყრილს,
სახედაღარულს,
დამტყნარ ხელებში
ჩაურგია ჭაღარა თავი.
მძიმე ლოდით
გულზე აწევს
ეს ბნელი ღამე.
ღამე ფერმკრთალი,
ულიმღამოდ განათებული,
დადის და მღერის,
ერთავად მღერის...
დაეხეტება,

უნაყოფო,
დამტყნარი მკერდით,
აცეცებს თვალებს,
მიუსაფარი
და, როგორც ძაღლი, ისე შეჰყმუის
ქალაქის თავზე ამობურცულ
პირსავსე მთვარეს, —
შეშლილი ქალი.
ლოდით
მძიმე ნაბიჯებით
ქუჩას მიყვება
ჩამომხრჩვალთა დედა,
ჩამოუბამს კისერზე მთვარე,
მიდის ფსკერისკენ
და ქუჩის ცივ ბრბოს
ენახუნება.

ჩამოგვეხსენით

ჩვენ დაგვივიწყეთ —
ჩვენი თაობა,
იცხოვრეთ, როგორც ცხოვრობს
ხალხი.
ჩვენ დაგვივიწყეთ!
ჩვენ მაშინ გვშურდა
ხეთა და ქვათა
და ვეშურდა ბედი ძაღლის.
— მინდა თავვი ვიყო, —
ვეუბნებოდით.

— მინდა სულ არ ვიყო,
მინდა ჩავიძინო
და ომის შემდეგ გამოვიღვიძო, —
მეუბნებოდა თვალდახუჭული.
ჩვენ დაგვივიწყეთ,
ჩუ გაგვახსენებთ
ახალგაზრდობას.
ჩამოგვეხსენით!

ორი განაჩენი

ვხედავ მის ღიმილს
ჩამოხეულს ფერმკრთალ სახიდან,
მაღალ კედელთან.



სიკვდილის მაცნემ —
ვილაც უცნომ —
თავი დახარა.

ვხედავ
საცოდავ ტკივილის ქანდაკს,
ქუსლებჩაკეცილ ფეხსაცმლიან,
წელში მოხრილ ტანს
სამზარეულოს ფონზე;
გაყინულ სახით მომცრო
ფიგურას —
დედამისისას.

გამოსავალი

მე
ჯიუტი ვარ
დაჯერებული სიჯიუტეში
ვითარცა ცვილი,
მაგრამ ვით ძალმიძს
აღვიბეჭდო მთელი სამყარო.

კედელი

ამ კედლის მიღმა,
რომელიც ერთად ავაშენეთ —
ყოველ დღე თითო სიტყვას
ვუმატებდით;
ვიდრე სიჩუმემ არ დაისადგურა
ირგვლივ.

ამ კედლის მიღმა
აღარ შეგვწევს ძალა ერთმანეთს ხმა
რომ მივაწვდინოთ.

ჩვენივე ხელით ამოვიქოლეთ
საკუთარი სხეულები.
წყურვილისაგან ვკვდებით.
ჩვენს გვერდით გვესმის
ოხვრა —
ვუხმობთ საშველად...

ჩვენი ცრემლიც კი სხეულის
შიგნით იღვრება.

□

თანამედროვე იაპონური პოეზია



ქართველთა
წიგლმწიფთა

თარგმნა სულხან ჯორჯაძელმა

* * *

ვერ მოვასწარი გაფიქრება:

„რა სიმშვიდეა“, —

უცებ მთელი ძალით

დაარტყა მძიმე მოქცევამ

და შეირხნენ ტალღებზე

დუმფარები.

საბო საბარო

* * *

როცა ვუყურებ

მძინარე ცოლ-შვილს, —

გულისწყრომასა და სიბრაზეს

მათზე

აძევებს ჩემი გულიდან

სიბრაღულის გრძნობა.

ნაგასავა ისსაკუ

* * *

მე მესმის

ფრინველის ვერცხლისებრი ხმა:

თითქოს ფრინველი

უხმობს ადამიანს —

აიჭრას ვერცხლისფერ

მწვერვალებისკენ.

პოპი იასუიოხი

* * *

ღამე, მთვარის შუქზე,

ველური ქარის ღმუილში,

იწვევენ ჩემკენ

დაგრეხილ ხეთა

კლანჭები.

ტაია ვი

* * *

რომ არვის ეხილა

უსახური ჩემი სიბერე —

მე უარი ვთქვი

ჩემი ორი ძველი მეგობრის

ერთადერთ საზოგადოებაზეც კი.

ფოკი ძენობრო

* * *

მე ვთესავ ქერს...

თვალეები კი ისვენებენ

ზღვის ზედაპირზე.

ორონო რინაა

* * *

ჩემს წინ ვახშამია—

თეფშზე ბრინჯის

სულ რამდენიმე მარცვალს,

ისინი თითქოს ჩამოცვივდა

ჩემი წვერიდან.

ივაპი მასახარო

* * *

ყველგან შიმშილია,

ხოლო ბრინჯი, როგორც საერთოდ

ბრინჯი,

ბრწყინავს თეთრად შავ ბაზარზე.

ინიცუაა ბოროპი

* * *

მე დავინახე:

მრისხანე სეტყვისგან ქვად

გადაიქცა

ცემენტისანი ტომარა.

საიტო სანკი

ო, სიცოცხლე! —

რელსებს შორისაც კი

ბალახია!

სავაკი კინიტი



თარგმნა გივი კაპაბაძემ

თვითონ დოსტოევსკი ამ მოთხრობას ფანტასტიკურს უწოდებს, მაგრამ „ბობოკის“ საფუძველი მაინც რეალურია: სასაფლაოს სცენა აქ დახატულია, როგორც სმენითი პალუცინაციები პატარა მოხელისა და ლიტერატურული პარიისა, რომელიც სულ მთლად გალოთებულა და ახლა, ეტყობა, თეთრი ცხელებით არის დაავადებული.

მოთხრობის დაწერის იდეა კი ასე დაიბადა: 1868 წელს გამოქვეყნდა პ. დ. ბობორიკინის რომანი „მსხვერპლი სალამოსი“, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ნიმუშისა და პრიპიზმის ელემენტს ამკვიდრებდა. ეს რომანი სასტიკად გააკრიტიკა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინმა. ცხადია, გარყვნილების მქადაგებელი ნაწარმოები არც დოსტოევსკის დარჩებოდა უყურადღებოდ. კლინევიჩის მოწოდება: „ბატონებო, წინადადება შემომაქვს, არაფრის არ გვრცხვენოდეს!“ — რამდენადმე კლასიკური, უფრო მეტად კი დოსტოევსკის თანამედროვე ერთკუთხედი ლიტერატურის „ნიმუშებს“ ეხმაურება. ამხვევ მიგვიითივებს მოთხრობის სათაურს. ვერ კიდევ 1870-იანი წლების დასაწყისში დოსტოევსკის უყურადღებობას იპყრობს იმავე ბობორიკინის ერთ-ერთი ფსევდონიმი ბობი, რომელიც ვ. პ. ბურენინმა „პიერ ბობო“ გადააქეთა. სწორედ ეს „პიერ ბობო“ უნდა იყოს პაროდირებული მოთხრობის სათაურში „ბობოკი“.

1870-იანი წლების რუსულმა კრიტიკამ გვერდი აუარა მოთხრობა „ბობოკს“. ეს უაზრო, პათოლოგიური ეტიუდიათ, ასეთი იყო შეხედულება ამ „საიქიოს მოთხრობაზე“. და მხოლოდ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი შეხედულება „ბობოკზე“, როცა დოსტოევსკის ეს ფანტასტიკური, გროტესკულ-სატირული შედევრი დირსეულად დაფასდა.

მოთხრობაში შიგადაშიგ გვხვდება ისეთი ადგილებიც, სადაც ავტორი მოწამლული ისრებით უმასპინძლდება თავის იდეურ მოწინააღმდეგეებს. ამიტომ ეს მოთხრობა რამდენადმე ავტორის პუბლიცისტურ წერილებს ემსგავსება, მაგრამ „ბობოკი“ ბრწყინვალე მხატვრული ქმნილებაა, რომლის „გაშიფვრა“ შეუძლებელია წამიერი საპირბორატო პრობლემების განხილვით. როგორც დოსტოევსკის კომენტატორები სწერენ, მართებულად ჩამოყალიბდა ტრადიცია „ბობოკის“ განხილვისა ფართო, სიმბოლური თვალსაზრისით.

მთარგმნელისაგან

ერთი კაცის ჩანაწერები

მჯერად „ერთი კაცის ჩანაწერებს“ ვაქვეყნებ. ოღონდ ეს ამბავი ჩემზე არა მაქვს დაწერილი. აქ სხვა პიროვნება გამოძახავს და, მე მგონია, ამაზე მეტი წინასიტყვაობა საჭირო არ არის: 1111111111

სემიონ არდალიონოვიჩი გუშინწინ ჩამაცივდა:

— თუ კაცი ხარ, მითხარი. ივან ივანოვიჩ, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვერ უნდა დაგინახო ფხიზელი?

უცნაური მოთხოვნა წამომიყენა, მაგრამ მორიდებული კაცი გახლავარ და პირში წყალი ჩავიგუბე. არადა, უყურე შენ? იქ ახლა გიუადაც კი ვყოფილვარ გამოცხადებული: ერთი მხატვარი გადამეკიდა, ასეა თუ ისე, მწერალი კაცი ბრძანდები და შენი პორტრეტის დახატვა მინდაო. ავდექი და ხათრით გავუჩერდი, იმას კი გამოუფენია. მერე აი, რა წავიკითხე: მოდიოთ და ამ სულით ავადმყოფი კაცის ცხვირპირს შეხედეთო.

ეგრე იყოს, მაგრამ გაზეთში ასე აშკარად უნდა გამომაქენო? იქ კეთილშობილური ამბები, იდეალები უნდა იბეჭდებოდეს, ეს კი...

ყოველ შემთხვევაში, გადაკვრით უნდა ეთქვა. სტილიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ გადაკვრით თქვა სათქმელი. მაგრამ გადაკვრით ათქმევინებ? დღეს იუმორი და თავაზიანობა გაქრა და მოსწრებული სიტყვის ნაცვლად ლანძღვა-გინებით გიმასპინძლებიან ხოლმე. წყნით კი არ მწყინს, რომელი ლიტერატორი მე ვარ, ჭკუაზე რომ შევიშალო. მოთხრობი დაეწერე — დაბეჭდვა არ ეღირსა, ფელეტონი დაეწერე — ხელები გაასავსავს. ეს ფელეტონები კი სხვადასხვა რედაქციაში თავზე საყრელი მივიტანე, მაგრამ ყველგან უარზე დგანან, ასე მითხრეს, მარილი აკლიაო.

— რა მარილი გინდათ, ათიკური? — ვეკითხები დაცინვით.

სადა აქვთ გაგება. მეტწილად წიგნის გამყიდველებს ფრანგულიდან ვუთარგმნი ხოლმე. ვაჭრებისთვის ასეთ განცხადებებსაც ვწერ: „იყიდება იშვიათი საქონელი! საკუთარ პლანტაციებში მოწეული საუცხოო ჩაი...“ მის აღმატებულებას, განსვენებულ პოეტრ მატვეევიჩს რომ ქება-დიდება შევასხი, კაი ფული ჩავიჩხრიალე. „როგორ უნდა მოაწონო ქალებს თავი“ კი წიგნის გამყიდველმა დამიკვეთა. ასეთი წიგნი სიცოცხლეში ბარე ექვსი გამოვეცი. ახლა კი ვოლტერის ბონმოთუს¹ შეკრებაც განვიზრახე, მაგრამ ვაითუ ჩვენებს გაცვეთილად მოეჩვენოთ. დღეს ვის რად უნდა ვოლტერი; დღეს ვოლტერი კი არა, კვტი უჭირავთ ხელში! დედისერთა კბილიც კი არ შეარჩინეს ერთმანეთს. პოდა, მთელი ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობაც ეს არის და ეს. ოღონდ სხვადასხვა რედაქციას წერილებსაც ვუგზავნი ჩემი სრული ხელმოწერით. რჩევა-დარიგებას ვიძლევი. კრიტიკით გამოვდივარ და გზას ვუჩვენებ ხოლმე. იმ კვირაში ერთ რედაქციას მეორემოცე წერილი რომ გავუგზავნე, მარკებისთვის ოთხ თუმანში ჩავჯექი. საძაგელი ხასიათის კაცი ვარ, აი, რა მინდოდა მეთქვა.

მე მგონია, იმ მხატვარმა ლიტერატურის გულისთვის კი არ დამხატა, არამედ ჩემს შუბლზე ამოსული ორი სიმეტრიული მეჭეჭისთვის, აქაოდა, ფენო-

¹ ბონმოთუ (ფრანგული — bons mots) — მოსწრებული სიტყვა.

მენს შევხვდით. ჰოდა, ასეა: იდეები რომ არ გააჩნიათ, ფენომენებით გადიან ფონს. ისე, კარგად კი დაუხატავს მეჭეჭები. მთლად ცოცხალია, გეგონება. ა. რას უწოდებენ ისინი რეალიზმს.

სიგივეს რაც შეეხება, შარშან ჩვენთან ბევრი ჩაწერეს გიჟებში ჩაწერეს და თან რა დახასიათება მიაკერეს! „ასეთი და ისეთი თავისებურებები, ჩვენი პატრონი გახლდათ... და აი, რა გამოვიდა ბოლოს... თუმცა ეს ადრეც უფრო მოსწონდა...“ ხედავთ, ისე ეშმაკურად არის ნათქვამი, წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით ქებასაც კი იმსახურებს. ის გიჟები კი უფრო ჰკვიანები დაბრუნდნენ საგიჟეთიდან. ჰოდა, ასეა: ჩვენში გაგიჟებით კი გაგაგიჟებენ, მაგრამ ჯერჯერობით ჰკუაში არაეინ ჩაუგდიათ.

მე მგონია, ყველაზე უფრო ჰკვიანად ის ითვლება, ვინც თვეში ერთხელ მაინც იტყვის, სულელი ვარო, მაგრამ ამის უნარი დღეს ვისა აქვს. უწინ კი სულელი წელიწადში ერთხელ გუნებაში მაინც აღიარებდა, სულელი ვარო, დღეს ამას იტყვის ვინმე? დღეს ისე აირია მონასტერი, სულელს ვერ გამოარჩევ ჰკვიანისაგან, ასე კი განზრახ აწეწ-დაწეწეს საქმეები.

მაგონდება ერთი ესპანური ხუმრობა, როცა ორნახევარი საუკუნის წინათ ფრანგებმა პირველი საგიჟეთი აიშენეს: „მათ საგანგებო საბლში ჩაამწყვდიეს თავიანთი გიჟები, რომ სხვები დაეჭვებინათ, ჩვენ თვითონ ჰკვიანები ვართო“. არადა, ახვა რომ გიჟად გამოაცხადო, ამით განა საკუთარ ჰკუას დაამტკიცებ? თუ ჰკუაზე შეიშალა, ეს იმას არ ნიშნავს, შენ თვითონ ჰკვიანი იყო.

თუმცა ჩანდაბას მათი თავი... არ გავაჭირე საქმე ამ ჩემს ჰკუაზე ლაპარაკით? სულ ვბუზღუნებ და ვბუზღუნებ. მოსამსახურე ქალსაც კი თავი მოვაბეზრე. გუშინ ნაცნობმა შემომიარა. შენო, მითხრა, სტილი შეგეცვალა, სულ ჩორკნი და ჩორკნი რაღაცას, შიგ ჩართულ წინადადებას ჩასვამ, ჩართულში ისევე ჩართულს მოაყოლებ, მერე ფრჩხილებში კიდევ რაღაცას დაჭლაბნი და ასე განაგრძობ ჩორკნასო.

ნაცნობი მართალია, რაღაც უცნაური ამბავია ჩემს თავს. ხასიათიც შეგეცვალა და თავის ტკივილიც დამჩემდა. უცნაურ რაღაცებს ვხედავ თუ ვგრძნობ. არა, ხმები კი არ მესმის, თითქოს ვიღაცა მედგას გვერდით: და: ბობოკ, ბობოკ, ბობოკ!

ნეტა რა უნდა იყოს ეს ბობოკი? წავალ, გულს მაინც გადავაყოლებ.

წავედი გასართობად და თავი სასაფლაოზე ამოვყავი. შორეული ნათესავი გარდამეცვალა, თუმცა კოლეგიის მრჩეველი კი გახლდათ. ქვრივი და ხუთი გაუთხოვარი ქალიშვილი დარჩა. მარტო ფეხსაცმელების ყიდვაში გაძვრებათ ტყავი! მარჩენალი მიცვალებული იყო. ახლა კი ყავრიდან კუდი უნდა ჩამოიღონ და რაღაც პენსიას დასჯერდნენ. ჩემი სტუმრობა იმ ოჯახს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. არც ახლა წავიდოდი, ამისთანა საგანგებო საქმე არ ყოფილიყო. სხვებთან ერთად მეც მივაცილე საფლაგამდე. ვიცმუნდირი უხეირო მეცვა და ყველა ცხვირაბზეკილი მიყურებდა. სასაფლაოზე, მგონი, ოცი წელიწადი არ ვიქნებოდი ნამყოფი. ესეც ადგილია რაღა!

ჯერ ერთი, სუნი იდგა იქ. სულ სხვადასხვა წოდების თხუთმეტამდე მკვდა-

რი მოაწყდა სასაფლაოს. ორი ბაღდაჩინიც იყო. ერთზე გენერალი ესვენა, მეორეზე — ვილაც ქალბატონი. ბევრი მართლა დამწუხრებული ჩანდა, ბევრიც ფარისევლურად იმწუხრებდა თავს, ზოგიერთები კი აშკარად მზიარულოდნენ. სამღვდელოება ვერ დაიჩივლებს, შემოსავალი არა მაქვსო. მაგრამ სუნი, სუნი. არ ვისურვებდი იქაური სასულიერო პირი ვყოფილიყავი.

თავის იმედი რომ არ მქონდა, მიცვალებულებს ცალი თვალით ვუყურებდი. ზოგი მკვდარი შესახედავად სასიამოვნოა, ზოგი მეტისმეტად ამაზრზენი ჩანს. არ მიყვარს, სიზმარში ვხედავ ხოლმე.

სანამ წირვა დაიწყებოდა, ეკლესიიდან გარეთ გამოვედი. ნოემბრის დღე იდგა, მოღრუბლული, მშრალი და სუსხიანი. საფლავეებზე გავიარ-გამოვიარე. სხვადასხვა თანრიგისა იყო საფლავეები. მესამე თანრიგისა ოცდაათი მანეთი ჯდება. ეს გვარიან საფლავად ითვლება და არც ისე ძვირია. პირველი და მეორე თანრიგის საფლავეები ეკლესიაში და კარიბჭესთან იყო მოთავსებული. აი, ამათ კი ეკიდება ცეცხლი. მესამე თანრიგის სამარეებში ახლა ერთბაშად ექვს მკვდარს ასაფლავებდნენ, მათ შორის იმ გენერალსაც და ქალბატონსაც იქ მიყარეს მიწა.

საფლავეში რომ ჩავიხედე, თავზარი დამეცა. წყალი იდგა და რა წყალი — სულ მწვანე! თუმცა რა უნდა გიკვირდეს! მესაფლავემ ბარე ათჯერ ამოხაბა ჩამჩით. სანამ წირვა გამოვიდოდა, ჭიშკარს გაღმა გავედი სახეტილოდ. ახლა იქ დავრდომილთა თავშესაფარია. ცოტა მოშორებით კი რესტორანი წამოუშართავთ. არა უშავს, გვარიანი რესტორანია. გამცილებლებიდან ბევრს მოეყარა თავი. ბევრს გულწრფელი მზიარულება შევამჩნიე, გამოცოცხლება. წავიხემსე და გადავკარი.

მერე მეც მივეშველე კუბოს წაღებაში ეკლესიიდან საფლავამდე. ნეტა ეიცოდე, მიცვალებულები რატომ არიან ასე მძიმე კუბოში? ამბობენ, ეს რაღაც ინერციით ხდებაო, ვითომ სხეული უკვე ველარ მართავს თავსო... ან არადა, რაღაც ამდაგვარ სისულელეს წამოროშავენ ხოლმე, რაც ეწინააღმდეგება მექანიკას და სად აზრს. არ მომწონს, როცა ზოგადი განათლების ადამიანები მეცნიერების საკითხებში ჩაჩრიან ხოლმე ცხვირს. არადა, ეს ჩვენში ჩვეულებად იქცა. სამოქალაქო პირებს სამხედრო და ფელდმარშლის საქმეებზეც უყვართ მსჯელობა. ხოლო საინჟინრო განათლების ადამიანები ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაზეც ბჭობენ ხოლმე.

წესის აგებაზე არ ვყოფილვარ. თავმომწონე კაცი გახლავარ და, თუკი ასეთი საგანგებო აუცილებლობა არა, რატომ უნდა წავეთრიო, თუნდაც ქელები იყოს? ვერც ის გამიგია, რისთვის დაერჩი სასაფლაოზე. ლოდზე ჩამოვჯექი და შესაბამისად ჩავფიქრდი, ჯერ მოსკოვის გამოფენა გამახსენდა. ბოლოს კი გაკვირვებაზე შევჩერდი. როგორც თემაზე, პოდა, აი, რა აზრი შემექნა „გაკვირვებაზე“.

თუ ყველაფერი გიკვირს, რა თქმა უნდა, ეს სისულელეა. თუკი არაფერი გაოცებს, ეს უფრო მოსაწონად გამოიყურება და რატომღაც ზრდილობად, მიაჩნიათ. არადა, საეჭვოა, ასე იყოს, ჩემი აზრით. თუ არაფერი გაკვირვებს, ეს უფრო დიდი სისულელეა, ვიდრე ყველაფერი რომ შეშმიშვივით გაგხდის ხოლმე. გარდა ამისა, თუ არაფერი გიკვირს, ეს თითქმის იგივეა, შენთვის რომ არაფერი იყოს პატივისცემა. განა ბრიყვი რამეს დააფასებს?

— დიან, უბირველეს ყოვლისა, მსურს პატივისცემის გრძნობით ვიყო

გამსკვალული. ეს ჩემი გულისთქმა და მისწრაფებაა, — მითხრა ამ დღეებში ერთმა ჩემმა ნაცნობმა.

სურს პატივისცემის გრძნობით იყოს გამსკვალული! ღმერთო ჩემო, რა დღეს დაგაწევდნენ, რომ გაგებედა და ახლა ეს დაგებეჭდა-მეთქი, გავიფიქრე.

ამასობაში ჩამძინებოდა კიდევაც, არ მიყვარს, როცა საფლავეს წარწერებს ვკითხულობ. სულ ერთი და იგივეა ხოლმე. ჩემ გვერდით ლოდზე ნაკვამი ბუტერბროდი ეგდო: რა სულელურად და უადგილო ადგილზე აგდია-მეთქი, გავიფიქრე. ვკარი ფეხი და გადავაგდე, რადგან ეს პური კი არა, მხოლოდ ბუტერბროდი იყო. თუმცა, ეტყობა, მიწაზე პურის ნამცეცების დაყრა ცოდვად არ ითვლება, იატაკზე დაყრაა ცოდვა. შეამოწმეთ სუვორინის კალენდარში.

ეტყობა, დიდხანს ვმჯდარვარ და ძალიან დიდხანსაც. ესე იგი, გრძელ ლოდზე მარმარილოს კუბოსავით წამოვწოლილვარ. ჰოდა, ვერ გამიგია, რანაირად მოხდა, რომ ათასნაირი ამბავი გავიგონე? თავდაპირველად ფეხებზეც კი დავიკიდე, მაგრამ ლაპარაკი გაგრძელდა. მესმოდა დაგუბული ხმები, თითქოს ბაღში ეფარათ პირზე. თანაც ლაპარაკი ახლოდან და მკაფიოდ მესმოდა. გამეღვიძა, წამოვჯექი და სმენად ვიქეცი.

— თქვენო აღმატებულება, ასეთი ამბავი გავგონილა? თქვენ გულისკარტი გქონდათ გამოცხადებული. მე რე მე ვისტი ვითამაშე. თქვენ კი ერთბაშად შვიდი აგური აღმოგაჩნდათ. წინასწარ უნდა შემთანხმებოდით აგურებზე.

— ესე იგი, ზეპირად ვითამაშო? ასე ხომ დაკარგა ინტერესი?

— არ შეიძლება, თქვენო აღმატებულება. უგარანტიოდ არ შეიძლება-მეთქი. აუცილებლად ბოლვანს უნდა ჩამოხვიდეთ. ერთხელ კი ბრმად უნდა დავარიგოთ.

— აბა, აქ სად ვიშოვო ბოლვანი?

მაინც რა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობდნენ! ერთი შთამბეჭდავი და დარბაისლური ხმით ლაპარაკობდა, მეორის ხმა კი ოღნავ ფარისეველური მეჩვენა. ჩემი ყურით რომ არ გამეგონა, არც დავიჯერებდი. ქელეხში, მგონი, არ წავსულვარ! მაშ, აქ რა პრეფერანსის თამაშია გაჩაღებული ან ეს გენერალი ვინ უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე. ხმა რომ საფლავიდან მესმოდა, ამაში ეჭვიც არ შემპარვია. დავინარე და ძეგლის წარწერა წავიკითხე:

„აქ განისვენებს გვამი გენერალ-მაიორ პერვოედოვისა... გახლდათ ასეთი და ისეთი ორდენების კავალერი...“ ჰმ. „გარდაიცვალა ამა წლის მარიაშობის თვეში... ორმოცდაჩვიდმეტი წლისა... განისვენე, სათაყვანო გვამო, ნეტარი დილის გათენებამდე!“

ჰმ, დალაზვროს ეშმაკმა, მართლა გენერალი არ ყოფილა! მეორე საფლავეზე კი, საიდანაც ფარისეველური ხმა მესმოდა, ჯერ კიდევ არ დაედგათ ძეგლი. ზედ მხოლოდ საფლავის ლოდი იყო. ეტყობა, სულ ახლახან მიუბარებიათ მიწისთვის. ხმის მიხედვით კარის მრჩეველი ჩანდა.

— ოჰ-ჰო-ჰო-ჰო! — გაისმა სულ ახალი ხმა ახალთახალ საფლავეში, რომელიც გენერლის სამარისგან ხუთიოდე საყენით იქნებოდა დაშორებული. ეს იყო მდაბიო კაცის მინაწებული და მოკრძალებულ-გრძნობამორეული ხმა.

— ოჰ-ჰო-ჰო-ჰო!

— აჰ, ამას ისევ არ აუტყდა სლოკინი! — შემომესმა ქალის ზიზღიანი და მედიდური ხმა. ქალი მაღალი სწოგადოებისა უნდა ყოფილიყო. — პირდაპირ ჩოჯოხეთია ამ მედუქნის ~~მეტი~~ით წოლა!

— აბა რას დავასლოკინებდი, თუ პირში ლუკმაც არ ჩამსვლია. თქვენ კი, ქალბატონო, იმიტომაც იქცევით ასე, რომ ქირვეულობა არ გასვენებთ.

— მერედა რატომ დაწეხით ჩემთან?

— რატომ და დამაწვინეს, ცოლმა და საყვარელმა შვილებმა მომაყარეს მიწა. განა ჩემი ნებით დავწვებოდი? სიკვდილის იღუმალეებას! ჩემი ნებით კი არა, ოქროც რომ მოეცათ, თქვენთან მაინც არ დავწვებოდი. საკუთარ ქონების, შეძლების წყალობით ვწევარ სამარეში. ჩვენ ყოველთვისა გვაქვს იმის შეძლება, მესამე თანრიგში შევიტანოთ საფლავის ფული.

— დაგიგროვებია; ხალხს ანგარიშში ატყუებდი?

— აბა, რას მოგატყუებდით, თუ იანვრიდან მოყოლებული კაპიკი არ გადაგიხდიათ ჩვენთან. თქვენი ანგარიში ახლაც იქა დევს.

— სისულელეა; მე მგონია, აქ ვალების ძებნა დიდი სისულელეა! ზევით მიბრძანდით და ჩემს დისწულს მოჰკითხეთ. მემკვიდრე ისაა.

— აბა ახლა ვის რა უნდა მოჰკითხო ან სად უნდა წავიდე? ორივემ მივალწიეთ ზღვარს და ღვთის სამსჯავროს წინაშე ცოდვებითა ჩვენითა გავთანასწორდით.

— ცოდვებითა ჩვენითა! — გამოაჯავრა მიცვალებულმა ქალმა, — როგორ მიბედავთ და ასე მელაპარაკებით!

— ოპ-პო-პო-პო!

— ეს მედუქნე მაინც უჯერებს ამ ქალბატონს, თქვენო აღმატებულება.

— ვითომ რატომ არ უნდა დაუჯეროს?

— აქ ხომ ახალი წესებია, თქვენო აღმატებულება.

— მაინც რა ახალი წესებია?

— ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, გარდავიცვალეთ, თქვენო აღმატებულება.

— აჰ, პო! და მაინც ეს წესები...

სიკეთე არ დამდეს? ვერაფერს ვიტყვი, მანუგეშეს რაღა! აქ თუ აქამდე მივიდა საქმე, ზედა სართულზე რა უნდა მოვკითხო? ეს რა ოინებია-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც ვუსმენდი გულისწყრომით.

— იცით, მე კიდევ მინდოდა ცხოვრება... კიდევ ვიცხოვრებდი! — გაისმა უცებ ვიღაც ახლის ხმა გენერლისა და ამ ქალბატონის საფლავებს შორის.

— გესმით, თქვენო აღმატებულება? ეს ჩვენიანი ისევ თავისას განაგრძობს, სამ დღეს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და მერე უცებ წამოიძახებს ხოლმე: იცით, კიდევ მინდოდა ცხოვრება, კიდევ ვიცხოვრებდიო, მერედა რა მადიანად ამბობს? ჰი-ჰი!

— თანაც ქარაფშუტულად.

— თქვენო აღმატებულება, მორჩა, უკვე ძილში მიდის. იცით, აბრილიდან წევს აქ და უცბად: კიდევ მინდოდა ცხოვრებაო, წამოიძახებს.

— მაინც რა მოწყენილობაა! — შენიშნა მისმა აღმატებულებამ.

— მოწყენილობაა, თქვენო აღმატებულება, მოწყენილობა. ნეტავი ავდოტია იგნატიევნა ხომ არ გაგვეხელებინა ისე?

— თავი დამანებეთ, თუ შეიძლება, ვერ ვიტან შავ მკივანა ფხუკიანს.

— მე კი, პირიქით, ორივე მეჯავრებით, — ზიზლით უპასუხა ფხუკიანმა, — ორივე მოსაწყენზე მოსაწყენი ბრძანდებით. თქვენგან რაიმე იდეალურს გაიგონებს კაცი? თქვენზე ვლაპარაკობ, თქვენო აღმატებულება. ნუ იბღინძე-

ბით, გეთაყვა. ვიცი, ვიცი. ერთ დილას ლაქიამ რომ ცოცხით გამოგზვეტათ სხვისი ცოლის ლოგინის ქვემოდან.

— რა საზიზღარი ქალია! — გამოსცრა გენერალმა.

— ავდოტია იგნატიევნა, ქალბატონო, — ისევ ჩააცივდა მედუქნე, — ერთი მითხარით. ჩემო ქალბატონო, ვაი-ვარამის გზას დავადექი რა სხვა რამ ამბავია ჩემს თავს?...

— ოპ, ეს ისევ თავისას მოჰყვა. ასეც მიგრძნობდა გული. ისეთი სუნი ასდის, ტრიალი დაუწყია!

— არც ვტრიალებ, ქალბატონო და არც ისეთი განსაკუთრებული სუნი ამდის. ჯერ კიდევ შენახული მაქვს სხეული. თქვენ კი უკვე ხელიდან წასულხართ, ქალბატონო. სწორედ ამიტომ აგლით ამ ადგილისთვისაც აუტანელი სუნი. ამის თქმა წელან შინდოდა, მაგრამ მომერიდა.

— ოპ, საზიზღარი, მტარვალი! თვითონ აუდის აუტანელი სუნი და მე უნდა დამაბრალოს.

— ოპ-პო-პო-პო! ნეტავი მალე მოვიდოდეს ჩვენი ორმოცი: ზემოდან მეუღლის ქვითინსა და შვილების სლუკუნს გავიგონებ..

— აი, თურმე რა ატირებს: წანდილით გამოძლებიან და წავლენო, ახ, ნეტავი კი ვინმე გაიღვიძებდეს!

— ავდოტია იგნატიევნა, — გაისმა ფარისევლური ხმა, — ცოტაც დაიცადეთ და ახალმოსვენებულები დაიწყებენ ლაპარაკს.

— ახალგაზრდები თუ არიან იმათში?

— ახალგაზრდებიც არიან, ავდოტია იგნატიევნა, და ყმაწვილებიც კი მოუსვენებიათ.

— ოპ, რა კარგია!

— რაო, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ? — იკითხა მისმა აღმატებულებამ.

— როგორც ხედავთ, თქვენო აღმატებულებავ. ჯერ გუშინწინდელი დასაფლავებულებიც ვერ მოსულან გონს. ზოგჯერ კვირა ისე გავა, კრინტს არ დასძრავენ ხოლმე. კიდევ კარგი, გუშინ, გუშინწინ და დღეს ერთბაშად ბევრი რომ მოზიდეს, თორემ ირგვლივ ათ საუენზე მხოლოდ შარშანდელი მკვდრები იქნებოდნენ.

— პო, საინტერესოა.

— აი, კიდევ რა, თქვენო აღმატებულებავ, დღეს ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი მიაბარეს მიწას, ტარასევიჩი. ხალხის ლაპარაკზე მივხვდი, ტარასევიჩი რომ იყო. მისი ძმისწული ჩემი ნაცნობია. კუბო ჩაუშვა წელან.

— პმ, მერედა სად წევს?

— თქვენგან ხუთ ნაბიჯზე, მარცხნივ, თქვენო აღმატებულებავ. თითქმის ზედ ფეხებთან ვიწვეთ... ნეტავი კი გაიცნობდეთ.

— პმ, არა... პირველი რატომ უნდა გავეცნო?

— ტარასევიჩი თვითონ გაგეცნობათ, თქვენო აღმატებულებავ. ნასიამოვნებიც კი დარჩება. ეს საქმე მე დამავალეთ, თქვენო აღმატებულებავ, და...

— ოპ, ოპ... ოპ.. ეს რა მემართება? — გაისმა რომელიღაც ახალდასაფლავებულის შეშინებული ხმა.

— ახალმოსვენებულია, თქვენო აღმატებულებავ, ახალმოსვენებული. მადლი უფალს, რომ მალე აღაპარაკდა. სხვა დროს კვირა ისე გავა, სიტყვას ვერ წამოაცდენინებ.

— ოპ, ეტყობა, ახალგაზრდა კაცია! — შეპკივლა ავდოტია იგნატიევნამ.
 — მე... მე... ავადმყოფობის შემდეგ გართულებამ მიმსხვერპლა. რას ვიფიქრებდი, თუ ასე უცბად ამომძვრებოდა სული! — ისევ აღტყულებდა ყმაწვილი, — წინა დღეს შულცმა მითხრა, გაგირთულდაო. დილას კი გარდავიცვალე. ეპ! ეპ!

— აბა, რას იზამთ, ყმაწვილო, — თქვა, ეტყობა, ახალგაზრდა კაცის მოსვლით გახარებულმა გენერალმა, — თავი უნდა ინუგეშოთ! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ასე ვთქვათ, ჩვენს იოსათანის ხეობაში. ჩვენ გულკეთილი ხალხი გახლავართ. გაგვიცნობთ და დაგვაფასებთ. გენერალ-მაიორი პერვოედოვი. გთხოვთ, მიმსახუროთ.

— ოპ, არა და არა! რას ვიფიქრებდი! შულცთან ვიყავი. იცით, გაგირთულდაო, მითხრა. ჯერ გულ-მკერდი გამიკავა, მერე კი გავცივდი. გულ-მკერდი და გრიპი... ჰოდა, ასე მოულოდნელად... რაც მთავარია, სულ არ ველოდი.

— ამბობთ, ჯერ გულ-მკერდიო? — ისე თავაზიანად ჩაუერთო მოხელემ, თითქოს ახალი მკვდრის გამხმევება უნდოდესო.

— დიახ, გულ-მკერდი და ნახველი... მერე ნახველი აღარ მქონდა, მაგრამ გულ-მკერდი და სუნთქვა... იცით...

— ვიცი, ვიცი, მაგრამ თუ გულ-მკერდი გაწუხებდათ. ეკთან უნდა წასულიყავით და არა შულცთან.

— იცით, მე ბოტკინთან ვაპირებდი წასვლას... მაგრამ უცებ...

— ჰოო, ბოტკინი ტყავს გაგაძრობდათ. — დასძინა გენერალმა.

— ოპ, ტყავის გაძრობა სულაც არ უყვარს. ასე მითხრეს, დიდი გულისხმიერი კაციაო, დაკვირვებული, ყველაფერს წინასწარ გეტყვისო.

— მისმა აღმატებულებამ ფასი იგულისხმა, — შეუსწორა მოხელემ.

— ოპ, რას ბრძანებთ! სულ სამი მანეთი უნდა გადამეხადა. მერე ისე კარგად გამსინჯავდა, ისეთ წამლებს გამომიწერდა!... ჰოდა, რას მეტყვით, ბატონებო, ეკთან უნდა წავსულიყავი თუ ბოტკინთან?

— ვისთან, ვისთანო? — სასიამოვნო ხარხარმა შეარხია გენერლის ცხედარი, მოხელემ კი სტვენით დაუკრა კვერი.

— ჩემო კარგო, ჩემო მზიარულო ბიჭუნო, როგორ მიყვარხარ! — აღტაცებისაგან შეპკივლა ავდოტია იგნატიევნამ, — ახ, ნეტავი კი გვერდით შენისთანა დამიწვებოდეს!

არა, ეს წარმოუდგენელია! მერე და ამას თანამედროვე მიცვალებული ამბობს! თუმცა ჯერ კიდევ მოვუსმენ და დასკვნებს ჰაიჰარად არ გამოვიტან. ეს ცინგლიანი ყმაწვილი კი წელან ვნახე, კუბოში შიშისაგან აცახცახებულ წიწილასავით გამოიყურებოდა. ამაზე უფრო საზიზღარი დედამიწის ზურგზე რა უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე! მერე კი, რა მოხდა მერე?

მერე ისეთი სოდომ-გომორი ატყდა, ყველაფერი ვერც კი დავიხსომე. ერთბაშად გაიღვიძა ბევრმა. გაიღვიძა იმ მოხელემაც, სახელმწიფო მრჩეველმა და წამსვე გააბა საუბარი პერვოედოვთან სამინისტროს საქმეთა და ახალი ქვეკომისიის პროექტსა და თანამდებობის პირთა მოსალოდნელ, ქვეკომისიისთან აშკარად დაკავშირებულ გადაადგილებაზე, რითაც ძალიან გაართო გენერალი. გამოგიტყდებით და, ბევრი ისეთი ახალი ამბავი შევიტყვე, გამიკვირდა კიდევაც: ამ დედაქალაქში ადმინისტრაციულ ამბებს საიდან იგებენ-მეთქი. მერე ცოტათი გამოფხიზლდა ერთი ინჟინერი, მაგრამ ისეთი აბდაუბდა ილაპა-

რაკა, მკვდრებმა ხელი ჩაიჭნიეს და გამოშუშება აცალეს. ბოლოს მიცვალებულის აღმაფრენა გამოამყლაგნა იმ დიდგვაროვანმა ქალბატონმაც, დილით რომ ბალდახინით მოასვენეს. ლებეზიატნიკოვი კი (ის ლაქუცა, საძულველი კარის მრჩეველი, გენერალ პერვოედოვის შორიახლოს რომ იწვა, გვარად ლებეზიატნიკოვი გამოდგა). ერთ ამბავში იყო: ამჯერად ასე ადრე რატომ გაიღვიძესო, უკვირდა. გამოგიტყდებით და, მეც სახტად დავრჩი. თუმცა ზოგი მკვდარი კუშინწინ დაასაფლავეს. მათ შორის იყო ერთი გაუთხოვარი, თექვსმეტიოდე წლის ქალიშვილი, რომელიც სულ კისკისებდა და კისკისებდა... საზიზღრად კისკისებდა, ვნებიანად.

— თქვენო აღმატებულებავ, საიდუმლო მრჩეველი ტარასევიჩი იღვიძებს!

— სასწრაფოდ გამოაცხადა ლებეზიატნიკოვმა.

— ა? რა ბრძანეთ? — ზიზღით და ენის მოჩლეკით წაიჩიფჩიფა გონს მოსულმა საიდუმლო მრჩეველმა, რომლის ხმაში გულარჯალი კაცის მბრძანებლური კილო დავიჭირე და სმენად ვიქეცი, ვინაიდან ბოლო დროს ზოგი რამ მეტად მაცდუნებელი და შემამფოთებელი მქონდა გაგონილი ამ ტარასევიჩზე.

— ეს მე ვარ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერჯერობით მარტო მე გახლავარ.

— რას ითხოვთ და რა ვნებავთ?

— მხოლოდ თქვენი აღმატებულებას ჯანმრთელობის ამბავი მინდოდა შემეტყო. შეუჩვევლობის გამო ალბათ სივიწროვეს განიცდით... გენერალ პერვოედოვს თქვენი აღმატებულების გაცნობა სურს და იმედოვნებს, რომ...

— არც გამიგონია.

— როგორ გეკადრებათ, თქვენო აღმატებულებავ, გენერალი პერვოედოვია, ვასილი ვასილიევიჩი...

— თქვენ ბრძანდებით გენერალი პერვოედოვი?

— არა, თქვენო აღმატებულებავ, მხოლოდ კარის მრჩეველი ლებეზიატნიკოვი გახლავართ, თქვენი მონა-მორჩილი. გენერალი პერვოედოვი კი...

— სისულელეა და საერთოდ გთხოვთ, თავი დამანებოთ.

— დაანებე თავი! — ისე დატუქსა გენერალმა პერვოედოვმა სულსწრაფი მეზობელი, საკუთარი ღირსება არ შეულახავს.

— მხედველობაში მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ შეუჩვეველია. გაიღვიძებს და სხვანაირად მოიქცევა...

— თავი დაანებე! — გაიმეორა გენერალმა.

— ვასილ ვასილიევიჩ! ჰეი, თქვენო აღმატებულებავ! — გატაცებით დაიყვირა ზედ ავდოტია იგნატიევნას საფლავთან ვიღაც ახალდაკრძალულმა, რომელიც ბატონკაცური, მოდურად მინაზებული ხმითა და თავხედური დამარცვლით წარმოთქვამდა სიტყვებს, — ორი საათია თვალყურს გადევნებთ; მე ხომ სამი დღის წინათ მომაყარეს მიწა. არ გახსოვართ, ვასილი ვასილიევიჩ? მე ვარ, კლინევიჩი. ვოლკონსკებისას შევხვედრივართ ერთმანეთს. ოღონდ ერთი ვერ გამიგია, თქვენისთანა სტუმარს იმ ოჯახში რატომ უმასპინძლებოდნენ ხოლმე.

— როგორ? გრაფ პიოტრ პეტროვიჩი... ნუთუ თქვენ ბრძანდებით?... მერე და ასე ახალგაზრდა... რა საწყენია!

— მეც ძალიან მწყინს, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია.

მინდა ყველგან ვნახო სარგებელი. ისე გრადი კი არა, ბარონი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ ბარონი. ქეციანი ბარონები გახლავართ, წარმოშობით — ლაქები. თუმცა ფეხებზე არ მკიდია! მხოლოდ ფსევდო-მაღალი საზოგადოების არამზადა გახლავარ და კაი პოლისონადაც¹ ვითვლები. მამაქვეყნის რა-ღაც ჩინი ჰქონდა. დედაჩემი კი ოდესღაც haut lieu²-ში იმყოფებოდა. მე და უთია ზეფელმა შარშან ორმოცდაათი ათასი მანეთის ყალბი ფული გავა-საღეთ, მერე თვითონ ზეფელი დავასმინე. მთელი ეს ფული იულკა Charpantier de Lusignan-მა წაიღო ბორდოში. წარმოგიდგენიათ, შჩევალსკაია საცო-ლედ მყავდა დანიშნული. თექვსმეტი წელი სამ თვეში უნდა შესრულებოდა, ინსტიტუტში სწავლობდა ჯერ კიდევ. ისეთი გოგოა, ოთხმოცდაათი ათას მა-ნეთს აძლევდნენ. აედოტია იგნატიევნა, გახსოვთ, ამ თხუთმეტი წლის წინათ რომ გამრყვენიტ ჯერ კიდევ ოთხმეტი წლის პაეი?

— ახ, ეს შენა ხარ, საძაგელო? კიდევ კარგი, შენი თავი რომ გამომიგზავ-ნა ღმერთმა, თორემ აქ...

— წელან ტყუილად გეგონათ, თითქოს თქვენს მეზობელ სოვდაგარს ცუდი სუნი ასდიოდა... გავიგონე და სიცილი წამსკდა, ცუდი სუნი მე ამდის; დაქედილი კუბოთი ჩამიშვეს სამარეში.

— ახ, რა საზიზღარია! მაინც მოხარული ვარ თქვენი, კლინევიჩ, ვერც დაიჯერებთ, როგორ გვაკლია აქ სიცოცხლე და მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

— პოდა, მეც ამისათვის განვიზრახე, აქ რაიმე ორიგინალურს შემოვიღებ-მეთქი. თქვენო აღმატებულება, — თქვენ არ მოგმართავთ, პერვოდოვ, — თქვენო აღმატებულება, მეორე ბატონო ტარასევიჩ, საიდუმლო მრჩეველო, გაძეციოთ ხმა! კლინევიჩი ვარ, მარხვის დღეებში რომ დამყავდით mademoiselle ფიურისტან, გესმით?

— მესმის, კლინევიჩ, მესმის და მერწმუნეთ, რომ...

— ერთი ბეწოც ათა მწამს თქვენი, თუმცა ფეხებზე არ მკიდია! უბრალოდ თქვენი გადაკოცნა მინდა, ჩემო კარგი მოხუცო, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ვერ მოგწვდებით. ბატონებო, იცით, რა ჩაიდინა ამ grand-père³-მ? გუშინწინ თუ გუშინწინისწინ მიიკვალა და მთელი ოთხასი ათასი მანეთის ზა-რალი დაუტოვა ხაზინას, თანხა ქვრივ-ობლებისთვის იყო განკუთვნილი. ეს ბე-ბერი კი ისე ყოფილა მიშვეებული თავის ნებაზე, რვა წელია რევიზია თვალი-თაც არ უნახავს. წარმოგიდგენიათ, რა სიფათები ექნებათ იქ და რა ლოცვა-კურთხევას უგზავნიან საფლავში? ავბორცული აზრი კი მოსვლია, განა მარ-თალს არ ვამბობ? პოდა, წელს სულ ვფიქრობდი, ამ სამოცდაათი წლის ჩაჩა-ნაკს, ნიკრისიანსა და დავრდომილს, ამოდენა ძალა გარყვნილებისთვის საიდან შერჩა-მეთქი. და აი, გამოვიცანი კიდევაც! ეს ქვრივ-ობლები... მარტო მათზე ფიქრსაც კი ცეცხლი უნდა წაეკიდებინა მაგისტრის. ეს ამბავი მარტო მე ვიცო-დი, Charpantier-მა მითხრა დიდი ხნის წინათ. გავიგე თუ არა, ძმა-კაცურად შევუჩინდი: ოცდახუთი ათასი ახლავე ჩამითვალე, თორემ ხვალვე რევიზიას გამოგიგზავნი-მეთქი. წარმოიდგინეთ, ხელზე მხოლოდ ცამეტი ათა-

¹ პოლისონი — (ფრანგული-polisson) დაუდგროშელი, გიჟაეი.

² მაღალ წრეებში (ფრანგ.).

³ პაპა, ბაბუა (ფრანგ.).

სი აღმოაჩინდა. ისე რომ მიქელ-გაბრიელი დროულად წადგომია თავს, grand-père, grand-père, გესმით?

— Cher კლინევიჩი, სავსებით, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ ტყუილად კი გვიამბეთ ასე დაწვრილებით. ცხოვრებაში იმდენი ტანჯვა და ვაება შეხვდება კაცს, მისაგებელი კი ისე ცოტა, რომ... ახლა მინდა მოვისვენო და, როგორც ვატყობ და ვიმედოვნებ, აქაც მივიღებ ყოველივე მისაგებელს...

— სანაძლეს დავდებ, თუ კატიშ ბერესტოვას არ მიაკვლია.

— რომელ, რომელ კატიშს? — ვნებით აუცახცახდა მოხუცს ხმა.

— ჰაა, რომელ კატიშს? აგერ, მარცხნივ, ჩემგან ხუთ ნაბიჯზე, თქვენგან კი ათზე წევს. მეხუთე დღეა მოასვენებს, რომ იცოდეთ, grand-père, რა ნამუსგარეცხილი გოგო ბრძანდება, კარგი ოჯახიშვილია, მაგრამ პირწავარდნილი ურჩხულია! იქ კაციშვილისთვის არ მიჩვენებია, მარტო მე დავდიოდი მასთან... კატიშ, ამოიღე ხმა!

— ჰი-ჰი-ჰი! — გაისმა უცებ ქალიშვილის მინახებულნი ხმა, თუმცა ეკლებივით კი იჩხვლიტებოდა.

— ქე-რა-ა? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დამარცვლით ჩაიჩიფჩიფა grand-père-მ.

— ჰი-ჰი-ჰი!

— მე.. დიდი ხანია მომწონდა ქერა ქალიშვილები. ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ყმაწვილი ვიყავი გატაცებული. და სწორედ ასეთ ვითარებაში...

— ოჰ, მხეცო, ნადირო! — წამოიძაბა ავდოტია იგნატიევნამ.

— კმარა! — გადაწყვიტა კლინევიჩმა, — ჩანს, ჩინებული მისალა გვქონია. მალე უკეთესად მოვეწყობით. მთავარია, დრო მხიარულად გავატაროთ. ეს კია, რა დრო? ჰეი, თქვენ, ვილაც მოხელევე, ლებეზიატნიკოვი გქვიათ, მგონი, გავიგონე, ასე გეძახდნენ წელან!

— კარის მრჩეველი სემიონ ევსეიჩ ლებეზიატნიკოვი მზად ვარ გემსახუროთ და ძალიან, ძალიან მოხარული ვიქნები, თუ...

— ფეხებზე არ მკიდია, იქნებით თუ არა მოხარული. თქვენ, მგონი, აქაურობას კარგად იცნობთ. პოდა, ჯერ ერთი, მითხარით (გუშინს აქეთ მალცებს ეს საკითხი), რატომ არის, რომ ვლაპარაკობთ? ჩვენ ხომ გარდავიცვალეთ, მაგრამ მაინც ვლაპარაკობთ. თითქოს ვმოძრაობთ კიდევ. არადა, არც ვლაპარაკობთ და არც ვმოძრაობთ. ეს რა სასწაულია?

— ბარონ, თუ მოისურვებდით, ამას ჩემზე უკეთ პლატონ ნიკოლაევიჩი გეტყვოდათ.

— რომელი პლატონ ნიკოლაევიჩი? ნუ ზოზინობთ, საქმეს შეუდექით.

— პლატონ ნიკოლაევიჩი, ჩვენი შინაჩეკი ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი და მაგისტრი. რამდენიმე ფილოსოფიური წიგნის ავტორია, მაგრამ მესამე დღეა თვლემს. ახლა მისი გაღვიძება შეუძლებელია. კვირაში ერთხელ თუ წაილულლულებს რაღაც უადგილოსა თუ შეუფერებელს.

— მერე, მერე!

— პლატონ ნიკოლაევიჩი ამ საკითხს სულ უბრალოდ განმარტავს. სახელდობრ, როცა ჯერ კიდევ ცოცხლები ვიყავით, თურმე იქაურ სიკვდილს შეცდომით მივიჩნევდით სიკვდილად. აქ კი თითქოს სხეული ხელმეორედ ცოცხლდებოდეს, თითქოს სიცოცხლის ნარჩენები თავს იყრიდეს ამჯერად ცნობიერებაში. თითქოს სიცოცხლე — არ ვიცი, როგორ ვთქვა — ინერციით გრძელდებოდეს. მისი აზრით, ყველაფერი სადღაც ცნობიერებაშია თავმოყრილი და კიდევ ორ თუ

სამ თვეს გრძელდება, ზოგჯერ ნახევარ წელიწადსაც... აქ, მაგალითად, ისეთი ვინმე მარხია, ვინც თითქმის მთლიანად გაიბრწნა, მაგრამ ექვს თვეში ერთხელ მაინც წაილულლულებს ხოლმე რაღაც ამდაგვარს: „ბობოკ, ბობოკ.“ მაშასადამე, ამ მიცვალებულშიც ბეუტავს სიცოცხლის შეუმჩნეველი ნაპერწკალი...

— სისულელეა. აბა, ის რატომ არის, რომ ყნოსვა არ გამოხატავს? სუნის კი მაინც მცემს?

— ჰე-ჰე... აქ ჩვენი ფილოსოფოსი, ცოტა არ იყოს, ბურუსშია გახვეული. სწორედ ყნოსვის თაობაზე შენიშნავს, რომ აქაურ ქვეყანაში, ასე ვთქვათ, ზნეობრივი სუნი გვცემს. ჰე-ჰე! თითქოს სულს აუდიოდეს მძიმე სუნი, რომ დარჩენილ ორ-სამ თვეში მოასწრო გონს მოსვლა... რომ თითქოს ეს უკანასკნელი გულმოწყალება იყოს. მე კი მაინც მგონია, ბარონ, რომ ეს მისტიკური ბოდვაა და სხვა არაფერი, მეტად მისატვევებელი მისი მდგომარეობის კაცისთვის.

— კმარა! — თქვა კლინევიჩმა, — დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი სისულელეა. მთავარი ის გახლავთ, რომ ორ-სამ თვეს ვიცხოვრებთ და მერე — ბობოკ. ამიტომ წინადადება შემომაქვს, ეს ორი თვე მზიარულად გავატაროთ. ამისათვის კი სულ სხვა საფუძველზე მოვიწყობთ ცხოვრებას. ბატონებო, წინადადება შემომაქვს, სულ დავივიწყოთ სირცხვილი!

— ოჰ, მოდიოთ, სულ დავკარგოთ სირცხვილი! — გაისმა ერთბაშად მრავალი ხმა და, რაც უფრო საოცარი იყო, ახალგამოღვიძებულებმაც გამოიღეს თავი. განსაკუთრებული ხალისით ინჟინერმა დაიბუხუნა, ხოლო ქალიშვილმა კატიშმა მზიარულად ჩაიკისკისა.

— ოჰ, როგორ მინდა არაფრის არ მრცხვენოდეს! — წამოიძახა ავდოტია იგნატიევნამ.

— გესმით? თუკი ავდოტია იგნატიევნას სურს არაფრის არ რცხვენოდეს...

— მსურს, კლინევიჩ, მსურს. იქ ცოტა მაინც მრცხვენოდა, აქ კი ძალიან, ძალიან მინდა არაფრის არ მრცხვენოდეს!

— გავიგეთ, კლინევიჩ, — დაიბუხუნა ინჟინერმა, — თქვენი წინადადებაა ახალ, გონივრულ საწყისებზე მოაწყობთ ცხოვრება.

— ფეხებზე არ მკიდია! ამისათვის კუდიაროვს დაველოდოთ, გუშინ მოათრიეს. გაიღვიძებს და ყველაფერს აგიხსნით. თქვენ არ იცით, რა გამოჩენილი ვინმეა! ხვალ კი, მგონი, ერთი ბუნებისმეტყველი უნდა მოათრიონ. ბუნებისმეტყველს ოფიცერსაც მოაყოლებენ და, თუ არ ვცდები, სამ-ოთხ დღეში ერთ ფელეტონისტსაც აეგება ანდერძი, მგონი, რედაქტორთან ერთად. თუმცა ეშმაკსაც წაუღია მათი თავი. მთავარია, ჩვენი ყაიდის ხალხი მოიყრის თავს და ყველაფერი თავისთავად აეწყობა. მანამდე კი მინდა მატყუარა არ ვიყო. აი, რას ვესწრაფვი. სად გაგონილა, ზემოთ იცხოვრო კაცმა და არ მოიტყუო, რადგან ცხოვრება და სიცრუე სინონიმები გახლავთ. აქ კი სეირისთვის მაინც არ მოვატყუებთ ერთმანეთს. დალახვროს ეშმაკმა, რაღაცას ხომ ნიშნავს საფლაგის მაშ, მოდიოთ, ერთმანეთს ხმამაღლა ვუამბოთ საკუთარი თავგადასავალი და არ შეგვრცხვეს! უპირველეს ყოვლისა, ჩემ შესახებ გეტყვიოთ. იცით, მე ავხორცი ვარ. ყოველივე ამას კი იქ, ზემოთ, დამპალი თოკი აკავებდა. პოდა, მოდიოთ, უსირცხვილო სიმართლით ვიცხოვროთ ეს ორი თვე! მოდიოთ, გავაშვივლდეთ!

- გავშიშვლდეთ, გავშიშვლდეთ! — გაისმა სხვადასხვა ხმა.
- ოჰ, როგორ მინდა უსირცხვილოდ ცხოვრება! — დაიწკმეტუნა ავღო-
ტია იგნატიევნამ.
- ოჰ... ოჰ... როგორც ვატყობ, აქ მხიარულება გველის; არ წავალ ექ-
თან!
- არა, ჯერ კიდევ ვიცხოვრებდი. იცით, ჯერ კიდევ მინდოდა ცხოვ-
რება!
- ჰი-ჰი-ჰი! — ხითხითებდა კატიში.
- მთავარია, აქ ვერაფერს აგვიკრძალავენ. თუმცა პერვოდოვი, როგორც
ვატყობ, კიდევაც გამიბრაზდა, მაგრამ აქამდე რას მომწვდებოდა. თქვენ კი
grand-père, თანახმა ხართ?
- სავსებით გეთანხმებით, კლინევიჩი, სავსებით, ოღონდ იმ პირობით,
თუ პირველი კატიში გვიამბობს თავის ბი-ო-გრაფიას.
- უარს ვაცხადებ, ცივ უარს ვაცხადებ! — დაიძახა გენერალმა პერვოე-
დოვმა.
- თქვენო აღმატებულება! — ხმადაბლა არწმუნებდა ირამზადა ლებე-
ზიატნიკოვი, — თქვენო აღმატებულება, თუ დავთანხმდებით, ჩვენთვისვე
იქნება ხელსაყრელი. იცით, ეს გოგო იქაურ ამბებს მოგვიყვება, იქაურ თავგა-
დასავალს...
- ვთქვათ, აქ წევს ის გოგო, მაგრამ...
- თქვენო აღმატებულება, ხელსაყრელია-მეთქი, ღმერთმანი, ხელსაყ-
რელია. თუნდაც მაგალითისათვის ვცადოთ...
- საფლავშიც რომ არ მოგასვენებენ!
- გენერალო, ჯერ ერთი, საფლავში პრეფერანსს თამაშობთ. მეორეც,
ფეხებზე არ გვკი-დი-ხართ! — დამარცვლა კლინევიჩმა.
- მოწყალეო ხელმწიფე, გთხოვთ, თავს ნუ აიგდებთ.
- რა ბრძანეთ? აქამდე ვერ მომწვდებოდა, მე კი აქედან იუღკას ფინია-
სავით გაგამწარებთ. ბატონებო, ჯერ ერთი, ეს რა გენერალია? გენერალი იქ
იყო. აქ კი მხოლოდ და მხოლოდ ფშუტია!
- ვინაა ფშუტი! მე აქაც...
- აქ კუბოში დალპებით და თქვენგან ექვსი სპილენძის ღილი დარ-
ჩება.
- ყოჩაღ, კლინევიჩი, ყოჩაღ! ჰა-ჰა-ჰა! — აღრიადდნენ მიცვალებუ-
ლები.
- მე ჩემს ხელმწიფეს ვემსახურებოდი... წელზე დაშნა მარტყია...
- მაგ თქვენი დაშნით ვირთავებს დაერიეთ. ქარქაშიდან ერთხელაც არ
ამოვიღიათ!
- ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე მთელის ნაწილი გახლდით.
- ვინ გაიგებს, მთელის რა ნაწილებია.
- ყოჩაღ, კლინევიჩი, ყოჩაღ! ჰა-ჰა-ჰა! მაინც ვერ გამიგია, რა უნდა იყოს
ეს დაშნა, — განაცხადა ინჟინერმა.
- ჩვენ პრუსიელებს ვირთებოდათ გავეკეთებოდა, თორემ ბლღვირს აგვა-
დენენ! — შორიდან დაიყვირა ჩემთვის უცნობმა მიცვალებულმა, რომელიც
აღტაცებისაგან ლამის გაგუდულიყო.
- დაშნა, ბატონო ჩემო, ღირსებაა! — დაიყვირა გენერალმა, მაგრამ სხვა

ვერაფერი გავიგონე, ისეთი უსასრულო, ყურთასმენის წამლები ღრიალცელი ატყდა, ისეთი ამბონი და ყაყანი, ავდოტია იგნატიევნას სულწასული, ისტერიული კივილი გავარჩიე მხოლოდ.

— აბა, ჩქარა, ჩქარა-მეთქი! ოპ, როდის დავიწყებთ უსირცხვილად ცხოვრებას!

— ოპ-პო-პო! ჭეშმარიტად ვა-ვარამის გზას დავდგომივარ! — გაისმა მდაბიო კაცის ხმა, მაგრამ...

უცებ ცხვირს დამაცემინა. ეს ისე მომივიდა, უნებლიეთ, მაგრამ განსაცვიფრებელი ამბავი კი გამოიწვია: ყველაფერი დადუმდა, სიზმარივით გაქრა, ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, სასაფლაოს რომ შეეფერება. ვერ ვიტყვოდი, რომ ჩემი შერცხვენოდეთ. აკი თვითონაც ამბობდნენ, ამიერიდან სულ დავივიწყოთ სირცხვილიო! ხუთიოდე წუთს ვუცდიდი, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს. ვერც იმას ვიტყვოდი, თითქოს პოლიციაში დასმენის შეშინებოდეთ. აბა, პოლიციამ რა უნდა გააწყოს საფლავში? მერე უნებლიეთ დავასკვენი: ალბათ ექნებათ მაინც რაღაც საიდუმლო, მოკვდავთათვის უცნობი, რომელსაც ცოცხლებს გულმოდგინედ უმაღავენ-მეთქი.

„აბა, ჩემო კარგებო, კიდევ მოგაკითხავთ-მეთქი“, გავიფიქრე და სასაფლაო დავტოვე.

— არა, ეს მართლაც შეუწყნარებელია! არა და არა!

ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ბობოკის მეშინია (აი რა ყოფილა ეს ბობოკი!).

გარყვნილება ასეთ ადგილას, გარყვნილება უკანასკნელი იმედისა და სასოების წუთებში! გახრწნაზე მიმდგარ ცხედრებს ისე გაწყვეტიათ შუბლის ძარღვი, ცნობიერების უკანასკნელი წუთებიც არ ენანებათ! მათ მიმადლებული აქვთ ეს წუთები, ისინი კი... პოდა, თავიდათავიც ის არის, რომ ასეთ ადგილას ვნახე მრუშობა და სიბილწე. აი, რა მაწუხებს!

წავალ სხვა თანრიგის სასაფლაოებზეც, ყველგან მოვუსმენ. საქმეც ის არის, რომ ერთ ადგილას კი არა, ყველგან უნდა მოვუსმინო, თორემ ისე ვერაფერს გავარკვევ. ეგებ იქ მაინც წავაწყდე რაიმე სანუგეშოს.

იმ მიცვალებულებთან კი აუცილებლად დავბრუნდები. ხომ თქვეს, ერთმანეთს ათასნაირ ამბავსა და ანეკდოტს მოვუყვებითო. ფუ! მაგრამ აუცილებლად კი წავალ; ეს ხომ სინდისის საქმეა!

მივიტან „გრაფდანიინში“. იქ ერთი რედაქტორის პორტრეტიც გამოფინეს და ეგება დამიბეჭდონ კიდევაც.

კლიოპა გურგაშთი

რად ყმუნიან ქალღებრი



მოთხრობა.

ოსურიდან თარგმნა მარბალიბა ვალიაშვილი.

დედამიწას თოვლის შუქნათელი გადაჰფენია, ცა კი წყვლიაღი-
თაა მოცული. იქიდან დაშვებული მრუშე სიბნელე ბოსლის
ყავრით გადახურულ სახურავს უერთდება, იქვე მდგარ ცაცხვს ნაბეგრად
ნთქავს, ნამქერის ზედაპირამდე აღწევს, დაბლა-დაბლა ეშვება და სედანთის
მალლობზე ისადგურებს.

ჯულბარსს კარგად ესმის სედანთის მალლობიდან აწყვეტილი ქარის გაწ-
მაგებული ქროლვა, ზუზუნით რომ დასტრიალებს თავზე მთელ სოფელს,
დროდადრო მათ სახლსაც დააცხრება და სახურავზე თოვლის კორიანტელს და-
ატრიალებს... წყვლიაღიდან მოწყდება ფიფქები და ძირს გრძელ ენებად ჩა-
მოცვივა.

— მუ-მუ-უ... — ბოსლიდან მოისმის ჯურას გაბმული ზმუილი. ჯულ-
ბარსი ცნობს მის ხმას. კარგია, რომ საქონელი ღამლამობით არ ბღავის, სიბ-
ნელე თუ აკრთობს.

საბრალო პირუტყვები!

დამშეულები მიეყრებიან ხოლმე, მიეძინებათ და მერე სიზმარში საკვებს
შიაძლებიან. მაგრამ ჯურას ეგრე ადვილად ვერ მოატყუებ! მთელი ღამე ძილი
არ ეკარება, საბრძელივით ვეება სტომაქი ცარიელი აქვს და მოსვენების არ
აძლევს. რა ქნას ჯულბარსმა! უჭმელობისაგან თვითონაც ღონეშიხდილია,
დღისით მათი ზმუილი გულს უკლავს და საკუთარ შიმშილს ავიწყებს. ჯულ-
ბარსი ცოტას თოვლს მაინც შეეჭყვევა ხოლმე, ისინი კი...

ქარი წინკარში ვერ აღწევს, მაგრამ ჯულბარსს მაინც სცივა, გორგალივით
დახვეულა, ფეხები აღარ უჩანს და აგრერიგადაც აღარ ეყინება, მაგრამ ცხვი-
რი, ცხვირი, ცხვირი... კარგი იქნებოდა, კუდის ბოლოში წაეყო, მაგრამ საღ-
ლა აქვს კუდი! ჯერ კიდევ ლეკვი იყო, პატრონმა რომ მოჰკვეთა და ყურებიც
ზედ მიაყოლა. მაშინ ჯულბარსმა ბევრი იტირა. განაწყენდა პატრონზე და
მხოლოდ მაშინ იყარა ჯავრი, როცა თავისი ბასრი კბილებით ფეხზე უკბინა.
პატრონი ეფერებოდა. რაში სჭირდებოდა ჯულბარსს ასეთი ფარისევლობა,
როცა ყურებზე და კუდზე საშინელი ტკივილისაგან ცეცხლი ეკიდებოდა! არა,
არ სჭირდება ჯულბარსს ასეთი ალერსი! ჰმ — და ფეხში ეცა. მართალია,
მთლად კარგად ვერ ჩაავლო კბილი... ეგონა, პატრონი ღრიალს მორთავდა.

ის კი სიცილით კვდებოდა და ჭულბარსს, თითქოსდა აქ არაფერიო, ეუბნებოდა:

— ჭულბარს! პა, ჭულბარს... კარგი ძალღი დადგები?... ~~კარგი~~ ძალღი დადგება შენგან, კარგი ძალღი ოღონდ გულში ჯავრს ნუ ჩაირჩენ...

ჭულბარსი თავის თავზე გაბრაზდა. გაახსენდა: ქორისამძებუცას რომ უკბინა, ამ უკანასკნელმა ღრიალით ქვეყანა შეძრა. მართალია... ქორისა დიდი იყო, მაგრამ ჭულბარსიც ხომ შეიძლება გამხდარიყო ისეთი ღონიერი?!

ქორისასაგან ბევრი კარგი ახსოვს. აგერ ცაცხვის ხესთან რომ სახლი დგას, ქორისა იქა ცხოვრობდა. მათი ბოსლის გვერდით ერთი სხვა ბოსელიც იდგა. ქორისას და ჭულბარსს ძალიან უყვარდათ იმ ბოსელში წოლა. ორი მხრიდან ნაკელის სუნი სცემდა და ნესტოებში საამოდ უღიტინებდა. ქარი ვერსაიდან ვერ აღწევდა იქამდე. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

სახლის კიბის ქვეშ ჭულბარსს ძალიან პატარა საძაღლე ჰქონდა, რომელიც პატრონმა ჩამოყვანისთანავე გაუკეთა და შიგ ძონძებიც დაუფინა. მეორე დღეს კი ქორისა მიედიდგულა. ქორისა დიდი ძალღი იყო, ძალიან დიდი, ორი ჭულბარსისოდენა იქნებოდა. აბა, როგორ არ შეეშინდებოდა ჭულბარსს! ჯერ დაფრთხა, მერე უკანა ფეხებზე წამოჯდა და დაიყუფა. ქორისა, თითქოსდა აქ არაფერიო, მიუახლოვდა, დრუნჩი წაჰკრა, მერე ზურგზე წამოგორდა, ნახევრადგადმოხრილი ფეხები ზევით ასწია, ცხვირი მიწაზე გასდო და ჭულბარსს შეაცქერდა. აშკარა იყო, სათამაშოდ იწვევდა. მაშინ ჭულბარსი გათამამდა, შეახტა და პატარა კბილებით ყელზე დაეჯაჯგურა. თქვენც არ მომიკვდეთ, ამას ქორისა არ შეეწუხებინოს, პირიქით, სასიამოვნო წკმუტუნით აქეთ-იქით გორავდა. ჭულბარსს ბრაზისაგან ცეცხლი წაეკიდა: დახეთ, როგორ არაფრად აგდებს! მაგრამ სიბრაზემ მაშინვე გადაუარა და თავზე აქეთ-იქით გადაეგლო. არა, ნამდვილად კარგად ითამაშეს მაშინ. და ვანა მარტო მაშინ... ქორისა ხშირად ესარჩლებოდა კიდეც, ასეც ხდებოდა: ზოგჯერ ბატები და გოჭები აუმხედრდებოდნენ და აქეთ-იქით დაარბენინებდნენ. სად იყო და სად არა — ქორისაც გამოჩნდებოდა.. ისეთი ბოხი ხმით დაიყუფებდა, რომ შიშით გულგახეთქილებს მაშინვე დაიფრენდა. ბატები მეტისმეტად დაუნდობლები იყვნენ, ახლაც კი ვჯავრება ისინი! ჩაუნისკარტებდნენ ხოლმე და „ყი-ყის“ ძახილით სიცილით იხოცებოდნენ.

— ეცი, ჭულბარს! ეცი! ეცი! — აქვზებდა პატრონი.

გათამამებული ჭულბარსი შეუტევდა, მაგრამ ნირს რომ ვერ შეუცვლიდა, ისევ პატრონთან მიირბენდა.

— ამისგან კარგი ძალღი დადგება, — კმაყოფილებით იტყოდა პატრონი და ზურგზე ხელს გადაუსვამდა, ჭულბარსს კი ჯავრისაგან თვალები მოუწყლიანდებოდა.

ფიქრში გამართულ ჭულბარსს სესეს ახოებიდან მგლების ყმული შემოესმა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს — ყუფა რომ ატეხოს, მისი ხმა უფრო მოიზიდავს მგლებს და ვაითუ სოფელს შემოუტეონ... იმათთან რას გახდება?! პატრონი კი აღარა და აღარა ჩანს! ჭულბარსი შიმშილისაგან მისავათებულია. ამ რამდენიმე დღეში აბა რა ჯამა?! მხოლოდ ერთი გამოხრული ძვალი და იმანაც აწყინა! აღარც კურდღლები ჩანან, ახლა ისინი თოვლში უჩინრად დაძვრებიან, კიდეც რომ გამოჩნდნენ, ჭულბარსი ალბათ ვერც კი გამოეკიდება. ნეტავ ფარება მაინც იყოს აქ, — გაუელვა ჭულბარსს, — რაიმე საკბილოს

იშოვიდა. ამ ყინვაში იმასაც ეზარება გარეთ გამოსვლა, აღარ მოსკითხა... ვერც გამტყუნებ. ამ უამინდობაში რა დროს მისვლა-მოსვლაა! თვითონ ჭულბარსი ნაბიჯსაც ველარ დგამს და შიშობს, საქონლის ბლავილზე მგლები სოფელს არ დაეცნენ!

ქართული

საერთოდ, ფარება მეტად ერთგული ძალაა. შესახედვედღაც ცქცქცემოვნოა. მართალია, შარიკა უფრო ლამაზია, მაგრამ სამიგიერთოდ ისეთი ერთგული არ არის, თანაც მატყუარაა. აგერ, ცაცხვის ქვეშ რომ საძაღლეა, ადრე იქ ცხოვრობდა. მონადირეებმა ქორისა რომ მოჰკლეს, კარგა ხნის შემდეგ შარიკა იმ საძაღლედან ჩამოიყვანეს. მაშინ ჭულბარსი უკვე დიდი იყო: აღარც გოჭების ეშინოდა, აღარც ბატებისა და აღარც სიბნელისა. შარიკა კი პატარა იყო და ძალიან ლამაზი. ჭულბარსს ძლიერ შეუყვარდა: უყვარდა მასთან თამაშიც. ვინ იცის, ქვეშ რამდენჯერ მოუქცევია!

მგლები ისევ და ისევ ღმუოდნენ და ჭულბარსმა ბრაზიანად დაიღრინა. უკვე რამდენიმე დღეა, მათი ყმუილი აღიზიანებს, გულს უღონებს და ახლა თვითონაც უნდა, რომ დაიყმუვლოს, მაგრამ პატრონისა ერიდება. აკი ერთხელ გვარიანად მოხვდა კიდევ ამისთვის! მაშინაც ასე გადაედო მგლებისაგან ყმუილის სურვილი და დაიყმუვლა (მაშინ ჯერ კიდევ ლეკვი იყო). ამ დროს მისი პატრონი კიბის წინ, შეშის საჭრელ ადვილას, რაღაცას აწყობდა და ჭულბარსმა დაიყმუვლა თუ არა, შეშის წაჭერი ესროლა. პატრონს აქამდე არასოდეს დაუტუქსავს და ჭულბარსმა ეს ამბავი კარგად დაიმახსოვრა — აღარასოდეს გაუბედავს ყმუილი. ტყუილად კი არ ერიდება პატრონისა — იცის, რომ მას ძალიან უყვარს და ჭულბარსს ერთი წუთითაც არ შეუძლია ამის დავიწყება.

ახლაც კარგად ახსოვს: ერთხელ მისი პატრონი მთიდან საქონელს მოერეკებოდა. როგორღაც შეუმჩნევლად შულდაკი დაუვარდა. ჭულბარსმა დაინახა და შულდაკს აღარ მოსცილებია. პატრონი კი გზას განაგრძობდა და საკმაო მანძილით გაიარა. ჭულბარსმა დაიყეფა, პატრონს არ გაუგონია. მაშინ ჭულბარსი გაეკიდა, დაეწია; ერთი შეპყეფა და ისევ შულდაკთან დაბრუნდა. რამდენჯერმე ასე გაიმეორა. პატრონს მაინც არ მიუქცევია ყურადღება. დაღონებული ჭულბარსი ისევ შულდაკთან დარჩა... ჩამოღამდა ერთხელ. მეორედ... მაგრამ პატრონი არსაიდან გამოჩნდა. ჭულბარსს ახლანდელივით მაშინაც ძალიან მოშივდა. შულდაკი გადაატრიალ-გადმოატრიალა, მაგრამ შივ საჭმელი ვერაფერი ნახა. პატრონი კი კვლავ არ ჩანდა. მაშინ შულდაკის გვერდით წამოწვა და მიწის ქამას შეუღვა. რამდენიმე დღე მიწით იკვებებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მისი პატრონი. ჭულბარსმა შორიდანვე შენიშნა, მიგებება დააპირა, მაგრამ ორი-სამი ნაბიჯი გადადგა თუ არა, ძალაგამოღეული დაეცა და მიქნავეებული ხმითლა დაიყეფა.

ო, როგორ ეფერებოდა მაშინ პატრონი! კალთაში გამოიკრა და მდუღარე ცრემლებით ატირდა. ჭულბარსიც ტიროდა, პატრონმა სახლამდე კალთით ატარა. სანამ გამოკეთდებოდა, რძითა და ხორციით კვებავდა. სწორედ იმ დროს შარიკას პატრონები სადღაც გადასახლდნენ და ჭულბარსი მარტო დარჩა.

აგერ, მეათე დღეა, ფარებაც ველარ მოინახულა. დიდთოვლობის გამო გზები და ვასასვლელები ჩაკეტილია. მიწაც გაყინულია და ველარაფერს გამოჩნები. ცარიელმა თოვლის ქამამ ძალ-ღონე მთლად გამოაცალა. ალბათ ამიტომაც აციებს... ცხადია, ფარებას უნდა მისი ნახვა, თავისი ლეკვების

მამასთან გული როგორ ამ მოუწევს, მაგრამ რა ქნას, რა იღონოს... აღბათ
ჯავრობს ფარეხაც, ის ხომ შარიკასავით უგულო არ არის... ფარეხას მზრუნ-
ველობაში ბადალი არა ჰყავს...

წინკარში ქარი ბობოქრობს... პატრონი კი რამდენიმე წუთს და არ
ჩანს... რატომ არ გამოიხედავს ნეტავ გარეთ? ჯულბარსს უჭიქრებით
გაერთო... პატრონს ხშირად შეჰყავს ხოლმე სახლში და თუმცა ჯულბარსს
შინ ყოფნა არ უყვარს, რიდიტ მაინც შეჰყვება, წამოწვება ხოლმე გახურე-
ბულ ღუმელთან, პატრონის წინ. ჭირივით ეზარება მეტიმეტი სიცხე, ზღაზ-
ვნიტ გაემართება ხოლმე პატრონისაკენ და როცა მიაღწევს, პატრონი თავის
ვეებერთელა ხელებს თავზე ალერსით გადაუსვამს და თან ელაპარაკება:

— ჯულბარს, ხედავ, რა დღეში ვარო? მარტონი დაგრჩით, დაგრჩით მარ-
ტონი, ჩემო ჯულბარს! აღარც მეზობლები გვყავს, სულ აქეთ-იქით წავიდ-
წამოვიდნენ, საცხოვრებლად უკეთესი ადგილები შეარჩიეს. მეც შემომთავა-
ზეს: შენც წამოდიო, ბაჯე... მაშ, ეგრე მითხრეს! ჰოდა, ჩემო ჯულბარს, რა-
ტომ არ ეკითხები იმათ: ბაჯე რომ წავიდეს აქედან, მის კერაზე ვინდა დარჩე-
ბა? აღარავინ! რა თქმა უნდა, აღარავინ! მერედა, შენ როგორა გგონია, ჯულ-
ბარს, ეს სწორი აქნება? არ იქნება სწორი, ჯულბარს, არა! ახლა მე აღარა-
ფერი მინდა ერთი ადგილის მეტი და ისიც სასაფლაოზე მზად მაქვს. ჩემი
გვამი სხვაგან რაღად უნდა წავილო? მარტო ამისი მეშინია, ამისთანა ამინ-
დში რამე რომ დამემართოს და ჩემი სიკვდილი ვერავინ შეიტყოს, არაო...—
ამბობ, ეგეც მართალია... სახლის ბანზე თოვლქვეშ რომ მოვექეცი, ვინ მიშ-
ველა მაშინ?... აქ კი მართალი არა ხარ, ჯულბარს, თავს რატომ აქნევ?... შენ,
სწორედ შენ იყავი! რატომ სდუმხარ? მოიწყინე? მეც მიმძიმს, მაგრამ მაინც
ელაპარაკობ. შენ კი არ მელაპარაკები, მერედა სადაურია ეგ? მითხარი ერთი,
მაშ ვის ველაპარაკო? მგლის ყმუილის გარდა ადამიანს ვინმეს ხმა თუ არ
ესმის, ის რაღა სიცოცხლეა? არა, ჯულბარს, ამას საცოცხლე არა ჰქვია, ამის-
თანა ყოფას სიკვდილი სჯობს! ადამიანი იმიტომ იბადება, რომ ხალხში იტ-
რიალოს, ხალხში იცხოვროს, თუ არა და მარტო ყოფნას სიკვდილი სჯობს.
მე რომ მოვკვდე, ჩემს კერაზე ვინდა დარჩება, ჰა? ესა თქვი, შე ბედშავო,
შენა, ესა! შენ დარჩება? არადა, შენც რომ ჩემსავით დაბერდი? უწინ რომელი
ჩვენგანი მოკვდებო, თუ იცი? არ იცი? არც მე ვიცი... თუ მე, მაშინ სახლი
უპატრონოდ არ დატოვო! მომეცე შენი თათი!..

ასე ელაპარაკება ხოლმე პატრონი. ელაპარაკება და თან ცრემლები და-
ბალუპით ჩამოსდის. ჯულბარსს მისი სიტყვებისა თუმცა ბევრი არაფერი
ესმის, მაგრამ პატრონის მწუხარებას გრძნობს, გული უღონდება და ისიც
ჩუმად ცრემლსა ღვრის. ზოგჯერ პატრონი სულაც აღარ გამოუშვებს ხოლმე
გარეთ. მაშინ დიდ ცეცხლს დაანთებენ და იმის გვერდით ორივენი ფარდაზე
წამოწვებიან. შეშის ტაკატკუსა და ქარის ბუბუნში თუ რაიმე ჯულბარსის
სმენას მიიპყრობს, მაშინ ყურებს დაცქვიტს და დაიყუფებს. პატრონი შუალა-
მისას გარეთ გაუძახებს, მართალია, თვითონაც ჯავა წინკარში, გახედავს, და-
უსტვენს, ჰა-ა, ჰო-ო-ს წამოიძახებს და შინ მარტო შებრუნდება. ჯურა ისევ
ზმუის, სხვებიც თუ აპყვნენ, იმათ ბლავილს რა გაუძლებს! ესენი შიმშილით
ინოცებიან და პატრონი კი თავს იქცევს თავის შექცევას, აბა რა არის, ამ-
დენი ხანი გარეთ რომ არ გამოდის?! ვის შეუძლია მათი მოსმენა?!

ზღარაც და ჯურაც პატრონს ძალიან უყვარს, თივას დაუყრის თუ არა.

მათ შორის ბაგაზე ჩამოჭდება. ჭულბარსს პატრონთან, ბოსელში, კბილი ნაკელის სუნი შეიტყუებს ხოლმე. პატრონი ორივე ხარს თავიდან ხოლომდე ქედზე ხელს გადაუსვამს, მერე გოდორში ჩარჩენილ ბზეს თავს მოუყურის, ამოიღებს, ხელისგულზე დაყრილს აქმევს და თან ელაპარაკება:

— ჭამეთ, ჭამეთ, ჩემო კარგებო! შენ კი, ჭურა, ნუ მუბუტყმს, ვიცი, მაგ თავს ტყუილად არ აქნევ, ალბათ რალაც გინდა, შე დასალუპავო! შენ გგონია, მე არაფერი მინდა! ნინდა, ჭურა, მინდა! ბევრი რამე მინდა.. მაგრამ თავს არ ვაქნევ, ერთი მითხარი, შენ რომ რალაც გინდა და მე მედიდგულეები, მე ვილას გაფუთამამდე? ვის გავებუტო, პა? ჩემს ვაეს? ის ხომ ქალაქში ცხოვრობს, ჩემო კარგო! ნენე იყო და ისიც საიქიოში გამითხოვდა... ახლა ჩვენთან, მთაში, ჩიტე რა არის, ისიც აღარ ამოფრინდება. ნენეზე მეუბნები, ხომ? ის, ჩემო ჭურა, მეტისმეტად აჩქარდა. ჩემ წინაშე ისიც ტყუის! არა, ჩემო ჭურა, აბა, დაფიქრდი: მთელი სიცოცხლე ერთად გავატარეთ და ხომ სჯობდა, რომ საიქიოშიც ერთად წავსულიყავით? არა, ასე არ ისურვა, მარტო წავიდა: შენაო, — მითხრა, — ჯერჯერობით იყავი, ცხოვრების ჭაპანი ბოლომდე ზიდეთ. მე ასე მწამს: თუკი ოდესმე წყვილად უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები, ყველაზე მეტად ეს სიბერის ჭამს არის საჭირო. მოხუცებულობაში მარტო ცხოვრება დაწყევლაა და სხვა არაფერი! პოდა, ვის შევჩივლო? ვთქვათ, შენ გამიდიდგულდი და მე სახრე დაგიშინე, გადავემტერეთ ერთმანეთს... ეგრე არ გამოვა... ვიცი, რატომაც მიბრაზდებით. გგონიათ, ჩემთვისა გზრდით... ასე რომ ფიქრობთ, მარტო მაგისტვისა ხართ საცემი! არა, ჭურა, არა! შენს თავს ჩემს ქელებზე არ დავაკვლევინებ. ორნი ვიხოცებით მაშინ! მე მოხუცი ვარ და არაფერი მიჭირს, მაგრამ შენ ჯერ რბილი ბეწვი გაქვს. იცი, როგორ დაიბადე? არ იცი, მე კი ვიცი...

პატრონი დედაკაცის საფლავზეც ხშირად დადის. საფლავის მატურთან ჩამოჭდება ხოლმე და გაოგნებული ზის.. ჭულბარსი ყბუილის გუნებაზე დგება და, თითქოს ამოქნარებსო, აწკმუტუნდება. მაშინ პატრონი მოუბრუნდება:

— შენც აქა ხარ, ჭულბარს? აქა ხარ... აი, აქ კი, ჭულბარს, — პატრონი მიუთითებს საფლავის ქვის გვერდით, — მე დავიმარხები... აქ, ჩვენ შორის ჩამოჯექი ხოლმე და გვიდარაჯე. აი, მაშინ დაგვყმუვლე კიდევ. ახლა კი არა... სანამ ოჯახში სულდგმული ფეთქავს, მანამ მკვდრებიც ცოცხლობენ, იხსენიებიან და იმიტომ.. ასე, ჩემო ჭულბარს, ასე... მე კი, რალაც ეშმაკად, ცას გამოვეკერე... შენ, ჭულბარს, არ იცი, რა არის ოჯახის გავერანება... ოჯახის გავერანება ის არის, მკვდრები რომ დაიხოცებიან, მკვდრები რომ იხოცებიან, არც ის იცი? მე კი ვიცი და იქნას! გველივით იმიტომაც შევრჩი ამ ქვეყანას. მკვდრები კი ასე იხოცებიან, ჩემო ჭულბარსიყო: როცა ოჯახში აღარავინ დარჩება, რომ მათი შესანდობარი თქვას, ან მოიხსენიოს. ეგ მიმძიმს, ეგ!... მოვევდები თუ არა, მაშინვე დავიწყებას მივცემი. ეპ, ჭულბარს, ძნელია, ძნელი, სხვას კი არას გეუბნები!...

კვლავ ზმუიან.. თაუჩეც ბლავის, ხბოც ბლავის... ასე ადვილად არ დაჩუმ-

1 იქნა — დღესასწაული მოსავლის აღების შემდეგ, შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს.

2 ჭულბარსიყო — საალერსო ფორმა.

დებიან. რაღაც რახარუხი ისმის. საბელი თუ აიწყვიტა რომელიმემ, ამ ცხვრების ბლავილმა ხომ ყურთასმენა წაიღო!

კახბავარანის მალლობიდან ფარებას მაინც გაეხმაუროს... მაგრამ შეძლებს კია იქამდე მისვლას და მობრუნებას?! თოვლის ჭამით მთლად ღონე-მიხდილია. გადასახედამდე კი მიაღწევს, — ქარბუქისაგან სუდანთის ბორცვი დაიცავს, მაგრამ იმას იქით, ხოდაბუნის ქარი სიბ ქვებსაცა ფხვნის..

არა, უთუოდ უნდა წავიდეს, თორემ დილამდე მთლად გაიყინება. რა იცის ფარებამ, რა მდგომარეობაშია ჭულბარსი! ჰოდა, ამ საშინელ ამინდში წამოსვლა დაეზარება! ფარება მის ხმას ათას ხმაში გამოარჩევს. ერთხელ ჭულბარსი ოროვანდოვანში დათვს წაეკიდა და საშველად მხოლოდ ფარებას უხმობ. აკი იმანაც მაშინვე იცნო ჭულბარსის ხმა! რა ძლიერი იყო ის ბაჯაჯუნა დათვი! რა მორი ხეთქა მაშინ ფარებამ! როგორ მარჯვედ გადაჩეხეს კლდიდან! ფარება რომ არ ყოფილიყო, მარტო მორის დარტყმა რას დააკლებდა!

ქარი გამუდმებით ჭრიალებს, პატრონი კი არსად ჩანს. ასე არასოდეს მოქცეულა. როდის ყოფილა, რომ საქონელი ამდენი დღით ასე უპატრონოდ მიეტოვებინოს?! არასოდეს! პატრონმა ადრე ადგომა იცის. ნიჩბით ეზოდან თოვლს გახვეტს. ჭულბარსი გვერდით დაუდგება ხოლმე. ისიც გამოელაპარაკება: — ჭულბარს, ხომ კარგადა ხარ? ხომ არ გაიყინე? მე წუხელ გავცივდი. მოხუცისა საბანიც კი აღარა თბება. კარგად გიღარაჯნია ამ ღამითაც. ახლი კი წადი და იძინე. წაიძინე-მეთქი, ჭულბარს! აქ მოსარიდებელი არაფერია!

პატრონის მიხვედრილობაზე ჭულბარსი ცოტას წაიღრენს ხოლმე. შემდეგ წინკარში შეხტება და ერთხანს იქ გაირინდება.

ახლა კი!

ეს რამდენიმე დღეა, თვალი არ მოუხუჭავს, თოვლის ჭამამ და სიცივემ ხომ მთლად გამოაცალა ძალ-ღონე! პატრონი კი მაინც არ ჩანს... ჭულბარსისაგან საყვედურის ღირსიც კი არის. მაგრამ გული განაწყენების ნებას არ აძლევს.

წინკარიდან გამოლასლასდა. ფეხები აღარ ემორჩილება. ბორცვის გაყოლებით ხოდაბუნში ჩავა. უსასრულო ხომ არ არის ის ხოდაბუნი! იქნებ ძუარის ტყემდე როგორმე ჩააღწიოს... იქ ქარიც ნაკლებად იქნება... როგორმე მილასლასდება კახბავარანის მალლობამდე, იქიდან კი ფარებას უთუოდ ვააგონებს თავის ხმას.

მეტისმეტად დიდი თოვლია... ხტუნვით არაფერი გამოვა, ცოცვით უფრო შეიძლება გასვლა. მაგრამ პირი და ყურები თოვლით რომ ევსება და თვალის უბეებიც ეყინება, როგორ უნდა იაროს?! მეტისმეტად მოთოვა, მეტისმეტად! ამ ადგილებში და ამისთანა ამინდში ხშირად გადაჭყრია მგლებს, მაგრამ უკან არ დაუხვევია... გულადად დახვედრია... ახლა კი სულს ძლივს იბრუნებს... კარგი იქნებოდა შესვენება, მაგრამ სად არის შესასვენებელი ადგილი?! მთლად მოეყინა გვერდები...

ქარბუქმა ხოდაბუნში მოუსწრო. თოვლის კორიანტელი ავარდა და ცა სრულიად გაუჩინარდა... ხარბმა ქარმა თითქოს მთლად შთანთქა ჰაერი და ჭულბარსს სუნთქვა შეეკრა.

...ესეც ძუარის ქალა. ჭულბარსმა ცოტათი სული მოითქვა, მაგრამ თვა-

ლით ვეღარაფერი დაინახა, ყურებიც თოვლით ავესო და აღარაფერი ესმის. ერთხელაც ასე დაყრუვდა მიდამო ჭულბარსისათვის. ეს იმის შემდეგ მოხდა, საძოვარში ქორისას მკვლელს რომ უკბინა. თავში თუ ჩაარტყეს რამე და შეშის საჭრელ ადგილზე იმიტომ გაიშლართა. ოჰ, როგორ უკვნესოდა! მაშინ ჭულბარსი! პატრონი კი თავზე ხელს უსვამდა და ანუგეშებდა!

— რა მოგივიდა, ჭულბარს? ავადა ხარ? ავად გახდი, ჭულბარს, ავად? ნუ გეშინია, მორჩები. სიკვდილი ჯერ შორს არის შენგან, თორემ სადმე წახვიდოდი... კარგი ძალლი თავისი კერიდან მოშორებით კვდებაო, იტყვიან... არ იცოდი? მე კი ვიცი... ვიცი, ჭულბარს: კარგი კაცი თავის ოჯახში კვდება, კარგი ძალლს კი თავისი გვამი შორს მიაქვს. ჩვენც ეგრე მოვიქცეთ. როგორ გგონია, ვერ შევძლებთ სიტყვის ასრულებას? შევძლებთ, ჭულბარს! ოღონდ... შენ არ მიმტყუნო!

კახბავარანის მალლობიდან ქვემოთკენ მიაყურა. ქარი სტვენითა და სინინით ევლებოდა ხეებს. ქვევით ყველაფერი გადათეთრებულიყო. არ ყფდა ჭულბარსი. მხოლოდ რაღაც ახრჩობდა, სქლად უტენიდა ნესტოებს და შიგნით უძვრებოდა... ხორხიდანაც რაღაცა აწვებოდა და იმ მხუთავს გარეთ აგდებდა...

...და ჭულბარსმა უკანასკნელად დაიყმუვლა, მკერდში ჩარჩენილ სითბოს ცლიდა... ქვემოთკენ მიაყურა. შემდეგ ისევ დაიყმუვლა...

...გაიგონა ფარეხამ... იცნო მისი ხმა და ყმუილით გაეხმაურა... ჭულბარსმა გაიხარა. ახლა მოხდეს, რაც მოსახდენო... ხვალ ფარეხა უთუოდ მოეშველება, ჭულბარსს კი აქ ვეღარ მოუსწრებს და აყმუვლდება... იყმუვლებს მანამ, სანამ ხალხს არ შეყრის...

შარიკას ყმუილიც მოესმა. იმ კობწიამაც იცნო... სხვა ძალლებიც ყმუოღნენ... ჭულბარსს უხაროდა...

ჭინჭრის ხევიც აქვეა... ვილაც მონადირეებმა აქ ესროლეს ქორისას: კურდღელს ართმევდნენ და არ დაიანება. მაშინ ჭულბარსიც იქ იყო, მაგრამ არ შეეძლო: ბატებისაც კი ეშინოდა! რამდენიმე წლის შემდეგ კი ერთ-ერთი მათგანი იცნო. მას წყლის პირზე ცხენი გაეშვა. ცხენი რტოებს ანადგურებდა. ჭულბარსი ყელსაც გამოლადრავდა, მაგრამ ამ დროს ცხენის პატრონი, ის მონადირე გამოჩნდა. ჭულბარსმა მთლად ვერ ამოიყარა ჯავრი, მხოლოდ ერთხელ უკბინა, თანაც, აბა, რა კბილები ჰქონდა მაშინ!..

ახლა წასვლა აღარ სჭირდება... ერთხელა გაიხედა სახლისკენ, მაგრამ იმ ქარბუქში რას დაინახავდა, თან ბორცვებიც ეფარებოდა...

...გაყინულ სხეულში ჩარჩენილმა სითბომ უკანასკნელ ყმუილად და ცრემლად გადმოხეთქა. ჭულბარსი კლდის ნაპრალს მიენდო... გაყინული, უსულო ფერდებით სწრაფად დაქანდა თოვლზე. თოვლის კორიანტელი ავარდა და მისი კვალი გადაასწორა, გააქრო...

პატრონს თქმა რომ შესძლებოდა, უთუოდ ეტყოდა:

— ჭულბარს, ჩემო ჭულბარს, ხომ შევასრულეთ ჩვენი სიტყვა!



ძველებრივი დანი

თარგმანი გვანცა კოკლაბაძე

ცნობილია, პინდარემ იგივე როლი შეასრულა ლირიკულ პოეზიაში, რაც პომეროსმა ეპოსში; მის შემოქმედებაში ერთგვარად შეჯამდა და განზოგადდა წინამორბედ ბერძენ ლირიკოსთა მიღწევები პოეტური აზროვნებისა და მეტყველების სფეროში.

პინდარეს დაბადების თარიღს 522-517 წლებს შორის ვარაუდობენ. დაიბადა იგი ბეოტიაში, თებეს მახლობლად. პოეტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან, თებე იყო მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და, როგორც ფიქრობენ, იქ უნდა გარდაცვლილიყო 60 წლისა. უყვარდა პინდარეს თებე, მაგრამ უფრო მეტად უყვარდა სიმართლე. საერთო ბერძნული ინტერესების დაგვამ აიძულა პოეტი გადადგომოდა მშობლიურ პოლისს, რადგანაც ამ უკანასკნელმა ბერძენ-სპარსელთა ომში სპარსელების მხარე დაიჭირა.

პოეტს პოლიტიკური საკითხები თითქმის არ აინტერესებდა, ამიტომ უიშვიათესადაც ეხებოდა მათ თავის ნაწარმოებებში. პინდარე ყურადღებას არ აქცევდა სახელმწიფო წყობილების ფორმას, მისთვის მთავარი იყო წესრიგი და სამართლიანობა. იგი მთელ საბერძნეთში მოგზაურობდა და ყველგან საყვარელი და სასურველი სტუმარი იყო.

პინდარეს ქორალური ლირიკიდან ჩვენამდე მხოლოდ ეპინიკიებმა მოაღწიეს — სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულის პატივსაცემად დაწერილმა სახოტბო სიმღერებმა. ეპინიკიების უდიდეს ნაწილს პოეტურად დამუშავებული მითი შეადგენს. გადმოცემით, მითოსური სიუჟეტებით ლექსების შემკობა პინდარეს ცნობილმა პოეტმა ქალმა, კორინამ, ურჩია. შემდეგში, როცა მითოსმა მეტისმეტად დაამძიმა პინდარეს პოეზია, იმავე კორინას უთქვამს: „თესვა საჭიროა ხელით და არა ტომრით“. მიუხედავად ამისა, სწორედ ბერძნული მითოსის მხატვრულმა დამუშავებამ მისცა პინდარეს სახოტბო პიმნებს აზრობრივი სიღრმე და განსაკუთრებული მნიშვნელობა. პოეტი ახლებურად იაზრებდა ბერძენი მსმენელისათვის კარგად ცნობილ მითებს და მათ თავისი მსოფლმხედველობის გადმოსაცემად იყენებდა. ღრმად რელიგიურმა პოეტმა სათნოება და სიმართლე დასახა უმაღლეს ცნებებად და ღმერთების ყოფის ამსახველ მითებს კრიტიკული თვალსაზრისით მიუდგა, დასახა იხინი სათნოებისა და სიმართლის სრულყოფილ ხატებად, მთლიანად ჩამოაცილა რა მიწიერი თვისებები, რაც პომეროსისა და ქესიოდეს ღმერთებს მეტისმეტად აახლოვებდა ადამიანებთან. როგორც მოაზროვნე, ის ცდილობდა ღმერთები კაცთათვის ზნეობრივი სრულყოფის ნიმუშებად დაესახა. პინდარეს სჯეროდა საიქიო ცხოვრებისა და ფიქრობდა, რომ ცოდვილებს იქ მკაცრი სასამართლო და სასჯელი ელით, მაშინ როცა მართალნი უკვდავთა შორის დაიმკვიდრებენ სამარადისოდ. იგი ზნეობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ეძებს რელიგიაში, რაც მის ნააზრევს აგრერიგად აახლოვებს ქრისტიანთა წარმოდგენებთან ღმერთზე. პინდარე, თავის, როგორც პოეტის, მოვალეობას მსმენელთათვის

ღუთაებრივი კანონების განმარტებაში ხედავდა. მისი ზნეობრივ-მოქალაქეობრივი მოტივებით მდიდარი პოეტური მემკვიდრეობით აღტაცებული პორაფიუსი ამბობდა: მიბაძო პინდარეს, ეს ნიშნავს იფრინო დედამისის ნაწილის ფრთებით. მართლაც, საოცარია პოეტის უნარი — რომელიმე კერძო პირისადმი მიძღვნილ ჰიმნს საყოველთაო ხასიათი მისცეს და მხატვრული სახეებით ჩამოაყალიბოს მარადიული იდეალები.

პინდარეს ეპინიკების კომპოზიციურ შედგენილობაზე დღემდე კამათობენ მეცნიერები. ყველაზე მეტად მიღებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში უშუალოდ გამარჯვებულია შექმნილი, მეორე ნაწილი გმირის წინაპრებთან, გვართან ან ქალაქთან დაკავშირებული მითის გადმოცემას წარმოადგენს, შემკულს ლამაზი და ხატოვანი პოეტური სახეებით, მესამე ნაწილში კი პოეტი კვლავ გამარჯვებულს უბრუნდება. ასე რომ, ოდის ბოლო ნაწილი შეესაბამება პირველს და ლოგიკურად კრავს ნაწარმოებს. რა თქმა უნდა, ამ ნაწილების გამიჯვნა მაინც პირობითია, რამეთუ სამივეში გვხვდება ზნეობრივ-მორალური შეგონებანი, პოეტის საკუთარი შთაბეჭდილებანი, რიტორიკული კითხვები, რაც ღირიზმს ანიჭებს სახოტბო ჰიმნს და უკეთ წარმოაჩენს შემოქმედის პიროვნებას. ოდის თითოეული ნაწილი აგებულია ტრიადებისაგან, რომელიც გულისხმობს სტროფის, ანტისტროფისა და ეპოდის ერთობლიობას.

ჩვენამდე მოღწეული 45 ოდიდან ყველა განსაკუთრებული სალექსო საზომითაა დაწერილი. სტროფები და ეპოდები მოკლე და გრძელი — არათანაბარი — კარედების მონაცვლეობითაა შედგენილი. ამგვარი მონაცვლეობა ხელს უწყობდა სამუსიკო მელოდის შესაბამისობას ოდასთან. დადგენილია, რომ პინდარეს სამწერლო ენა ეპიკურია, შეზავებული ეოლიური და დორიული დიალექტებიდან აღებული ლექსიკური მასალით.

გმირის გამარჯვებას მართო მისი ანლობლები, და გვარი კი არა, მთელი ქალაქი დღესასწაულობდა. ზეიმი ეწყობოდა ან გამარჯვების ადვილას, ან გამარჯვებულის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისას და მას რელიგიური ხასიათი ჰქონდა, რადგანაც იწყებოდა საზეიმო სვლით ტაძრისაკენ. იქ სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა და ამის შემდეგ იმართებოდა ნადიმი. სახოტბო ჰიმნს, რომელიც ზეიმის ყველაზე მიმზიდველი და დასამახსოვრებელი შემადგენელი ნაწილი იყო, ასრულებდნენ ან ტაძარში ან გამარჯვებულის სახლში, ნადიმზე.

ქვემოთ წარმოდგენილი მეოთხე პითიური ოდა პინდარეს კვირენეს მეფის, არკესილაოსის შესაქებად დაუწერია, როცა მას გაუმარჯვნია ეტლებით სრბოლაში. მართალია, პინდარე ოდებს შეკვეთით წერდა და გასამრჯელოსაც იღებდა, მაგრამ არასოდეს გადადგომია სიმართლეს, ამ ოდით მან არკესილაოსი უკვდავყო შეჯიბრებაში გამოჩენილი სიმამაცისა და სიმარჯვისათვის, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი დაეგმო კვირენეს ტირანი, როცა მან უსამართლოდ გააძევა ქალაქიდან დემოფილე.

პოეტი მალევე ივიწყებს არკესილაოსს და უკვე მეორე ტრიადაში იხსენებს მის სახელოვან წინაპარს, რათა მიეცეს შესაძლებლობა მსმენელებისათვის არგონავტების მითის მოთხრობისა. ხელშესახებად გამოკვეთილი, ნათელი პოეტური სახეებით გადმოგვცემს პინდარე მითოსურ მოთხრობას არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ. მკითხველს ერთიანად იბყრობს და იტაცებს ზეაწეული და საზეიმო განწყობილება ჰიმნისა, გარეგნულად მშვიდი და დაოკებული მდინარეება შეფარული ტემპერამენტით დაშუბრული პოეტური მეტყველებისა.

მთარგმნელი

არკანსილარს კვირინულისაჲში

სტროფი



მუზავ, ცხენკეთილი კვირენის მეფეს —
 შენ უნდა წარუდგე დღეს არკანსილარს, საზეიმო სვლის ბედნიერ მონაწილეს
 და მასთან ერთად ლეტოს ძე ადიდ.
 მისი შთაგონებით ზევსის გამოგზავნილ ოქროს არწივებზე ქურუმმა იმისნა,
 რომ დატოვებდა სამკვიდროს ბატოსი,
 ახალმოშენე უხვი ლიბიისა,
 და დედამიწის ქათქათა თეთრ მკერდზე გააშენებდა ქალაქს სახელგანთქმულს —
 თავისი საბრძოლო ეტლებით.

ანტისტროფი

მუზავ, მეჩვიდმეტე თაობას ამცნე
 სიტყვაც, თერაში მედეას ნამისნევი, აიეტის მრისხანე ასულის მიერ
 უკვდავი ბაგეებით წარმოთქმული.
 კოლხთა დედოფალმა ამგვარად უთხრა შუბოსან იასონის ღვთისდარ
 მეზღვაურებს:
 ღმერთთა და გმირთა მამაცო ვაჟებო,
 ამ ზღვის ტალღებით განბანილ მიწაზე
 ეპაფეს ასული დანერგავს ძირებს, მოკვდავთა საყვარელ ქალაქებისას,
 ზევსი ამონის საფუძველზე.

ეპოდი

მოკლევრთებიან დელფინებს ცხენებით, ნიჩბებს კი აღვირებით შეცვლიან ისინი
 და მართვას ისწავლიან ქარიშხალივით სწრაფბორბლებიანი ეტლებისას,
 ამიერიდან თერა შეიქმნება მეტროპოლია დიდი ქალაქების.
 ასე ახდება წინასწარმეტყველება, რომელიც ტრიტონიდს ღმერთმა შთააგონა.
 ადამიანის სახემილებული ღმერთი შეეგება სტუმართმოყვრულად
 ხომალდის ჭვინტიდან ჩამოსულ ვეფემეს,
 ნიშნად კეთილისა ზევსმაც დაიქუხა.

სტროფი

დაღლილ-დაქანცულთ ღმერთი მოგვევლინა
 სპილენძისუბებიანი ღუზის ჩაშვებისას, ლაგამი რომ იყო სწრაფი არგოსი.
 სწორედ მანამდე თორმეტი დღე-ღამე
 ჩემი შეგონებით საზღვაო ხომალდი, უდაბურ მიწაზე ბეჭებით ვატარეთ.

მისი გარეგნობით მოხიბლულები
 ნათელსახიანმა ისე მიგვიღო,
 როგორც მასპინძელმა სტუმართმოყვარემ, უცხოელ სტუმრებს გულთბილ
 საუბრისას
 პირველად სადილს რომ უხსენებს.



ანტისტრუში

შინ დაბრუნების ნატვრით აღსავსეთა —
 იქ სტუმრად დარჩენა ვეღარ შევიძელით. ღმერთმა გვაუწყა, რომ იყო ევრიპიდე
 და ძედ ერგებოდა მიწისმრყეველსა.
 გზისკენ მოჩქარენი აღარ დაგვაყოვნა, ხელით მოეჭიდა მოზრდილ ბელტს
 მიწისას
 და ჩვენდა მისი მოცემა ისწრაფა,
 არც გმირმა უარყო ღმერთის ნაჩუქარი.
 საღამოსი ვამს ბელტი ხომალდიდან ტალღებმა წალეკეს და ჩაიძირა —
 ტენიან ზღვაში ჩავარდნილი.

ეპოდი

მოსამსახურეებს, რომელნიც ბატონებს ამგვარ საქმეთაგან ათავისუფლებენ,
 ღმერთის ნაჩუქარი მიწის ბელტისთვის ებრძანათ ჩემგან თვალყურის დევნება,
 მათ მსწრაფლ დაივიწყეს მოვალეობა და ვრცელი ლიბიის მიწას უდროოდ
 თესლი გაუხრწნელი უხვად დაეღვარა. წმინდა ტენარეში თუ ბელტსა
 ღვთაებრივს
 ჰადესის მიწის ბაგეებს მისცემდა, ცხენთა მმართველი ღმერთის ძე ევფემე,
 მდინარე კეფისოს მაღალ ნაპირებთან
 ტიტოსის ასულმა ევროპამ რომ შობა.

სტროფი

მისგან ნაშობი მეოთხე თაობა,
 სხვა დანაელებთან ერთად, სამფლობელოდ ამ ფართოდ გადაშლილ ხმელეთს
 მიიღებდა.
 მასთან მიკენიდან, არგოსის უბიდან
 და ლაკედემონიდან ხალხი მივიდოდა. იგი შეერწყმოდა უცხოელ ქალების
 გამორჩეულ გვარს ტრფობით აგზნებული,
 შთამომავლობა შობდა შავ ღრუბლებში
 ვახვეულ ბატონს ვრცელი ველებისას, ვისაც შემდეგ ოქროვან სასახლეში
 ფები ღმერთთა ნებას აუწყებს.

ანტისტროფი

ჩამოიყვანოს ახალმოშენენი
 ნილოსის კრონიდის უმდიდრეს ტაძარში. აი, ეს უთხრა მედვამ მეზღვაურებს.
 ღმერთთა სადარმა ბრწყინვალე გმირებმა
 შიშით მოისმინეს სიბრძნე კოლხი ქალის. შენ კი პოლიმნესტეს ნეტარო შვილო,
 მისმა სიტყვებმა მყისვე მიგანიშნა
 დელფოს ქურუმი ქალის ნამისნევზე;
 მან სამჯერ ზედიზედ თქვა „გაუმარჯოს“ და გამოგაცხადა ბედისგან დანიშნულ
 მეფედ დიდებული კვირენის.

ეპოდი

როდესაც ღმერთების სურვილი შეიტყვე, შესაწყალებელი ხმითა ქვითინებდი.
 დღეს კი შენი მოდგმის მერვე შტო ჰყვავის, მსგავსად თვალწარმტაცი
 გაზაფხულისა,
 არკესილაოსი, ვის აპოლონმა და მასთან პითუამ ცხენებით შეჯიბრში
 გამარჯვება და სახელი მიანიჭეს. არკესილაოსის შექება-ხოტბასთან
 მუზებს ეთხოვ ვერძის ამბავიც გადმოგვეცეს, რადგან მინიელთ საზღვაო
 ლაშქრობამ
 სათავე დაუდო დიდებას, რომელიც
 ამ გვარს სახელოვანს ღმერთებმა არგუნეს.

სტროფი

რა ვახდა მიზეზი ამ ლაშქრობისა?
 რამ შეკრა გმირები ფოლადის ლურსმნებით? ღმერთების ნებით პელიასს
 აღსასრული
 ეოლიდების გვარიდან ელოდა.
 ტყეებით დაფარულ გეას შუაგულში ცივად ნათქვამმა წინასწარმეტყველებამ
 თავზარი დასცა ფხიზელ სულს მეფისას.
 მას თვალი უნდა სჭეროდა ყველაზე,
 ვინც იოლკოსის მზიან მხარეში მაღალი მთების კლდოვანი სამყოფიდან
 ცალწალიანი მოვიდოდა.

ანტისტროფი

როგორც უცხოელი ან როგორც მკვიდრი.
 დათქმული დროისთვის ქალაქში გამოჩნდა უცხო ვარევნობის ჭაბუკი,
 რომელსაც
 ასე უხდებოდა წყვილი შუბი და
 მაგნესიელთა ორმაგი ტანსაცმელი; მხრებზე მორგებული ტყავი პანთერასი
 ერუოლის მომგვრელი წვიმისგან იცავდა,
 მზინვარე თმების ქერა კულულები

შეჭრილი არ ჰქონდა, ზურგს უფარავდა. მამაცი სული უმაღლეს საცნაურ და ხალხს მოედანზე წარუდგა.

ეპოდი



ჭაბუკი ვერ იცნეს, მისმა გამოჩენამ მოკრძალებული დუმილი ჩამოაგდო, ბოლოს ვიღაცამ შეკრებილთ მიმართა: ეს არ იქნება ალბათ აპოლონი, არც აფროდიტეს მეუღლე, რომელიც ეტლს სპილენძისას მარჯვედ დააქროლებს;

არც იფიქრებს შვილი უნდა იყოს; ამბობენ, მშვენიერ ნაქსოსზე დახოცეს ოტო და მასთან გმირი ეფიალტეს. ტიტოოსი კი განგმირა ისარმა ამოზიდულმა ქალღმერთის კაპარჭიდან, რათა ყოველმა ვის ეტრფის, იცოდეს.

სტროფი

ასე საუბრობდნენ მოქალაქენი, ამ დროს მოაგელვეს ამტანმა ჯორებმა გაკრიალებული ეტლი პელიასის. მეფე მყის აღელდა, როცა დარწმუნდა ცალწადიანი სტუმარი მოსულიყო. შიში დაფარა და უცხოს შეესიტყვა: „რომელ მხარეს თვლი, ჭაბუკო, სამშობლოდ, გეას ასულთაგან რომელი ქალის თეთრად მოელვარე მუცელმა გშობა. გვიამბე, ოღონდ მოდგმას ნუ შეარცხვენ დამამცირებელი ტყუილით“.

ანტისტროფი

მშვიდად უპასუხა მოყმემ პელიასს: „გამოქვაბულიდან მოვდივარ, რომელშიც გამზარდეს კენტავრის უბიწო ასულთა, თავს მეველებოდნენ ფილირა, ქარიკლე, სიბრძნეს მაზიარა მოძღვარმა ქირონმა, ოცი წლის შევსრულდი, არც სიტყვით, არც საქმით არ მიკადრებია, რაც არ შემფერის. ახლა მწადია უკან დაბრუნება ძველი სამეფოსი, რომელიც ზევსმა ხალხთა წინამძღოლ ეოლოსს უბოძა და დღეს კი ძალით სხვას უპყრია.“

ეპოდი

გამიგონია, ჭაღარა პელიასმა მამაჩემს წაართვა სამეფო, ღმერთისგან სამემკვიდრეოდ წილად ნარგუნები. გათავხედებული მეუფის რისხვით დაშინებულმა ჩემმა მშობლებმა დალუპვა ჩემი მყისვე მოიგონეს,

როგორც კი პირველად ნათელი ვინილუ. საზარი გლოვა გამართეს სასახლეში,
 გულისშემძვრელად ტიროდნენ ქალები მე კი საიდუმლოდ გზად გამწყენეს.
 ღამით ძოწეულის ჩვრებში გახვეული
 და აღსაზრდელად ზევსის ძეს მიშაბარეს.

ქრონოსი
 ბიზანტიისა

სტროფი

თქვენ უკვე იცით ყველაზე მთავარი,
 მოქალაქენო, თეთრტაიჭოსანი ჩემი წინაპრების სასახლე მიმასწავლეთ.
 სხვათა მიწაზე სტუმრად არ მოვსულვარ;
 ესონის ვაჟი ვარ, მკვიდრი იოლკოსის, იასონს მეძახდა უკვდავი ქირონი".
 ამგვარად თქვა და როცა წინ წამოდგა,
 მონუცმა მამამ მაშინვე შეიცნო,
 ღვართქაფად წასკდა თვალთაგან ცრემლები, თუმცა შემყურე ღვთისდარი
 ვაჟკაცის
 გულში ფარულად ზეიმობდა.

ანტისტროფი

მყისვე მოაშურა ორივე ბიძამ
 მისი დაბრუნება როგორც კი შეიტყვეს. მახლობლად ფერეტმა წყარო მიატოვა
 პიპერეიდის, შორი შესენიდან
 ამითაონმაც წამოსვლა იჩქარა. ბიძაშვილს საალერსოდ ესტუმრნენ აღმეტე
 და მელამპოსი. ლხინზე იასონმა
 თაფლივით ტკბილი სიტყვები წარმოთქვა,
 შეყრის სიხარული დიდად გაჭიმა და ხუთი დღე-ღამის მანძილზე ჰკრეფდა
 განცხრობის მშვენიერ ყვავილებს.

ეპოდი

მეექვსე დილით კი ნადიმზე შეკრებილთ ხელახლა მოუყვა თავისი ამბავი,
 გაანდო გულში ნაფიქრ-განზრახულიც, დაუდასტურეს. მაშინ იასონი
 წამოიმართა სწრაფად სავარძლიდან და მათთან ერთად სასახლეს მიადგა.
 როგორც კი უცხოთა ხმები შემოესმა, ღამაზკულულება ტიროს ნაშიერი
 სტუმრებს შეეგება. ესონის ვაჟმა მშვიდად წამოიწყო
 სიბრძნით განსაზღვრული ტკბილი საუბარი:
 „ძევ პოსეიდონის, კლდეთა მეუფისა,

სტროფი

მოტყუებითა და გმობით სიმართლისა
 სულსწრაფი მოკვდავნი ხშირად მიილტვიან სიმდიდრე-პატივის ხელში
 ჩასაგდებად,

თუმცა ბოლოს კი მწარედ ფხიზლდებიან.
ჩვენ არ შეგვფერის უგუნურთ მიბაძვა. სჯობს რისხვა დაეცხროთ მომავლის
სახელით,
კრეთევსიცა და გმირი სალმონევისც
ერთმა ფურმა შობა. მზის მადლი გვატკობს
მისგან წარმოქმნილ მესამე თაობას. თვით მოირებიც განზე გადგებიან,
როცა მოკეთენი შულლობენ.



ანტიისტროფი

წინაპართ მაღალი პატივის გამო
სპილენძის შუბებით, ანდა მახვილებით შეხლა-შებრძოლება ამაღაც არ
გვმართებს.
შენგან არ მოვითხოვ არც ცხვრების ფარებს
და არცა ოქროსფერ ჯოგებს საქონლისას. არც ის ყანები მსურს ძალით რომ
წაგვართვი,
ახლა შენ ფლობ და ქონებას გიმრავლებს.
სულს არ მიშფოთებს შენი გამდიდრება,
მონარქის სკიპტრა და ტახტი დამითმე, რომელზეც კრეთევსის ძე მორჭმით
იჯდა
და ხალხს სამართალს უწესებდა.

ეპოდი

ძალით წართმეული ნებით დამიბრუნე, რათა ბოროტება აღარ წარმოიშვას".
მშვიდად შეესიტყვა მეფე იასონს: „დე იყოს ასე, თუმც ერთი პირობით,
შებორკილი ვარ მტანჯველი სიბერით, შენი ყვავილი კი მხოლოდ იშლება,
ამად გევალება კვლავ შემორიგება რისხვით ბორგნეულ ქვესკნელის ღვთაებათა;
საონად მისი ტანჯული სულისა, ფრიქსე მოგვიწოდებს კოლხთა ქვეყნიდან
ისევ დაგვიბრუნდეს საწმისი ოქროსი,
იმ ხშირბეწვიანი ვერძისა, რომლითაც

სტროფი

დედინაცვლის ისრებს გადაურჩა.
მე ეს ყველაფერი სიზმარმა მაცნობა. ვკითხე კასტალიის სამისნოს, რა მექნა,
მისანმა მიბრძანა — სასწრაფოდ ამეგო,
სამგზავროდ გამეწყო საზღვაო ხომალდი. თუ აღასრულებ ამ მძიმე დავალებას,
ვფიცავ, დაგიტმო ტახტიც და სამეფოც.
თვით ზევსი იყოს თავდები ფიცისა,
უზენაესი ჩვენი წინაპარი. თათბირი მეფისა ყველას მოეწონა
და ამ პირობით დაიშალნენ.

ანტისტროფი

მყის იასონმა დაგზავნა მაცნენი,
 სალაშქროდ იხმობდა ღვთაებრივ მეომრებს. ბრძოლით მოუღლელნი მოვიდნენ
 ვაჟები
 აღკმენესა და წარბმშვილდა ლედასი.
 პოსეიდონის შვილებმაც მიაშურეს დიდად მოყვარულთა კაი ყმის სახელის
 და თქვენც დაგიდგათ ჟამი დიდებისა,
 პერიკლიმენე და გმირო ევფემე.
 სახელგანთქმული მამა სიმღერათა, აპოლონის ძე ორფევსიც გამოჩნდა,
 უბადლო დამკვრელი ფორმინგზე.



ეპოდი

უკვდავმა პერმესმაც ძენი საყვარელნი, ექიონი და ერიტე, წარმოგზავნა,
 ოქროსკვერთხოსანმა მძიმე ლაშქრობას არ მოარიდა მამაცი მოყმენი,
 პანგეონის მთის ძირში რომ ცხოვრობდნენ. ხალხისით მოფრინდა ქართა მეუფე
 სწრაფი ბორეასიც, რათა აღეჭურვა საომრად პირმშონი ძეტე, კალაისი
 ვაჟთა ბორეასის შიშის მომგვრელი შავი ფრთებით ზეცა დააღამეს.
 ხომალდი არგოთი მგზავრობის სურვილი
 პერამ შთააგონა ღვთაებრივ ვაჟკაცებს.

სტროფი

არავის სურდა ღედასთან დარჩენა,
 დატკობა მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრებით. უმშვენიერეს სამკაულს
 სიქველისას
 სიცოცხლის ფასად ვაჟები ელტვოდნენ.
 რჩეულ მეზღვაურებს, ჩასულთ იოლკოსში, საღმით მიეგება გმირი იასონი
 და ხოტბა შეასხა ღვთისდარ ვაჟკაცებს.
 ღმერთების ნება მამაც მოგზაურებს
 ფრინველებსა და წმინდა ნაწილებზე მისნობის შედეგად მოფსოსმა აცნობა
 და ლაშქარს წარუძღვა არგოსკენ.

ანტისტროფი

ღუზები გემის ჰვინტზე ჩამოკიდეს.
 მაშინ წინამძღოლმა ხელში ოქროს თასით პირველად ურანიდთა მამას
 მოუწოდა,
 მეხიმტყორცნელ ზევსს და ძალებს ტალღათა,
 სწრაფი ქარებისას, ღამეებს, ზღვათა გზებს და შინდაბრუნების სანატრელ
 მოირას.
 პასუხად ზევსმა მალლიდან დაიქუხა,

ელვის სხივებით ზეცა გაანათა
 მომასწავებლად დიდი გამარჯვების. კეთილგანწყობა ღვთაების ირწმუნეს
 ნიშნის მომლოდინე გმირებმა.

ეპოლი



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ტკბილი იმედით ფრთაშესხმულ მოგზაურებს მისანმა ურჩია დროს ნუ
 დაკარგავდნენ;

გულმიცემულთა ღმერთის თანადგომით შეთანხმებულად მოუსვეს ნიჩბები
 და შალე არგომ ნაპირი დატოვა. ნოტოსის ქროლვამ ცურვა დააჩქარა
 და არგონავტებმა გემი შეაფურეს უცხოთა მოძულე ზღვის შესართავში,
 სად პოსეიდონის წმინდა ჭალაკი, თრაკიულ ხართა წითელი ნახირი
 და ქვის საკურთხეველის ღრმული ინახულეს.
 ხთხოვეს შემწეობა ხომალდთა მეუფეს,

სტროფი

მოძრავ კლდეებს რომ მშვიდობით გასცლოდნენ.
 ცოცხალი კლდეები ერთმანეთისაკენ ისე საოცარი ძალით ისწრაფოდნენ
 ვით ყრუდმოგუგუნე ქართა გუნდები.
 ნახევრად ღმერთების ამ მოგზაურობამ სამარადუამოდ ისინი გააშეშა.
 ფაზისში შესულნი მყისვე შეებნენ
 შავგვრემან კოლხებს მეფის თანდასწრებით.
 ამ დროს დედოფალმა სწრაფთა ისართა ოთხმარგილიან ბორბალზე გააკრა
 ჭრელი ბზეწვია ოლიმპოდან.

ანტისტროფი

გამოუგზავნა პირველად მოკვდავებს
 გრძნეული ფრინველი კვიპროსზე შობილმა. ესონის მამაც ვაჟს ლოცვამ
 შეასწავლა,
 რათა მედეას კონებაადრეულს
 მწვავედ განეცადა შოლტი პეითოსი. ტრფობით დაჭრილმა სანატრულ ელადისა
 მეფის ასულმა იასონს გაანდო
 შესრულების გზა მამის დავალების.
 დასაამებლად ძლიერთა ტკივილთა, წამალთან ერთად ზეთი ზეთისხილის
 მისცა და ქორწილზეც შეთანხმდნენ.

ეპოლი

შუაგულ მინდორში მეფე აიეტმა ფოლადის გუთანს ხარები მოუყენა,
 აზავთებულნი ყვითელ ხესტოთავან თვალისმომჭრელი ცეცხლის ალს
 აფრქვევდნენ
 და მიწას სცემდნენ სპილენძის ჩლიქებით. კოლხების მეფემ სხვის
 დაუხმარებლად

ულელში შეაბა მრისხანე ხარები. დამორჩილებულნი მყის წინ გაირეკა,
გამხმარი მიწა ერთ წყრთაზე ჩაიჭრა, როცა ლარივით კვლები გაიტანა.
მეფემ მოგზაურებს ამგვარად მიმართა:

„თქვენმა წინამძღოლმაც შეიძლოს იგივე,

სტროფი

თუ ვსურთ თან წაიღოთ უხრწნელი ტყავი
ოქროსკულულებით შემკული ვერძისა“. მაშინ იასონმა სწრაფად მოისროლა
ზაფრანისფერი მოკლე მოსასხამი
და ღმერთს მინდობილი ძნელ საქმეს შეუდგა. ცეცხლმა ვერა ავნო მედეას
წყალობით,

ურჩ ხარებს ქედზე ულელი დაადგა,
ფერდებზე სცემდა მარვილს წვერწამახულს
ქედდადრეკილებს მიერეკებოდა, ყრუდ დაიგმინა მეფემ კოლხეთისა,
როცა მან მინდორი გადახნა.

ანტიისტროფი

ხელებს სიყვარულით უწვდიდნენ ვაჟკაცს,
შუბლს ლამაზ ყვავილთა გვირგვინით უმკობდნენ: მიესალმებოდნენ უტკბესი
სიტყვებით

სახელოვანნი გმირნი ელადისა.
მაშინ საოცარმა ვაჟმა პელიოსის, იასონს აჩვენა უღრანი ჭალაკი,
სადაც განფინა ტყავი ოქროვანი
ფრიქსეს მახვილმა ერთგული ვერძისა.
ასურგასიან ხომალდზე უსქესს, იგი ყბებში ჰქონდა მძვინვარე დრაკონს,
ვისი იმედიც ჰქონდა აიეტს.

ეპოდი

თუმც გრძელი იქნება გზა დაბრუნებისა, მაინც პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ,
მოკლე ბილიკებსაც ხომ კარგად ვიცნობ, სხვათა დამოძღვრაც ძალმიძს ამ
საქმეში.

არკესილაოს, მოკლა იასონმა უგრძნეულესი ქალწულის წყალობით
ბუსთვალეებიანი ჭრელზურგა ურჩხული. მანვე მოიტაცა მისივე თანხმობით
კოლხი მედეა მკვლელი პელეასის. მეწამულ ზღვაში გმირები გაეცნენ
დემნოსელ ქალთა ტომს ვაჟკაცთა დამხოცველს,
შეჯიბრში ნათელყვეს ძალა სხეულისა,

სტროფი

რისთვისაც ჯილდოდ სამოსი ირგუნეს
და მამაც ქალთა ტრფობასაც ეზიარნენ. ამ უცხო ქვეყნებში ქსოვდნენ დღე-
ღამენი

ბრწყინვალე სხივებს თქვენი მომავლისას.
 აქვე დაინერგა გვარი ევფემესი, დღემდე მიღწეული სახელ-დიდებითა.
 შენმა წინაპრებმა საბკვიდრო კპოვეს
 კუნძულ თერაზე ლაკედემონიდან.
 მაშინ ლეტოს ვაჟმა სამეფოდ მოგცათ ღიბიის ველები და განსჯებლობა
 ოქროსტახტოვანი კვირენის.



ანტისტროფი

გირჩევ შეიცნო სიბრძნე ცხოვრებისა
 გონივრულ განსჯით მიკვლევულ-შეცნობილი, ოიდიპოსმა რომ გვასწავლა
 მოკვდავებს:

თუ ვინმე მუხას რტოებს ჩამოაჩებს,
 რაითაც უწყალოდ მოუსპობს მშვენებას, ხეი უნაყოფო კვლავაც გვაგრძნობინებს
 ზამთრის ცეცხლისთვის რომ მაინც ივარგებს,
 ან გამოდგება მეფის სასახლეში,
 მოშორებული მშობლიურ გარემოს, ჭერის სიმძიმის მტვირთველ სწორ
 ბოძებად;
 რის ღონეც არ შესწევთ სხვა ხეებს.

ეპოდი

შენ ხარ მკურნალი ყველაზე განსწავლული, პეანი უმღერის შენს სახელს
 დიდებულს;

შენი მგრძნობიარე ხელის შეხებით განიკურნება წყლული და ჭრილობა.
 ხელეწიფება ქალაქის დანგრევა უგუნურთა და სუსტების მოდგმასაც,
 ძნელად მისაღწევი სიმტკიცის სანაცვლოდ, რასაც ხელს უწყობს ნება
 ღვთაებისა.

იგი გვასწავლის მართვას სამეფოსას. უხვად სარგებლობ მისი წყალობითაც,
 ვატკობს და ვახარებს ის კეთილგანწყობა,
 კვირენის მიმართ რომ იჩენენ ღმერთები.

სტროფი

პატივი ეცი სიბრძნეს პომეროსის,
 რომელიც გვასწავლის: მაცნე გონიერი ყველა საქმისათვის სიკეთის მომტანია.
 სწორ ცნობას მუზაც ხალისით ადიდებს,
 სახელგანთქმულმა სასახლემ ბატოსისა და მთელმა კვირენემ უკვე შეიყვარა
 სამართლიანი ვაჟი დემოფილე.
 ყმაწვილთა შორის იგი ყმაწვილია;
 ხოლო საბჭოში ასი წლის მოხუცი. ნათელსა თვალებს ბოროტებს არიდებს
 და ზიზღით ეპყრობა თავხედებს.

ანტიისტროფი

კეთილთა მფარველი შორს არ გადადებს
 საქმეთა დასასრულს, ისწავლა რამეთუ -- ყველაზე მოკლეა წამი ხელსაყრელი.
 მარადმედინ დროს უკან კი არ მისდევს
 ეთანამგზავრება ნაბიჯშეწყობილი. ამბობენ, მძიმეა შეცნობა იმისა,
 გამოცლილი აქვს რასაც საფუძველი.
 ატლანტი ახლა ზეცას ერკინება,
 ზევსიც ტიტანებს განათავისუფლებს, რადგან დროული შეცვლა იალქნების
 ქარის ჩადგომით მიიღწევა.

ეპოდი

და ბოლოს მრავალთა ჭირთა დამთმენელი ესწრაფის მშობლიურ სახლში
 დაბრუნებას,
 ყმაწვილურ სულით, ჟინით და ხალისით თავდავიწყებით ილხენს და ქეიფობს
 ხშირი სტუმარი საღამოობით აპოლოს წყაროსთან გამართულ ნადიმთა,
 ბრძენ მოქალაქეთა შორის ჩამჯდარი კი ფრთხილად შეეხება და წყნარად
 მომართავს
 ტკბილხმოვან ფორმინგს, ოსტატთა ნახელავს. იგი ყველას უყვარს ,თვითონაც
 ცდილობს
 არ განაცდევინოს მახლობლებს ტკივილი
 და მშვიდი ცხოვრებით ტკბება სამშობლოში.

□



თარგმნა ვთარ თვარაძე

ააფა „თორმეტი“

ეს კაფე სადოვიაზე, თორმეტ ნომერშია, ჩემს ამხანაგებთან ერთად მაგიდას ვუზივარ.

ირველივე მთვრალეების დივლავი, ყვირილი და ხმაურია, თამბაქოს ბოლი თვალებს მიწვავს.

უკრავს ვიოლინო.

მე ბუტბუტით ვამბობ ბლოკის ლექსს:

„სამიკიტნოში ვიოლინოს მე ვეძმე ისევ, —

ღვინოს ვსვამ, ვთვრები...“

სულ ერთია, ღმერთმანი, ფხიზელს

და სახეტანჯულს არ მეყოფა სიმტკიცე იმის, გავძლო ბოლომდე, არ გავწყვიტო სიცოცხლის სიმი,

ბოლომდე, სადაც იმალება საშინელ მესად, ყრუ მღუმარება საფლავეების და მკვდართა კვნესა...“**

ჩვენს მაგიდას ტორტმანით უახლოვდება მამაკაცი. ხავერდის შავი ხალათი აცვია, მკერდზე მარმაშის დიდი თეთრი ბაფთა მოუჩანს. სახე პუდრით აქვს შეთხიპნილი.

ტუჩები და წარბები შეღებილი აქვს.

ბაგეზე ღიმილი გადაჰკრავს — მთვრალი კაცის ოდნავ დარცხვენილი ღიმილი.

— სერიოზა, დაჯექი, ჩვენთან, — ამბობს ვილაც.

ახალა ვხედავ, ჩემ წინ ესენინია.

იგი მძიმედ ეშვება სკამზე ჩვენს მაგიდასთან, გაბრაზებული შეპყურებს ვილაც მთვრალს და ბუტბუტებს: „სიფათში ჩაგაფარებ... წადი!...“

ესენინს ხელზე ხელს ვუსვამ. მშვიდდება. ისევ იღიმება, როგორღაც დარცხვენით, შესაბრალისად.

საღებავქვეშ ვამჩნევ გაცრეცილ ტუჩებს.

კიდევ ვილაც შემოემატა ჩვენს სუფრას.

* დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3.

** ლექსები თარგმნა ბათუ დანელიამ.

„მაგიდები უნდა შევავროთ“, ისმის ხმა.
იწყება მაგიდების მიწევ-მოწევა.
მე ქუჩას ვაძლევ თავს.

გორკისთან



თავდაპირველად სამზარეულოში შევედი, ქუჩაზე სპილენძის დიდი ქვა-ბები იდგა.

სამზარეულო გადავჭერთ და სასადილოში აღმოვჩნდით.

გორკი ჩვენს შესაგებებლად გამოეშურა.

რალაცნაირი ლაზათი იგრძნობა მის სიარულსა და მიხვრა-მოხვრაში.

გორკი არ იღიბება, როგორც ეს მასპინძელს შეშვენის, მაგრამ სახე თბალი და ალერსიანი აქვს.

სასადილო მაგიდასთან ჯდება, ჩვენ სკამებზე და დაბალ ტახტზე ვსხდებით. ჩვენ შორის არიან ფედინი, ვსევოლოდ-ივანოვი, თავისი ჯარისკაცური ფარაჯით, სლონინსკი, გრუზდევი.

გორკი გვესაუბრება ლიტერატურაზე, ხალხზე, მწერლის ამოცანებზე. დროდადრო წამთახველებს ხოლმე.

საინტერესოდ, თითქმის მომნიბვლელად ლაპარაკობს. მაგრამ, მე არ ვუსმენ. ვაცქერდები, როგორ აკაკუნებს მაგიდაზე თითებს, ოდნავ ნერვულად, როგორ იღიმის ულვაშებში ძლივშესამჩნევად, თვალს ვერ ვაცილებ მის გასაოცარ, აზრიან, ოდნავ ნერვულ სახეს.

შევყურებ ამ დიდებულ, ლეგენდარულად სახელგანთქმულ ადამიანს, ალბათ მომქანცველი და შემაწუხებელია ასეთი დიდი სახელი და საყოველთაო აღიარება. პირადად ჩემთვის, მაგალითად, ამას არ ვისურვებდი.

თითქოს ჩემი ფიქრის პასუხად, გორკიმ თქვა: ძალიან ბევრი არც კი მიცნობს, ამ რამდენიმე დღის წინათ მოვდიოდი და პატრულმა შემაჩერა. მე ვუთხარი, გორკი* ვარ-მეთქი, მწარე ხარ თუ ტკბილი, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, საშვი წარმოგვიდგინეო.

გორკი იღიბება, მერე ისევ იწყებს მსჯელობას ლიტერატურაზე, კულტურაზე, ხალხზე.

ჩემ ზურგს უკან ვიღაც იწერს მის სიტყვებს.

ბოლოს ვდგებით და მასპინძელს ვემშვიდობებით.

გორკი მსუბუქად მადებს მხარზე ხელს და მეკითხება:

— რადა ხართ ასე მოღუშული, დაღვრემილი, რამ შეგაწუხათ?

პასუხად რალაცას ვდუღუნებ ჩემს დაავადებულ გულზე.

— ეგ არ არის კარგი, — ამბობს გორკი, — უნდა იმკურნალოთ, ამ დღეებში ჩემთან შემოიარეთ, თქვენს საქმეებზე წავისაუბროთ.

გორკი სამზარეულოს გავლით კიბემდე მიგვაცილებს.

კრონვერსკის პროსპექტზე — გორკის პროსპექტზე გავდივართ.

* გორკი — მწარე (რუს.).

შეხვედრა

უსასრულო კიბეებზე აღმა-დაღმა დავიარები, ხელში საქალაქო მიჭირავს. შიგ ბლანკები მიწყვია. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა და ეს ბლანკები მე უნდა შევაგსო.

ამ საქმეს მიტომ მოვეკიდე, რომ შენახა, როგორ ცხოვრობს ხალხი.

მე ხომ მხოლოდ საკუთარ თვალებს ვენდობი. გარუნ აღ რაშიდით შევდივარ უცნობი ადამიანების ბინებში, მივაბიჯებ დერეფნებში, სამზარეულოებში, ოთახებში. ვხედავ მბუტავ ნათურებს, ჩამოფხრეწილ შპალერს, ნაგავს, ძონძებს... დიახ, რა თქმა უნდა, უახლოეს წლებში მრავალი უბედურების მომსწრენი შევიქენით, რაღა არ გადაგვხდა თავს — შიმშილი, ნგრევა, გაჭირვება, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი რამის ნახვა მომიწევდა.

საკმაოდ ბნელ ოთახში შევდივარ. ტახტზე დაგდებულ ბინძურ ლეიბზე მამაკაცი გაშოტილა. იგი წარბშეკრული მხედება, არც კი იხედება ჩემკენ, თვალები ქერისთვის მიუშტერებია.

— სად მუშაობთ? — ვეკითხები.

— მუშაობა ვირებისა და ცხენების საქმეა, — მპასუხობს იგი. — პირადად მე, არსად არ ვმუშაობ და არც უაპირებ მუშაობის დაწყებას. ზუსტად ასე ჩაწერეთ მაგ თქვენს ქეციან ქალაქებში. შეგიძლიათ მიაწეროთ, რომ დავდივარ კლუბში და ბანქოს ვთამაშობ.

კაცი გაღიზიანებულია. შესაძლოა, ავადაც იყოს, წავალ, ცნობებს მეზობლებთან ჩავიწერ. წასვლისას ერთხელ კიდევ გავიხედე მისკენ. სახე ნაცნობი მეჩვენა.

— ალიოშა! — წამოვიძახე.

კაცი ტახტზე წამოჯდა, სახეგაპარსული, მოღუშული.

ჩემ წინაშე ალიოშა ნ. იჯდა, ჩემი გიმნაზიელი ამხანაგი, ერთი კლასით წინ იყო ჩემზე, მუდამ ჩაქოთქათებული დადიოდა. მზუთხავი, პირველი მოსწავლე, დედის ბიჭი იყო.

— ალიოშა! ეს რა დაგმართნია? — ჩავიბუტბუტე.

— რა უნდა დამმართოდა, — მითხრა და სახეზე წყენა დაეტყო.

— იქნებ რამით დაგეხმარო?

— არაფერი არ მინდა, — მიპასუხა. — თუმცა, თუ ფული გაქვს, ხუთმანეთიანი დამიტოვე, კლუბში მინდა წავიდე.

გაცილებით მეტი გავუწოდე, მაგრამ მხოლოდ ხუთი მანეთი აიღო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მის ტახტზე ჩამოვჯექი და როგორც ოდესღაც, ამ ათი წლის წინათ, საუბარი გავაბით.

— კაცმა რომ თქვას, ერთი უხეირო, ცხოვრებისეული ამბავია, — მეუბნება ალიოშა, — ცოლი ვიღაც არამზადას გადაეკიდა, დარღზე სასმელს მივეძალე, რაც კი მებადა, ყველაფერი ქარს გავატანე, სამუშაო დავკარგე, კლუბში თამაშს მივყავი ხელი... და იცი, ახლა აღარ მინდა დავუბრუნდე იმას, რაც იყო, რა თქმა უნდა, შემეძლო შემეცვალა ცხოვრება, მაგრამ სურვილი არა მაქვს. ყველაფერი უაზრობა, სისულელე და კომედიია, მტვერი და ბოლია მხოლოდ...

სიტყვა ჩამოვართვი, რომ ჩემთან შემოივლიდა.

ღამით

ჩემს ბალიშზე „კრასნაია გაზეტაში“ გაგზავნილი წერილების დასტა დევს, წერილები აბანოების უწესრიგო მუშაობაზე ღალატებენ. მათ მიხედვით ფელეტონი უნდა დავწერო. ასე მოთხოვეს რედაქციაში.

ვათვალისწინებ საჩივრებს. უსუსურად, სასაცილოდ დაწვრილწერილობა, მაგრამ აზრი გასაგებია. საქმე ეხება ფრიად საჭირობოროტო და მნიშვნელოვან საკითხს — აბანოების მუშაობას.

უკვე პირველივე სტრიქონებმა მხიარულ გუნებაზე დამაყენა, მერე და მერე ხმამაღალი სიცილი ამიტყდა, ბოლოს ისე ავხარხარდი, რომ ფანქარი და უბის წიგნაკი ხელიდან გამივარდა.

წერა განვაგრძე, თან სიცილით ვიგუდებოდი.

არა, შემდეგ, მოთხრობას რომ გადავწერ, ამდენს აღარ ვიციანებ, მაგრამ პირველი ჩანაწერები ყოველთვის უაღრესად სასაცილოდ მეჩვენება და სიცილით ფერდები მასკდება.

კედელზე მეზობელი მიკაკუნებს. ბუღალტერია, დილით ადრე უნდა ადგეს, ძილს ვუფრთხობ. აჰა, უკვე მუშტებს უბრაგუნებს კედელს, როგორც ეტყობა, გავალგიძე, ძალიან მწყინს.

— მაპატიეთ, პიოტრ ალექსეევიჩ, — გავძახი აქედან.

ისევ უბის წიგნაკს ვუბრუნდები, ისევ ვხარხარებ, მხოლოდ ახლა უკვე ბალიშში თავჩამბობილი.

ათ წუთში მოთხრობა მზადაა. გული მწყდება, ასე სწრაფად რომ დავწერე. საწერ მაგიდასთან მივდივარ და ღამაში ხელით ვიწყებ მოთხრობის გადაწერას, თან ხმადაბლა ვიცინი, მაგრამ ხვალ, ამ მოთხრობას რედაქციაში რომ წავეკითხავ, აღარ გამეცინება, შუბლშეკრული, კუმტად დავიწყებ კითხვას.

ღამის ორი საათია, დავწეკი, მაგრამ დიდხანს არ დამეძინა. ახალი მოთხრობების თემებზე ვფიქრობდი.

ცას რიჟრაჟი შეეპარა. ბრომი დავლიე, თვალზე ლული რომ მომკიდებოდა.

კვლავ სისულელე

ჟურნალ „სოვრემენიკის“ რედაქციაში ვარ. ამის წინათ აქ ჩემი ხუთი საუკეთესო პატარა მოთხრობა მოვიტანე და ახლა პასუხისთვის შემოვიარე.

ჩემ წინ ერთ-ერთი რედაქტოროთაგანი — პოეტი მ. კუზმინი ზის, საოცრად თავაზიანი ადამიანია, ზომაზე მეტადაც კი, მაგრამ ახლა სახეზე ვატყობ, რადაც არასასიამოვნო უნდა მითხრას.

ყოყმანობს. ისევ მე უნდა ვიხსნა.

— ალბათ ჩემი მოთხრობები თქვენი ჟურნალისათვის შესაფერი არ არის, — ვეუბნები.

— იცით, ჩვენი ჟურნალი დიდი მოცულობისაა... თქვენი მოთხრობები კი... არა, ძალიან სასაცილო და შესაქცევი მოთხრობებია.... მაგრამ ისეა დაწერილი, ეს ხომ...

— სისულელეა, არა? ეს უნდა გეთქვას? — შევეკითხე და გამახსენდა მი-

ნაწერი გიმნაზიაში დაწერილი თხზულების ქვეშ: „სისულელეა“. კუზმინმა ხელები გაშალა.

— ღმერთმა დამიფაროს. არც მიფიქრია, პირიქით, თქვენი მოთხოვნები ძალზე ნიჭიერადაა დაწერილი... მაგრამ, დამერწმუნეთ. — ცოტა გაშარქებულია.

— სულაც არ არის გაშარქებული, — ვუპასუხე.

— აი, თუნდაც ენა ავიღოთ.

— სწორედ ენა არ არის გაშარქებული, ეს ქუჩური... ხალხური სინტაქსია.

შეიძლება გადავაჭარბე...

— ნუ ვიკამათებთ, — რბილად მითხრა მან. — მოგვეცი თქვენი ჩვეულებრივი მოთხოვნა ან ნოველა... მერწმუნეთ, დიდად ვაფასებთ თქვენს შემოქმედებას.

რედაქციიდან მივდივარ, მაგრამ ისეთი გრძნობით კი არა, ოდესღაც გიმნაზიაში რომ განვიცადე, — წყენასაც კი აღარ ვგრძნობ.

„რაც არის, არის, — ვფიქრობ, — გავძლებ ამ სქელტანიანი ჟურნალების გარეშეც, მაგათ რაღაც „ჩვეულებრივი“ სჭირდებათ, რაღაც იმდაგვარი, კლასიკას რომ წააგავს. რატომღაც მხოლოდ ასეთი რამ მოსწონთ, მაგრამ მე არ ვაპირებ ვწერო არარსებული მკითხველისათვის. ხალხს ლიტერატურაზე სხვაგვარი წარმოდგენა აქვს...“ რედაქციიდან გულნატკენი არ წამოვსულვარ, ჩემს სიმართლეში ეჭვი არ შემპარვია.

ლუდხანაში

დღეა. მზე ანათებს, ნევის პროსპექტზე მივაბიჯებ, ჩემკენ ს. ესენინი მოემართება.

ელეგანტური. ლურჯი პალტო აცვია, უქუდოდ არის, სახე უფერული აქვს. თვალები ჩაქრობია. ნელა მოაბიჯებს, თან რაღაცას ბუტბუტებს. მე ვუახლოვდები.

მოლუშულია, ლაპარაკის გუნებაზე არ არის. სასოწარკვეთილი ჩანს.

შინდა წავიდე, მაგრამ არ მიშვებს.

— ცუდად ხომ არა ხართ? რამე გაწუხებთ? — ვეკითხები.

— რატომ მეკითხებით? — დაბნეულად ამბობს იგი. — კარგად არ გამოვიყურები?

მოულოდნელად იცინის და დასძენს, — ვბერდები, ჩემო მეგობარო... მალე ოცდაათისა შევსრულდები...

ამისობაში სასტუმროს მივატანეთ.

ესენინი წუთით სადარბაზოსთან შეყოვნდა, მერე მითხრა:

— იქით, პირდაპირ. ლუდხანაში შევიდეთ ერთი წუთით.

ლუდხანისკენ გავემართეთ.

მაგიდას პოეტი ვ. ვოინოვი და მისი მეგობრები უსხედან, ვოინოვი სიხარულით მოდის ჩვენს შესახვედრად, ჩვენც მათ სუფრასთან ვსხდებით. ვიღაც ტოლჩეხში ლუდს ასხამს. ესენინმა ოფიციალტს რაღაც გადაულაპარაკა და მანაც კნავზე დაყენებული ჭიქა არაყი შემოუტანა.

ესენინი თვალდახუჭული სვამს, ვამჩნევ, თანდათანობით სიცოცხლე უბ-

რუნდება. ლოყები შეუფერიადა, უფრო გულდაჯერებულად იქცევა, თვლებში შუჭი ჩაუდგა.

უნდოდა ხელახლა მოეხმო ოფიციალტი. მისი ყურადღება სხვა რამზე/რომ გადამეტანა, ვთხოვე ლექსები წაეკითხა. რატომღაც მაშინვე, თითქმის სიხარულითაც კი დამთანხმდა და სკამზე შემდგარმა წაიკითხა პოემა „შაგი ადამიანი“.

მაგიდის ირგვლივ ხალხი მოჯარდა, თითქმის ყველა, ვინც კი ლუდხანაში იყო, აქეთ მოაწყდა.

წუთის შემდეგ ესენინი ხელების ქნევით მოჰყვა თავისი მოკლე ლექსების კითხვას.

შესანიშნავად კითხულობდა, თანაც იმგვარი გრძნობით, იმგვარი ტკივილით, რომ ყველას გული შეგვიძრა.

ბევრი პოეტი მინახავს ესტრადაზე, მათი არაჩვეულებრივი წარმატების მომსწრეც ვყოფილვარ, მინახავს აქუხებული დარბაზი, მსმენია ოვაციები, მაგრამ ესოდენი აღტაცება და სიბორო არავისთვის უწილადებიან.

ათობით ხელმა აიტაცა პოეტი სკამიდან და მაგიდისკენ წაიყვანა. ყველას სურდა მისთვის ხელი მოეკიდა; გადახვეოდა, გადაეკოცნა, ჰიქა მიეჭახუნებინა.

ხალხი მჭიდრო რკალად შემოეკლო მაგიდას, რომელსაც ახლა ესენინი უჭდა.

მე ლუდხანიდან გავედი.

ჩემი ბრალია

სალამოა. კ-სთან ერთად ნევის პროსპექტზე დავსვირნობ.

ეს ქალი კისლოვოდსკში გავიცანი.

ლამაზი, ენამახვილი და მხიარულია, მთელ მის არსებაში თითქოს სი-
ცოცხლე ჩქეფს და შესაძლოა ყველაზე მეტად ეს მხიბლავს, რადგან თავად ამას მოკლებული ვარ.

სათუთად ხელიხელჩაკიდებულნი ნევაზე გავდივართ და ჩაბნელებულ სა-
ნაპიროს მივუყვებით.

კ. დაუსრულებლად ტიტინებს რაღაცას, მისი სიტყვები მუსიკასავით ჩა-
მესმის, თუმცა ნათქვამს არ ვუფიქრდები.

მაგრამ უეცრად ამ მუსიკაში უკმაყოფილო ნოტები გაისმის. მე ყურად-
ღებას ვძაბავ.

— უკვე მეორე კვირაა ამ ქუჩებში დავეხეტებით, — მეუბნება კ. — მთელი
ეს სულელური სანაპირო და ბაღები შემოვიარეთ, მე კი მინდა თქვენთან ერ-
თად სადმე სასტუმრო ოთახში ვიჭდე, გელაპარაკოთ, ჩაი დავლიო...

— კაფეში შევიდეთ, — შევთავაზე.

— არა, კაფეში შეიძლება დაგვინახონ.

ოპ, სულ გადამავიწყდა, კ-ს მეტად გართულებული აქვს ცხოვრება,
ეჭვით შეპყრობილი ქმარი და უფრო ეჭვიანი საყვარელი ჰყავს. მტერს რა
გამოლევს? ვინმე ამბავს მიუტანს ერთს ან მეორეს, თუ ვინიცობაა ერთად
დაგვინახეს.

ჩვენ სანაპიროზე ვჩერდებით, ზვევანა-კოცნას დასასრული არ უჩანს.

კ. ბუტბუტებს:

— ეჰ, რა ცუდია, ქუჩაში რომ ვართ...

კვლავ განვაგრძობთ გზას, მერე ისევ ვკოცნით ერთმანეთს, *ქ.* თვალებზე ხელს იფარებს, ამ გაუთავებელი კოცნით თავრეტი ესხმის.

ერთ-ერთი სახლის ალაყაფის კარს მივუახლოვდით.

— აქ უნდა შევიდეთ, მკერავთან, დამიკადეთ, კაბას დაწინამებ—და ახლავე მოვბრუნდები, — ბუტბუტებს *ქ.*

მე სახლთან ვდგავარ, მერე სიარულს ვიწყებ, დავდივარ ათი წუთი, თხუთმეტი, ოცი, ბოლოს *ქ-ც* გამოჩნდა. მხიარულია, იცინის, — ყველაფერი რიგზეა, მეუბნება, — ძალიან ლამაზი კაბა იქნება, სადა და უბრეტენზიო.

ქ-მ ხელმკლავი გამომდო და მე სახლამდე მივაცილეთ. ხელმეორედ ხუთი დღის შემდეგლა შევხვდი.

— თუ გინდათ, დღეს შეგვიძლია ერთგან წავიდეთ, ჩემი ნაცნობი ქალის ბინაზე, — მეუბნება *ქ.*

ჩვენ რომელიღაც სახლს მივუახლოვდით. იმწამსვე ვიცანი, აქ არ იყო, ალაყაფთან მთელი ოცი წუთი რომ მალოდინა? ამ სახლში ხომ *ქ-ს* მკერავი ცხოვრობს!

ავდივართ მეორე სართულზე, *ქ.* ოთახის კარს თავისი გასაღებით აღებს. კარგად მოწყობილ ოთახში შევდივართ, აქაურობა სულაც არა ჰგავს მკერავის ბინას.

საწოლთან, პატარა მაგიდაზე მდუმარო წიგნი დავინახე და, პროფესიული ჩვევის თანახმად, ანგარიშმიუცემლად გადავშალე, თავფურცელზე ნაცნობი გვარი ამოვიკითხე. *ქ-ს* საყვარლის გვარი.

ქ. იცინის.

— დიახ, მის ოთახში ვართ, — მეუბნება, — მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, ორი დღით კრონდშტატშია წასული.

— *ქ!* — ვუთხარი, გულს სხვა ფიქრი მიღრღნიდა. — მაშ იმ დღეს მასთან იყავით?

— როდის? — მეკითხება *ქ.*

— როდის და, ალაყაფის კართან ოცი წუთი რომ მაყურყუტეთ.

ქ. იცინის, ტუჩებზე შეკონება, რომ ლაპარაკის საშუალება მომისპოს.

— ყველაფერი თქვენი ბრალი იყო, — მეუბნება მერე.

ოცდასამი სათავეარი

ჩემი ოთახის ფანჯარა მოიკის ქუჩის და ნევის პროსპექტის კუთხეს გადასცქერის.

ფანჯარას ვუახლოვდები. არაჩვეულებრივი სურათი იშლება ჩემ თვალწინ, მდინარე ატალღებულა, შავად მოედინება, ნახევარი მეტრიც და, ნაპირებს დატბორავს.

ქუჩაში გავრბივარ.

ზღვიდან საშინელი ქარიშხალი უბერავს.

აღელვებული და აღზნებული ნევის პროსპექტზე მივაბიჯებ. ფონტანკამდე მივდივარ, ალაგ-ალაგ ტროტუარზე წყალი დგაფუნობს.

ტრამვაის შევახტი, პეტროგრადის მხარისკენ უნდა წავიდეთ, იქ ჩემი ოჯახია — ერთი ციდა ბიჭიკო, ჩემი მეუღლე და მისი მშობლები, მე დროებით

ხელოვნების სახლში გადავედი, ბავშვის ტირილს მუშაობაში ხელი რომ არ შეეშალა.

ახლაც მათკენ მივიჩქარი. პუშკარსკაიაზე პირველი სართული უჭირავთ, იქნებ მეორე სართულზე დაგვჭირდეს ასვლა.

ტრამვაი ალექსანდროვის პროსპექტზე გადის. წყალდაწყალ მივდივართ, მერე ვჩერდებით, აქედან ველარსად წავალთ, ხის ტორსები ატივტივებულა და გზას გვიკეტავს.

მგზავრები პირდაპირ წყალში ხტებიან. აქ წყალი ღრმა არ არის, მუხლამდე თუ შემოგვწვდება.

წყალში მივტყაპუნებ და გაჭირვებით გავდივარ მთავარ პროსპექტზე აქ ჯერ კიდევ სიმშრალეა.

პუშკარსკაიაზე თითქმის გავრბივარ, არც აქ ჩანს წყალი.

ჩემიანები აღელვებულნი და შეშფოთებულნი არიან, ძალიან უხარიათ, რომ მოვედი და ახლა ერთად ვართ.

ტანსაცმელი გამოვიცვალე და ისევ ქუჩას მივაშურე. მინდოდა მენახა. მატულობდა თუ არა წყალი.

გავედი მთავარ პროსპექტზე, საფუნთუშეში პური ვიყიდე. მივუახლოვდი ვედენსკის ქუჩას, წყლის წვეთი არსად დამინახავს.

და უეცრად გასაოცარი რომ მოხდა. წყალმა ყველა საძვრენიდან ერთბაშად ამოხეთქა და ქუჩა თვალის დახამხამებში დაფარა. ისევ წყალში მომიხდა ტყაპუნი. სწრაფად გავბრუნდი შინისკენ.

წყალი უკვე კიბის საფეხურებს ეხეთქებოდა.

ფეთიანებივით ავარდით მეორე სართულზე.

კიბის საფეხურები ცარციტ მოვნიშნე, რომ მენახა, იმატებდა თუ არა წყალი. დღის ხუთ საათზე წყალი უკვე კართან მოგვადგა. დაბნელდა. ფანჯარასთან ვიჯექი და ქარის ღმუილს ვაყურადებდი. თითქმის მთელი ქალაქი წყლით იყო დაფარული. მდინარემ ასე, ორ საყენზე მაინც აიწია. ჩალუსკუმებულ ცაზე შორით ხანძრების არილი ლაპლაპებდა. ირიყრაყა. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ იკლო თანდათანობით წყალმა.

ქუჩაში გავედი, თვალწინ საშინელი სურათი წარმომიდგა: პროსპექტი გაჯეჯგილი იყო შეშით, მორებით, ნავეებით, იქვე მოჩანდა დატვირთული ორჩბომელი, ცალ გვერდზე დაფერდებული, პატარა, ანძიანი გემი, ყველაფერი აოხრებული და გაპარტახებული ჩანდა, ირგვლივ ქაოსი მეფობდა.

მატარებელმა დაიპვიანა

ალა სულთქმაშეკრული შემოიჭრა ჩემს ოთახში.

— ძლივს გამომიშვა... „გაიგე, ნიკოლაი, ჩემი მეგობარი ქალი მოსკოვში მიდის, ვინ იცის, როდის დაბრუნდება, ხომ უნდა გავაცილო-მეთქი, ვუთხარი...“

— რომელ საათზე გადის მატარებელი? — ვკითხე ალას.

ალამ გაიცინა და ტაში შემოჰკრა:

— აი, ხომ ხედავ, შენც მართალი გეგონა, არავინაც არ მიდის, ტყუილები მოვიგონე, შენთან რომ მოვსულიყავი.

— მოსკოვის მატარებელი ათ საათსა და ოცდაათ წუთზე გადის, — ვუთხარი. — მაშასადამე, თერთმეტი საათისთვის შინ უნდა იყო.

ალამ საათს დახედა, თორმეტი სრულდებოდა. წამოიყვირა და ტელეფონთან მიიჭრა, ისე რომ ტუფლებიც არ ჩაუცვამს.

ყურმილი აიღო, სავარძელში ჩაჯდა. სიცივისა და აღელვებისაგან ერთიანად კანკალებდა.

პლედი გადავუგდე. ფეხებზე შემოიფუთნა.

გასაოცრად ლამაზი იყო, რენუარის სურათიდან გადმოსული გეგონებოდათ.

— რატომ რეკავ? — შევეკითხე. — სჯობია სწრაფად ჩაიცვა და წახვიდე.

ალამ წყენით დამიქნია ხელი.

— ნიკოლაშა, — ჩასძახა მერე ყურმილში: — წარმოიდგინე, მატარებელმა დაიგვიანა. ეს-ეს არის, გავიდა. ათ წუთში შინ ვიქნები.

არ ვიცი, რა უპასუხა ქმარმა, მაგრამ ალამ ისევ ჩასძახა ყურმილში:

— მგონი, გასაგებად გეუბნები, — მატარებელმა დაიგვიანა, ახლავე დავბრუნდები.

ალბათ ქმარმა უთხრა, უკვე თორმეტი საათიაო.

— მართლა? — გაიოცა ალამ. — არ ვიცი, შენი რა დროს უჩვენებს, მაგრამ, აქ, ვაგზლის საათზე... — ალამ თავი გადასწია და მზერა ჭერს მიაბჯინა. — აქ, ვაგზლის საათზე, — გაიმეორა მან, — ზუსტად თერთმეტია.

მერე თვალები იმგვარად მოჭყტა, თითქოს ვაგზლის საათს შორიდან აცქერდებო, და თქვა:

— ჰო, ზუსტად თერთმეტია, თითქმის თორმეტის ორი წუთია, ეგ შენი საათი ხომ ადამყამობის ხნისაა.

ყურმილი დადო და სიცილი აუტყდა.

ახლა ეს ნახერხით დატენილი პატარა თოჯინა ჩემთვის ყველაზე სასურველი სტუმარი იქნებოდა, მაგრამ მაშინ, მახსოვს, გავუბრაზდი და ვუთხარი:

— რა საჭიროა ასე უსინდისოდ ცრუობა? საათს შეამოწმებს და ტყუილში გამოგიჭერს.

— სამაგიეროდ დაიჯერა, სიღვურზე რომ ვარ, — მითხრა ალამ და ტუჩებზე საღებავი გადაისვა. — მერე კიდევ, ეს რა ნოტაციებია? სულაც არ მინდა ამისთანების მოსმენა, ჩემი საქმისა მე უკეთ გამეგება, ჩემი ქმარი რევოლვერით ხელში დარბის, იმუჭრება, მეგობრებს დაგიხოცავ და შენც ზედ მიგაყოლებო... თუ გგონია, რაშედ ჩააგდებს, მწერალი რომ ხარ? ტყვიას არც შენთვის დაიშურებს.

პასუხად რალაც წავიბუტბუტე.

ალამ ჩაიცვა და მკითხა:

— ჰო, რა იყო? ხომ არ გამიბრაზდი? იქნებ საერთოდ აღარ გინდა, შენთან მოვიდე?

— როგორც გენებოს... — ვუპასუხე.

— ჰოდა, არც მოვალ, — მითხრა ალამ, — ვხედავ, აღარ გიყვარვარ.

მერე ქედმაღლურად დამიკრა თავი, — ცხრამეტი წლის ქალის პირობაზე ეს შესანიშნავად გამოუვიდა, — და ოთახიდან გავიდა.

ღმერთო ჩემო, როგორ ავტირდებოდი, ეს ამბავი ახლა რომ მომხდარიყო.

მაშინ კი კმაყოფილიც დავრჩი. თუმცა, ერთი თვის შემდეგ აღამ ისევ მომაკითხა.

პატარა მაგიდასთან



მოსკოვის რომელიღაც თეატრალურ კლუბში პატარა მაგიდას ვუჯდვარ. ჩემ გვერდით კიდევ ერთი ხელი ჭურჭელი აწყვია. მაიაკოვსკიც იწმინდავს. კერძები შეუკვთა და ბილიარდის სათამაშოდ გავიდა. ახლავე დაბრუნდება.

თითქმის არ ვიცნობ მაიაკოვსკის. ჩვენ მხოლოდ საღამოებზე, თეატრში, ხალხში ვხვდებით ერთმანეთს.

აი, მოვიდა კიდევ... მძიმედ სუნთქავს, სახე მოწყენილი აქვს, იღუშება, ცხვირსახოცი თოფს იწმინდს. ხელი მოიგო, მაგრამ თამაშმა ოდნავადაც ვერ გაართო, როგორღაც მძიმედ ეშვება სკამზე.

მღუმარედ ვსხედვართ, თითქმის არ ვლაპარაკობთ. ლუდს ვუსხამ, ერთ ყლუპს სვამს და ჭიქას ისევ მაგიდაზე დგამს.

მეც უგუნებოდ ვარ, არ მინდა, ნაძალადევი საუბარი გავუბა, მაგრამ მაიაკოვსკი ჩემი მასწავლებელია, თითქმის ახალბედა ვარ ლიტერატურაში, სულ ხუთი წელია, რაც მოთხრობებზე ვმუშაობ, მეუხერხულება ჩუმი ჯდომა და რაღაცას ვბოდილობ ლიტერატურაზე, ბილიარდზე...

მაიაკოვსკის გვერდით თავს შებოჭილად ვგრძნობ, უთავბოლოდ, უხალისოდ ვლაპარაკობ. ხშირ-ხშირად სიტყვას შუაზე ვწყვეტ. უცებ მაიაკოვსკის სიცილი ჩამესმის.

— არა, ყური მიგდეთ, ეს რაღაც ძალიან მომწონს. მეგონა, დაიწყებდით მასხრობას, ქილიკობას, ოხუნჯობას, თქვენ კი... არა, ნამდვილად ჩინებულა, შესანიშნავია, — მეუბნება იგი.

— რატომ უნდა მეოხუნჯა?

— როგორ თუ რატომ, იუმორისტი ხართ, ასე შეგეფერებათ, თქვენ კი...

მაიაკოვსკი თვალდამძიმებული მიყურებს. საოცრად ნაღვლიანი მზერა აქვს.

— რატომ ხართ ასეთი? — მეკითხება.

— არ ვიცი, თავადაც ვეძებ მიზეზს...

— შართლა? — ამბობს დადარაჯებული, — გვინათ, მიზეზი არსებობს?

ავადმყოფობა გაწუხებთ?

საუბარი გადაგვაქვს ავადმყოფობაზე, მაიაკოვსკიმ თავისი სატკივრები ჩამომითვალა: ფილტვები აწუხებს, კუჭი და ღვიძლი სტკივა, ღვინო წყენს და ალბათ პაპიროსიც უნდა გადააგდოს.

მაგრამ მე დამატებით კიდევ ერთი სატკივარი აღმოვუჩინე — გულზიზღიანია და ვკონებ, ჩემზე მეტადაც კი. ორჯერ გაუსვ-გამოუსვა ხელსახოცი თავის ჩანგალს, მერე პურით გაწმინდა, ბოლოს კი ცხვირსახოცი.

ჩვენ მაგიდას ნაცნობი მსახიობი მოუახლოვდა.

საუბარი შევწყვიტეთ.

— ლენინგრადში დავირეკავთ, — მითხრა მაიაკოვსკიმ.

მე ჩემი ტელეფონის ნომერი მივეცი.

გამოსვლა

— ჩემდა ჭირად დავთანხმდი, რამდენიმე ქალაქში სცენაზე გამოვსულიყავი. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უბედური დღეები იყო.

პირველად ხარკოვეში მომიწია გამოსვლამ, მეორედ კი კონსტანტინოპოლში. გაოცებას ვიყავი, მჭუხარე ოვაციებით მხვდებოდნენ, სცენიდან გასვლისას კი კანტიკუნტად მიკრავდნენ ტაშს.

მაშასადამე, რაღაცით ვერ ვაამე მსმენელებს, რაღაცით ვერ მოვიგე მათი გული, მაგრამ, რით?

მართალია, არტისტული ჩვევები არა მაქვს, ერთფეროვნად, მოსაწყენად და ზოგჯერ უსიცოცხლოდაც ვკითხულობ, მაგრამ ნუთუ ჩემს სალამოებზე ისე მოდიან, როგორც „იუმორისტის“ სალამოებზე? ნუთუ მართლა ფიქრობენ, რაკ მსახიობები ასე სასაცილოდ კითხულობენ, თავად ავტორი რაღას იზამსო?

ყოველი სალამო წამებად მექცა.

ფეხათრევით გავდიოდი ესტრადაზე. იმაზე ფიქრი, რომ ისევ უნდა მომეტყუებინა ხალხი, გუნებას მიშხამავდა. ახლაც წიგნი გადავშალე და დუდუნით შევუდექი რაღაც მოთხრობებს კითხვას.

— „აბანო“ წაიკითხე, „აბანო!“ — დამიყვირა ვიღაცამ.

— „არისტოკრატი ქალი...“ ამ მონაჩმახს რას კითხულობ!

„ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე, — რა ჭირად ავიკიდე ეს სალამოები?“ ნაღვლიანად დავაცქერდი საათს.

სცენაზე წერილები ამოისროლეს. ეს ცოტათი მაინც მომათქმევინებს სულს. გავხსენი პირველი წერილი და ხმამაღლა წავიკითხე:

„თქვენ თუ ამ მოთხრობების ავტორი ხართ, მაშინ რატომღა გვიკითხავთ მათ?“

გალიზიანებული, პასუხად ვყვირი:

„თქვენ თუ ამ მოთხრობების მკითხველი ხართ, რა ეშმაკად ზიხართ აქ და მისმენთ?“

ხალხი იცინის, ტაშს უკრავს.

გავხსენი მეორე წერილი.

„ახლა რასაც გვიკითხავთ, ყველამ ვიცით. ამას სჯობია, რაც შეიძლება სასაცილოდ მოგვიყვეთ, როგორ ჩამოხვედით აქ.“

„ჩაჯვექი მატარებელში, ნათესავები აქვითინდნენ, მევედრებოდნენ, ნუ წახვალ, იდიოტური შეკითხვებით გაგაწამებენო“, — ვიღრიალე გაცოფებულმა.

იგრიალა ტაშმა. ატყდა ხარხარი.

ოჰ, ახლა რომ შემძლებოდა სცენაზე თავდაყირა გამეგლო ან ცალ ბორბალზე გავსრიალებულიყავი, სალამო შესანიშნავად დასრულდებოდა.

სალამოების მომწყობმა კულისებიდან მიჩურჩულა:

„მოჰყევით რამე საკუთარ თავზე. მაყურებელს ასეთი რამ მოსწონს.“

მორჩილად დავიწყე ჩემი ბიოგრაფიის მოყოლა.

სცენაზე კვლავ მოფრინავდნენ წერილები:

„ცოლიანი ხართ?“ „რამდენი შვილი გყავთ?“ „ესენინს თუ იცნობთ?“

თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლია. ახლა უკვე შეიძლება სალამო დამთავრებულად ჩავთვალო.

ნაღვლიანად ამოვიოხრე და სცენიდან გავედი, აქეთ-იქიდან ტაშით გამაცილეს. თავი ვინუგეშე ფიქრით, ეს იმ რანგის მაყურებელია, ერთნაირი თავგამოდებით რომ დაესწრება ყველა ჯურის კომიკოსის და ჟონგლიორის საღამოს-მეთქი.

ხელშეკრულება გავაუქმე და ლენინგრადისკენ გავემგზავნე

მხატვარი

ლენინგრადში ზოოლოგიური ბაღის ბილიკებზე დავხეტილობ. გალიაში უშველებელი ვეფხვი მოჩანს. გვერდით პატარა თეთრი ფოქსტერიერი უწევს. ეს ვეფხვი მისი გამოზრდილია, ახლა დედის უფლებით სარგებლობს და შვილობილს არ სცილდება.

ვეფხვი კეთილმოსურნედ უცქერის.

უფცრად ჩემ ზურგს უკან საშინელი ყვირილი გაისმა.

ხალხი მურა დათვების გალიისკენ გაქანდა.

თვალწინ საშინელი სანახაობა წარმოგვიდგა: მურა დათვების გალია რკინის წნელებით და ჩის ფიცრებით არის გადატიხრული, ტიხარს იქით ბელები ჩაუსვამთ. პატარა ბელი ფიცრებზე აცოცებულა, თათი ღრიჭოში მოპყოლია და ახლა მურა დათვი გააფთრებით ძიძგნის ამ ციციქნა თათს.

ბელი ღრიალებს, ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს მურა დათვს, მაგრამ გაწამაწიაში მეორე თათიც ფიცრებშია ეკვეტება და ახლა ამ თათს მეორე დათვი ძიძგნის.

შემზარავი სურათია, ხალხში ვიღაც გულწასული ეცემა.

გალიას კენჭები და ქვები დავუშინეთ, ვცდილობთ მურა დათვები გავაგდოთ, მაგრამ ისინი უფრო მეტად გამძვინვარებული ჩანან, ერთი პაწაწინა, ბრჭყალებიანი თათი უკვე იატაკზე გლია.

მე ლატანს დავწვდი და დათვს თავში დავცხე, დათვების საზარელი ბლუილ-ღრიალზე დარაჯები და ადმინისტრაცია ჩვენკენ გამოქანდა.

ბელი დაბლა ჩამოიყვანეს.

თვალდასისხლიანებული მურა დათვები გააფთრებით დაძუნძულებენ გალიაში.

საბრალო ბელი კანტორაში წაიყვანეს, წინა თათები მოჯიჯგნილი აქვს.

უკვე აღარც ბლუის, აღბათ მოკლავენ. ახლა თანდათანობით ვასაცნაურებ, ჩანი არიან მხეცები და რით განსხვავდებიან ადამიანებისაგან.

მტრები

კვირა დღეა. ქუჩაში მივაბიჯებ, ზურგს უკან ვილაცის ხმა მესმის: „მიშა!“ ქალს უბრალოდ აცვია, ხელში სანოვაგით სავსე ჩანთა უჭირავს. — მიშა, — იმეორებს იგი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს. ჩემ წინ კატია დგას, ნაღია ვ-ს და.

— ღმერთო ჩემო, — მესმის მისი ბუტბუტი. — ნუთუ ეს თქვენა ხართ, თქვენა ხართ...

გულს საშინელი ბაგაბუგი გააქვს.

— განა აქედან არ წასულხართ? — ვეკითხები. — სად არის ნადია, ან თქვენები სად არიან?

— ნადია და მარუსია პარიზში არიან, წამოდით ჩემთან, ყველაფერს მოგიყვებით, მხოლოდ არ გაგიკვირდეთ, ძალიან ხელმოკლედ ვცხდები. ჩემი ქმარი უბრალო მუშაა, მაგრამ შესანიშნავი ადამიანია, პატივს შცემს და ვებრალები...

ჩვენ მომცრო ოთახში შევედით. მაგიდასთან ასე, ორმოციოდე წლის მამაკაცი იჯდა, ჩვენს შესვლაზე წამოდგა, მომესალმა, მერე პალტოს დასწვდა, ჩაიცვა და წავიდა.

— ხომ ხედავთ, რა კარგი ადამიანია, რარიგ თავაზიანი, — მეუბნება ნადია, — მაშინვე მიხვდა, სალაპარაკო რომ გექონდა.

დივანზე ჩამოვსხედით, აღელვებისგან ლამის დავიბრჩვე, კატია ტირილს იწყებს. ისე ქვითინებს, რომ ვიღაც კარს აღებს და კითხულობს, რა მოხდაო.

— არაფერი! — უკმეხად ეხმაურება კატია.

ტირილისაგან ერთიანად ცახცახებს, ალბათ წარსული აგონდება, თავისი ახალგაზრდობა, ბავშვობის წლები... შეძლებისდაგვარად, ვამშვიდებ.

კატია პირსაბანთან მიდის, ნამტირალევი სახეს იმშრალებს, ხმაურით იხოცავს ცხვირს.

მერე თავის თავგადასავალს მიყვება: ცხრაას ჩვიდმეტში სამხრეთისკენ გაემგზავრნენ, კავკასიაში უნდა ჩასულიყვნენ, იქიდან კი საზღვარგარეთ გავიღოდნენ, მაგრამ როსტოვში მამას პარტახტიანი ტიფი შეეყარა, დაყოვნება აღარ შეეძლოთ, დათვლილი დღეებიღა რჩებოდა. დებმა წილი ჰყარეს — ვან დარჩენილიყო მამასთან. დარჩენამ კათიას მოუწია. მამის გარდაცვალების შემდეგ დიდ გაქირვებაში ჩავარდა. დამლაგებლობა დაიწყო, მერე შინამოსამსახურედაც მუშაობდა. ბოლოს, როგორღაც მოახერხა ლენინგრადში გამომგზავრება, მაგრამ აქაც შავი დღე დაადგა, არც ბინა ჰქონდა და არც მეგობრები ჰყავდა.

— რატომ არ მოხვედით ჩემთან? — ვეკითხე, — ალბათ იცოდით, რომ მე...

— დიახ, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ ეს თქვენ იყავით.

კათიამ დებზე წამოიწყო ლაპარაკი. უფროსი წერილებს იწერება, ნადია კი არაფერს ატყობინებს. მას სძაგს ყველაფერი: რაც რუსეთში დატოვა.

— მე რომ მივწერო წერილი? — ვეკითხე.

— კოლია მ. ხომ გახსოვთ? იცით ალბათ, როგორ უყვარდა ნადია. კოლიამ წერილი მისწერა, ნადიამ ღია ბარათი გამოუგზავნა. ზედ მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა: „ჩვენ ახლა მტრები ვართ“.

დავემშვიდობე კათიას, შევპირდი, ხშირად გინახულებ-მეთქი.

ეს აღმავსოთხეულია

ჩემთან ალა მოვიდა. სახე ჩატეტკილი ჰქონდა, თვალებში სევდა ჩაგუბებოდა. უხმოდ მოიხსნა ყელზე შემოხვეული ჭრელი შარფი და თავი ოდნავ გადასწია.

ყელზე ლურჯად ჩაბეჭდვოდა ხუთი თითის ანაბეჭდი, დახრჩობა თუ ვინმემ დაუპირა...

— ალა, რა მოხდა? — შევუყვირე.

— ნიკოლაიმ ყველაფერი გაიგო, უნდოდა დავეხრჩე, მაგრამ ისეთი წივილ-კივილი ავტყხე, ოთახი ხალხით გაივსო, — ყრუდ მიპასუხა მან.

მერე ტირილი აუტყდა. ტიროდა, თან ამბობდა:

— ოჰ, რამ მომიყვანა შენთან. დაბთავრდა მშვიდი ცხოვრება, ქმართან აღარ დავბრუნდები, დედასთან გადავალ და ზოგჯერ შენც გინახე. ალას ყელზე თბილი კომპრესი დავადე, მერე მანქანა დავიჭირე და დედასთან წავიყვანე.

უჩვეულოდ ამაღელვა ამ ამბავმა, არ ვიცი, რას გამოველოდი აქედან. მაგრამ იმავე საღამოს ალას ქმარი ვინახულე. ჩემდა გასაოცრად, მშვიდად შემხვდა.

— თქვენგან ასეთ სულმდაბლობას არ მოველოდი, უნდა გაყროდით ალას, დაგეტოვებინათ, სადმე წასულიყავით. განა აღმაშფოთებელი არ არის, ასეთი პატარა გოგო კინალამ ხელში რომ შემოიკალით?..

მეგონა აყვირდებოდა, სახლიდან გამაგდებდა, მაგრამ მას თავი ჩაექინდრა და გაშეშებულივით იჯდა სავარძელში.

— სიგიჟემდე მიმიყვანა... აქამდე ეჭვით ვხვდებოდი, მლალატობს-მეთქი... მაგრამ გუშინ ხელჩანთაში აი, ეს წერილი ვუპოვე... — თქვა და წერილი მაგიდაზე დაავდო. ონვერტზე მსახიობ ნ-ს გვარი და თეატრის მისამართი ეწერა. ალა, ნ-სთან ერთად, რამდენჯერმე შემხვდა ქუჩაში.

წერილი მეტიხმეტად ინტიმური იყო და ეჭვი ხელერთიანად გამიქრა.

ისე გაოცებული და შეძრწუნებული ვიყავი, თავდაპირველად ვერც კი ვიპოვებ, ქმარმა ჩემ შესახებ რომ არაფერი იცოდა და მსახიობზე მელაპარაკებოდა.

რეტდასხმულივით შევყურებდი, ისიც დაბნეული შემომცქეროდა.

— კაცმა რომ თქვას, თქვენ ვინ რას გეკითხებათ? — მითწრა ბოლოს. — ალა დღეს თქვენთან იყო? ნახეთ? სხვა დროსაც მოდიოდა თქვენთან? — ერთბაშად მის თვალებში ამოვიკითხე, რომ უკვე რაღაცას ხვდებოდა.

სახეზე ხელი ავიფარე.

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა მან. — ესე იგი, ალა... გამოდის, რომ თქვენ... — გაჩუმდა, ირონიულად ჩაიციხა. მერე თითქმის მშვიდად მითხრა:

— მაშასადამე, თქვენც გატყუებდით, ბარაქალა!

არ დავმშვიდობებდევარ. ცივად დავშორდით ერთმანეთს. შინ მთვარეულივით მივდიოდი, ტვინი არეულ-დარეული მქონდა. მინდოდა გამეგო, რაღა მაინცდამაინც ჩემთან მოვიდა ალა, ჩაღურჯებული ყელი რომ ერევენებინა, მერე გაეფიქრე, ჩემამდე უთუოდ იმ მსახიობთან გაიქცეოდა-მეთქი, და ამან ოდნავ დამამშვიდა.

პარბია

ვცდილობ სამუშაოს ჩავუჯდე, მაგრამ არაფერი გამომდის.

ღივანზე ვწვები, ვერც აქ ვისვენებ და ისევ ვდგები. რაღაც მანერვიულებს, წუთითაც ვერ დავმშვიდებულვარ.

ისევ მაგიდასთან დავჯექი, თავს ძალა დავატანე, რომ მშვიდად ვყოფილიყავი, უნდა ვიმუშაო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს.

ფანქარი ავიღე და წერას შევუდექი, მაგრამ აზრი მოდუნებული მაქვს, ფანტაზია მლაღატობს, წინადადებები უფერული გამოძღის... რალაც ჩამწყდა სულში, რალაც დავეარგე, მინავლდა და ჩაიფერფლა შინაგანი ცეცხლი, შეწყდა მუსიკა, ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სამუშაოს რომ წინაშე დგოვდა, ხელებზე თავდანდობილი მაგიდასთან ვიჯექი. სიზღიძიძე
 უეცრად გამახსენდა ბაირონის სიტყვები:

ჩემი გენია გაფერმკრთალდა სთვლის ფოთოლივით.
 ჩემს ფანტაზიას სივრცეები აქვს გამოვლილი
 და ძველებურად ვერ აფრინდა, ცას ვერ შეება...
 და ნაღვლიანი სინამდვილის ძალამ, ვეებამ
 მატკინა გული, ნაოცნები გული მატკინა, —
 აქცია ჩემი რომანტიზმი მწარე სატირად.

გაშმაგებულმა გადავამტვრიე ფანქარი, ნაკუწებად ვაქციე ფურცელი და ქუჩას მივეც თავი. შესანიშნავი შემოდგომის დღე იყო, ირგვლივ ყვითელი ფოთლები ირწეოდა, თავზე მოთ ლურჯი ცა ჭიატობდა. ეგება სიარულში მაინც აღვიდგინო დაკარგული წონასწორობა.

ხის სახლს გავუბირისპირდი. კიბეზე მოხუცი ჩამომჯდარიყო. გასაოცრად მშვიდად იჯდა, თვალები დაეხუჭა, დამკვნარ-დანაოკებულ სახეზე სათნო, ნეტარი ღიმი დასთამაშებდა.

კი მაგრამ, ეს მოხუცი, სულ ცოტა, ოთხმოცი წლისა მაინც იქნება, ეგება, სულაც ერთი წლის სიცოცხლედა დარჩენია, ეს კი რა უშფოთველად, რა ბედნიერი სახით ზის.

მე ხომ მასთან შედარებით პატარა ბიჭი ვარ, მაშ რატომ უნდა ვიტანჯებოდე ასე? რა მაიძულებს წამისწამ ვიცვალო ადგილი, ვღელავდე, დავრბოდე. შეც მინდა ასევე მშვიდად ვიჯდე პარმალზე, რატომ არის ეს ბედნიერება ჩემთვის მიუწვდომელი?

მოხუცმა თვალები გაახილა, შემომჩერდა.

— კარგია! — მითხრა.

თავჩაქინდრულმა განვაგრძე გზა.

სიზიზი

ჩემს ოთახში მამაკაცი შემოდის, სავარძელში ეშვება, წუთით მდუმარედ ზის, რალაც ხმებს აყურადებს, მერე წამოდგება. კარს მჭიდროდ ხურავს, კედელთან მიდის, ზედ ყურით ეკვრება და გარანდული დგას.

თანდათანობით ვხვდები, რომ ჩემ წინაშე გიჟი დგას.

კაცი ერთხანს კედელთანაა ატუზული, მერე ისევ სავარძელში ეშვება და, სასომიხდილი, ხელებით სახეს იფარავს.

— რა დაგემართათ? — შევეკითხე.

— მომდევნ, — გაისმა პასუხად. — ტრამვაით მოვდიოდი და გარკვევით ჩამესმა: „აგერა... დაიჭირეთ, წაიყვანეთ!..“

კაცი ისევ იფარებს ხელებს სახეზე, მერე ხმადაბლა ამბობს:

— მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემი ხსნა.

— როგორ?

— გვარები უნდა გავცვალოთ, თქვენ გორშკოვი იქნებით, მე კი პოეტო ზოშჩენკო (ზუსტად ასე თქვა, პოეტო).

— კეთილი, თანახმა ვარ, — მივუგე.

კაცი ჩემკენ გამოქანდა და ხელი ჩამომართვა.

— კი მაგრამ, ვინ მოგდევთ, ვინ გიპირებთ დაჭერას? — მიმუხვევით.

— ამას ვერ გეტყვით.

— რაკი თქვენი გვარი უნდა ვატარო, საქმის ვითარებაც ხომ უნდა ვიცოდე?

— როგორ გითხრათ, თვითონაც არაფერი ვიცი, მე მხოლოდ მათი ხმები ჩამესმის, ღამით კი მათ ხელებსაც ვხედავ, ყოველი მხრიდან მოიწევენ ჩემკენ, ვგრძნობ, ადრე თუ გვიან დამიჭერენ და დამახრჩობენ. — ხელების მტვრევით მითხრა მან.

ამ კაცის ნერვული ქრუოლა მეც გადმომედო, ცუდად შევიქენი, თავბრუ დამეხვა, თვალწინ წრეები დამიტრიალდა. ეს ვილაც არის, თუ ახლავე არ გაეცალა აქაურობას, გრძნობას დაგკარგავ. მისი სიახლოვე ჩემზე მომაკვდინებლად მოქმედებს.

ძალა მოვიკრიბე და წავიდულუნე:

— წადით, ახლა უკვე ჩემი გვარი გაქვთ და შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. წამოდგა და სახეგაბრწყინებული წავიდა.

საწოლზე დავწექი. გული საშინელმა სევდამ შემიკუმშა.

სასტუმროში

ტუაფსეს სასტუმროს პატარა ნომერში ვიმყოფები, რატომღაც იატაკზე გამოტილი ვწევარ; ხელები აქეთ-იქით გადამიყრია, თითებს კი წყალი მისველებს.

ეს წვიმის წყალია, ახლახან გადაიარა თქეშმა, ფანჯრის დასაკეტად წამოდგომა დამეზარა და წვიმის ნაკადი ოთახში შემოიჭრა.

ისევ ვხუჭავ თვალს და საღამომდე რალაცნაირად გაშეშებულ-გაქვავებული ვაგდივარ იატაკზე.

ალბათ აჯობებდა საწოლზე გადაესულიყავ, იქ უფრო მოხერხებულად დავწვებოდი, მაგრამ წამოდგომა რომ არ მინდა?!

ასევე დაწოლილი ვიწვდი ხელს ჩემოდნისკენ და ვაშლს ვიღებ. არც დღეს ჩამსვლია ლუკმა პირში.

ვკბეჩ ვაშლს, ჩალასავით ვღებავ, ვაფურთხებ, უგემურია.

მთელი ღამე ამგვარად ვიწექი.

ღლით კარზე ვილაცამ მომიკაკუნა. კარი გასაღებით მაქვს ჩაკეტილი. არ ვაღებ. დამლაგებელი ქალია, ოთახი უნდა მიაღაგოს, სამ დღეში ერთხელ ხომ მაინც უნდა დაასუფთაოს აქაურობა!

— არაფერი არ მჭირდება, წადით, — გავძახი აქედან.

ღლისით გაჭირვებით წამოვზეზვედი, სკამზე ჩამოვჯექი. შიშმა ამიტანა, ვიცი, თავს უნდა ვძლიო. ასე რომ გაგრძელდეს, ამ უბადრუკ ნომერში ამომჭვრება სული. როგორმე აქაურობას უნდა გავეცალო.

ჩემოდანი გავხსენი და გამალებით დავიწყე ნივთების შეგროვება.

მერე მოახლეს ვუხმე.

— ავად შევიქენი, სადგურზე უნდა გამაცილოს ვინმემ, ბილეთი ამიღოს... მხოლოდ ახლავე, დაუყოვნებლივ.

მოახლემ ადმინისტრატორი და ექიმი შემოიყვანა. ექიმმა ხელზე ხელი გადამისვა და მითხრა:

- ნერვების ბრაღია... მხოლოდ ნერვების... ბრომს გამოგიწერო.
- დაუყოვნებლივ უნდა წავიდე აქედან, — ვბუტბუტებ.
- დღესვე გაგამგზავრებთ, — მამშვიდებს სასტუმროს ექიმი.

დასაწყისი

და აჰა, ჩემი მოგზაურობაც დასრულდა.

1926 წლამდე მოვატანე, ზუსტად იმ დრომდე, როცა ჭამა ავიკვეთე და ლამის იყო, თავი დავიღუბე.

ჩემ წინაშე სამოცდასამი ამბავია, სამოცდასამი შემთხვევა თუ ეპიზოდი, ოდესღაც რომ შემათფორიაქა და გულს სამუდამოდ დაეჭდო.

ერთხელ კიდევ გადავაველი თვალი ნაწერს, იქნებ სადმე ვიპოვო-მეთქი, ჩემი შავნალვლიანობის, ჩემი მოწყენილობის, ჩემი ავადმყოფობის მიზეზი. მაგრამ აქ მსგავსი ვერაფერი ამოვიკითხე. პო, რა თქმა უნდა, ბევრი რამ მძიმედ მოხვდება კაცს გულზე, მაგრამ უჩვეულო მინც არაფერია. როცა იქნება, ყოველ ჩვენგანს უნდა მოუკვდეს დედა, ყველა ტოვებს სახლს, შორდება სატრფოს, ომში წასვლაც უწევს...

არა, აქ ვერ ვნახე ჩემი ძიების საგანი. მაშინ ყველა ეს პატარა ამბავი ერთად შევკინძე, მინდოდა მენახა, რას მომცემდა ერთიანი აქორდი, ერთი საერთო სურათი, შევკინძე და, კითხვისას, წყლიდან ამოგდებული თევზივით გავბრუნდი.

რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ბევრი რამ ვიწვნიე და განვიცადე, ბევრი სიმწარე გამოვიარე, რალა არ იყო ჩემს თავს: ბედის უკუღმართობა და სიმუხთლე, ძველი სამყაროს დაღუპვა, ახალი ცხოვრების შექმნა, ახალი ხალხის, ახალი ქვეყნის დაბადება.

მაგრამ აქ კატასტროფული არა იყო რა. პირიქით, მე თავად ვიყავი მოსურნე ამ სიახლეში ბორჯღალა მზე დამენახა, სევდით გულაფორიაქებული კი აღრეც გახლდით, მაშასადამე, ჩემი სევდა სიახლით არ იყო გამოწვეული. პირიქით, ბოლო დროის მოვლენები დამეხმარა ახლებურად დამენახა ცხოვრება, ქვეყანა, ხალხი, ვისთვისაც მუშაობას შევუდექი. რაკი ასეა, სევდა-კაემნისათვის გულში ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო, მაშ რატომღა მტანჯავდა ეს კაემანი?

გაოგნებული ვიყავი, ძნელი ამოცანის ამოხსნა მხვდა წილად, უნდა დამედგინა მიზეზი ჩემი შავნალვლიანობისა. მიმეკვლია იმ უბედური შემთხვევისათვის, ასე რომ ჩამიშავბნელა ცხოვრება, მტერის უბადრუკ ნაწილაკად მაქცია და ქარის ყოველ წამოქროლვაზე აქეთ-იქით მაწიალებდა.

„იქნებ ეს მიზეზი თუ შემთხვევა ჩემი ცხოვრების აღრეულ ხანაში უნდა მეძებნა, ეგება ბავშვობაშივე შემერყა ფეხქვეშ მიწა და ახლა ამიტომაც მიგბორძიკობ ამგვარად ცხოვრების გზაზე?“ — გავივლე გუნებაში.

მართლაც, რატომ გამომრჩა ბავშვობის წლები?

ეს ხომ ის ხანაა, როდესაც აღამიანი პირველად ეცნობა სამყაროს, უფრო

ღრმად, უფრო შთამბეჭდავად აღიქვამს მოვლენებს? როგორ არ გავითვალისწინე ყოველივე ეს.

„არ არის საჭირო ყველა წვრილმანი გავაცოცხლო გონებაში, — უნდა გავიხსენო შთამბეჭდავი მოვლენები, ყველაფერი ის, რაც სულიერ მღვლავარებასთან იყო დაკავშირებული“, — ვთქვი და მოგონებებში ჩავიძირე. გავიხსენე ბავშვობა, ყველაფერი, რაც იმ დროს თავს გადამხდენოდა და სულიერმა მღვლავარებამ უჩვეულო შუქით გააცისკროვნა ჩემი წარსული.

ეს ისევ წამიერი სურათები იყო, მხოლოდ მჭიდროდ ფეხმოდგმული ჩემს მეხსიერებაში. ეს მოგონებები, ბავშვობისდროინდელი ამბები, იმაზე მეტად მალეღვებდა, ვიდრე სურვილი იმისა, მიმეკვლია ჩემი უბედურების მიზეზისათვის.

IV უმეზარაპი სამხარო

ძე შეცდომილი მხოლოდ ზღაპრებში
უბრუნდება მამისეულ კერას.

ამრიგად, შევეცადე გონებაში აღმედგინა ყველაზე მეტად შთამბეჭდავი სურათები ჩემი ბავშვობიდან, გამეხსენებინა ყველაფერი, რაც სულიერ მღვლავარებასთან იყო დაკავშირებული, მიმეკვლია, რა უბედურება დამატყდა თავს, რამ წამკიდა საშინელი კაეშანი, მთელი სიცოცხლე რომ ჩამიშავებნელა.

„საიდან დავიწყო, როგორ აჯობებს?“ — გავიფიქრე.

სასაცილო იქნებოდა, ჩემი მოგონებები ერთი წლის ისაკიდან დამეწყო, სასაცილო იქნებოდა, გამეხსენებინა, რა მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ორი, სამი, თუნდაც ოთხი წლისა რომ ვიყავი. რა განცდები უნდა მქონოდა ერთი ციდა ღლაპს! დიდი რამე, ჩხარუნას თუ წამართმევდნენ, საწოვარა ღამის ქოთანში ჩამივარდებოდა, მამლაყინწა შემაშინებდა, თუ დედა წამომართყამდა უკანალზე... რა გასახსენებელი იყო ეს უმნიშვნელო ამბები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, დრო-ჟამს ისედაც ხელერთიანად ამოეშალა ჩემი მეხსიერებიდან.

„ხუთი წლიდან უნდა დავიწყო“, — გავიფიქრე.

და ფიქრს შეჭიდებულმა თანდათანობით გავიხსენე, რა გადამხდა თავს ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

და როდესაც მეხსიერებაში ზედმიყოლებით აღსდგა წარსულის სურათები, მოულოდნელად შიშიც წამომეპარა, თითქოს კანკალმაც კი ამიტანა... მაშასადამე, სწორ გზას ვადგავარ, — გავიფიქრე, — წყლულმა უკვე თავი იჩინა, რაკი ასეა, ახლა უკვე შემძლია მივაკვლიო ჩემი ბედუკუღმართობის მიზეზს.

ხუთიდან თხუთმეტ წლამდე

სასწრაფოდ უნდა დავივიწყო მე არარსებულ და წარმოსახულ წყენის მძიმე მოგონებები.

მაგიდაზე ლედვით თავმოდგმული თეფში დევს. რა საოცარია, ღეჭავ ლედვს და უამრავ პაწაწინა წიბწას პირში სასიამოვნო კნაწაკნუწი გაუდის.

ნასადილევს ბავშვებს მხოლოდ ორ-ორი გალეული ლედვი მოგვცეს, მაგრამ ეს რას კმაროდა!

სკამზე ავძვერი, უბოდიშოდ მოვიჩოჩე ჩემკენ თეფში და ერთ ლედვს კბილები დავასვი.

ვარაუდი გამიმართლდა — წიპწებით იყო დატენილი, საინტერესოა, სხვე-
ბიც წიპწიანია?

სათითაოდ ვიღებდი ხელში ნაყოფს და გვერდს ვაციცქნიდი, დიახ, ყველა
წიპწიანი აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ცუდად ვიქცევი, ამას არ უნდა ვაკეთებდე, მაგრამ მე ხომ
მთელ ნაყოფს არ ვჭამ, ცოტას წაფიცვიცქნი და დანარჩენს უფროსებს ვუტოვებ.

ყველა ნაყოფი ამრიგად რომ დავიგემოვნე, სკამიდან ჩამოვძვერი და მა-
გიდის ირგვლივ სიარულს მოვყევი.

ამასობაში ჩემი მშობლებიც შემოვიდნენ.

— მე ლეღვი არ შემიჭამია, — მივახარე მაშინვე, — მართო პატარა ნაქე-
რი ჩამოვაციცქნე.

დედამ თეფშს დახედა და ხელი ხელს შემოჰკრა, მამამ გაიცინა, მაგრამ
მისკენ მივიხედე თუ არა, წარბი შეიკრა.

— წამოდი, უნდა გაგტყიპო, მერე უკეთ დაიხსომებ, რა შეიძლება და
რა არა, — მითხრა დედამ.

დედამ საწოლისკენ წამაპორწიალა და წვრილ ქამარს დასწვდა.

გულამოსკვნილი ავღრიალდი, თან გავეყვიროდი.

— მეტს აღარ ვიზამ, აღარ!

ქუჩაში არ უნდა იდგა

ჩვენი სახლის ალაყაფის კართან ვდგავარ, მთლად კართან კი არა, ბოძ-
თან. ამის იქით ფეხის გადგმა მეკრძალება, შეიძლება ეტლმა გამიტანოს.

უეცრად დავინახე ჩემკენ ორთვალა ველოსიპედი მოგორავდა, ზედ კეპი-
ანი კაცი იჯდა.

ზარს რატომ არ აწკარუნებს? ველოსიპედისტები ყოველთვის აწკარუნებენ
ხოლმე ზარს, ვინმეს რომ არ დაეჯახონ.

მე განზე გავრბივარ, მაგრამ ველოსიპედი მაინც ჩემკენ მოქრის. წამიც
და, კეპიანმა მიწაზე ბრაგვანი მოიღო. მეც დავეცი, ველოსიპედი კი ზემოდან
გადმომემხო.

ცხვირიდან სისხლმა იფეთქა.

სისხლის დანახვაზე ისე ავღრიალდი, რომ ჩემ ირგვლივ ხალხი მოქუჩდა,
ის ცაოფენა გაზეთის გამყიდველიც კი მოკოჭლაგდა, ჩვენი ქუჩის კუთხეში
რომ იდგა ხოლმე.

დედამ ხალხი გაარღვია და ჩემკენ გამოქანდა.

წაქცეული რომ დამინახა, ველოსიპედისტს ისე გაულაწუნა სახეში, კეპი
თავიდან გადაუგდო.

მერე ხელში ამიტაცა და კიბისკენ გამაქანა.

აქ შეჩერდა და სინჯვა დამიწყო. მთელი სხეული დამითვალეირა, ბევრი
არაფერი დამშავებოდა, ეგ იყო, ცხვირიდან სისხლი მდიოდა და ფეხიც გაკაწ-
რული მქონდა.

— აფსუსს, არ ვიცოდი ფეხიც რომ გატკინა, თორემ იქვე წავაცლიდა
თავს, — გაბრაზდა დედა.

— შენი ბრალია, ქუჩაში არ უნდა გასულიყავი, — მითხრა მამამ.

ოქროს თევზები

ფანჯრის რაფაზე ქილა დგას, შიგ ორი ოქროს თევზი დაცურავს. ქილაში ორცხობილის ნაფშხვენებს ვყრი, დაე, დანაყრდნენ, მაგრამ თევზები, რატომღაც, გულგრილად უვლიან გვერდს საკვებს.

რაკი არ ჭამენ, ეტყობა, კარგად ვერა აქვთ საქმე, თუმცა არც გასაკვირია, დღენიადაგ წყალში სხედან. აი, აგერ, ფანჯრის რაფაზე რომ დამასმეკინა, ეგება მადაზე მოვიდნენ.

ქილაში ხელი ჩავაცოცე და თევზები ფანჯრის რაფაზე ამოვსხი. არა, არც აქ სიამოვნებთ ყოფნა, სხმარტალებენ და არც საქმელს ეკარებებიან.

ავდექი და ორივეს ისევ ქილაში ჩავუძახე. მაგრამ მთლად უარესი! ახლა მუცელამოყირავებულები დაცურავენ, ალბათ ისევ წყლიდან ამოსვლა სურთ.

თევზები ამოვიყვანე და პაპიროსის კოლოფში ჩავსხი. ნახევარი საათის შემდეგ კოლოფს თავი ავხადე, თევზები დახოცილიყვნენ.

- რად ჩაიღინე ეს? — გაბრაზდა დედა.
- მინდოდა უფრო კარგად ეგრძნოთ თავი.
- ნუ სულელობ, ვის გაუგია, თევზი უწყლოდ ცხოვრობდეს! განაწყენებულმა სლუკუნის მოვრთე. მეც ვიცი, თევზი უწყლობას რომ ვერ იტანს, მაგრამ ეს ხომ მათი სიკეთისთვის ჩავიღინე.

ბიოლოგიურ ხალხი

დედას ჩემთვის ხელი ჩაუკიდნია და ბილიკ-ბილიკ მივაბიჯებთ. ცხოველებს მერე დავათვალთვლებთ, ჯერ კი ბავშვებისთვის შეჯიბრება უნდა მოეწყოს.

მოედნისკენ გავუხვიეთ. აქ უამრავი ბავშვია. მათ ტომრებს ურიგებენ. ბავშვი ტომარაში უნდა ჩაძვრეს და ტომრის კიდები ზონრით მკერდზე დაიმაგროს. აი, ტომრები უკვე შეკრულია და ბავშვები თეთრ ხაზზე მწყრივად დგანან.

ვილაცამ დროშა აიქნია და დაიყვირა: „გაიქეციო!“ ჩვენ გავრბივართ, ტომარა ფეხებში გვებლანდება, ბავშვები ეცემიან და ტირიან, ზოგიერთი გაჭირვებით წამოიზლაზნება და ისევ გარბის. მეც კინალამ მოვაღინე ტყაპანი, მაგრამ თავი შევიმაგრე და სწრაფად წავფრატუნდი წინ.

მაგიდასთან პირველი მივედი. ყველამ ტაში დამიკრა. მუსიკაც უკრავდა. ერთი კოლოფი მარმელადი, დროშა და სურათებიანი წიგნი მომცეს. საჩუქრები მკერდზე მივიკარი და დედასთან მივირბინე. ძელსკამზე დავსხედით, დედამ ტანსაცმელი მომიწესრიგა, თმა დამგარცხნა, მოთხუპნილი პირისახე ცხვირსახოციტ გამიწმინდა. მერე მაიმუნების სანახავად წავედით. ნეტავი მაიმუნები მარმელადს თუ ჭამენ? მოდი, გავუმასპინძლები.

ვაიმე, სად გაქრა ჩემი კოლოფი?..

— ალბათ ძელსკამზე დაგვრჩა, — მეუბნება დედა.

მე ძელსკამისკენ გავრბივარ, მაგრამ კოლოფი იქ აღარ არის. ისე ხმამაღლა ავღრიალდი, მაიმუნებიც კი შემომამჩერდნენ.

— ალბათ მოიპარეს ჩვენი კოლოფი, — მითხრა დედამ. — არა უშავს, სხვას გიყიდი.

— მე ჩემი ყუთი მინდა! — ისე ხმამაღლა ვიყვირე, რომ ვეფხვი შეკრთა, სპილომ კი ხორთუმი აიქნია.

ნაპირზე

აგარაკზე ვართ. მდინარის პირას ვთამაშობთ.

უეცრად ჩემმა დამ ლელიამ შეჰყვირა:

— ბატონებო, იუღია წყალმა წაიღო!

ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე, ჩემი უმცროსი და იუღია მართლაც არსად ჩანდა.

— მართლა იხრჩობა აგერ მესი ქუდი წყალში ტივტივებს, — ყვირის ლელია.

შურდულივით გავექანე ჩვენი აგარაკისკენ, თან ვყვიროდი:

— დედა, იუღია დაიხრჩო!

დედა ისე სწრაფად გაიქცა მდინარისკენ, რომ ძლივს წამოვეწიე, ნაპირზე მივირბინეთ. დედამ იუღიას ქუდი წყალში რომ დაინახა, გულშეწუხებული დაეცა მიწაზე.

ამ დროს ლელიას ყვირილიც გაისმა:

— არა, ბატონებო, იუღია არ დამხრჩვალა, აგერ ნავში ზის, თავის ქუდს მისდევს!

ყველამ იქითკენ გავიხედეთ. იუღია მართლაც ნავში იდგა და ხელში ნიჩაბს აცოდვილებდა, უნდოდა ნავი თავის ქუდისკენ გაეცურებინა, მაგრამ ჩქერი სწრაფი იყო და ქუდს ქვემოთ მიაქანებდა.

— დედა, თვალი გაახილე, იუღია არ დამხრჩვალა.

დედამ იუღია ნავში რომ დაინახა, დაუყვირა:

— იუღია, ახლავე უკან გამობრუნდი, თორემ წყალი ჩაგითრევს!

ბარემ გამობრუნდებოდა, მაგრამ ვერ ახერხებს, ნიჩაბს ვერ იმორჩილებს, აგე, საით წაიღო წყალმა.

იუღია უკვე კარგა მანძილით დაშორდა ნაპირს, ახლა თვითონაც შეშინდა და ყვირილი მორთო, მიშველეთო.

იუღიას წივილ-კივილზე დედას ისევ გული წაუვიდა.

უცბად ვიღაც კაცი ნავში ჩახტა და იუღიასკენ გაცურდა.

— ნუ გეშინია, დედა, იუღიას ახლავე გადაარჩენენ, — ვიყვირე მე.

კაცმა იუღიას ნავი თავისას გამოაბა და ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ნაპირზე გამოვიდნენ.

დედამ იუღია ხელში აყვანილი წაიყვანა შინისკენ. თან კოცნიდა და ქვითინებდა.

ქრონოგრაფი

ჩიტს შურდულით დავდეგ. ჩიტი გაფრინდა და ჩვენი სახლიდან კარგა მოშორებით, ხეზე შემოაჯდა.

ბალიდან გასვლა აკრძალული მაქვს, მაგრამ რაკი ასეთი სასატიკო მიწები ვამიჩნდა, მე მგონია, შეიძლება გავიდე.

გზაზე გავხტი და ჩიტისკენ გავქანდი.

უცებ ბლავილი ჩამესმა.

მივიხედე. ღმერთო ჩემო, ზურგს უკან ძროხების ჯოგი არ ამდევნებია!

გასაქცევი გზა მოჭრილი მაქვს, სახლამდე ვერ მივალწევ.

ძროხები უკვე სულ ახლოს არიან, აქეთ-იქით მივაწყდ-მოვაწყდი და მერე უცბად ხეზე ვდურთე თავი.

ძროხებიც ხის ძირას მოჯარდნენ.

უბედურება ის არის, რომ აქედან ფეხსაც აღარ იცვლიან.

თითქოს ჯიბრზე, ხესთან დგანან და ბალახს წიწკნიან, მე ვითომ ვერც კი მამჩნევენ.

იქნებ ჰგონიათ, ძირს ჩავცოცდები, რომ რქებზე წამომაგონ? მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ისეთი სულელი ვარ. ვიჯდები აქ, სანამ თავის გზით არ წაეხეტებიან. ოღონდ ეს ნუერი არ ჩამიტყდეს, ზედ რომ ვზივარ, თორემ საქმე ცუდად იქნება, აი, იმ ორ ძროხას შუაში ჩავუვარდები და რქებზე წამომაგებენ.

უეცრად მწყემსი დავინახე, მოდიოდა და შოლტს მოატყლაშუნებდა. ანდრიუშკა იყო, ჩემი ნაცნობი მწყემსი. ვიცოდი, დამეხმარებოდა.

— ანდრიუშკა! — დავუყვირე. — მომაშორე ეს ძროხები, აგერ აქ, ხის ძირას რომ დგანან, ბალახს ძოვენ და წასვლა ვეღარ მოუფიქრებიათ.

ანდრიუშკამ შოლტი აატყლაშუნა, ძროხები ზღაზვნით გაშორდნენ იქაურობას. ისე გავთამამდი, შურდული მოვიმარჯვე და ძროხებს კარგა მოზრდილი კენჭი ვდრუხე.

მერე ხიდან ჩამოვძვერი და ნირწამხარი ფეხაკრეფით წავედი ბალისკენ. ვგრძნობდი, დამნაშავე ვიყავი.

მეცხე-მეხილი

მე და ჩემი დაიკო ლელია მინდორ-მინდორ დავდივართ და ყვავილებს ვკრეფთ. მე ყვითელი ყვავილების თაიგულს ვკრავ, ლელია კი ცისფერებს ეძებს. ჩვენ უკან, თეთრი ყვავილებით ხელში, ჩვენი უმცროსი და იულია მობაჩუნობს.

ფერები განგებ დავინაწილეთ ამგვარად, რომ უფრო სახალისო იყოს.

— ბატონებო, შეხედეთ რანაირი ღრუბელია! — ამბობს უეცრად ლელია.

სამივენი მაღლა ვიყურებით, ცაზე ნელ-ნელა მოიგრაგნებზ საზარელი შავი ღრუბელი, მისი სიშავით ირგვლივ ყველაფერი თალხად იბურება. ღრუბელი ურჩხულივით მოიწევს წინ, მალე მთელ ცას დაფარავს.

— ახლავე თავსხმა წამოვა, ჩქარა, გავიქცეთ შინ! — ამბობს ლელია.

ჩვენ შინისკენ გავრბივართ, მაგრამ ჩვენი სახლი სწორედ იქითკენაა, საიდანაც ეს ღრუბელი მოემართება, ახლავე სამივეს ხანაში მოგვიქცევს.

მოულოდნელად ქარბორიომ წამოუბერა და ჩვენ ირგვლივ ყველაფერი და-
ატრიალა. მტვერი და ბალახბუღაბი წამოხვეტა, ბუჩქები მიწაზე მიაწვინა,
ხეების ტოტები მიზნიქ-მოზნიქა.

რაც ძალი და ღონე გვაქვს, გავრბივართ.

წვიმის მსხვილი წვეთები უკვე თავზე გვიშხაბუნებს.

ელვა შემზარავად გაიხლაქნა და გრგვინვამ არემარე გააყრუა.

თავზარდაცემული მიწაზე გავიშოტე, მერე წამოვხტი და ისევ გავიქეცი,
ისე გავრბოდი, კაცს ეგონებოდა, ვეფხვი მოსდევსო.

აჰა, აგერ ჩვენი სახლიც.

უკან ვიხედები, ლელიას იულიასთვის ხელი ჩაუვლია და მოაჩანჩალებს.
იულია ღრიალებს.

კიდევ ასიოდე ნაბიჯი და უკვე პარმალზე ვარ.

ლელიაც წამომეწია და წყრომით მითხრა: ყვითელი თაიგული რატომ და-
კარგეო. თაიგული არ დამიკარგავს, მინდორში მოვისროლე.

— ამ ჭექა-ქუხილში რა დროს თაიგულებია, — ვუთხარი.

ერთმანეთს ჩახუტებულნი საწოლზე დავსხედით.

ჭექა-ქუხილისაგან სახლი ერთიანად ზანზარებდა, წვიმას ფანჯრის მი-
ნებსა და სახურავზე რაკარუკი გაუდიოდა. ისეთი თქეში მოვარდა, ირგვლივ თვა-
ლი ველარაფერს ხედავდა.

ცოფიანი ძაღლი

შინ შევცვივდით და კარი მაგრად მოვიჯახუნეთ.

ფანჯარასთან მივირბინე და საკეტი გულდაგულ ჩაერაზე.

ეზოში ვიყურებით, იქ დიასახლისის გოგო კატია ღვას.

მინაზე ვაბრაახუნებთ და ვყვირით:

— კატკა, სულელო, ჩქარა შედი შინ, დაიძალე! ქუჩაში ცოფიანი ძაღლია.
იმის ნაცვლად, შინ გაიქცეს, კატკა ჩვენს ფანჯარასთან მოდის და გველა-
პარაკება, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

— სად ნახეთ ის ძაღლი? — გვეკითხება, — ეგება სულაც ირაა ცოფიანი.

მე ბრაზი მომერია და დავუყვირე:

— ორი კაცი უკვე დაკბინა, შენც რომ დაგკბინოს, ჩვენი ბრალი არ იქ-
ნება, აკი გაგაფრთხილეთ...

კატია ნელი ნაბიჯით მიდის თავის სახლისკენ.

ცოფიანი ძაღლი ჩვენს ეზოში შემორბის, ოჰ, რა შავი და საშინელია,
კუდი უკან დასთრევს. დაბჩენილი ხახიდან ღუჭი გადმოსდის.

კატიამ ფოცხს ხელი წაავლო და ძაღლს მოუქნია, ძაღლი განზე განტა.
კატიამ გადაიხარხარა.

წარმოდუგენელი რამ მოხდა, ძაღლს კატკასი შეეშინდა, მე კი მეგონა, ცო-
ფიან ძაღლებს არავისი ეშინიათ და ყველას კბენენ-მეთქი.

უცებ ეზოში ხალხი შემოცვივდა, ხელში ჯოხები ეჭირათ, ძაღლს მოსაკ-
ლავად მოსდევდნენ, მაგრამ ძაღლი გაიქცა. კაცები უკან გამოენთნენ, უქსევ-
დნენ.

ჩვენ გული მოგვეცა, ფანჯარა გამოვადეთ, მერე ბაღშიც ჩავედით, რა
თქმა უნდა, ბაღში ყოფნა საშიშია, რა იცი. შეიძლება ძაღლი ისევ შემო-

იქრას ეზოში, მაგრამ პარმალზე რომ დავსხდეთ, არაფერი უშავს, თუ ძაღლი დაეინახეთ, გაქცევას ყოველთვის მოვასწრებთ.

ძაღლი ჩვენს ბაღში აღარ შემოსულა, იქვე, მეზობლის ეზოში მოკლეს კაცებმა.



ახლა კი დავიძინეთ

კანდელი ოდნავ ბუტბავს. ოთახში ბნელა. ჩვენს საწოლებთან გადია ზის და ზღაპარს გვიყვება.

გადია ნელ-ნელა ირწევა სკამზე, თან მონოტონურად დუდუნებს:

„კეთილმა ფერიამ ბალიშქვეშ ხელი შეაცურა და, რას ზედავს, გველი არ იხლავნება! ლეიბქვეშ მოათათურა ხელი — ორი გველი და გველგესლა დახვდა. საწოლქვეშ კი ოთხი გველი, სამი გველგესლა და ერთი ზღარბი შემალულიყო.“

კეთილი ფერია უხმოდ დასწვდა თავის ფეხსაცმელებს — ყოველ მათგანში ორ-ორი გომბეშო ჩასკუბებულიყო. ფერიამ ლურსმნიდან თავისი პალტო ჩამოგლიჯა, უნდოდა საჩქაროდ ჩაეცვა და აქაურობას გასცლოდა, მაგრამ პალტოს სახელოებში ექვს-ექვსი გველგესლა და ოთხ-ოთხი გომბეშო გაქედნილიყო.

ფერიამ ამ უწმინდურებს ერთად მოუყარა თავი და უთხრა:

— იცით, რას გეტყვით? თქვენთვის ცუდი არაფერი მინდა, ნურც თქვენ მიმტრობთ, მშვიდობიანად გამიშვით აქედან.

— ჩვენ არაფერს შეგამთხვევთ, კეთილო ფერია, გმადლობთ, რომ ყველანაირად არ დაგვზოცე, — მიუგეს უწმინდურებმა.

მაგრამ უეცრად იქეჩა და იგრიალა. მიწიდან ცეცხლი ამოსკდა და კეთილი ფერიის წინაშე ბოროტი ფერია წარსდგა.

— ეს უწმინდურები და ავი სულელები განზრახ დაგასიე, მაგრამ, ჩემდა გასათვრად, შენ როგორღაც შეძელი მათი გადაბირება, რაკი ასეა, ახლა ძროხად უნდა გაქციო, სხვა გზა აღარა მაქვსო. — თქვა ბოროტმა ფერიამ.

ისევ იქეჩა და იგრიალა, და იმ ადგილას, სადაც კეთილი ფერია იდგა, ჩვეულებრივი ძროხა გაჩნდა...

გადია გაჩუმდა. ჩვენ შიშით ვცახცახებდით.

— იმ უწმინდურებს რაღა დაემართათ? — იკითხა იულიამ.

— ეს უკვე აღარ ვიცი, ალბათ ბოროტი ფერიის დანახვაზე მიიმალ-მოიმალნენ, თავ-თავიანთი ადგილები მონახეს.

— ბალიშებისა და ლეიბების ქვეშ შეძვრნენ? — ვიკითხე თავზარდაცემულმა და ბალიშიდან თავი წამოვწიე.

გადია წამოდგა.

— აბა, კმარა ლაპარაკი, უკვე ძილის დროა, — გვითხრა მკაცრად.

ჩვენ საწოლებში ვწევართ. ხელის გატოკებისაც კი გვეშინია. „ხო-ხო“, — ამბობს ლელია საზარლად დაბოხებული ხმით. მე და იულია შიშისაგან ვიზაფრებით, ვევედრებით ლელიას, ნუ შეგვაშინებო, მაგრამ მას უკვე სძინავს.

დიდხანს ვზივარ საწოლზე, ბალიშზე თავის დადება ვერ გამიბეღია. დი-

ლით რძეს პირს არ ვაკრებ. ასე მგონია. ფინჯანში მოჯადოებულ ქერიის რძე ასხია.

რა ადვილი ყოფილა

ქრისტეშვილი
ბიზლიქთქა

ფორანში ვსხედვართ, გლეხის ქურანა ცხენი მარდად გარბის მტვრიან შარაზე.

ცხენი სახლის პატრონის შვილს ვასიუტკას მიჰყავს. დაუღვერად უჭირავს ხელში სადავე და დროდადრო შეუძახებს ხოლმე ქურანას:

— აბა, აჩუ, აჩუ... ნუ გძინავს...

ცხენს სულაც არ სძინავს, გულმოდგინედ კეცავს შარას, მაგრამ ალბათ ასეა საჭირო.

ხელები მეწვის, ისე მინდა სადავეს დავეპატრონო, ცხენი ჩემს ნებაზე ვატარო, შევუძახ-შემოვუძახო, მაგრამ თხოვნას ვერ ვბედავ.

უეცრად ვასიუტკა თვითონვე მეუბნება:

— აბა ერთი ეს სადავე დაიჭი, პაპიროსი უნდა მოვწიო.

— არა, არ ანდო სადავე, მაგას ამეგებისა არაფერი გაეგება, — ეუბნება ვასიუტკას ჩემი და ლელია.

— როგორ თუ არ გაეგება, ამას რა დიდი ცოდნა უნდა და აბა, სადავეები გაწვდილ ხელებში მაქვს ჩაბლუჭული.

ლელია მაგრად ეჭიდება ფორნის კიდეს და ამბობს:

— აი, ახლა კი ვნახავთ სეირს, უეჭველად გადავირავდებით.

ზედ ამ დროს ბორბალმა ბურცოს გადაურა და ფორანი შეხტა.

— მორჩა, ახლავე გადავირავდებით! — იყვირა ლელიამ.

მეც მგონია, ფორანი უთუოდ უნდა გადავირავდეს, რაკი სადავე მე მიჭირავს ხელში. მაგრამ არა, ფორანი მხოლოდ ერთხელ შეხტა, მერე კი ჩვეულებრივად გაგორდა გზაზე.

წარმატებით გაამაყებული, ცხენს სადავეს ზურგზე ვუტყაპუნებ და შევძახი: „აჩუ, აჩუ, ნუ გძინავს!..“

უეცრად მოსახვევი დავინახე და შეშინებულმა ვასიუტკას მივაყვირე:

— საით უნდა მოვწიო სადავე, ცხენი რომ მარჯვნივ წავიდეს?

— მარჯვნივ მოსწიე.

— რამდენჯერ მოვწიო მარჯვნივ?

— ერთხელ მოსწიე, — მხრები შეიშმუშნა ვასიუტკამ.

მე მარჯვნივ ვკრეფ სადავეს და ცხენიც მარჯვნივ გარბის, სწორედ ისე, ზღაპრებში რომ ხდება ხოლმე.

მაგრამ რატომღაც ნაწყენი და გულნატკენი ვარ. რა ადვილი ყოფილა ცხენის ტარება. მე მეგონა, ვერ შევძლებდი, წლები დამჭირდებოდა საიმისოდ, ეს „მეცნიერება“ რომ შემესწავლა. სინამდვილეში კი ყველაფერი ასე სულელურად ადვილი გამოდგა.

სადავე ისევ ვასიუტკას გავუწოდე. ჩემთვის საინტერესო აქ აღარაფერი იყო.

საზინელი სახარო



სახლი იწვის. ცეცხლი მხიარული ტკაცატკუციტ გადარბის სახურავზე და ახლა ყავარსაც ტკრციალი გაუდის.

მეხანძრეები წყალს ტუმბავენ .აი, ერთი მათგანი შლანგს დასწვდა და წყალი სახლს მიუმარჯვა, წყლის წვრილი ჭავლი ავარდნილ ალს აქეთ-იქით მიესხურ-მოესხურა.

არა, მეხანძრე ამ ცეცხლის ჩამქრობი არ არის...

დედას ჩემთვის ხელი ჩაუვლია, ეშინია, ცეცხლისკენ არ გავიქცე, ზემოდან ხომ ნაპერწკლები ცვივა...

ხალხში ვილაც ტირის, ეს ვილაცა, ჩასუქებული, წვეროსანი მამაკაცია. ბავშვივით ზღუქუნებს და თვალებს ისრესს, ალბათ ნაპერწკალი თუ ჩაუვარდა შიგ.

— რატომ ტირის? ნაპერწკალმა თვალები დასწვა? — ვეკითხები დედას.

— არა, სახლი ეწვის და იმიტომ ტირის, — მითხრა დედამ.

— ახალი სახლი აიშენოს, ამისათვის როგორ ვიტირებდი!

— ახალი სახლი რომ აიშენოს, ფულია საჭირო, — ამიხსნა დედამ.

— მერე, იმუშაოს და იშოვოს ფული.

— ამგვარად ნაშოვნით ფულით სახლს ვერ აიშენებს.

— მაშ რაგორღა იშენებენ სახლებს?

— არ ვიცი, ეგება ფულს იპარავენ კიდევ, — ხმადაბლა მითხრა დედამ.

რალაც ახალი იჭრება ჩემს შეგნებაში. ინტერესით შევყურებ წვერიან კაცს, ამ კაცმა მოიპარა ფული, სახლი აიშენა და ეს სახლი ახლა ცეცხლის ალშია გახვეული.

— მაშასადამე, ადამიანმა ფული უნდა მოიპაროს? — ვეკითხები დედას.

— არა, ეგ როგორ შეიძლება, ჭურდობისთვის ციხეში სვამენ.

ალარაფერი მესმის.

— აბა რა უნდა ქნას? — ვეკითხები დედას.

მაგრამ დედა წყრომით მიქნევს ხელს, იყუჩო.

გაჩუმდი, აი, გავიზრდები და თავად გავიგებ, რა და როგორ ხდება ამქვეყნად. ეტყობა, უფროსებს ამ საკითხში ყველაფერი აერ-დაერიათ და არ უნდათ, ბავშვებმა ეს რომ იცოდნენ.

ვილაც დაიხრჩო

მე გემს ვაშენებ. ჩემი გემი პატარა ფიცარია, ზედ მილი დავამაგრე და ანძა დავადგი. ახლა საჭე უნდა გავუკეთო და დროშა აღვმართო. ლელია ჩემკენ მორბის, თან შლაპას იქნევს და ყვირის:

— მიშკა, ჩქარა, გამოიქეცი, იქ ვილაც დამხრჩვალა.

მე ლელიას მივსდევ და თან გავყვირი:

— არ წამოვალ, მეშინია...

— შენ ხომ არ დამხრჩვალხარ, ვილაც სხვა დაიხრჩო, რისი გეშინია, — მეუბნება ლელია.

ჩვენ ნაპირზე გავრბივართ. იქ, ნაემისადგომთან, ხალხი შექუჩულა, ლელიამ ხალხი გაარღვია და წინ გაძვრა მეც უკან ავედევნე.

„ცურვა არ სცოდნია, აქ კი სწრაფი ჩქერია, ჰოდა, დასძირა წყალმა, დაიხრჩო“, — ამბობს ვილაც.

ქვიშიან ნაპირზე ახალგაზრდა კაცია გაშოტილი, ასე, თვრამეტრიოდე წლის იქნება. სახე ქალღმერთით გათეთრებულია, თვალები დახუჭული აქვს, ხელები აქეთ-იქით გადაუყრია, ტანზე ვილაცას მწვანე ტოტები წაუფარებია მისთვის. დამხრჩვალის გვერდით ქალი დაჩოქილა და თვალმოუცილებლად დამხერს სახეზე.

„ეს ამ ყმაწვილის დედაა, ელდისაგან ცრემლიც კი გაშრობია“, — ჩამესმის სიტყვები.

ალმაცერად ვაპარებ თვალს დამხრჩვალისკენ, რა იქნება, გაინძრეს, წამოდგეს და თქვას:

„არა, მე არ დავმხრჩვალვარ, ეს ისე, ვინუმრე, შეგაშინეთ“, — მაგრამ იგი ისევ გაშეშებული წევს. შიშით გათანგული თვალებს ვხუჭავ.

ჩემი ბრალი არ არის

სუფრასთან ვსხედვართ და ბლინებს შევექცევით. უეცრად მამამ ჩემი თეფში მიიჩოჩა და ბლინის ჭამა დაიწყო.

მამას სათვალე ადგას, წვერმოშვებულია, სახე სერიოზული აქვს, მიუხედავად ამისა, იცინის და ამბობს:

— ხედავთ, რა ხარბი ყოფილა? ჩემთვის ერთი ბლინიც კი დაენანა.

— კი, ბატონო, ერთი ბლინი მიირთვი, მე მეგონა, ყველა უნდა შეგეჭამა, — ვუთხარი.

ამასობაში წვნიანი შემოიტანეს.

— მამა, წვნიანსაც ხომ არ შეჭამდი? — ვუთხარი.

— არა, დავიცდი, ვიდრე ჩაროზს შემოიტანდნენ, აი, ჩაროზს თუ დამითმობ, მართლა კეთილი ბიჭი იქნები.

რატომღაც მეგონა, იმ დღეს ჩაროზად შტოშის რძეგარეული ხილფათა გვქონდა, ამიტომ გულდამშვიდებით მივუგე:

— რატომაც არა, დიდი სიამოვნებით დაგიტმობ.

მოულოდნელად ჩილფათის ნაცვლად, კრემი შემოიტანეს.

მე კი კრემისთვის ჭკუას ვკარგავ.

ჩემი კრემიანი ლამბაქი მამასკენ გავწიე და ვუთხარი:

— აჰა, ჭამე, რაკი ასეთი ხარბი ყოფილხარ...

მამამ შუბლი შეიკრა, წამოდგა და გავიდა.

— წადი, მამას ბოდიში მოუხადე, — დამტუქსა დედამ.

— არ წავალ, ჩემი ბრალი არ ყოფილა.

ჩაროზისთვის პირი არ დამიკარებია, ისე ავდექი სუფრიდან.

საღამოს, დასაძინებლად რომ დავწექი, ოთახში მამა შემოვიდა, ხელში კრემიანი ლამბაქი ეჭირა.

— რატომ არ შეჭამე კრემი? — მკითხა.

— მამა, მოდი, ერთად შევჭამოთ, განა ამისთვის ჩხუბი ღირს? — ვუთხარი. მამამ მაკოცა, კოვზი აიღო და კრემი თავისი ხელით შემეჭამა.

წყალში

ბიჭები წყალში დაცურავენ და ყვინთავენ. მე ნაპირზე ვჩირთიფრობობ.
— პო, ჩამოდი, გაბედე, გაბედე, ცურვას გასწავლით! — მიყვირობს წყალ-
დან. მე ნელ-ნელა მივტყაპუნობ წყალში, ცივა. ტანზე მბურძგნის.

— ერთბაშად ჩაყვინთე, ჩერჩეტო! — ისევ მიყვირიან ბიჭები, მე მხრე-
ბამდე წყალში შევდივარ.

— ჩაყვინთე, ჩაყვინთე, შე დონდლო! — მესმის შეძახილები.

არა, ვერ ჩაყვინთავ, წყალი თვალებსა და ყურებში ჩამივა, რა სასიამო-
ნოვნოა!

— მოდი აქეთ. შე დედალო! — გაჰყვირიან ბიჭები.

მათკენ წყალი ღრმავ, მაგრამ მაინც მივდივარ, არ მინდა, მხდალი მიძა-
ხონ. წინ ორმო ყოფილა, ვვარდები შიგ და მომწვანო წყალი თავფეხიანად
მფარავს. ნუთუ ვიხრჩვები?

მაგრამ არა, წყალზემთ ამოვცურე და პატარა ცუგოსავით ფართხალს
მოვყევი.

ვაშა! მგონი, ჩემით ვისწავლე ცურვა.

უეცრად ვილაც თუ რალაც ფეხში მწვდა. წამოვიყვირე და წამსვე ფსკე-
რისკენ დავექანე.

ახლა კი ნამდვილად დამახრჩობს წყალი. — გავიფიქრე და თვალები დავ-
ხუჭე. ბიჭებმა ზემოთ ამომათრიეს.

— ხუმრობით ფეხზე მოვქაჩე და კინალამ გააფრთხო სული! — თქვა
ერთმა.

— არ უნდა მივშველებოდით, ყოფილიყო ერთხანს, მერე მოვასულიე-
რებდით, — დაუმატა მეორემ.

მე ნაპირზე ვწევარ და წყალს ვაფურთხებ, ჩემ ირგვლივ ბიჭები ცმუ-
კავენ, წყინთ, უფრო ბლომად რომ არ მაყლაპეს წყალი.

დახურათ აარი

სალამოა. რძე დავლიეთ და დასაძინებლად დავწექით. ფანჯარასთან მი-
ვედი. გარეთ უკვე ბნელა, ისეთი წყვდიადი დგას, ყვავილნარსაც კი ველარ
ვხედავ.

მაინც გავცქერი ბნელს.

ოთახში ჩემი დები ერთობიან. კისკისებენ და ერთმანეთს ბალიშებს ეს-
ვრიან, ერთი ბალიში მეც მომხვდა და გაგულისებულმა გვერდზე მივაგდე,
რა დროს ხუმრობა და ანცობაა.

— იცოდე, დღეს უეჭველად მოვლენ ქურდები, — ამბობს ლელია.

ვიცი, კარს თუ ჩაკეტავ, ქურდი შინ ველარ შემოვა.

— კარის ჩაკეტა არ დაგავიწყდეთ, — ვუყვირი უფროსებს. ისინი ამ
დროს გარეთ, აივანზე სხედან.

დედამ ოთახში შემოიხედა და იკითხა, რა მოხდაო.

— რა უნდა მომხდარიყო, — ვუპასუხე. — ლელია ამბობს, დღეს ქურდები
მოვლენო.

დედა გვკოცნის და ღიმილით გადის.

თავფეხიანად საბანში გახვეული ვწევარ საწოლზე, ირგვლივ ჩქამიც აღარ-
სად ისმის, ყველას სძინავს, მე კი თვალი ვერ მომიხუჭავს.

კარი, რა თქმა უნდა, დაკეტილია, ჩემი ყურით გავიგონე, როგორ გაიჩხ-
კუნა გასაღებმა, ფანჯრების დაკეტვა ხომ არ დაავიწყდათ?

ლოგინიდან წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და საკეტო მოვსინჯე, დაკე-
ტილია, მაგრამ იქნებ მეორე ოთახის ფანჯრები დარჩათ დასრულებული?

ფრთხილი ნაბიჯით გავედი მეორე ოთახში, ხელის ცეცებით მოვსინჯე ოაზა
ფანჯარაზე. უცბად წკრიალ-ჭახანით რაღაც დაენარცხა იატაკზე.

— რა მოხდა! ვინ არის?.. ქურდები! — ჩამესმა დედაჩემის ხმა:

— სად არიან ქურდები, სად? — ვიყვირე გულგახეთქილმა.

სახლში ერთი ალიაქოთი ატყდა, როგორც იქნა, ლამპა აანთეს. იატაკზე
დამსხვრეული ყვავილების ქილა ეგდო.

დედა მამშვიდებს.

ისევ საწოლში ვწვები და საბანში ვეხვევი.

ბეზიასთან

ბეზიასთან სტუმრად ვართ. სადილობაა, სუფრას ვუსხედვართ, შემოაქვთ
კერძები.

ჩვენი ბებია პაპას გვერდით ზის. პაპა ზონზრობა, მსხვილი კაცია, ლომს
წააგავს, ბებიაც ლომს მაგონებს.

ხვალი და ძუ ლომი მაგიდასთან სხედან.

თვალმოუცილებლად შევცქერი ბეზიას. ეს დედაჩემის დედაა, ჭალარა თმა
და საოცრად ლამაზი შევგვრემანი სახე აქვს. დედამ მითხრა, ახალგაზრდო-
ბაში ულამაზესი ჭალი იყო.

საწვნით სუბი შემოაქვთ.

მძულს სუბი, ალბათ არც ახლა დავაკარებ პირს.

სუბს ღვეზელი მოაყოლეს, ამას უკვე არა უშავს.

სუბს თავად პაპა ასხამს მათლაფებზე.

ჩემი თეფში რომ მივაწოდე, ვუთხარი:

— ცოტა დამისხი, სულ ერთი წვეთი...

პაპას ჩამჩა ჩემს თეფშს ზემოთ უჭირავს და ზედ ზუსტად ერთ წვეთ სუბს
აწვეთებს.

შეცბუნებული მივჩერებივარ ამ წვეთს.

ყველანი იცინიან.

— თვითონ მთხოვა, ერთი წვეთი დამისხიო, რა ჩემი ბრალია, — ამბობს
პაპა.

სუბი მართლაც არ მინდოდა, მაგრამ რატომღაც მეწყინა და კინალამ ტირი-
ლი მოვრთე.

— პაპამ იხუმრა, მომეცი თეფში, მე დავისხამ სუბს, — მითხრა ბებიამ.

მე თეფშს არ ვაძლევ, არც ღვეზელს ვაკარებ ხელს.

— ცუდი ბიჭია, ხუმრობა არ იცის, — ეუბნება პაპა დედას.

— გაუღიმე პაპას, უპასუხე რამე, — ჩამჩიჩინებს დედა.

მე გაბრაზებული შევყურებ პაპას და ხმადაბლა ვეუბნები:

— თქვენთან ამის შემდეგ აღარასოდეს მოვალ.

ბეზიასთან სტუმრად მხოლოდ მაშინ მივედი, პაპა რომ გარდაიცვალა. ის ჩემი დვიძლი პაპა არ იყო და ამიტომ მისი სიკვდილი არც ძალიან დამნანებია.

დედა ზირის



დედა სავარძელში იწვა და ტიროდა. მივეუბლოვდი, დედამ ფერადი ღია ბარათი გამომიწოდა, ზედ ვიღაც ლამაზი ქალი ეხატა. ქალს ბოა ჰქონდა კისერზე მოდებულნი და შლაპა ეხურა.

— ხომ ვგავარ ამ ქალს? — ჰკითხა დედამ.

— ჰო, ცოტათი ჰგავხარ, — ვუთხარი დასამშვიდებლად, თუმცა, ყაცმა რომ თქვას, სულაც არაფრით ჰგავდა.

— რაკილა ასეა, წადი მამასთან და უთხარი: „მამა, როგორა ჰგავს ეს ქალი ჩვენ დედასტქო“.

— რატომ ვუთხრა? — კუშტად ვკითხე.

— ასეა საჭირო, ამას ახლა ვერ ავიხსნი, ძალიან პატარა ხარ.

— არა, მაინც მითხარი, ისე არ წავეალ, — გავჭიუტდი მე.

— აბა როგორ ვითხრა... მამა დახედავს ამ სურათს და იტყვის, ოჰ, რა ლამაზი დედა გვყოლიათ, და მერე უფრო გულთბილად მომეპყრობა...

ამ ახსნა-განმარტებისა ბევრი ვერაფერი გავიგე, პირიქით, გავიფიქრე, მამა დაინახავს, დედა ამ ქალს სრულებით რომ არ ჰგავს და კიდევ უფრო მეტად გაწყურება-მეთქი.

ძალიან უხალისოდ წავეფრატუნდი მამაჩემის სამუშაო ოთახისკენ. მამა მხატვარია. ახლაც წინ მოღობერტი უდევს და ჩემი დის, იულიას სურათს ხატავს.

მივეუბლოვდი მამას, ღია ბარათი გავუწოდე და შუბლშეკვრით ვუთხარი:

— მგონი, ცოტათი წაგავს დედას, არა?

მამამ აღმაცერად ვადმოხედა სურათს და მითხრა:

— ნუ მაცდენ, წადი...

რა თქმა უნდა, არაფერი გამოვიდა, ვიცოდი, ასეც მოხდებოდა, ისევ დედასთან დავბრუნდი.

— რა ვითხრა მამამ?

— ნუ მაცდენ, წადიო...

დედამ სახეზე ბელები აიფარა და ატიროდა.

სიბრაალულისაგან გული გახეტქვაზე მქონდა, მიხდოდა ისევ წავსულიყავა მამასთან ამ სულელური ღია ბარათით, მაგრამ დედამ აღარ გამიშვა.

დედას ბილეთები იაკობს

დედამ მაგიდაზე გაბრაზებით დაარტყა მუშტი და ბეზიას უთხრა:

— ესე იგი, ჩვენ რომ აგარაკზე ვიყავით, ეგ ვაჟბატონი აქ დროს ატარებდა... აი, ეს ბილეთები საზაფხულო პალტოს ჯიბეში ვუპოვე.

ვიცი, რომელ პალტოს გულისხმობს დედა, ძალიან ღია ფერის მოკლე პალტოს, საკიდარაზე რომ ჰქიდა.

დედამ ბილეთები მაგიდაზე მიყარა.

მაგიდასთან მივედი, ბილეთებს სინჯვა დავუწყე. „თეატრი ბუფი“, ეწერა ზედ.

— რა ვიცი, რომ „ბუფში“ თავის მეგობრებთან ერთად არ იყო? — თქვა ბებია.

— არა, ეს პირველი რიგის ბილეთებია. ვიცი, ვისთანაც იქნებოდა, ანას წაიყვანდა, დიდი ხანია ვიცი, ანა მაგისტრის ჰკუას რომ ჰკარგავს...

უეცრად კარი იღება და მამა შემოდის. საშემოდგომო შავი პალტო აცვია, შლაპა ახურავს. ძალიან ძალადი და ლამაზია, წვერიც კი არ აუშნოვებს.

— შენთან სალაპარაკო მაქვს, — ეუბნება დედას ღიმილით და ორივენი სასტუმრო ოთახში გადიან.

ლეღია კართან მიდის, ერთხანს უხმოდ უსმენს და ამბობს:

— თავს ვდებ, რომ ყველაფერი რიგზეა.

— რა მოხდა? — ვკითხე ლეღიას.

— ქალები მამასთვის გიყვებიან, დედა კი ამას ძალიან განიცდის, — მითხრა ლეღიამ.

ცოტა ხნის შემდეგ დედა და მამა სასტუმრო ოთახიდან გამოდიან.

დედა მაინცდამაინც კმაყოფილი ვერა ჩანს, მაგრამ ეს არაფერია.

მამა გამომშვიდობებისას დედას ხელზე ჰკოცნის და თავის სახელოსნოში მიდის. ღამე იქ უნდა დაიძინოს. სახელოსნო ჩვენგან სამი სახლის იქითაა.

სახელოსნოში

მამა კარგა ხანია ჩვენთან არ ყოფილა, დედამ ჩამაცვა და ორივენი სახელოსნოში წავედით.

დედა ჩვენი მიდის, ხელზე მეჭახება, მე კი ძლივს ვუსწორებ ნაბიჯს.

ჩვენ შევიდეთ სართულზე ავდივართ. ვაკაკუნებთ, კარს მამა გვიღებს.

ჩვენს დანახვაზე მამა შუბლს იჭმუხნის, მერე ხელში ავყავარ და მაღლა, თითქმის ჰერამდე მისვრის, თან იცინის და მკოცნის.

დედა ღიმილება, საგარძელში მამას გვერდით ჯდება და ორივენი რაღაცაზე საიდუმლოდ საუბრობენ.

სახელოსნოს უშველებელა ფანჯრები აქვს.

მე აქეთ-იქით დავდივარ და ყველაფერს ვათვალიერებ.

ირგვლივ არეულობაა, მოლბერტებზე და კედლებზე სურათები ჰკიდია.

სათითაოდ ვსინჯავ საღებავის ყუთებს, ფუნჯებს, ბოთლებს...

უკვე ყველაფერი დავათვალიერე. დედა და მამა კი ისევ საუბრობენ, ძალიან სასიამოვნოა, ასე ზმადობლა რომ ლაპარაკობენ, არ ყვირიან და არც ჩხუბობენ.

არ მინდა მათ ხელი შევეშალო, ხელმეორედ ჩამოვუარე ყუთებს და სურათებს.

ბოლოს მამა ამბობს:

— ჰოდა, ძალიან კარგი, მოხარული ვარ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა.

დამშვიდობებისას მამა დედას ჰკოცნის, დედაც კოცნითვე პასუხობს, ერთმანეთს ეხვევიან კიდევ...

მერე მე და დედა პალტოებს ვიცვამთ და შინისკენ მივდივართ.

გზაში დედა მოულოდნელად მიწყრება:

— ოჰ, ნეტავი არ ამტორღიალებოდი....

მაოცებს მისი სიტყვები, აბა როდის ავეტორლიაღ? თვითონ წამომიყვანა, ახლა კი უკმაყოფილოა.

— როგორ ვნანობ, რომ თან წამოგიყვანე, — ისევ მეუბნება დედა, — უშენოდ მე და მამა საბოლოოდ შევრიგდებოდით.

მე ვსლუკუნებ, არ მესმის, რა დავაშავე. წყნარად ვიყავი, სასწრაფოში ხმა არ გამიღია, არ მირბენია და მაინც ასე უსამართლოდ გამიციქეს.

— არა, ამის შემდეგ თან აღარასოდეს წაგიყვან, — ისევ მეუბნება დედა. მინდა ვკითხო, რა მოხდა-მეთქი, მაგრამ თავს ვიკავებ. გავიზრდები და ყველაფერს მივხვდები, მეცოდინება მაინც, რატომ არიან ადამიანები უღანაშაულო დამნაშავენი.

პიშკართან

ბაღში ჭიშკართან ვდგავარ, თვალმოუცილებლად გავცქერი ნავსადგომისკენ მიმავალ გზას.

დედა ქალაქში წავიდა. დილიდანვე ველოდები და ჯერაც არ დაბრუნებულა. ჩვენ უკვე ვისადილეთ, მალე მოსალამოვდება კიდევ, ოჰ, ღმერთო ჩემო, ნეტავი სად უნდა იყოს?

ისევ გავცქერი შორეთს. არა! ვიღაც-ვიღაცები მოდიან, მაგრამ დედა არ ჩანს, ალბათ რამე შეემთხვა. მაინც, რა შეიძლებოდა მომხდარიყო? პატარა ბავშვი ხომ არ არის, ოცდაათი წლის ქალია.

თუმცა, მერე რა, დიდებსაც ხომ მოსდით მარცხი, განა მათაც ყოველ ნაბიჯზე საფრთხე არ დარაჯობთ?

იქნებ დედა ეტლით მოდიოდა და ცხენებმა თავი წაართვეს?

მეეტლეს წყნარი ცხენები ჰყავს, ძლივს დაძუნძულებენ, არა მგონია, თავი წაართვან. თუმცა, ასეც რომ მოხდეს, დედა ეტლიდან გადმოხტომას ყოვალთვის მოასწრებდა.

მაგრამ ვაითუ გემით წამოვიდა? გემიდან სადღა გადახტები, დაძირვა რომ დაიწყოს? მართალია, იქ მაშველი რგოლებიც აქვთ, შეიძლება თავი გადაიჩინო, მაგრამ თუ ხანძარი გაჩნდა, ან ქალაქში ჩვენ ბინას ცეცხლი წაეკიდა, რგოლი რაღას უშველის! არა, ჩვენი სახლი ქვისაა და როგორღაც საეჭვოა, ასანთივით დაიწვას.

უფრო მგონია, დედა კაფეში შევიდა, იქ რაღაც შექამა, ავად გახდა და ახლა ექიმი ოპერაციას უკეთებს...

ოჰ, აგერ დედა ჩემკენ მოდის. ყვირილით მივექანები შესახვედრად. დედას უშველებელი შლაპა ახურავს, მხრებზე ბუმბულის თეთრი ბოა აქვს მოდებული, ბაფთიანი ქამარი შემოურტყამს. არ მომწონს დედაჩემის ჩაცმულობა, არაფრის გულისთვის არ მოვიგდებდი მხრებზე ამ ბუმბულს. აი, გავიზრდები და დედას ვთხოვ, ასე აღარ ჩაიცვას, თორემ მეუხერხულება მის გვერდით სიარული, ყველანი თავს აბრუნებენ და თვალს აყოლებენ.

— მგონი, არ გაგხარებია ჩემი მოსვლა! — მეუბნება დედა.

— არა, გამეხარდა, — გულგრილად ვაძლეგ პასუხს.

გაუგებრობა

ჩემ გვერდით გიმნაზიელი კოსტია პალიცინი ზის.

მერხზე ჯიბის დანით რაღაც ასო გამოჰყავს. ვუყურებ, რა მარჯვედ ხმა-რობს დანას, მასწავლებელიც კი ვერაფერს ამჩნევს. ისე გავერთე ვერც კი გავიგე, მასწავლებელმა რომ გამომიძახა. ვილაცამ ფერდში მუჯღუჭუნნი წამკრა, მაშინ კი წამოვხტი და დაბნეულად შევაცქერდი კლასის დამრიგებელს, მოსამზადებელ კლასში რუსულ ენასა და არითმეტიკას რომ გვასწავლის.

მასწავლებელს რატომღაც უნდა, რომ ვუთხრა ლექსი — „სოფელს მთვარე დაჰკაშკაშებს“.

პირველი სტრიქონი მარჯვედ ჩავაბუღებულე, რადგან მასწავლებელმა ეს-ეს იყო, თავად მითხრა, მაგრამ შემდეგ რა უნდა მეტქვა, აზრზე არ ვიყავი. საერთოდ, დღემდე არც კი ვიცოდი, ასეთი ლექსი თუ არსებობდა და ზეპირად როგორღა უნდა მესწავლა!

„ბრკეყვიანებს თოვლი...“ — მკარნახოვენ აქეთ-იქიდან და მეც ენის ბორძოკით ვიმეორებ ნათქვამს. მასწავლებელი ღიმილით შემომცქერის.

მოსწავლეები შეუსვენებლად მკარნახობენ, ამდენ ჩურჩულში თავრეტი დამესხა. უნდა ვთქვა: „ხოლო ჭვარი, თოვლით ფენილი, ღრუბლებქვეშ წმინდა სანთელივით ანთია ისევ...“

მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ვამბობ: „ხოლო ხარი, შორით შთენილი...“ კლასში ხარხარი ატყდა, მასწავლებელსაც გაეცინა და ჟურნალში ერთიანი ჩამიწერა.

— თუკი ყველაფერში, რაც ჭერჯერობით არ ვიცი, ერთიანებს დამიწერენ, კარგად იქნება ჩემი საქმე, — ვუთხარი კოსტია პალიცინს.

— ეს ლექსი მასწავლებელმა საზეპიროდ მოგვცა, — ამიხსნა კოსტიამ.

— ოჰო, საზეპიროდ მოგვცა? რაკი ასეა, გაუგებრობა მომხდარა, — ვუთხარი. ცოტა არ იყოს, გულს მეფონა, ერთიანი გაუგებრობის გამო რომ მომაკერეს.

კვლავ უსიამოვნება

გიმნაზიელის ვერცხლისფოლაქებიანი, რუხი პალტო მაცვია, ზურგზე ჩანთა მკიდია.

დედა პალტოს ჯიბეში ქალაღდს მიჩურთავს, ზედ ჩემი გიმნაზიის მისამართი წერია.

— დედა, შენ ნუ სწუხარ, — ვეუბნები, — გზა ისე კარგად ვიცი, შემოიძლია გიმნაზიამდე თვალდახუჭული ვიარო.

— მართლა არ დახუჭო თვალები, — შემომწყრა დედა, — შენგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ქუჩაში გავედი.

არა, რა თქმა უნდა, თვალდახუჭული არ ვივლი. საშიშია, ქუჩაში ტრამვაი დაქრის, ეტლებია, მაგრამ პროსპექტის კუთხიდან გიმნაზიამდე უეჭველად დავხუჭავ თვალს, დიდი რამე კია, სულ რაღაც ორას ათი ნაბიჯი თუ იქნება.

მთავარ პროსპექტზე რომ გავედი, ბრმასავით დავხუჭე თვალი, მივდივარ

და ვეჯახები გამვლელ-გამომვლელთ, კედლებს, ბოძკინტებს, თან გულში ნაბიჯებს ვითვლი... ორასი, ორას ათი...

ორას ათით, ვთქვი და მთელი ძალით შევასკდი ვიღაც მამაცს. ახლა კი ვიკადრე თვალის გახელა, ზედ გიმნაზიის კართან მივსულვარ, ის კაცი კი, მე რომ დავეჯახე, ჩვენი მასწავლებელი და კლასის დამრიგებელია.

— ოჰ, მაპატიეთ, ვერ დაგინახეთ, — ვუთხარი.

— უნდა დაგენახე, — გაბრაზებით დამტუქსა მასწავლებელმა. — თვალები იმიტომ გაქვს, რომ დაინახო.

— თვალები დახუჭული მქონდა, — მივუგე მე.

— თვალდახუჭული რატომ დადიხარ, სულელო? — მკითხა მასწავლებელმა.

მე არაფერი მითქვამს, ჯერ ერთი, ასე ნაუცბათევად ვერ ავუხსნიდი ყველაფერს, და რომც ამეხსნა, ვერ გამიგებდა.

— მიპასუხე!.. — მითხრა მასწავლებელმა.

— ისე დავხუჭე, ქარმა წამოუბერა.

მასწავლებელმა წარბშეკვრით გადმომხედა და გულმოსულმა მითხრა:

— რას გაშეშებულხარ ჯირკვიტო, შედი!

მე კი იმიტომ ვიდექი, მასწავლებლისთვის წინ არ გამესწრო, ეს ხომ უზრდელობა იქნებოდა.

ერთდროულად გავაბიჯეთ კარისკენ და ისევ შევეჯახეთ ერთმანეთს.

მასწავლებელი კიდევ უფრო მეტად გაწყრა და კუშტად გადმომიბღვირა.

ფუთი რკინა

ჩემი საკალმიდან სათითაოდ ვიღებ ფანქრებს, კალმებს, დავხარი ჩემს პატარა ჯიბის დანას.

ზედ ამ დროს მასწავლებელმა გამიძახა და მითხრა:

— აბა, სწრაფად მიპასუხე, რა უფრო მძიმეა, ერთი ფუთი რკინა თუ ფუთი ნაკრტენი.

არ ველოდი, გამოჭერას თუ მიპირებდა, და დაუფიქრებლად მივუგე:

— ფუთი რკინა!

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

— დედას გადაეცი, ხვალ ჩემთან შემოიაროს, უნდა მოველაპარაკო, — მიბრძანა მასწავლებელმა.

მეორე დღეს დედამ მასწავლებელი ინახულა, შინ დანალვლიანებული დაბრუნდა:

— მასწავლებელი შენით უკმაყოფილოა, ასე ამბობს, ძალიან უგულისყურო ბავშვია, გაკვეთილს არ უსმენს, არაფერი ესმის და მერხზე ისე ზის, თითქოს, რაც ირგვლივ ხდება, მას არ ეხებოდესო, — მითხრა.

— კიდევ რა გითხრა?

დედას სახე კიდევ უფრო დაუნალვლიანდა. გულში ჩამიკრა და თქვა:

— მე გონიერი და საკმაოდ განვითარებული ბავშვი მეგონე, მასწავლებელი კი ამბობს, გონებაშეზღუდული არისო.

— რა სისულელეა, — გაბრაზებით წამოვიყვირე, — თვითონ არის გონებაშეზღუდული, რომ იცოდე, რა სულელურ შეკითხვებს აძლევს მოსწავლეებს,

სულელურ შეკითხვაზე კი პასუხის გაცემა, უფრო ძნელია, ვიდრე ჭკვიანურზე. დედა ტირილით მკოცნის.

— ოპ, როგორ გაგიჭირდება ცხოვრება, — დასძენს მერე.

— რატომ?

— ძნელად აღსაზრდელი ბავშვი ხარ, სულ მამაშენის ხასიათი გაქვს, ვეპვობ, ბედნიერი იყო.

დედა ისევ მკოცნის და მეხვევა, მაგრამ მე ხელიდან ვუსხლტებე, ვერ მიყვარს მტლაშამტლუში და ცრემლთა ფრქვევა.

დასრული გული

პოლტავიდან პაპა ჩამოვიდა — მამაჩემის მამა.

მეგონა, ვნახავდი უკრაინულ ხალათში გამოწყობილ გრძელულვაშა მიხრწნილ მოხუცს, იგი იმღერებდა, იცეკვებდა და ბავშვებს ზღაპრებს მოგვიყვებოდა.

პირიქით კი მოხდა, ჩამოვიდა გასაოცრად ლამაზი, პირგაპარსული, მაღალი, მკაცრი კაცი, არც ძალიან მოხუცი, არც იმდენად ჭალარა, შავი სერთუკი ეცვა, ხელში პატარა ხავერდგადაკრული ლოცვანი და ქვლის წითელი კრიალოსანი ეჭირა.

გამიკვირდა, ჩვენი პაპა ასეთი რამ იყო, მომესურვა რამე მეთქვა მისთვის, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ იგი ჩვენ, ბავშვებს არც კი დაგველაპარაკა, მხოლოდ მამას ესაუბრა ერთხანს, დედას კი უთხრა:

— თქვენი ბრალია ყველაფერი, ქალბატონო, ამდენი შვილი რომ იყოლიეთ.

დედა ატირდა და თავის ოთახში გავიდა.

მე კიდევ უფრო გაოცებული დავრჩი, ეს ჩანაირი პაპა გვეოლია, უკმაყოფილოა, დედამ შვილები რომ გააჩინა, მერედა, მეც ხომ მისი შვილი ვარ!

განვიზრახე უჭველად მენახა, რას აკეთებდა პაპა თავის ოთახში, საიდანაც თითქმის არასოდეს გამოდიოდა და არც იქ შესვლის უფლებას აძლევდა ვინმეს. მეგონა, რალაც დიდი საქმით იყო დაკავებული.

კარი შევალე და ოთახში ფრთხილი ნაბიჯით შევედი.

ჩვენი მკაცრი პაპა არაფერს არ აკეთებდა, უსაქმოდ იჯდა საგარძელში, გაუნძრევლად შეშტერებოდა კედელს და გრძელ ჩიბუხს აბოლებდა.

პაპამ დამინახა და მკითხა:

— აქ რა გინდა? ან დაუკაკუნებლად რატომ შემოხვედი?

მე გული მომივიდა და ვუთხარი:

— ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენი ბინაა, ეს ოთახი კი ჩემია, თქვენ რომ ჩამოხვედით, მე დებთან გამასახლეს, რად უნდა დავაკაკუნო, ჩემს ოთახში შემოხვლა რომ დამჭირდეს?

პაპამ თავისი კრიალოსანი მესროლა და დამიღრიალა. მერე წავიდა და მამასთან დამასმინა. მამამ კი დედას უსაყვედურა.

მაგრამ დედა არ გამჯავრებია, პირიქით, მითხრა:

— ოპ ნეტავი მაღე წავიდოდეს პაპაშენი აქედან, მაგას არავინ უყვარს, მამაშენს ჰგავს, გულე აქვს დახშული.

— მეც დახშული გული მაქვს? — ვკითხე.



საბჭოთაო გამომცემლობა

— პო, — მომიგო დედამ, — მე მგონი...
 — ესე იგი, მეც პაპასნაირი ვიქნები?
 დედამ მაკოცა, მერე აცრემლდა და მითხრა:
 — პო, ალბათ შენც პაპას დაემსგავსები, დიდი უბედურებაა, როცა აღა-
 მიაწს არავინ უყვარს.

უპირილი არ უყვარება

ქუჩებში არეულობაა, სადღაც, ქუჩის კუთხეში პოლიციელს სცემეს. ქანდარმები ცხენებს დააგელვებენ. ქალაქში რაღაც არაჩვეულებრივი ხდება.

ჩვენს გიმნაზიაშიც უცნაური ამბები ტრიალებს, უფროსკლასელები ჯგუფ-ჯგუფად დგანან და რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობენ, პატარები კი ჩვეულებრივ-ზე მეტად ცელქობენ.

შესვენებაა, ჩვენ დარბაზში მოვიყარეთ თავი. მეორეკლასელები დარბიან და თან გაპყვირიან: „აჯანყდით!“ მეც მათ ვუერთდები, ხელებს ვიქნევ და გაპყვირი: „აჯანყდით!“

ვიღაცამ მკლავზე ხელი წამავლო, შემანჯღრია და მითხრა:

— გაიმეორე, რა თქვი!

ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო.

— აჯანყდით-მეთქი, ვთქვი, — ჩავიბუტბუტე მე.

მასწავლებელს სახე გაუქვავდა.

— წადი, საათის ქვეშ კედელთან დადექი, გაკვეთილის დაწყებამდე ფეხი არ მოიკვალო, ხვალ კი დედა მოიყვანე! — მითხრა მკაცრად.

მე საათის ქვეშ ვდგავარ. ესეც ახალი ამბავი, რა მოხდა? რატომ არ შეიძლება ვიყვირო? ყველანი ყვიროდნენ, ის კი ძერასავით მარტო მე დამაცხრა თავს და მხრებში ჩამაფრინდა.

მეორე დღეს დედა აღელვებული დაბრუნდა გიმნაზიიდან, მამასთან შევიდა და რაღაცაზე დიდხანს ესაუბრა. მერე მეც თავისთან მიმიბმეს.

მამა საწოლზე წევს, შარვალი და პიჯაკი აცვია, მოწყენილია, სახემოდუ-შული.

— ალბათ არ იცოდი, ამ სიტყვის მნიშვნელობა, — შეუბნება მამა.

— როგორ არა, ვიცი, მაგრამ ყვირილი თუ აკრძალული იყო, არ ვიცოდი. მამა იღიმება და დედას ეუბნება:

— წადი მასწავლებელთან და უთხარი, ჩვენი შვილი სულელია, განვითარება აკლია-თქო... თორემ ციხეში უკრავენ თავს.

ციხის ხსენებაზე ავღრიალდი.

— აქამდე მასწავლებელს სულ ვეკამათებოდი, ახლა კი უნდა წავიდე და ვუთხრა, მართალი იყავით-მეთქი, — ამბობს დედა.

— აი, ხომ ხედავთ, გამოგვადგა მასწავლებლის ცუდი აზრი ჩვენს შვილ-ზე, — იცინის მამა.

მერე კედლისკენ ბრუნდება, ჩვენთან ლაპარაკი აღარ სურს. მე და დედა ოთახიდან გავდივართ.

გულის გასაღობა



უხმაუროდ ვაღებ კარს და მამის ოთახში შევდივარ.
ჩვეულებრივად მამა საწოლზეა ხოლმე წამოწოლილი, მაგრამ დღეს ფან-
ჯარასთან გაუნძრევლად დგას და რაღაცაზე ფიქრობს.
მაღალ-მაღალია, წარბშეკრული. პეტრე დიდს წააგავს, მხოლოდ ესაა,
წვერი აქვს მოშვებული.

— მამა, შენს დანას ავიღებ, ფანჯარას წვერი უნდა წავუთალო, — ვუთ-
ხარი ხმადაბლა.

მამა არც შემობრუნებულა, ისე მიპასუხა, — აიღეო.

მე საწერ მაგიდასთან მივედი და ფანჯრის გათლას შევუდექი.

ფანჯარასთან, კუთხეში, მრგვალი მაგიდა დგას, მაგიდაზე წყლიანი სურაა.

მამამ ჭიქაში წყალი დაისხა, დალია და უეცრად იატაკზე მოადინა ზღარ-
თანი, დაცემისას სკამს წამოედო და ისიც ააყირავა.

თავზარდაცემულმა ყვირილი მოვრთე, დედა და დები ოთახში შემოც-
ვივდნენ.

დედამ მამა იატაკზე გამოტოლი რომ დაინახა, ყვირილით გაქანდა მისკენ,
მხრებზე ხელი ჩააელო, შეანჯღრია, სახე დაუკოცნა.

მე ოთახიდან გავვარდი და ჩემს საწოლზე დავემხე.

რაღაც საშინელი მოხდა, მაგრამ იქნებ ყველაფერი კარგად დამთავრდეს,
ეგება მამამ მხოლოდ გრძნობა დაკარგა.

ისევ მამის ოთახისკენ გავეშურე.

მამა საწოლზე იწვა, დედა კართან დამიხვდა, გვერდით ექიმი ედგა.

— თქვენ სცდებით, ექიმო! — შეჰყვირა დედამ.

— ასეთ დროს შეცდომის უფლება არა გვაქვს, თქვენი მეუღლე გარდა-
იცვალა, — უთხრა ექიმმა.

— ასე უეცრად? შეუძლებელია.

— გული გაუსკდა, — თქვა ექიმმა და ოთახიდან გავიდა.

საწოლზე დავწექი და გულამოსკვნით ავტირდი.

მე, მამა მკვდარი

ოჰ, აღარ შემიძლია, ველარ ვუცქერი დედას, განუწყვეტლივ ქვითინებს.
დგას მაგიდასთან, მამა რომ ასვენია, სახით მის სახეს გადამხობია და ცრემ-
ლად იღვრება.

კართან ვდგავარ და შევეყურებ, რა საშინლად იტანჯება. არა, მე ასე ვერ
ვიტირებდი, ალბათ მართლა გული მაქვს დახშული.

მინდა როგორმე დავამშვიდო დედა, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადა-
ვიტანო და ხმადაბლა ვეკითხები:

— დედა, რამდენი წლისაა ჩვენი მამა?

დედა ცრემლს იწმენდს და მეუბნება:

— ოჰ, მიშენკა, სულ ახალგაზრდაა. ორმოცდაცხრა წელი შეუსრულდა.
არა, შეუძლებელია რომ მომკვდარიყო.

დედა ისევ ანჯღრევს მამას და ბუტბუტებს:

— იქნებ გულწასულია ან ლეფარგით შეპყრობილი... — დედამ ბლუზაზე ქინძისთავი მოიხსნა, მერე მამას ხელს დასწვდა, ეტყობა, ქინძისთავით უნდა უჩხვლიტოს.

თავზარდაცემული ვყვირი.

— ნუ ყვირი, იქნებ ცოცხალია, ხომ უნდა გავიგო! — დედა და მამას ქინძისთავს ღრმად ურჭობს ხელისგულში.

მე ისევ ყვირილი მოვრთე, დედამ ქინძისთავი ამოაძრო, მამას ხელისგულზე დახედა და მითხრა:

— შეხედე, წვეთი სისხლი არ გამოსვლია, მკვდარია ჩვენი მამა...

მერე მამას მკერდზე გადაემხო და ისევ აქვითინდა.

მე ოთახიდან გავვარდი, ციებ-ცხელებიანივით მაძაგძაგებდა.

სასაფლაოზე

სასაფლაოზე პირველად ვარ სულაც არ მეშინია, მხოლოდ როგორღაც უსიამოვნო გრძნობა მიპყრობს.

საყდარში ფეხზე ძლივს ვდგავარ. ნეტავი მალე დაამთავრონ წესის აგება. ვცდილობ არ ვუცქირო მიცვალებულებს, ექვს კატაფალკაზე რომ არიან დასვენებულნი, მაგრამ თვალი უნებურად მათკენ გამიბრბის.

ყველანი ცვილის თოჯინებივით ფერშერთაღნი და საძრაობადაკარგულნი წვანან: ორი თავსაბურიანი მოხუცი ქალი, მამაჩემი, კიდევ ალბათ ვიღაცის მამა, ახალგაზრდა ქალიშვილი და ვიღაც მსხვილი, ღიპიანი მამაკაცი. იმოდენა მუცელი აღდევს, საეჭვოა, კუბოს სახურავი დაეხუროს, თუმცა ღიბს სახურავითვე ჩაუჭეჭყავენ, ბოდიშობას კი არ დაუწყებენ, სულ ერთია, ახლა ველარაფერს იგრძნობს და ვერც ვერაფერს დაინახავს.

არ ვიცი, შევძლებ თუ არ მამასთან მისვლას, რომ ვაკოცო, გამოვეთხოვო. აი, უკვე ყველანი მივიდნენ, ჰკოცნიან.

სულთქმაშეკრული ვუახლოვდები კუბოს, ტუჩებით ოდნავ ვეხები მამის უსიცოცხლო ხელს და საყდრიდან გავრბივარ.

კუბო მზატვრებს გამოაქვთ, მამას ამხანაგებს, წინ პატარა ხავერდის ბალიშზე ორდენი მიაქვთ, ეს ორდენი მამას მისცეს სურათისთვის „სუვოროვის გამგზავრება“. ახლა ის სურათი სუვოროვის მუზეუმის კედელზე ჰკიდია, მოზაიკითაა შესრულებული, მარცხნივ პატარა მწვანე ნაძვია, ამ ნაძვის ქვედა ტოტი მამამ მე გამაქეთებინა, მრუდე გამოვიდა, მაგრამ მამა კმაყოფილი დარჩა ჩემი ნამუშევრით.

მგალობლები გალობენ, კუბოს სამარეში უშვებენ, დედა ყვირის. სამარეს მიწას აყრიან. ყველაფერი დამთავრდა. დახშული გული აღარ არსებობს. აღარ ვარსებობ მე.

დედაი დათვლილია

დედაჩემის ძმას კლეჩი შეეყარა, ქალაქგარეთ ოთახი უქირავეს და საცხოვრებლად იქ გადავიდა.

ექიმმა დედა გააფრთხილა:

— ძალიან ცუდად არის, დღეები დათვლილი აქვს.

კვირას ბიძაჩემის სანახავად წავედი. ღვეზელი და არაქანი წავუღე.

ძია გიორგი ბალიშებში ჩაყვინთული იწვა საწოლზე და მძიმედ, ხიხინით სუნთქავდა.

საჭმელი სკამზე დავუდე და გაბრუნება დავაპირე, მაგრამ ძიამ/მითხრა:

— დილიდან საღამომდე მარტო ვარ, საშინლად მწყინდება, მოდი, ბანქო მაინც შეთამაშე.

ბიძაჩემის

ბალიშქვეშ ხელი შეყო და ქალაღი გამოაცოცა. „სამოცდაექვსის“ თამაში დავიწყეთ. ძიამ ორი ხელი წაავო და მთხოვა, მესამედაც ვითამაშოთო. ქალაღი მესამედ ჩამოვარიგეთ, მაგრამ ძია ისევ წაგებას იყო. რომ შეატყო, ველარ მომიგებდა, გაბრაზდა, ყვირილი დაიწყო, თან ქალაღს ისროდა, სწყინდა, რომ არ უმართლებდა, თუმცა ფულზე როდი ვთამაშობდით.

მიკვირდა, ასე უბრალო რამე რომ აღიზიანებდა, აქი ღღეები დათვლილი აქვს და მალე უნდა მოკვდეს-მეთქი, — ვფიქრობდი.

ძია გიორგიმ მეოთხედ ჩამოარიგა ქალაღი, მე თითქმის ყველა კოზირი შემხვდა, ძია ბრაზისაგან აცახცახდა, ხველა აუვარდა, აკვნესდა, იმდენად ცუდად შეიქნა, ყანგბადიანი ბალიში მოითხოვა, ქოშინი აუტყდა, ეშინოდა, არ დამხრჩვალყო.

როგორც იქნა, მოითქვა სული და თამაში განვაგრძეთ, მაგრამ ამჯერად განგებ ჩამოვდიოდი კოზირებს, უხეიროდ ვთამაშობდი, მინდოდა წამეგო, რომ ბიძაჩემი უარესად არ გამეტანჯა.

ახლა წაგებას მე ვიყავი. ძია გიორგი გამხიარულდა, მოჰყვა ხუმრობას და სიცილს, ქალაღი შუბლზე გამიტკაცუნა და მითხრა, ჯერ პატარა ხარ საიმისოდ, დიდებთან თამაში რომ შეძლოო.

ძიას უნდოდა, ერთი ხელიც გვეთამაშა, მაგრამ მე აღარ ვინდომე.

შინ გავბრუნდი და გულში გადავწყვიტე, ამ სახლში ფეხი აღარასოდეს მომედგა.

მართლაც აღარ მივსულვარ, არც მქონია საამისო შემთხვევა. მომდევნო კვირას ბიძაჩემი გარდაიცვალა.

მუზა

მე სტუმრად წამიყვანეს. ახლა სავარძელში ვზივარ და მუზა თავის წიგნებს მიჩვენებს. მერე უეცრად მეკითხება:

— გინდათ ჩემი საქმრო იყოთ?

— მინდა, მაგრამ თქვენზე დაბალი რომ ვარ? არ ვიცი არიან თუ არა დაბალი საქმროები, — ვუთხარი ხმადაბლა.

ჩვენ ტრიუმოსთან მივდივართ, რომ სიმაღლეში განსხვავება თვალდათვალ დავინახოთ.

მე და მუზა თანატოლები ვართ, ორივეს თერთმეტ-თერთმეტი წელი და საში თვე შეგვისრულდა. მაგრამ მუზა თითქმის ნახევარი თავით მაღალია ჩემზე.

— არაფერია, — ამბობს მუზა. — ძალიან ტანმოკრძილი საქმროებიც არიან, ზოგჯერ კუზიანებიც, მთავარი მაინც ღონეა, მოდით ვიჭიდაოთ, დარწმუნებული ვარ, მაჯობებთ.

ჩვენ ჭიდაობას ვიწყებთ, მუზა ჩემზე ღონიერია, კატასავით ცქატად და-

ვუსხლტი ხელიდან, მერე ისევ შევეჭიდეთ ერთმანეთს, ხალიჩაზე მოვადინეთ ტყაპანი და, რალაციით გაოგნებულები, ერთხანს ველარ წამოვდექით.

— პო, თქვენზე ღონიერი ვარ, მაგრამ არა უშავს. სუსტი და ავადმყოფი საქმროებიც არიან, მთავარია, გონივრები იყვნენ. რამდენი ხუთხანტ კუჭვთ პირველ მეოთხედში?

ღმერთო ჩემო, როგორ გამომიჭირა! მაგრამ ჭკუა რომ მართლაც ნიშნებით იზომებოდეს, რაღა მეშველებოდა!

— სამ საგანში ორიანი მყავს, დანარჩენში — სამიანიები.

— არაფერია, — მეუბნება მუზა, — მერე დაჭკვიანდებით, ალბათ ისეთი საქმროებიც არიან, ოთხი და მეტი ორიანიც რომ აქვთ.

— არ ვიცი, არა მგონია, — ვპასუხობ მე.

მკლავგაყრილნი დავდივართ ოთახში, უფროსები სასადილოში გვეძახიან, ჩაი უნდა დავლიოთ.

მუზამ კისერზე ხელები შემომხვია და ლოყაზე მაკოცა.

— ეს რა ჩაიღინეთ? — ვუთხარი მისი საქციელით შეცბუნებულმა.

— კოცნით პირობა გავამტკიცე, — მომიგო მუზამ. — ახლა ჩვენ დანიშნულები ვართ.

ორივენი სასადილო ოთახისკენ მივდივართ.

დასასრული შემდეგ ნომერში



ქართული
წიგნების კავშირი

გერმანიულიდან თარგმნა ბადრი ბუგაშვილმა

ივან გოლი (1891-1950) — დაიბადა, ცხოვრობდა და გარდაიცვალა საფრანგეთში. სწავლობდა სამართლისმცოდნეობას. პირველი მსოფლიო ომის დროს შვეიცარიაში წავიდა და ეწეოდა ანტისაომარ მოღვაწეობას. 1919 წლიდან ისევ პარიზშია თავის მეუღლე კლერ შტუდერ-გოლთან ერთად. მეგობრობდა ჯეიმზ ჯოისთან და აპოლინერის წრის პოეტებთან და მხატვრებთან. 1924 წელს გამოსცა „Surréalisme“ და ამით ხელი შეუწყო სიურრეალიზმის განვითარებას. 1939 წელს ემიგრაციაში წავიდა ნიუ-იორკში. 1947 წელს დაბრუნდა პარიზში, წერდა გერმანულ, ფრანგულ და იშვიათად ანგლისურ ენებზე.

შემოქმედების ადრეულ პერიოდში ქმნის ექსპრესიონისტულ დითირამებს, რომლებშიც დომინირებს კაცობრიობის ხსნის იდეა და ლტოლვა მშვიდობისაკენ. გამოთქმის ახალი, ინტიმური ტონი მას იპოვა „სასიყვარულო ლექსებში“.

ჩანჩქერი

წყალო და ადამიანო —
ხართ მდინარეა მარადიული,
ინსტინქტი ყველა ინსტინქტთა შორის: გონი ბუნების!
თქვენითაა ყველა საგანი დაუდგრომელი,
თქვენი სხივები კენჭად აქცევენ გრანიტის ლოდებს,
ხოლო ბგერებით ბოლოს უღებთ სიკვდილის დუმილს.
მარგალიტთა ცეკვავ — ჩანჩქერო:
კლდეთა ქიმიდან მოპოვებული თავისუფლებით
მილიონ ტოტებს მიმოაპნევ მიწის კიდებზე,
დააპკურებ შხამიან ჭინჭარს,
ააფეთქებ პალმათა ტევრის მწვანე შადრევანს,
ნორჩი კესანე შეებას იგრძნობს შენს მსუბუქ ნამში,
ხოლო მსუქანი ზეთისხილის ხე შევისრუტავს მერქნის ტუმბოთი.
მიწის სატრფო ხარ დაუსაბამოდ!

მეც ასე მსურს შენს უკვდავ მიჯნურს —
 თავს დავაწყდე კაცობრიობას და გადავლექო:
 ქვევით, სიღრმისკენ, მარტოობისკენ,
 სიყვარულით აქაფებულ ოკეანეში,
 რომ განცდებით გადავზომო გრძნობათა სიგრძე
 მე კაცთათვის მსურს ჩავიღვარო:
 დამონებულ, დამარცხებულ ბნელ ხეობებზე,
 პატივმოყვარეთა უნაყოფო უდაბნოებზე,
 მაშვრალთა, სულელთა ვაკეებზე,
 განდევნილთა ნავსადგურებზე —
 ქვევით, სიღრმისკენ, მარადიულ ინსტინქტს მსურს ვსდიო:
 ვინც მეტს გაიღებს — მდიდარია...



სივრცე-სიღრმისკენ
 სიღრმისკენ

მსურს ერთ ღამეში,
 საამბოროდ გამსკდარი ბაგით და მოციინარე, მბრწყინავ თვალებით
 გავფლანგო ჩემი სიყვარული;
 დავიხარჯო, დავიხარჯო, დავიხარჯო—
 რადგან ვიცო:
 უშრეტნია მყინვარნი მიწის,
 უშრეტნია წყარონი გულის.

სევდის ქარავანი

ო, ვერასოდეს ვერა კპოვებს ჩრდილს და ოაზისს
 ჩვენი სევდის ქარავანი.
 სიყვარული ხშირად გვაბრმავებს,
 ხოლო ტკივილის ფრინველები
 გამუდმებით კორტნიან ჩვენს გულს.
 ვიცით, ხო, ვიცით,
 სად მორაკრაკებს შვების მომგვრელი ნაკადულები
 და ვით ავაგოთ უდაბნოში ელიზიუმი...
 ვიცით, ხო, ვიცით — მაგრამ ჩვენ მუდამ
 დავხეტიალობთ სევდიან ლტოლვით...
 ვარსკვლავს რომ მისწვდეს, —
 ცათამბჯენის მქრქალი მინიდან გადმოეშვება ადამიანი;
 ხოლო ვიღაც —
 პანოპტიკუმში დაეძებს წილხვედრ ცვილის ოცნებას.
 რა დაარწყურებს ცეცხლოვან სურვილს...
 ნიაგარაც რომ ედინებოდეს ჩვენს თავზე,
 მაინც წყურვილი მოგვკლავს.

უძველეს ტბაში

უძველეს ტბებში ბინადრობენ
 მოშიშარი, ნაღვლიანთვალემა თევზები;
 და მანამ, სანამ ისინი ტბებში ბინადრობენ,
 ბიბლიურ გორაკთა მსგავსად,
 ვარდისფერი გორაკებიც იწყებენ ცეკვას.



ნიაგი ქაფის კვიცზე ქანაობს;

ხოლო ჩვენი დაბერებულ-დამჭკნარ თვალებით
 იღიმება ვიღაც ოქროსფრად,
 თუმცა მასშიც შიში, ნაღველი ჩაბუდებულია.

კაულ ვინსი

კაულ ვინსი — პოეტი, ნოველისტი, სცენარისტი, საბავშვო მწერალი და მთარგმნელი, დაიბადა 1922 წ. კენისბერგში. ბავშვობა გაატარა ბერლინში. წარმოშობის გამო ნაცისტები დევნიდნენ. 1933 წლიდან ცხოვრობდა შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ვენაში დააპატიმრეს და 1943-45 წლებში ობერლანცენდორფის საკონცენტრაციო ბანაკში იყო. აქ იგი დაუკავშირდა გერმანელ და საზღვარგარეთელ ანტიფაშისტებს.

1947 წლიდან ბერლინშია. მინიჭებული აქვს სხვადასხვა პრემია.

სასოწარკვეთა

ოუკი უზარმაზარი სახელმწიფოები
 ერთმანეთს სასიკვდილოდ გაიმეტებენ,
 რაღა დარჩება ქვეყნებისა და ხალხებისაგან?
 ნუთუ შავმა ზვირთებმა
 უნდა გადალექონ დედამიწა?
 ვინ დაწერს უკანასკნელ მატთანეს?
 საფლავთან ვინ მიიტანს საწყალობელ ადამიანს?

იქნებ ღირდეს, რომ ამაზე ჩავფიქრდეთ!
 და თუ ეს მაინც უნდა მოხდეს —
 მაშინ, პოეტო, ჩქარა დაწერე
 შენი უკანასკნელი ლექსი,
 სანამ არარაობად იქცევი,
 აღბეჭდე შენში —
 ვარსკვლავებით მოჭედული ცა და მზის სხივი.



ჩქარა, აშუკო, სურნელოვანი ზეთით გაპოხე
 შენი შარველის ტყავი,
 გონებით და მშვენიერი პარიკით
 შეიმოსე თავის ქალა,
 ალამაზდი, ვით ფარშევანგი,
 და უკანასკნელი დღე
 შენთვის საოცნებო ქალის ალერსში დალიე!

ჩქარა, მთესველო, გაზაფხულის მშვიდ ნიავეში
 ხნულზე მიიტანე შენი უკანასკნელი თესლი!
 იჩქარე, იჩქარე ვიდრე არ გახლეჩილა
 დედამიწის ღერძი;
 ვიდრე არარაობაში არ ვშთანთქმულვართ—
 უკანასკნელად ვთქვათ სიტყვები:
 სიყვარული, პური, ბავშვი!..

1953



მისილ ბუღბაკოვი

ბატონ დე მოლიერის ცხოვრება



თარგმნა ბიზი კიკილაშვილმა

პროლოგი

საუბარი ხაზიაშალთან

რა დაძაბვებებს, სიმართლე რომ
სიცლითა ვთქვა?

შორაციუსი

მოლიერი იყო ფრანგული კომედიების
სახელოვანი მწერალი ლუი XIV-ის მეფობისას.

ანტიოქე კანტემირი

1622 წლის 13 იანვარს სათნო ქალბატონ პოკლენს, ქალიშვილობაში
კრესეს, პირმშო, უდღეური ბიჭი შეეძინა. ქალბატონი პოკლენი მოამშობიარა
ბებიქალმა, რომელსაც ხელობა პარიზის საქველმოქმედო სამშობიარო სახ-
ლში სახელგანთქმულ ლუიზა ბურჟუას ზედამხედველობით ესწავლა.

პატივცემული ბებიქალისთვის იმის თქმა რომ შემძლებოდა, ქვეყანას
ვინ მოეწონა, დარწმუნებული ვარ, აღელვებული რაღაცას დამართებდა
ახალშობილს და მასთან ერთად საფრანგეთსაც აგნებდა.

მაშ ასე: დიდჭიბეებიანი ხიფთანი მაცვია, ხელში ფოლადის კალამი კი
არა, ბატის ფრთა მიქირავს.

მაგიდაზე ცვილის სანთლები მინთია და ტვინი აღვზნებული მაქვს.

— ქალბატონო, — ვეუბნები ბებიქალს, — ახალშობილს ხელი ფრთხი-
ლად მოჰკიდეთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნაადრევად დაიბადა. ამ ბავშვის
სიკვდილით თქვენი ქვეყანა ბევრ რამეს დაკარგავდა.

— ღმერთო ჩემო! ქალბატონი პოკლენი სხვა ბავშვს გააჩენს!

— ქალბატონი პოკლენი ასეთ ბავშვს ვეღარ გააჩენს. ეგ კი არა, რამდენ-
იმე საუკუნე ისე გავა, ვერც ერთი ქალბატონი ვერ შეძლებს ასეთი ბავშვის
გაჩენას.

— დიდად გამაოცეთ, ბატონო!

— თავადაც გაოცებული გახლავართ. იცით თუ არა, რომ სამი საუკუნის

შემდეგ შორეულ ქვეყანაში მხოლოდ იმითომ გაგიხსენებთ, რომ ქალბატონი პოკლენის ვაჟი ხელში გეჭირათ.

— მე უფრო წარჩინებული ახალშობილიც მჭერია.

— წარჩინებულს ვის უწოდებთ? ეს ბავშვი უფრო მეტად გავლენას სიხელს, ვიდრე ამჟამინდელი მეფე საფრანგეთისა ლუი XIV-ს უფრო მეტად, ვიდრე შემდგომი მეფე. იმ მეფეს კი, ქალბატონო, ლუი დიდს, მზეთამზე მეფეს შეარქმევენს კეთილო ქალბატონო, არის ერთი შორეული ქვეყანა, თქვენ რომ არ იცნობთ — მოსკოვეთი. იქაური ხალხი თქვენი ყურისთვის უცნაურ ენაზე ლაპარაკობს. იმ ქვეყანაში მალე შეაღწევს მისი სიტყვები, ვინც ახლა ხელში გიჭირავთ. ერთი პოლონელი, მეფე პეტრე პირველის მასხარა, მის სიტყვებს თქვენი ენიდან კი არა, გერმანულიდან თარგმნის ბარბაროსთა ენაზე.

მასხარა, სამოედთა მეფეს რომ ეძახდნენ, კალმის წრიპინით წაჯღაბნას ოკრობოკრო სტრიქონებს:

«ГОРЖЫБУС. Есть нужно даты так великия деньги за ваши лица изрядные. Скажите мне нечто мало что соделалысте сым господам, которых аз вам показывах и которых выжду выходящих з моего двора з так великим встыдом»...

რუსი მეფის მთარგმნელს ამ უცნაური სიტყვებით სურდა გადმოეცა თქვენი ახალშობილის სიტყვები მისი კომედიიდან „სასაცილო პრანჭიები“:

„გორჯიბიუსი. საკუთარი სახის მგესათხვრელად თურმე ფულის დახარჯვაც ყოფილა საჭირო. თქვენ ეს მითხარით, რა უყავით ამ ბატონებს, თქვენგან ასეთი ცივი სახით რომ გამოვიდნენ...“

„კომედიათა ნუსხაში, რაიც არს სახელმწიფო საგარეო საქმეთა უწყებაში 1709 წლის 30 მაისამდე“ სხვა პიესებს შორის ნახსენებია: საზუმარო „ექიმი ნატყები“ (იგივე „იძულებით ექიმი“) და „მოდგმა ჰერკულესისა, მათ შორის უპირველესი იუპიტერი“. ეს პიესები გვეცნობა. პირველია „უნებლიეთ ექიმი“ — თქვენივე ახალშობილის კომედია. მეორე კი გახლავთ „ამფიტრიონი“. რომელიც ბატონმა დე მოლიერმა და მისმა კომედიანტებმა 1668 წელს პარიზში გაითამაშეს მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის დესპანის, პიოტრ ივანოვიჩ პოტიომკინის თანდასწრებით.

ხომ ხედავთ, თქვენი ახალშობილი რუსებმა იმავე საუკუნეში გაიცნეს.

ჰოი, კავშირო ეამთა! ჰოი, დინებანო განათლებისა! მაგ ბავშვის სიტყვებს თარგმნიან გერმანულად, თარგმნიან ინგლისურად, იტალიურად, ესპანურად, პოლანდიურად, დანიურად, პორტუგალიურად, პოლონურად, თურქულად, რუსულად...

— ბატონო, ნუთუ ეს შესაძლოა?

— ნუ მაწყვეტინებთ, ქალბატონო! ბერძნულად! ახალ ბერძნულად და ძველ ბერძნულადაც, უნგრულად, რუმინულად, ჩეხურად, შვედურად, ქართულად, სომხურად, არაბულად!

— ბატონო ჩემო, ძალზე განმაცვიფრეთ!

— ო, ეს არცთუ ისე საოცარია. მე შემეძლო, დამესახელებინა ათეულობით მწერალი, რომელთაც უცხოურ ენებზე თარგმნიან, თუმცა იმის ღირსიც არ არიან, რომ თავისივე მშობლიურ ენაზე იბეჭდებოდნენ. მას კი არა-მარტო თარგმნიან, თავად მასზე დაწერენ პიესებს; მარტო თქვენი თანამემამულენი დაწერენ ათეულობით პიესას. ამგვარ პიესებს დაწერენ იტალიელე-

ბიც, მათ შორის კარლო გოლდონი, ვისზეც ამბობდნენ, მუზეუმის ტაშის გრი-
ალში დაიბადაო. დაწერენ რუსებიც.

მარტო თქვენს ქვეყანაში კი არა, სხვი ქვეყნებშიც შეთხზივენ/ პიესებს
მისი პიესების წაბაძვით. გადააკეთებენ ამ პიესებს. მრავალი ქვეყნის მეცნი-
ერნი დაწერენ მის ნაწარმოებთა დაწვრილებით გამოკვლევებს და შეეცდე-
ბიან მისი საიდუმლოებით მოცული ცხოვრების გამოწვლილვით შესწავლას.
ისინი დაგიმტკიცებენ, რომ ეს ადამიანი, ვინც ახლა თქვენს ხელში სიცოცხლის
ნიშნებს ოდნავ ავლენს, მომავალ საუკუნეთა მრავალ მწერალზე მოახდენს გავ-
ლენას, მათ შორის მათზე, ვისაც თქვენ არ იცნობთ, მე კი ვიცნობ. ესენი
არიან ჩემი თანამემამულენი — გრიბოედოვი, პუშკინი და გოგოლი.

მართალსა ბრძანებთ: ცეცხლსაც გაუძლებს,
ვინც თქვენთან თუნდაც ერთ დღეს დარჩება,
ვისაც შერჩება ძალი სუნთქვისა,
ვისი გონებაც საღად დაშთება.
დავტოვებ მოსკოვს! ვეღარ მიხილავთ
მე ამ მხარეში ვეღარასოდეს
გავეშურები, მოვნახავ სადმე
ქვეყნიერების შორეულ კუთხეს,
სადაც ნაგვემი, დამცირებული,
ეული სული შვებასა პპოვებს.

ეს სტრიქონები ჩემი თანამემამულის, გრიბოედოვის პიესის („ვაი ტკუ-
ისგან“) ფინალიდან გახლავთ.

მე კი, მზაკერობის და ღალატის ბედკრული მსხვერპლი,
განვეშორები ამ ქოჯობეთს, მრუშობის ბუდეს,
განვერიდები ამ დაძლუპველ და წყეულ კედლებს,
სადაც მოყვასი მოყვასის გულს მტრობის ცეცხლს ეგზნებს,
წავალ, მოვუბნე ქვეყნის კიდეს, შორეულ კუთხეს,
სადაც ღტოლვილი პატიოსან ცხოვრებას შეძლებს.

ეს სტრიქონები კი პოკლენის პიესის „მიზანთროპის“ ფინალიდანაა.

არის თუ არა მსგავსება ამ ფინალებს შორის? ოპ, ღმერთო ჩემო! მე ამ
საქმის მცოდნე არა ვარ. დაე, ეს მეცნიერებმა გამოარკვიონ! ისინი მოგიტხ-
რობენ, გრიბოედოვის ჩაკვი რამდენად ჰგავს ალცესტ-მიზანთროპს; იმასაც
გეტყვიან, კარლო გოლდონი რატომ შიამჩნიათ პოკლენის მოწათედ, გიამბო-
ბენ, ყმაწვილი პუშკინი პოკლენს როგორ ბაძავდა. მათგან კიდევ ბევრ ტკვი-
ანურსა და საინტერესოს შეიტყობთ. ასეთი რამეებისა ბევრი არ გამეგება.

მე სხვა ფიქრებს მივყვები.

ჩემი გმირის პიესებს სამი საუკუნის მანძილზე ითამაშებენ მსოფლიოს
ყველა სცენაზე და ვერაფერ იტყვის, როდის შეწყვეტენ თამაშს. აი, რა მაინ-
ტერესებს, აი, რა კაცად იქცევა ეგ ახალშობილი!

ჰო, პიესებზე ვლაპარაკობდი. დიდად პატივცემული ქალბატონი ავრორა
დიუდევანი, რომელსაც ჟორჟ სანდის სახელით უფრო იცნობენ, ერთ-ერთი
იმათგანი იქნება, ვინც ჩემს გმირზე პიესას დაწერს.

ამ პიესის ფინალში მოლიერი წამოდგება და იტყვის:

— შინ მინდა მოვკვდე... მინდა, ჩემი ასული დავლოცო.

პრინცი კონდე კი მასთან მივა და ეტყვის:

— დაშეყრდენით, მოლიერო!

ხოლო მსახიობი დიუპარკი, რომელიც, სხვათა შორის, მსოფლიოს სიკვდილის ჭამს ამქვეყნად აღარ იქნება, ქვითინით შესძახებს:

ო, რა ძნელია დაკარგვა ერთადერთი კაცისა, ვინც კი ოდესმე გყვარებია!

რას იზამ, ქალები გრძნობიერად წერენ! შენ კი, ჩემო საბრალო, სისხლით მოსვრილო ოსტატო, არსადაც არ გინდოდა სიკვდილი — არც შინ და არც გარეთ! როცა პირიდან სისხლმა შადრევანივით ამოგხეთქა, არა მგონია, მოგენებებინა შენი ასულის, მადლუნას დალოცვა, ვინც ბევრს არავის აინტერესებს.

ქალებზე უფრო გრძნობიერად ვინ წერს? მხოლოდ ზოგიერთი მამაკაცი. რუსი ავტორი ვლადიმერ ზოტოვი არანაკლებ გრძნობიერ ფინალს შეთხზავს:

— მეფე მოდის, მოლიერის ნახვა სურს. რა დაემართა მოლიერს?

— მოკვდა.

პრინცი ლუის შეეგებება და შესძახებს:

— ხელმწიფეე! მოლიერი მოკვდა!

ლუი XIV ქუდს მოიხდის და იტყვის:

— მოლიერი უკვდავია!

რა შეიძლება, ამ სიტყვების საწინააღმდეგოდ ითქვას? მართლაც, თუ კაცი მეოთხე საუკუნეა, ცოცხლობს, უაუოდ უკვდავია. მაგრამ საკითხავია, ამას ფიქრობდა მეფეც?

ბატონ კამბრეს ოპერა „არეტუზაში“ მსმენელს ამცნობდნენ:

— ღმერთები ზეცას განაგებენ, ლუი კი — დედამიწას!

დედამიწის განმგებელი ქუდს არასოდეს არავის წინაშე არ იხდიდა, გარდა ქალებისა, და არც მომაკვდავ მოლიერთან მივიდოდა. მართლაც, მეფეს მოლიერთან ფეხი არ მიუდგამს. არც პრინცი მისულა. დედამიწის განმგებელს უკვდავად საკუთარი თავი მიაჩნდა, მაგრამ, მგონი, ცდებოდა. იგი სხვებივით მოკვდავი იყო და, მაშასადამე — ბრმაც. ბრმა რომ არ ყოფილიყო, იქნებ მართლა მისულიყო მომაკვდავთან, რადგან მომავალში ბევრ საინტერესო რამეს ნახავდა და შესაძლოა, მოეაუარებინა, ჭეშმარიტ უკვდავებას ზიარებოდა.

დღევანდელ პარიზში, სადაც ერთმანეთს კვეთს რიშელიეს, ტერეზას და მოლიერის ქუჩები, იგი ნახავდა სვეტებშია უძრავად მჯდარ კაცს. ამ კაცის ქვემოთ თეთრი მარმარილოს ორ ქალს ხელში გრაგნილები უჭირავს. უფრო ქვემოთ ლომის თავეებია. მათ ქვეშ კი ამომშრალი შადრევნის აუზი.

აგერ იგი, ეშმაკი და მომხიბლავი გალი, მეფის კომედიანტი და დრამატურგი, ბრინჯაოს პარიკი რომ ახურავს და ფეხსაცმელებზე ბრინჯაოს ბაფთები უკეთია! აგერ იგი, ფრანგული დრამატურგიის მეფე!

ოჰ, ჩემო ქალბატონო! რას მელაპარაკებით ვიდაც წარჩინებულ ახალშობილებზე, ოდესღაც ხელში რომ გჭერიათ! გესმით თუ არა, ის ბავშვი, პოკლენების სახლში ახლა ქვეყნიერებას რომ მოევილინა, ბატონი მოლიერია! ხომ მიხვდით? ჰოდა, ფრთხილად, ძალიან გთხოვთ! მითხარით, წამოიყვირა? სუნთქავს? ცოცხალია!

მ ა ი მ უ ნ თ ა ს ა ხ ლ ი



მაშ ასე, 1622 წელს, დაახლოებით 13 იანვარს, პარიზში ბატონ ჟან ბატისტ პოკლენს და მის მეუღლეს მარი პოკლენ-კრესეს პირველი შვილი, სუსტი ვაჟი შეეძინათ. 15 იანვარს ბავშვი წმინდა ევსტათის ეკლესიაში მონათლეს და მამის სახელი ჟან ბატისტი დაარქვეს. მეზობლებმა პოკლენს მიულოცეს და მეშპალერეთა საამქროში შეიტყვეს, რომ დაიბადა კიდევ ერთი მეშპალერე და აგეჯით მოვაჭრე.

ყველა არქიტექტორს თავისი ფანტაზია აქვს. წმინდა პონორისა და ძველი აბანოების ქუჩების გადაკვეთაზე მდგარი წოწოლასახურავიანი სამსართულიანი კოხტა სახლის კუთხეებში XV საუკუნის მშენებელს ხეში ნაკვეთა ფაქიზად ტოტებშეკვეცილი ფორთოხლის ხეები აღუმართავს. ფორთოხლის ხეებს პატარა მაიმუნები შესევიან და ნაყოფს კრეფენ. თავისთავად ცხადია, რომ პარიზლებმა ამ სახლს მაიმუნთა სახლი შეარქვეს. კომედიანტ დე მოლიერიც ეს მაიმუნები შემდგომში ძალზე ძვირად დაუჯდა. მის კეთილმოსურნეებს არაერთხელ უთქვამთ, რა გასაკვირია, ღირსეული პოკლენის უფროსი ვაჟი ტაკიმასხარად რომ იქცა? სხვა რა მოეთხოვება იმას, ვინც მანჭია მაიმუნების გარემოცვაში იზრდებოდაო! თუმცა კომედიანტს მომავალში თავისი მაიმუნებისთვის ზურგი არ შეუქცევია და ცხოვრების მიწურულს, როცა გერბის გაკეთება განიზრახა, ზედ მამისეული სახლის მცველი კუდიანი ამფსონები გამოსახა.

ეს სახლი შუაგულ პარიზში, ხმაურიან სავაჭრო უბანში, ახალი ხიდის შორიახლოს იდგა. სახლი ეკუთვნოდა სამეფო კარის მეშპალერესა და მომთარღველს, მამა ჟან ბატისტს. იგი ამ სახლში ცხოვრობდა და ვაჭრობდა.

დროთა განმავლობაში მეშპალერემ შეძლო, კიდევ ერთი წოდება — მისი უდიდებულესობის, საფრანგეთის მეფის კამერდინერობა მიეღო. იგი ამ წოდებას თვითონაც ღირსეულად ატარებდა და სამემკვედრეოდაც დაუმტკიცა თავის უფროს ვაჟს, ჟან ბატისტს.

იმასაც ამბობდნენ, მამა ჟან ბატისტი სავარძლებითა და შპალერით ვაჭრობის გარდა, ფულის გასესხებასაც მისდევს და სარგებელსაც ბარაქიანად იღებსო. კომერციის მიმდევარი კაცისათვის ეს საძრახისად არ მიმაჩნია, მაგრამ ავენოვანები ამტკიცებდნენ, მამა პოკლენმა პროცენტების აღებაში ცოტა გადაამლაშა და, როცა დრამატურგი მოლიერი უგვანო ძუნწის, პარპაგონის სახეს ქმნიდა, მშობელ მამას აღწერდაო. პარპაგონი კი ის კაცი გახლდათ, რომელიც ცდილობდა, ერთი თავისი კლიენტისთვის ფულის ნაცვლად ყოველგვარი ხარახურა შეეჩეჩებინა, მათ შორის ნამჯით გატენილი ნიანგის ფიტული, რაც, პარპაგონის აზრით, შეიძლებოდა, ჭერზე სამკაულად ჩამოგეკიდათ.

ამ მონაჩმახის დაჯერება არ მსურს! დრამატურგ მოლიერს მამის ხსოვნისთვის ჩირქი არ მოუცხია და ამას არც მე ვაპირებ.

მამა პოკლენი ნამდვილი კომერსანტი, თავისი სახელმოხვეცილი საამქროს თვალსაჩინო და პატივცემული წარმომადგენელი გახლდათ. იგი ვაჭრობ-

და და მაიმუნის დუქნის კარს ზემოთ პატიოსანი დროშა ფრიალებდა, რომელზედაც იგივე მაიმუნი იყო გამოსახული.

ჩაბნელებულ პირველ სართულზე, დუქანში, საღებავებისა და მატყლის სუნი იდგა, საღაროში მონეტების წკრიალი გაისმოდა, მთელ დღეს ხალხის ფეხი არ წყდებოდა, ვინ ნოხებს ყიდულობდა, ვინ შპალერს, მაშა პოკლენთან ბურჟუებიც მოდიოდნენ და არისტოკრატებიც. ხოლო სახელოსნოში, რომელსაც ფანჯრები ეზოსკენ ჰქონდა, სვეტ-სვეტად იდგა სქელი მტვერი, ერთმანეთზე აჩხორილიყო სკამები, იატაკზე ეყარა ფიცრის ნაჭრები, ტყავისა და ქსოვილის ნაკუწები და ამ ქაოსში ფუსფუსებდნენ, ჩაქუჩებს აკაკუნებდნენ, მაკრატლებს აკრიჭინებდნენ პოკლენის ოსტატები და ქარგლები.

სახლის მეორე სართული, დროშის ზემოთ, დედის სამფლობელო იყო. იმ ოთახებში მისი განუწყვეტელი ხველა და კაბის კალთების შრიალი გაისმოდა. მარი პოკლენი შეძლებული ქალი გახლდათ. კარადებში ძვირფასი კაბები, ფლორენციული ქსოვილის ნაჭრები და წმინდა ტილოს თეთრეული ეწყო, კომოდებში ბრილიანტისთვლიანი ყელსაბამები და სამაჯურები, მარგალიტები, ზურმუხტისთვლიანი ბეჭდები, ოქროს საათები და ძვირფასი ვერცხლის ჭურჭელი ჰქონდა შენახული; ლოცვისას სადაფის კრიალოსანს მარცვლავდა; ბიბლიასა და, რაც ნაკლებად მჭერა, ბერძენი ავტორის პლუტარქეს ნაწარმოებთა შემოკლებულ თარგმანს კითხულობდა. ამ წყნარი, თავაზიანი, განათლებული ქალის წინაპართა უმეტესობა მეშპალერეები იყვნენ, მაგრამ მათ შორის სხვა ხელობის ხალხიც გამოერეოდა ხოლმე, მაგალითად, მუსიკოსები და ვეჭილები.

მაიმუნთა სახლის ზედა ოთახებში ქერათმიანი, სქელტუჩა ბიჭი დააბიჯებდა. ეს უფროსი ვაჟი ჟან ბატისტი გახლდათ. ხანდახან იგი დუქანსა და სახელოსნოში ჩადიოდა, ქარგლებს ხან რას ეკითხებოდა, ხან რას, და მუშაობაში ხელს უშლიდა. ოსტატები მის ენაბრგენილობას დასცინოდნენ, მაგრამ უყვარდათ. დროდადრო ბიჭი ფანჯარასთან ჩამოჯდებოდა, ლოყებს მუშტებზე დააყრდნობდა და ჭუჭყიან ქუჩას გასცქეროდა, სადაც ხალხი ირეოდა.

ერთხელ დედამ გვერდით ჩაუარა, ზურგზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— ოჰ, შე ქვეყნიერების მჭვრეტელო!..

ერთ მშვენიერ დღეს ქვეყნიერების მჭვრეტელი სამრევლო სკოლაში მიაბარეს. სამრევლო სკოლაში მან ის ისწავლა, რის სწავლაც ამგვარ სკოლაში შეიძლება, ანუ არითმეტიკის პირველ ოთხ წესს დაეუფლა, თავისუფლად კითხულობდა, ლათინურის საწყისები აითვისა და „წმინდანთა ცხოვრებაში“ მოთხრობილ მრავალ საინტერესო ამბავს გაეცნო.

ასე მიდიოდა დღეები, მშვიდად და კარგად. მაშა პოკლენი მდიდრდებოდა, უკვე ოთხი შვილი ჰყავდა, როცა მაიმუნთა სახლს უეცრად უბედურება ეწვია.

1632 წლის გაზაფხულზე ნაზი დედა ავად შეიქნა. თვალები უელავდა და შეშფოთებით იცქირებოდა. ერთ თვეში ისე ჩამოინდა, ვეღარ იცნობდით, ფერმკრთალ ლოყებზე უსიამო ლაქები დააჩნდა. მერე სისხლის ამოხველება დაიწყო და მაიმუნთა სახლში ჯორებზე ამხედრებულმა ექიმებმა იწყეს მოსვლა, თავზე შემზარავი ჩაჩები რომ ეხურათ. 15 მაისს ქვეყნიერების მჭვრეტელი გულამოსკენით ტიროდა და ჭუჭყიანი მჯიღებით ცრემლებს იწმენდა. მასთან ერთად მთელი სახლი ქვითინებდა. გულზე ხელებდაკრეფილი წყნარი მარი პოკლენი გაუხმრევლად იწვა.

როცა იგი დაასაფლავეს, სახლში თითქოს გამუდმებული ბინდბუნდი ჩამოწვა. მამას დაბნეულობა და სევდა დაეუფლა. იმ ზაფხულს ვაჟმა რამდენჯერმე დაინახა, მამა საღამოობით მარტო რომ იჯდა და ტიროდა ქვეყნიერების მკვრელელი ამის გამო ოთახებში ნირწამხდარი დაბორილებდა და აღარ იცოდა, რა ექნა. მაგრამ მერე მამამ ტირილს თავი ანება და ფლიორეტების ოჯახში სიარულს მოუხშირა. თერთმეტი წლის ჟან ბატისტს უთხრეს, ახალი დედა გეყოლებათ. ეს ახალი დედა, ეკატერინე ფლიორეტი, მაიმუნთა სახლს მალე მოევიდნა. თუმცა იმჟამად ოჯახმა მაიმუნთა სახლი დატოვა, რადგან მამამ სხვა სახლი იყიდა.

თავი 2

ორი თეატრალის აგავი

ახალი სახლი ბაზართან იდგა, იმ უბანში, სადაც სახელგანთქმული სენ-ჟერმენის ბაზრობა იმართებოდა. ფხიანმა პოკლენმა თავისი დუქნის ყველა სატყუარა ახალ ადგილას უფრო მარჯვედ გამართა. ძველ სახლში მარი კრესე დიასახლისობდა და ბავშვებს აჩენდა, ახალ სახლში იგი ეკატერინე ფლიორეტმა შეცვალა. ამ ქალზე რა შეიძლება ითქვას? მე მგონი, არაფერი — არც ცუდი და არც კარგი. მაგრამ რაკილა იგი ოჯახს დედინაცვლის სახელით მოევიდნა, ბევრი მათგანი, ვინც ჩემი გმირის ცხოვრებით დაინტერესდა, ამტკიცებდა, ჟან ბატისტ-უმცროსს ეკატერინე ფლიორეტის ხელში ცხოვრება უმძიმდა, იგი ავი დედინაცვალი იყო და მოლიერმა კომედიაში „ვითომდა ავადმყოფი“ ბელინას, მზაკვარი ცოლის სახით თავისი დედინაცვალი გამოიყვანათ.

მე მგონი, ეს ასე არ უნდა იყოს. არ არსებობს არავითარი საბუთი, რომ ეკატერინე ჟან ბატისტს ჩაგრავედა, მით უფრო ვერაფრით დამტკიცდება, რომ იგი ბელინაა. ეკატერინე ფლიორეტი ურიგო მეუღლე არ ყოფილა და ამქვეყნად თავის ვალს იხდიდა: ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ პოკლენს ქალიშვილი ეკატერინე გაუჩინა, კიდევ ორი წლის შემდეგ კი — მარგარიტა.

მაშ ასე, ჟან ბატისტი სამრევლო სკოლის კურსს გადიოდა და ბოლოს დაასრულა კიდევ. მამა პოკლენმა გადაწყვიტა, ჩემმა ვაჟმა ჭკუა-გონება საკმაოდ განიკითხო, და დაევალა, დუქანში იტრიალე, რომ აქაურ საქმიანობას მიეჩვიოთ. ჟან ბატისტი ქსოვილებს ზომავდა, რაღაცაზე ლურსმნებს აჭედებდა, ქარგლებთან ლაყბობდა, თავისუფალ დროს კი მარი კრესეს დანატოვარ პლუტარქეს გაზინთულ წივნს კითხულობდა.

აი, კარი იღება და სანთლების შუქზე წარმომიდგება სადა, მაგრამ დარბაისლურ ხიფთანში გამოწყობილი, პარიკიანი, ხელჯონიანი, ასაკთან შედარებით ძალზე მხნე, ბურჟუას გარეგნობის მქონე ბატონი, მკვირცხლი თვალები და მოხდენილი მიმოხვრა რომ აქვს. მისი სახელია ლუი, გვარი — კრესე. იგი განსვენებული მარი კრესეს მამა და, მაშასადამე, ჟან უმცროსის პაპაა.

ბატონი კრესე მეშბაღერე გახლდათ, ისევე, როგორც მისი სიძე. მაგრამ კრესე სამეფო კარისა კი არა, კერძო მეშბაღერე იყო და სენ-ჟერმენის ბაზ-

რობაზე ვაჭრობდა. ცხოვრობდა პარიზის მახლობლად, სენტ-უანში, სადაც მშვენიერი სახლი და მამული ჰქონდა. პოკლენების ოჯახი კვირათა სენტ-უანში პაპას სტუმრად ეწვეოდა ხოლმე და ბავშვებს იქ გატარებულ დრო სიამოვნებას ანიჭებდა.

პაპა კრესემ ჟან ბატისტ უმცროსთან საოცარი მეგობრობა დაამყარა. რამ დააკავშირა ერთმანეთთან ბერიკაცი და ბიჭუნა? ეშმაკ ხომ არაა? ნამდვილად ეშმაკ! თუმცა მათი გატაცება მამა პოკლენს საიდუმლოდ დიდხანს არ დარჩენია და მალე გაოცება და გულისწყრომა დაეუფლა. თურმე პაპასა და შვილიშვილს თავდავიწყებით უყვარდათ თეატრი!

როცა პარიზში ჩამოსული პაპა საღამოობით მოკლილი იყო, წინასწარ შეთანხმებული ორი მეშპალერე, მოხუცი და ყმაწვილი, ერთმანეთს საიდუმლოდ გადახედავდა და სახლიდან გადიოდა. მიმავალთათვის თვალის მიდევნება კაცს არ გაუძნელდებოდა. ისინი, ჩვეულებრივ, მოკონსეილისა და ფრანგული ქუჩის კუთხისკენ გასწევდნენ ხოლმე, სადაც „ბურგონული სასტუმროს“ დაბალსა და ულაზათო დარბაზში მსახიობთა სამეფო დასი თამაშობდა. დარბაისელი პაპა კრესე კარგად იცნობდა ერთი საზოგადოების მამასახლისებს. საზოგადოებას „უფლის ვნებათა ძმობა“ ერქვა და მასი წევრები რელიგიური, აგრეთვე კომერციული მიზნებით იყვნენ გაერთიანებულნი. „უფლის ვნებათა ძმობას“ პარიზში მისტერიათა წარმოდგენის პრივილეგია ჰქონდა. „ბურგონული სასტუმრო“ სწორედ ამ ძმობამ ააშენა. მაგრამ იმ დროს, როცა ჟან ბატისტი პატარა ბიჭი იყო, იქ მისტერიებს აღარ მართავდნენ და შენობას ქირით აძლევდნენ სხვადასხვა დასს.

ჰოდა, პაპა კრესე ძმობის მამასახლისთან მიდიოდა და პატივცემულ მეშპალერესა და მის შვილიშვილს ერთ-ერთ თავისუფალ ლოჯაში უფასო ადგილებს აძლევდნენ.

„ბურგონული სასტუმროს“ თეატრში, სადაც მთავარ როლებს იმ დროს ფრიად ცნობილი მსახიობი ბელროზი ასრულებდა, ტრაგედიებს, ტრაგიკომედიებს, პასტორალებს და ფარსებს თამაშობდნენ. „სასტუმროს“ თვალსაჩინო დრამატურგად ითვლებოდა ესპანური დრამატურგიული ნიმუშების დიდი მოყვარული ჟან დე როტრუ. პაპა კრესეს ბელროზის თამაში უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა და მსახიობს პაპასთან ერთად ტაშს შვილიშვილიც უკრავდა. მაგრამ შვილიშვილს იმ ტრაგედიებზე უფრო, სადაც ბელროზი თამაშობდა, უხეში და მსუბუქი ბურგონული ფარსები მოსწონდა. ეს ფარსები უმეტესად იტალიელებისგან იყო ნასესხები. პარიზელი მსახიობები სასაცილო როლებს საუცხოოდ თამაშობდნენ, ტექსტს თავიანთ ნებაზე ცვლიდნენ და სიმძაფრეს მატებდნენ.

დიახ, პაპა კრესემ ჟან ბატისტს „ბურგონული სასტუმროს“ გზა ასწავლა და მამამისს საწუხარი გაუჩინა. ჟან ბატისტმა ჯერ ბავშვობისას პაპასთან, მერე კი ჰაბუკობისას ამხანაგებთან ერთად „სასტუმროში“ მრავალი შესანიშნავი რამის ნახვა მოასწრო.

ფარსებში მოთამაშე სახელგანთქმული გრო-გილიომი ჟან ბატისტს წითელი, გატყლაპული ბერეტითა და უზარმაზარ მუცელზე შემოტმასნული თეთრი ქურთუკით აოცებდა. მეორე სახელგანთქმული მსახიობი, ფარსიორი გოტიე გარგიული თავისი პეწიანობით არანაკლებ სჭრიდა თვალს „ბურგონული თეატრის“ მაყურებელს, მას წითელსახელოებიანი შავი კამზოლი ეცვა, უზარმა-

ზარი სათვალე ეკეთა და ჯოხი ეჭირა. ეს ბატისტს აოცებდა ტურლიუპენიც, ათასგვარ ოინებს რომ იგონებდა, და სასაცილო დედაბრების როლების შემსრულებელი ალიზონიც.

ეს ბატისტს რამდენიმე წელიწადში კარუსელივით ჩაუჭროლეს თვალწინ ცხვირ-პირშეფქვილულმა, საღებავებით სახემოთხუბნულმა თუ ნიღბოსანმა პედანტმა ეჭიმებმა, ძუნწმა ბერიკაცებმა, ტრაბახა და მხდალმა კაპიტნებმა. მაყურებელთა ხარხარში თავქარიანი ცოლები ბუზლუნა და ბრიყვ კმრებს ატყუებდნენ, ხოლო ფარსებში მოთამაშე ჭორიკანა მაჭანკლები კაჭკაჭებივით ლაქლაქებდნენ. ეშმაკი და ბუმბულივით მჩატე მსახურები მოხუც გორჭიბიუსებს აბრიყვებდნენ, ბებრუხანებს თავზე ტომრებს ჩამოაცვამდნენ და ჯოხებით სცემდნენ. „ბურგონული თეატრის“ ეედლები ფრანგთა ხარხარისგან ზანზარებდა. როცა „ბურგონულ სასტუმროში“ ყველაფერი ნახეს, რის ნახვაც შეიძლებოდა, სცენის სიყვარულით შეპყრობილმა მეშპალერებმა მეორე დიდ თეატრს — „ჭაობის თეატრს“ მიაკითხეს. იქ მეფობდა ტრაგედია, სადაც ყურადღებას იპყრობდა სახელგანთქმული მსახიობი მონდორი, და მაღალხარისხოვანი კომედია, რომლის საუკეთესო ნიმუშებით თეატრს ამარაგებდა იმ დროის სახელგანთქმული დრამატურგი პიერ კორნელი.

ლუი კრესეს შვილიშვილს თითქოს სხვადასხვანაირ წყალში ატყუებდალავებდნენ: ინდური მამალივით მორთულ-მოკაზმული ბურგონელი ბელროზი ნაზი და ხმადაშაქრული გახლდათ. იგი თვალებს გადაატრიალებდა, მერე მზერას შორეთისკენ მიაპყრობდა, ქუდს ნელა აიქნევდა და მონოლოგებს ისე აუღერებოდა წარმოთქვამდა, ძნელი გასარჩევი იყო, ლაპარაკობდა თუ მღეროდა. „ჭაობის თეატრში“ კი მონდორი დარბაზს მჭექარე ხმით აყრუებდა და ტრაგედიებში ხრიალით კვდებოდა.

ბიჭი შინ თვალეზანთებული ბრუნდებოდა და ღამით ოხუნჯი ალიზონები, ჯაკმენ-ჯადოები, ფილიპენები და სახელგანთქმული, სახეშეთეთრებული ყოფილი ესიზმრებოდა. ვაი, რომ „ბურგონული სასტუმრო“ და „ჭაობის თეატრი“ წაღილს მთლიანად ვერ აუსრულებდა იმას, ვისაც თეატრის ტრფიალის უკურნებელი სენი შეპყროდა.

ახალ ხიდთან და ბაზრის უბანში ვაჭრობა ძალუმად იყო გაჩაღებული. პარიზი ფუფუნდებოდა, ლამაზდებოდა და სულ განზე და განზე მიიწევდა. დუქნებში და დუქნების წინ ცხოვრება ჩქეფდა, კაცს თვალეზი აუჭრელდებოდა, ხმაური ყურთასმენას ანშობდა. სენ-ჟერმენის ბარზობაზე უამრავი კარავი იყო გაშლილი და საშინელი ორომტრიალი იდგა. ყაყანი! ზრიალი! და ტალახი, ტალახი!

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — თქვა ერთხელ ამ ბაზრობაზე ხეიბარმა პოეტმა სკარონმა. — როგორ დაანაგვიანებს აქაურობას ეს ხალხი, ვისაც საცვალი არასოდეს სცმია!

მთელ დღეს მიდი-მოდიან, ჩოჩქოლებენ! ირევიან მდაბიო კაცები და მდაბიო ლამაზმანები! სადალაქოებში საპნავენ, პარსავენ, კბილებს იგლეჯენ. ხალხის ზღვაში ქვეითთა შორის მხედრებიც მოჩანან. ჯორებით ჩაივლიან მედიდური, ყორნების მსგავსი ეჭიმები. ცხენებს მიაგელვებენ მეფის მუშკეტერები, კურტაკებზე დევიზები ოქროსფრად რომ უბრწყინავთ. ქვეყნიერე-

ბის დედაქალაქო, ჭამე, სვი, ივაჭრე, იზარდე! პეი, თქვენ, ვისაც საცვალი არასოდეს გცმიათ, აქეთ გამოსწიეთ, ახალ ხიდს მოაშურეთ! შეხეთ, ბალაგანებს აგებენ, კედლებზე ხალიჩები ჩამოუფენიათ. ვინ არის, ზურნასავით რომ ცყვიტინებს? ეს მაცნეა, ნუ დაიგვიანებთ, ბატონებო, წარმოდგენა უწყება! შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ! მხოლოდ ჩვენთან ნახავთ და მერტუ ვეტარსად იხილავთ ბატონ ბრიოშეს საუცხოო თოჯინებს! აგერ ისინი! ძაფებზე ჩამოკიდებულნი ქანაობენ ფიცარნაგზე! აქ ნახავთ ფაგოტენის გაწვრთნილ ბრძენთაბრძენ მაიმუნს!

ახალ ხიდთან ბალაგანებში მოკალათებულიყვნენ ქუჩის ექიმები, კბილის მგლეჯელნი, კორძების ამომჭრელნი და თაღლითი მეთაფთიაქეები. ისინი ყიდდნენ პანაცეას — ყველა სენის განმკურნებელ წამალს. ხოლო მათი დუქნებისთვის ხალხს ყურადღება რომ მიექცია, მოხეტიალე მსახიობებს, ხანაც თეატრებში მოთამაშე მსახიობებს უთანხმდებოდნენ და ისინიც წარმოდგენებს მართავდნენ, სადაც ხოტბას ასხამდნენ თაღლითების სასწაულთმოქმედ წამლებს.

ხანაც საზეიმო პროცესია გამოჩნდებოდა. ცხენებზე ამხედრებული, მორთულ-მოკაზმული, ნაჭირავები ყალბი სამკაულებით შემკული კომედიანტები ხმამაღლა გაჰკიოდნენ, ხალხს იწვევდნენ. ბიჭები მათ გუნდ-გუნდად დასდევდნენ, უსტვენდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ, რის გამოც აურზაური უფრო მატულობდა.

იგუგუნე, ახალო ხილო მესმის, შენს ხმაურში როგორ იბადება ძე თაღლითი მამისა და მსახიობი დედისა — ფრანგული კომედია. იგი ყურთწამლებად გაჰკივის და უხეში სახე ფქვილითა აქვს მოთხუპნული!

აი, მთელ ბარიზში გაითქვა სახელი იდუმალებით მოცულმა, შესანიშნავმა კაცმა, ვინმე კრისტოფ კონტუჯიმ. იგი დაჭირავებული დასით ბალაგანში წარმოდგენებს მართავდა და პოლიშინელების დახმარებით ყიდდა ყველა სენის განმკურნებელ წამალს, „ორვეტანი“ რომ შეარქვეს.

სხვა წამალი სად არი,
ორვეტანის სადარი!
აბა, განი! განი! განი!
შეიძინეთ ორვეტანი!

ნიღბიანი მასხარები ხალხის ჟრიამულის დაფარვას ცდილობდნენ და ხმა-ჩახლეჩილნი გაჰკიოდნენ, ამქვეყნად სენი არ არის, ჯადოსნური ორვეტანი რომ არ კურნავდესო! ფიცულობდნენ, კლექსაც შველის, შავ ჭირსაც და მუნსაცო!

ბალაგანის გვერდით მუშკეტერი ბედაურს შიაგელვებს. წმინდა სისხლის ულაცი ჩასისხლიანებულ თვლებს აბრიალებს, ლაგამზე ქაფი ჩამოსდის. ვიღაც ნიფხვისამარანი გზას გადაუჭრიან, უნაგირზე ჩამოკიდებულ დამბაჩებს ზედ ეკვრიან. კონტუჯის ბალაგანიდან კი მოისმის:

ბატონო კაპიტანო,
იყიდეთ ორვეტანი!

— ჭირსაც წაუღიხართ! გამატარეთ! — ყვირის გვარდიელი.

— ერთი კოლოფი ორვეტანი მომეცით, გეთაყვა, — ამბობს ზრდაც ცდუნებული სგანარელი. — რა ღირს?

— ბატონო, — უბასუხებს თაღლითი, — ორვეტანი ისეთი რამეა, ფასი არ დაედება! მრცხვენია, ფული რომ გამოგართვათ, ბატონო!

— ოჰ, ბატონო, — ეუბნება სგანარელი, — ვიცი, რომ ამ კოლოფის საფასურად მთელი პარიზის ოქროც არ იკმარებს, მაგრამ უფასოდ არათრის წაღებას არ ვიკადრებ. ამიტომ გთხოვთ, გამომართვათ ოცდაათი სუ და ხურდა დამიბრუნოთ.

პარიზში მუქლურჯი საღამო დგება, სინათლეები ინთება. ბალაგანებში ჯვრისებური ქორკანდელები ხრჩოლავს, ქონის სანთლები იღვენთება და ჩირადნები ბრიალებს.

სგანარელი შინისკენ, სენ-დენის ქუჩისკენ მიიჩქარის. მას კალთებს აგლეჯენ და ამქვეყნად ყოველგვარი შხამის საწინააღმდეგო წამალს სთავაზობენ. იგუგუნე, ხიღო!

ხალხში გზას ორნი მიიკვლევენ: დარბაისელი პაპა და მისი ყმაწვილი მეგობარი, ნაკეცებიანი საყულო რომ უკეთია. არავინ იცის და არც ფიცარნავზე მყოფი მსახიობები არიან აზრზე, თაღლითის ბალაგანთან ბრბოს მარწუხებში ვინ მომწყვდებულა. ბურგონულ თეატრში ფოღლემ არ იცის, რომ დადგება დღე, როცა ამ ბიჭის დასში ითამაშებს. პიერ კორნელმა არ იცის, მოხუცებულობისას როგორ გაიხარებს, როცა ეს ბიჭი მის პიესას მიიღებს დასადგმელად და გაღარიბებულ დრამატურგს ამ პიესაში ფულს გადაუხდის.

— იქითა ბალაგანშიც ხომ არ შეესულიყავით? — გრძნობამორევით და თავაზიანად ეკითხება პაპას შვილიშვილი.

პაპა ყოყმანობს — გვიანაა, მაგრამ თავს ველარ იკავებს:

— კარგი, შევიდეთ.

შემდგომ ბალაგანში მსახიობი ქუდით ფოკუსებს აკეთებს: ხელში ატრიალებს, უჩვეულოდ კეცავს, კმუჭნის, პაერში ისვრის...

ხიდი კი უკვე გაჩირალდნებულია. მთელ ქალაქში შუქი ციმციმებს — გამვლელები გზას ფარნებით ინათებენ. ყურთასმენის წამლები ყვირილი კი ისევ გაისმის: ორვეტანი!

შესაძლოა, სენ-დენის ქუჩაზე იმ საღამოს მოლიერის ერთ-ერთი მომავალი კომედის ფინალი გათამაშდეს. ვიდრე ეს სგანარელი თუ გორეზიუსი ორვეტანს იყიდდა, რითაც იმედოვნებდა, რომ თავის ქალიშვილს ლიუსინდას კლიტანდრის თუ კლეონტის სიყვარულისგან განკურნავდა, — ლიუსინდა, რა თქმა უნდა, იმ კლიტანდრთან ერთად გაიქცა და ჯვარი დაიწერა.

გორეზიუსი გაცეცხლებულია. იგი გააბრიყვეს! გაასულელეს! გულმოსული მოახლეს კბილებში სჩრის წყეულ ორვეტანს! იმუქრება!

მაგრამ მევიოლინეები მოდიან და მხიარულ მუსიკას უკრავენ. მსახური შამპანი ცეკვავს. სგანარელი მომხდარ ამბავს შეეგუება. მოლიერი ბედნიერების ამსახველ ფინალს დაწერს.

იგუგუნე, ხიღო!



ერთ საღამოს კრესე და მისი შვილიშვილი შინ აღგზნებულნი დაბრუნდნენ. როგორც ყოველთვის, ეტყობოდათ, რაღაც საიდუმლო ჰქონდათ. მთელ დღეს ნამუშევარი მამა პოკლენი საფარძელში იჯდა და ისვენებდა. მან პაპას ჰკითხა, საყვარელი შვილიშვილი სად გყავდაო. რაღა თქმა უნდა, ბურგონულ სასტუმროში წარმოდგენაზე იყვნენ.

— რა ძალიან მოუხშირეთ თეატრში ბიჭთან ერთად სიარულს? — ჰკითხა კრესეს პოკლენმა. — კომედიანტად ხომ არ გინდათ აქციოთ?

პაპამ ქუდი დადო, ჯოხი კუთხეში მიაყუდა, ცოტა ხანს დუმდა და მერე უპასუხა:

— ღმერთმა ქნას, ისეთი მსახიობი გახდეს, როგორც ბელროზია.

სამეფო კარის მეშპალერემ პირი დააღო. ერთხანს ხმა ვეღარ დაძრა, მერე კი ჰკითხა, მაგას მართლა თუ ამბობთო? მაგრამ რადგან კრესე დუმდა, პოკლენმა ეს თემა თვითონ განავითარა, მაგრამ ირონიული კილოთი:

თუ ლუი კრესეს აზრით სასურველია, ბიჭი კომედიანტ ბელროზს დაემგვანოს, მაშ უფრო მეტი რატომ არ ისურვონ? შეიძლება, ალიზონის კვალს გაჰყვეს, რომელიც სცენაზე დგას და მოქალაქეთა თავშესაქცევად მანჭვაგრებით წარმოსახავს სასაცილო ვაჭარ დედაბრებს. ცხვირ-პირზე რატომ არ უნდა წაიგლისოს რაღაც თეთრი სისაძაგლე და უზარმაზარი ულვაშები რად არ მიიწებოს, როგორც ყოღლე სჩადის?

საერთოდ, შეიძლება ილაზღანდაროს, იმის ნაცვლად რომ ხელი საქმეს მოჰკიდოს. რა უშავს, მოქალაქეები ხომ საფასურს იხდიან, თითო კაცი — თხუთმეტ სუს!

მართლაც დიდებული კარიერაა სამეფო კარის მეშპალერის უფროსი ვაჟისთვის, იმ კაცის შვილისთვის, ვისაც, ღვთის მადლით, მთელი პარიზი იცნობს! რას გაიხარებენ მეზობლები, როცა ბატისტ-უმცროსი, ბატონი პოკლენი, რომელსაც მეფის პირისფარეშის წოდება შემკვიდრეობით უნდა დარჩეს, ფიცარნაგზე გამოჩნდება! მეშპალერეების საამქროში ხომ სიცილით ფერდები დააწყდებათ!

— მომიტევეთ, — უთხრა კრესემ თავაზიანად, — მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ თეატრი არ უნდა არსებობდეს?

გამოირკვა, რომ პოკლენი ამას არ ფიქრობდა. თეატრი უნდა არსებობდეს. ამას მისი უდიდებულესობაც კი აღიარებს, ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს. ბურგონულ დასს სამეფო დასის წოდება აქვს ბოძებული. ყოველივე ეს ძალიან კარგია. თავად პოკლენიც კვირა დღეს თეატრში სიამოვნებით წავა, მაგრამ ამას კი იტყვის: თეატრი ჟან ბატისტ პოკლენისთვის არსებობს, პირიქით კი — არამც და არამც.

პოკლენი გაფიცებულ პურს შეეჭყოდა, ღვინოს აყოლებდა და პაპას აცამტვერებდა.

შეიძლება, მეტიც ითქვას. მისი უდიდებულესობის დასში თუ ვერ მოეწყობა — ბატონო ჩემო, ყველა ბელროზი ხომ ვერ იქნება, ვისაც, როგორც ამბობენ, ოცი ათასი ლივრის ღირებულების მარტო კოსტიუმები აქვს, —

მაშინ ბაზრობაზე რომ ითამაშოს, ვითომ რა იქნება? შეუძლია, უწმაწურად იმასხროს, ორაზროვანი ეესტებით მაყურებელი აცინოს!.. რატომაც არა, რატომაც არა?.. მთელი ქუჩის თითით საჩვენებელი გახდება!

— უკაცრავად, ვხუმრობ, — უთხრა კრესეს პოკლენმა, მაგრამ თქვენც ხომ იხუმრეთ?

არავინ იცის, პაპამ იხუმრა თუ არა, ისევე, როგორც არავინ უწყის, რას ფიქრობდა უმცროსი ჟან ბატისტი, როცა მამის მონოლოგებს ისმენდა.

„უცნაური ხალხია ეს კრესეები! — ფიქრობდა სამეფო კარის მეშპალერე და სიბნელეში საწოლზე ტრიალებდა. — ბიჭის გასაგონად ამის თქმა შეიძლებოდა? უხერხული კია, მაგრამ პაპას უნდა ეპასუხა, რომ სულელურად იხუმრა!“

პოკლენის თვალს ძილი არ ეკარება. სამეფო კარის მომფარდველი და კამერდინერი წყვილიადს ჩასჩერებია. ეპ, ყველა კრესე ასეთია! განსვენებულ პირველ ცოლსაც რაღაც ფანტაზიები ჰქონდა, თეატრს ისიც აღმერთებდა. მაგრამ ეს ბებერი ეშმაკი ხომ სამოცი წლისაა! ღმერთმანი, სასაცილოა! ორვეტანი უნდა სვას, თორემ მალე ბავშვად იქცევა!

საზრუნავი. დუქანი. უძილობა...

თავი 4

მეუპაღმართობა უვლახ არ მოსწონს

მე კი საბრალო პოკლენი მაინც მეცოდება! მართლაცდა რა უბედურებაა! 1636 წლის ნოემბერში მეორე ცოლიც გარდაეცვალა. მამა კვლავ სევდიანი ზის ბინდბუნდში. ახლა სულ მარტო დარჩება. ექვსი შვილი კი მოსავლელი ჰყავს. დუქანსაც მიხედვა უნდა, ამოდენა ხროვა ფეხზე უნდა დააყენოს. მარტო დარჩა, სულ მარტო. მესამედ ხომ არ დაქორწინდება...

საუბედუროდ, სწორედ იმხანად, როცა ეკატერინე ფლიორეტი გარდაიცვალა, უფროს ვაჟს, ჟან ბატისტსაც რაღაც დაემართა. თოთხმეტი წლის ყმაწვილი დაძაბუნდა. იგი დუქანში მუშაობას განაგრძობდა — სამდურავი არ ეთქმოდა, არ ზარმაცობდა. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ახალ ხიდთან თოჯინასავით ტრიალებდა! გახდა, ფანჯარასთან ჯდომა დასჩემდა, ქუჩას გასცქეროდა, თუმცა იქ არც ახალი, არც საინტერესო არაფერი ჩანდა, უმადოდ ჭამდა...

ბოლოს ლაპარაკის ქამიც დადგა.

— მითხარ, რა დაგემართა? — უთხრა მამამ და ყრუ ხმით დაუმატა: — ავად ხომ არა ხარ?

ბატისტი თავის ბრტყელცხვირა ფეხსაცმელს მდუმარედ ჩააცქერდა.

— დარდი აღარ მეღევა, — უთხრა საბრალო ქვრივმა, — რა გიყოთ, შეილებო, როგორ მოგიართო? ნუ გამტანჯე... მითხარ, რა დაგემართა.

ბატისტმა ჯერ მამას შეხედა, მერე ფანჯრისკენ გაიხედა და თქვა:

— მეშპალერეობა არ მინდა.

მერე ჩაფიქრდა, ალბათ გადაწყვიტა, კვანძი ერთბაშად გაეხსნა, და დაუმატა:



— საშინლად მეზიზღება.
კვლავ ჩაფიქრდა და კიდევ დაუმატა:

— დუქანი მძულს.

და მამისთვის მთლად რომ მოელო ბოლო, კიდევ

— მთელი სულითა და გულით!

ამის მერე გაჩუმდა.

როცა ამ სიტყვებს ამბობდა, სულელური გამომეტყველება ჰქონდა, რადგან არ იცოდა, მის ნათქვამს რა მოჰყვებოდა. შეიძლებოდა, მამას სილა გაეწნა, მაგრამ არ გაუწნია.

მამა დიდხანს დუმდა. ასეთ უცნაურ ამბავს რა უშველის? სილა? არა, სილის გარტყმით აქ ვერაფერს გახდები. რა უთხრას შვილს? უთხრას, სულელი ხარო? ბიჭი უაზროდ გაშეშებულა ერთ ადგილას, სახეც გამოშტერებია. მაგრამ მზერა შტერული არა აქვს, თვალები მარია კრესესავით ანთებია.

დუქანი არ მოსწონს? იქნებ ეს მხოლოდ ეჩვენება? ჯერ კიდევ პატარა ბიჭია, ამ ასაკში არ შეიძლება იცოდეს, რა მოსწონს და რა არა. უბრალოდ, შესაძლოა, ცოტა დაიღალა. მაგრამ მამა ხომ უფრო მეტად დაიღალა, დამხმარე არავინ ჰყავს და ამდენმა საზრუნავმა გააჭაღარავა.

— მაშ რა გინდა? — ჰკითხა შვილს.

— სწავლა, — უპასუხა ბატისტმა.

ამ დროს ვიღაცამ კარზე ჯოხით ნაზად მიაკაკუნა და ბინდბუნდში ლუი კრესე შევიდა.

— აი, ამ ყმაწვილს, — უთხრა მას პოკლენმა და ნაქეცებიან საყულოზე მიუთითა, — ბატონო ჩემო, არ სურს, დუქანში მომეხმაროს, სწავლას აპირებს.

პაპამ შეპარვით და თავაზიანად დაიწყო ლაპარაკი. უთხრა, ყველაფერი მოგვარდებაო, თუ ყმაწვილს სევდა მოერიია, რა თქმა უნდა, რამე უნდა ვიღონოთო.

— რა ვიღონოთ? — ჰკითხა მამამ.

— იქნებ მართლა სასწავლებლად მივაბაროთ! — შესძახა სახეგაბრწყინებულმა პაპამ.

— მომიტევეთ, მაგრამ სამრევლო სკოლაში ხომ სწავლობდა!

— აბა, სამრევლო სკოლა რა ბედენაა! — თქვა პაპამ. — ბიჭი ისეთი ნიჭიერია...

— ჟან ბატისტ, ოთახიდან გადი, პაპას უნდა მოველაპარაკო.

ჟან ბატისტი გავიდა. კრესემ და პოკლენმა ერთობ სერიოზულად ილაპარაკეს.

მათი ნალაპარაკევის მოყოლას არ შეევუდგები. მხოლოდ შევძახებ: ნათელი იყოს ლუი კრესეს ხსოვნა!

ერი ორდენის წევრები განაგებდნენ და იეზუიტ მამებს იქ საქმე მართლაც რომ ბრწყინვალედ ჰქონდათ დაყენებული — „ღვთის განსაღირებლად“ — ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ.

კოლეგიაში, რომელსაც რექტორი მამა ჟაკობუს დინეხელმძღვანელობდა, ორი ათასამდე ბიჭი და ჭაბუკი სწავლობდა, თავად-აზნაურთა და ბურჟუაზია შვილები, რომელთაგან სამასი ინტერნი იყო, დანარჩენები კი — მიმსვლენი. იესოს ორდენი საფრანგეთის რჩეულებს ასწავლიდა.

პროფესორები კლერმონელებს ისტორიის, ძველი ლიტერატურის, იურიდიული მეცნიერებების, ქიმიისა და ფიზიკის, ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კურსებს უკითხავდნენ, ბერძნულ ენას ასწავლიდნენ. ლათინურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: კლერმონელი ლიცეუმელები არათუ განუწყვეტლივ კითხულობდნენ და სწავლობდნენ ლათინ ავტორებს, არამედ მოვალენი იყვნენ, გაკვეთილებს შორის შესვენების დროსაც ლათინურად ელაპარაკათ. თავად მოგვხსენებათ, რომ ასეთ პირობებში კაცობრიობის ფუნდამენტური ენის შესწავლა უთუოდ შეიძლება.

ცეკვის გაკვეთილებისთვისაც ცალკე საათები ჰქონდათ. სხვა დროს რაპირების ჩხარუნი გაისმოდა: ფრანგი ჭაბუკები იარაღის ხმარებას სწავლობდნენ, რათა ბრძოლის ველზე საფრანგეთის მეფის ღირსება დაეცვათ, ორთაბრძოლაში კი — საკუთარი. საზეიმო დღეებში კლერმონელი ინტერნები ძველრომაელი ავტორების, უმეტესად, პუბლიუს ტერენციუსისა და სენეკას პიესებს თამაშობდნენ.

აი, როგორ სასწავლებელში მიაბარა ლუი კრესემ თავისი შვილიშვილი². მამა პოკლენს სასაყვედურო არაფერი ჰქონდა, ვერ იტყოდა, ჩემი შვილი, მომავალი სამეფო კარის კამერდინერი, უხეირო საზოგადოებაში მოხვდაო. კლერმონელ აღსაზრდელთა სიებში უამრავი დიდგვაროვანი ყმაწვილი იყო. თავად-აზნაურთა საუკეთესო ოჯახები თავიანთ შვილებს კლერმონის ლიცეუმში აგზავნიდნენ. იმ დროს, როცა პოკლენი მეცნიერებათა კურსს ექსტერნად გადიოდა, კლერმონის კოლეგიაში სამი პრინცი სწავლობდა, რომელთაგან ერთი გახლდათ არმან დე ბურბონი, პრინცი დე კონტი, ღვიძლი ძმა მეორე ბურბონისა — ენგიენის ჰერცოგის ლუი კონდესი, რომელსაც შემდგომში დიდი უწოდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოკლენი სამეფო გვარის წარმომადგენელთან ერთად სწავლობდა. მარტო ეს კმარა იმის დასტურად, რომ კლერმონის კოლეგიაში სწავლების საქმე კარგად იყო მოგვარებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცისფერი სისხლის მქონე ყმაწვილები განცალკევებულნი იყვნენ მდიდარ ბურჟუაზია შვილებისგან, რომელთა რიცხვს ჟან ბატისტიც ეკუთვნოდა. პრინცები და მარკიზები ლიცეუმის პანსიონერები იყვნენ, საკუთარი მსახურები და საკუთარი მასწავლებლები ჰყავდათ, მეცადინეობისთვის ცალკე საათები და განცალკევებული დარბაზები ჰქონდათ.

ამას გარდა, უნდა მოვახსენოთ, რომ პრინცი კონტი, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემი მოუსვენარი გმირის თავგადასავალში, ჟან ბატისტზე შვიდი წლით უმცროსი გახლდათ, კოლეგიაში როცა მიაბარეს, პატარა ბიჭი იყო და, რა თქმა უნდა, სწავლისას ჩვენს გმირთან არაერთი ურთიერთობა არ ჰქონდა.

მაშ ასე, უმცროსი პოკლენი პლავტუსის, ტერენციუსისა და ლუკრეციუსის შესწავლას შეუდგა. წესისამებრ თმა მხრებამდე ჩამოიზარდა და განიერი

მის სახლში დაბინავდა, როგორც ძვირფასი სტუმარი. ამ კაცს პიერ გასენდი ერქვა.

პროფესორი გასენდი პროვანსელი იყო. იგი დიდად განათლებული კაცი გახლდათ. იმოდენა ცოდნა ჰქონდა, ათ კაცს ეყოფოდა. პროფესორი გასენდი იყო რიტორიკის მასწავლებელი. საუცხოო ისტორიკოსი, განსწავლული ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი. მარტო მათემატიკა ისე საფუძვლიანად იცოდა, სამეფო კოლეგიის კათედრას სთავაზობდნენ.

მაგრამ, ვიმეორებ, პიერ გასენდის განსწავლულობა მხოლოდ მათემატიკით არ ამოიწურებოდა.

მახვილი და მოუსვენარი ჰკუთის მქონე კაცმა საქმიანობა ძველი დროის ყველაზე სახელგანთქმული ფილოსოფოსის, პერიპატეტიკოს არისტოტელეს შესწავლით დაიწყო, ძირისძირობამდე შეისწავლა და უსაზღვროდ შეიძულა. მერე პოლონელი ნიკოლოზ კოპერნიკის დიად ერესს გაეცნო. კოპერნიკმა მთელ მსოფლიოს განუცხადა, ძველი მოაზროვნეები ცდებოდნენ, როცა ეგონათ, დედამიწა სამყაროს უძრავი ცენტრიაო. გასენდიმ კოპერნიკი მთელი სულითა და გულით შეიყვარა.

გასენდი მოხიბლა დიდმა მოაზროვნემ ჯორდანო ბრუნომ, ვინც 1600 წელს კოცონზე დაწვეს იმის გამო, რომ ამტკიცებდა, სამყარო უსასრულოა და იქ მრავალი ქვეყნიერებააო.

გასენდი მთელი არსებით ემხრობოდა გენიალურ ფიზიკოს გალილეის, ვინც აიძულეს, სახარებაზე ხელდადებულს უარეყო თავისი რწმენა, რომ დედამიწა მოძრაობდა.

ყველა, ვინც გამშედაობას გამოიჩენდა და არისტოტელეს ანდა მის მომდევნო სქოლასტიკოს ფილოსოფოსთა მოძღვრებას თავს დაესხმოდა, გასენდის სახით უერთგულეს თანამოაზრეს პოულობდა. იგი საფუძვლიანად გაეცნო ფრანგი პიერ დე ლა რამეს მოძღვრებას, ვინც თავს ესხმოდა არისტოტელეს და ბართლომეს დამის დროს დაიღუპა. კარგად ესმოდა ესპანელი ხუან ლუის ვივესისა, ვინც სქოლასტიკური ფილოსოფია გაანადგურა, და ინგლისელი ფრენსის ბეკონისა, ვერულამელი ბარონისა, ვინც არისტოტელეს თავისი შრომა „მეცნიერების დიადი გადახალისება“ დაუპირისპირა. თუმცა ყველას ვერ ჩამოთვლი!

პროფესორი გასენდი ბუნებით ნოვატორი იყო, პატივს სცემდა აზროვნების სიცხადესა და სისადავეს, უსაზღვროდ სწამდა ცდისა.

ყოველივე ამას გრანიტის საძირკველად ედგა საკუთარი ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის საფუძველს გასენდიმ ისევ შორეულ წარსულში მიაგნო, ფილოსოფოს ეპიკურესთან, ჩვენს ერამდე დაახლოებით სამასი წლის წინ რომ ცხოვრობდა.

ფილოსოფოს ეპიკურესთვის რომ ეკითხათ, თქვენი მოძღვრების ფორმულა რა არისო, უნდა ვიფიქროთ, ფილოსოფოსი ასე უპასუხებდა:

— რას ესწრაფვის ყოველი ცოცხალი არსება? ყოველი ცოცხალი არსება სიამოვნებას ესწრაფვის. რატომ? იმიტომ, რომ სიამოვნება უზენაესი სიკეთეა. იცხოვრეთ ბრძნულად — ესწრაფეთ მყარ ბედნიერებას.

ეპიკურეს ფორმულა პიერ გასენდის დიდად მოეწონა და დროთა განმავლობაში საკუთარი ფორმულა ჩამოაყალიბა.

— ერთადერთი, რაც ადამიანებს თანდაყოლილი აქვთ, — ეუბნებოდა გა-

სენდი თავის მოწაფეებს და წაწვეტებულ წვერს იწიწკნიდა, — საკუთარი თავის სიყვარულია. ყოველი ადამიანის ცხოვრების მიზანი ბედნიერებაა! რა ელემენტებისგან შედგება ბედნიერება? — კითხვას სვამდა თვალეზმოდ ვარე ფილოსოფოსი. — მხოლოდ ორი რამისგან, ბატონებო, მხოლოდ ორი რამისგან: მშვიდი სულისა და ჯანმრთელი სხეულისგან. ჯანმრთელობა როგორ შეინარჩუნოთ, ყოველი კარგი ექიმი გეტყვით, ხოლო სულიერ სიმშვიდეს როგორ მიაღწიოთ, მე მოგახსენებთ: დანაშაულს ნუ ჩაიდენთ, შვილნო ჩემნო, და არც მონანიება გეწვევათ, არც სინანული; ადამიანები კი უბედურნი მხოლოდ მაშინ არიან, როცა მონანიება და სინანული შეიპყრობთ.

ეპიკურელმა გასენდომ სამეცნიერო კარიერა დაიწყო დიდი თხზულების გამოქვეყნებით, სადაც არისტოტელეს ასტრონომიისა და ფიზიკის სრულ უვარგისობას ამტკიცებდა და კობერნიკის ზემოთ ნახსენებ თეორიას იცავდა. მაგრამ ეს დიდად საინტერესო თხზულება დაუმთავრებელი დარჩა. პროფესორს თუ შეეკითხებოდით, ეს რა მიზეზით მოხდაო, მგონია, ისევე გიპასუხებდათ, როგორც ვინმე კრიზალდმა, მოლიერის ერთ-ერთი მომავალი კომედიის გმირმა, ზედმეტად განსწავლულ ქალს ფილანტას უპასუხა:

რაო, რა ბრძანე? არარაობა
 არისო მხოლოდ ჩვენი სხეული?
 ჩემო მეუღლე, რატომ ხარ შკაცრი?
 უზომოდ მიყვარს მე ეს წყეული!

— მოწყალეო ბელმწიფენო, არ მინდა, არისტოტელეს გამო ციხეში ჩავჯდე, — უპასუხებდა გასენდი.

მართლაც, როცა ამ არარაობას, თქვენს სხეულს, ციხეში ჩაამწყვდევენ, საკითხავია, თქვენი ფილოსოფიური სული იქაურობას როგორ შეიფერებს?

მოკლედ, გასენდი დროზე შეჩერდა, არისტოტელეზე დაწყებული ნაშრომი აღარ დაამთავრა და სხვა საქმიანობას შეუდგა. ეპიკურელს სიცოცხლე ძალიან უყვარდა, პარიზის პარლამენტის მიერ 1624 წელს გამოტანილ დადგენილებას კი ძალა ჯერ ოდნავადაც არ დაეკარგა. საქმე ის არის, რომ ყველა იმჟამინდელი სამეცნიერო ფაკულტეტისთვის არისტოტელე, თუ შეიძლება, ასე ითქვას, კანონიზებული გახლდათ და პარლამენტის დადგენილებაში ამკარად იყო ნათქვამი, ვინც კი არისტოტელესა და მის მიმდევრებზე თავდასხმას გახედავს, სიკვდილით დაისჯებაო.

გასენდომ ამგვარ უსიამოვნებას თავი გაარიდა, ბელგია და პოლანდია მოიარა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი დაწერა, მერე კი პარიზში თავის ძველ ნაცნობს ლიუილიეს ეწვია.

ლიუილიე ჰკვიანი კაცი იყო და პროფესორს სთხოვა, ჩემ ვაჟს შაპელს მეცნიერებათა კურსი კერძოდ წაუკითხეო. ხოლო რადგანაც ლიუილიე არა მარტო ჰკვიანი იყო, არამედ ხელგაშლილიც, შაპელს ნება დართო, გასენდისთვის მასთან ერთად ახალგაზრდების მთელ ჯგუფს მოესმინა.

ჯგუფში შევიდნენ: შაპელი, ჩვენი ჟან ბატისტი, ვინმე ბერნიე — ყმაწვილი კაცი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის უდიდეს მისწრაფებას რომ ამჟღავნებდა, შემდგომში სახელგანთქმული მოგზაური გახდა და პარიზში დიდი მოღოლი შეარქვეს; დაბოლოს, ამ წრისათვის დიდად ორიგი-

ნალური პერსონაჟი, ჯგუფის სხვა წევრებზე უფროსი, კლერმონელი კი არა, გვარდიის ოფიცერი, ცოტა ხნის წინ ომში დაჭრილი, მსმელი, დუელანტი, ენა-მახვილი, არშიყი და რიგიანი, თუმცა დამწყები დრამატურგი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქალაქ ბოვეს კოლეჯიაში რიტორიკის კლასში სწავლობდა, საინტერესო პიესა „გაპამპულეზული პედანტი“ დაწერა, სადაც თავისი დირექტორი ჟან გრანჟიე გამოიყვანა. გვარდიელს სირანო დე ბერჟერაკი უნებია.

მაშ ასე, მთელი ეს კომპანია ლიუილიეს მდიდრულ პალატებში ჩადა და პიერ გასენდის მგზნებარე ქადაგებას ეწაფებოდა. აი, ვინ დახვეწა ჩემი გმირის დიახ, ამ პროვანსელმა, მძაფრი ვნებებისგან დაღარული სახე რომ ჰქონდა! ჟან ბატისტმა მემკვიდრეობით მიიღო მისგან ეპიკურეს მოზიემე ფილოსოფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლიანი ცოდნა. გასენდომ ცვილის სანთლების თვალისმომკრელ შუქთა ციალში ჩაუნერგა ნათელი და ზუსტი მსჯელობის სიყვარული, სქოლასტიკის სიძულვილი, ცდის პატივისცემა, სიყალბისა და მაღალფარდოვნების სიძულვილი.

დადგა დრო, როცა კლერმონის კოლეჯიაცა და გასენდის ლექციებიც გასრულდა. ჩემი გმირი დავაჟვაცდა.

— აბა, ახლა გაისარჯე და ორლუანში გაემგზავრე, — უთხრა მამა პოკლენმა კლერმონში სწავლადამთავრებულ შვილს, — იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცდა ჩააბარე. სამეცნიერო ხარისხი მიიღე. კეთილინებე და ნუ ჩაიჭრები, რადგან შენს სწავლაზე ბლომა ფული დავხარჯე.

ჟან ბატისტი ორლუანს გაემგზავრა, რათა იურისტის დიპლომი მიეღო. ორლუანში რამდენ ხანს დაჰყო ან იქ ზუსტად როდის იყო, არ ვიცი. ალბათ 1641 წლის დასაწყისი იქნებოდა.

ერთ-ერთი ავის მთქმელი და ჩემი გმირის მოძულე მრავალი წლის შემდეგ ამტკიცებდა, ორლუანში სამეცნიერო ხარისხს ყველა ვირი მიიღებს, ოღონდაც ფული ჰქონდესო. მაგრამ ეს მართალი არ არის. ვირი სამეცნიერო ხარისხს ვერ მიიღებს და არც ჩემი გმირი ჰგავდა ვირს.

მართალია, ორლუანში გამოცდის ჩასაბარებლად ჩასული ზოგიერთი ჭკუამხიარული ყმაწვილი კაცი ჰყვებოდა, უნივერსიტეტში სალამოთი მივედი, პროფესორები გავადვიძე, მათ გაზინთულ საღამურ ჩაჩებზე სწავლულის ქუდები მთქნარებით ჩამოიფხატეს, გამოცდა სახელდახელოდ ჩამაბარებინეს და სასამეცნიერო ხარისხი მომცესო. თუმცა იმ ყმაწვილმა კაცებმა იქნებ იცრუეს კიდევ.

ორლუანში საქმე ავად იყო მოგვარებული თუ კარგად, რა მოგახსენოთ, ეს კი დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ჟან ბატისტმა სამართლის ლიცენციატის ხარისხი მიიღო.

ამგვარად, აღარ არის ნაკეცსაყულოიანი ბიჭი. აღარც გრძელთმიანი სქოლასტიკოსია. ჩემ წინ ყმაწვილი კაცი დგას. მას ხელოვნური თმის კულულები ამშვენებს, ღია ფერის პარიკი ახურავს.

ყმაწვილ კაცს ხარბად ვაშტერდები.

იგი შუა ტანისაა, მხრებში მოხრილი, მკერდჩავარდნილი, სახე — შავგვრემანი, ფართოყვრიძალეზიანი, თვალები — გან-გან ჩადგმული, ნიკაპი — მახვილი, ცხვირი კი განიერი და ბრტყელი აქვს. ერთ სიტყვით, ძალზე შეუ-

ხედავია. მაგრამ მისი თვალეები ყურადღებას იქცევს. ამ თვალეებში უცნაურ, ნიადაგ გესლიან ლიმბილს და, ამავე დროს, ქვეყნიერებით მარადიულ გაცელებას ვხედავ. მათში ვნებისწადილი, თითქოს რაღაც ქალურიც მოჩანს, სიღრმეში კი ფარული სატკივარი ჩაბუდებულია. ამ ოცი წლის კაცს, დამიჯერეთ, რაღაც ჭია ჩასჯდომია და უკვე ხრავს.

ეს კაცი ენაბლუა და ლაპარაკისას არასწორად სუნთქავს.

ვამჩნევ, რომ ფიცხია, განწყობილება მკვეთრად ეცვლება. ყმაწვილი კაცის მხიარულებას სწრაფად ენაცვლება ღრმა ჩაფიქრება. ადამიანთა სასაცილო მხარეს ამჩნევს და ამის გამო გაკილვა უყვარს.

ხანდახან სიფრთხილე ავიწყდება და გულწრფელობას ამელავნებს, ხანაც ცდილობს, გულჩახვეული იყოს და იეშმაკოს. ზოგჯერ წინდაუხედავად სიმაყეს იჩენს, მაგრამ უშალვე, შესაძლოა, მჭმუნვარება და სიმხდალე დაეუფლოს. ო, მერწმუნეთ, ასეთ კაცს ცხოვრება გაუძნელდება და ბევრ მტერს შეიძენს!

მაგრამ, დაე ცხოვრების გზას გაუყვეს!

თავი 6

ნაკლებად სარწმუნო თავგზადასავლელი

ჩვენ მიერ აღწერილი დრო საფრანგეთში მშფოთვარე იყო, ცხოვრება მშვიდი მხოლოდ კლერმონის კოლეგიასა და მამის დუქანში ჩანდა.

საფრანგეთს საგარეო ომები და შინაური ამბოხებანი აზანზარებდა, და ეს მრავალ წელს გრძელდებოდა. 1642 წლის დასაწყისში ლუი XIII და საფრანგეთის ყოვლისშემძლე, ფაქტიური მმართველი კარდინალი და პერცოგი არმან რიშელიე სამხრეთში მყოფი ჯარებისკენ გაემართნენ, რათა ესპანეთისთვის რუსილიონის პროვინცია წაერთმიათ.

სამეფო კარის მეშპალერეები (რამდენიმე კაცი) მეფესთან მორიგეობით მსახურობდნენ. მამა პოკლენის წილად გაზაფხულის თვეები: აპრილი, მაისი და ივნისი მოდიოდა. მამა პოკლენს 1642 წელს პარიზში კომერციული საქმეები ჰქონდა და ამის გამო გადაწყვიტა, მეფის ბინაზე სამსახურისთვის თავის ნაცვლად უფროსი ვაჟი გაეგზავნა. რა თქმა უნდა, პოკლენი იმასაც ფიქრობდა, დროა, ჟან ბატისტი სამეფო კარის ცხოვრებას მიეჩვიოსო.

შვილმა მამის ნაბრძანები მოისმინა და ადრიან გაზაფხულზე ქვეყნის სამხრეთისკენ გაემართა. წასვლისთანავე ჩემი გმირი იღუმალმა წყვდიადმა შთანთქა და არავინ იცის, სამხრეთში რა გადახდა. თუმცა ხმა დაირხა, ჟან ბატისტი არაჩვეულებრივი თავგადასავლის მონაწილე შეიქნაო.

კარდინალი რიშელიე, ვისაც ხელში მთლიანად ჰყავდა მოქცეული სუსტი ნებისყოფისა და უნიჭო მეფე ლუი XIII, საფრანგეთის არისტოკრატთა შორის ბევრს სძულდა.

1642 წელს კარდინალ რიშელიეს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. ამ შეთქმულების სული და გული ახალგაზრდა მარკიზი სენ-მარსი იყო. მრავალნაცადმა პოლიტიკოსმა რიშელიემ შეთქმულებას მიაკვლია. თუმცა სენ-

მარსს მეფე მფარველობდა, რიშელიემ მას ხახელმწიფოს ღალატი — ესპანეთთან კავშირი დასდო ბრალად და მისი დაპატიმრება გადაწყვიტა.

ამბობენ, რომ 12 ივნისს, ღამით, სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში სენ-მარსთან ვილაც ყმაწვილი კაცი მივიდა და ხელში წერილი ჩაუდო. სენ-მარსი სხვა კარისკაცებს ჩამოსცილდა, ჩირალდნის მოკვებებზე მუქზე მოკლე უსტარი წაიკითხა და უმაღ გაიქცა, რათა თავი გადაერჩინებინათ ქვენი სიცოცხლე საფრთხეშია“, — ამცნობდა ხელმოუწერელი უსტარი.

ამბობენ, ეს წერილი სამეფო კარის ახალგაზრდა კამერდინერმა პოკლენმა დაწერა და სენ-მარსს გადასცა, რადგან დიდსულოვნად სურდა, იგი გარდუვალი სიკვდილისგან ეხსნათ. მაგრამ წერილმა სენ-მარსის დაღუბვა მცირე ხნით გადადო. იგი თავშესაფარს ამაოდ დაეძებდა, თავისი საყვარლის, ქალბატონ სიუზაკის საწოლში ამაოდ იმალებოდა. სენ-მარსი მეორე დღესვე დააპატიმრეს და მალე სიკვდილით დასაჯეს. ას თხზმოცდაოთხი წლის შემდეგ მისი სახელი თავის რომანში უკვდავყო მწერალმა ალფრედ დე ვინიმ, დე ვინის რომანის გამოსვლიდან ორმოცდათერთმეტი წლის შემდეგ კი — ოპერაში „ფუსტის“ სახელგანთქმულმა ავტორმა კომპოზიტორმა გუნომ.

მაგრამ ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ჟან ბატისტს წერილი არავისთვის არ მიუტანია, სენ-მარსის საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, არ ჩარეულა ისეთ რამეში, რაშიაც არ უნდა ჩარეულიყო, და წყნარად, წესიერად ასრულებდა მეფის პირისფარეშის მოვალეობას. მაგრამ მაშინ ცოტა გაუგებარია, ვინ და რატომ მრიგონა ამ წერილის ამბავი?

ივნისის ბოლოს მეფეს ნიმიდან რამდენიმე ლიეს მანძილზე, მონფრენში მოუხდა ყოფნა. აი, აქ მოხდა მეორე ამბავი, რამაც ჩვენი ვმირის ცნობრებას, როგორც მკითხველს ნახავს, უბედურ სენ-მარსთან დაკავშირებულ თავგადასავალზე გაცილებით დიდი კვალი დაამჩნია. სამეფო კარის კამერდინერი, რომელიც იმ წლის სამსახურის ყავლს ასრულებდა თუ უკვე დაასრულა, თავის ნაცნობ მსახიობ ქალს მადლენა ბეჟარს სწორედ მონფრენის სამკურნალო წყლებზე შეხვდა ერთი ხნის განშორების შემდეგ. მადლენა ბეჟარი მოხეტიალე დასთან ერთად მოგზაურობდა. ზუსტად არ ვიცი, კამერდინერი მეფის ამალას როდის ჩამოსცილდა, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ იგი სამსახურის დამთავრების შემდეგ უმაღვე, ესე იგი 1642 წლის ივლისში, ბარიზში არ დაბრუნებულა, არამედ ერთხანს სამხრეთში მოგზაურობდა და, როგორც მისი ბედით დაინტერესებული ადამიანები გვამცნობენ, ქალბატონ ბეჟართან საეჭვო სიახლოვე ჰქონდა. ასეა თუ ისე, 1642 წლის შემოდგომაზე პოკლენი დედაქალაქში დაბრუნდა და მამას მოახსენა, ჩემი მოვალეობა შევასრულეო.

მამამ მოისურვა გაეგო, მისი მემკვიდრე შემდეგ რის ვაკეთებას აპირებდა. ჟან ბატისტმა უპასუხა, იურისპრუდენციაში მინდა დავხელოვნდეო. იმხანად, როგორც ვიცი, ჟან ბატისტი მამისგან განცალკევებით დაბინავდა და ქალაქში ხმა ვავრცელდა, პოკლენის უფროსი ვაჟი ვეჭილი შეიქნა, თუ ვეჭილობას აპირებსო.

დიდად გაოცდებოდა ყველა, ვისაც აზრად მოუვიდოდა, თვალყური ედევნებინა იმისთვის, თუ ახალგაზრდა პოკლენი სავეჭილო მოღვაწეობისთვის როგორ ემზადებოდა. ჯერ არავის სმენია, რომ ვეჭილებს ახალი ხიდის თაღლითები ამზადებდნენ! ჟან ბატისტმა იურიდიული წიგნები თავის ბინაში

დატოვა, მამისგან მალულად თაღლითთა ერთ დასში მივიდა და სთხოვა, რა ამბულუაზეც გინდათ, იმაზე მიმიღეთ, თუ გინდათ, მაცნედ დამაყენეთ, ხალხს ბალაგანში რომ იწვევსო. აი, როგორი გახლდათ იურისპრუდენციაში მეცადინეობა.

უკონუნული

შემდგომში ჟან ბატისტის მტრები (ისინი კი მრავლად ჰყავდა) კბორუტად იცინოდნენ, ამბობდნენ, რომ ჩემი გმირი სავაჭრო უბანში მანჭვა-გრეხას არ თაკილობდა და ქუჩის მასხარასავით გველებს ყლაპავდა. ყლაპავდა თუ არ ყლაპავდა, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ დროს ხარბად შეუდგა ტრაგედიის შესწავლას და ნელ-ნელა მოყვარულთა წარმოდგენებში მონაწილეობაც დაიწყო.⁴

ლამლამობით კორნელის კითხვამ, ჩემ გმირს ტვინს რომ აღუგზნებდა, ქუჩის წარმოდგენებში თამაშის დაუფიწყარმა განცდამ, სულის შემხუთველმა სუნმა ნიღბისა, კაცი ერთხელ თუ გაიკეთებს, მერე რომ ვეღარ მოიხსნის, ბედუკუღმართი იურისტი საბოლოოდ მოწამლა. ერთ დილას მან „სიდის“ კითხვის შემდეგ სანთლები ჩააქრო და გადაწყვიტა, დროა, ქვეყნიერება განვაკვიტრო.

ქვეყნიერება მართლაც განაკვიტრა, თანაც ამ განკვიტრების პირველი მსხვერპლი დიდად ტანჯული მამამისი გახლდათ.

თავი 7

გრძუნივალე ხროვა

მრავალ ამბავთა მომსწრე 1643 წლის იანვრის პირველივე რიცხვებში ჟან ბატისტი მამასთან მივიდა და განუცხადა, ვეჭილთა კორპორაციაში ჩემი ჩარიცხვის ცდა წყლის ნაყვას და მეტი არაფერი, ნოტარიუსობას არ ვაპირებ, არც მეცნიერი მინდა გავხდე, ყველაზე ნაკლებად კი შპალერის დუქანში დგომა მსურს, იმ საქმეს მოვკიდებ ხელს, რისკენაც გული ბავშვობიდან მიმიწევს, მსახიობი გავხდებიო.

კალამი არ შემორჩილება იმის აღსაწერად, რაც პოკლენების სახლში მოხდა.

როცა მამა ცოტა გონს მოეგო, მაინც შეეცადა, შვილისთვის განზრახვა გადაეთქმევინებინა და ყველაფერი უთხრა, რის თქმასაც მამის მოვალეობა უკარნახებდა. მსახიობის ხელობა ყველას უღირსად მიაჩნია, მსახიობები წმინდა ეკლესიისაგან მოკვეთილნი არიან, ამ საქმეს ხელი მხოლოდ დატაკმა ანდა მაწანწალამ უნდა მოჰკიდოსო.

მამა ხან ემუქრებოდა, ხან ემუდარებოდა.

— წადი, გეხვეწები, წადი, იფიქრე და ჩემთან მერე მოდი!

მაგრამ შვილს არაფერზე დაფიქრება აღარ უნდოდა.

მაშინ მამა მღვდელთან გაიქცა და თვალცრემლიანი შეევედრა, ჟან ბატისტს განზრახვა გადაათქმევინეო.

ღვთის მსახურმა დარბაისელ მორწმუნეს სათხოვარი შეუსრულა და ჟან ბატისტს შეგონება დაუწყო, მაგრამ ამ შეგონებათა შედეგი ისეთი განსაცვიფრებელი გახლდათ, რომ თქმაც კი მეჩოთირება. პარიზში დაბეჭითებით

ამბობდნენ, გადარეულ ჟან ბატისტ-შვილთან ორი საათის საუბრის შემდეგ ეკლესიის მსახურმა შავი ანაფორა გაიძრო და ჟან ბატისტთან ერთად ჩაეწერა იმავე დასში, სადაც თვით ჟან ბატისტს ჰქონდა განზრახული ჩაწერაო.

პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს ნაკლებ სარწმუნოა. არც ერთ მღვდელს, როგორც მახსოვს, თეატრში მუშაობა არ დაუწყია, ვინმე კორტეჟში ექვსი კი მამა პოკლენს ნამდვილად ძალზე უცნაური ოინი უყვარდა.

ქორე პინელი ერთ დროს მამა პოკლენის მიწვევით ჟან ბატისტს ამეცადინებდა, მოანგარიშეობას ასწავლიდა. ამას გარდა, პინელს პოკლენთან ფინანსური საქმეებიც აკავშირებდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პინელი პოკლენს დროგამოშვებით ფულს ართმევდა.

სასოწარკვეთილმა მამა პოკლენმა აღარ იცოდა, რა ელონა, პინელთან მივიდა და სთხოვა, ყოფილი მოწაფისთვის განზრახვა გადაეთქმევინებინა. პინელმა ხათრი არ გაუტეხა, ჟან ბატისტს ნამდვილად ესაუბრა, რის შემდეგაც მამა პოკლენთან მივიდა, რათა ამ საუბრის შედეგი მოეხსენებინა. პინელის მონათხრობის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ჟან ბატისტმა იგი თავად დაიყოლია, ამიტომ მოანგარიშეობას სამუდამოდ ანებებდა თავს და ჟან ბატისტთან ერთად სცენაზე მოღვაწეობას იწყებდა.

— წყეულიმც იყოს ეს უქნარა პინელი, თხოვნა ხომ ვერ შემისრულა და, ამას გარდა, ას ორმოცი ლივრი სესხადაც გამომართვა! — თქვა საბრალო მამამ პინელის წასვლის შემდეგ და შვილი კვლავ დაიბარა.

ეს იყო ნიანვარს, მამისთვის ფრიად ღირსსახსოვარ დღეს.

— მითხარ, მაშ ალარ იშლი? — ჰკითხა შვილს პოკლენმა.

— დიახ, ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. — უბასუხა შვილმა, ვის ძარღვებშიც, როგორც ჩანს, პოკლენებისა კი არა, კრესეტა სისხლი ჩქეფდა.

— მაშ იცოდე, — უთხრა მამამ, — სამეფო კარის კამერდინერის წოდებას გართმევ, უკანვე დამიბრუნე. ვნანობ, შენს გადარეულ პაპას რომ დავუჯერე და განათლება მიგაღებინე.

გადარეულ ჟან ბატისტს არც ამის გამო უნანია და მამას მოახსენა, წოდებაზე უარს ხალისით ვამბობ, ეს წოდება რომელ ვაჟსაც გინდა, იმას მიეცი, მე თანახმა ვიქნებიო.

მამამ წოდებაზე უარის თქმის წერილობითი დასტური მოსთხოვა. ჟან ბატისტი ერთ წუთსაც არ დაფიქრებულა, წერილობით დასტურს ხელი მოაწერა, თუმცა შემდეგ გამოიჩინა, რომ ამ საბუთს არავითარი ფასი არ ჰქონდა და არც რაიმე როლი უთამაშია.

მერე გაყრის საქმის მოგვარებას შეუდგნენ. ჟან ბატისტს დედის მემკვიდრეობიდან დაახლოებით ხუთი ათასი ლივრი ერგებოდა. მამამ შვილს ისე დაუწყო ვაჭრობა, თითქოს ბაზრობაზეაო, რადგან არ სურდა, ოქრო მოხეტიალე კომენდიანტების გახვრეტელი ქისებიდან გაბნეულიყო. ასგზის მართალიც გახლდათ. ერთი სიტყვით, მან შვილს ექვსას ოცდაათი ლივრი მისცა, შვილმა ეს ფული ჯიბეში ჩაიდო და მამის სახლიდან წავიდა.

იგი პირდაპირ მეფის მოედნისკენ გაემართა. იქ ერთი ოჯახისკენ მიეშურებოდა, საითაც გული დაუოკებლად მიუწევდა. ეს ბეჟარების ოჯახი გახლდათ.

ქოზეფ ბეჟარი, იგივე ბატონი ბელვილი, წყლებისა და ტყეების მთავარი

სამმართველოს წვრილი მოხელე, პარიზში ცხოვრობდა ცოლთან, მარი ერვესთან და ოთხ შვილთან ერთად.

ბეჟარების ოჯახი იმით იყო თვალსაჩინო, რომ მის ყველა წევრს, ბატონ ბელვილის ჩათვლით, გულში თეატრის სიყვარული ენთო. ქალიშვილი მადლენა, ვისაც უკვე ვიცნობთ, საუცხოო პროფესიონალი მსახიობი იყო. უფროსი ვაჟი ეოზეფი და ასაკით მადლენას მომდევნო ქალიშვილი, ცნობილი წლის ენევიევა არა მარტო თამაშობდნენ მოყვარულთა წარმოდგენებში, არამედ თეატრის შექმნაზეც ოცნებობდნენ. ყველაზე უმცროსი ვაჟი, ლუი, რა თქმა უნდა, უფროსების კვალდაკვალ თეატრისკენ მიისწრაფოდა, მაგრამ მსახიობობა ჯერ ვერ დაიწყო მხოლოდ იმიტომ, რომ ასაკრული არ გახლდათ — ცამეტიოდე წლისა იქნებოდა. ბეჟარ-ბელვილი შვილების საქმიანობას ყოველმხრივ ხელს უწყობდა, რადგან თეატრში მოღვაწეობა თავადაც ნაცადი ჰქონდა, ხოლო შვილების მოყვარული დედა შვილების გატაცებას წინ არ ეღობებოდა.

ჟან ბატისტს ამაზე შესაფერი წრის მონახვა უთუოდ გაუჭირდებოდა.

მაგრამ პოკლენს ბეჟარებთან მარტო თეატრის სიყვარული არ აკავშირებდა. ეჭვიც არ უნდა ვიქონიოთ, რომ მადლენას და პოკლენს ერთმანეთი უყვარდათ და უკვე სიყვარულის მოზიარენიც იყვნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეჟარების ოჯახი 1641 წლის ბოლოს პარიზიდან წავიდა, წელიწადზე მეტი ხეტიალში გაატარა და პარიზში დაახლოებით მაშინ დაბრუნდა, როცა თვით ჩვენი გმირი დაბრუნდა, ესე იგი 1643 წლის დასაწყისში.

მაშ ასე, 1643 წლის იანვარში პოკლენი ბეჟარებთან შემკვიდრეობით მიღებული ფულით მივიდა და მეფის მოედანზე მდგარ სახლში უმაღვე ცხარე მუშაობა გაჩაღდა. ბეჟარებთან შემოიკრიბნენ თეატრალური თვალსაზრისით საეჭვო ყმაწვილკაცები. მათ მოჰყვნენ გამოჩეკილი, გამოცდილი პროფესიონალი მსახიობები.

პინელმა თავი ისე იგრძნო, როგორც თევზმა წყალში, და ბოჭემაში თავა მთელი ბრწყინვალეობით გამოიჩინა. თავდები ვარ, რომ ამქვეყნად ვერავინ შეძლებდა იმას, რაც პინელმა შეძლო. იგი მამა პოკლენს ეწვია და ისეთ დაუჯერებელ ამბებს მოუყვა, რომ სამეფო კარის მეშპალერეს ჟან ბატისტისთვის ორასი ლივრი კიდევ დასტყუა. ამბობენ, იგი მას ისე მოექცა, როგორც მოლიერის კომედიაში სკაპენი ერონტს ექცევო. ყველაფერი შესაძლებელია!

1643 წლის ზაფხულში საქმე მომწიფდა. 30 ივნისს ჰკრივ მარი ერვეს სახლში (ბატონი ბელვილი იმავე წლის მარტში გარდაიცვალა) პარიზის პარლამენტის ვეჭილის, მარეშალის თანდასწრებით საზეიმო ხელშეკრულება დაიდო. აქტი იტყობინებოდა, რომ ათი კაცისგან შემდგარი ჯგუფი ახალ თეატრს აყალიბებდა.

აი, რას მოხმარდა ექვსას ოცდაათი და შემდგომი ორასი ლივრი! ამას გარდა, თეატრის დასაარსებლად ფული მადლენამაც გაიღო. იგი ძალზე მომჭირნე ქალი იყო და თავისი სამსახიობო მოღვაწეობის მანძილზე, რასაც ახალი თეატრის დაარსებამდე ეწეოდა, გვარიანი თანხის მოგროვება მოასწრო. შვილების გაგიჟებით მოსიყვარულე დედამ, მარი ერვემ მოაგროვა, თუ რამ გააჩნდა, და ფული ამ საქმეს მანაც შეაწია. დანარჩენები, როგორც ვხვდებით,

ცარიელ-ტარ-ელნი იყვნენ და ამ წამოწყების სასარგებლოდ მხოლოდ სა-
კუთარი ენერჯისა და ჩიჭის დახარჯვა შეეძლოთ, პინელს კი — თავისი გა-
მოცდილებისა.

ჩგუფს ზედმეტი მოკრძალება არ გამოუჩენია; მომავალ „ბრწყინ-
ვალე თეატრი“ უწოდეს, ხოლო მისმა წევრებმა ოჯახის შეიღებში დაირქვეს,
საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მუზების ახალ მსახურთა შორის სწო-
რედ ის თანხმობა სუფევდა, რაც, არისტოტელეს აზრით, მთელი სამყაროს
საყრდენია. ოჯახის შვილთა ჩგუფში შევიდნენ: სამი ბეყარი — ჟოზეფი, მად-
ლენა და ჟენევიევა, ორი ყმაწვილი ქალი — მალენგრი და დესიურლი, ვინმე
ჟერმენ კლერენი, ყმაწვილი გადამწერი ბონანფანი, პროფესიონალი და გამოც-
დილი მსახიობი დენი ბეისი, უკვე ხსენებული ჟორჟ პინელი და ბოლოს ის,
ვინც იყო მთელი ჩგუფის მგზნებარე წინამძღოლი, ჩვენი ჟან ბატისტ პოკლენი.

თუმცა „ბრწყინვალე თეატრის“ დაარსებისთანავე ჟან ბატისტ პოკ-
ლენმა არსებობა შეწყვიტა და მის მაგიერ ქვეყნიერებას ჟან ბატისტ მოლიერი
მოეწვინა. საიდან გაჩნდა ახალი გვარი? ეს უცნობია. ზოგნი ამბობენ, პოკ-
ლენმა თეატრალურ და მუსიკალურ წრეებში გავრცელებული ფსევდონიმი
გამოიყენაო, სხვანი ფიქრობენ, ჟან ბატისტმა მოლიერი რომელიღაც ადგი-
ლის მიხედვით დაირქვაო... ზოგი კი ამბობს, ვიდაც მწერლის გვარი აიღო,
1623 წელს რომ გარდაიცვალაო... ერთი სიტყვით, იგი მოლიერი გახდა.

მამამისმა ეს რომ გაიგო, მხოლოდ ხელი ჩაიჭნა, ჟორჟ პინელმა კი გა-
დაწყვიტა, თავის ფიცხ მეგობარს არ ჩამორჩენოდა და ჟორჟ კუტიური და-
ირქვა.

პარიზში ახალი დასის ჩამოყალიბებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა
და „ბურგონული სასტუმროს“ მსახიობებმა ოჯახის შეიღების ჩგუფს უმაღ-
გლახაკთა ხროვა შეარქვეს.

ხროვამ ეს დაცინვა ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გაუშვა და მოლი-
ერისა და ბეისის წინამძღოლობით საქმეს ხელი ენერჯიულად მოჰკიდა. ფი-
ნანსურ მხარეს მადლენა განაგებდა. პირველ ყოვლისა, ვინმე ბატონ გალუა
დიუ მეტაიესგან იჭირავეს ჩოგან-ბურთის სათამაშოდ განკუთვნილი, მაგრამ
ძალზე გავერანებული დარბაზი, „ნელის კოშკთან“ ახლოს, თხრილებთან
რომ მდებარეობდა. გალუასთან ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თა-
ნახმადაც იგი დურგალთა საამქროს წარმომადგენლებთან ერთად ვალდებუ-
ლებას კისრულობდა, დარბაზი შეეკეთებინა და შიგ სცენა მოეწყო.

მონახეს ოთხი მუსიკოსი: გოდარი, ტისი, ლეფევრი და გაბიურე, თითო-
ეულს დღეში ოც-ოცი სოლი შესთავაზეს და მალე რეპეტიციებიც დაიწყეს,
როცა რამდენიმე პიესა მოამზადეს, ოჯახის შეიღებმა გადაწყვიტეს, სანამ
დარბაზს შეაკეთებენ, დროს ტყუილად ნუ დაგვარგავთო, ურმებში ჩასხდნენ
და ტრაგედიების სათამაშოდ ქალაქ რუანის ბაზრობაზე გაემართნენ.

რუანიდან გალუას წერილებს სწერდნენ და სთხოვდნენ, დარბაზის შეკე-
თება დააჩქარეო. ბაზრობის უპრეტენზიო მაყურებლის წინაშე საშუალო წარ-
მატებით თამაშის შემდეგ დასი პარიზში დაბრუნდა. ამ დროს გაიცნეს საოცრად
მომხიბლავი ხასიათის მქონე კაცი, ქვაფენილის ოსტატი ლეონარ ობრი და და-
ითანხმეს, რომ მას თეატრის წინ ქვაფენილი დაეგო. ობრი საუცხოო ქვაფენი-
ლის დაგებას შეუდგა.

— ბატონო ობრი, თავადაც მოგეხსენებათ. ხალხი კარტებით მოვა, — ეუბნებოდა ბატონი მოლიერი და ხელებს მოუსვენრად იფშვნიტდა.

მან მღელვარება ბატონ ობრისაც გადასდო და ოსტატს თავი არა შეურცხვენია: ქვაფენილი ლამაზი და მკვიდრი გამოვიდა.

ბოლოს, 1643 წლის გასულს, ახალი წლის წინა ღამეს, ^{თეატრის ტრაგედიით გაიხსნა.}

იმის მოყოლაც კი შემზარავია, რაც შემდგომში მოხდა. არ მახსოვს, იყო თუ არა კიდევ მსოფლიოში სხვა რომელიმე თეატრი, ასეთი მარცხი რომ მოსვლოდა!

პირველი წარმოდგენების შემდეგ სხვა თეატრების მსახიობები გახარებულნი ჰყვებოდნენ, „ნელის კოშკის“ თხრილებთან, „ბრწყინვალე თეატრში“ მსახიობთა მშობლების გარდა, რომლებიც კონტრამარკებით იყვნენ შესულნი, სულიერი არ ჭაჭანებდნენ! ვაი, რომ ეს სიმართლესთან ახლოს იყო. ბატონ ობრის ჯაფა წყალში ჩაეყარა: მის მიერ დაგებულ ქვაფენილზე ერთ კარტასაც არ ჩაუვლია!

დაიწყო იმით, რომ მეზობელ, წმინდა სულპიცის სამრევლოში ვიღაც მქადაგებელმა წარმოდგენების პარალელურად მხურვალე ქადაგება დაიწყო, სატანა ჭანგებში მოიქცევს არა მარტო წყვეულ კომედიანტებს, არამედ იმათაც, ვინც მათ კომედიებს დაესწრებაო.

ჟან ბატისტ მოლიერმა ღამდამობით ფიქრისას გულში ისიც კი გაივლო, კარგი იქნებოდა, ამ მქადაგებლისთვის ყელი გამომეჭრაო!

მქადაგებლის დასაცავად უნდა ვთქვა, რომ მას ბრალი არაფერში მიუძღოდა. განა მქადაგებელი იყო დამნაშავე, რომ ექიმს ენაბრგვნილობისგან ჟოზეფ ბეჟარის განკურნება არ შეეძლო? ჟოზეფი კი არშიყებს თამაშობდა! განა მქადაგებლის ბრალი იყო, ტრაგიკული როლების შემსრულებელი მოლიერი თავადაც ენაბრგვნილი რომ გახლდათ?

ნესტიან და უღაზათო დარბაზში ჟანგისგან შეჭმულ თუნუქის ჭაღებში ანთებული ქონის სანთლები იღვენტებოდა. ოთხი ვიოლინოს წრიპინი დიდი ორკესტრის ქექას არ მოგაგონებდათ. ბრწყინვალე დრამატურგები „ნელის თხრილებს“ არ გაჰკარებიათ. თუნდაც მისულიყვნენ, საკითხავია, გადამწერ ბონანფანს მათი მჭექარე მონოლოგები როგორ უნდა წარმოეთქვა?

საქმე დღითი დღე უარესდებოდა. მაყურებელი უგვანოდ იქცეოდა, აყალ-მაყალს ტეხდა, წარმოდგენის დროს ხმამაღლა იგინებოდა...

მართალია, დასს კი ჰყავდა საუცხოო მსახიობი მადლენა, მაგრამ მთელ ტრაგედიას ის ხომ არ გაითამაშებდა! ჟან ბატისტ მოლიერის ერთგულმა მეგობარმა „ბრწყინვალე თეატრის“ გადასარჩენად ყველაფერი იღონა. როცა მისი ძველი საყვარელი, გრაფი დე მოდენი საინტერესო თავგადასავლებისა და განღევნის შემდეგ პარიზში დაბრუნდა, მადლენამ მას დახმარება სთხოვა. გრაფი გაისარჯა და „ნელის თხრილთა“ საძმოს უფლება მოუპოვა, მსახიობთა ჯგუფისთვის მისი სამეფო უდიდებულესობის, პრინც გასტონ ორლეანელის დასის სახელი ეწოდებინათ.

ეშმაკმა ჟან მოლიერმა უმაღვე თეატრის ნამდვილი დირექტორის უნარი გამოამჟღავნა, დაუყოვნებლივ მიიწვია მოცეკვავეები და პრინცის ამალისთვის რამდენიმე ბალეტი დადგა. პრინცის ამალას ეს ბალეტები მაინცდამაინც არ მოსწონებია.

მაშინ ერთ საღამოს შეუპოვარმა ჟან ბატისტმა მადლენას განუცხადა, ყველაფერი რეპერტუარის ბრალიაო, და დასწი მსახიობი და დრამატურგი ნიკოლ დეფონტენი მიიწვია.

— ჩვენ ბრწყინვალე რეპერტუარი გვჭირდება, — უთხრა მას მოლიერმა. დეფონტენმა განაცხადა, რომ მიხვდა, მოლიერს რაც სურდა, და თეატრს პიესები შესაშური სისწრაფით წარუდგინა. ერთ მათგანს ერქვა „პერსიდა, ანუ ბრწყინვალე ბასას ამალა“, მეორეს — „წმინდა ალექსი, ანუ ბრწყინვალე ოლიმპია“, მესამეს — „ბრწყინვალე კომედიანტი, ანუ წმინდა ჟენეს წამებუ-ლი“. მაგრამ პარიზელები მქადაგებელმა, როგორც ჩანს, ისე მოაჯადოვა, რომ ბრწყინვალე ოლიმპიას და ბრწყინვალე ბასას ყურება არავინ ისურვა.

ერთგვარი შვება იგრძნეს, როცა მწერალ ტრისტან ლ' ერმიტის ტრაგედია „კონსტანტინე დიდის ოჯახური უბედურებანი“ დადგეს, სადაც ეპიპარისის როლს საუცხოოდ თამაშობდა მადლენა. მაგრამ დიდხანს არც ამან გასტანა.

როცა მადლენას დანაზოგი დაიხარჯა, ოჯახის შვილები მარი ერვესთან მივიდნენ. მარი ერვე შვილების დანახვაზე ჯერ ატირდა და მერე, რაც კი ფული გააჩნდა, მთლიანად დასს მისცა.

შემდეგ ბაზარზე მამა ჟან ბატისტ პოკლენს ეწვივნენ. დუქანში გულის დამამძიმებელი სცენა გაიმართა. როცა პოკლენს ფული სთხოვეს, მან ხმა ველარ ამოიღო, თითქოს ენა ჩაუვარდაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ფული მაინც მისცა. დარწმუნებული ვარ, პინელს მიუგზავნიდნენ.

ამის შემდეგ კომედიანტებს გალუამ მოაკითხა და მოსთხოვა, გულახდილად მითხარიო, ქირას გადაიხდით თუ არაო.

გულახდილი პასუხი მან ვერ მიიღო. მიკიბულ-მოკიბულად ელაპარაკე-ბოდნენ, ეფიცებოდნენ, ჰპირდებოდნენ.

— აქედან დამეკარგეთ თქვენი ვიოლინოებიანად და ქლალთმიან ქალე-ბიანად! — შესძახა გალუამ.

ეს კი ნამდვილად ზედმეტი იყო, რადგან დასწი ქლალი თმა მხოლოდ მად-ლენას ჰქონდა.

— თავადაც ვაპირებდი, ამ ბინძურ თხრილს მოვშორებოდი! — შეჰყვი-რა მოლიერმა.

ძმობილებმა ვერც კი შეამჩნიეს, შემზარავმა წელმა როგორ გაირბინა, თავის წინამძღოლთან ერთად წმინდა პავლეს კარიბჭეს მიაშურეს და ისეთსავე დარბაზს შეაფარეს თავი, როგორიც ბატონ გალუას დარბაზი იყო. ახალ სამ-ყოფელს „შავი ჯვრის“ დარბაზი ერქვა და ეს სახელწოდება სულ მალე გა-ამართლა კიდევაც.

მას შემდეგ, რაც ბრწყინვალე დასმა მწერალ მანიონის „არტაქსერქსე“ ითამაშა, ბატონი დე მოლიერი, ვინც პარიზელებს თეატრის წინამძღოლად, დიანაც, სამართლიანად მიაჩნდათ, ციხეში მიაბრძანეს. მას უკან მიჰყვებოდა მევახშე, თეთრეულისა და სანთლების გამყიდველი ანტუან ფოსე. ბატონ მო-ლიერს „ბრწყინვალე თეატრში“ თურმე მისი სანთლები ენთო.

პინელმა მამა პოკლენთან მიირბინა.

— რაო?.. თქვენ?.. — უთხრა მას სულშეხუთულმა ჟან ბატისტ პოკლენ-მა. — თქვენ? თქვენ ისევ მოხვედით ჩემთან? რა ამბავია?

— თქვენი ვაჟი ციხეშია, — უპასუხა პინელმა, — ბატონო პოკლენო, მეტს აღარაფერს გეტყვით. თქვენი ვაჟი ციხეშია!

მამა პოკლენმა... ფული მისცა.

მაგრამ ეან ბატისტ მოლიერს მევალები ყოველი მხრიან მიესივნენ და იგი ციხეს სიკვდილამდე თავს ვერ დააღწევდა, „ბრწყინვალე თეატრის“ ვალებზე თავდებობა ლეონარ ობრის რომ არ ეკისრა, ვინც მოლიერს ქალაქელი თეატრის წინ საუცხოო, თუმცა უსარგებლო ქვაფენილი დააგდო.

არ ვიცი, ყორჟ პინელმა ლეონარ ობრი რა წამლით გააბრუა, მაგრამ... დაე, ლეონარ ობრის სახელი შთამომავლობას გადაეცეს!

როცა „ბრწყინვალე თეატრის“ წინამძღოლი ციხიდან გამოვიდა, მთელმა დასმა ბატონ ობრის საზეიმოდ აღუთქვა, იმ ვალებს, რის თავდებაც დაგვიდექით, თანდათან გადაგიხდითო.

მოლიერის დაბრუნებისთანავე წარმოდგენები განახლდა. მოლიერმა ანრი დე გიზ ლოტარინგიელის მფარველობის მოპოვება შეძლო და პერსოგმა დასს თავისი უმდიდრესი გარდერობი დიდსულოვნად აჩუქა. დასის წევრები ძვირფასი ტანსაცმლით შეიმოსნენ, ოქრომკედით მოქარგული ლენტები კი მევახშეებთან დააგირავეს. მაგრამ ლენტებმა გასაჭირს ვერ უშველა! დასი შედრკა, პანიკის პირველი ნიშნები დაეტყო. იძულებულნი გახდნენ, წმინდა პავლეს ჰიშკარი და სამგლოვიარო „შავი ჯვარი“ მიეტოვებინათ და ახალ დარბაზში გადასულიყვნენ. ახალ დარბაზს სხივოსანი სახელი — „თეთრი ჯვარი“ ერქვა.

ვაი, რომ „შავ ჯვარზე“ უკეთესი არც ის გამოდგა.

გაჭირვებას ვერ გაუძლეს და პირველნი გაიქცნენ პინელი და ბონანფანი, შემდეგ კი ბეისი. „ბრწყინვალე თეატრის“ აგონიამ ერთხანს გასტანა და 1645 წლის დასაწყისისთვის ყველაფერი აშკარა შეიქნა. გაყიდეს ყველაფერი, რის გაყიდვაც შეიძლებოდა: კოსტიუმები, დეკორაციები...

1945 წლის შემოდგომაზე „ბრწყინვალე თეატრმა“ არსებობა სამუდამოდ შეწყვიტა.

ეს იყო შემოდგომაზე. ჟარდენ-სენ-პოლის ქუჩაზე, პატარა ბინაში, საღამოთი სანთლის შუქზე ქალი იჯდა. მის წინ მამაკაცი იდგა. სამი წლის გასაჭირმა, ვალებმა, მევახშეებთან წანწალმა, ციხემ და დამცირებამ იგი ძალზე შეცვალა. ტუჩების კუთხეებში მრავალჭირნახული კაცივით ღვარძლიანი ნოკები გასჩენოდა, მაგრამ სახეზე კარგად თუ დააკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ ვერავითარი ბედუკუღმართობა ვერ შეაჩერებდა. ეს კაცი ვერც ვეჭილი გახდებოდა, ვერც ნოტარიუსი და ვერც ავეჯით მოვაჭრე. ქლალთმიანი მადლენას წინ გამოაქეილი, ბევრის მნახველი, ოცდაოთხი წლის პროფესიონალი მსახიობი იდგა. მხრებზე გიზისეული გაცვეთილი ხიფთანი ჰქონდა წამოსხმული, ოთახში სიარულისას კი ჯიბეში ორიოდ უკანასკნელი სუ უჩხრიალებდა.

„ბრწყინვალე თეატრის“ გაკოტრებული მეთაური ფანჯარასთან შეჩერდა და ენამჭევრად დაწყევლა პარიზი თავისი გარეუბნებით, შავი და თეთრი ჯვრებითა და „ნელის კოშკთან“ მდებარე თხრილიანად. მერე პარიზელი მაყურებელი გალანძლა, ვისაც ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა, და დაუმატა, პარიზში მხოლოდ ერთი წესიერი კაცია — ეს კაცი მეფის ქვაფენილის დამგები ლეონარ ობრიაო.

იგი ენას დიდხანს არ აჩერებდა, მადლენა კი პასუხად არაფერს ეუბნებოდა. ბოლოს სასოწარკვეთილმა მოლიერმა თავის მეგობარს უთხრა:

— ახლა, რა თქმა უნდა, შენც მიმატოვებ! შეგიძლია, „ბურგონულ სასტუმროში“ მოწყობას შეეცადო.

მერე კი დაუმატა, ბურგონელები არამზადები არიანო.

ქლალთმიანი მაღლენამ მთელი ეს სისულელე მდუმარედ მოესმინა, მერე კი ის და მისი საყვარელი აჩუჩულდნენ და დილაამდე ჩუჩულდნენ შეუწყვეტიათ. რა მოიფიქრეს, ეს კი არ ვიცით.

თ ა ვ ი 8

მონათიანე მსახიობი

რა ცუდია, რომ არ ვიცით, ჩემი გმირი ამის შემდეგ რა იქნა. ისე გაქრა. თითქოს მიწამ პირი უყო, და პარიზიდან გადაიკარგა. ერთ წელიწადს მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, შემდეგ კი კვალი გამოჩნდა. საექვო მოწმეები ამტკიცებდნენ, თითქოს 1647 წლის ზაფხულში, იტალიაში, რომის ქუჩაში ნახეს კაცი, თეატრის გაკორებულ დირექტორს, მოლიერს, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა. თითქოს იგი მცხუნვარე მზეზე იდგა და ფრანგ დესპანს, ბატონ დე ფონტენ-მარეს თავაზიანად ესაუბრებოდა.

იმავე 1647 წლის შემოდგომაზე იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, დიდი ამბები მოხდა. მამაცმა მეთევზემ ტომაზო ანიელომ ხალხი ააჯანყა იმჟამად ნეაპოლის მმართველის, ესპანეთის მეფის ნაცვლის, ჰერცოგ არკოსელის წინააღმდეგ. ქალაქში დამბაჩების სროლა გაისმა, ქუჩები სისხლით შეიღება. ტომაზო შეიპყრეს, სიკვდილით დასაჯეს, მისი თავი შუბზე წამოაგეს, მაგრამ ნეაპოლელებმა იგი დიდი ამბით დამარხეს, კუბოში მახვილი და მარშლის კვერთხი ჩაუდეს.

ამის შემდეგ ნეაპოლის შუღლში ფრანგები ჩაერივნენ და ჰერცოგი გიზი, ანრი II ლოტარინგიელი ნეაპოლში ჯარით შევიდა.

ამბობენ, გიზის ამალაში ბედუკულმართი ბრწყინვალე თეატრის ყოფილი დირექტორი ბატონი მოლიერიც იყო. მის ამალაში რატომ მოხვდა, ანდა ნეაპოლში რას აკეთებდა, ამის თქმა ზუსტად არავის შეეძლო. ზოგი ამტკიცებდა, ეან ბატისტი არასოდეს ყოფილა არც რომში და არც ნეაპოლში, ვილაც ავანტიურის მოყვარული კაცი მას მიამგვანესო.

უფრო მეტიც, არიან მოწმეები, სულ სხვა რამეს რომ ამბობდნენ: 1646 წლის ზაფხულში პარიზიდან სენ-ჟერმენის გარეუბნის გავლით სამხრეთ საფრანგეთისკენ ღარიბი ალალი გაემართა, მცირეოდენი ბარგით დატვირთულ ურმებში მკვლე ხარები იყვნენ შებმული, წინა ურემში მტვრისგან თავის დასაფარავად მოსასხამში გახვეული ქლალთმიანი ქალი იჯდა და ეს ქალი მაღლენა ბეჟარი იყო. თუ ეს ასეა, მაღლენა ბეჟარის სახელი უნდა დავიმახსოვროთ. მომხიბლავმა მსახიობმა გასაჭირის უამს არ მიატოვა თავისი შეყვარებული, ვინც პარიზში პირველი ბრძოლა წააგო. მაღლენას „ჭაობის თეატრში“ ან „ბურგონულ სასტუმროში“ გადასვლა არც უცდია. აღარც ის განუზრახავს, რომ თავისი პირველი საყვარელი, გრაფი დე მოდენი ეშმაკურ ქსელში გაება და ცოლად გაჰყოლოდა. იგი ერთგული და ძლიერი ქალი გახლდათ, დაე, ეს ყველამ იცოდეს!

ურემს გვერდზე კოჭლობით მიჰყვებოდა თექვსმეტითდე წლის ბიჭი და, როცა გზად რომელიმე სოფელში ჩაივლიდნენ, სოფლელი ბიჭუნებუ დასცილდნენ, უსტვენდნენ და უყვიროდნენ:

— კოჭლო ეშმაკო!..

მერე დააკვირდებოდნენ და დაუმატებდნენ:

— ელამიც ყოფილა! ელამიც!..

ლუი ბეჟარი მართლა კოჭლიც იყო და ელამიც.

როცა მტვრის ღრუბელი გაიფანტებოდა, შეიძლებოდა, ურემზე ვილაც-ვილაცები კიდევ დაგენახათ. უმეტესად ნაცნობი სახეები მოჩანდა, აგერ, ტრაგიკოსი აშიკი, ენაბრგვნილი ჟოზეფ ბეჟარი, აგერ, მისი ჭირვეული და ყენევიევა...

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ქარავანი ეან ბატისტ მოლიერს მიჰყავდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, როცა „ბრწყინვალე თეატრი“ გაცამტვერდა, მოლიერმა მისი ნანგრევებიდან ერთგულ ძმობილთა გვარდიის ნარჩენები გამოიყვანა და გზას გაუყენა.

ამ კაცს უთეატროდ ცხოვრება ერთ წამსაც არ შეეძლო და ძალა ეყო, რომ პარიზში სამი წლის მუშაობის შემდეგ მოხეტიალე კომედიანტობას შეჰგუებოდა. ეს კიდევ არაფერი. როგორც ხედავთ, მგზნებარე სიტყვით ბეჟარების ოჯახიც აღაგზნო და თან გაიყოლა. ბეჟარები საფრანგეთის მტვრიან გზებზე მისი წყალობით აღმოჩნდნენ. ბეჟარების გარდა ქარავანში ახლებიც ჩანდნენ. მათ შორის — პროფესიონალი ტრაგიკოსი მსახიობი შარლ დიუფრენი, რომელიც ადრე დირექტორი და რეჟისორიც იყო და საკუთარი დასი ჰყავდა; ასევე საუცხოო პროფესიონალი კომიკოსი რენე ბარტლო, იგივე დიუპარკი, რომელსაც მალე შეარქვეს თეატრალური ზედმეტი სახელი გრო-რენე, რადგან სასაცილო ღიბიან მსახურთა როლებს თამაშობდა. ეს სახელი მას მთელ სიცოცხლეში გაჰყვა.

ქარავნის წინამძღოლს ურემზე დაწყობილი ზოხჩებით მიჰქონდა ტრისტანის, მანიონის და კორნელის პიესები.

მოხეტიალეებს პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ. ხანდახან სათივეებში ეძინათ, სოფლად კი ფარდულეებში თამაშობდნენ, ფარდების ნაცვლად უსუფთაო ძონძები ჰქონდათ ჩამოფარებული.

თუმცა ხანდახან მდიდრულ ციხე-დარბაზებში გამოსვლაც მოუწევდათ ხოლმე. თუ მისი მფლობელნი მოწყენილობის გასაქარვებლად კომედიანტების ცქერას მოისურვებდნენ, მოლიერის ჭუჭყიანი და გაოფლილი მსახიობები მისაღებ დარბაზებში თამაშობდნენ.

როცა ახალ ადგილას მივიდოდნენ, მსახიობები, უპირველეს ყოვლისა, გაცვეთილ ქუდებს მოიხდიდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებთან მიდიოდნენ, რათა ხალხის წინაშე თამაშის უფლება ეთხოვათ.

ადგილობრივი ხელისუფალნი, წესისამებრ, კომედიანტებს ამრეზით, უდიერად ხვდებოდნენ და უაზრო დაბრკოლებებს უქმნიდნენ.

მსახიობები განუცხადებდნენ, დარბაისელი ბატონი კორნელის ტრაგედია ლექსად გვინდა წარმოვადგინოთ...

არა მგონია, ადგილობრივ ხელისუფლებს კორნელის ლექსებისა რამე თუ გაეგებოდათ, მაგრამ მაინც მოითხოვდნენ, რომ ლექსები წინასწარ წასაკით-

ხად მიეცათ. წაკითხვის შემდეგ ზოგჯერ წარმოდგენას კრძალავდნენ. აკრძალვას სხვადასხვანაირად ასაბუთებდნენ. უმეტესად ასე:

— ჩვენი ხალხი ღარიბია, თქვენს წარმოდგენებზე ფულის ხარჯვა არაფერს არგებს.

ზოგჯერ უცნაურ რამეს ამბობდნენ:

— გვეშინია, თქვენმა წარმოდგენებმა რამე არ გამოიწვიოს...

ზან სანუგეშო სიტყვებიც ესმოდათ — მოხეტიალე ცხოვრება ხან რას აგემებდათ და ხან რას.

სამღვდელოება მსახიობებს ყველგან ერთნაირად ხვდებოდა: მათი გამოჩენა არაფრად ეჭაშნიკებოდათ. მაშინ ეშმაკობა უნდა ეხმარათ. მაგალითად, პირველი წარმოდგენის შემოსავალი მონასტრის სასარგებლოდ ანდა საქველმოქმედო მიზნებისთვის შეეთავაზებინათ. ამ გზით წარმოდგენია ხსნა ხშირად ხერხდებოდა.

როცა რომელიმე ქალაქში ჩავიდოდნენ, ყველაზე პირველად ბანქოს თამაშო სახლს, ანდა ფრანგების საყვარელ საბურთაო ფარდულებს მოძებნიდნენ, მფლობელს მოელაპარაკებოდნენ, სცენას შემოფარგლავდნენ, ღარიბულ კოსტიუმებს ჩაიცვამდნენ და თამაშობდნენ.

ღამეს ფუნდუკში ათევდნენ; თითო საწოლზე ხან ორ-ორნი იწვნენ.

ასე დაუსრულებლად დახეტიალობდნენ მთელ საფრანგეთში.

ამბობდნენ, მოხეტიალე ცხოვრების დასაწყისში მოლიერის კომედიანტები მანსში ნახესო.

1647 წელს კომედიანტები გიენის პროვინციაში, ქალაქ ბორდოში ჩავიდნენ. აქ, საუცხოო ბორდოს ღვინოების სამშობლოში, დამჭლევებულ კომედიანტებს ბედმა პირველად გაუღიმა. გიენის მმართველად ბერნარ დე ნოვარე, ჰერცოგი დ'ეპერნონი ითვლებოდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ამ პროვინციის ნამდვილი გუბერნატორი ქალბატონი ნანონ დე ლარტიგი იყო და გიენს მის ხელში ცუდი დღე ადგა.

მოხდა ისე, რომ პროვინციის მართვით დაქანცული ქალბატონი დე ლარტიგი მელანქოლიამ შეიპყრო და ჰერცოგმა დ'ეპერნონმა გადაწყვიტა, თავისი საყვარლის გასამხიარულებლად მდინარე ვარონაზე ზეიმი გაემართა და წარმოდგენები ჩაეტარებინა. ბედმა მოლიერი გიენში სწორედ კარგ დროს მიიყვანა! ჰერცოგი კომედიანტებს გულდიად დაუხვდა და მათ ჯიბეებში ოქროს საამო წკრიალი პირველად გაისმა.

მოლიერის დასმა ჰერცოგისა და მისი მეგობარი ქალისთვის მანიონის ტრაგედია „იოსაფატი“ და სხვა პიესები ითამაშა. ცნობები გაგვაჩნია, რომ ამ პიესების გარდა მოლიერმა ბორდოში ხელოვნების კიდევ ერთი ნაწარმოები ითამაშა, რომელიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს. ამბობენ, რომ ეს იყო თვით მოლიერის მიერ ხეტიალისას შეთხზული ტრაგედია „ფიფაიდა“. იმასაც ამბობენ, ეს ტრაგედია ძალიან დაუხვეწავი იყო.

1648 წლის გაზაფხულზე ჩვენი მოხეტიალე კომედიანტები უკვე სხვა ადგილას, ქალაქ ნანტში გამოჩნდნენ და ოფიციალურ ქალაქებში კვალი დატოვეს, საიდანაც ჩანს, რომ ვინმე „მორლიერი“ თეატრალური წარმოდგენების გამართვის ნებართვას ითხოვდა და ნებართვა მიეცა. ისიც ცნობილია რომ ნანტში მოლიერი შეეჯახა ქალაქში ჩამოსულ ვენეციელ სეგალის თოჯინ-

ნების თეატრის დასს და მოლიერის დასმა ეს თოჯინები დაამარცხა, სეგალი იძულებული შეიქნა, ქალაქი მოლიერისთვის დაეთმო.

1648 წლის ზაფხული და ზამთარი დასმა ნანტის ახლომახლო ქალაქებსა და დაბებში გაატარა, 1649 წლის გაზაფხულზე კი ლიმოჟში გადავიდა, სადაც უსიამოვნებანი იწვნია: ერთ-ერთი ტრაგიკული როლის თამაშისას ბატონ მოლიერს ლიმოჟელებმა საშინლად უსტვინეს და შემწვარი ვაშლებიც დაუშინეს, მისი თამაში ისე არ მოეწონათ.

ბატონმა დე მოლიერმა ლიმოჟი დაწყევლა და თავისი მოხეტიალე თანამოძმენი სხვა მხარეს წაიყვანა. ისინი ანგულემშიც იყვნენ, აჟანშიც და ტულუზაშიც. 1650 წლის იანვარში კი ნარბონში მივიდნენ. იმ გაზაფხულზე ბატონმა მოლიერმა დასი ცოტა ხნით მიატოვა და პარიზში მალულად ჩავიდა.

დანამდვილებით ვიცით, რომ 1650 წლის ზამთარში მოლიერი თავის დასთან ერთად პეზენაში გადავიდა, სადაც მის მოსაგონრად დარჩა ოთხი ათასი ლივრის ქვითარი. ეს ფული მოლიერმა თავისი კომედიანტებისთვის პეზენაში მნიშვნელოვანი საგადასახადო საკითხების განსახილველად შეკრებილი შტატების წევრთა განკარგულებით მიიღო. ქვითარი, უეჭველია, იმას გვაუწყებს, რომ მოლიერი შტატების წევრებისთვის წარმოდგენებს მართავდა.

1651 წლის გაზაფხულზე მოლიერი პარიზში ისევ ჩავიდა და მამა დარწმუნა, თუ ფულს არ მომცემ, არაფერი მეშველება, რადგან „ბრწყინვალე თეატრის“ გამთ აღებული ვალების ნარჩენები ჯერაც გადასახდელი მაქვსო, და სესხად ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი ლივრი გამოართვა, ეს ვალი პარიზში მევალებებს ჩამოუტრივა და კვლავ თავის დასთან ერთად ხეტიალი განაგრძო.

ამ დროს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ გამოირკვა. აღმოჩნდა, რომ ბატონ მოლიერს არა მარტო პიესებში თამაშის უნარი შესწევდა, არამედ თავადაც შეეძლო პიესის შეთხზვა. თუმცა დღისით კატორღული შრომა ქანცავდა, ლამლამობით დრამატურგიულ ნაწარმოებთა წერას შეუდგა. ცოტა უცნაური კია, კაცს ტრაგედიის შესწავლაზე ჰქონდა თავი გადადებული, მის სამსახიობო ამბლუად ტრაგიკოსობა ითვლებოდა, მაგრამ ბედუკუღმართი „ფივიდის“ შემდეგ ტრაგედიის შეთხზვას აღარ დაბრუნებია და მხიარული, თავაწყვეტილი ერთმოქმედებიანი ფარსების წერას მიჰყო ხელი, რაშიაც ამ სახის ხელოვნების დიდოსტატებს, იტალიელებს ბაძავდა. ეს ფარსები მოლიერის კომპანიონებს ძალიან მოეწონათ და რებერტუარში შეიტანეს. ფარსების როლების შემსრულებელთაგან მაყურებელთა შორის ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა თვით მოლიერს, რომელიც სასაცილო, უმეტესად სგანარელების როლებს თამაშობდა.

საკითხავია, სცენაზე სასაცილო ამბების ასე კარგად გადმოცემა მოლიერს სად უნდა ესწავლა? როგორც ჩანს, აი სად: იმ დროს, როცა ბედკრული „ბრწყინვალე თეატრი“ ყალიბდებოდა, ანდა ამაზე ცოტა ადრე, პარიზში სხვა იტალიელ მსახიობებთან ერთად ჩამოვიდა უცვლელი იტალიური ნიღბის სკარამუჩიას ანუ სკარამუშის სახელგანთქმული და უნიჭიერესი შემსრულებელი ტიბერიო ფიორელი. თავით ფეხამდე შავით შემოსილ, მოლიერის გამოთქმით, „ღამესავით შავ“ სკარამუშს მხოლოდ კისერზე ეკეთა თეთრი, გოფირირებული საყელო. მან ვირტუოზული ტრიუკებითა და ფარსების სასაცილო და მსუბუქი იტალიური ტექსტის გადმოცემის ბრწყინვალე მანერით მთელი პარიზი განაცვიფრა.

კომედიანტი ჟან ბატისტ პოკლენი, რომელიც თავის კარიერას ის-ის იყო იწყებდა, სკარამუშთან მივიდა და სთხოვა, სცენური ხელოვნების გაკვეთილები მომეცით. სკარამუში დაეთანხმა. უეჭველია, კომედიის ძარღვი მოლიერს სკარამუშმა აბოვნინა და ფარსის გემოც მან აგრძნობინა.

მაშასადამე, მოხეტიალე დასის წინამძღოლი სხვის ტრაგედიებში ტრაგიკულ როლებს თამაშობდა, საკუთარ ფარსებში კი კომიკურს ამდროს გამოირკვა, ერთი გარემოება, რამაც ჩვენი გმირი უსაზღვროდ განაცვიფრა: ტრაგიკული როლების შესრულებისას მოლიერს დიდი-დიდი საშუალო წარმატებისათვის მიეღწია, უფრო კი ჩაფლავდებოდა ხოლმე. სამწუხაროდ, ამგვარი მარცხი არცთუ ისე იშვიათად ემართებოდა. ვაი, რომ მარტო ლიმოჟში არ უსვრიათ შემწვარი ვაშლები საბრალო ტრაგიკოსისთვის, ვინც სცენაზე რომელიმე წარჩინებული ტრაგიკული გმირის გვირგვინით შემკობილი გამოდიოდა.

მაგრამ როგორც კი ტრაგედიის შემდეგ ფარსს წარმოადგენდნენ, მოლიერი ტანსაცმელს გამოიცვლიდა და კეისრიდან სვანარელად გადაიქცეოდა, ყოველივე იმავე წუთს იცვლებოდა: ხალხი ხარხარს იწყებდა, ტაშს უკრავდა, ოვაციებს მართავდა, შემდგომ წარმოდგენებზე მოქალაქეები ბილეთებზე ფულს აღარ იშურებდნენ.

წარმოდგენის შემდეგ, როცა საპირფარეოში გრიმს მოიცვლებდა, ანდა ნიღაბს მოიხსნიდა, მოლიერი ენის ბორძიკით ამბობდა:

— ეს რა ხალხია, სამგზის წყეულიმც იყვნენ!.. ვერ გამიგია... კორნელის პიესები განა არ ვარგა?..

— არა, — უპასუხებდნენ საგონებელში ჩავარდნილ დირექტორს, — კორნელის პიესები კარგია...

— მარტო მდაბიონი რომ იყვნენ, კიდევ პო... იმათ ფარსი სჭირდებათ. მაგრამ კეთილშობილნი!.. მათ შორის ხომ განათლებულნიც არიან! ვერ გამიგია, ამ აბდაუბდაზე კაცს როგორ უნდა გაეცინოს! პირადად მე ერთხელაც არ გამეღიმებოდა!

— ეჰ, ბატონო მოლიერო! — ეუბნებოდნენ ამხანაგები. — კაცს სიცილის სურვილი აქვს, წარჩინებულის გაცინებაც ისევე იოლია, როგორც მდაბიოსი!

— ფარსი სჭირდებათ, არა? — შეჰყვირებდა ყოფილი პოკლენი. — მაშ ჩვენც ფარსებით გავუმასპინძლებით.

და კვლავ და კვლავ იგივე მეორდებოდა: ტრაგედიებში — ფიასკო, ფარსებში — წარმატება.

მაინც რით აიხსნება ეს ამბავი? ტრაგიკოსი ტრაგიკულ როლებში რატომ ფლავდებოდა, კომედიურ როლებში კი წარმატება ჰქონდა? პასუხი მხოლოდ ერთია და ძალზე უბრალო. ქვეყნიერება კი არ დაბრმავებულა, როგორც მოლიერს ეგონა, ვისაც საკუთარი თავი თვალხილულად მიაჩნდა. პირიქით: ქვეყნიერება მშვენიერად ხედავდა, ბრმა მხოლოდ ბატონი მოლიერი ბრძანდებოდა, თანაც, საოცარია და, ასეთმა ვითარებამ ძალზე დიდხანს გასტანა. ირგვლივ მყოფთა შორის მხოლოდ იგი ვერ ხვდებოდა, რომ სკარამუჩიას სახეს ისე მოერგო, უკეთესს ვერ ინატრებდა, რადგან ბუნებით გენიალური კომიკოსი მსახიობი იყო და არა ტრაგიკოსი. ამის თაობაზე ხან მადლენა ნახად გადაუკრავდა სიტყვას, ხან ამხანაგები ჩაუქარაგმებდნენ, მაგრამ უშედე-

ვოდ: დასის წინამძღოლი ჯიუტად ცდილობდა, ისეთი როლები ეთამაშა, შას რომ არ შეეფერებოდა.

აი, რა იყო „ბრწყინვალე თეატრის“ ტრაგიკული მარცხის ერთ-ერთი მიზეზი! ბრალი წმინდა სულბიცის მქადაგებელს კი არა, თავად მოლიერს მიუძღოდა. მიზეზი მარტო მისი ენაბრგვნილობა არ იყო, რაზედღაც ყუფილებას ყველა ამახვილებდა, მგზნებარე კომედიანტმა ბეჯითი ვარჯიშით მსეტყვების ეს ნაკლი, ისევე როგორც არასწორად მომართული სუნთქვა, თითქმის მთლიანად გამოასწორა. მთავარი ის გახლდათ, რომ მოლიერს ტრაგიკოსის ნიჭი სრულიად არ გააჩნდა.

მაგრამ, მოდი, მოლიერის ქარავანს გავყვეთ. სამხრეთ საფრანგეთში ხმა დაირხა, ვილაც ლაწირაკი მოლიერი თავის დასთან ერთად სასაცილო პიესებს საუცხოოდ თამაშობსო. ეს ხმა სოფლიდან სოფელს, ქალაქიდან ქალაქს მოედო. მითქმა-მოთქმაში მცდარი მხოლოდ ის იყო, მოლიერი ლაწირაკიაო. იმ დროს, როცა მოლიერზე ალაპარაკდნენ, კომედიანტს ოცდაათი წელი შეუსრულდა. ოცდაათი წლის, მრავალჭირგამოვლილი, საკმაოდ გამობრძმედილი მსახიობი და დრამატურგი, ვისი ძალაც დასმა უკვე ირწმუნა, 1652 წლის მიწურულს ქალაქ ლიონს უახლოვდებოდა. მის ურემში რამდენიმე ფარსის გარდა დიდი კომედიაც იღო, რომელსაც ერქვა: „ქარაფშუტა, ანუ ყველაფერი უდროო დროს“.

ქარავანი ლიონს მხნედ უახლოვდებოდა. მსახიობები საკმაოდ დაფრთიანდნენ. მათ ახლა კარგი ხიფთანები ეცვათ, ურმები თეატრისა და პირადმა ბარგმა დაამძიმა. ახლა შიშით აღარ თრთოდნენ იმის გაფიქრებაზე, ვინ იცის, ლიონში რა მოგველისო. მოლიერის ფარსებს რა ძალაც ჰქონდა, ჩინებულად იცოდნენ, ხოლო „ქარაფშუტა“ ძალიან მოსწონდათ და, როცა უზარმაზარი ქალაქი მათ წინაშე ზამთრის ნისლიდან ამოიზიდა, შიში არავის უგრძვნია.

ქალაქ ნიშის სიახლოვეს ქარავანს ახალი არსება შეემატა, რომელსაც მადლენა დაუცხრომლად შეურვეობდა და მეთვალყურეობდა: იგი ათიოდე წლის ულამაზო, მაგრამ ძალზე ცოცხალი, ჰკვიანი და კეკლუცი გოგონა გახლდათ.

გოგონას მოულოდნელი გამოჩენა მადლენამ მსახიობებს შემდეგნაირად განუმარტა: ჩემი უმცროსი დაა, ნიშის ახლოს ერთ ნაცნობ ქალთან იზრდებოდა, სადაც იმ ქალს მამული აქვს, ახლა კი დრო დადგა. ბავშვი მე გავზარდო, გოგონა ბატონ მოლიერსაც ძალიან უყვარს, მის გამოწაფვას აპირებს, რათა ისიც მსახიობი გახდეს და მენუს გვარით ითამაშოსო.

მსახიობებს გაუკვირდათ, რომ მათ საყვარელ ამხანაგს, მადლენას, უცებ საიდანღაც დაიკო მოევლინა, ცოტა ხანს იჭორავეს, ბავშვს პარიზში რატომ არ ზრდიდნენ, პროვინციაში რა უნდოდაო, მაგრამ გოგონას მალე მიეჩვივნენ და მენუ კომედიანტთა ოჯახის წევრი გახდა.

„ქარაფშუტას“ შეფასებაში მსახიობები არ შემცდარან. პიესა 1653 წლის იანვარში გაითამაშეს.⁵ „ქარაფშუტას“ ლიონელთა შორის ჩვეულებრივი კი არა, განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. აი, ლიონის საბურთაო დარბაზის წინ კი ნამდვილად საჭირო იქნებოდა, რომ გულალალ ლეონარ ობრის ქვაფენილი დაეგო! ბატონი მოლიერი ახალგაზრდა იყო და მეტიმეტად აჩქარდა, „ნელის თხრილზე“ ქვაფენილი რომ დააგებინა.

პრემიერის შემდეგ ხალხი სალაროს მიაწყდა. იყო შემთხვევა, როცა ორ-

მა აზნაურმა ზედახორაში ერთმანეთი გამოლანძლა და დუელი გამართა. მოკლვედ, ხალხი მოლიერს ისე მიეძალა, ვინცე მიტალას მოხეტიალე დასი, იმხანად ქალაქში რომ იმყოფებოდა, მიხვდა, რომ აღსასრული დაეღვა.

გააფთრებულმა მიტალამ ლაწირაკ მოლიერს წყველა-კრულვა შეუთვალა და დასი დაშალა. მიტალას საუკეთესო კომედიანტები შარლოტთან მივიდნენ და სთხოვეს, თქვენს დასში მიგვიღეთო.

ბატონმა მოლიერმა ბატონი მიტალა „ქარაფშუტათი“ მოაშთო, სანაცვლოდ კი მისგან მდიდრული საჩუქარი მიიღო. მოლიერთან მივიდა ეკატერინე ლეკლერ დიუროზე, რომლის ქმარი დებრი აგრეთვე მსახიობი იყო, და იგი დასში უმაღლ მიიღეს საყვარელთა როლების შემსრულებლად, რადგან იცოდნენ, რომ ქალბატონი დებრი საუცხოო მსახიობი იყო. ქალბატონმა დებრიმ მოლიერს თავისი ქმარიც წარუდგინა. ბრეტოტების როლების შემსრულებელი ბატონი დებრი თუმცა ნიჭიერი მსახიობი არ იყო, დასში მაინც ჩარიცხეს. ეკატერინე დებრის ხელში ჩასაგდებად მისი ქმრის მიწვევაც ღირდა.

ქალბატონ დებრის კვალდაკვალ დასს შეემატა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული მსახიობი ქალბატონი ტერეზა-მარკიზა დეგორლა, ბალაგანის კომედიანტის ქალიშვილი, თავადაც ბალაგანში ბავშვობიდანვე რომ გამოდიოდა და როცა დაქალდა, პირველხარისხოვანი ტრაგიკოსი მსახიობი და უბადლო მოცეკვავე შეიქნა.

მოლიერის დასში ტერეზამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: მისმა სილამაზემ და ცეკვამ მსახიობები განაცვიფრა. მამაკაცებს შორის ტერეზას თავბრუდამხვევი წარმატება ჰქონდა.

დებრისა და დეგორლას გამოჩენამ მადლენა დიდად დააზარალა. მას მანამდე დასში მეტოქე არ ჰყოლია. ლიონში კი ერთბაშად ორი მეტოქე გაუჩინდა, თანაც ორივე ძალზე ძლიერი. მადლენა მიხვდა, რომ მათთვის მთავარი როლების დათმობა მოუწევდა. ასედაც მოხდა. ლიონელი ვარსკვლავების შემომატების შემდეგ მადლენას სუბრეტების ამბლუა ხვდა წილად, საყვარლებს ახლა დებრი თამაშობდა, ტრაგედიებში კი ქალის მთავარი როლები ტერეზა-მარკიზას კუთვნილება გახდა.

მადლენას მეორე ჰრილობა არანაკლებ მტკივნეული გახლდათ. ბატისტი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ტერეზა-მარკიზას სილამაზემ დაატყვევა. ვნებამოძალეებული მოლიერი მისი გულს მონადირებას შეეცადა. მადლენას თვალწინ, ვინც მოხეტიალე ცხოვრების მთელი სიმძიმე გადაიტანა, მოლიერის რომანი გათამაშდა, მაგრამ ეს რომანი მარცხით დამთავრდა. დიდმა მოცეკვავემ და მსახიობმა მოლიერის სიყვარული უარყო და ყველა განაცვიფრა, როცა ცოლად გაჰყვა ზორზოხ დიუპარკს. მაგრამ მოლიერი მადლენას აღარ დაბრუნებია. ტერეზასთან რომანის შემდეგ უმაღვე მეორე რომანი გააბა — ქალბატონ დებრისთან. აქ კი მოლიერს გაუმართლა. ამპარტაევანი და მზაკვარი ტერეზა-მარკიზას საპირისპირო ხასიათის მქონე, ნაზი და მოკრძალებული დებრი დიდხანს იყო ჟან ბატისტი მოლიერის ფარული საყვარელი.

როცა პირველი ვნებათა ღელვა ჩაყუჩდა, როცა ყველა ცვლილება მოხდა, როცა განაწყენებულ მადლენასა და მოლიერს შორის ღამღამობით გამართული პირველი სცენები ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, შევსებულმა დასმა ლიონში და მის შემოგარენში მუშაობა ფართოდ გააჩაღა. „ქარაფშუტას“

დიდი წარმატებით თამაშობდნენ, სხვა პიესებიდან კი აღსანიშნავია კორნელის „ანდრომედა“, რომელშიც პირველად მიიღო მონაწილეობა პატარა მენუშ. ეთერის პაწაწინა როლში გოგონა ტექსტის რამდენიმე სტრიქონს ჩინებულად წარმოთქვამდა.

თავი 9

საქართველო
საბჭოთაო

სენაზა გაგოლის პრინცი კონტი

იმ დროს, როცა ჩვენი მოხეტიალე დასი ქალაქიდან ქალაქში მშვიდობიანად გადადიოდა, საფრანგეთში ბევრი რამ მოხდა. აღარ იყო ყოვლისშემძლე კარდინალი რიშელიე, აღარც მისი მორჩილი მეფე ლუი XIII. რიშელიე მარკიზ სენ-მარსის დაღუპვის შემდეგ მალევე, 1642 წლის მიწურულს გარდაიცვალა. 1643 წლის მაისში კი წუთისოფელს გამოეთხოვა აგრეთვე მეფე ლუი XIII, რომელმაც უკანასკნელად ეს სიტყვები წარმოთქვა: „სული დამიმძიმა სიცოცხლემ ჩემმა“.

საფრანგეთს ახალი მეფე ჰყავდა, მაგრამ სულ რამდენიმე წლისა გახლდათ.

ლუი XIV 1638 წლის ოქტომბერში დაიბადა. პარიზში ზარბაზნების ზატკმა და აკვამლებული კრაქების შუქმა მსოფლიოს ახალი ლუის დაბადება ამცნო. როცა მამა, ლუი XIII გარდაიცვალა, ქვეყნის განმგებელი გახდა მცირეწლოვანი მეფის დედა ანა ავსტრიელი. მაგრამ იგი რეგენტად მხოლოდ ქალაქებზე ითვისებოდა, ქვეყნის ფაქტიური მმართველობა კი კარდინალ რიშელიეს მსგავსად ხელთ იგდო მეორე კარდინალმა და საფრანგეთის პირველმა მინისტრმა, წარმოშობით სიცილიელმა იულიუს მაზარინიმ, ანუ ჟიულ მაზარენმა.

ისტორია რამდენადმე განმეორდა. საფრანგეთის უმაღლესი არისტოკრატია, აღრე რიშელიეს რომ ეწინააღმდეგებოდა, ახლა ახალ მინისტრს ეჭიშვებოდა. ოპიზიციათ ფრონდის⁷ სახელწოდება მიიღო. მთავრობის საწინააღდეგო შფოთმა ხუთ წელიწადს გასტანა.

იმჟამად დიდების გვირგვინით შემკული, ჩინებული მხედართმთავარი პრინცი კონდე დიდი, ფრონდაში წამყვან როლს რომ თამაშობდა, პირადი ინტერესების გამო მთავრობის მხარეზე არაერთხელ გადავიდა.

ხუთი წლის ბრძოლის შემდეგ მაზარენმა გაიმარჯვა. კონდეს ხელი მოეცარა. იგი საფრანგეთიდან გადაიხვეწა, ესპანელთა მხარეზე გადავიდა, ხოლო კარდინალი პარიზში ზეიმით შევიდა.

უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ. თუმცა ლუი მცირეწლოვანი იყო, ფრონდის დროინდელი ამბების მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა და მთელ სიცოცხლეში გაჰყვა მკაფიო მოგონება იმისა, ფრანგმა დიდებულებმა ტახტიდან კინალამ რომ ჩამოაგდეს. კონდეს ამბავს კი უნდა დავუმატოთ, რომ იგი რამდენიმე წლის შემდეგ მაზარენს შეურიგდა და შენდობილ იქნა.

კონდეს ძმა, პრინცი კონტი, მაშინ რომ გავიცანით, როცა პატარა ბიჭი იყო და კლერმონის კოლეჯიაში სწავლობდა, ფრონდის დროს უკვე ყმაწვილი კაცი გახლდათ და სასულიერო კარიერისთვის ემზადებოდა. მაგრამ ერთ-ერთი უმაღლესი ადგილისთვის მზადებისას, იმის ნაცვლად, რომ ყოველივე მიწიერს

განრიდებოდა, ჭკუადაუმჯდარი და გულფიცხი კონტი თავისი დიდი ძმის ავალს გაჰყვა და ფრონდაში ჩაება, სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობდა და ციხეშიც კი იჯდა.

1653 წლის ზაფხულის მიწურულს კონტი დაშოშმინდა. თავის ციხე-დარბაზს და ლა გრანჯს დაუბრუნდა, კურთხეულ ლანგედოკში კვლავ ჭკუადაუმჯდარის ახლოს რომ მდებარეობდა. იქ იმის შესაძლებლობაც კი მიეცა, რომ დროებით შეესრულებინა ლანგედოკის გუბერნატორის მოვალეობა.

იმ დროს, როცა პრინცი თავის ციხე-დარბაზში განცხრომას ეძლეოდა, ჩვენი კომედიანტები, რომელთაც მთელი საფრანგეთის შემძვრელი ფრონდის ქარიშხალი არ შეხებია, ლიონიდან გამოვიდნენ, ლანგედოკის სანახებში მიემართებოდნენ და ბედმა ყოფილი კლერმონელები ერთმანეთს შეახვედრა.

საქმე ის გახლავთ, რომ კონტის ციხე-დარბაზში სტუმრად იმყოფებოდა ვინმე ქალბატონი და კალვიმონი, მშვენიერი ქალი, ვისაც, საერთო აზრით, ერთადერთი ნაკლი ჰქონდა — ძალზე სულელი ბრძანდებოდა. ერთხელ, როცა პრინცი და მისი სტუმარი აგვისტოს გასულს სიყვითლეშებარულ დიდებულ პარკში სეირნობდნენ, ქალბატონმა და კალვიმონმა პრინცს გრძნობამორევით შესჩივლა, ციხე-დარბაზში გასართობი არაფერი იყო. პრინცმა სტუმარს პასუხად ის უთხრა, რაც ასეთ დროს წესადაა, თქვენი სურვილი ჩემთვის კანონიაო, და დაუყოვნებლივ მოუხმო უახლოეს ქვეშევრდომს, სასიამო და დიდად კულტურულ კაცს, ბატონ და კოზნაკს.

დანიელ და კოზნაკმა იცოდა, რომ მოლიერი ლანგედოკში იმყოფებოდა, და ისიც გაგონილი ჰქონდა, მის წარმოდგენებს რა წარმატებაც ჰქონდა. მან დასის დირექტორის მოსაძებნად შიკრიკი დაუყოვნებლივ გაგზავნა და თან წერილი გაატანა, რითაც ატყობინებდა, რომ მისი უმალღესობა მოლიერს და მის დასს ციხე-დარბაზს და ლა გრანჯში იწვევდა.

რალა თქმა უნდა, ძველ კლერმონელს, იმეამად კი კომედიანტს, ბევრი პატივი არ დასჭირვებია. მან წარმოდგენები უმალვე შეწყვიტა, მთელი დასი დეკორაციებიანად და ბარგი-ბარხანიანად ურემზე დასვა და ქარავანი პრინცის ციხე-დარბაზისკენ დაძრა.

მაგრამ ამ დროს ციხე-დარბაზს სხვა მოხეტიალე დასი მიადგა, რომელიც არავის მიუწვევია. დასს წინამძღოლობდა გამოცდილი ქუჩის თაღლითი, კბილების დამძრობი და მსახიობი ბატონი კორმიე, ერთ დროს, სხვების მსგავსად, პარიზში, ახალ ხიდზე რომ მოღვაწეობდა.

როცა პრინცს მოახსენეს, რომელიღაც დასი მოვიდაო, იგი გაოცდა, თანაც დიდად ესიამოვნა, რომ საშუალება მიეცა, ქალბატონ და კალვიმონის სურვილი ელვის სისწრაფით შეესრულებინა, მოლიერისთვის აღარ მოუცდია და ბრძანა, დასი ციხე-დარბაზში მიეწვიათ.

დასს ციხე-დარბაზში აღვილი მიუჩინეს. გამოცდილი კორმიე მყისვე მიხვდა, რომ მისი კეთილდღეობა იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, ქალბატონ და კალვიმონს ასიამოვნებდა თუ არა, ამიტომ ფეხქვეშ ეგებოდა და საჩუქრებსაც კი აძლევდა.

მაგრამ კორმიემ ციხე-დარბაზში ფენის რიგიანად მოკიდება და კუჭის ამოვსება ვერც კი მოასწრო, რომ დანიელ კოზნაკს უთხრეს, მოწვეული მოლიერი მოვიდაო. კოზნაკი პრინცს ეახლა და მოახსენა, თქვენი უმალღესობის

მიერ მოწვეული დირექტორი თავისი დასით მოვიდა და რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცეო.

პრინცი დაფიქრდა და უთხრა, ბატონ მოლიერს შეუძლია, თავი აღარ შეიწუხოს, რადგან მისი წარმოდგენები აღარ გვესაჭიროებთ.

— თქვენო უმაღლესობავ, — უთხრა გაფითრებულმა კოზნაკმა, — მე ხომ იგი მოვიწვიე...

— მე კი, როგორც ხედავთ, — უპასუხა პრინცი, — კორმიე მოვიწვიე და, თავადაც დამეთანხმებით, ნაკლებად უხერხული იქნება, სიტყვა მე კი არა, თქვენ რომ გატეხოთ.

კოზნაკი დანაბარების სათქმელად მოლიერისკენ ძალზე ნელი ნაბიჯით გაემართა.

ციხე-დარბაზის შესასვლელთან იდგა ტანსაცმელდამტვერილი კაცი, სქელი ტუჩები და მოქანცული თვალები რომ პქონდა, საგზაო ბოტფორტები კი ერთიანად გასთეთრებოდა.

ციხე-დარბაზის ჭიშკრის მიღმა უგრძესი ქარავანი მოჩანდა. თუმცა კოზნაკმა რიგიანად ვერც ჭიშკართან მდგომი კაცი დაინახა და ვერც ქარავანი, რადგან მოლიერისთვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდა.

— მე მოლიერი გახლავართ, — ოდნავ ჩახლეჩილი ხმით თქვა მოსულმა და ქუდი მოიხადა, — ჩვენ მისი უმაღლესობის განკარგულებით მოვედით.

კოზნაკმა მკერდში ჰაერი ჩაიგუბა და ძლივძლივობით ამოღერდა:

— პრინცი... მიბრძანა... ბატონ მოლიერს გადავცე... რომ ერთგვარი სამწუხარო გაუგებრობა მოხდა... სხვა დასი ციხე-დარბაზში უკვე თამაშობს... პრინცი ბრძანა, რომ თქვენ... ბრძანა მოვახსენოთ, რომ შეგიძლიათ, თავი აღარ შეიწუხოთ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მოლიერმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თან კოზნაკს თვალს არ აცილებდა. მერე ქუდი დაიხურა. კოზნაკმა აიხედა და დაინახა, რომ მოლიერი ფითრდებოდა. ერთხანს ისევ მდუმარედ იდგნენ.

მერე მოლიერმა თვალები ცხვირისკენ დაბრიცა და წარმოთქვა:

— მე ხომ მომიწვიეს... მე... — მან ხელი ურმებისკენ გაიშვირა, — მე წარმოდგენები შევწყვიტე, დეკორაციები დავტვირთე, ჩემთან ქალები არიან, მსახიობი ქალები.

კოზნაკი დუმდა.

— მე მოვითხოვ, — თქვა მოლიერმა და ენა დაება, — მოვითხოვ, ათასი ეკიუ გადამიხადონ, რადგან დიდი ზარალი მომივიდა, წარმოდგენები ჩამეშალა, ხალხი ჩამოვიყვანე.

კოზნაკმა შუბლზე ოფლი შეიმშრალა და მოლიერს თავმდაბლად სთხოვა, სკამზე ჩამოჯექით და მოიცადეთ, სანამ თქვენს ნათქვამს პრინცს მოვახსენებო.

მოლიერმა მდუმარედ დაიხია უკან, სკამზე ჩამოჯდა და მიწას ჩააცქერდა. კოზნაკი პრინცის სამყოფელში შევიდა.

— დასის დირექტორი ხარჯების ასანაზღაურებლად ათას ეკიუს ითხოვს, — უთხრა მან პრინცს.

— რა სისულელეა! — უპასუხა პრინცი, — არაფერიც არ ერგება. ძალიან გთხოვთ, ამ ამბავზე აღარაფერი მითხრათ, რადგან მომბეზრდა.

კოზნაკი პრინცის სამყოფლიდან გამოვიდა, თავის სადგომში შევიდა, საკუთარი ათასი ეკიუ აიღო და მოლიერს გაუტანა. მან მაღლობა გადაუხადა და ფული ტყავის ქისაში ჩაიყარა. კოზნაკმა მოლიერს უთხრა, უსაზღვროდ ვწუხვარ, ასეთი უხერხული რამ რომ მოხდაო... მერე კი გულლიად შესთავაზა, მეზობლად, ქალაქ პეზენაში დაბინავდით და წარმოდგენებში გამართეთ, ყველაფერს მე მოგიგვარებთ, დარბაზსაც ვიშოვით და თამაშის უფლებასაც მოვაცემინებო...

ბატონი მოლიერი დაფიქრდა და დაეთანხმა. კოზნაკი ქარავანს პეზენაში გაპყვა, პრინცის სახელით დასს შენობაც უშოვა და თამაშის უფლებაც გამოითხოვა. დასმა პეზენაში „ქარაფშუტა“ ითამაშა და თავისი ხელოვნებით პეზენელები განაცვიფრა.

პეზენაში ჭერ არნახულმა ამბავმა ხალხი აალაპარაკა და ხმამ მალე გუბერნატორის ყურამდეც მიაღწია. პრინცმა მყისვე განაცხადა, მსურს, ეს საუცხოო კომედიანტები ჩემს ციხე-დარბაზში ვიხილო. კომედიანტებმა წყენა მალე რომ უნდა დაივიწყონ, ეს კლერმონელმაც იცოდა და დასი ციხე-დარბაზში მაშინვე მიიყვანა. „ქარაფშუტა“ პრინცის, მისი ამაღლის და ქალბატონ დე კალვიმონის წინაშე ითამაშეს. საბრალო კორმიეს სასოწარკვეთილებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, ამ წარმოდგენის შემდეგ მის დასს ციხე-დარბაზში აღარ ედგომებოდა. მისი უხეიროდ ჩაცმული და ხელოვნებას სუსტად დაუფლებული კომედიანტები ვერც კი იოცნებებდნენ იმაზე, რომ ლიონში ნაშოვნი ფულით მდიდრულად შემოსილ დიუპარკებს, დებრის, მადლენას და, რა თქმა უნდა, თავად მოლიერს შეგიბრებოდნენ.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, შესაძლოა, ისიც მომხდარიყო, რომ მოლიერი ციხე-დარბაზიდან მაინც წასულიყო, კორმიე კი დარჩენილიყო, იმიტომ, რომ სპექტაკლი ქალბატონმა კალვიმონმა არ მოიწონა, თუმცა მის გარდა ყველას მოეწონა. საბედნიეროდ, მოლიერის დასი პრინცის ჰკვიანმა და კულტურულმა მდივანმა, პოეტმა სარაზენმა იხსნა. მან უზომო აღფრთოვანება გამოთქვა მსახიობთა თამაშისა და მათი ჩაცმულობის გამო და პრინცს ჩააგონა, ბატონი მოლიერის დასი თქვენს ციხე-დარბაზს დაამშვენებსო. ჰირვეულმა პრინცმა ბრძანა, უბედური კორმიეს დასი დაეთხოვათ, ხოლო მოლიერის დასი მუდმივ სამუშაოზე მიეღოთ, პრინც არმან ბურბონ დე კონტის კარის დასი ეწოდებინათ და, რაღა თქმა უნდა, მუდმივი პენსიონი დაენიშნათ.

უნდა დაეუმატოთ, რომ სარაზენის ხოტბა მოლიერის დასის მიმართ ნაწილობრივ იმით უნდა აიხსნას, რომ ტერეზა-მარკიზას სიყვარული პირველი დღიდანვე შემოეგზნო.

საბრალო კორმიე თავისი კომედიანტებიანად ციხე-დარბაზიდან მოლიერის წყევლით წავიდა, ხოლო მოლიერს და მის დასს ლანგედოკში ჰეშმარიტად ოქროს ხანა დაუდგა.

ეშმაკმა კომედიანტმა პრინცი თითქოს მოაჯადოვა. წარმოდგენები განუწყვეტლივ იმართებოდა, მოლიერისა და მისი მსახიობებისკენ ასევე განუწყვეტელ ნაკადად დაიძრა ყოველგვარი დოვლათი. თუ ლანგედოკში მგზავრობა დასჭირდებოდათ, პრინცი ბრძანებდა, რომ მოწყობილობის გადასატანად და თვით კომედიანტების გადასაყვანად ურმები და ცხენები დაუყოვნებლივ გაემზადებინათ. პრინცი დასს ფულს აძლევდა და ყოველგვარ მფარველობას უწევდა.

1653 წლის ნოემბერში პრინცი ლიონის გავლით პარიზს გაემგზავრა მახარენის დისშვილზე, მარი ანა მარტინოციზე დასაქორწინებლად. კარის დასმა პრინცი ლიონამდე გააცილა, სადაც სათამაშოდ დარჩა. პრინცი კი პარიზში ჩავიდა, მარტინოციზე დაქორწინდა და 1654 წლის დასაწყისში ლანგედოკში დაბრუნდა.

ქალიშვილი

1654 წლის დეკემბერში ქალაქ მონპელიეში მორიგი შტატებში მოხსწვევს. თავადაზნაურობამ და სამღვდლოებამ თავი მოიყარა. რათა ჩვეულებისამებრ, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ფინანსური საკითხები განეხილა და მათთან დავა გაემართა პროვინციის ინტერესების შეძლებისდაგვარად დასაცავად. დეპუტატებს ეს დრო ძალიან უყვარდათ, რადგან შტატების სხდომათა მიმდინარეობისას მნიშვნელოვან გასამრჯელოს იღებდნენ. იმ ქალაქში, სადაც შტატები იკრიბებოდა, ცხოვრება დულდა. ბუნებრივია, რომ მონპელიეში მოლიერის დასიც ჩავიდა. რათა კეთილშობილ თავადაზნაურთა წინაშე წარმოდგენები გაემართა.

პრინციის ამალიდან მხოლოდ ერთი კაცი ველარ ტკებოდა ბრწყინვალე დეპუტატებისა და ბატონი მოლიერის წარმოდგენების ხილვით. ეს კაცი პრინციის მდივანი ბატონი სარაზენი იყო. იგი ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა 1654 წლის დეკემბერში. სარაზენის სიკვდილს მოლიერისთვის განსაცვიფრებელი შედეგი მოჰყვა. პრინციმა მოლიერს შესთავაზა, განსვენებული სარაზენის ნაცვლად მისი მდივანი გამხდარიყო. მოლიერს დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა, რომ თავაზიანად უარი ეთქვა ამ სახარბიელო წინადადებაზე — მოიმიზეზა, მდივნობას ვერ შევძლებ, საამისოდ იოტისოდენა უნარიც არა მაქვსო. უარი მარჯვედ გამოუვიდა და დასმა მონპელიეში წარმოდგენების გამართვა დაიწყო.

მოლიერმა პრინციის ხასიათი კარგად შეისწავლა და ჟოზეფ ბეჟართან ერთად ბალეტის ლიბრეტო და მხიარული დივერტისმენტი შეთხზა. ბალეტი დეკემბერში დაიდგა პრინცისისა და პრინციის პატივსაცემად. ყველაზე დიდი წარმატება და ახარხარებული მაცურებლის ტაში წილად ხვდა ამ საქმის თაოსანს ბატონ მოლიერს, რომელიც დივერტისმენტში ქაშაყის გამყიდველ ქალს განასახიერებდა.

ჟოზეფ ბეჟარს კი, იმის გარდა, რომ წარმატება წილად ხვდა შეთხზული კუბლეტების გამო, ერთ საქმეშიც გაუმართლა. გულმოდგინემ და დაკვირვებულმა, ისტორიული გამოკვლევებისკენ მიდრეკილების მქონე ჟოზეფმა პერალდიკური ხასიათის დაწვრილებითი კრებული შეადგინა, რომელშიც ყოველგვარ გენეალოგიურ ცნობადა გარდა 1654 წელს შეკრებილი ლანგედოკის შტატების მონაწილე ბარონებისა და პრელატების გერბებისა და დევიზების აღწერილობაც შეიტანა.

ეს კრებული ბეჟარმა, რა თქმა უნდა, პრინცს მიუძღვნა, მან კი დარბაისელი დეპუტატებისაგან კრებულის შედგენისთვის გვარიანი თანხა მიიღო; თუმცა გადაკვრით მაინც თქვეს, კარგი იქნება, თუ ბეჟარი ასეთ კრებულებს მხოლოდ მაშინ შეადგენს, როცა დაუკვეთენო.

როცა მონპელიეს შტატებმა მუშაობა დაამთავრა, მოლიერი დასიანად ლიონში გადავიდა. ამ დროს კომედიანტებს შორის ერთი საოცარი კაცი — შარლ კუანო დასუსი გამოჩნდა. იგი ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მთელ საფრანგეთში ორი ბიჭის თანხლებით დახეტიალობდა, ბარბითზე უკრავდა, იმ ბიჭებთან ერთად საკუთარ სიმღერებსა და კუბლეტებს მღეროდა

და თავის თავს ხუმარების იმპერატორს ეძახდა. მონეტიალე პოეტი და მუსიკოსი რასაც მოულობდა, ბანქოს სათამაშო სახლებში და სამიკიტნოებში ფლანგავდა.

1655 წლის ზაფხულში მას ყველაზე უფრო მეტად მოეცაო ხელი, ვიღაც შულერებმა ისე გაფცქვნეს, ბარბითისა და ბიჭების გარდა აღარაფერი დაუტოვეს. ლიონში ჩარჩენილი დ'ასუსი მოლიერთან მივიდა, რათა ჩაემოკლე, თავიზიანი ვიზიტით წარსდგომოდა და მსახიობებთან შეხვედრის გამო სიხარული გამოეხატა. ამ ვიზიტმა თორმეტოდე თვეს გასტანა.

ჩვენთვის საინტერესოა ის ამბავი, რომ დ'ასუსი აღფრთოვანებული იყო მოლიერის დასის კეთილდღეობით. ორი წლის მანძილზე, რაც პრინცი კონტი დასს მფარველობდა, მსახიობებმა ფული ბლომად იშოვეს, მიავიწყდათ სათივეებში ღამის თევა და სიცივეში კანკალი, ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე თავმოდრეკით დგომა. მოლიერი და მისი ამხანაგები ლიონში კარგ ბინებში ცხოვრობდნენ, ღვინო არ აკლდათ, საუცხოოდ იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი. საკუთარი თავის რწმენა შეიძინეს და სტუმრის მიმართ უსახლვრო გულკეთილობა გამოიჩინეს.

ხუმარების იმპერატორი კომედიანტებს მოეწონათ, შეიკედლეს და, როგორც თავისიანს, ისე ეპყრობოდნენ. სამაგიეროდ, იგი მათ ხოტბას ასხამდა საუკეთესო პროზაული და პოეტური სტრიქონებით.

— ამბობენ, ყველაზე მოყვარულ ძმას ღვიძლი ძმის სტუმრობა ერთ თვეში მობეზრდებათ, — გაიძახოდა იგი ყოველ ვზაჯვარედინზე, — ესენი კი გარწმუნებთ, ერთად აღებულ ყველა ძმაზე კეთილშობილნი არიან!

დ'ასუსი მღროდა ლექსებს, სადაც გართობული იყო სიტყვები „კომპანია“ და „ჰარმონია“ (compagnie — harmonie), რიხიანად გაიძახოდა, შე, ლატაკი, საძმო სუფრას ვუზივარ, ყოველდღე სადილად შვიდი-რვა თავი კერძი მოაქვთო. ამ სადილებზე დიდი მხიარულება სწორედ უკანასკნელი, მერვე კერძის შემდეგ იწყებოდა, როცა დაუღალავი იმპერატორი სასმისებს ღვინით შეავსებდა, მოლიერთან ერთად მღეროდა ანდა ანეგდოტებს ჰყვებოდა. მოკლედ, ლიონში ნეტარი დრო დაუდგათ!

როცა იმავე, 1655 წლის შემოდგომაზე კომედიანტები ავინიონში გაემგზავრნენ, ცხადია, დ'ასუსიც თან წაიყვანეს. რონას ორჩხომელით მიუყვებოდნენ, გზას ვარსკვლავები უნათებდათ, დ'ასუსი შუალამემდე კიჩოზე იჯდა და მრავალსიმიან ბარბითზე უკრავდა. კომედიანტები ავინიონში ერთ თვეს დარჩნენ, საიდანაც ისინი პრინცმა ქალაქ პეზენაში, კვლავ შტატების სესიაზე გაიწვია.

ცხრა ნოემბერს დეპუტატები განსაკუთრებული ამბის მომსწრენი შეიქნენ. მისი უმაღლესობის, პრინცი კონტისთვის ბინა ვინზე ბატონ დ'ალფონსის სახლში იყო გამზადებული. მახლობელი ქალაქების ეპისკოპოსები, მორთულ-მოკაზმულნი და მანტიებით შემოსილნი, თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან — სადღესასწაულოდ ჩაცმულ ბარონ დე ვილნევეთან და დე ლანტასთან ერთად დ'ალფონსის სახლში მივიდნენ, რათა მის უმაღლესობას მისალმებოდნენ.

პრინცი დეპუტატებთან გამოვიდა, მაგრამ მოსულნი გესტიბიულის კარებში მიიღო, მოიბოდიშა, სამწუხაროდ, შიგნით ვერ შეგიპატიყებთ. რადგან

ბატონი მოლიერის კომედიის თამაშთან დაკავშირებით ოთახებში საშინელი უწყესრიგობაა.

ძნელია იმის აღწერა, როგორ ეცვალოთ ფერი დეპუტატებს, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსებს. მაგრამ, თავისთავად ცხადია, ოთახებში უწყესრიგობის თაობაზე კრინტიც არავის დაუძრავს, შტატების გახსნასთან დაკავშირებით ხის უმაღლესობას სათანადო ქათინაურები უთხრეს და დეპუტატთა სამარისებურ სიჩუმეში ვესტიბიულიდან გავიდა.

კომედიანტები პეზენაში რამდენიმე თვეს თამაშობდნენ და მოლიერმა ლანგედოკის შტატების სალაროს მიერ დასისთვის დანიშნული ექვსი ათასი ლივრი მიიღო.

პეზენაში ყოფნისას მოლიერი, ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცეოდა. იგი იქაურ, პატივცემულ და საუკეთესო დალაქს, მეტრ ჟელის დაუმეგობრდა.

ჟელის სადალაქო პეზენაში დიდად სახელმოხვეჭილი გახლდათ. სადალაქოს კარს, განსაკუთრებით შაბათობით, წარამარა ჯახაჯუხი გაჰქონდა. მოლიონდნენ ყასბები, მეფუნთუშეები, პეზენელი მოხელეები, სხვანი და სხვანი. სანამ მეტრ ჟელის ქარგლები მოსულეებს კბილებს აგლეჯდნენ ანდა წვერს პარსავდნენ, თავიანთი რიგის მომლოდინე პეზენელები ლაყბობდნენ და ბურნუთს ყნოსავდნენ. არცთუ იშვიათად რომელიმე სახეწამოწითლებული ქალიშვილი შემოირბენდა და იტყოდა, ჯარში წასული მეყვარებულისგან წერილი მივიღეო. ამ ამბავში ყველა ჩაერეოდა, წერა-კითხვის უცოდინარი ქალიშვილის თხოვნით წერილს ხმამაღლა კითხულობდნენ, თუ წერილში სასიხარულო რამ ეწერა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, თუ სამწუხარო ამბავს ამოიკითხავდნენ, წუხილს გამოხატავდნენ. ერთი სიტყვით, მეტრ ჟელის სადალაქო კლუბს წააგავდა.

პოდა, მოლიერმა ჟელის სთხოვა, შაბათობით სალაროში ვიჯდები და შემოსავლის დათვლაში მოგეხმარებიო. სტუმართმოყვარე ჟელიმ დირექტორს მაგიდასთან ხის სავარძელი დაუდგა; მოლიერი ამ სავარძელზე იჯდა და ვერცხლის ფულებს ითვლიდა. მაგრამ მეტრ ჟელი ყველას საიდუმლოდ უყვებოდა, ფულის თვლაში მოხმარება აქ არაფერ შუაშია, კონტის დასის დირექტორისთვის ეს სხვა საქმიანობის საბაბია, დირექტორს ხიფთანის კალთის ქვეშ მუდამ უწყვია სუფთა ფურცლები, რაზედაც მალულად იწერს ყოველივე საინტერესოს. რაზედაც სადალაქოში ლაყბობენ, ხოლო რისთვის იწერს, ეს კი არ ვიცო.

ასეა თუ ისე, სადალაქოს სავარძელს მერე მუზეუმში მიუჩინეს ადგილი.

პეზენაში ყოფნისას დასი დროდადრო ახლომანლო სოფლებშიაც გადიოდა, 1656 წლის გაზაფხულზე კი ქალაქ ნარბონას ეწვია, სადაც მხიარული ტრუბადური მაპინძლებს ბოლოს და ბოლოს გამოეთხოვა. მერე კომედიანტები ლიონში, თავის მუდმივ სამყოფელში დაბრუნდნენ, ლიონიდან კი ქალაქ ბეზიეს ესტუმრნენ, რათა იქ შეკრებილი მორიგი შტატების დეპუტატები გაემხიარულებინათ.

ბეზიეში მოლიერმა თავისი ახალი პიესის პრემიერა გამართა. პიესას „ტანჯვა სიყვარულისა“ ერქვა. ეს გახლდათ ესპანელი და იტალიელი ავტორების აშკარა წაბაძვით დაწერილი ხუმრობამდებიანი პიესა, უფრო სრულყოფილი, ვიდრე კომედია „ქარაფშუტა“. თუმცა შიგ გაუჩარხავი ლექსები იყო ჩართული, ფინალი კი ძალზე დახლართული და ნაკლებად ბუნებრივი ჰქონდა. მაგრამ რაკი მახვილგონივრული და დახვეწილი სცენები უხეირო აღ-

გილებზე მეტი იყო, კომედიანტებს წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ და არც შემცდარან.

თეატრის დირექტორმა იმით დაიწყო, რომ ბეზიეში ჩასვლისთანავე, პირველ ყოვლისა, პრემიერის უფასო ბილეთები დაუგზავნა შტატების დეპუტატებს, მაგრამ ძალზე გაწბილებული დარჩა: ძუნწმა დეპუტატებმა დირექტორს ბილეთები უკანვე დაუბრუნეს. მიზეზი ცხადი იყო. დეპუტატებმა იცოდნენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ დასი ფულად დახმარებას მოითხოვდა და გადაწყვიტეს, ეს თავიდან აეცილებინათ. დირექტორმა იგრძნო, რომ შტატების სალაროდან რამდენიმე ათასი ლივრის მისაღებ ქვითარზე ხელის მოწერა აღარ მოუწევდა, დეპუტატები, ჩვეულებისამებრ, გულში დაწყევლა და წარმოდგენა უბრალო მაყურებლისთვის გამართა. „ტანჯვა სიყვარულისა“, სადაც მოლიერი ალბერ-მამის როლს ასრულებდა, მაყურებელთა ტაშის გრიალში გათამაშდა.

მოლიერმა სტუმართმომძულე ბეზიე მიატოვა, ლიონში დაბრუნდა, „ტანჯვა სიყვარულისა“ წარმატებით ითამაშა, მერე კი ნიმს, ორანჟს და ავინიონს ეწვია.

1657 წელს ავინიონში იგი ორ კაცს შეხვდა. ერთი იყო მოლიერის ძველი მეგობარი, კლერმონელი შაპელი. ფილოსოფოს გასენდის ყოფილი მსმენელები ერთმანეთს გულთბილად გადაეხვივნენ, ეპიკურელი გაიხსენეს და მის შემზარავ სიკვდილზე ილაპარაკეს: წყნულმა ექიმებმა გასენდის თურმე სისხლის გამოშვებით სული ამოხადეს.

მეორე შეხვედრამ მოლიერის შემდგომ ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა. იტალიიდან სამშობლოში დაბრუნებული სახელგანთქმული მხატვარი პიერ მინიარი ერთხანს ავინიონში შეყოვნდა. მინიარმა და მოლიერმა ერთმანეთი გაიცნეს, სწრაფად დაახლოვდნენ, ერთიმეორე მოეწონათ და ბრწყინვალე მხატვარმა მოლიერის რამდენიმე ფერწერული პორტრეტი დახატა.

1657 წლის ზაფხულში უჩვეულო სიციხეები დაიჭირა, ამიტომ დასი ერთხანს ჩრდილოეთში, დიჟონში იმყოფებოდა. ზამთარში კი ლიონში დაბრუნდა. ლიონში ერთმანეთს ისევ შეხვდა ორი ძველი კლერმონელი — პრინცი კონტი და მოლიერი, რომელთაც ერთიმეორე საკმაოდ დიდი ხანი იყო არ ენახათ.

დასის დირექტორმა პრინცს მიღება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. პრინცმა დირექტორისა და თავისი კომედიანტების ნახვა არ ისურვა. ეს კიდევ არაფერი, ბრძანა, დასისთვის მის მიერ მინიჭებული კონტის სახელი ჩამოერთვათ. ვაი, რომ კომედიანტებს წილად მხოლოდ ვარდები და დაფნის გვირგვინები არ ხვდებათ! დამცირებული დირექტორი განმარტებას ელოდა და არც განმარტებას დაუყოვნებია. მისი უმაღლესობის სულში ამ ორი წლის მანძილზე თურმე ყველაფერი შეცვლილიყო. ფრონდის ყოფილ მონაწილეს, შემდეგ კი თეატრის მგზნებარე მოყვარულს ახლა ირგვლივ სამღვდელთა შემოეკრება და რელიგიურ-ზნეობრივ საკითხებს ჩაღრმავებოდა.

ერთმა ეპისკოპოსმა, მჭევრმეტყველების დიდებული ნიჭი რომ ჰქონდა, პრინცის თეატრალურ გატაცებას სერიოზული ყურადღება მიაპყრო და ისიც მოასწრო, რომ მისთვის განემარტა, კაცს ამქვეყნად რაც არ უნდა მაღალი ადგილი ებყრას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სულის ხსნაზე უნდა ფიქრობდეს, და თუ ამაზე ფიქრობს, უწინარეს ყოვლისა, კომედიურ წარმოდგენებს, როგორც ცეცხლს, ისე უნდა განერიდოს, რათა შემდგომ საუკუნო ცეცხლში არ ჩავარდესო. პრინცის სულში ჩათესილმა მარცვალმა ხვავრიელი ნაყოფი

გამოიღო. პრინცმა ეპისკოპოსის შეგონებანი შეითვისა და განაცხადა. ამიერიდან კომედიანტების დანახვისაც კი შეშინიანო.

— გუნებაცვალებიანი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, — ეუბნებოდა მადლენას მოლიერი, — კომედიანტებს ერთ რამეს ვურჩევდი: თუ ამა ქვეყნის ძლიერნი გწყალობენ, რაც გეკუთვნის, ყოველივე უმაღლესი მფიქვემვე დრო არ დაკარგო. სანამ თონე ცხელია, პური მანამდე უნდა ჩააკრას და ~~შახტ~~ წახვიდე, არ უცადო, სანამ კინწისკვრით გაგაგდებენ!.. ახლა კი, მადლენა, უფრო დიდ საქმეებზე უნდა ვიფიქროთ. ვგრძნობ, რომ დროა, ლანგედოკიდან წავიდეთ. ჩვენ უნდა...

და კვლავ, როგორც ოდესღაც პარიზში. „ბრწყინვალე თეატრის“ განადგურების შემდეგ, ყოფილი საყვარლები აჩურჩულდნენ.

თავი 10

ფართულად, გუგონულად, — მოლიერი მოდის!

1657 წლის ზამთარში მთელი დასი აღგზნებული იყო. მსახიობები ერთმანეთში ჩურჩულდნენ; ერთმანეთს განუწყვეტლივ საიდუმლოდ ეთათბირებოდნენ მოლიერი და მადლენა, რომელიც დასის ფინანსებს ვენიალურად განაგებდა. იმ ხანებში მადლენამ პარიზთან დაკავშირებულ საქმიან ხალხთან არაერთი მოლაპარაკება გამართა, მაგრამ დასში ჯერ არ იცოდნენ, რა ხდებოდა.

მომდევნო 1658 წლის დასაწყისში დასი გრენობლს გაემგზავრა, სადაც კარნაული იმართებოდა. იმ კარნავალზე ითამაშეს და ლიონში უკანასკნელად დაბრუნდნენ. მერე მოლიერმა დასი უცებ დაძრა, მთელი საფრანგეთი შეუჩრებლად გადაატარა და ქალაქ რუანში ჩაიყვანა. ქარავანმა პარიზს ახლოს ჩაუარა, მაგრამ მოლიერს პარიზისკენ ერთხელაც არ გაუხედავს, ისე ჩავიდა რუანში, სადაც თხუთმეტი წლის წინ გამოჩნდა გამოუცდელი ოჯახის შეილებით, რათა რუანის ბაზრობაზე ეთამაშა.

ახლა კი სულ სხვა ამბავი იყო. რუანს ეწვია ოცდათექვსმეტი წლის უალრესად გამოცდილი მსახიობი, პირველხარისხოვანი კომიკოსი, რომელსაც საუცხოო მსახიობები ახლდა. დასში ქალთა შორის ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ: მადლენა ბეჟარი, დებრი და ტერეზა დიუპარკი. საბრალო დასი, რომელმაც ნანტში ძლივს დაამარცხა ვენეციელი სეგალის უბადრუკი თოჯინები, ახლა საფრანგეთში ძლევა მოსილად მიემართებოდა და გზად შეხვედრილ ყოველ მოხეტიალე დასს შემმუსვრელი მახვილით ანადგურებდა. ზურგში, სამხრეთ საფრანგეთში დარჩნენ ძლეული მიტალა და კორმიე, ხოლო ჩრდილოეთში, რუანს მიახლოვებულ მოლიერს თრთოლვით მოელოდა რუანში მოთამაშე დასის დირექტორი ფილიბერ გასო სიორ დიუკრუაზი.

მოლიერის სახელი რუანში მეზივით გავარდა. დასის მეთაურმა იქ ორი მაგრის დარბაზი დაიჭირა და წარმოდგენები დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, აქ იგი შეხვდა საფრანგეთის საუკეთესო დრამატურგს, პიერ კორნელს, ვის პიესებსაც მოლიერის დასი უკვე, დიდი ხანია, თამაშობდა. კორნელმა თქვა,

მოლიერის დასი ბრწყინვალე დასი! იმის დამატება აღარც მინდა, რომ კორნელს ტერეზა დიუპარკი შეუყვარდა.

შემდეგ ფილიბერ დიუკრუაზის დასი მიტალას დასივით განადგურდა. დიდად სასიამოვნო კაცი, პირველხარისხოვანი და მრავალმხრივი მსახიობი სიორ დიუკრუაზი, დიხაც, სწორად მოიქცა: მოლიერთან მინჭრდა. მოლიერმა დიუკრუაზი თავის დასში დაუყოვნებლივ მიიწვია.

მოლიერი მავრიტანულ დარბაზში თამაშობდა, წარმოდგენებს დროდადრო რუანის ობოლთა სახლის სასარგებლოდ მართავდა და მთელი ქალაქი მოხიბლა. ამას გარდა, ზაფხულის განმავლობაში სამჯერ საიდუმლოდ ჩავიდა პარიზში ისე, რომ დასში მადლენას გარდა არავისთვის არაფერი უთქვამს.

მოლიერმა დასს თავისი გეგმა მაშინლა გაუმხილა, როცა დედაქალაქიდან უკანასკნელად დაბრუნდა.

საქებარი რეკომენდაციების შემწეობით თურმე სამეფო კარის წრეებში შეაღწია და ისიც შეძლო, რომ იმჟამინდელი მეფის ერთადერთი ძმისთვის, ფილიპ ორლენელისთვის წარედგინათ.

მსახიობები დირექტორს მღუმარედ უსმენდნენ.

მაშინ მოლიერმა კიდევ უფრო საოცარი რამ თქვა: მეფის ერთადერთ ძმას ჩვენი დასის ამბავი გაუგია და გადაუწყვეტია, მფარველობა გაგვიწიოს — შესაძლებელია, თავისი სახელიც კი მოგვანიჭოსო.

ამის გაგონებაზე მსახიობებმა გული შეუქანდათ, ხელები აუკანკალდათ და თვალები წამოენთოთ. მავრიტანულ დარბაზში სიტყვა პარიზი დაირხა.

როცა მსახიობთა ყრიაბული მიწყდა, მოლიერმა ბრძანა, ურმებზე დაბარგებულიყვნენ და პარიზის გზას გასდგომოდნენ.

1658 წლის შემოდგომის ერთ საღამოს თეატრის ურმები დედაქალაქს მიუხანლოვდა. ქალაში ხეებს შეყვითლებული ფოთლები სცვიოდა. შორს სახლების წამახული სახურავები და ტაძართა ცად აღმართული გუმბათები გამოჩნდა. მერე ბინდბუნდში ამოტივტივდა გარეუბნები, თან ისე ახლოს, კაცს ეგონებოდა, ხელით მიეწვდებო.

მოლიერმა ქარავანი შეაჩერა და ურმიდან ჩამოვიდა, რომ მუხლი გაემართა. იგი ქარავანს გამოორდა და ქალაქს დააკვირდა, რომელმაც თორმეტი წლის წინ გაკოტრებული და თავლაფდასხმული გამოაძევა. მოგონებები აეშალა. წამით შეშინდა და უკან, თბილ რონაზე დაბრუნება მოუნდა, რონის ტალღების დგაფუნი და ხუმარების იმპერატორის ბარბითის სიმთა უღერაც კი ჩაესმა. მოეჩვენა, დავბერდიო. ძარღვებში სიცვიემ დაურბინა, როცა გაიფიქრა, ფარსებისა და ორი კომედიის გარდა ურემში არაფერი მიდევსო. იმასაც ფიქრობდა, „ბურგონულ სასტუმროში“ სამეფო თეატრის უძლიერესი მსახიობები თამაშობენ, პარიზში ჩემი ყოფილი მასწავლებელი, დიდი სკარამუჩიაა, პარიზში ბრწყინვალე ბალეტიაო!

გულმა ლიონისკენ გაუწია, სადაც ზამთარს ძველ ბინაზე გაატარებდა... ზაფხულში კი ხმელთაშუა ზღვისკენ გასწევდნენ... იგი უცებ შეაშინა ნესტიანი და ბინძური ციხის აჩრდილმა, რომელმაც თორმეტი წლის წინ კინალამ არ ჩანთქა, და თავისთვის ტუჩების თრთოლვით ჩაილაპარაკა:

— უკან ხომ არ გავბრუნდე? ჰო, გავბრუნდები...

მოლიერი სწრაფად შეტრიალდა, ქარავნის მოწინავე ურმისკენ გაემართა

და, როცა ყველა ურმიდან თავგამოყოფილი მსახიობები დაინახა, მოწინავეებს უთხრა:

— აბა, წინ გავწიოთ!

თავი 11

გრუ-გა-გა!!!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუერის ძველი სასახლის უზარმაზარ „გვარდიის დარბაზში“, იგივე „კორიტიდების დარბაზში“, 1658 წლის ოცი ოქტომბრიდან უჩვეულო ორომტრიალი იდგა. თეატრის მუშათა ჩაქუჩებსა და ხერხებს აუტანელი კაკუნ-ზუზუნი გაჰქონდა. გვარდიის დარბაზში სცენა გამართეს, მერე კი მის მოწყობას შეუდგნენ. მემანქანე ოფლის წმენდით დარბოდა, რეჟისორის თანაშემწეები ფუსფუსებდნენ.

მათ შორის აღელვებული მიმორბოდა ულამაზო კაცი, ზოგს უყვიროდა, ზოგს ემუდარებოდა, სახე ემანკებოდა, იმ ალიაქოთში ხიფთანის სახელო საღებავით დასვროდა, მღელვარებისგან ხელები უსიამოდ გაჰყინოდა, ამას გარდა, ენაც ებმოდა. ეს კი მუდამ თავზარსა სცემდა. ხანდახან მსახიობებს უმიზეზოდ დაუტანებდა, რომლებიც, მისი აზრით, ფეხებში უსაქმოდ ეღებოდნენ და მუშაობაში ხელს უშლიდნენ.

მაგრამ ყველაფერი მოწესრიგდა. 24 ოქტომბერს, დილით, სცენაზე პიერ კორნელის „ნიკომედის“ დეკორაციები იყო აღმართული.

უნდა მოგახსენოთ, რომ დირექტორი პარიზში შემოსვლის დღიდან ისე ბრძნულად იქცეოდა, როგორც ნამდვილ ეშმაკ კომედიანტს შეეფერება. იგი დედაქალაქს გვერდზე მოქცეული ქუდითა და პირფერული ღიმილით მოველინა. ვინ იყო მისი დამხმარე? საქმეში ჩაუხედავ ხალხს ეგონა, ეს პრინცი კონტის ღვაწლიაო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ღვთის მოშიში კონტი არაფერში გარეულა. არა, არა! სამეფო კარისკენ მიმავალ ძნელ გზაზე მოლიერს პიერ მინიარი დაეხმარა, რომელმაც მისი ნიჭიერება ავინიონში ქუთუთოებდამძიბებული თვალებით ასე კარგად განჭვრიტა. მინიარს ფართო ნაცნობობა ჰქონდა და მოლიერმა უმთავრესად მისი წყალობით შეძლო ყოვლისშემძლე კარდინალ მაზარენტთან შეღწევა. თავისი საქმეების მოსაგვარებლად მეტიც აღარაფერი უნდოდა.

ახლა ისდა იყო საჭირო, მეფის ერთადერთ ძმასთან — პრინც ფილიპ ორლეანელთან საუბრისას თავი ჭკვიანურად სჭეროდა.

და, აი, მოლიერი უზარმაზარ დარბაზში დგას, თავი დაუხრია, მარცხენა ხელი ფართო სამხრეზე ჩამოკიდებული დაშნის სახელურზე ზრდილობიანად დაუყრდნია და ამბობს:

— ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, თქვენო უმაღლესობავ, რაც „თეატრ ჟვარში“ ჩემი „ბრწყინვალე თეატრი“ დაიღუპა. მიამიტური სახელია, არა? ოჰ, გარწმუნებთ, თქვენო უმაღლესობავ, რომ იმ თეატრს ნასახიც არ ჰქონდა ბრწყინვალეებისა! თუმცა, თქვენი უმაღლესობა მაშინ ექვსი წლისა იყო. თქვენი უმაღლესობა ბავშვი ბრძანდებოდა. ახლა თქვენი უმაღლესობის ცნობა ძნელია.

ფილიპ ფრანგი, იგივე ორლეანის ჰერცოგი, იგივე Monsieur,

მეფის ერთადერთი ძმა, თვრამეტი წლის ყმაწვილი, მძიმე მაგიდაზე ხელებდაყრდნობილი დგას და ანტრეპრენიორს თავაზიანად უსმენს, მოსაუბრენი ერთმანეთს თვალებით სწავლობენ.

ანტრეპრენიორს პირზე მელიის ღიმილი გადაჰფენია, მთელი სახე დათაფლული ნაოჭებით დაღარვია, მაგრამ თვალებზე ეტყობა, რომ ყურადღება გაუმახვილებია.

ფილიპ ფრანგს ყმაწვილური სახე აქვს, მაგრამ ფარული ვნება უკვე ეტყობა. ყმაწვილი დირექტორს ოდნავ პირდაღებული უცქერის. ეს იდუმალეობით მოცული კაცი იმ უცნაურ სამყაროს ეკუთვნის, რომელსაც „მსახიობთა სამყარო“ ჰქვია. ეს ახლა დიდებულად შემოსილი კაცი, როგორც ამბობენ, ურმებით დახეტილობდა და ღამეს ბოსლებში ათევდა. ამას გარდა, სასახლეში ყველა ლაპარაკობს, მისგან განსაცვიფრებელ სეირს უნდა მოველოდეთო.

ფილიპ ფრანგი თავის შეგრძნებას ამოწმებს, შეგრძნება კი გაორებული აქვს: თითქოს ყველაზე უფრო მისი ღიმილი და სახის ნაოჭები უნდა მოეწონოს, კომედიანტის თვალები კი — არა. თვალები ძალზე მწუხარე აქვს. ფილიპს სურს, ისე განეწყოს, რომ სახის ნაოჭები მოსწონდეს. მაგრამ რატომღაც თვალები უფრო იზიდავს. როცა დირექტორმა ლაპარაკი დაიწყო, ფილიპმა გაიფიქრა, უსიამო ხმა აქვს, თანაც სულს ისე უცნაურად ითქვამს, სამეფო კარზე მიღებული რომ არ არისო. მაგრამ მალე მისი ხმა რატომღაც სასიამოვნოდ მოეჩვენა.

— თქვენი უმაღლესობა ალბათ ნებას დამრთავს, რომ წარმოგიდგინოთ...

მძიმე კარი ვილაცამ გააღო და სტუმარმა უკან წესისამებრ დაიხია. ესე იგი, მოსაუბრისთვის ზურგი არ შეუქცევია. მაშ, ამქვეყნად რაღაც ჰქონია ნანახი!

— ბატონებო, შემოდით! — თქვა სტუმარმა ფილიპის გასიკვირად სრულიად სხვა, მკაცრი და თითქოს უხეში ხმით, შემდეგ კი აღრინდელი ხმით განაგრძო: — ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ... — კვლავ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით, როგორც ურმით მგზავრობას ნაჩვევმა ხალხმა იცის: — მადმუაზელ მადლენა ბეუარი... მადმუაზელ დიუპარკი... მადმუაზელ დებრი...

ფილიპმა ქალების დანახვაზე ძმის წაბაძვით ფრთებიანი ქუდი უმაღლე ანგარიშმიუცემლად მოიხადა და ყური მიუგდო. იგი ვილაც ფერმკრთალ ქალებს ხედავდა და მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ისინი ოდნავადაც არ აინტერესებდა. მერე მამაკაცები დაინახა და ქუდი დაიხურა. მის წინ ვილაც ბურთივით ჩამრგვალებული ცხვირპაჭუა კაცი ქოშინებდა, სახე კი გაბადროდა. ეს ბატონი დიუპარკია, ვისგანაც ასევე ბევრ რამეს უნდა მოველოდეთ. მოახლოვდა ვილაც კოჭლი ახალგაზრდა კაცი და თავი დახარა. ტუჩებზე ღიმილი გადაჰფენოდა, მაგრამ შიშისგან გაფითრებულიყო კიდევ ბევრნი შემოვიდნენ. სტუმარს მართლა მთელი დასი ჩამოუყვანია.

მერე ყველანი გაქრნენ და ფილიპ ორღეანელმა მოლიერს უთხრა, ძალზე მიხარია, თეატრი ძალიან მიყვარს, თქვენს დასზე ბევრი რამ მსმენია... ნასიამოვნები ვარ და დასს ჩემს მფარველობას ვანიჭებ... უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, მეფე უარს არ იტყვის, რომ ნახოს, ბატონ დე მოლიერის მსახიობები როგორ თამაშობენო. მერე ჰკითხა, თქვენს გვარს ხომ სწორად წარმოვთქვამო?

— სწორად წარმოთქვამთ, თქვენო უმაღლესობავ!

— დიახ, დარწმუნებული ვარ, მისი უდიდებულესობა უარს არ იტყვის, რომ ნახოს, ბატონ მოლიერის მსახიობები პიესებს როგორ თამაშობენ. ამ სიტყვების გაგონებაზე სტუმარი გაფითრდა და ფილიპს უბასუხა:

— ო, თქვენი უმაღლესობა ძალზე გულკეთილია, მაგრამ შევეცდებით, ეს ნდობა გავამართლო...

სტუმარმა მესამე, უჩვეულოდ მკაცრი და შთამაგონებელი ხმით თქვა, ვიმედოვნებ, მისი უდიდებულესობა, აგრეთვე დედა-დედოფალი ჯანმრთელად ბრძანდებიანო.

აი, ამ საუბრის შედეგი გახლდათ, რომ „გვარდიელთა დარბაზის“ სცენაზე „ნიკომედის“ დეკორაციები აღიმართა.

კაცი დეკორაციებს შეშფოთებით შესცქერის, კვლავ შიში ეუფლება, რონა და მუსკატის ღვინო ახსენდება... იქ თავისუფლება იყო, ასეთ დამთრგუნველ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა, მაგრამ გვიანლაა, უკვე გვიანლაა სადმე გაქცევაზე ფიქრი!

„ძველ ლუვრს“ ხანძარი ხომ არ შემოგზნებია? არა, „გვარდიელთა დარბაზის“ ქალებში ათასობით სანთელი ანთია და მათ შუქზე ცოცხლდებიან უძრავი კარიკტიდები.

ნიკომედის სამოსლიანი ბატონი დე მოლიერი ფარდის ჭრილთან გაშეშებული იდგა და ხედავდა, დარბაზი როგორ ივსებოდა. ბატონ დე მოლიერს ეჩვენებოდა, რომ ბრმა ვდებოდა. დარბაზში მსხდომთა ხელებზე ალმასების შუქი იმსხვრეოდა. ასეთივე შუქი ბრწყინავდა მრავალი დაშნის ვადაზე... ტყუდ იდგა ფრთები და მაქმანები, თვალს ჭრიდა კურტაკებზე წარწერილი დევიზები, ყველა კავალერს პერდრიჟონის დუქანში ნაყიდი საოცარი ლენტები უელვარებდა, ქალების თავზე კი ნაირ-ნაირად ვარცხნილი თმა ირბეოდა.

დარბაზში თავი მოეყარა მთელ სამეფო კარსა და გვარდიას.

ყველაზე წინ კი ფილიპ ფრანგის გვერდით, სავარძელში ახალგაზრდა, ოცი წლის კაცი იჯდა, ვის დანახვაზეც დასის დირექტორს გულმა რეჩხი უყო. ამდენ ხალხში ქუდმოუხდელი მხოლოდ ეს კაცი ჩანდა. მოლიერი დააკვირდა. სავარძელში მჯდომს მედიდური სახე და ჭირვეულად წინ წამოზიდული ქვედა ტუჩი ჰქონდა, თვალებს არ ახამხამებდა.

მოშორებით მსხდართა სახეები მოლიერს არანაკლებ აშინებდა, ვიდრე ზვიადი და ცივი სახე ახალგაზრდა კაცისა, ვისაც ფრთებით შემკული შლაპა ეხურა. ჩაბურთულ დარბაზში მოლიერმა ბურგონის სამეფო თეატრის მსახიობთა სახეები გაარჩია. „ამას ველოდი! — სევდიანად გაიფიქრა დირექტორმა. — აი ისინი, ყველანი აქ არიან“. მან იცნო ქალბატონი დეზეიე, ცნობილი ულამაზობით და იმითაც, რომ მთელ საფრანგეთში ბადალი არ ჰყავდა, როგორც ტრაგიკული როლების შემსრულებელს. დეზეიეს იქით მოჩანდნენ ბატონი მსახიობები: მონფლიორი, ბოშატო, რაიმონი, პუასონი, ოტროში და ვილიე... დიახ, ისინი იყვნენ, ისინი, ბურგონელები, სამეფო თეატრის მსახიობები.

წარმოდგენის დაწყების პირველი ნიშანი გაისმა და დირექტორი ფარდას მოსცილდა. გაისმა მეორე ნიშანიც. დარბაზი ჩაწყნარდა, ფარდა გაიწია და სცენაზე დედოფალ ლაოდის ხმა გაისმა: „ბატონო, გამოგიტყდებით, რომ მატკობს ხილვა...“

„ნიკომედის“ მოქმედება რაც უფრო ვითარდებოდა, დარბაზში შეცბუნება მით უფრო მატულობდა. ჯერ ერთმა მისცა თავს დახველების ნება, მერე

მეორემ ჩაახველა, მერე მესამემ — თეატრის მცოდნე ხალხმა იცის, რომ ეს ავის მომასწავებელია. მერე მაყურებლები აჩურჩულდნენ, ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. რა მოხდა? უკვე ორი კვირა იყო, რაც მოლიერის ხსენება მთელ ქალაქსა და სამეფო კარს აფორიაქებდა... მოლიერის ქაჯის, მოლიერი იქ არის... გაიგონეთ?.. ვილაც პროვინციელი ყოფილა... ამბობენ, განსაცვიფრებელიაო! ამას გარდა, მგონი, თვითონაც თხზავს! მისი უდიდებულესობა ოცდაათხში „გვარდიელთა დარბაზში“ წარმოდგენას დაესწრება. თქვენ მიწვეული ხართ? მოლიერი, მოლიერი, ყველგან მოლიერი... რა მოხდა, ბატონებო? „ბურგონულ სასტუმროში“ კორნელს გაცილებით უკეთესად თამაშობენ... კარისკაცებს სახეზე მოწყენილობა დაეტყობ. აი, ის... ქალბატონი დიუპარკი... მართლაც კარგია. ხოლო თვით მოლიერი... არა, ცუდი არ არის, მაგრამ ლექსებს უცნაურად წარმოთქვამს, თითქოს პროზააო. უცნაური მანერაა, ბატონო ჩემო!

თუმცა ერთ-ერთი ჩასუქებული მაყურებლის თვალებიდან მოწყენილობა კი არა, დეარძლიანი სიხარული გამოსჭვიოდა. ეს გახლდათ ზაქარია მონფლიორი, „ბურგონული სასტუმროს“ ერთ-ერთი უპირველესი მსახიობი. მის გვერდით ხმადაბლა, მხიარულად ჩურჩულდნენ ოტროში და ვილიე.

„ნიკომედი“ დასრულდა და დარბაზში ტაში აქა-იქ გაისმა.

ნირწამხდარი ქაბუკი ორლეანელი სავარძელში ღრმად ჩამჯდარიყო, თავი მხრებში ჩაეძვრინა და მალლა ახედვას ველარ ბედავდა.

ამ დროს რამპასთან წამოდგა ბატონი დე მოლიერი, ვინც ტრაგედიების თამაშით ბედუკულმართი გატაცების შედეგად დასის პარიზში ყოფნა და თვით დიადი ფრანგული კომედიის შემდგომი არსებობა კინალამ სათუო გახადა. შუბლი ოფლმა დაუცვარა, თავი დახარა და მომხიბლავად გაიღიმა მან პირი გააღო, ლაპარაკი უნდოდა.

დარბაზში ბუბუნნი მიწყდა.

ბატონმა მოლიერმა თქვა, უპირველესად მადლობას მოგახსენებ დედოფალს (მეფის დედა ანა ავსტრიელი დარბაზში იჯდა) და მის უდიდებულესობას გულკეთილობისა და შემწყნარებლობისათვის, რადგან აშკარა და მიუტევებელი ნაკლი შეგვინდესო.

„ამ წყევლმა ისევ იმ ხმით დაიწყო ლაპარაკი, — გაიფიქრა იმედდაკარგულმა, უსიამოვნებისა და თავლაფდასხმის მომლოდინე ფილიპ ორლეანელმა, — პარიზში იმიტომ ჩამოვიდა, რომ თავს უბედურება დამატეხოს...“

ბატონი დე მოლიერი კი განაგრძობდა.

„არა! იგი მეტსაც მოგახსენებთ: მისმა უდიდებულესობამ თავხედობაც მიუტევა.“

„წყევლიც იყოს შენი ღიმილი!“ — გაიფიქრა ორლეანელმა.

მაგრამ ამ ღიმილს სხვებზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით, ძალიან მოეწონათ.

ბატონი მოლიერი კი ენამკვევრულად განაგრძობდა, აქ მხოლოდ მისი უდიდებულესობის გართობის დაუოკებელმა სურვილმა მომიყვანა, კარგად ვუწყი, რომ მე და ჩემი მსახიობები მხოლოდ უსუსური ასლები ვართ, ხოლო მშვენიერი ორიგინალები აქვე, დარბაზში სხედანო...

ბევრმა მაყურებელმა თავი მიაბრუნა და ბურგონელი მსახიობებისკენ გაიხედა.

— მაგრამ თქვენმა უდიდებულესობამ იქნებ ნება დაგვრთოს, პატარა ფარსი წარმოგიდგინოთ? ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო რაღაცაა, რაც უზრაღლების ღირსი არ არის... თუმცა პროვინციელები რატომღაც ძალიან იცი-
ნოდნენ!..

ზვიადი ახალგაზრდა კაცი, თავზე ფრთებით შემკული ქუცდრ რომ ეხურა, პირველად ახლა შეიჩხა და დასტურის ნიშნად თავი თავაზიანად დახარა.

უმაღვე ფარდა ჩამოეშვა, ოფლში გაწურულმა მუშებმა და მსახიობებმა სცენა რამდენიმე წუთში შეცვალეს და „გამიჯნურებული ექიმის“ დეკორაციები გამართეს. ეს ფარსი თვით ბატონი მოლიერის მიერ ხეტიალისას უძილო ლამეებში იყო შეთხზული.

კორნელის ტრაგედიის ამაყი გმირები სცენიდან გავიდნენ და მათ გორჟი-ბიუსი, გრო-რენე, სგანარელი და ფარსის სხვა პერსონაჟები შეენაცვლნენ. სცენაზე გამიჯნურებულმა ექიმმა შემოირბინა თუ არა, რომელიც ისე შეცვლილიყო, ცოტა ხნის წინანდელ ნიკომედს ძნელად თუ იცნობდით, დარბაზს ღიმილმა გადაურბინა. ექიმის პირველივე გრიმასაზე გაიცინეს, პირველი რეპლიკის შემდეგ კი ახარხარდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ხარხარი გრგვინვად იქცა. მედიდური კაცი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და, სიცილისგან ჩაბყირებულმა, ცრემლების წმენდა დაიწყო. უცებ მის ჯვერდით, ისე, თავადაც რომ არ მოელოდა, ხმამაღლა ახარხარდა ფილიპ ორლეანელი.

გამიჯნურებულ ექიმს უეცრად თვალები გაუბრწყინდა. იგრძნო, რომ ნაცნობ ხმას ისმენდა. რეპლიკების წარმოთქმამდე მცირე ხნით როცა შეჩერდებოდა, რათა სიცილის ტალღა მიენელებინა, რწმუნდებოდა, რომ დარბაზიდან ენით გამოუთქმელი, კომედიის სრული წარმატების მაუწყებელი ზრიალი მოისმოდა, რასაც მოლიერის დასში „ბრუ-ვა-ვა“ ეწოდებოდა. დიდ კომედიანტს საამო ქრუანტელმა დაუარა, გაიფიქრა, გავიმარჯვეთო, და ოინბაზობას უმატა. ახლა კარებთან მცველებად მდგარი მუშაკეტერებიც ახარხარდნენ. მათ კი ხარხარის ნება არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ.

დარბაზში არ ხარხარებდნენ მხოლოდ ბურგონელი მსახიობები დეზეიეს და კიდევ ერთი კაცის გამოკლებით.

„გვიხსენი, წმიდაო ქალწულო, — რეკდა ხმა ექიმის თავში, — აი, თქვენ ოინი! აი, კიდევ! აი, კიდევ! იმარჯვე, ღიბიანო დიუპარკო!“

„ეშმაკმა დალახვროს! ეშმაკმა! როგორი კომიკური მსახიობია!“ — ფიქრობდა რეტდასხმული მონფლიორი. მან მიმჭრალი თვალები ირგვლივ მოაგლო და გვერდით კბილებდაკრეჭილი ვილიე დაინახა. ვილიეს იქით კი, მოშორებით, ბურგონელთაგან ერთადერთი თვალებგაბრწყინებული კაცი ხარხარებდა უანგაროდ. ეს გახლდათ მაქმანებითა და ლენტებით შემკული ყოფილი გვარდიის ოფიცერი, თეძოსთან გრძელი დაშნა რომ ეკიდა, გრძელზე გრძელ აზნაურულ გვარს კი მოკლე თეატრალური მეტსახელი — ფლორიდორი არჩია.

„ეს, კეხიანი ცხვირისა და დახვეწილი სახის მქონე კაცი, საუცხოო ტრაგიკოსი და მთელ საფრანგეთში ნიკომედის როლის საუკეთესო შემსრულებელი იყო. — რა ჯანდაბად უნდოდა, ჯერ ნიკომედი რომ ითამაშა და თავი ჩაიფლავა? — ფიქრობდა სიცილისგან გვერდზე გადაწოლილი ფლორიდორი. — ჩემთან შეჯიბრი გადაწყვიტა? რატომ? ჩვენ სცენა გაყოფილი გვაქვს: ტრაგედიას თუ დამანებებ, კომედია შენთვის დამითმია! რა ტექნიკა აქვს! ვინ გაუტოლდება? ალბათ მხოლოდ სკარამუში? ისიც კი...“

„გამიჯნურებული ექიმის“ ფინალი ისეთმა „ბრუ-გა-გამ!“ დაფარა, მოგეჩვენებოდათ, კარიატიდები შეირხაო.

„მადლობა ორლევანელს, მადლობა! — ფიქრობდა ზაქარია მონთლიორი, როცა მუშები თოკებს ჩამოეკიდნენ, ფარდა ზემოთ ასწიეს და სცენას ჩამოაფარეს. — პროვინციიდან ეს ვინ ჩამოგვიყვანა!“

მერე ფარდა დაეშვა, აღიმართა და ისევ დაეშვა. კვლავ აღიმართა და დაეშვა. მოლიერი რამპასთან იდგა, თავს დაბლა ხრიდა და ოფლი შუბლიდან ფიცარნაგზე წვეთავდა.

— საიდან არის?.. ვინ არის?.. საიდან არიან ეს ყველანი? ან ლიპიანი დიუპარკი?.. ან მოახლე?.. ვინ იყო მათი მასწავლებელი?.. ისინი იტალიელებს სჯობიან, ბატონებო! ხოლო მოლიერის გრიმისები, თქვენო უდიდებულესობავ...

— ხომ გეუბნებოდით, თქვენო უდიდებულესობავ, — დინჯად უთხრა ლუის ფილიპ ორლევანელმა. მაგრამ იგი ფილიპ ორლევანელს არ უსმენდა, თვალებს ცხვირსახოცით ისე იმშრალებდა, თითქოს ვინმე ახლობელს დასტირისო.

ჰოი, კეთილო, ცხონებულო პაპა კრესე! რა საწყენია, 1658 წლის 24 ოქტომბერს „გვარდიელთა დარბაზში“ რომ არ იყავი!

მისი უმაღლესობის, ორლევანის ჰერცოგის, ფილიპ ფრანგის მსახიობებს დაეთმოს „მცირე ბურბონის“ დარბაზი, დაუმტკიცდეს ორლევანის ჰერცოგის დანიშნული პენსია, ითამაშონ იტალიელთა დასთან მორიგეობით, ერთ დღეს იტალიელებმა, ერთ დღეს ფრანგებმა. დაე, აღსრულდეს ესე!

შენიშვნები

1 XV საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილი „უფლის გნებათა ძმობა“ XVII საუკუნის დასაწყისამდე ნახევრად სამოყვარულო ყაიდის თეატრალური კავშირი იყო და მინტერიებსა და შორალიტებს მართავდა.

2 ახალი გამოკვლევების თანახმად კლერმონის კოლეგიაში მოლიერის შესვლის თარიღად 1632 წელს მიიჩნევენ.

3 წიგნის ავტორი მაშინ არ იცნობდა გ. მიშოს გამოკვლევას „მოლიერის ბავშვობას“ (1923), სადაც დადგენილია, რომ გასენდი ლიულიეს სახლში ლექციებს 1650 წელს კითხულობდა და ამიტომ მოლიერი მის მსმენელთა შორის ვერ იქნებოდა. ამ დროს მოლიერი უკვე პროვინციებში სავასტროლოდ დადიოდა. მაგრამ გასენდის წიგნებს მოლიერი უდავოდ იცნობდა.

4 ლე ბულენჟე დე შალიუსეს კომედია-პამფლეტ „ელომირ-იპოქონდრიკში“ ნათქვამია, თითქოს მოლიერი ბაზრობაზე შარლატან ბარისთან მუშაობდა, მაგრამ არ შეიძლება, ეს ნათლად სარწმუნოდ მივიჩნიოთ.

5 მოლიერის ტრაგედია „ფივიადა“ რომ არსებობდა, ამის თაობაზე არავითარი შეცნიერული მონაცემები არ გავვაჩნია.

6 უახლესი დათარიღების მიხედვით პიესა ლიონში 1655 წელს ითამაშეს.

7 საკმარისი არ არის, ფრონდა ისე დახასიათდეს, როგორც არისტოკრატთა ოპოზიცია. საფრანგეთში XVII საუკუნის შუა წლების სოციალური მოძრაობა, უმაღლეს გამოვლინებას 1648-1653 წლებში (ფრონდა) რომ მიაღწია, აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ფეოდალური არისტოკრატის გამოსვლებისა და გლეხთა და ხელოსანთა მასების მძლავრი სახალხო მოძრაობის რთულ ნაერთს წარმოადგენდა. ფრონდის ასეთი ღრმა გავება მარქსისტული მიდგომის და, კერძოდ, ბ. ფ. პორშნევის გამოკვლევათა შედეგია. წიგნის ავტორს ეს ახალი მონაცემები ხელთ არ ჰქონდა და, ბუნებრივია, ხელოვანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე სახალხო მოძრაობათა რევოლუციური ატმოსფეროს გავლენის გამოკვლევას მიზნად ვერ დაისახავდა.



თარგმანა ლარისა ტიტვინიძემ

ახელო მოდილიანი

ერთ სტატიაში ა. ვ. ლუნაჩარსკი „სკას“ მხატვრების უზარმაზარ, კოლექტიურ „ბუდეს“ უწოდებს. მეორე სტატიაში კი ახასიათებს, როგორც „ყველაზე ძლიერი ზღვის მოქცევისა და არაგონივრული პარადოქსების ადგილს“.

აქაც, როგორც კაფე „როტონდაში“ კოლექტივიში მუღავნდებოდა ყველაფერში. ყველას ხვედრი ერთნაირი იყო. არც ერთ მხატვარს არ ჰქონია აღიარება არც ოფიციალურ საგამოფენო სალონებში, არც ეურნალებში, არც მსხვილ ხავაჭრო გალერეებში. მაგრამ მათში ერთნაირად ხატონობდა მუღავნებ სული, თუმცა ეს სული სხვადასხვანაირად მუღავნდებოდა თითოეულის შემოქმედებაში. შესაძლოა ყველაზე მეტად „სკის“ მკვიდრთ სილატაქი აერთიანებდა. ყველანი ერთნაირად სესხულობდნენ რამდენიმე სუს კონსიერჟი ქალიხაგან, მადამ სეგონდესაგან, რომელიც ზოგჯერ ყველაზე დამწეულებიხათვის მუხუდოსა და კარტოფილის კერძსაც ხარშავდა და თან გულკეთილად ბუტბუტებდა თავისთვის: „ეჰ, ჩემო მხატვრებო, ღვთის გლახებო! ჩემო საბრალო ფუტკრებო! მართალია ყოველთვის არ იძლევით თაფლს და, როცა იძლევით, მაშინაც მწარე გემო დაჰკრავს, მაგრამ რას იზამ? ქამა მაინც ყველას უნდა!“ აქ წესად იყო მიღებული პატარა პურის ნატეხიც კი ერთმანეთისათვის გაეუოთ. უკანასკნელ ლუკმას ეღეოდნენ და სთავაზობდნენ ყველასათვის საყვარელ ხახედარს — ჟანეტას, რომელიც ყოველ დღით ჩამოივლიდა ხოლმე ხამივე დერეფანს და დრუნჩით აღებდა ყველა კარს. ერთად ზეი-

მობდნენ აშვიათი მკიდველის გამოჩენასაც რომელმაც სახელოსნოში და კმდე უფრო იშვიათ წარმატებასაც რომელიმე გამსჭვინვე. ერთად უმკლავდებოდნენ შტრის თავდასხმასაც, როცა მეზობელი ხასაკლოებიდან ათობით თავზებულაღებული მთვრალი შემოცვივდებოდა „მხატვრების საცემად“. დამდამობით ხშირად იკრიბებოდნენ რომელიმე ოთახში — მღეროდნენ, გიტარას უკრავდნენ, კამათობდნენ. კამათი ხშირად ჩხუბითაც მთავრდებოდა. ძნელად უთმობდნენ ერთმანეთს, მაგალითად, კუბისტები და რომელიმე ნეო თუ პოსტიმპრესიონიზმის მიმდევრები. მაგრამ ჩვეულებრივ მაშინვე შერიგდებოდნენ, ხელმეორედ იწყებოდა არიფანა. გაჩნდებოდა იაფფასიანი ღვინო, იხარშებოდა „ფაფა ყველასათვის“. ხშირად იმართებოდა სპექტაკლების იმპროვიზაცია, ცეკვები, შარადები.

მოდილიანის, აღბათ, ძლიერ მოეწონა ყოველივე ეს, როცა დე და ბოესის ქუჩაზე მდებარე „ატელიედან“ გადმოვიდა აქ ეს „ატელიე“ ნახევრად სარდაფს წარმოადგენდა და, როგორც ყვებიან, სურათებით მოვაჭრე შერონს არაერთხელ ჩაუკეთია აქ მენატურე ქალთან და ერთ ბოთლ კონიაკთან ერთად.

დღესასწაული | დღესასწაულად რჩებოდა, ყოველდღიურ მუშაობას კი აქაც, რა თქმა უნდა, ყველა თავისთვის, განმარტობით ამკობინებდა. აქაურ ტიპურ ატმოსფეროს და ყოველდღიურ ცხოვრებას მშვენივრად აგვიწერს თავის მოგონებებში მარკ შაგალი:

„ერთ ხანს დიუმენის ჩიხში მდებარე ხანელოსნოში ვცხოვრობდი. შემდეგ მეორე ხანელოსნოში გადმოვედი, რომელიც უფრო შე-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2, 3

ფერებოდა ჩემს ჯიბეს „ლია-რიუში“.

ასეთი სახელები ერქვა ბალებით გარშემორტყმულ პატარა სახელოსნოებს ვოჟირარის სასაქლაოების გვერდით. ამ სახელოსნოებში თაუ შეეფარებინა თითქმის ყველა ეროვნების მხატვრულ ბოჰემას.

რომელიმე რუსი მხატვრის სახელოსნოდან ხშირად გაიგონებდით შეურაცხყოფილი მენატურე ქალის ტირილს, იტალიელებთან ყოველთვის მდგროდნენ და გიტარას უკრავდნენ, ებრაელებთან გაუთავებლად კამათობდნენ. მე კი ვიქეცი მარტო ნავთის ლამბით განათებულ ჩემს სახელოსნოში, რომელიც ხავსე იყო სურათებით, ტილოებით, თუშცა ტილოებით კი არა, ჩემი წიწვების, პირსახოცების, პერანგების ნახევრებით.

ლამის რი თუ სამი საათია. ცას ლურჯი ფერი ედებოდა. იწყება განთიადი. სადღაც იქ, ახლოს, საქონელს კლავენ, ძროხები ბღავიან, მე კი შათ ვხატავ...

ასე უძლიოდ მიდის დაშვები. აგერ ერთი კვირაა, სახელოსნო არავის დაუღაგებია. ყველგან ურია ძვლები, კვერცხის ნაჭუჭები, ~~ღრ~~ სუიანი ბულიონის ცარიელი ქილები...

იწვის ჩემი ლამბა და მასთან ერთად ვიწვი მეც... ასე იწვოდა მანამდე, სანამ მისი შუქი დილის რიფრავს არ შეერია.

მერე ავძვერი ჩემს ფიცარნაგზე. ქუჩაში უნდა გავსულიყავი და ნისიად მეყიდა ცხელი ფუნთუშები, მაგრამ მაინც დასაძინებლად დავწექი. მერე კონსიერე ქალი შემოვიდა. გაუგებარია რისთვის? იქნებ სახელოსნოს დალაგება უნდა (განა ეს აუცილებელია? ყოველ შემთხვევაში, ხელი არ ახლოს მაგიდას!) ან იქნებ ჩემთან ყოფნა მოეხურვა?

თაროზე ელ გრეკოსა და ხეზანის რეპროდუქციების გვერდით ქაშაყის ნარჩენები ალაგია. ორ ნაწილად გავყავი: თავი სადღეისოდ, კუდი სახვადიოდ. მადლობა დმეროს, პურის ნატეხიც მაქვს.

მაგრამ იქნებ ხანდრარმა შემოიაროს და საუზმეზე დამპატიჟოს (ხალათა, საწებელი, სოუსი — ყველაფერი, რაც ს-ზე იწყება)...

ჩემ სურათებს არავინ ყიდულობს. არც მიფიქრია, რომ ეს საერთოდ შესაძლებელია"...

წიწვარის ან პერანგის ნახევრებზე შავალი თავისი „ამღერებული“ ფერებით გაშმაგებით აწავებდა ერთმანეთში სიწმარს — ცხადთან, სინამდვილეს — ბოდვანთან, ვიკრებსკის დათოვლილი გარეუბნების ხედებს — ვიფელის კოშკის ან ნოტრდამის კოშკების ლანდებთან, რაღაც ნაირად გაბოროტებული წითელი მამლების ადამიანურ სხეულებს — კეთილ, მოწყენილ ძროხის დრუნჩებთან, მშვიდობიან სამოვრებს

და შაერში ჩადონსური სიჩქარით აფრენილ ხათის ქანქარებს — საქორწინო თავფულებთან და ანთებულ სანთლებთან.

1914 წელს, როცა ლუნინარბი მორიგ კორესპონდენციას აგზავნიდა სამშობლოში კიევის ერთ-ერთი გაზეთისათვის, პარონის მხატვრული ცხოვრების შესახებ წერდა, რომ „განზრახ ბავშვური მანერით შესრულებული ეს შეშლილი ტილოები, მათი ჭირვეული, მდიდარი ფანტაზია, მათი საშინელების გამომხატველი გრიმასები, რასაც თან ერთვის იუმორიც — უნებურად იქცევენ ყურადღებას ხალხონებში, თუშცა ეს ყურადღება ყოველთვის ვერ განიჭებთ სიამოვნებას“. იგი საყვედურობს მხატვარს, რომ „განზრახ კომწიაობს და ამით ხურს გაოცება გამოიწვიოს“. აქვე აღნიშნავს, რომ მის ადრეულ შემოქმედებაში ჩანს „დიდი დაკვირვება, დიდი გამომხატველობა“, ხოლო „ბავშვური მანერით შესრულებული მისი ტილოები მოულოდნელად გამოავლენენ ნათელ, ფსიქოლოგიურ ტალანტს“.

გვერდით კი, „სკის“ მეორე ოთახში ფერნარ ლეჟე — ახალგაზრდა გიგანტი, რომლის გლუხური სახის ნაკვთებს კეთილი დიშილი ამშვენებს, თვალმომჭურტული კრიტიკულად შეტყურებს თავის ტილოებს, რათა ახლავე დაუნანებლად ამოაგდოს „უვარგისი“, თან, როგორც ყოველთვის, თავისთვის ლილინებს.

ეს ნორმანდიული სოფლის მკვიდრი, რომელიც სულ ახლახან გაზდა ბარისეული, საყოველთაო სიმპათიით ხარგებლობს „სკაში“ თავისი თანდაყოლილი გულლიაობისა და იშვიათი გულისხმიერების წყალობით, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით მისი ტალანტის მომნიბვდელობაზე. მაშინ მის სურათებში ჭერ კიდევ არ ჩანდა პარონის ფაბრიკები და მუშათა გარეუბნები, არც მხიარული რიტმებით ხორცშესხმული შრომის დღესასწაული, რითაც შემდეგში ასე გაითქვა სახელი. მაგრამ ახლაც, როცა უარყო კუბისში და მაინც ვერ იცილებდა მის გავლენას. ამცებდა ამხანაგებს თავისი ოსტატობის სიმტკიცით დეკორატიულ „ფორმათა კონტრასტებში“, რაც ალბათ მისი მომავალი ბრწყინვალე კერამიკის სასიხარულო გაელვება იყო.

მოდელიანი იოლად დაუახლოვდა „სკაში“ შავალსაც, ლეჟესაც და ალბათ მთელ „კომუნასაც“. მაგრამ მისთვის ყველაზე ახლობელი გახდა სუტინი და ეს დაახლოება როგორღაც სწრაფად მოხდა.

სუტინი მხოლოდ ცხრამერი წლიხა იყო, როცა შათ ერთმანეთი გაიცნეს. მოდელიანი მთელი ათი წლით იყო მასზე უფროსი. მაგრამ არც ამან და არც მათი კულტურის დონის კიდევ უფრო დიდმა სხვაობამ, არც ტემპერამენტის

სხვადასხვაობაში, ერთი ხატვით, ვერაფერმა ვერ შეუშალა ხელი მათ დაახლოებას. და ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ ორივე უველაზე მეტად განწირული, უველაზე მეტად უხასო იყო „სკის“ ნახევრად დატაკ ძმათა შორის, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მათ შეძლეს განეკუთვნათ, დაენახათ ერთმანეთის ტალანტი, სულიერი არხი — დაენახათ, გაეგოთ და მიეღოთ. სუტინის მიმართ ამას იშვიათად თუ მიადწევდა ვინმე, რადგან ჩვეულებრივ ამგვარ დაახლოებას მისდა უნებურად ეწინააღმდეგებოდა მთელი მისი ავადმყოფური, რთული, ეჭვიანი, თავის თავში ჩაკეტილი ნატურა.

ბევრს ველურად, თითქმის დეგენერატად მიანდა სუტინი. ერთდებოდნენ, ზოგჯერ ეშინოდათ კიდევ მისი. როცა იგი ჩამოიცვამდა თავზე რაღაცას, რაც მოხვდებოდა, და გაფიქრებულ, ზეთის ხაღბავებითა და სკიპიდარის სუნით გაჟღენთილ, ოფლიან შუბლზე თმანამოშლილი, თვალეგაშტერებული სათითაოდ შეიჭრებოდა „სკის“ უველა ოთახში, იმ იმედით რომ საჭმლის ნარჩენები მაინც მოეძებნა, ასეთ დროს უველა შეშინებული თავის ოთახში იკეტებოდა. მეორე დღეს კი შეეძლო ამაყად უარი ეთქვა რომელიმე ამხანაგის მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე სუზე, რომელიც ასე საჭირო იყო მისთვის. არც ხელის დაბანა უყვარდა ხშირად, სუფრასთანაც უოველთვის არ შეეძლო წესიერი თავდაქერა, მაგრამ უყვარდა ვარსკვლავების უჭრება, ხშირად იკარგებოდა ლუფრში და ლუქსემბურგის მუზეუმში, გატაცებული იყო ბალზაკით, წერილებს კი ბავშვური შეცდომებით წერდა.

მას ჰქონდა კიდევ საიმისო მიზეზი, რომ ახეთი ხევდიანი და გულჩახვეული ყოფილიყო, როგორსაც იცნობდა უველა მონპარნახზე. იგი გამოექცა ორმხრივ დევნას, რასაც ბავშვობიდანვე განიცდიდა, მეფის რუსეთმა დაარბია სმილოვიჩი, მინსკის გუბერნიის ერთ-ერთი სოფელი, სადაც დაიბადა იგი მრავალშვილიან ღარიბი თერძის ოჯახში. მდიდარმა, დღთისმოსშიშმა ებრაელებმა კი ბევრჯერ მიიყვანეს ცემით სიკვდილის პირამდე, რადგან თავისი პორტრეტებით, ეხედავი ადამიანის სახის გამოხატვით არღვევდა რელიგიის შეუვალ კანონებს.

ახლა პარიზში კვლავ ეშინოდა ქუჩისა. როცა ქუჩის ბიჭები ან ადგილობრივი კონხიერი ქალები, რომლებიც რატომღაც უკან დასდევდნენ და „თხუპნიას“ ეძახდნენ, მოისურვებდნენ მისი ტილოების ნახვას, იგი ნერვიულად მიიყრავდა სურათს მკერდზე ან ხახვზე, სადაც მოხვდებოდა „თხუპნებოდა

ხაღბავებით და თითქმის ტიროდა უმწიო გამშავებისაგან ანდა მოულოდნელად ფხვქვეშ ჩაიგდებდა თავის სურათს და გადათელავდა.

უცნაური და საშინელი იყო მისი ტილოები. უველაზე მშვიდი შეიზაჟიც კი უალუზე დგებოდა. უველაფერი ინგრეოდა და ბორგავდა, ერთმანეთს ეჭახებოდა ხეები და ქვები, სახლები და მესრები, თითქოს მიწა იძვრისო. მისი ნატურმორტი მკვდარი „ნატურა“ კი არა, თითქოს ხისხლით იყო გაჟღენთილი, თითქოს ღრიალებდა ტკივილისაგან. საქონლის ხორცი თავზარს გცემდათ არნახული, გაუგონარი სიწითლით. სპილენძის ლანგარზე დადებული რუბი ფერის ქაშაყი და აქეთიქით ამოდებული ორი მოხრილი ჩანგალი, რაღაცნაირად ადამიანს გაგონებდათ, წითელი აგურის კედლის ფონზე საცოდავად დაგრძელებული კისრით დაკიდული, ზღაპრულად ლურჯი ფერის მამალი, უზარმაზარი, შიშჩამდგარი თვალით და გაშლილი ფრთებით რქლაც საშინელი გოლგოთას სიმბოლოდ გენგენებოდათ, მის ქვეშ კი ელაგა ხისხლისფრად ჩაღვერებული, ნახევრად დაჭყლეთილი, გადამწიფებული პომიდორი. როცა სუტინი ბავშვების პორტრეტებს ხატავდა, მის ტილოებზე ბავშვები ცხოვრებაში გამობრძმედილ, მწარე გამოცდილებით დანადგლიანებულ ბებრებსა ჰგავდნენ, როგორც არ უნდა მამლარი და ხისხლსავსე ყოფილიყო თვით ფერწერა.

ექსპრესიონიზმი? დიახ. მაგრამ რაღაც თავისებური, ავადმყოფურად შევიწროებული, ცალმხრივი, შიშველი ტანჯვისა და უხაზდვრო სასოწარკვეთის ექსპრესიონიზმი.

შემდეგ, წლების განმავლობაში, ეს მკაცრი ტალანტი შესამჩნევად მოდრკა. ზოგიერთი პეიზაჟი, დედებისა და ბავშვების სახეები, ცხოველთა „პორტრეტები“ (მაგალითად, ლირიკულად ამაღელვებელი მშვენიერი „სახედარი“ და „ხბო“) უკვე თავისუფლად, ავადმყოფური წამებისა და ტანჯვის გარეშე გამოავლენს მის ადამიანურობას, რომელიც აღრე ასე შებოქილი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ამგვარი ცვლილებებისაღმი მეტად გულსხმიერი კრიტიკოსი ა. ვ. ლუნაჩარსკი 1823 წელს დაბეჭითებით აყენებს სუტინსა და დერენს „ფრანგული ნეოკლასიციზმისა და მისი მონათესავე ნეორეალიზმის ჭეშმარიტ მიმდევართა რიგებში“. სუტინის შემოქმედებას იგი მიიჩნევს „თანამედროვე მიმდინარეობათა უველაზე ხაინტერესო ნიმუშად საფრანგეთის ხელოვნებაში“.

მოდილიანიმ ჯერ კიდევ მაშინ, „სკაში“,

იგარბნო ამ მშფოთვარე, ნაღვლიანი სულის ფარული სინაზე. მის მიერ შეხრულეულ სუტინის გრაფიკულ და ფერწერულ პორტრეტებს შორის არის ერთი საოცარი პორტრეტი: ნაცვლად ჩვეული კუშტი გამოხედვისა და საკუთარ მწუხარებაში ჩაკეტივსა უმცრად გუფლია, კეთილი გამოხედვა და ახალგაზრდული, კარგი ღიმილი.

მოდილიანი უდიდეს მხატვრად მიიჩნევა სუტინს („Il est un genie“) და ღრმად სწამდა მისი მომავალი. ჭერჭერობით კი უკანასკნელ ფრანკს უყოფდა, ზრუნავდა მასზე, ასწავლიდა ცხვირსახოცის ხმარებას, ფრჩხილების გაწმენდას. ზეპირად უკითხავდა ლექსებს, სუტინი კი პირში მისჩერებოდა, თითოეულ მის ხიტყვას იქერდა. მუდამ გაოცებული იყო მისი განათლებით და შენატროდა. როცა მასთან ერთად მიდიოდა, გვერდით კი არ მიჰყვებოდა, შორიანდო მისდევდა. „პირველად მან, მოდილიანიმ, შთამინერგა საკუთარი თავის რწმენა“, — ამბობდა შემდეგ სუტინი.

მოდილიანის ხაერთოდ შექმნილ უოფრულიყო ნამდვილი მეგობარი — მოსიყვარულე, გულიხსმიერი, უღალატო. აღბათ პარიზის ბოქმის ამ „ძალღურმა უოფამ“ გააძახვილა მასში მეგობრობის მოთხოვნა. თუმცა ეს თავისება ჭაბუკობიდანვე დაჰყვა. იგი უოველთვის იოლად უახლოვდებოდა ადამიანებს, რომელნიც პოტენციურად ახლოს იყვნენ მასთან. ამაში ეხმარებოდა საოცარი უნარი, ჩასწვდომოდა მათ ფარულ სულიერ არსს. ასე ჩამოყალიბდა მისი ურთიერთობა ვილიანთან, რომიტისთან, მონდოლფისთან, ლორა გარსენთან, შემდეგ კი უტრილოსთან და სუტინთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეგობრებს რაღაც მოსაზრებით უოველთვის თავის თავზე მალლა აუენებდა და, აღბათ, არასოდეს არავისი შურდა. მან გატაცებით იცოდა მეგობრობა, კარგად ახსოვდა უოველი მათი სიკეთე. ვიდაც მოუყვა უანა მოდილიანის, როგორ ბავშვივით კვითინებდა მოდილიანი, როცა ამაღერო კარდოსოს უღროს სიკვდილი შეიტყო. კარდოსომ ერთმა პირველთაგანმა ირწმუნა იგი, როგორც სკულპტორი და გამოფინა მისი ქანდაკებები თავის პატარა გალერეაში.

მოდილიანიმ თვითონაც იცოდა მეგობრის გატანა. ამასთან დელიკატურად, ისე რომ თავი არ შეეებზრებინა და არა მარტო მეგობრის, ზოგჯერ სრულიად უცხო ადამიანი-

საც. ერთი ამგვარი შემთხვევა ვლამინკის თვალწინ მოხდა. ერთხელ კაფეში მოდილიანი ერთი ლატაკი მხატვრის გვერდით აღმოჩნდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა დიდი ზნის შემშილობის დაღი. მოდილიანი გვერდით მაგიდასთან იჯდა, რაღაც თავისი საქმით გართული. კაფედან განვლივს მან შეუმჩნევლად დააგლო იატაკზე ოცფრანკიანი და გვერდით რომ ჩაუარა, ფეხსაცმლის წვერით მიუწია ფული და ჩაიბურტყუნა: „აგერ, მგონი, ათფრანკიანი აგლია იატაკზე“.

ასე მრავლდებოდა მის ცხოვრებაში, გარდა მანლობლებისა, უცნობი მეგობრების რიცხვიც, რომელთაც შეეძლოთ შემდეგ რაღაცით გაეხსენებინათ იგი.

მაგრამ ზოგჯერ ვერავითარი მეგობრობა ვეღარ შეველოდა მის მარტოობას, საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობას, სევდას. ასეთ წუთებში ბევრს სვამდა, კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა მაშინს და მხოლოდ შემოქმედება თუ აიძულებდა, უარი ეთქვა ამ ცდუნებაზე. მთვრალი ზოგჯერ ძალიან აგრესიული ხდებოდა. თვალეებში რაღაც პირქუში ცეცხლი ენთებოდა, ტუჩები უფითრდებოდა, ხმა ეხრინწებოდა. ასეთ წუთებში იგი მოუთმენლად, ბოროტად პახუხობდა უოველგვარ შეგონებაზე, დარიგებაზე. მეგობრული რჩევა-დარიგება კი არა, თითქოს რაღაც სრულიად სხვა იყო საჭირო მისთვის, რათა განთავისუფლებულიყო ამ შინაგანი თრგუნვისაგან: რაღაც პოეზია, რაღაცნაირი გარდაქმნა...

მოქანდაკე ლიფშიც მოგვითხრობს: „მასხოს ერთხელ გვიან ღამით, დაახლოებით სამ საათზე, მე და ჩემი ცოლი კარზე ატეხილმა საშინელმა ბრაზუნმა გამოგვალვიდა. გავაღე კარი, ჩემ წინ დგას მოდილიანი, აშკარად მთვრალი. დარცხვენილი ხმით დამიწყო ახსნა, რომ ჩემს თაროზე შენიშნა ფრანსუა ვიონის ლექსების პატარა ტომი, რომელიც ახლა ძალიან სჭირდება. ავანთე ნავთის ლამპა და დავიწყე წიგნის ძებნა იმ იმედით, რომ წიგნს მივცემლი და წავიდოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. იგი ჩაქდა სავარძელში და ხმაბალლა დაიწყო ვიონის ლექსების კითხვა. მე მაშინ მონპარნასის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ორმოცდათოთხმეტ ნომერში. ამ სახლში უმეტესად მუშები იყვნენ. მალე მეზობლებმა კაკუნის ატეხეს ჩემი ოთახის კედლებზე. იატაკზე, კერზე, დაიწყო უვირილი: „შეწყვიტეთ ხმაური!“

თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას ეს სცენა: პატარა ოთახი, ღამის სიბნელეში იღუშაღად მოციმციმე ნავთის ლამპის ალი, ხავარ-

1. „იგი გენიოსია“ (ფრანგ.).

ძელში კი მოჩვენებასავით ჩამქდარი მთვრალი მოდელიანი კითხულობს ვიიონს, ამასთან ხულ უფრო და უფრო უწევს ხმას, იმის შესაბამისად, რაც უფრო იზრდება ხმაურიანი ორკესტრის აკომპანეშენტი ჩემი ოთახის ირგვლივ. ასე გაგრძელდა რამდენიმე საათს, სანამ თვითონ არ წაერთვა ძალა“.

უან კოტო კი ასეთ სცენას აგვიწერს: „აი ჩვენი მოედანი, ჩვენი პლაცდარში. ქვაფენილზე მოდელიანი ცეკვავს, რაღაც დათვური იდეები გამოჰყავს. კისლინგი მუახეჯერ უმეორებს: „წავიდეთ შინ, წავიდეთ!“ არაფრის გულისხმავის. იგი ჭიუტად იქნევს ხუჭუჭა თავს. ვცდილობთ, როგორმე დავყოლიოთ. კისლინგი იძულებულია ძალას მიმართოს. ხელს ჩაავლებს მოდელიანის წითელ სარტყელში და მიათრევს. ახლა სხვა ცეკვა იწყება. მოდელიანი ესპანურ მანერაზე სწევს ხელებს ზევით, თითებს ატკაცუნებს და ტრიალებს საკუთარი ღერძის ირგვლივ. წითელი სარტყელი იშლება, იშლება, თითქოს აღარა აქვს ბოლო. კისლინგი მიდის. მოდელიანი სატანასავით ხარხარებს და კიდევ უფრო მეტი გატაცებით განაგრძობს ცეკვას“.

ეს ორი ცოცხალი სურათი მთელი თავისი ექსტრავაგანტურობით შინაგანად რაღაც უწესურს, ავისმომასწავებელს გვაგრძნობინებს.

ასეთივე შეძრწუნებულს ხედავს მოდელიანის ილია ერენბურგიც. 1915 წელს ერთ თავის ლექსში იგი ასე აგვიწერს მოდელიანის: „შენ იქეჟი დაბალ კიბეზე, მოდელიანი. შენი უვირილი ქარიშხალას უვირილსა მგავდა, ფანდები მაიმუნისას... და უეცრად მე შემომესმა საშინელი დანტი... აგუგუნდნენ, ატირდნენ საშინელი სიტყვები... შენ გადაადე წიგნი, ეცემოდი და ხტოდი და მთელს დარბაზში ხტოდა ნავთის ლამპის აღში ვახვეული შენი სხეული. „მე შემოძლია, მე შემოძლია“, — გაიძაბოდი შენ და აგზნებულ ტვანში ფიქვები იზრდებოდნენ. ო, დიდებულო ქმნილებავ! მერე შენ გამოხვედი, ატირდი და გაწეჟი ფარნის ქვეშ...“

მრავალი წლის შემდეგ ერენბურგი უფრო ღრმად ჩასწვდა მაშინდელ მოდელიანის, თავისი მოგონებების ერთ თავს, რომელსაც მიუძღვნის „შორეული ახალგაზრდობის მეგობარს“, იგი გულში ჩამწვდომი განზოგადებით ამთავრებს: „წერენ და წერენ: სვამდა, შფოთავდა, მოკვდა... ამაში არ არის საქმე... საქმე არც მის ბედისწერაშია, ძველი არაკივით ჭკუის სასწავლებლად რომ გაუბდიათ. მისი ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვების ბედთან. და თუ ვინმეს სურს გაიგოს მოდელიანის დრამა, დეე, გაიხსენოს არა ბა-

შიში, არამედ მხუთავი გაზები, დეე, იფიქროს დაბნეულ, გონწართმეულ ევროპაზე, საუკუნის დახლართულ გზებზე, იფიქროს მოდელიანის თითოეული მოდელის ბედზე, რომელთა ირგვლივ თანდათან ვიწროვდებოდა რკინის ხალტე“.

როცა მე მივედი ერენბურგთან და ვთხოვე, მოეთხორო მოდელიანიზე რაიმე ისეთი, რომელიც შესაძლოა არ შევიდა წიგნში, მან ამით დაიწყო: „ეს იყო ფართო კულტურის ადამიანი, რომელიც ძალიან მხურვალედ განიცდიდა უველაფერს, რაც მსოფლიოში ხდებოდა“. და მაშინვე დააყოლა განსაკუთრებული დაუინებით: „ბევრი რამ უნდა დაიწეროს მასზე, როგორც პიროვნებაზე — ეს ხომ იშვიათი მოვლენაა მხატვრებს შორის, თუნდაც უველაზე დიდი ტალანტით დაჭილდობულ მხატვრებს შორის“.

იმის დაწყება მოდელიანიმ, ისევე როგორც უველა მის ირგვლივ მყოფმა, ტრაგიკულად განიცადა, მაშინვე იგრძნო მსოფლიო კატასტროფის გარდუვალობა. „დღეს საფრანგეთს დაატუდა თავს, ზვალ იტალიას ჩაითრევს...“ შეგვიძლია დავუჭეროთ ანდრე სალმონს, რომელსაც მისი ეს ფრაზაც დამახსოვრებია და ისიც, თუ „როგორ აკრაკუნებდა კბილებს სიძულვილით იმით მიმართ, ვინაც დასჭირდა ადამიანთა ეს სასაკლაო“. იმ საშინელ ივლისის დამეს, ომის პირველ დამეს, როცა ახალგაზრდების ბრბომ—ზვალინდელი ახალწვეულების ბრბომ—უეცრად აავსო მონპარნასის ქუჩები მარსელიოზას სიმღერით, ფარნებით, ღროშებით, თვითნაკეთი ტრანსპარანტებით და მოჩვენებითი მხნეობით გაპყვიროდა: „ბერლინისაკენ! ბერლინისაკენ!“ მოდელიანი, როგორც ყოველთვის, რომელიდაც კაფეში დახლთან ბარბაცებდა, მდუმარე, მოწყენილი, სხვებისგან განდგომილი. მას არ იშიდავდა „შემთვრალი“ ბრბო, დიღამდე რომ ბობოქრობდა ჭუნაში, მყოფნიდა საკუთარი ხიშტვრალეც, მძიმე, როგორც არახდროს.

რაიმე გზას უნდა დახდგომოდა. ჭერ იტალიაში იგი უფარგისად ჩათვალეს სამხედრო სამსახურისათვის სუსტი ჯანმრთელობის გამო. თუმცა იტალია ჭერ არ იყო ომში ჩაბმული. საფრანგეთის ქვეშევრდომი იგი არ ყოფილა, ამიტომაც არ ენებოდა მობილიზაცია. მაგრამ მაინც გამოცხადდა სამხედრო ნაწილში, ალბათ ხლეშ სანდრარივით უცხოელთა ლეგიონში აპირებდა ჩაწერას, მაგრამ მაშინვე დაიწუნეს. ამასობაში ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ ფრონტზე მისი ახლო მეგობრები: ექიმი ალექსანდრი, კისლინგი, აპოლინერი და ბევრი სხვა, მისთვის ნაკლებ-

ბად აღლობელი ადამიანები, რომლებთანაც შეჩვეული იყო ყოველდღიურ შეხვედრებს. მათ შორის იყვნენ მხატვრები: ლეჟე, ლოჟე ლა ფრენე, ბრაკი, ხელმოკლე ცადკინი, ახალგაზრდა მწერალი — ალენ ფურნე, ნიჭიერად დაწერილი ლექსებისა და მშვენიერი ლირიკული რომანის „დიდი მოღონის“ ავტორი (ამის შემდეგ მას აღარაფერი დაუწერია, ოცდარვა წლისა დაიღუპა ვერდენთან). მრავალეროვანი პარიზის ბოჰემა შესამჩნევად შეთხელდა: ზოგმა მაშინვე მიაშურა სამშობლოს, ზოგი უკვე ფრონტზე იყო საფრანგეთის ჯარში ან უცხოელების ლეგიონში (ტყუილად ირჩებოდნენ მანიფესტანტები, როცა ომის დაწყების წინ „როტონდასთან“ ჩავლიხას მუშტებს უდერებდნენ „დაწყვილილ უცხოელებს“). „როტონდა“ ახლა ცარიელი იყო. „სკაშიც“ ცოტა თუ ვინმე დარჩა ძველი მკვიდრთაგანი. მათ შესაცვლელად უკვე გამოჩნდნენ პირველი ლტოლვილები.

პარიზში დარჩენილი მოდილიანი, როგორც ხალხში ამბობს, ომის პირველ წლებში თითქმის განდევნილად ცხოვრობდა. 1914 თუ 1915 წელს იგი მონპარნასიდან მონმარტრზე გადასახლდა. ცნობილმა მარშანმა, აფრიკული პრიმიტივებისა და ახალი მხატვრობის მოყვარულმა პოლ გიომმა ამ ხანებში მისი ხურათების შესყიდვა დაიწყო. სახელოსნოც დაუქირავა ემილია გუდოს მოედანზე, ცამეტ ნომერში, ბატო ლიავუარის გვერდით. 1915 წლის ნოემბერში ამედეო აწერდა დედას:

საყვარელო დედა,
დამნაშავე ვარ, — რამდენი ხანია წერილი აღარ მომიწერია შენთვის! მაგრამ... მაგრამ იმდენნაირი მიზეზი გამომიჩნდა... მათ შორის ბინის გამოცვლა. აი ჩემი ახალი მისამართი: ემილია გუდოს მოედანი, 18, XVIII ოლქი. მაგრამ, მიუხედავად ათანაირი მღელვარებისა, მე შედარებით კმაყოფილი ვარ. ისევ მოვკიდე ხელი ფერწერას. ზოგიერთი რამის გაყიდვაც მოვახერხე. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

...როცა მამას მისწერ, გადაეცი ჩემგან კოცნა. მე და წერილების წერა ვერ ვეგუფებით ერთმანეთს, მაგრამ ნურასოდეს იფიქრებ, რომ გივიწყებ შენ ან ვინმე ჩვენთანს.

მაგრად გკოცნი,
დედო.

ომის პირველ წლებში მოდილიანი მართლაც ზოგჯერ ახერხებს სურათების გაყიდვას (უმთავრესად პოლ გიომის წყალობით). მაგრამ ფული არახოდეს დიდხანს არ უჩერდება. მაშინვე უდარღველად ფლანგავს, არიგება

მარჯვნივ თუ მარცხნივ. იმისათვის, რომ „შედარებით კმაყოფილად“ იგრძნოს თავი, ეტყობა, რაღაც სხვა, უფრო დრამა საფუძველი გააჩნია.

ომის წლებს ემთხვევა მის ცხოვრებაში შედარებით უხვი პროდუქტიულობის პერიოდი და მისი შემოქმედების უმაღლესი კლამაველობა. ამაში შესაძლოა არცთუ უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის ერთ არაჩვეულებრივ ქალს, რომელსაც ამ ხანებში შეხვდა მოდილიანი და შეიყვარა.

1915—1916 წლებში მონპარნასის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდნენ საკმაოდ უცნაურ წყვილს. ქალი — მალალი, ტანალი, მოწითალო ქერათმიანი, გენსბოროს პორტრეტების სტილში, ელევანტურად ჩაცმული, მაგრამ ყოველთვის რაღაც თვალში საცემი უცნაურობით: ხან რაღაც „წარმოუდგენლად გამომწვევი“ შლაპა ახურავს, ხან კი ჩანთის მაგიერ მკლავზე გადაკიდებულ კალათას მოაქანავენს, რომელშიც ცოცხალი იხვი უზის. მოდილიანი უფრო ახალგაზრდაა, უფრო დაბალი, შავგრემანი, ძველი კოსტუმი აცვია, მხოლოდ ვინმე ძველი ნაცნობი თუ მიხვდებოდა, რომ ეს მისი „დიდებული“ ვერცხლისფერი ზაფერდის კოსტუმი იყო. ამედეოს თანამგზავრი გახლდათ პარიზში ახლახან ჩამოსული ინგლისელი პოეტი ქალი და ჟურნალისტი ბეატრისა ჰესტინგსი. რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთს გააცნო ერთგულმა და უცვლელმა „საყოველთაო მაქანკალმა“ მაქს უაკობმა. ბეატრისა მოდილიანის ახალი სახელოსნოს მახლობლად ცხოვრობდა, ნორვენის ქუჩაზე, პატარა სახლში. რომელიც მან მყუდროდ მოწყობილ სტუდიად გადააქცია, აქამედეოს შეეძლო ემუშავა ფერწერაშიაც და ქანდაკებაზეც. თუმცა მათი ცხოვრება ამ სახლში ყველაზე ნაკლებად ჰგავდა იდილიას. საამისოდ ორივე უხვად დააქილდოვა ბუნებამ მეტისმეტად აშკარად გამოკვეთილი თვითმყოფადობით და მეტისმეტად მშფოთვარე ტემპერამენტით. ყველა ამ განსხვავებას თანდაერთო აგრეთვე ორივეს ერთნაირად დაუოკებელი მოუთმენლობაც.

დღემდე მოდილიანის ბიოგრაფიაში ბეატრისა ჰესტინგსი გამოყვანილი იყო, როგორც საკმაოდ ბანალური სახე ბოჰემური „ქალივამპირისა“, როგორც ერთი ეფექტური, ქარაშხლიანი, მაგრამ წარმავალი ეპიზოდი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ლონდონის ლიტერატურულ-მხატვრული აღმანახის „ადამ-ვიი“-ის „ამომცემელმა“ და რედაქტორმა მირონ გრინდიამ პირველმა მოჰკიდა ხელი სერიოზულად ამ საქმეს და, რაკი დიდი ხანია

დაინტერესებული იყო მოდილიანის ბიოგრაფიის კვლევით, ამ ქალის შესახებაც მოძებნა ფაქტიური ცნობები, გამოაქვეყნა თავის ალმანახში და ამით უველახათვის ხელმისაწვდომი გახადა. ჩვენ თვალწინ იშლება ჰერმეზარტად არაჩვეულებრივი ცხოვრება, რომელშიც ერთმანეთზეა გადაჭაჭვული ტრაგიკული და ხასაცილო, ტალანტური და პრეტენზიული, გაბედული და უმწეო.

უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ მოდილიანის მეგობრის ნამდვილი სახელი იყო არა ბეატრისა ჰესტინგსი, არამედ ემილი-ელის ჰეი. ბეატრისა ჰესტინგსი ერთ-ერთი ფსევდონიმი მრავალ მის ფსევდონიმთაგან. დაიბადა ლონდონში 1878 წელს. იგი საუთ-ჰენელი მატულით მოვაჭრის შვილი იყო. ოთხმოციანი წლების დასაწყისში მათი ოჯახი გადასახლდა სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ ემილი უფრო მოგვიანებით შეუერთდა მათ. პირველ ხანებში მარტო დარჩა სუფოლკში, სადაც კერძო სასწავლებელში სწავლობდა. აფრიკიდან იგი დაბრუნდა ცხრაასიანი წლების დასაწყისში, როგორც მოწუალების და დაღიასხლისი ერთ-ერთი გემისა, რომელსაც ინგლისელებისა და ბურების ომში დაჭრილი ჯარისკაცები გადმოჰყავდა. ამ დროს იგი უკვე გაურილი იყო თავის პირველ ქმართან, რომელიც, როგორც ამბობენ, პროფესიონალი მოკრივე იყო. ტრანსვალში ემილი ცირკის მოჭირითე გახდა, დაიწყო ლექსების წერა და აქვე აღმოაჩნდა მომღერლის ნიჭი, ამასთან არაჩვეულებრივი მომღერლისა, რომელიც ერთნაირად ფლობდა უველა რეგისტრს — მაღალი სოპრანოდან ბანამდე. გარდა ამისა სწავლობდა ფორტეპიანოზე დაკვრას და შემდეგში მას ხშირად იხსენიებენ, როგორც ნიჭიერ პიანისტს. თუმცა ლონდონში ჩამოსვლისთანავე მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

1907 წელს ბეატრისა ჰესტინგსი (ჩვენ მაინც ამ სახელით მოვიხსენიოთ, რომლითაც შეიჭრა მოდილიანის ცხოვრებაში) თავის ცხოვრებას უკავშირებს ლიტერატორ ალფრედ რიჩარდ ორუჯს, რომელიც იყო ყოველკვირეული ჟურნალის „ნიუ ეიჯის“ გამომცემელი და რედაქტორი. მათ დაახლოებას ხელი შეუწყო ორივეს გატაცებამ ბლავატსკის მისტიციზმით. ამ ფაზიანურ ყოველკვირეულ ჟურნალში თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები: შოუ, ჩესტერტონი, უელსი. ბანეტი ჟურნალის მკითხველებს აცნობდა ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებას. აქ დაიწყო თავისი კრიტიკული სტატიების ბეჭდვა ეზრა პაუნდმა და, როგორც ჰესტინგსი

შემდეგ ირწმუნებოდა, სწორედ ამ წერილების გამო ჰქონდა განუწყვეტელი დავა ორუჯთან და ჟურნალის მთელ რედაქციასთან, მუდამ მათი ღირსების დამცველად გამოდიოდა. თვითონაც ბეჭდავდა „ნიუ ეიჯის“ სხვადასხვა ფსევდონიმით. მაგალითად, ცნობილია, რომ მწერალ ქალ ქეთრინ მენსფილდის ერთად, მან შეთხზა მთელი რიგი ლიტერატურული პაროდები ჩესტერტონზე, ბენეტზე, უელსზე. რედაქციაში მას დიდი გავლენა ჰქონდა, პირველ ყოვლისა, როგორც აქტიურ, ერთგულ და ნაჭიერ კრიტიკოსს. ქეთრინ მენსფილდის ბიოგრაფი ალპერსი ამტკიცებს, რომ ბეატრისა ენერგიულად ცდილობდა აეძულებინა მწერალი ქალი, ძირფესვიანად შეეცვალა თავისი სტილი. შემდეგ ალპერსი განაწოგადებს ჰესტინგსის დაბახიათებას და წერს: „ბეატრისა ჰესტინგსს ჰქონდა გამანადგურებელი კრიტიკული გამოწვევის უზადლო ნიჭი. როცა იგი ფორმაში იყო, მისი კალმის წვერიდან მომავლინებული ქვების სიძლიერით, სეტყვასავით ცვიოდა გამანადგურებელი სიტყვები“. „ნიუ ეიჯის“ რედაქციაში და მასთან ახლო მყოფ ლიტერატურულ წრეებში იგი მიაჩნდათ „ძალიან ჰკვიან“, „შეუბრალებლად გონებამახვილ ქალად“, რომელსაც შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა ძალიან დიდ და სავსებით თვითმყოფად მწერლებზეც კი. მისი კრიტიკული წერილები გაბედული მსჯელობის სიმანვილით განსაკუთრებულ სტილს აძლევდნენ ჟურნალს.

1914 წელს, მაისში, ბეატრისამ მოულოდნელად გაწყვიტა პირადი ურთიერთობა ორუჯთან და გადასახლდა პარიზში, თუმცა ელის მორნინგის ფსევდონიმით იქიდანაც განაგრძობდა თანამშრომლობას „ნიუ ეიჯის“. პარიზიდან იგი ახირებულ, ფერადოვან წერილებს გზავნიდა, ხშირად ძალიან უბეში შეცდომებით სავსეს, მაგრამ ავტორის პიროვნება მაინც უურადღებას იმსახურებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის პირად ცხოვრებაზე მოგვითხრობდა ფრანგებს შორის, — ამბობს მირონ გრინდია. ამ აქტებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

აი, ვინ იყო ის ქალი, რომლის შესახებაც ერთნი ამბობენ, რომ მას შესწევდა უნარი, გავლენა მოეხდინა მოდილიანის შემოქმედებაზე. ყოველ შემთხვევაში შეეძლო შეეკავებინა ლოთობისაგან, მეორენი კი თითქმის ბოროტ დემონად ხატავენ, დემონად, რომელიც აწამებდა და ბორკავდა მოდილიანის. გრინდიას მოჰყავს ნაწყვეტები მაქს უაკობის წერილებიდან: „მე აღმოვაჩინე აქ ერთი ინ-

გთხოვს პოეტი ქალი, რომელიც უკვე სა-
ღამოს ვისკით თვრება: (ამას იგი ამოლინერს
წერს). მეორე, უფრო გვიანდელ წერილში
იგი ახსენებს მოდილიანის, რომელიც ძაშინ
ერთ მდიდარ ინგლისელ ქალთან ცხოვრობ-
და. ეს ქალი ხელს არ უშლიდა მოდილიანის,
მომკვდარიყო მიმშვილისაგან, მაგრამ სირცხ-
ვილით იწვოდა, როცა მის ქუჩეშიან ფეხსაცმე-
ლებს უყურებდა. როცა ქალი უარს ეუბნე-
ბოდა კარის გაღებაზე, მოდილიანი უმტვრევ-
და ფანჯრის მინებს, ნაფოტებად აქცევდა და-
რაბებს და, თუ როგორმე მოახერხებდა მის
პატარა სახლში შეჭრას, იწყებოდა სცენები
რევოლუციებისა და რომის ცარიელი ბოთ-
ლებით: ასეთი რამ რომ მართლაც ხდებოდა,
ამას ადასტურებს თვით ბეატრისას ცალკეუ-
ლი ჩანაწერებიც, რომლებიც შემონახულა
მის არქივში (იგი აღმოაჩინა გრინდიამ და
მოჰყავს ციტატები ამ ჩანაწერებიდან): „დე-
ლო ჩვეულებრივ მთვრალი მოდიოდა და ამ-
ტვრევდა მინებს, ცდილობდა სახლში შემოჭ-
რას. ამ დროს, თუ მე თვითონაც მთვრალი
ვიყავი, იწყებოდა ხაშინელი სცენა, მაგრამ
ჩვეულებრივ იგი მაშინ მოდიოდა, როცა მე
ვწერდი და მისი წარი ნამდვილი უბედურე-
ბა იყო ჩემთვის. როცა დედოს მაქსი დახვ-
დებოდა ჩემთან, კიდევ შეიძლებოდა იმედი
გქონოდა, რომ ჩვენს შორის მშვიდობიანი
conversazione¹ გაიმართებოდა და უჩუბრად
წავიდოდა თავის საბელოსნოში, რომელიც იქ-
ვე ახლოს იყო. მაგრამ უკველივე ამის იო-
ლად გადატანა მე უკვე აღარ შემეძლო, ჩემი
ქანმრთელობა შერყეული იყო. სულ ვში-
შობდი, რომ ასირიელი შემომიმტვრევდა და-
კეტილ კარს. ამიტომაც მძულდა ეს თავდასხ-
მები და სულ უფრო და უფრო მძიმედ გან-
ვიცდიდი. ერთხელ ნამდვილი ბრძოლა ატყდა
ჩვენ შორის, ერთმანეთს დავდევდით მთელ
სახლში ზევით და ქვევით, კიბეებზე. მი-
სი იარაღი იყო ყვავილების ქოთანის, ჩემი
კი გრძელტარხანი ცოცხი. შემდეგ მან დაღე-
წა გარეთა დარაბები, რითაც უშუალოდ შეე-
ხო სახლის პატრონის ინტერესებს, რომე-
ლიც რამდენიმე დამე თავის საკუთრების და-
საცავად იდგა და ამდენად ჩემს სიმშვიდესაც
დარაჯობდა.

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ იმ პატარა
სახლში, მონმარტრზე!“

ეს სრულიად მოულოდნელი დასკვნაა და,
რალა თქმა უნდა, ღიმილს მოჰგვრის მკითხ-
ველს. მაგრამ ბეატრისას გაფანტულ წერი-
ლებს შორის ვხვდებით ასეთ ჩანაწერებსაც:

„მოდილიანი ეჭვიანობდა ჩემზე, თვითონაც
არ იცოდა ზუსტად, რატომ, სანამ სულ არ
მივატოვე. ახლა უკვე მისთვის გასაგებია,
რომ შემძლია მისი მიტოვება. მაგრამ მე
თვითონ არ ვიცი, რისთვის ჩავიღინე ეს მას
შემდეგ, როცა ასე შორს შევიჭერი...“

ამ სიტყვებში უღერს „სინანული“ და იგრძ-
ნობა ნამდვილი სიყვარული. „სინანული“ მტვრინგ-
სი შემდეგაც დაუფარავად აღიარებდა, რომ
„გაგიჟებით უყვარდა“ თავისი თავზეხელაღე-
ბული მეგობარი. მათ ურთიერთობაში აღბათ
კიდევ ბევრი რამ იყო შეუხაბამო, უთავბო-
ლო, ეჭვთარაგვანტური და სასაცილოც კი.
ანდრე სალმონი, რომელიც განსაკუთრებით
გატაცებულია ეფიქტებით, დაწვრილებით იხ-
სენებს შავი ტაფის კაბას, რომელიც მხატ-
ვარმა თავისი ახირებული მეგობრისათვის
ფერად-ფერადი პასტელით მოწატა. მერე კი
რომელიღაც ხარში, რალაცის გამო ძალზე
განრიხებულმა, პათოსანი ხალხის წინაშე
ტანზე შემოახია ეს კაბა და ნაკუნ-ნაკუნად
აქცია.

ერენბურგს უფრო მნიშვნელოვანი რალაც
დაამახსოვრდა. იაფფასიან სასადილოში, რომე-
ლიც რუსმა მხატვარმა მარია ვასილიევამ მო-
აწყო პარიზში თავისი ამხანაგებისათვის, ერ-
ენბურგს არაერთგზის მოუსმენია, როგორ
ცდილობდა ბეატრისა გონს მოეყვანა მოდი-
ლიანი, როცა გაშმაგება შეიპყრობდა — მი-
ვარდებოდა უცნობ ქალს ან დასისხლიანებუ-
ლი თითებით ცდილობდა კედლის განგრე-
ვას, აგურების გამოღებას და გარეთ გაქრას.
ამგვარ წუთებში იგი ასე ჩააგონებდა მოდი-
ლიანის „Modigliani, vous êtes aristocrate,
votre mère est une dame société...“¹ მოდილი-
ანი კი მაინც არ ცხრებოდა: „Et vous qui êtes
vous done pour me parler de la sorte?“²

მაგრამ მაინც რატომღაც მოდილიანიმ გიი-
ომის პორტრეტი და ბევრი რამ სხვაც ბეატ-
რისას სტუდიაში დახატა, აქვე მოდიოდნენ
მისი ახალი სკულპტურის სანახავადაც. მას
ხომ იქვე, გვერდით მქონდა თავისი საბელო-
სნო. ანდა რატომ დახატა ბეატრისას ფერ-
წერული პორტრეტი სულ ცოტა ათქერ მა-
ინც, გრაფიკულ გამოსახულებებს ხომ, მგო-
ნი, სათვალავიც არა აქვს. პორტრეტთა უმე-

1 მოდილიანი, თქვენ ხომ არისტოკრატი
ხართ, თქვენი დედა მაღალი საზოგადოების
ქალია (ფრანგ.).

2 მერე თქვენ ვინა ხართ, ასე რომ შელაპა-
რაკებით? (ფრანგ.).

(ი. გ. ერენბურგთან საუბრის ჩანაწერი)

1 საუბარი (იტალ.).

ტესობაზე იგი გამოსახულია გაგულსებულ, ბოროტ, ზესლიან ქალად. ხანდახან გერგენება, რომ პორტრეტი ახლოს არის კარიკატურასთან. მაგრამ მოულოდნელად ხალდაც, როცა უბრალო ბეწვის ქული ახურავს ან კუბო-კრული კაბა აცვია, სრულიად იცვლის სახეს — თითქოს უმწიოა რაღაცით შეურაცხყოფილი, ძალიან ქალური, ყოველგვარ ქედმაღლობას გაცილებული.

შესწევდა თუ არა ბეატრიხას უნარი, დაეფასებინა მოდილიანი, როგორც მხატვარი? შეეძლო თუ არა, რაიმე გავლენა მოეხდინა მის შემოქმედებაზე? თუნდაც შიახლოებით რომ ვიმსჯელოთ ამაზე, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავაფართოვოთ მხრონ გრინდიას მოკლე დახასიათება ბეატრიხა პესტინგის პარიზული კორესპონდენციების შესახებ. თუმცა შეიძლება ეს დახასიათება არც იყოს სათანადოდ ობიექტური. ამ პერიოდის „ნიუ ეიჯის“ ნომრებში იბეჭდებოდა არა მარტო მისი წერილები ბოქსების ცხოვრებაზე, რომლებიც დაწერილია მაღალი საზოგადოების უზრუნველი ლაუბობის სტილით, არამედ მსჯელობა პიკასოს უკანასკნელ ნაშრომებზე, კუბიზმის ბედზე და საერთოდ თანამედროვე პარიზის მხატვრულ ცხოვრებაზე. აქვე იბეჭდებოდა მისი თარგმანებიც: ნაწევრები მიუხეს „მთისის ღამედან“ და ამასთან ერთად მაქს უაკობის პოემა „მეფის ასული“. ეს უკვე ლიტერატურის ხუთ სხვა სახეა, ესთეტიკური ინტერესების სულ სხვა დიაპაზონი.

რაც შეეხება ბეატრიხა პესტინგის დამოკიდებულებას მოდილიანის შემოქმედებისადმი, აი რას ამბობს თვით იგი „ნიუ ეიჯისათვის“ განკუთვნილ ერთ თავის სტატიაში, რომელიც დათარიღებულია 1915 წლის თებერვლით (მასში ისმის ამედეოსთან ბეატრიხას პირადი ურთიერთობის აშკარა გამოძახილიც).

„ჩემი დაუდევრობის გამო სახლი, რომელიც მე ვცხოვრობ, კინაღამ შეიქმნა მსხვერპლი მრისხანების ცეცხლისა. საკმარისი აღმოჩნდა გაკვრით მეხსენებინა, რომ მსჯელობა პლასტიკური ხელოვნების ქმნილებათა ღირსებაზე კრიტიკოსების საქმეა, რადგან თვით მხატვარს იშვიათად შესწევს უნარი, გაარჩიოს თავისი კარგი ნამუშევარი ცუდისაგან, რომ უცრებ იფეთქა ხანძარმა. მართალია, ხანძარი, როგორც იქნა, ჩავაქრეთ, თუმცა სახიფათო მომენტი კი შეიქმნა. მაგრამ მე მაინც კვლავ ჩემს აზრს ვადგავარ, და აი მაგალითიც: მე ხელთა მაქვს მოდილიანის ნამუშევარი ქვის თავი, რომელსაც, მიუხედავად ახლანდელი საყოველთაო ფულადი კრიზისისა, ას ფუნტადაც ვერ შეველეოდი. მე კი ეს

თავი ნაგავიდან ამოვჭიქე და სულელიც მიწოდეს იმისათვის, რომ გადავარჩინე.

არაფერი აღამიანურა უცხო არ არის ამ ქვის თავისათვის, თვით უვილაზე შეწიერიც კი. მართალია, საშინელი ორმო ქვეს მარჯვენა თვალის ზემოთ, მაგრამ მას ვერაფერს დააკლებს ვერავითარი ორმო. მეუბნებებიან, რომ ეს თავის დროზეც არ ყოფილა დამთავრებული და არც არასოდეს დამთავრდება, რომ არ არის დამთავრების ღირსი. მასში კი არაფერია დასამთავრებელი ეს თავი აუღელვებელი ღიმილით უყურებს სიბრძნესაც და ხისულელესაც, ღრმა გულმონწყალეობასაც და მსუბუქ გრძობიერებასაც, გაშმაგებასაც და ავბორცობასაც, ილუზიასაც და გულგატეხილობასაც — უვილაფერს იტევს ეს მარადი ოცნების საგანი. ეს ქვა ისევე ცხალად იკითხება, როგორც ეკლესიასტე, ოღონდ მისი ენა მანუგეშებელია, რადგან ამ ნათელი ღიმილის სიბრძნეს ვერ მოერგვა ვერავითარი სევდიანი უიმედობა ან მუქარა. რატომ უნდა უარყოს მხატვარმა ამგვარი ქმნილება? მას ხომ შეუძლია მოგანიკოს სიცოცხლე. ისევე როგორც დიდმა ლიტერატურამ? შე ვერასოდეს ვერავის დაფუთმობ ამას ² თუმცა შეიძლება პოეტს ვანდო: იგი იმახვე დაინახავს მასში რასაც მე ვხედავ და მაშინ ბედკრულმა მხატვარმა ნებაუნებლით უნდა ირწმუნოს თავისი უკვდავება. ოღონდ ვეჭვობ, მხატვრებს ესმოდეთ, რა არის უკვდავება და „მგონი, საერთოდ არ ფიქრობენ ამაზე“.

რომანი ბეატრიხასთან ორ წელს გაგრძელდა. 1918 წელს ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. მოდილიანი ისევ მონპარნასზე დაბრუნდა და მალე სხვა ქალმა გაიტაცა. ეს გახლდათ სიმონა ტირუ, კანადელი სტუდენტი, რომელიც სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა პარიზში, მაგრამ ლათინური კვარტალის და მონპარნასის ბოქმამ მალე მიატოვებინა სწავლა. ახლა იგი ძლივსძლივობით ირჩენდა თავს და პოზიორობდა მრავალ მხატვართან. მარკ ტალოვს მშვენივრად ახსოვს მოდილიანის გვერდით ეს ახალგაზრდა ქერათმიანი ლამაზი ქალი, ლუვრში ნახულ ლეონარდო და ვინჩის სახელგანთქმულ „Belle ferronière“-ს რომ აგონებდა რაღაცით. მოდილიანიმ შემთხვევით გაიცნო იგი კაფეში, სადაც ქალის მცირე საუზმეში რომელიღაც თავისი ნახატი დატოვა. ამ ნახატს თვით მოდილიანი დიდად აფასებდა. სიმონა მისი მოდელი გახდა. მერე რამდენიმე ხნით კიდევ გადავიდა მასთან საცხოვრებლად. ქალმა თავდავიწყებით შეიყვარა იგი, არასოდეს არაფერს მოითხოვდა ამედეოსაგან. ეს ჩანს მისი უკანასკნელი,

ჩვენამდე შემონახული ერთადერთი წერილი-
დაწყ. აი იხილ:

31 დეკემბერი, ბულგარი რასბაი, 207:

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ამ ახალი წლის ღამეს ჩემი ფიქრი მთელი თავისი სინაზით თქვენკენ არის მომართული. მე ვისურვებდი, ეს წელი ყოფილიყო ჩვენი მორალური შერიგების წელი. მე ზურგს ვაქცევ ყოველგვარ სანტიმენტალობას და მხოლოდ ერთი მსურს, რაზედაც უარს არ მიტყვით, იმიტომ რომ გონიერი ადამიანი ხართ და არა ხართ მხდალი:

ეს იქნება შერიგება. რომელიც უფლებას მომცემს დროდადრო განახულოთ. გეფიცებით ჩემს ვაჟიშვილს, რომელიც ყველაფერია ჩემთვის, რომ შორსა ვდგავარ ყოველგვარი ეშმაკობისაგან, მაგრამ მე ძალიან მიყვარდით და ახლა კი მეტისმეტად ვიტანჯები და იხე გვიდრით ამას, როგორც უკანასკნელ წუალობას.

მე ძლიერი ვიქნები. ხომ იცით ჩემი აბლანდელი მდგომარეობა: მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ და, რასაც ვშოულობ, სავსებით საკმარისია ჩემთვის.

ჯანმრთელობა ძალიან გამოუარესდა. ფილტვების ტუბერკულიოზი, სამწუხაროდ, თავისას განავრძობს: ხან ცოტა უკეთ ვარ, ხან უფრო ცუდად.

მაგრამ ასე აღარ შემძლია. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ცოტა უფრო ნაკლები სიძულვილი ვიგრძნო თქვენგან. გემუდარებით, მოწყალედ გადმოიხედეთ ჩემკენ, ოდნავ მაინც შეცაოთ ნუგეში. მეტისმეტად უბედური ვარ. ჩემთვის საკმარისია მხოლოდ ცოტა სიყვარული, რაც ძალიან შემეწეოდა.

კვლავ გეფიცებით, რომ არავითარი ქვენა გრძნობა არ მაშობრავებს.

მე ვუფრობილდები იმ სიყვარულს, რომელიც უნდა გამაჩნდეს თქვენს მიმართ.

სიმონა ტირუ.

ღიან, მოდილიანის შექმნილ შეუბრალებელი ყოფილიყო, განსაკუთრებით ქალების მიმართ. სიმონა ტირუმ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა მისი სიკვდილის შემდეგ.

ყანა მოდილიანი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ სიმონას ბავშვი ამედუოს შვილი იყო (ცნობილია, რომ თვითონ ჭიუტად უარყოფდა თავის მამობას). „დედის სიკვდილის შემდეგ, — წერს ყანა მოდილიანი, — ბავშვი ერთმა ფრანგმა ოჯახმა იშვილა. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ქალმა, რომელიც დაეზმარა ბავშვის გაშვილებაში (ქალბატონი სანდალი), მიიღო ბავშვის ფოტოსურათი, — იგი საოცრად მგავდა მოდილიანის. სურათზე არც ერთი სიტყვა არ ეწერა. ქალბატონი სანდალი,

ერთადერთი პიროვნება, რომელმაც იცოდა ბავშვის მშობლების გვარი, დიდი ხანია გარდაიცვალა“.

დავუბრუნდეთ იხევ ბეატრიცა პესტინგს. უნდა ითქვას, რომ შემდგომში მისი ცხოვრება (თუმცა კვლავაც უცნაურ ცხოვრებას განავრძობდა) თანდათან დეგრადაციისკენ წავიდა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა გრძელდებოდა, მაგრამ წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო სპეციფიკური ხდებოდა. ოდესღაც პარიზში მისი პოემა პროზად „მინი პინკინი“ აპოლინერის ენიციკლით შენარულდებული იყო ლიტერატურულ დილაზე მაქს ტაკობის, რევერდის და ერენბურგის ლექსებთან ერთად. როცა 1936 წელს ჩარლზ დუგლასმა თხოვნით მიმართა ბეატრიცა პესტინგს, მიეწოდებინა მასალები თავისი წიგნისათვის „მხატვართა კვარტალი“, მან უბასუხა, რომ მათი ნაცნობობის ამბავი ადწერილი აქვს „მინი პინკინში“, ვამოუჭვეყენებელ ნაწარმოებში, რომელსაც ვერ მოჰკიდებს ხელს ახლა, ამ მომენტში, როცა „მუსო (მუსიკოლინი) და პიტლერი მზად არიან ხელი ხელს მისცენ ვერძის ახალგაქმებლად“.

ქახუნი ხაკმაოდ ღირსეულია. მაგრამ, სამწუხაროდ, ოცდაათიან წლებში, როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ კვლავ ლონდონში დასახლდა, ბეატრიცა პესტინგსი ცნობილი იყო არა როგორც პოეტი და ხეროიკული კრიტიკოსი, არამედ როგორც ავტორი უხეში პამფლეტებისა, რომელთაც თავისი ხარჯით უშვებდა და სადაც უმთავრესად ანგარიშს უხწორებდა ძველ მეგობრებს „ნოუ ეიჯის“ რედაქციიდან. თავისი ლიტერატურული მტრების წრეს იგი თანდათან აფართოვებდა. აქ შედიოდნენ შოუსი, უელსიცი, ვერნონ ლიცი და თ. ს. ელიოტიცი („ცულგემოვნებიანი თვალთმაქცი“). სტატიებში პესტინგსი თავს იწონებდა, რომ მრავალი რომანის გმირი გახდა როგორც ცხოვრებაში, ასევე ბედეტრისტოკაშიც (ნას მართლაც აგვიწერს კასკო თავის რომანში „Yes innocents“) იგი ტრამპობდა თავისი მედიუმის უნარითაც, რომელიც თითქმის გამოვლინებული იყო მისი მხატვრობის იდუმალ თავისებურებებში. შეეცადა კიდევ ამ შარლატანური მხატვრული ოპუსების გაყიდვას პარიზში, ვრცელი განცხადებები მოათავსა ამის შესახებ გაზეთებში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე მოულოდნელად დაარსა „ანტირიტუალისტების კრიტიკულ-ბუდისტური კავშირი“, მაგრამ ასევე დარჩა ამ კავშირის ერთადერთ წევრად. ერთ თავის უკანასკნელ თხზულებაში ასე წერდა თავის თავზე:

„შე არა ვარ მითი, ჩემს მიერვე გამოგონილი...“ და კვლავ გაშმაგებით ესწმოდა თავის ლიტერატურულ მტრებს, მისთვის საძულველ „ლონდონელ კაცუნებს“. ერთადერთ ადამიანად, რომელსაც არ შეხებია ამ ნათელი, ნიჭიერი და ბოროტი ფუჭყავილას შურისმაძიებელი სარკაზმი, ბოლომდე დარჩა მოდილიანი. დახასრული კი საშინელი აღმოჩნდა: სრული მარტოობა, ხანგრძლივი ხილათაკე და 1943 წელს თვითმკვლელობა ღია გაზის ქურასთან...

მაშ ახე, 1916 წელს მოდილიანი მონმარტიდან კვლავ მონპარნასზე გადახანლდა, ამქერად უკვე საბოლოოდ. მაგრამ აქაც გრძელდებოდა მოხეტიალე ცხოვრება. ახლაც თითქმის არავითარი შემოსავალი არ გააჩნდა. ომის წლებში ვინ იფიქრებდა პარიზში სურათების შექმნაზე. ყველაზე ცნობილ მხატვრების სურათებზეც კი კატასტროფულად ეცემოდა ფახები. მაგრამ მათ შეეძლოთ თავიანთი დანაზოვით ცხოვრება, უხახელონი კი შიმშილობდნენ როგორც არასდროს — ახალი ტალანტების აღმოჩენას არავინ ჩქარობდა.

ამ ხანებში მოხდა მოდილიანისათვის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი შეხვედრა. კისლინგმა გააცნო მას პოლონელი პოეტი ლეობოლდ ზბოროვსკი, რომელიც ცოლთნ ერთად იყო ჩამოსული პარიზში, ერთ ხანს, ომის დაწყებისახ ლუვრთან არსებულ ხელოვნებათმცოდნეობის კურსებზე სწავლობდა, ახლა კი ისიც გაჭირვებით ირჩენდა თავს მონპარნასზე. ჭერ იშვიათი წიგნებით ვაჭრობა სცადა, ძველ წიგნებს ეძებდა ბუკინისტებთან, მერე კი კისლინგის რჩევითა და დახმარებით სურათების უიდვა-გაყიდვას მოჰკიდა ხელი. მაგრამ ამისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, არ შესწევდა კომერციული საქმიანობის უნარი, ისიც ომიანობაშ წლებში. ამ საოცარ, ბავშვურად გულუბრველო ადამიანს ისე გატაცებით, ისე უანგაროდ უყვარდა ხელოვნება, რომ შეუძლებელი იყო, მისგან მომგებიანი მარშანი გამოსულიყო. იგი თავის საყვარელ პოეტრსაც ვერ თამაშობდა კარგად, რადგან ვერასოდეს ვერ შეეთვისა „ბლეფს“. განა მას შეეძლო ცნობილ ამბრუაზ ვოლარავით ხარფიანად ეყიდა და

1 თავის ღირსეულ ლექსებს ზბოროვსკი წერდა პოლონურ და ფრანგულ ენებზე. რამდენიმე მისი ფრანგული ლექსი პარიზში გამოქვეყნდა. პოლონური ლექსები კი უფრო მოგვიანებით დაიბეჭდა ჟურნალ „ფორმისტებში“, რომელიც კრაკოვში გამოდიოდა. ახალი ფორმის ძიება ვერ ფარავდა მის ლექსებში ძირითად თემას — მხურვალე სიყვარულს თავისი საპაობლოსადმი.

დრომდე შეენახა მომავალი განძი ან ამ ბებერი ეშმაკივით მტვრიანი ვიტრინიდან ეთვალთვალა გულდამშვიდებით, რათა გაზრის ოდნავი ცვლილებაც არ გამოპარვოდა? არა, მას ერჩია, თვითონ მარტო მუხუდლოზე გადაველო და შემწეობა არ მოეკლო „თავისი“ მხატვრისათვის, ერჩია, გულისტკივილით შელერდა შემთხვევით ხელში ჩაგარდნილ საოცარ „დერენს“, თავისი კოლექციის მარგალიტს, ოლონდაც უზრუნველყო „თავისი“ მხატვარი საღებავებით და ტილოთი, ხასმელ-საჭმლით და ბინით.

ზბოროვსკიმ პირველი შეხვედვისთანავე შეიყვარა მოდილიანის ხელოვნება და მაშინვე ირწმუნა მისი დიდი მომავალი. და არა მარტო მისი ხელოვნება, თვით იგიც შეიყვარა, როგორც იცოდა მეგობრების სიყვარული ამ იშვიათმა აღტრუსიტმა — სრული თავგანწირვით, ყოვლისმიმტვევებელი ერთგულებით, ყოველგვარი ანგარებისა და საყვედურის გარეშე.

როცა ლაპარაკია მის ერთგულებაზე მოდილიანის მიმართ, მგონი, ვერც ერთი შემუარისტი ვერ იკავებს თავს, არ შეადაროს იგი უკეთილშობილეს, უერთგულეს ძალსს. მართლაც, როცა ვუყურებთ მოდილიანის მიერ შესრულებულ ზოგიერთ მის პორტრეტს, გვეჩვენება, რომ რაღაცით ძალიან გვაგონებს მეტისმეტად მომხიბვლელ სენბერნარს ან ნიუფაუნდლენდს. მაგრამ ერთგან კი, ზბოროვსკის ბლოკნოტში შემორჩენილ მოდილიანის ნახატზე, რატომღაც წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახე აქვს.

ამეღეო პატარა სასტუმროში დაბინავდა ბუსეს ქუჩაზე და ყოველდღე, ორიდან ექვსამდე მუშაობდა ზბოროვსკებთან, რომლებიც იქვე ცხოვრობდნენ ჭერ პორ-რუაილის ბულვარზე, მერე კი ძალიან დიდხანს უოზეფ ბარის ქუჩაზე, სამ ნომერში. თავის ახალ ბინაში ზბოროვსკიმ ყველაზე დიდი ოთახი მოდილიანის დაუთმო სახელოსნოდ. მისი მეუღლე — ანა მოთმინებით პოზიორობდა მოდილიანის, ხშირად პოზიორობდნენ აგრეთვე მათი ოჯახის მეგობრებიც. მათ შორის ახალგაზრდა პოლეტა ჟურდენი და მშვენიერი, მომხიბვლელი ლიუნია ჩეკოვსკა, რომლის ერთი პორტრეტთაგანი — პროფილში, „გედის ყელით“ და თერთი კოფით, შემდეგში ძალიან ფართოდ გახდა ცნობილი მრავალი რეპროდუქციის წყალობით.

ანა ზბოროვსკაა თვინიერებისა და კეთილშობილების განსახიერება იყო. იგი, როგორც შეეძლო ზრუნავდა მოდილიანიზე, პირველ ყოვლისა, ცდილობდა როგორმე გამოეკვება, თუმცა ზბოროვსკები თვითონაც ხელმოკლედ იყვნენ. ანა იოლად ეგუებოდა მის მშფოთვარე ხასიათს, უცნაურ საქციელს და მძვინვარე

შემოტყვებს. შემდეგშიც ყოველთვის კეთილად იხსენებდა მას. მგონი, მხოლოდ ერთხელ უღალატა მოთმინებამ, როცა ამედეომ მასპინძლების შინ არყოფნის დროს, რაკი ტილო ვერ ნახა, მათი ბინის ერთ-ერთ კარზე დახატა თავისი მეგობრის — სუტინის უწარმაშარი ფერწერული პორტრეტი. ამას იხსენებს ფრანსის კარკო და მოჰყავს შემდეგი დიალოგი:

— მაშ ასე, დაიდუბა კარი, — მოკლედ გამოსტყვა თავისი აზრი ზბოროვსკიმ.

— დადგება დრო და შენ მაგას თავისი წონის ოქროს ფასად გაუიდი, — გამოეპასუბა მოდილიანი.

— კი მაგრამ მანამდე იძულებული ვიქნებით, სულ თვალწინ გვედგას ეს სურათი, — ლოჯიკურად დაასრულა ქაღბატონმა ზბოროვსკიამ.

ამასობაში კი ლეოპოლდ ზბოროვსკი ყოველ დღე ვარს უვლიდა მთელ პარიზს და ცდილობდა სადმე მიედებინებინა თუნდაც ერთი რომელიმე მოდილიანის სურათი. როცა გაღერებდა და მალაჩიებში არაფერი გამოუვიდოდა, მერე თავისი ტილოებით კაფე „დომინა“ დე „როტონდის“ ტერასებზე ტრიალებდა შემთხვევითი მყიდველის მოლოდინში. თავისი მეგობრისათვის იგი მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა. მან ხომ ფიცი დახდო, რადაც უნდა დასჯდომოდა, სახელოვან მხატვრად ექცია იგი.

თავის მეორე წიგნში „მონმარტრიდან ლათინურ კვარტალამდე“ ფრანსის კარკო გვიამბობს:

„როცა ვინმე მოვიდოდა ზბოროვსკისთან, მაშინვე სანთლის საყიდლად გარბოდა. ჩადებდა სანთელს ბოთლის უელში და შეუძღვებოდა ხტუმარს ცარიელ, ვიწრო, ჩაბნელებულ ოთახში, სადაც არავითარი ავეჯი არ იდგა, კუთხეში კი გროვად ელაგა მოდილიანის ტილოები. სანთელს დადგამდა და შეუდგებოდა თავისი საუნჯის ჩვენებას, მოჭადოებულაფით ეალერსებოდა თვალმანთებული ან ნაზად ეფერებოდა ხელათ. მერე აღედგებოდა დაიწყებდა ლაპარაკს, სწუფვლიდა ბედისწერას, საშველს რომ არ აძლევდა მოდის, ზოგჯერ იფურთხებოდა კიდევ გულმოსულთ.

— არა, აბი დაუფიქრდით, — წამოიძახებდა იგი. — გუშინ დილას თხუთმეტი ტილო მივუტანე ერთ მარშანს, სულ გროშის ფასად ვაძლევდი... ნამდვილად გროშის ფასად! მჭირდებოდა მოდილიანისათვის... ის კი უარზე დადგა: უკან წაიღეთ ყველაფერი, არ ვყიდულობ. რატომ? შე სულ იაფად მივცემდი თხუთმეტივე ტილოს, ოღონდ მოსწონებოდა მაინც. შენც არ მომიკვდე! არც ერთ მარშანს არ უნდა მისი სურათების ყიდვა, არც ერთ სულიერს!.. ემ, რა სულელები არიან! უბრალოდ ჭერვერ მიუჩვენეთ თავი! მაგრამ აი ნახავთ,

დადგება დრო.. და ეს სულ სულ მალე იქნება.. მაშინ აღარ დაინანებენ ფულს ამ ტილოებში, ახლა რომ შედ არ უყურებენ.. მერე ყველანი მოინდომებენ მოდილიანის.. ახლა კი ავერ წის უფულოდ, წვალის.. როგორ შებრალებდა!

— მაშ მომყიდეთ ეს ნიუ,—ვეუბნები მე. — რას იტყვით?

— მოგწონთ?

— შესანიშნავია!

პასუხად სიზარულის შეძახილი გაისმა. მერე ახლოს მიიტანა სანთელთან და წამოიძახა:

— შეხედეთ, რა დიდებული ფერწერაა! რა ნიჭუხტე! დალაზეროს ეშმაკმა, თვალწარმტაცია! მართლაც რომ თვალწარმტაცია! თქვენ რას იტყვით?

— დიას, რაღა თქმა უნდა, თვალწარმტაცია. თქვენ სავსებით მართალი ხართ, ზბოროვსკი ეს შედეგია!

იგი შემოტრიალდება ჩემკენ და დაბეჭითებით მეუბნება. თან სურათზე მითითებს, რომელადაც უკვე გვერდზე გადაუდვია.

— შე თქვენ ამას არ მოგყიდით, გარუქებით. აიღეთ, მიჩუქნია, იმიტომ რომ მოგეწონათ...

— მერე ფული, მოდილიანის ხომ...

— არა, არა, წაიღეთ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მოგეწონათ. ეშმაკსაც წაუღია ფული! ამაზე ნუ ხწუნართ! ხვალისათვის ერთ კაცს ველოდები, ძველი ტანსაცმლის ყიდვა უნდა. ოციოდე ფრანკს მაინც მომცემს, ვიკმარებთ...

და სახლამდე გამომაცილა, თან მთელი გზა თვითონ მოჰქონდა ეს შესანიშნავი ტილო და ის თანხაც, რომელადაც მაშინ შემედლო შემთავაზებინა მისთვის და რომელსაც თითქმის ძალით ვუდებდი ჭიბეში, არაფრით არ აიღო.

ახე გაჩნდა ჩემთან მოდილიანის პირველი სურათი. მეორე დღით კი, როცა კონხიერჯი ქალი ნემს ბინას აღაგებდა კე-ო-ფლიორიზე და საწოლ ოთახში დაკიდული ეს ნიუ დაინახა, კინალამ გული შეუღონდა“.

ზბოროვსკის ბინისა და „როტონდის“ მახლობლად, სადაც ჩვეულებრივ მუშაობდა ხომამე მოდილიანი (თავის ოთახში მუშაობდა არ შეეძლო, რადგან წლის თითქმის ყველა დროს საშინლად ციოდა), კამპან პრემიერის ქურაზე იყო ერთი პატარა რესტორანი, რომელსაც „როზალის რესტორანს“ ეძახდნენ, აქ ხშირად სადილობდა მოდილიანი. ეს როზალიც, საკმაოდ ხანში შესული იტალიელი, მკერდმადალი და მაყვლისთვალა, ძალიან კეთილი გულისა და მშფოთვარე ტემპერამენტის ქალი, მოდილიანის ნამდვილი მეგობარი იყო, თუმცა ხშირად ჩუბობდნენ კიდევ. როზალისთან უშეტყველად და

დიოდნენ მუშები, ხელოსნები, მეეტლეები, შოფრები, თუმცა იქ ხშირად ნახავდით მონპარნახელ მხატვრებსაც, სკულპტორებსაც, პოეტებსაც („მანთან გაიარა მეოცე ხაუკუნის მთელმა დიდებამ“ — ამბობდა ილია ერენბურგი). უფრო შეძლებულ, მისთვის ნაკლებად სიმპათიურ ხაზოგადობებს როზალი უბოდიშოდ ისტუმრებდა „თქვენთვის შესაფერია ადგილი არ არისო“, — ეუბნებოდა.

სულ ერთი იყო, ჰქონდა თუ არა ფული მოდილიანის, ამ პატარა დუქანში, ხადაც სულ ათიოდე მაგიდა იდგა და კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა, მისთვის ყოველთვის იყო ცხელი მაკარონი ანდა ეგრეთ წოდებული pasta ბულონური სოუსით (რაც ატრიის მხგავსი). სადილი როზალისთან სულ ოთხმოცი სანტიმი ღირდა, მაგრამ დიანახლისმა მშვენივრად იცოდა, რომ მოდის ხშირად ესეც არ ჰქონდა, იგი მობარული იქნებოდა, სულ უფასოდ გამოეკვება (ბორცტი ენები ამბობდნენ, თითქოს როზალი უიმედოდ იყო მასზე შეყვარებული), მაგრამ იცოდა, რომ ხიამაყის გამო მოდილიანი ამაზე არასოდეს დათანხმდებოდა და ამჯობინებდა, ისევ თავისი სურათებით გადაეხადა სადილის საფასური. როზალიც მორჩილად იდებდა ამ სურათებს, მაგრამ ხანდახან კი შეხრივლებდა ბოლშე ერენბურგს თავისი საშინელი იტალიური აქცენტით: «Qu'il jebesoin de tout gu! Mais je ne veux pas l'offenser»¹. ანდა ჩუმად თავისვის მოსთქვამდა, როცა უყურებდა, როგორ შეეჭყეოდა მოდილიანი მაკარონს: «Quelle misère! Pauvre maman! Mais qu'il est beau...»²

მოდილიანის კი მისი ახალგაზრდა ძმისშვილი მოსწონდა და ძალიან ცერემონიულად ეარშინებოდა, როგორც კი რაიმე ფული გაუჩნდებოდა, იების თაიგულით ახარუქრებდა — მას ხაერთოდ სჩვეოდა ასეთი დახარუქრება და უნარაც შესწევდა ყოველივე ეს „მეფური თავაზით“ გაეკეთებინა.

ომის დასასრულს ერთიმეორის მიყოლებით ბრუნდებოდნენ ფრონტიდან ისინი, ვინც ვველაზე შეტად შესტკიოდა გული მოდილიანის: კისლინგი — მძიმედ კონტაზირებული მკერდში მოხვედრილი კონდახისაგან, ამოღინერა, რომელიც შამპანთან ბრძოლისას თავში დაეჭრა ყუმბარის ნაშესტვრევს (1918 წელს იგი „ესპანური გრიპით“ გარდაიცვალა ამ კრილო-

ბის შედეგად) სანდარაო, რომელსაც ხვეულე ჰოსპიტალში მოკვეთეს მარჯვენა ხელი. მოდილიანის ბევრი მეგობარი იყო ნაცობი, აღარც დაბრუნებულა შინ, დაბრუნებულნიც, თითქოს აღარ ჰგავდნენ თავიანთ თავს, რაღაც ფარულმა, საშინელმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ თითქოს უცნობი გახადა ისინი მონპარნახის ჩვეული ატმოსფეროსათვის. ყველას თავისი სულიერი ტვირთი ვახჩენოდა — ვის საშუალოდ დანგრეული იდეალები აწუხებდა, ვის „დაკარგული თაობის“ განუკურნელი სულიერი ტრავმა, ვის გამომფიტველი მოქანცულობა, ვის გაუნდლებელი პროტესტი იმათ მიმართ, რომელთაც ედებოდათ ბრალი ამ დიდ უბედურებაში, უამრავ მსხვერპლში, რასაც ბოლო აღარ უჩანდა.

ყოველივე ეს გარკვევით აჩნდა განახლებულ შეხვედრებს „როტონდაში“, შარია ვახილიფვას სახადილოში, როზალის რესტორანში.

საკვირველი არ არის, რომ, როცა პარიზში მოვიდა პირველი ცნობა რუსეთის რევოლუციონზე, ბევრი ააფორიაქა ამ ამბავმა, მათ რიცხვში მხატვრებიც და პოეტებიც, თუმცა მათ შორის ცოტას თუ ენმოდა რევოლუციის გარდუვალობა ან ღრმა სოციალური მნიშვნელობა. „როტონდასა“ და „სკაში“ ამსოვდათ ემიგრანტი ბოლშევიკების დავა ემიგრანტ მენშევიკებთან. არც ისე დიდი ხნის წინათ მონპარნახზე ბევრმა ნახა ლენინი და მოუსმინა კიდევ, ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად, რას ნიშნავდა ეს მოდილიანისათვის. მით უმეტეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის ერენბურგის პირდაპირი დამოწმება: „როცა მოაღწია პირველმა ცნობამ რუსეთის რევოლუციონზე, მოდიმ მოირბინა ჩემთან, მებვეოდა და გაბარებული ყვიროდა (შეგადაშიგ, ვერც ვგებულობდი, რას მეუბნებოდა)“.

მართალია, მოდილიანი აღტაცებით შეეგება რუსეთის რევოლუციას, მაგრამ მაინც ძალიან თავისებურად, თავისი ათანხაირად დაბინდული მსოფლმხედველობის პრიზმიდან უყურებდა ყოველივე ამას. იგი ზომ კაბუკობიდანვე შეერგია რუსეთზე ფიქრს. ბევრი რამ ჰქონდა მოსმენილი ლორა ვარსენისა და თავისი უფროსი ძმისაგან რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაზე, შემწადებული იყო საიმისოდ, რომ ხწორედ იქ, აღმოსავლეთში, უნდა მომხდარიყო პირველი გადამწყვეტი აფეთქება. ერთი მისი უახლოესი მეგობარი პარიზში იყო მხატვარი დიეგო რივერა (რომლის მსოფლიო აღიარება ასევე ხავსებით წინ იყო), შეურყვეველი სოციალისტური რწმენის ადამიანი, რომელიც ჰერ ისევ ომის დაწყებამდე გაიტაცა მარქსიზმის იდეებმა. მაგრამ მოდილიანი, ეს „ძნელად გამოსაცნობი ადამიანი“, როგორც უწოდებდნენ მე-

¹ აბა რაში მჭირდება უგენი, მაგრამ არ მინდა ვაწყენინო!
² რა უბედურებაა! საცოდავი დედამისი! ოპ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! (ფრანგ.).
(ერენბურგთან საუბრის ჩანაწერი).

გობრები ხუმრობით („რადაც გაუგებარს ჩამ-
ხურჩულეებს მოდილიანი...“ — ახე იწყება მარკ
ტალოვის ერთი მაშინდელი დეკლი), მხურვალე
ადტაცებით ლაპარაკობდა არა პოლიტიკურ
ფაქტებზე, არა განუზომელი სოციალური მნი-
შვნელობის მოვლენებზე, არამედ თავისი ახა-
ლი კერპის, XVI საუკუნის უილსოფოს-მისტო-
კოსის — ნოსტრადამუსის ახდენილ წინასწარ-
მეტყველებაზე... მე ვკითხე ერენბურგს: „თქვენ
წერთ მის სოციალურ ინტერესებზე, შიშის
გრძნობაზე და ა. შ. რაში გამოიხატა ეს მა-
შინ, 1917 წელს?“ მე მთელ მონოლოგს ვე-
ლოდი, ილია ვრიგოლის ძემ კი მოკლედ მიპა-
სუხა: „მისი საუბრები იყო ნახევრად პოლიტი-
კური, ნახევრად მისტიკური. მოდი თავისი ნოს-
ტრადამუსით, თავისი წინასწარმეტყველებით
ცეცხლზე წყალს ასხამდა“.

ეტყობა, რუსეთის რევოლუციას მოდილიანი
ისევე ბუნდოვნად ხედავდა, როგორც წარმო-
იდგენდა ამას მისი მეგობარი ბლენს სანდრარი
თავის რომანტიკულ პოემაში: „ციმბირის მაგის-
ტრალის პრინცა და პატარა ფრანგი ქალი ფა-
ნა“, — წინასწარმეტყველურ სიზმრად, ყოფ-
ლისმომცველი ხანძრის შორეულ ნათებად,
ოღონდაც ეს სიზმარი ახლა თანდათან ცხად-
დებოდა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მო-
დილიანი განუცნებულად ხედავდა მის ირ-
გვლივ მყოფ რეალურ სამყაროს. მაგალითად,
ანდრე სალმონი იგონებს, როგორი ზიზლით
ლაპარაკობდა იგი ტეილორის უსულგულოდ, ექსპ-
ლოატატორულ სისტემაზე, მის აღმაშფოთებელ,
უსიციბვილო სპეკულაციაზე ომში. რუსეთის
ამბებიდან მისი ფიქრი უნებურად გადადიოდა
მშობლიურ იტალიაზე, მის რესპუბლიკურ მო-
მავალზე (ამის შესახებაც წერდა ერენბურგი).

როზალის რესტორანში გამუდმებული შეხ-
ვედრები იტალიელ მშენებელ მუშებთან განა-
მტკიცებდა მოდილიანში მომავლის რწმენას.
ამიტომაც უყვარდა მათთან ყოფნა. მისი დემოკ-
რატიზმი ნაკლებად გულწრფელი და გატაცებუ-
ლი არ გამხდარა იმის გამო, რომ შორს იდ-
გა თანამიმდევრული სოციალისტური აზროვნ-
ებისაგან. დიას, იგი უფრო ხშირად ასოცია-
ციებით აზროვნებს და თითქმის არასოდეს არ
სცილდება ხელოვნების სფეროს. თანამედრო-
ვე იტალიელ კალატოზებსა და მშენებლებში
რენესანსის მაღალი ოსტატობის უშუალო გაგრ-
ძელებას ხედავს და სწორედ ამას უკავშირდება
მისი გულუბრყვილო რწმენა იტალიელი ხალ-
ხის ამოუწურავ ძლიერებაზე. შესაძლოა სიტ-
ყვა „კაპიტალი“ მას წარმოდგენილი მქონდა
როგორც ფულის კრებადი სახეობა. მას სძულს
კაპიტალი, იმიტომ რომ სძულს ფული, განსა-

კუთრებით მაშინ, როცა იგი ბატონობს ხელო-
ვნებაზე. და განა ეს ცოტას ნიშნავს? იცის
ამის ფასი და ამიტომაც ეზიზნება ერთხელ
უთხრა კიდევ ვიღაცას, რომ მხატვარმა საერ-
თოდ არ უნდა გაყიდოს თავისი ქმნილებები,
რომ ამაში არის რადიკალური პრინციპი (იქნებ
ამიტომაც, რომ ფული თვალსა და ნელს შუა
უჭრება იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როცა ზბო-
როვსკი მოახერხებს მისთვის რაიმეს გაყიდვას).

მაგრამ მაინც როგორ განაგრძოს ცხოვრება
შემდეგში? როგორ ამოაღწიოს ზევით და რო-
გორ მივიდეს ნამდვილ აღიარებამდე, ისე რომ
არ უღალატოს ხაკუთარ თავს, არ დაემორჩი-
ლოს ბურჟუას მოთხოვნებს, რომელიც, ომში
გამდინდრებული, კვლავ იწყებს პარიზში სურა-
თების შეძენას? ეს კი თანდათან ძნელი ამო-
სახსნელი ხდება და აღბათ იმიტომაც, რომ მო-
დილიანი ახლა უფრო ხშირად „მილურსმულია
ტრაქტატის დახლს“, სწორედ რომ მილურს-
მულია მსგავსად ბლოკის ლირიკული გმირი-
სა...

იგი სვამს სწრაფად, ერთბაშად, უოველგვა-
რი სიამოვნების გარეშე, მალე თვრება. აი
სწორედ ასეთს ხედავს მას ფრონტიდან დაბრუ-
ნებული ცადკინი „როტონდაში“: „იგი გამხ-
დარა, ავადმყოფურად გამოიყურება, ბევრს ვე-
ღარ სვამს, ერთი ჭიქა ათრობს... ვინმე თავის
მეგობართან ერთად მიუჭდება მაგიდას და გა-
მუდმებით ხატავს, ხან მოულოდნელად სიმღე-
რას წამოიწყებს ჩახრინწული ხმით, სულს
ძლივსდა ითქვამს, სიმღერის სიტყვებშიც გაუ-
გებარია, მელოდიაც ძნელად ამოსაცნობი. მაგ-
რამ ეს სულაც არ აღარდებს, მაინც მღერის თა-
ვისთვის არეულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმღერას
ხრინწიანი ხმით“.

წინასწარ ვერასოდეს ვერავინ გამოიცნობდა,
რით დამთავრდებოდა, რაში გამეღაფნდებოდა
მისი ხულიერი წუხილის მორიგი შემოტევა.
ვლამინკი ამბობს: „მე კარგად ვიცნობ მოდი-
ლიანის, მინახავს მშიერი, მინახავს მთვრალი,
მინახავს ფულიანიც, მაგრამ არასოდეს მინახავს
ისეთი მოდილიანი, რომელსაც ეღალატოს თა-
ვის კეთილშობილებისა და დიდსულოვნებისა-
თვის“. მაგრამ სხვებს უნახავთ. მაგალითად,
კრიტიკოსი ა. ბაზლერი გვიყვება, როგორ მი-
ვიდა იგი მხატვარ ბრაკის პატივსაცემად გა-
მართულ ბანკეტზე. ბრაკი ახლახან დაბ-
რუნებულიყო ფრონტიდან მძიმე ჭრილობის
შემდეგ. მოდილიანი ამ ბანკეტზე არ მიუწვე-
ვიათ, შეშინებულია მისი ექსცესებისა. და აი
იმანაც შური იძია: შუა ზეიმის დროს გამოც-
ხადდა მთვრალი, კარებში გაჩერდა და შეურაც-
ხყოფა მიაყენა იქ მყოფთ. აუტუნავს სხვა დე-
ბოშებიც, რომლებიც სულაც არ უოფილი უწ-

ყინარი ნასიათასა და ხშირად მოდილიანის უბანში დამთავრებულია. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სავსებით მართალია ესაა მოდილიანი, როცა თავისი წიგნის ერთ-ერთ თავში აღნიშნავს, რომ ზოგიერთებს ჩატომდაც ახეთი სურათები უფრო ამბხოვრდებოთ და გადაშეტებულნი სიცხადითაც. არიან ადამიანები, რომელთაც არახოდებს უნახავს მოდილიანი მოცრალი. ერენბურგი დახედავით მიმტკიცებდა, რომ თავისი დროის ცხრა მეთედს მოდილიანი მუშაობაში ატარებდა. ამასვე უდასტურებს ანა ზბოროვსკიაც თავის მოგონებაში ფრანსის კარკოს. ახე იყო თუ ისე, ტრაგიკული მიდრეკილება აღკოპოლისადმი და ყველაფერი ამასთან დაკავშირებული — მოუწყობრიგებელი, მოულოდნელი და ბნელი გარკვეულ დრომდე სავსებით გამიჯნული იყო მის ცხოვრებაში მთავარისაგან, შემოქმედებისაგან. შემდეგ, სულ ბოლო წლებში, ყოველთვის აღარ იყო ასე და თვითონაც მწარე ხინანულით აღიარებდა ამას.

მით უმეტეს ძვირფასია ჩვენთვის მოგონებები, რომლებიც მის შემოქმედებით პროცესზე მოგვითხრობენ, ანდა უფრო სწორად, მოგვითხრობენ, თუ როგორი იყო იგი, როცა თავის პორტრეტებს ხატავდა, როგორი იყო მართლდარწინელი თავის მოდელთან, ყველაფრისაგან განწყენილია, როცა ყოველგვარი დახრკოლების გარეშე მთელი სისხვსით, ზეიმიით, თავისუფლად ავლენდა მხატვრის ტალანტს და ამასთან ერთად ვლინდებოდა ყველაზე დიდი, ნათელი, კეთილშობილი, რაც ეს მის ადამიანურ არსში იყო.

მრავალ ამგვარ მონათხრობთაგან ყველაზე მეტად მიყვარს ორი, ყველაზე ზუნებრივი. ყველაზე უშუალო თავისი ტონით და ამავე დროს შინაარსითაც, მინდა მთლიანად მოვიტანო ორივე ეს მოგონება, ორივე სკულპტორის ეკუთვნის. პირველის ავტორია ჩვენთვის უკვე ნაცნობი დიფშიცი:

„მას არახოდებს დაუპარკავს ინტერესი ადამიანებისადმი და ხატავდა მათ, ასე ვთქვათ, ძალდაუტანებლად. თვინდ გრძნობებისა და ხილვების მოზღვაება არ ამლევდა ნელა მუშაობის საშუალებას.

1818 წელს მე მოვაწერე ხელი სურათებით მოვაპრე დეონ როვენბერგის ხელშეკრულებაზე და ცოტაოდენი ფული გამიჩინდა. ამაზე ცოტა ადრე ცოლიც შევირთე და აი ჩვენ ორივემ, მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, გვეთხოვა მოდილიანისთვის, დაემატა ორივეს პორტრეტი ერთად. „შენ ხომ იცი, მე ამ ფრანკს

ვლებულვო ხეანსში და გარდა ამისა, ცოტა დვინოც უნდა მომიტანო“. — მოიხარ მან ჩემი თხოვნის პასუხად. მეორე დღეს მოვიდა და მრავალი წინახწარი ჩინახატა გააკეთა, ერთი მეორის მიყოლებით, განსაკუთრებით სინწრაფით და სიზუსტით. ეს პოზა ჩვენმა საქორწინო ფოტოსურათმა უპარნახა.

მეორე დღეს მოდილიანი დღის პირველ ხათზე გამოცხადდა, თან მოიტანა ძველი ტილო, სადებავები და ფუნჯები, საენსი დაიწყო. ნათლად ვხედავ, როგორ ზის იგი თავის ქვეჩარჩოსთან, რომელიც სკამზე შეუდგამს, და მუშაობს აუდელვებლად. მხოლოდ ხანდახან შეწყვეტს მუშაობას და დვინოს მოხვამს, რომელიც იქვე გვერდით, იატაკზე უდგას. დროდადრო წამოდგება, კრიტიკულად დახედავს თავის ნამუშევარს, მერე მოდელზე გადაიტანს მზერას. დღის ბოლოს გამოგვიცხადა: „მო, მგონე, დამთავრებულია“ ჩვენც დავხედეთ ჩვენს პორტრეტებს. მართლაც დამთავრებული იყო. მე ხინდისის ქენჯნა ვიგრძენი: „ნუთუ ამ ფრანკად უნდა ვიყიდო ეს ნივთი?“ აზრადაც არ მომხვლია, რომ ერთ ხეანსში ერთ ტილოზე დახატავდა ორივე პორტრეტს. მე ვკითხე, ხომ არ შეიძლება ცოტა კიდევ წაიმუშავოთ-მეთქი და მაშინვე გამოვიგონე მიზეზები დამატებითი ხეანსებისათვის: „ხომ იცი, ჩვენს ძმას, სკულპტორს, უყვარს, როცა ყველაფერი საფუძვლიანია...“ რეთილი, — შიპახუხა მან. — თუ ვინდა ყველაფერი გავაფუჭო, შემიძლია კიდევ წავიმუშავო“.

რამდენადაც მახსოვს, თითქმის ორი კვირა დასჭირდა პორტრეტების დასამთავრებლად. აღბათ, ამაზე მეტი არც ერთ თავის პორტრეტზე არ უმუშავია“.

აი მეორე სკულპტორის — დეონ ინდენბაუმის ბევრად უფრო დაწვრილებითი მონათხრობიც. სწორედ ამ წვრილმანებშია გამოხატული ყველაზე არსებითი:

„ერთხელ, სადამოს მონპარნასზე შევხვდი მოდილიანის, ამ დროს იგი სულ აღარ აქცევდა ყურადღებას თავის თავს. პირველ ყოვლისა, შევნიშნე, რომ რამდენიმე დღის გაუპარხავი იყო და მის ყოველთვის ფერმკრთალ ხატებს კიდევ უფრო აფერმკრთალებდა ახლად ამოხული შავი წვერი. იდლიაში ეჭირა დიდი საქადალდე, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა. როცა სურათების გაყიდვას დაამირებდა. მომხახლოვდა და ჩახრინწული ხმით მითხრა: „ყური დამიგდე, შენი პორტრეტი მინდა დავხატო“. მე ძალიან სკეპტიკურად მივიღე მისი წინადადება, რადგან ამაში დავინახე მხოლოდ წუთიერი სურვილი, რაც, რაღა თქმა უნ-

1 დიფშიცის მგულვ იყო შემდეგში ცნობილი პორტი ბ. კიტროსერი.

და, მეორე წუთში დაავიწყდებოდა. როცა მოდილიანიმ უფრო დაბრუნებით დახიწეთ ამაზე ლაპარაკი და თავისი განზრახვა უფრო ნათლად გამოხატა, მაინც არ დავიჭერე. ისიც ახსოვდა, რომ მე სკულპტორი ვიყავი. „ტილო გაქვს ხახლში?“ — მკითხა მან. „სადებაგები გაქვს?“ მე თანხმობით ვუპასუხე. მერე მკითხა, ჩემთვის როდის უფრო მოხერხებული იქნებოდა შეხვედრა, რომ მასაც მოეცალა ამ დროისათვის. პირველი ხეანსი მეორე დღის ცხრა საათისათვის დავნიშნეთ. ეს მისთვისაც ხელსაყრელი იყო. დარწმუნებული ვიყავი, არ მოვიდოდა, რადგან ჩვენ გვიან ღამით ვახაუბრეთ და ადვილი წარმოხადგენი იყო, რომელ საათზე ან როგორ მდგომარეობაში დაწვებოდა დასამინებლად.

მეორე დღეს კარებზე კაკუნი მესმის. მალე ცხრა საათი შესრულდებოდა და სწორედ ამიტომაც დაუჭვიატებლად მერგენა, რომ ეს მოდილიანი იქნებოდა. გავადე კარი და დავინახე მისი წარმოსადგენი ფაგურა. გავოცდი და არა მარტო იმიტომ, რომ წუხტად დროზე მოვიდა — წინააღმდეგ ჩვეულებებისა სუფთადაც გაპარსულეყო, ისე რომ ნიკაპსა და ლოყებზე ლურჯი ფერი გადაჰკრავდა. შავი ხვეული თმა გულმოდგინედ გადაეწარცხნა უკან. სახეზე ეტყობოდა, რომ ჭერ არაფერი დაეღია. კიდევ უფრო იმან გაშაკვირვა, რომ მიუხედავად ამისა, მაინც კარგ ვუნებაზე იყო.

ოთახში შემოვიდა და მაშინვე, დრო რომ არ დაეკარგა, ტილო მოიკითხა. ახლა ერთი ამბავი უნდა მოგიყვებო. ამაზე ცოტა ხნით ადრე დედა გოეტეს ქუჩაზე სურათების აუქციონი მოვაწყვეთ, რათა ცოტაოდენი ფული გვეშოვა. რამდენიმე სურათი გაუყიდავი დარჩა და აღარ ვიცოდით, რა მომხერხებინა ამ სურათებისათვის. უკან აღარავინ თხოულობდა და სურათები ჩემთან დატოვეს, რადგან მე ვხელმძღვანელობდი ამ აუქციონს. აბა ხად უნდა წამეღო? ჩემთან, სახელოსნოში ეწყო გროვად. მე ავიღე ერთი მათგანი და შევთავაზე, დაეხატა ზედ ჩემი პორტრეტი. მან აიღო ხელში ტილო, ჭერ თვალვით ახლოს მიიტანა, მერე შორს გასწია, უჭრადღებით გასინჯა, ჭიუტად გადააქნია თავი, და უკანვე დამიბრუნა: „არა, ამაზე ვერ დავხატავ!“

პირველად მომეჩვენა, უხრადლოდ ეწარებოდა მუშაობა და იმიზეზებდა ამას. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რა უნდოდა ეთქვა ამით. ამ სურათზე, რომელიც მე უმნიშვნელოდ მივიჩნიე (და ვფიქრობ, არცთუ უხაფუძვლოდ), იყო ერთი დეტალი, რომელიც მოეწონა, დაანახვანიკის რაღაც ნიშანი. მე კი ეს ვერ შევნიშნე. და აი ამ დეტალმა ნება არ მისცა, ესარგებლა ტილოთი. სურათი კედელზე მივაყუდე და მეორე

რე გადმოვიღე. ასეთივე დასინებით გასიპა მეორედ და ასევე მტკიცედ უნდა მითხრა მე უკვე ეჭვი შემეძარა, რომ ხატვით შეუდგებოდა პორტრეტის ხატვას. უფრო დაკვირვებით ამოვარჩიე ტილო. საბედნიეროდ, მესამე სურათი მისი შეხედულებით დასინებდა უმნიშვნელო აღმოჩნდა. ისე რომ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შევიძლო დავხატა ამ ტილოზე.

მაშინ ჩემი სახელოსნო მოთავსებული იყო ერთ ვიწრო ოთახში, რომელიც დერეფანს უფრო ჰგავდა. აღმათ ცხრა მეტრი მაინც ექნებოდა სიგრძე. მოდილიანიმ მოათვალაიერა ოთახი, ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე მითხრა, უკანა კედელთან სკამზე დავმჯდარიყავი. თვითონ კარებთან მოთავსდა. ამის შემდეგ დაიწყო ხატვა. მე გამაოცა იმან, რომ ხატვის დროს იშვიათად თუ გამოიხედავდა ჩემკენ. და როცა გამოიხედავდა, მაშინაც თითქოს იმიტომ კი არ შეაკვირდებოდა, რომ დაეჭირა ჩემი სახის ნაკვთები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შეემოწმებინა ის, რაც უკვე გაკეთებული ჰქონდა. მან წინახწარ შექმნა ჩემი შინაგანი სახე და ახლა მხოლოდ დროდადრო, გაკვირით ადარებდა ჩემს გარეგნულ სახესთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ სკამიდან წამოდგა და მითხრა, დღეისთვის საკმარისიაო. შემდეგ ხეანხი უახლოეს დღეს, ისევ დღის ცხრა საათისათვის დავნიშნეთ. მორცხვად, თითქოს გაუბედვად გამოემშვიდობა. მის ამგვარ საქციელში ყოველთვის რაღაც მომხიბვლელობა იგრძნობოდა.

მე მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. ვფიქრობდი, რომ პირველი ხეანხის შემდეგ ხატვე წინ აღარ წაიწევდა და დაწყებული პორტრეტი ასევე დარჩებოდა მხოლოდ ესკიზად შევცდი. მან აღახრულა თავისი სიტყვა. მომდევნო ორ ხეანხზეც ისევ ისე ამაღელვებლად ეჭირა თავი, როგორც პირველად. იგი გამოცნადდა სუფთად გაპარსული და თმაგადაფარცნილი, რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა.

როცა პორტრეტი — მშვენიერი პორტრეტი — უკვე მზად იყო, კმაყოფილებით გადახედა, ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე მითხრა: „მამ ასე. მიჩუქნია შენთვის!“

მე უკვე ბევრჯერ მქონდა გავონილი მეგობრებისა და ნაცნობებისაგან რომ უყვარდა ამგვარი დახატვები. მაგრამ არ მინდოდა, უსახუილლოდ მიმეღო პორტრეტი. მე ხომ ვიცოდი, როგორ უჭირდა. მინდოდა, ცოტა მაინც გადამეხადა. ცოტა იმიტომ, რომ ბევრი მეც არ მქონდა მაშინ. ან განა რომელ ჩვენგანს მქონდა მაშინ ფული? მაგრამ მოდილიანიმ

იწყინა ეს და შაიძულა, ხაჩუქრად მიმედო პორტრეტი.

ასე ვახდა ეს პორტრეტი ჩემი ხაჯუთრება, მაგრამ სამწუხაროდ დიდხანს არ შემორჩენია მოგეხსენებათ, რა მძიმე დრო დაგვიდგა თმის შემდეგ. ბევრი რამის გაუიდვა დამჭირდა, რათა როგორმე გამეტანა თავი და ეს პორტრეტიც მაშინ გავუიდე. მომცეს იმდენი, რამდენსაც მაშინ საერთოდ იძლეოდნენ მოდილიანის კარგ პორტრეტში. მგონი, ორმოცდაათი ფრანკი.

სინდისი მქენჯნიდა მალე ამის შემდეგ, როცა ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს, მაშინვე მოვუხუცი უველაფერი. დაინახა, როგორ ვიტანჯებოდი ამის გამო და მანუგეშა: „არა უშავს რა. მე ეს ძალიან კარგად მესმის. მეც ბევრჯერ შემშთხვევია ამგვარი რამ და შეიძლება კიდევ შემშთხვევს. არ არის დიდი უბედურება. ახალ პორტრეტს დაგიბატავ“.

ეს ამბავი 1916 წელს მოხდა. ამავე წლის ნოემბერში ახალდრო სწერდა დედას, როგორც უოველთვის. მოკლედ:

ძვირფასო დედიკო, ძალიან იშვიათად გწერ წერილებს, მაგრამ არახოდებს გივიწყებ. ჩემზე ნუ იდარდებ, უველაფერი კარგად მიდის.

მე ვმუშაობ. ზოგჯერ მტანჯველი წუთებიც დამიდგება ხოლმე, მაგრამ წინანდელივით შევიწროებული აღარა ვარ. მინდოდა შენთვის რომელიმე ფოტოხუროთი გამომეგზავნა, მაგრამ არც ერთი არ გამოვიდა კარგი. მომწერე, რა არის თქვენთან ახალი. მაგრად გპოცნი.

დედო. როგორც ჩვეულებად მქონდა, ახლაც შეაღამაწა ხურათი, დაამშვიდა დედის მღვდელარება. ეტყობა, მისგანაც არ ხურდა მიედო მატერიალური დახმარება. მიუბედავად დაძაბული მუშაობისა, „შევიწროებული“ მდგომარეობა კვლავაც გრძელდებოდა. არც „კარგად მიდოდა უველაფერი“, თუნდაც ჯანმრთელობის მხრივ.

თუმცა მომდევნო 1917 წელს ზბოროვსკის მცდელობა პირველი წარმატებით დაგვირგინდა: მ დეკემბერს მან მოახერხა გაეხსნა მოდილიანის სურათების გამოცენა ბერტა ვეილის პაწაწინა გალერეაში. ბერტა ვეილი დიდი ხანია დაინტერესებული იყო მოდილიანის შემოქმედებით და დადიოდა კიდევ მასთან სახელოსნოში. ეს ტანმოორჩილი, ახლომხედველი, მუდამ საქმიან გატაცებული ქალი ცნობილი იყო პარიზში, როგორც „უანგარო მფარველი ახალგაზრდა ხელოვნებისა“. ვერნისაჟის დღეს პოლიციაში მოიხიბოდა, ჩამოედოთ გარეთა ვიტრინაში გამოფენილი ხუთი დიდებული ნიუ, რამაც დიდად დაამწუხარა გამოფენის დიასახლი-

სიც და საცოდავი ზბოც. მხატვარს კი ბრალდებად წაუუენეს „შენდის ხელოვნება“. ამაზე აღრე კი პოლიციის სხვა ჩინოვნიკებმა, ეტრძოდ დეკავიმ და ზამარუნიყ შევედგებიის როლი გაითამაშეს და დიდუ-ხელოვნებულ შეიძინეს საკუთარი კოლექციისათვის მოდილიანის სურათები სულ გროშის ფახად. მაგრამ ესენი იყვნენ „განათლებული შემფასებლები“. ახლკი ბერტა ვეილის გალერეაზე თავდასხმა მოაწუეს მათმა ვულგარულმა კოლექტებმა, რომლებიც ნაკლებად ერკვეოდნენ ხელოვნების წვრილმანებში.

მაგრამ გამოფენა მაინც გაიხსნა. ბერტა ვეილიმ როგორღაც მოახერხა მოდილიანის ერთი სურათის გაუიდვა და საკმაოდ დიდი თანხაც მიიღო — 250 ფრანკი. მაგრამ ორი დღის შემდეგ მუიდველმა გადაიფიქრა და უკანვე მოუტანა ხურათი.

არსებითად არაფერი შეცვლილა მოდილიანის ცნოვრებაში ამის შემდეგაც, როცა რამდენიმე თვეში კვლავ მიეცა საშუალება, ეჩვენებინა თავისი პორტრეტები პარიზის ინტელიგენციის საკმაოდ ვიწრო წრისათვის — სახელდახელოდ მოწყობილ შენობაში, იგნასის ქუჩაზე. მასთან ერთად მაშინ აქ გამოფენილი იყო მატისი, კისლინგი და ცადკინი. იმავე დარბაზში სრულდებოდა თანამედროვე კომპოზიტორების, ეგრეთ წოდებული „ექვსეულის“ მუსიკა- (ხატი, ორიკი, ონეგერი, პულენეი, მილო, უერმენ ტაიფერი). დიდი წარმატებით კითხულობდნენ თავიანთ ახალ დექსებს მაქს ეაკობი, ბლუზ სანდრარი, ფან კოკტო, გამოფენილი ნაწარმოებებიდან ზოგი მგონი გაიჟიდა კიდევ, მაგრამ, როგორც უოველთვის, მოდილიანის ტილოების ყიდვის მსურველი ახლაც არავინ გამოჩენილა.

ერთ სტატიაში კოკტო მოდილიანის შესახებ წერდა: „ის იყო მზიარული, მეტისმეტად გამჭირდავი და ძალიან მომზიბვლელი ადამიანი. დარაკი წარმატება არაფერს ნიშნავდა არც ერთი ჩვენთაგანისთვის. მეფურად ატარებდა თავის ცხოვრებას, გარშემორტყმული უდავო დადებით, რასაც უოველთვის ამჟღავნებდა მისადმი ჩვენი ჩგუფი, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ბაზრისა და ფართო საზოგადოების პრობლემა“.

რა ლამაზი „ლიტერატურაა“, რა უცნაური აბერაცია, უბრალოდ რომ ვთქვათ, რა შორს არის ქეშმარიტებისაგან. არა მარტო „ბაზარი“ და „ფართო საზოგადოება“ ვერ აფასებდა ღირსეულად მაშინ მოდილიანის ხელოვნებას, არამედ მისთვის ახლომხედმა მხატვრულმა ინტელიგენციამაც არ შეუქმნა ნამდვილი ფართო რეზონანსი. ტყუილად როდი გავვენდო ფრან-

სის კარკა, მეგობრებმა „დიდი“ მიწოდეს, როცა მოდილიანის სურათების შექმნა დაიწყო და ოთახში ჩამოვკიდეთ.

მოდილიანი კვლავ განდგომილი და შეუცნობელი რჩებოდა.

ამასობაში კი მისი ფერწერული ტილოები და ნახატები, ყველაფერი, რაც გამოფენილი იყო ბერტა ვეილის გალერეაში, ისიც, რაც მრავლად გაჩუქა ან მიჰყიდა თავის მეგობრებს დაახლოებით ხუთ ან თხუთმეტ ფრანკად, ასიც, რაც ზმორავსკიმ ვერავის შეაჩერა ასეთ უმნიშვნელო ფასადაც კი და გროვად ეწყო მის ბნელ ოთახში. უოზეფ ბარის ქუჩაზე — ყოველივე ეს უკვე შემოქმედებითი აყვავება იყო ამ თვითმყოფადი, შეუდარებელი მხატვრისა.

ამ ეპოქით — „შეუდარებელი“ მე სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ მოდილიანი ყველა მხატვარზე მაღლა დგას. „შეუდარებელი“, როცა მხატვარზეა საუბარი, ჩემთვის სულ სხვას ნიშნავს: განსაკუთრებული, არავის მგავსი და, გარდა ამისა, მბრძანებელი, რომელიც გაიძულებს თითქოს პირველად იხილო ის, რაც შენთვის უკვე ნაცნობია და შესწევს ძალა, გაგოცოს ამ იდუმალთ, გაგიტაცოს თავის სამყაროში, გაზიაროს პოეზიას. ერთი სიტყვით, ის, ვინც თავისი ხელოვნებით ახლებურად გაანათებს ცხოვრებას, ჩემთვის გაუგებარია და მიუწვდომელი თავბრუდამხვევი, პირდაპირი შედარებები: სუტინი და რემპრანდტი, მოდილიანი და ბოტინელი, პიკასო და ლეონარდო, რაც ასერიგად გავრცელებულია ახლა დასავლეთში. მაგრამ, როცა ხურათების გალერეაში იტალიის აღორძინებიდან ან ელ გრეკოდან გადავდივარ მოდილიანისთან, როცა შევყურებ მის პორტრეტებს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ განელეზულა ჩემში იმპრესიონისტებისაგან, სეზანისა ან ვან გოგისაგან მიღებული შთაბეჭდილებები, როცა ვდგავარ მისი ტილოების წინ და ვიხსენებ ყოველივე იმას, რაც ძვირფასია ჩემთვის რუხულ მხატვრობაში, დაწყებული ძველი ხატებიდან — ერთხანს კვლავ მიჭაჭვული ვრჩები მოდილიანიზე. ჩემში არ არის გრძნობა გათიშვისა ან არაკონზომიერებისა. მე კვლავ ტყვედ ვყავარ „შეუდარებელი“ ხელოვნების სასწაულმოქმედებას. მარადიულის სასწაულმოქმედებას, რისთვისაც არ არსებობს დრო და მასშტაბები. ეს სასწაული თვით ნამდვილი დიდი მხატვრის ბუნებაშია მოცემული და მისი „შეუდარებლობაც“ ამ სასწაულით განისაზღვრება. ეს სასწაული ანიჭებს უნარს, დაინახოს საგანი თავისებურად და არა ისე, როგორც მიღებულია ან როგორც ხედავენ სხვები. ხელოვანი, როცა ასახავს დანახულს, თავისებურად,

პოეტურად გარდაქმნის მას, თითქოს ხელმოკრედ შობს. მთელი ურთულესი კომპლექსი მისი ისტორიული ფესვებისა, მისი სოციალური და ფილოსოფიური შეხედულებები წინასწარ განუყოფელად შესუფთავდა მის ქვეყნებს და მიმართულებას აძლევს მის შემოქმედებით ნიჭს, რომელსაც არ ხკირდება არავითარი შედარება, რადგან ამომწურავად ლაპარაკობს თავის თავზე.

„გინდათ გითხრათ, ჩემი აზრით, რა თავიებურებები განსაზღვრავს ნამდვილ ხელოვანს? — მკითხა ერთხელ უკვე მოხუცმა რენუარმა თავის მომავალ ბიოგრაფს — ვალტერ პახს. — იგი უნდა იყოს აუწერელი და მიუბამველი... ხელოვნების ნაწარმოები თავს უნდა დაესხას მკაუტრებელს, მთლიანად დაიპყროს იგი და თან გაიტაცოს. ხელოვნების ნაწარმოებში მხატვარი გადმოგვცემს თავის ვნებებს, ეს დენია, რომელსაც იგი გამოუშვებს და იზიდავს მკაუტრებელს თავისი სამფლობელოსაკენ“. მე მგონია, მოდილიანის ზოგიერთი ნაწარმოებისათვის, ყოველ შემთხვევაში მოწიფულობის ხანაში, ამგვარი განსაზღვრება სავსებით მისაღებია.

მე კედელზე მიკიდია რეპროდუქცია ერთი მისი ყველაზე სახელგანთქმული პორტრეტისა — „შავმალსტუხიანი ქალი“ — ასე ეწოდება ამ პორტრეტს. ეს სულაც არ არის უნიკალური, უბრალოდ კარგი, ფრანგული რეპროდუქციაა, თითქმის ორიგინალის ზომისა და, როგორც ამბობენ, ფერთაც ძალიან ახლოს დგას ორიგინალთან. უბრალოდ არსია შემოვლელი ქალაქი, მაგრამ საოცარ თვისებებს ამჟღავნებს. ქალის ნაზი, ფიქრიანი სახე, ოდნავ პროფილში შებრუნებული, გადაწეული მარცხენა მხარეს ცივი, მშფოთვარე ფონისაკენ, ყოველთვის სხვადასხვაგვარად ანათებს, სხვადასხვაგვარად ცხოვრობს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება ამინდი, დრო, ანთებულია თუ ჩამქრალი ღამაა. ხან გაფერმკრთალებულია, ხან უცებ აენთება, ხან გერქვება, რომ სიწითლემ გადაურბინა ღოუებზე. ოდნავ გვერდზე გადახრილი, მკვეთრად მოხაზული თავი ხან ზევადან ქვევით ჩამორბენილ, ჩამორცხნილი ხაზებით ერწყმის დაქანებულ, ამალელებულად ვიწრო მხრებს. ხან რაღაც მძიმედ გაიყინება, უცნაურად გაითიშება აენთებიან, ქრებიან და უცებ კვლავ მარგალიტებად აციმციმდებიან თეთრი კოფთის ნახევარტონები. მზის სხივს შეუძლია სავსებით გამჭვირვალედ აქციოს საყდოს გამოყვანილი ბოლოები და მაშინ განსაკუთრებით თვალშიხაცეში ხდება მისი კონტრასტი და უდევრად გასკვნილ შავ მალსტუხთან. გერქვება, თითქოს მკერდი სუნთქავს ამ მსუბუქი, გამჭვირვალე მატერიის ქვეშ. ჩაქრება სხივი

და აღარც კოფთაა გამჭვირვალე, ჭიაფერის ტუჩები თითქოს ოდნავ ეკუმშება, იყინება თმის ვარცხნილობაც, მხოლოდ ერთი რამ რჩება უცვლელი: მოქანცული, საყვედურით ხავსე გამოხედვა ამ უცნაური თვალებისა — ოდნავ შეღებილი წამწამები, უპეებში ჩაწოლილი მწვანე ჩრდილები და თითქმის გაურკვეველი, გამდნარი თვალის გუგები.

ჩენუარს სულის ყვივლად აღმოხდა ერთხელ: „რა დიდებული მხატვარი უნდა იყო, რეპროდუქციას რომ გაუძღვა!“ მაგრამ როცა შეეყურებ ამ სურათს — „შავბალსტუნიანი ქალი“ — მარტო ამაზე როდი ვფიქრობ. ნუთუ ასეთი ონტატობა, ასეთი სრულყოფილი ზომიერება, ასეთი უფაქიზესი ნიჟანსები, შინაგანად თანდათან შემზადებული ემოციური ძალის ამგვარი მომხიბვლელობა, რაც ჩვეულებრივი იყო მოდილიანისათვის, შეიძლება წარმოიქმნეს თითქმის იმპროვიზაციულად? ერთი ან ორი სიანსის შემდეგ? სახელდახელოდ? რაღაც ახალგაზრდა მოცარტიხეული იგრძნობა ამ სისწრაფესა და განხორციელების სრულყოფილებაში, ამ მხატვრისათვის უკვე მიღწეულ მთლიანობაში, ფორმის გარდუვალობაში, რაც შემოქმედებითი წამიერებით არის ნაკარნახევი.

მას არ შეეძლო ხანგრძლივი მუშაობა, თავისი შემოქმედების განაწილება დროში, ისევე როგორც არ შეეძლო „ხატვა ნატურიდან“. იგი ეუბნებოდა მხატვარ სიურვას: „მუშაობისათვის მე შიირდება ცოცხალი ადამიანი, უნდა ვხედავდე მას ჩემ თვალწინ“. „მაგრამ სამუშაოს დამთავრება განმარტოებითაც შეეძლო“, — თითქოს უმატებს ამას ა. სალმონი და გვიყვება, როგორ სთხოვა მოდილიანიმ მენატურე ქალს, გაეხადა ტანსაცმელი, დიდხანს აკვირდებოდა, შერე ისევ სთხოვა, ჩაეცვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ხატვას.

ქალბატონი სიურვასის პორტრეტის შესაქმნელად კი ხაკმარისი აღმოჩნდა, ქალბატონი სიურვასი როიალთან დამჭდარიყო და დაეკრა მისთვის რაიმე. ხანამ იგი რაველის პიესას უკრავდა, მოდილიანი დაჟინებით აკვირდებოდა. „ეს სავსებით ხაკმარისია“, — თქვა მოდილიანიმ და გამალებით შეუდგა ხატვას. მეორე დღეს პორტრეტი უკვე მზად იყო.

მაგრამ ამოდ ნუ დაუწყებთ ძებნას მოცარტიხეულ პარმონიას მოდილიანის მიერ შექმნილ ფიგურებსა და სახეებში. როცა უყურებ მის ბავშვებს თუ მოზარდებს, კუთხეში მიკუნჭულთ ან სკამზე მიკრულთ უხერხულ, ნაძადადევ პოზაში, ხედავთ მათ უსიცოცხლო ღიმილს, დაძაბულ ხელებს, ან როდესაც უყურებთ მის „ხალხის შეილს“ ან ტრაგიკულ „სუტინს“, მის ყრუ მწუხარებით გაყინულ თვალებს, თქვენ გრძნობთ.

როგორც „დიდი გულშემატკივარი“ იგი, რა ნაცნობია მისთვის დამცირებულის მწუხარება, როგორ გრძნობს სულის იდეალურ ძრწოლას. მას შეუძლია მოლაღატოვრობა, შემამჩნიოს წმინდა, დაულაქავებელი სულის იდეალური გარყვნილება ამოკითხოს მკერდზე ჩამოკიდებული ოქროს ჯვრის მიღმა. ეს უკვე მოცარტიხეული კი არა, უფრო დოსტოევსკისებურია, რომელიც ჯერ ისევ ჭაბუკობიდანვე ანლობელი გახდა მისთვის. მისი „ადამიანური კომედიის“ პერსონაჟებს შორის შეხვდებით ბავშვებს, რაღაცით რომ გვაგონებენ ხან ნელის, ხან ნეტოჩკა ნეწვანოვას, შეხვდებით ქალიშვილებს, რომლებიც ნასტენკას გვანან ანდა ქალებს, რომელთა ტრაგედია რაღაცით გვაგონებთ ხონია მარმელადოვას ტრაგედიას.

რუსულმა მეცხრამეტე საუკუნემ გვასწავლა, რომ სახის ფსიქოლოგიური სიღრმე განუყოფელია გარემომცველი და მასზე მოქმედი ცოცხალი სამყაროსაგან. მოდილიანისთან კი ეს სულ სხვაგვარად არის: იგი ფსიქოლოგია, მაგრამ სულაც არ არის ყოფიერების ამსახველი. უბრალო ფსიქოლოგია კი არა, ხანის ფსიქოლოგიური დანალექი განსაზღვრავს, ჩემი აზრით, მის შემოქმედებით სიმწიფეს. ხასიათი და ბედი თითქოს კარნახობენ ფერწერას. ეს ჩანს ყველაფერში და ყოველთვის ახლებურადაა გადაწყვეტილი ერთი და იმავე ან სხვადასხვაგვარ ხერხით: კომპოზიცია, ფონის შერჩევა, ფერების განსხვავებული ნაჭერობა, ფუნჯის სხვადასხვაგვარი მოხმა. ეს ჩანს მცირერიცხოვანი დეტალების განმეორებაშიც, რომლითაც გარშემორტყმულია მისი მოდელი. ზოგჯერ ეს თავს იჩენს სხვა მიმართულებების ხერხების გამოყენებაშიც, იმპრესიონიზმის, კუბიზმის, ფოვიზმის ხერხების გამოყენებაში, რომლებიც თავიანთი არსით უცხონი არიან მისთვის. ფსიქოლოგიური განსაზღვრულობა სულაც არ ეწინააღმდეგება ბევრი მისი პორტრეტის ზოგად დასაბუთებას: „ქალიშვილი“, „ახალგაზრდა ქალი“, „ცისფერთვალა ქერა ქალი“, „მჭდომარე ბიჭი“. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას:

ამ მხატვრის მიშველი ნატურაც კი პორტრეტულია. მისი ნიუ თითქმის ყოველთვის გადმოგვცემს ხასიათსაც, ბედსაც, სულიერი არსის განუმეორებლობასაც, ოღონდ ყოველივე ეს უფრო ღრმად არის ჩამარხული, ვიდრე მის ტანსაცმლიან მოდელეებში. სახელგანთქმულ, წითელ დივანზე წამოწოლილ მილანელ ნიუსა (ჯანი მატიალის კოდეცია) და არანაკლებ სახელგანთქმულ მჭდომარე, თვალდაბუჭულ ნიუს შორის (დონდონის კურტოს ინსტიტუტი) ფსიქოლოგიურად მთელი უფსკრულია.

მოდილიანის ზოგიერთი ნიუ ხავსებით „დე-

კადენტურია“. ავადმყოფურად დაკლაკნილი, უსიამოვნო მიგნებებით, ზოგჯერ ზიზღისმომგვრელიც კი, მაგრამ მათ შორის ვერ ნახავთ ისეთს, სული რომ არ ჰქონდეს. ამ უანრის საუკეთესო ქმნილებებში მოდილიანის ტილოებზე შიშველი სხეული ამალღებულ პოეზიად იქცა. ამ პოეზიის საიდუმლოება არა მარტო მოდილიანის მიერ აღმოჩენილი ნათელი, თბილი, „ხორციელი“ ფერების არნახულ ხინთეზშია მოცემული (უნაწესი შერწყმა ოხრისა ნარინჯის ფერთან, მოვარდისფრო, ოქროსფერ და ბაც მწვანე ფერებთან), არამედ იმ მთრთოლვარე გასულიერებაში, რომელსაც ვერასოდეს ვერ ახსნი მარტოოდენ ოსტატობით.

მსოფლიო კატასტროფის წლებში მოდილიანის შემოქმედებაში უფრო მძაფრად გამოიკვეთა, რა არის მისთვის უარსაყოფი და რა არის მისადები, გამოიკვეთა მისი „მო“ და „არა“, რაშიც გარკვევით აიხაზა სოციალური და ეთიკური შინაარსი. ახლა იგი უფრო გაბედულად სდებს მხჯავრს ირგვლივ მყოფთ და მათ აშკარა დიფერენციაციას ახდენს. დევი, სატირული „საქორწინო წყვილი“ იშვიათ მოვლენად დარჩეს მის შემოქმედებაში. მას მაინც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება (სხვათა შორის მსგავსი წყვილი არსებობს მის ნახატებშიც, მოდილიანის ადრეულ ფერწერულ ტილოებში კი ამას წინ უსწრებს ირონიული „ამაზონკა“, რომლის ამპარტავნული მაღალსაზოგადოებრიობა ხაზგასმულია ტუღუშ-ლოტრეკის ხტილში). კარგად დააკვირდით მის „საქორწინო წყვილს“. მხოლოდ პირველი, ზერედე შეხედვით შეიძლება ვაგახსენოთ ამან „უთანაბრო ქორწინების“ თემა. არა, ეს არის ორი თანაბრად თვითკმაყოფილი კერპის უსულგულობა, ეს არის ორი „მამლარის“ პორტრეტი. ქალის გამოსხედე უფრო მეტად ბოროტი და გესლიანიც კია, ვიდრე მამაკაცისა. თმების მოდური წყობა და უზარმაზარი საყურეები სავსებით შეესაბამება შედებილ, გადაბრებილ უღვაშებს, ჩამოგრძელებულ ნაცრისფერ ნიკაქს და წინ წამოწეულ გახამებულ გულისპირს, პლანთა აღრევა, სხეულთა გეომეტრიულობა, ფერების პროზაული ხიმამდრე, კომპოზიციის სწორბაზოვანი, მშრალი ხიმეტრია — ყოველივე ამაში ჩვეულებრივ ხედავენ მოდილიანის სიახლოვეს კუბისტურ ხერხებოან. მაგრამ აქ ეს ხერხები უფრო მეტად ამძაფრებენ მხატვრის სარკაზმს.

თუმცა ამ წლებში და შემდეგაც მოდილიანი ამჯობინებს დახატოს არა მამლარი პარნიული ბურჟუა, „ცხოვრების ბატონ-პატრონი“, არამედ ისინი, ვინც სულიერად ახლოს დგანან მასთან: მაქს ტაკოვი, პიკასო, ხანდრარი, ზბო-

როვსკები, ლიფშიცები, დიეგო რივერა, კისლინგი, მოქანდაკეები — ლორანი და მეშჩანინოვი, უჩვეულოდ კეთილი ექიმი დეკრენი, სამხედრო ფრენჩით, აქტიორი გაეტონ მოდო დასვენების დროს, გულგადადებული ბერანგიო, ვიდაც კეთილი, ვალარა პრინციპული ნოტარიუსი ჩიბუხით ხელში, ვინმე ახალგაზრდა გლეხი მუხლებზე დაწყობილი, დასვენებას მიუჩვეველი ხელებით და მრავალი თავისი მეგობარი პარნიის მდაბიოთავან.

მოდილიანის შესწევს უნარი გაამოეტუროს ადამიანის სახე, რომელიც მას უყვარს და აფასებს, აამაღლოს იგი ყოველდღიურობის პროზიდან. აი, მისი „ანა ზბოროვსკაიას პორტრეტი“ რომის თანამედროვე ხელოვნების გაღერეიდან. რალაც დიდებული იგრძნობა მის შინაგან სიმშვიდეში, დირხებასა და უბრალოებაში, თვით მის ქალურობაშიც. ფუშფუშა თეთრი საყულო მარჯვენა მხარეს და უკან მალა აწეული, თიქოს ოდნავ აკავებს მოდელის თავს მუქ წითელ ფონზე. ტყუილად როდი მოეჩვენა იგი ერთ-ერთ კრიტიკოსს ესპანელი მეფეების ატირიბუტად.

ახე ხატავდა იგი მეგობრებს. მაგრამ არავითარ მეგობრობას არ ძალუძს დაბინდოს მისი თვალის სამახვილე (ვლამინკი იხსენებს მის მბრძანებლურ გამონხედვას მოდელზე მუშაობის პროცესში). იგი მეგობარსაც ვერ ამატიებს იმას, რაც არ მოსწონს, რაც ყოველთვის უცხო იქნება მისთვის და მტრულ გრძნობას აღუძრავს: ასეთ შემთხვევებში მოდილიანი ირონიული ხდება და ზოგჯერ თითქმის ბოროტიც.

აი, ბეატრისა ჰესტინგის — მისი თავდაჭერებული, პირვეული ქედმადლური სახის გამომეტყველება. აი, მოწყენილი, თითქოს ადამიანების მიღმა მწიკრალი, პრეტენზიული პოლგიომი, განზრახ დაუდევრად დაყრდნობილი ხკამის ზურგს, მოდილიანი მშვენიერად იცნობდა უან კოკტოს, როგორც არჩვეულებრივი ნიქით დაჭილდოებულ ადამიანს. იცნობდა მის ნათელ, მახვილ გონებას, მის მრავალწახნაგოვან ტალანტს — პოეტს, მხატვარს, კრიტიკოსს, შესანიშნავი ბალეტების შემთხვეულს, რომანისტსა და დრამატურგს. მაგრამ ამავე დროს კოკტოს ხომ „ელეგანტური ბობემის ხტილის“ დამაარსებელი იყო, „გამომგონებელი მოდებისა და იდეებისა“, „ფრთიანი ცბიერების“ და „სიტყვის აკრომატის“ განსახიერება, უბადლო ოსტატი სალონური საუბრისა — ყველაფერზე და არაფერზე. სწორედ რალაც მეგობარი გრძნობა მოდილიანის მიერ შესრულებულ კოკტოს პორტრეტში, სადაც იგი თითქოს წინასწარ არის შეფარდებული გადაშეკრ-

ხულად ამადლებულ ხკამის ხაზურგესთან და კომფორტაბელური, მოდური საგარდლის ხახე-
ლურებთან. პორტრეტი მთლიანად შედგება
სწორი ხაზებისა და მახვილი კუთხეებისაგან
— შხრები, იდაყვები, წარბები, ცხვირის წვე-
რიც კი. ცივ დენდიშზე მეტყველებს მისი პო-
ზაც, მეტისშეტად ელევანტური ლურჯი კოს-
ტუმიც და უნაკლო მადსტუხის ბაფთაც.

ჩემთვის მიუწვდომელია მოდილიანის სტი-
ლისტიკის ამომწურავი, ობიექტური ანალიზი.
მაგრამ არის ამაში რაღაც ხაერთო თავისებურე-
ბანი, რომელიც მაშინვე თვალში ეცემა დაკვი-
რვებულ მაყურებელს. მაგალითად, შეუძლებე-
ლია არ შენიშნოთ, რა მრავლად არის მის შემოქ-
მედებაში, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში,
დაუმთავრებელი ნაწარმოებები, უფრო სწორად
ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც დაუმთავრებ-
ლად მიიჩნევდნენ სხვა მხატვრები. ზოგჯერ
ეს შეიძლება მოგეჩვენოთ ესკიზ.დ, რომლის
დამუშავება და დასრულება რატომღაც არ
ხურს, შეიძლება იმიტომ, რომ მეტისშეტად
უფრთხილდება პირველ შთაბეჭდილებას. ზო-
გჯერტებს ეს აღიაზიანებს. ლაპარაკობენ გაუ-
მართლებელ პირობითობაზე, არაზუსტ ფერწე-
რაზეც კი. ხუან გრისს აქვს ერთი აფორიზმი:
„ხაერთოდ უნდა ვიხწაფოდეთ კარგი ფერწე-
რისაკენ, რომელიც ყოველთვის პირობითია და
ზუსტი. წინააღმდეგ ცუდი ფერწერისა, რომე-
ლიც არც პირობითია და არც ზუსტი“.

იქნებ ეს დაუმთავრებლობა, შერწყმული ოს-
ტატის უფლებამოსილებასთან, არის ის მთავა-
რი ძალა, რომელიც გვიზიდავს მოდილიანისაკენ?

ლიონელო ვენტური და მისი შემოქმედების
სხვა მკვლევარებშიც დარწმუნებული არიან,
რომ სტილისტური თავისებურების საფუძვე-
ლი არის ხაზი, რომელსაც თითქოს თან მიჰ-
ყავს ფერი. მართლაც, ნარნარი რბილი ანდა
პირიქით, მკვეთრი, უხეში, უტრირებული,
გამსხვილებული ხაზი ხანდახან არღვევს რეალუ-
რობას და ამავე დროს წარმოაჩენს მის მოუ-
ლოდნელ, გასაოცარ ოვისებას, თავისუფლად
გამოავლენს ერთმანეთზე დაწყობილ პლანებს
და ქმნის სიდრმის, მოცულობის, „უნილავის
დანახვის“ შეგრძნებას. ხაზი თითქოს წინ წევს
მოდილიანისებურ მშვენიერ „სხეულოვნებას“,
უნაზეს ფერთა ნიუანსების თამაშს, ფერების
გადახვლას ერთმანეთში, რაც შინაგანი სითბო-
თი და სინათლით ავსებს მას და გვაიძულებს
ვიგრძნოთ მისი სუნთქვა, მაჯისცემა.

უნა მოდილიანი მაშის მხატვრობაში ხაზს
უნოდებს, „დიადექტიკურ კავშირს ზედაპირუ-
ლსა და სიდრმისეულს შორის“. განსაკუთრე-
ბით აღნიშნავს, რომ ხაზს არ გააჩნია არავი-
თარო თვითკმარი ფუნქცია, გარდა მცირე გამო-

ნაკლისისა (ერთ ასეთ გამონაკლისად მიაჩნია
ლიუნია ჩეკოვსკას ცნობილი პორტრეტი პრო-
ფილში.აქ, მისი აზრით, მოდილიანის ხაზი
„თვითკმარობის“ ფუნქციას იძენს თავისი
გასაოცარი დეკორატიულობით. მაგ-
რამ ეს ხდება პლასტიკური კანონების შეწირ-
ვის ხარჯზე, რაც ბევრად უფრო არსებითია).

როგორც მეგობრები იხსენებენ, მოდილიანიმ
ხაზის თავისი, განსაკუთრებული გრძნობა ჯერ
კიდევ ხიჭაბუკეში, მიქელის გაკვეთილებზე გა-
მოამუღვნა. ახლა კი, შემოქმედებითი სიმწიფის
წლებში, იგი აღწევს ხაზისა და ფერის ხრულ
პარმონიას. მოდილიანის ნოვატორული გამბე-
დაობა წარმოშობს ხაზს, ხაზობრივ ექსპრესიას,
როგორც შემოქმედებითი ხილვების განმსაზ-
ღვრელ კონსტრუქციულ ელემენტს. მაშინ რო-
ცა პარიზის სკოლის უველაზე ნიჭიერ წარმო-
მადგენელთა უმეტესობა თითქმის უგულვებელ-
ბყოფს ამას. შეხამებას, ხაზის სინთეზს შერჩე-
ული ფერის ზონებთან, რომელიც პიკასოს და
რივერას პორტრეტებში თითქმის ასკეტური
იყო, ახლა იგი მიჰყავს ერთდროულად მოცუ-
ლობრივი ხისრულისა და ფერწერული სახის
კოლორიტულ შეჯვარებულობასთან. ამასთან
ელფერთა სიმრავლე ან ემორჩილება სურა-
თის ფერის დომინანტობას ანდა ეხმარება და
ხორცს ახხამს მის ძირითად კონტრასტს. იგი
ამოდელირებს ფორმას ფერით და მონახაზით,
არ მიმართავს შუქჩრდილებს და ამავე დროს არც
ფერადოვანი ლაქების დეკორატიულობა იზიდავს.

უნებლით ყოველთვის იპურობს ყურადღე-
ბას მისი ხურათების ფონი, გვეჩვენება, რომ ამ
მხატვრის სურათების ფონი სხვადასხვაგვარად
მრავალმეტყველია. იგი მონაწილეობს პორტ-
რეტის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში, ქმნის
რიტმს და პორტრეტის ემოციურ ატმოსფეროს.
ფონი იშვიათად არის პეიზაჟური და არასო-
დეს არ არის ყოფით-აქსესუალური ან არქიტექ-
ტურული. სამაგიეროდ მისი კოლორიტი ყოველ-
თვის განუყრელად დაკავშირებულია სახი-
სა და ფიგურის კოლორიტთან ხან კონტ-
რასტით, ხან უნაზესი შერწყმით, ზოგჯერ
ნაკლებად შეხამჩნევი, მაგრამ ყოველთვის საგ-
რძნობი გამოძაბილით. შერწყმა და ხაზი გადა-
სვლები კონტრასტზე არანაკლებ შთაბეჭდი-
ლებას ახდენენ: ქერათმიანი ქალის თავი მუქ-
წითელ ფონზე; ცისფერის ყოველნაირი უნა-
ზესი ნახევარტონები ოთახის კედლებზე, რომ-
ლის კუთხეში დგას ცისფერკაბიანი გოგონა,
ფარული ცეცხლით დატენილი ფონი უველაზე
მხურვალე, უველაზე ოხრისფერი, უველაზე
მგრძნობიარე ნიუხათვის.

ინტერიერი, გარემო, საგნები? ესენიც მონა-
წილეობენ, მაგრამ განსაკუთრებულად შეზღუ-

დული რაოდენობით, თითქოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისათვის. ეს შეიძლება იყოს ოთახის ცარიელი კუთხე, შიშველი კარი, ფანჯარა, რომლის კლავიატურა, გაწყობილი საწოლის ნაწილი ბალიშით ან დივანი მუთაქით, რესტორნის მაგიდის ნახევარწრე, სავარძელი, სკამი, ხალიჩის ნაწილი, მარაო, ხელჯობი, ბოთლი და სასმისები, ჩარჩოში ჩახმული ოდნავ შესამჩნევი ხურათი მხატვრისა ან კოლექციონერისათვის, პალიტრა და ფუნჯი ავტოპორტრეტისათვის. ტანსაცმლის ან თავსამკაულის მოლა თავისთავად არ აინტერესებს, არ იტაცებს, მაგრამ თუ ამას ხაზს უხვამს, მაშასადამე ეს საჭიროა მისთვის, რათა უფრო ზუსტად გახსნას თავისი მოდელის არსი. ისეთი პორტრეტები, რომლებიც შექმნილია ეფექტური ფერწერული ლაქისათვის, კაბის, კოსტუმის ან პალტოს ფერისათვის, ჩემის აზრით ხერხოდ არა აქვს მოდილიანის, იგი არახოდეს არ უდრ-შავდება წვრილმანებს, მეორეხარისხოვანს, მას ხურბს ყოველთვის მთავარზე ილაპარაკოს, მოულოდნელად, წინასწარი შემზადების გარეშე და ამავე დროს იმ ავადმყოფური მგზნებარების გარეშეც, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისი მეგობარი სუტინისათვის.

შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში მოდილიანი, ბოლოს და ბოლოს, თავის მხატვრულ ტილოებში აღწევს სრულყოფილ გამჭვირვალეობას, სინათლის და ფერთა ნაჭერობას, რომელთა უქონლობას ოდესღაც ასე განიცდიდა მომმარტრზე. მის ნაწარმოებებში ახლა ახლებურად აისახა ერთგულეობაც იტალიური გატაცებებისადმი, სეზანის გაკვეთილებიც, სკულპტორის საკუთარი გამოცდილებაც და, რაც მთავარია, შეგნება საკუთარი სრული უფლებამოსილებისა—თავისებურად, სრულიად თავისუფლად მოახდინოს ნატურის დეფორმირება იმ აუცილებელი უმაღლესი გეშმარტებისათვის ხელოვნებაში, რისკენაც ისწრაფვის.

თუ თავის მხატვრულ ტილოებში მოდილიანი უმთავრესად ღირსეოსია, მისი „ღირსეოსი მე“ კიდევ უფრო აშკარად იკითხება ნახატების ქადოსნურ სამყაროში.

უპირველეს ყოვლისა, გაცხობთ მისი გრაფიკული შემოქმედების ეს შეუწყვეტილი, თითქოს შეუჩერებელი დინება, რომელიც ნამდვილად არც ერთი დღით არ შეწყვეტილა. ნახატი — მისი ხელობაა, მისი ერთადერთი რეალური შემოსავალი (თუნდაც ერთი გიჟი ყავისა ან ერთი თეფში მაკარონისათვის), ის მისი ყოველდღიური საქმიანობაა.

მისმა ყოველდღიურმა, მუყაითმა შრომამ „როტუნდასა“ და „კაფე დიუ დომის“ ტერასაზე შეიძლება რომელიმე შემთხვევით სტუ-

მარს გაახსენოს რაღაც ხელმარჯვე „სილუეტის ხუთწუთიანი გამოჭრა“ ანდა „ხელწერის ფსიქოლოგიური გაშიფვრა“. კოცნა ადარებს მას ბოშა ქალს, რომელიც ძალიანალად მოგიჯდება მაგიდასთან და გაიძულდება ამკითხავებინო ხელზე. შემდეგ ამ შედეგებს მრავალმნიშვნელოვნად უმატებს: „სეზანის დასახრულს თქვენთვის ნათელი გახდება, ვისთან გაქვთ საქმიე“. სხვა შემუარებშიც ნახატები ასე თუ ისე, მუდამ თან ახლავს მოდილიანის — ხან დაუდევრად გაფანტული სახელოვნოს იატაკზე, ხან სახელოვნოს კუთხეში მიყრილი, ხან ყავის მაგიდაზე მიტოვებული, ხან კი ხელში უპყრია, როგორც სულ ახლახან შექმნილი ნაწარმოები.

მოდილიანის ნახატები მისი დღიურია და ამავე დროს უველაზე ინტიმური, უველაზე პირდაპირი საუბარი იმასთან, ვინც ჩააბა საუბარში — მისი უარყოფა თუ აღიარება, გატაცება თუ მსჯავრი.

მისი უველაზე გაკრული ნახატიც კი არახოდეს არ არის აჩქარებული და ნევროზული. „ერთი ხელის მოსმით“, თითქოს ქალღიღინი ხელმუღებლად შესრულებული ნახატიც კი იშვიათად თუ არის დაუმთავრებელი.

ბევრი „მოდელი“ ადასტურებს თავის მოგონებაში, რომ იგი ხატავდა „უცებ“, „შესწორების გარეშე“, „რამდენიმე შტრიხი და მზად არის“. მხატვარი ბაკტი ლაპარაკობს მოხამზადებულ ჩანახატზე, რომელიც გააკეთა მოდილიანიმ, ხანამ მისი პორტრეტის ხატვას შეუდგებოდა: „შებდეთ, რა სიზუსტითაა შესრულებული, სახის ყოველი ნაკვთი თითქოს ნემსითაა ამოტვიფრული და არსად არც ერთი შესწორება.“

როგორც ჩანს, მოდილიანიმ ნახატებში უფრო ადრე მოიპოვა თვითმყოფადობის სისავსე, ვიდრე ფერწერაში. როცა ლაპარაკია ტულუზ-ლოტრეკის ან სტეინლენის გავლენაზე, მკვლევრები ერთ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს გავლენა მხოლოდ მის ადრეულ ნაწარმოებებს შეეხო და იგი წარმავალი იყო. ამბობენ, რომ მრავალი მისი ნახატის დათარიღება ძნელია ანდა საერთოდ შეუძლებელია. მაგრამ ხანდახან გგონია, რომ საკმარისია გაჰყვე მოდილიანის ცნობების გზას ხაზთა სიმრავლიდან და გამოსახულების წვრილმანებიდან — უკიდურეს უბრალოებამდე, შექმნის აუცილებლობამდე. ზოგჯერ ეს ოდნავ შესამჩნევი დაკავშირებაა მცირერიცხოვანი და უფაქიზესი შტრიხებისა, ხან მოულოდნელად შეწყვეტილი, ხან კვლავ დაქერილი, მერე ისევ გაგრძელებული და კვლავ უცებ შეწყვეტილი ხაზებისა და არაბეჭებებისა. ვიდაცამ მის ოსტატობას „მთვარეულის თვითდაჭერება“ უწოდა...

მოდილიანის ნახატების პარმონია იმდენად მყარია და იმჯერ მთლიანობაში აღიქმება, რომ არასპეციალისტისათვის თითქმის არ არსებობს არაფერთარი მისი ელემენტო განცალკევებით. მაქს უაკობის პორტრეტზე თითქმის არ არსებობს კონტრასტი თავისა და ხახის ნაკვეთების მკვეთრ აბრისსა და ოდნავ მინიშნებულ მხრებისა და ნამდვილად „გამარტივებულ“ ხელს შორის (თითქოს ბავშვს შემოუხაზავს თავისი ხელის მტევანი ქალაღდზე) და შეიძლება შინაგანად ეს ნაკლებმნიშვნელოვანი არ არის. ვიდრე მოწყენილი, ფართოდ გახედილი, პირდაპირ თქვენკენ მომართული თვალების გამომეტყველება. სხვა ნახატებზე ვხედავთ გაუწყმენდავ ნახევარმონახაზებს, განზრახ დატოვებულ „ტუჭუს“. მოდელის სახელს, რომელიც სხვადასხვაგვარად არის მიწერილი — ხან ნახტვდი ასოებით, ხან გაკრული ხელით, სხვადასხვანაირად არის განლაგებული თავის ირგვლივ ანდა სადმე კუთხეშია მიწერილი. ვხედავთ ისეთივე სიმკაცრით შერჩეულ გარემოს დეტალებს, როგორც ფერწერულ ტილოებზე: ოდნავი შეხებით აღნიშნული, არა მკაფიო, გადაკვეთილი, თითქმის მინიშნებამდე დაყვანილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს დეტალები ძალიან ბუნებრივად წარმოგვიდგებიან და იკავებენ მიჩნეულ ადგილს. ყოველივე ეს უნაზეს კავშირშია ხახესთან, თვალებთან, პოზასთან და ყველაფერი შეუმჩნეველად შესულია არა მარტო პორტრეტის ატმოსფეროში, არამედ თვით პორტრეტშიც.

აქ ყველაფერი გაოვალისწინებულია, ყველაფერი აღრიცხულია, ყველაფერი იძენს არსებობის უფლებას მხოლოდ იმ წუთიერი ინტუიტიური ამოცნობის წყალობით. ეს ამოცნობა უპარნახებს მხატვარს თითქმის ყველაფერს, უცვვე კარნახობს თვით ყველაზე განსხვავებულ ტექნიკასაც, თუ რას ამოიჩვენებს მხატვარი: უბრალო თუ მსხვილ ფანქარს, ნახშირს, ტუშს, პელანს, პასტელს აკვარელს თუ შერწყმას ფერად ფანქარისას ზეთთან, თუ გრიფელს, რომელიც ხან წაშახვილებული წვერით დაცურავს ქალაღდზე, ხან მთელი სიბრტყით. ამ ამოცნობის სიძლიერე განსაკუთრებით გვაოცებს უფრო ლაკონურ ნახატებში, სადაც ხახის განუმეორებლობა არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ აქვია ესა თუ ის ნაკვთი, სადაც არაფრით არ არის გამოხატული, მაგრამ მაინც რეალურად იგრძნობა სხეულის სიმკვრივე, სადაც თავის შებრუნებაში ან პოზის მინიშნებაში, არარსებულ გამოხედვაში ან პიროქით, დაფინებულ მზერაში შესაძლოა უეცრად იჩინოს თავი თვით არსმა.

რეტებთან ერთად, ასევე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად არის შესული სხვა ნახატებიც. ნახატები „დედობის“ ტაძრისა თუ „ცოდვილი განსაწყმენდელში“ ან „თეატრალური სახეები“, მრავალი ნიუ, რომელიცაა ბევრი თავისი პოეტურობით და ხახის დასრულებით არაფრით ჩამოუვარდება მის ფერწერულ ნიუს. ასე მრავლდებიან ნახატები, შეუწყვეტელ ნაკლად მიედინებიან, რუიდებიან თითო ფრანკად, ზოგჯერ საჩუქრადაც რიგდებიან და შემთხვევით ადამიანებს უფარდებიან ხელში. ზოგი ნახატი დღესაც ხელიდან ხელში გადადის. ამით ვაჭრობენ აუქციონებზე ვეროპასა და ამერიკაში, სადაც ისინი მტკიცე ვალიუტას წარმოადგენენ. მოდილიანიმ თვითონაც იცოდა ამ ნახატების ფასი, მაგრამ უნდოდა სხვანაირად შენახულიყვნენ ეს ნახატები. სხვანაირად დაეფასებინათ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი შემთხვევით წარმოიქმნებოდნენ. ამის ერთი დამაჯერებელი დადასტურება მივიღე ლადო გუდიაშვილისაგან, საქართველოს სახალხო მხატვრისაგან, რომელიც კარგად იცნობდა მოდილიანის. აი რა მომწერა მან, როცა გამომიგზავნა მასთან შემონახული მოდილიანის ნახატების ფოტოები: „მინდა მოგიტხროთ ისტორია მოდილიანის ორი ნახატისა, რომლებიც თვით მან მაჩუქა. ერთხელ კაფე „როტონდაში“ ერთმანეთის გვერდით. ვისზედით. ვლაპარაკობდით ხელოვნებაზე, კადრაკზე, მოდებზე, იაპონელ მხატვარ ფუუიტას ცხოვრებაზე, marchands detableau-ის შეუბრალებლობაზე, ცხელ კრუასანებზე. ჩვენს პირდაპირ ისმდნენ გოგონები — პოლონელები. ერთი მათგანი ამედგომ ჩაიხატა თავის ალბომში და მიუტანა გოგონას. მან დაბუდა ჩანახატებს და აღშფოთებულმა მაშინვე უკან დაუბრუნა ავტორს. სრულებით არა მგაეხო. უთხრა: გულფიცმა ქალიშვილმა შეურაცხყო მხატვარი, მე კი, ამედგოს გვერდით მჯდარი, ვამშვიდდებდი მას, როგორც შეშქდიო. ამედგო ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე გადმომცა ეს ორი კროკი და მითხრა: „წაიდე, ჩემო მეგობარო, ეს ნახატები სახსოვრად მაგ ხუდეღს ამისი არაფერი გაეგება. შენ შეინახავ მაინც“. ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრის ერთი მომენტი. გიგზავნით ამ ორი ნახატის ფოტოს, რომელთა ორიგინალები ჩემთან ინახება. მიყვარს ისინი, ვუფრთხილდები და ხშირად ვინხენებ ამედგოს, ჩვენი თანმედროვეობის უშეხანიშნავებს მხატვარს, ვინხენებ კაფე „როტონდაში“ გატარებულ დღეებს, ჯადოსნურ ქალაქ პარიზს მის სახწაულმოქმედებას და სიდიადეს“

1 სურათებით მოვაჭრეთა (ფრანგ.).

დიდი ბის კარტან

ცხოვრება ნიჭია მცირეთა მრავალთაღი,
მათი, ვინც იცის ეს და შესწევს ამის
უნარი, იმათდამი, ვინც ვერც შეძლებს
არა აქვს უნარი.

სიმონო სიმონო
ამილემო მოდილიანი

(წარწერა სურათზე)

1917 წლის ივლისში მოდილიანამ გაიცნო
ჯანა ებიუტერნი, რომელიც მალე მისი მეუღ-
ლე გახდა. ამბობენ, თითქოს ისინი პირველად
კარნავალზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს
ცოტა არ იყო, დაუჭერებელია. რაღაც ვერ
ეგუებთან ერთმანეთს იმდროინდელი მოდილი-
ანი და კარნავალი. შესაძლოა, ამ ვერსიას ერთ-
გვარად ამართლებს ჟანას ორი ამოხუნებული
ფოტოხურათი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწი-
ეს. ერთზე საკარნავალო კოსტუმი აცვია —
გრძელი, ზოლებიანი წამოხახხამი, განიერი,
ეტყობა, მუქი წითელი ფერის ქვედა კაბა და
ჩექმები. მეორეზეც იგივე კოსტუმი აცვია,
ოღონდ ობიექტივშია თავი, მხრები და ხელი,
რომელიც მსუბუქად ენება მკერდს. კოსტუმი
საკარნავალოა, მაგრამ გამოხედვა სევდიანი:
დიდი, ნათელი თვალები ფიქრიანად იყურები-
ან ხაღვაც შორს. არის რაღაც იდუმალი, ამა-
ყი და ამასთან მწუხარე მათ უცნაურ, ამოუც-
ნობ ელვარებაში. იგივე თვალები და იგივე სა-
ოცრად ხუფთა, მოწყენილი მწერაა გამოხა-
ტული მოდილიანის მიერ შესრულებულ ჟანა
ებიუტერნის ზოგიერთ პორტრეტზე.

მეორე ვერსიით ამილემო მას პირველად შე-
ხვდა კოლაროსის აკადემიაში, ერთ-ერთ „თა-
ვისუფალ სტუდიაში“. ხაღვაც უფელდღე ხუ-
თიდან შეიღამდე შეგვძლო მიგველო შიშველი
ნატურა და ადგილი მოლბერტთან. წაბლის-
ფერისიან პატარა გოგონამ, მისმა გრძელმა
თმამ, რომელსაც მუქი ოქროსფერი გადაჰქ-
რავდა, და გამჭირვალე, ფერმკრთალმა ხანებ
მაშინვე მიიქცია მოდილიანის უურადღებამ.
არც მისი მანერა დარჩენია შეუნიშნავი: დრო-
დადრო საშლრლით წაეშალა თავისი ნახატი და
ისევ ახალი ენერგიით შეხდგომოდა ხატვას.
ამან აღელვა მოდილიანი, მივიდა მასთან და
რაღაც უთხრა ამის თაობაზე. გოგონა ცხრამე-
ტი წლისა იყო. მოდილიანი კი ოცდაცამე-
ტისა. იგი დიდი ხანია აღმერთებდა მოდილია-
ნის, როგორც მხატვარს.

მალე ამის შემდეგ, როცა ერენბურგმა რო-
გორდაც თვალი მოჰქრა ორივეს ქუჩაში,
დაინახა, როგორ მოდიოდნენ ხელიხელჩაკიდე-
ბულნი, გადიმებულნი, დამშვიდებულნი და

ბედნიერნი, დიდად გაიხარა მოდის ბედნიე-
რებით, მაშინვე მიხვდა, რომ ეს „მისი დიდი
რომანი უნდა უოფილიყო“. მათთვის კი, ორი-
ვეთთვის, ეს იყო დახაწყისი რაღაც უფრო
დიადისა, ვიდრე შეიძლებოდა უოფილიყო
ყველაზე „დიდი რომანი“.

„როტონდაში“ პირველად გერავინ მიხვდა,
ვინ უნდა უოფილიყო იგი. „მოდილიანის
გვერდით ხშირად ვხედავთ ძალიან ახალგაზრ-
და, გრძელთმიან გოგონას, თითქმის მო-
ზარდს. განსაკუთრებით მოულოდნელია მისი
ხილვა მოდილიანის გვერდით ბეატრიცა მესტინ-
გის შემდეგ, რომლის ნახვას მასთან ერთად
ყველა მიჩვეული იყო“ — იგონებს ისეთი ერ-
ენბურგი. მარკ ტალღვა კი უმატებს: „იგი
ჩიტხა ჰგავდა, რომლის შეშინება მეტისმე-
ტად იოლია. ამასთან ძალიან ქალური იყო,
მორცხვი, ლაპარაკობდა ხმადაბლა, ღვინოს არ
ეკარებოდა, იგი თითქოს გაოცებული შემყუ-
რებდა ყველას. აქ, „როტონდაში“, ეტყობოდა,
ყველაფერი ეუცხოებოდა თავისი სახლის შემ-
დეგ“.

მაინც რას წარმოადგენდა მისი სახლი?
ცნობები ამის შესახებ შეკრიბა მისმა ქალიშ-
ვილმა და გამოაქვეყნა თავის წიგნში. ეს მახა-
ლა სავსებით საკმარისია, რათა ცხადად წარ-
მოვიდგინოთ ნახევრად წვრილბურთუაზიული
ოჯახის მოსაწყენი, ერთფეროვანი ცხოვრება
სადაც პანთეონის მახლობლად, ამოს ქუჩაზე,
რვა ნომერში, დიდი საჭირაო სახლის მიეჭვსე
ხართულზე. თუმცა თვით ოჯახის თავი —
აშილ-კაშიმირ ებიუტერნი საკმაოდ თავისებუ-
რი პიროვნება უოფილა. იგი რომელიღაც ფი-
რმაში მუშაობდა მოღარედ თუ მოანგარი-
შედ. ეს ხანშიშესული, საშუალო სამადლის
ხატონი, ოთხკუთხედად შეკრეჭილი ჭადარა
წვერით, ჭერ გატაცებული ათვისტი უოფილა.
მერე თავგამოდებული კათოლიკე, სენტ-ეტიენ
დიუ მინის ძველი ეკლესიის ერთგული მრევ-
ლი, ამავე დროს XVIII საუკუნის ლიტერა-
ტურის დიდი მოტრფიალე. დღისით, სამხახუ-
რში, ანგარიშებხა და კანტორის დავთრებს ჩა-
კირკიტებდა, სადამოს, შინ, გადმოიღებდა თა-
როდან თავის სათაყვანებელ პასკალის წიგნს

და დაიწყებოდა საყვარელი ადგილების მო-
ნოტონური კითხვა. მთელი ოჯახი ვალდებული
იყო ეხმინა ამ დიდი ფილოსოფოსისათვის,
თუმცა, ეჭვი არ არაბ, რომ ამ დროს ოჯახის
უფროსის მუდმივ და ქალიშვილს თან უხმენ-
დნენ და თან კარტოფილს ფუჭვნიდნენ ან
ხზვა რაიმე საოჯახო საქმეს აკეთებდნენ.

მამის ამ მოსაწყენი კითხვის შესახებ ვანა
ადეღვეებით უყვებოდა თავის მეგობარს — ეერ-
შენ ვილდს. ამასვე ჩიოდნენ დედაც და ძმაც —
ანდრე, დამწყები მხატვარი, რომლის პეიზაჟე-
ბი ხანდახან „შემოდგომის სალონშიც“ იყო
ხალხმე გამოფენილი და გარკვეული წარმატე-
ბაც ჰქონდა. მამისგან ჩაგონებულმა ლიტერა-
ტურისა და ფილოსოფიის ხიყვარულმა შეიძ-
ლება ერთგვარი ვავიუნაც მოახდინა ვანაზე.
შემდეგში ტყუილად როდი იხსენიებენ მას
ოჯახის მეგობრები, როგორც ხეროლფულ, გო-
ნიერ, ძლიერი ინდივიდუალობის მქონე პი-
როვნებას. მის გონებას „ფხიზელსა და სკებ-
ტიკურსაც“ კი უწოდებენ. მშობლებმა სია-
მოვნებით დაუჭირეს მზარი ვანას სურვილს
გამოსულიყო მხატვარი. იმედი ჰქონდათ, რომ
გამოყენებითი ხელოვნება კარგ შემოსავალს
შისცემდა. მაგრამ, როცა მან განუცხადა მშო-
ბლებს, გადაწყვეტილი მაქვს ამიერიდან ჩემი
ბედი მოდილიანს დავუკავშირო, ამან დიდი
ქარიშხალი გამოიწვია. ნახევრად დატაკი, უსა-
ხელო მხატვარი, უწესო ცხოვრების მიმდევა-
რი და, რაც მთავარია, ებრაელი, სავსებით
მიუღებელი იყო ამ კათოლიკურ და ხაერთოდ
მაინც მეშინაური ოჯახისათვის. მშობლებმა
ფაქტიურად შეწყვიტეს მასთან ურთიერთობა,
ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნით მაინც.

მაგრამ ვანას ხასიათში, ზოგს რომ ასეთი
ჩემი, დამყოლი და მოჩილი ეჩვენებოდა, და-
ფარული იყო დაუძლეველი ძალა, იგი მზად
იყო გაეზიარებინა ამდევოს ცხოვრების მთე-
ლი სიმძიმე, იცოდა, რა იყო მოდილიანისათ-
ვის საქარო და ამიტომაც უდრტვინველად
დაუკავშირა თავისი ცხოვრება, მას არც უწ-
რუნვია, „კანონიერი ქორწინებით“ დაეკვირ-
ვებინა თავისი ურთიერთობა მოდილიანისთან.
მაგრამ რატომღაც უახლოესმა მეგობრებმაც,
მონპარნახის ბოშემამაც და შორეულმა ფლო-
რენციამაც, თუ ვიმსჯელებთ მოდილიანის შემ-
დეგდროინდელი წერილებით დედისადმი, ვა-
ნა მაშინვე აღიარებს არა მის მეგობრად, არა-
მედ მეუღლედ, ბოლოს და ბოლოს ვანამ მშო-
ბლებიც აიძულა, პატივი ეცათ მისი გრძობე-
ბისა და სურვილისათვის.

დასაბლდნენ პატარა, თითქმის ცარიელ სა-
ხელოსნოში დე და გრანდ შომერის ქუჩაზე,
რვა ნომერში, დუქსემბურგის ბადის მანლო-

ხლად, 1917-1918 წლები შედარებით საყოფი-
ერა აღმოჩნდა მოდილიანისათვის, მაგრამ შე-
მოსავალი მაინც არ ჰქონდათ. შეერთად თუ
ჩაუვარდებოდათ ფული ხელში და ასიც მეორე
დღესვე უკვალად ქრებოდა, ემის, ფულიც კი
ადარ რჩებოდათ, რომ რაღაღის რესტორანში
ესადილათ. ვანა ძალიან უბრალოდ იცვამდა,
მაგრამ მაინც თავისი სადა, ოდნავ გულამო-
ღებული კაბითა და არამოდური, დაბალქუს-
ლიანი ფეხსაცმელებითაც ვველას ლამაზი და
ქალური ეჩვენებოდა. მისი სახე კიდევ უფრო
მგრძნობიარე და გამჭვირვალე ჩანდა იმის გა-
მო, რომ არასოდეს იხვამდა არც პუდრს, არც
სადეზავებს. ასეთი შეიყვარა იგი მოდილიანამ.
მას უიქრადაც არ გაუფლია, გადაეჭცია იგი
„პარიზელ თოქინად“ და ვანასაც სრულიად არ
სჭირდებოდა ეს.

უბედურება ის იყო, რომ ბედის ამ მნიშე-
ნელთან გარდატეხას არსებითად არაფერი
შეუცვლია მის უწესო ცხოვრებაში და აღარც
იყო იმედი, რომ ოდესმე მაინც შეიცვლებო-
და. არავითარი ოჯახი არავითარი მყუდროე-
ბა არ შექმნილა სიცოცხისაგან გათოშელ სახე-
ლოსნოში დე და გრანდ შომერის ქუჩაზე. ეს
სახელოსნო ორი ვიწრო ოთახისაგან შედგე-
ბოდა, რომლის კედლები მოდილიანამ ნარინ-
ჯისფრად და ოჩრისფრად შეღება. ძალიანაც
რომ მოეწადებინა ვანას, მაინც ვერახოდეს
შეძლებდა, შეექმნა თავისი ამდევოსათვის რა-
იმე მსგავსი საერთოდ დაწესებული „ყოფიერ-
ებისა“. ძნელია, მაგალითად, წარმოვიდგი-
ნოთ მოდილიანი, რაიმეს რომ ყიდულობდეს
მარაგად, თუნდაც ვველაზე აუცილებელს მე-
ორე დღისათვის მაინც, მას არ შეიძლებოდა
ჰქონოდა არც კარადები, არც თაროები, არც
რაიმე ყუთები. მის არველივ თითქოს ვვე-
ლაფერი ახე უნდა კათოლიკეო გაფანტული,
დაკმუჭნილი, გაშიშვლებული. ამასთან ვანა
მეტისმეტად იყო შეყვარებული, მეტისმეტი
უდრტვინველობით დებულობდა ვველა მის
ჩვევას, როგორც ხანადებულოს. ვანა ღირ-
და კი ამაზე უიქრი, როცა ხელ მალე ნათე-
ლი შეექმნა, რომ ძალი არ შესწევს იხსნას
მთავარი უბედურებისაგან — შეუოკებელი
ლოთობისა და გამოუწელებელი მასიშისაგან.

ზოგჯერ მეტისმეტად უჭირდათ ცხოვრება,
ამას ადასტურებს მეგობრებისა და ნაცნობე-
ბის მოკონებები. მორის ვლამინკი შემდეგში
იხსენებს, რომ იერთხელ 1917 წლის ზამთრის
დილას, მოდილიანი დიდ მანევრებზე გამოხფ-
ლი გენერალივით იდგა შუა ქუჩაში, ბულვარ
რასპაისა და მონპარნახის გზაჯვარედინთან
და ზიზლით ადევნებდა ოვალს მის წინ ჩავ-
ლილ ტაქსებს გამყინავი ქარი ძვალსა და

რბილში ატანდა. მე რომ შემნიშნა, მომიახლო-
ვდა და სრულიად უბრალოდ მიიხრა, თით-
ქოს ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონ-
და მიხთვის იმჟამად: მოგვიდა ჩემს პალ-
ტოს, მე დიდი შაქვს, შენ კი ზუსტად მოგერ-
გებო!

მეორე მხატვრის — უბაღდო ოპის მონათ-
ხრობში კი მოდილიანის უკიდურეს გაჭირვე-
ბას ვეღარ ფარავს ვერავითარი ქედმაღლობა.
ოპი მაშინ ემილია გუდოს მოედანზე ცხოვ-
რობდა. დილით ადრე ზარის ხმა შემოესმა.
გამოაღო კარი და ხედავს, მის წინ მოდილია-
ნი დგას ჩემოდნით ხელში.

— ოპი, იყიდე ჩემი ჩემოდანი.

— მე სრულიად არ მჭირდება ჩემოდანი!

— მე კი სულ ათიოდე ფრანკი მჭირდება...

— უური დამიგდე, მე თვითონაც ერთი
გროში არ მაბადია, ლოგანიდანაც არ ვდგე-
ბი, რაკი საკმეფი არაფერი მაქვს.

ვდგავარ კარებში პერანგისაშორა, — განაგ-
რობს ოპი. — ის კი დგას ჩემს წინ ხელეზ-
ჩამოყრილი, წინ დაუდგამს ძველი, კუთხეებ-
ში ტყავგადაკრული ბრეზენტის ჩემოდანი. ნაღ-
ვლიანი ღიმილით შევხედეთ ერთმანეთს. მო-
დილიანის წამით დახუჭა თავისი დიდი, მოელ-
ვარე თვალები, ლამაზი თავი დახარა და ჩე-
მოდნისაკენ წაიღო ხელი. — რას იზამ!.. —
წარმოთქვა მან.

მაგრამ ბოლო ხანებში იშვიათად თუ ნახავ-
დით მას ახეთ მშვიდობიანს. „როტონდასა“
და „კაფე დიუ დომში“ უკვე ეშინოდათ მისი
მძვინვარე შემოტყვეებისა. თუმცა ბევრს ებ-
რალებოდა კიდევ. მაშინვე გიცემოდათ თვალ-
ში მისი გამხდარი კისერი, გაცრეცილი ტურე-
ბი, ათრთოლებული ნესტოები, ველური გამო-
ხედვა, ყურებზე ჩამოფხატული, ძველი, ფარ-
თოფარფლებიანი შლიაპა... გარსონები, რომელ-
თაც ხელი ეშლებოდათ მუშაობაში, ხშირად
გარეთაც გააგდებდნენ ხოლმე. მაშინ იგი გაჰყვე-
ბოდა ბულვარს და იქ საღმე მერხზე გაწვი-
ბოდა. მერე ისევ ყვირილითა და ბმაურით შე-
იჭრებოდა კაფეში, მაგიდაზე ხელეზს ააბრაზუ-
ნებდა, ხან რაღაც ხიმდერას წამოიწყებდა იტა-
ლიურად, ხან ლექსების კითხვას მოჰყვებოდა,
ხან კი შეუოკებელი ხველა აღჩნობდა. ზოგჯერ
„როტონდაში“ თვით ლიბონსაც კი მოიხმობდ-
ნენ ხოლმე საშველად. ახეთ წუთებში მოდი-
ლიანი ქედმაღლურად უწოდებდა ხოლმე მას
„მელუქნეს“.

ზოგიერთები მის ამგვარ გაშმაგებას ხიბთ-
ვრალეში რამდენადმე მოჩვენებითად მიიწვე-
დნენ. შემუაროდან შემუარში გაღადის პიკახოს
მეორე თქმული გესლიანი ფრაზა: „უცნაურია,
ხენდენის ბულვარზე მოდილიანის ვერახოდეს

ინილით მთვრალს. მონპარნაზის და რასპაის
ბულვარის კუთხეში კი უოგელთუის მთვრალი
დგას“. რაღაც საფუძველი აღმათ გააჩნდა
პიკახოს ხარკაზმს. ქვეყნის უფრო მოვიდგენთ
ომის შემდეგდროინდელი ცხოვრების, სწრა-
ფად ვაბურთუბულ მონპარნაზს, სადაც ერთ-
ბაშად მოაწყდნენ ფულიანი ვაჭრები და მდი-
დარი ტურისტები, სადაც ყველა და ყველაფე-
რი დაიპყრო ფოქსტროტმა — ახლად განხ-
ნილი რესტორნებიც, ქუჩებიც და ღამის ტაქ-
სის ხადგომებიც კი. შეიძლება სხვანაირად
აიხსნას მოდილიანის საქციელის უბერხული
დემონსტრირების მიზეზი. ეს მოცეკვავე, თა-
ვაწყვეტილ მზიარულებასა და მხუბუჭ გართო-
ბას აყოლილი მონპარნაზი არათუ უცხო იყო
მისთვის, მტრულადაც იყო მისდამი განწყო-
ბილი. ახლა „როტონდასაც“ სრულიად იცვა-
ლა სახე. გარეგნულად ბევრად უფრო მდიდ-
რული გახდა, თავისი მულმივი სტუმრებით კი
ფრიალ საეჭვო, ამ ჯიბესქელი უსაქმურებისა
და ახალი მოდებით გატაცებული ბობოლღების
შემოხვევა თანდათან აძევებდა იქიდან მხატვ-
რებს. მოდილიანი კი ყოველთვის შორს იდგა
ამგვარი საზოგადოებისაგან. მოქანდაკე ებშ-
ტიენს კარგად დაამახსოვრდა, ერთხელ მისი
თანდასწრებით როგორ მიუხალმა მოდილიანის
ორი მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზრდა
და რა პახუბი გასცა მოდილიანის მის კითხ-
ვაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი: „ხელოვნების
ხნობები“. იგი ხომ ყოველთვის იმას ამბობდა,
რასაც უიქრობდა: „ჩვენ, ნამდვილად მომუშა-
ვე მხატვრებს, დიდ ზიანს გვაყენებენ ესე-
ნი — „ნობის დ'არტ“. მაგრამ ეს იყო 1912
წელს. მაშინ მისთვის იოლი იყო თავის შეკა-
ვება: ამგვარი შეხვედრები ჯერ კიდევ არ შეი-
რულიყო მის ირგვლივ მჭიდრო რგოლად.

მაგრამ მაინც ეს მომაკვდინებლად ფერგა-
მკრთალი, მთვრალი, გამომწვევი ნიღაბი, რომე-
ლიც ზოგიერთებს რატომღაც უფრო მეტად
დაამახსოვრდათ, ახლაც არ იყო მოდილიანის
ნამდვილი სახე. შემთხვევითი არ არის, რომ
ხწორედ ამ წლებში ხდება მისი ხელახალი და-
ახლოება პარიზის ინტელექტუალურ წრეებუ-
თან — მხატვრულ-არტიტული ჯგუფის წევ-
რებთან, ლიტერატორებთან და პოეტებთან,
რომლებიც შემოკრებილი იყვნენ ხერიოზული
ეურნალების ირგვლივ. ამ წლებს ემთხვევა
მისი გატაცება მალარმეს პოეზიით („თარგმ-
ნე მალარმე!“ — დაჟინებით ეუბნებოდა იგი
რუს პოეტს ტალოვს), მისი მეგობრობის
განმტკიცება ორტის დე სარატესთან, რომე-
ლიც მაშინ მთლიანად გატაცებული იყო სერ-
ვანტესით, საღამოობით მისი გაუთავებელი
საუბრები ცადკინთან ხელოვნების საკითხებ-

ზე სანთლებით განათებულ როზალის პატარა რესტორანში. იგი ბედნიერი იყო, თუ ხადმე ხაშუალებმა მიეცემოდა მოესმინა მუსიკა, განხკუთრებით მისი ხაუვარელი ბაბი (მოქანდაკე ინდენბაუმი მოგვითხრობს, რომ მას ხანდღოს-ნოში ერთხანს ედგა ფისპარმონია, რომელზეც მისი ცოლი უკრავდა. მოდილიანმა ერთხელ მოისმინა მუსიკა და მას შემდეგ ხუთ ხაბაბს ეძებდა, რათა შესულიყო მასთან და კვლავ მოესმინა. ერთხელ „ქიქა ჩიიზე“ შეიარა და თავი ველარ შეიკავა, მაშინვე ხთხოვა ქალბატონ ინდენბაუმს, დაეკრა მისთვის რაიმე, როგორც ქმარი ამბობს, ქალბატონი ინდენბაუმი არცთუ ისე კარგად უკრავდა, მაგრამ მოდილიანი მაინც აღტაცებით უხდიდა მადლობას).

საერთოდ, ფხიზელი იგი ხუთ ხბვა ადამიანი იყო. ამაზე მეტყველებს, პირველ ყოვლისა, მისი ხელოვნების კეთილშობილება და არა მარტო ეს. „თუ შეიძლება ჩაიწერეთ, რომ წინააღმდეგ იმისა, რასაც მასზე მყვენიან, მოდის ჩვენთან ყოველთვის ძალიან თავაზიანად ეჭირა თავი“. — სთხოვდა ანა ზბოროვსკაია ფრანსის კარკოს, როცა ეს უკანასკნელი მხალას აგროვებდა თავისი მოგონებებისათვის. მენახშირე, კონსიერჟი, ბაყალი — მოდილიანის მუდმივი კრედიტორები, რომელთაც ბევრჯერ ღალატობდათ მოთმინება, მერე ისევ მზად იყვნენ, კვლავ სამსახური გაეწიათ მისთვის: „შეუძლებელია მისთვის უარის თქმა!“ „როცა მთვრალი არ არის, ნამდვილი ადამიანია. მერე როგორი თავაზიანი! ყოველთვის გამოხანავს შენთვის ალერსიან სიტყვას!“ სარცარია, რომ მას ერთხელაც არ მოხვლია ჩხუბი არც ერთ თავის მეგობართან.

ყველაზე უკეთ ამ „ხბვა ადამიანს“, რა თქმა უნდა, მისი უანა იცნობდა. ოღონდ ვერაფრით ვერ დაეყოლიებინა ემიგრანტა, ჩვენებოდა მაინც ექიმს... თუმცა ექიმიც აღარ იყო საჭირო. საკმარისი იყო გაგეგონათ მისი საშინელი ხველა დამდამობით და გენახათ, დღითი დღე როგორ ხუსტდებოდა, რომ ნათელი გამხდარიყო, რა შორს წავიდა მისი ტუმბერკულიოზი, რომელიც თანდათან უმწვავდებოდა. უანაც ფეხშიშველ იყო და ისიც ცუდად გრძნობდა თავს. 1918 წლის მარტში ზბოროვსკებმა და მოხუცმა ებოუტერნებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ხარჯით გაეგზავნათ ისინი სამხრეთში. ზბოროვსკიმ ნიცა ამოირჩია.

ყველანი ერთად გაემგზავრნენ: უანა, ამედრო, ზბოროვსკები და უანას დედა, რომელმაც გადაწყვიტა, მარტო არ დაეტოვებინა შეილი ახეთ მდგომარეობაში. ნიცაში მათ უკვე ელოდათ მხატვარი სიურვაჟი თავის მომავალ შეუღლებსთან — ვერმენტან ერთად. სი-

ურვაჟს მოდილიანი ჯერ კიდევ მარტში იცნობდა და ძალიანაც უყვარდა. როგორც ნიკიერი, ჰეშმარიტად მაღალი კულტურის რუსი ინტელიგენტი და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანი (როგორც „გორც განთიადი“, — ამბობდა მასზე ტალიანი). აქ, ნიცაში, ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

პირველად მოდილიანებმა მახენის ქუჩაზე დაიქირავეს ბინა, ახე ვთქვათ, ოჯახურად მოეწყვნენ, en famille, უანას დედასთან ერთად. მაგრამ „ოჯახი“ მაინც არ გამოუვიდათ, რადგან ამედროს ურთიერთობა ხიდდრთან მალე ძალიან გაშწავდა. მოდილიანი გადავიდა ხასტუმრო „ტარელში“, რთუ დე ფრანსის ქუჩაზე, ხუთ ნომერში. ეს ხასტუმრო, რომელიც სიიაფის გამო შეარჩიეს, ფრიად საეჭვო და ძალიან ხმაურიანი აღმოჩნდა: აქ უმეტესად მეძავეები ცხოვრობდნენ. თუმცა ზოგიერთი მათგანი ხიმპათითაც განიმსკვალა ავადმყოფი მხატვრის მიმართ, რომლის ხველა გამოუდმებით ესმოდათ ტიხარს იქიდან, უფასოდაც კი ბოზიორობდნენ და ამის გამო უსიამოვნებასაც არ ერიდებოდნენ თავიანთ სუტენიორებთან.

საერთოდ, ძალიან მაღე ნათელი შეიქნა, რომ ზბოროვსკიმ ფრიად არახელსაყრელად შეარჩია თავისი მეგობრისათვის დასვენებისა და მკურნალობის ადგილი. მოდილიანი, რომელიც ისედაც ძლივს აღწევდა თავს გაკირვებას, მაღალი საზოგადოების კურორტის გარემოში აღმოჩნდა, ისიც ყველაზე ფეშენებელური ხაშემოდგომო ხეზონის დროს. შეუჩვეველი, გადაჭარბებული სინათლე ხელს უშლიდა მუშაობაში. ირგვლივ ყველაფერი აღხავს იყო ცლუნებებით, რაც დამღუბველად მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე. თვითონაც ცუდად გრძნობდა თავს. ამავე დროს აუცილებლობად მიიჩნევდა, თავისი მუშაობით რაც შეიძლება მალე გამოეხყიდა გამგზავრების თანხა. იმიტომაც ჩამოვიდა აქ, რომ ემუშავა არსებითად ახე იყო დაპირობებული მისი საქმიანი ურთიერთობა ზბოროვსკისთან, რომელმაც ამ პერიოდში ყოველთვის თანხა დაუწება (რასაც აღასტურებს ქვემოთ მოყვანული მოდილიანის წერილები ზბოროვსკისადმი).

1918 წლის ვიან შემოდგომაზე თუ ზაფხულის დამდეგს მან რამდენიმე თვე გაატარა მხატვარ ოსტერლინდთან მის ვილაში „La Riente“ („მომღიმარი“), ნიცის მახლობლად, კანში. შემდეგ ოსტერლინდმა აღწერა, როგორ ჩამოვიდა მასთან მოდილიანი და როგორ ცხოვრობდა კანში. იგი ჩამოვიდა, ოსტერლინდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაქანცული და ჭუჭყიანი (ნოთუ ფეხით?), თით-

ქოს გემებს ტვირთავდაო გენუაშია. მას აჩრდი-
ლივით ჩამოხყვა ზბორავსკიც“.

ოსტერლინდი მეგობრობდა ამედეოსთან
(შემდეგ მოდილიანის მისი მეუღლის შესანიშ-
ნავი პორტრეტი დახატა). თავის ხაზლში საუ-
კეთესო ოთახი დაუთმო, რომელიც, მოდილი-
ანის, რა თქმა უნდა, ძალიან მალე, ეშმაკმა იცის,
რად გადააქცია. მიუხედავად ზბორავსკის გა-
ნუწყვეტელა მეთვალყურეობისა, დამდამობით
მაინც ახერხებდა ადგილობრივ დუქანში გაპა-
რვას, რომლის კარებთან იდგა ხის დიდი დაფა
რეკლამით — „პერნო“ — მწვანე ბოთლი და
ორი სასმისი შავ ფონზე. „მეგობრო, ეს ხე-
ლოვნების საუკეთესო ქმნილებაა, რაც კი ოდ-
ესმე მინახავს!“ — ეუბნებოდა მოდილიანი ოს-
ტერლინდს. იქიდან კი ყოველთვის მთვრალი
ბრუნდებოდა.

ყოველივე ამას სტუმართმოყვარე მახპინძე-
ლი მოთმინებით იტანდა. მოდილიანის მხო-
ლოდ ერთხელ გამოიყვანა მოთმინებიდან თავი-
სი საქციელით, როცა ისინი სტუმრად ეწვი-
ვნენ რენუარს.

მხცოვანი მხატვარი თავისი სიცოცხლის უკა-
ნასკნელ დღეებს კანში ატარებდა „ლაუვარდო-
ვან სანაპიროზე“. იგი უკვე სამოცდაჩვიდმე-
ტი წლისა იყო და მაინც განაგრძობდა მუშაო-
ბას, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად იტან-
ჭებოდა ნეკრების ქარებისაგან. ავადმყოფობამ
თითქმის ხუთ დაუგრიხა ხელები. ზოგჯერ
ფუნჯს მიაბამდნენ ხალხე დაკრუნჩხული ხელის
თითებზე. მოდილიანის თვითონვე მოისურვა
მასთან შეხვედრა: „წამიყვანე რენუართან!“ და
ოსტერლინდმაც მაშინვე მოუხერხა ეს. მო-
ხუცმა ფართო ნათელ სახადილოში მიიღო
სტუმრები, სადაც ჩვეულებრივ გამოჰყავდათ
ხალხე სავორაო სავარძლით მუშაობის შემდეგ.
რენუარი დრმა სავარძელში იჭდა, თავზე თა-
ვისი განუყრელი ჩაჩი ეხურა, მხრებზე შალი
ბქონდა წამოსხმული, სავარძელზე კი მარმარის
ფარდა იყო ჩამოფარებული, რათა კოდობს
არ შეეწუხებინათ. იგი მალაღი საზოგადოები-
სათვის ჩვეული თავაზიანობით შეეგება სტუმ-
რებს. „მაშასადამე, თქვენც მხატვარი ბრძან-
დებით, უმაწვილო?“ — და მაშინვე შესთავაზა,
გასულთყო მის სახელოსნოში, თუკი სურდა
დაეთვალთვინებინა მისი ბოლო ნამუშევრები.
სახადილოში შემობრუნებულ მოდილიანის,
მართალია, არაფერი უთქვამს მისი სურათების
შეხახებ და შესაძლოა უველაფერი, ახე თუ
ინე, კეთილადაც დაგვირგვინებულიყო, რენუ-
არის ერთ ფრაზას მოთმინებიდან რომ არ გა-
მოეყვანა. ამ ფრაზას სხვადასხვაგვარად გად-
მოგვიცემენ, მაგრამ მთავარი აწრი ის იყო, რომ
უნდა ხატავდე ყოველთვის ხინარულით, ხია-

მოვნებით, რომ მას მხოლოდ ამგვარად შეუძ-
ლია თავის სურათებზე მუშაობა. ამას მოაყო-
ლა კონკრეტული, ხაკლოდ ფორგოლუჩის მაგა-
ლითი, თუ როგორ ეაღერსება ტილოზე ფუნ-
ჯი მიშველ უკანაღს. მოდილიანის უბოლოდ გახ-
წია კარხაკენ, წავლუ აწვიდა ხედე სახე-
ლურს. მაგრამ უეცრად გაშმაგებით შემოტრი-
ალდა და მიახალა: „მე კი საერთოდ არ მაინ-
ტერესებს უკანაღი!“ და მაშინვე გავარდა გა-
რეთ, ისე რომ არც გამომშვიდობებია მეტრს.

ოსტერლინდი სირცხვილიხაგან დაიწვა და
მერც დიდხანს განიცდიდა თავისი მეგობ-
რის უკიდურეს უხამსობას. ეტყობა, ვერც ჩახ-
წვდა ამ ტრაგიკომიკური ეპიზოდის არსს. მო-
დილიანის, რა თქმა უნდა, შეეძლო მეტი თავა-
ზიანობა გამოეჩინა მოხუცისადმი, მაგრამ არა-
თუ მისი რჩევა, რენუარის მსოფლმხედველო-
ბაც მიუღებელი იყო მისთვის. მხოლოდ ხუ-
ტინისათვის დარჩა რენუარი სამუდამოდ „და-
კარგულ ხამოხედ“, რომელიც მუდამ იზი-
დავდა და მუდამ მიუღწეველი იყო მისთვის.
მოდილიანის ხულიერ დრამატიზმს, მის დაძა-
ბულ გვრეტას ადამიანის ხულში შეუძლებე-
ლია მტრულად არ მიედო რენუარის მედო-
ნიში. რენუარისეული უზრუნველი „ცხოვრე-
ბის ხინარული“, ამ მოხუცი ქადოქრის შეგნე-
ბული სწრაფვა — „უველაფერი უფრო ლა-
მაზად დაენახვებინა, ვიდრე ხინამდვილეს
იყო“.

გვიან შემოდგომაზე მოდილიანი კვლავ ნი-
ცაში დაბრუნდა. აქ ში ნოემბერს ენას შეეძი-
ნა გოგონა, რომელსაც აგრეთვე ენა დაარქ-
ვეს. „ძალიან ბედნიერი ვარ“, — წერდა
მოდილიანი დედას ოთხი თვის შემდეგ და ეს
მისთვის უკვე იშვიათი ფრაზა უთუოდ ეხება
მათ — ორივე მის ენას, რადგან სხვა უველა-
ფერში ამ ბოლო დროს საშინლად არ სწყა-
ლობდა ბედი.

ახალდაბადებულიისათვის მაშინვე მოძებნეს
ძიძა. ბავშვი რეგისტრირებული იყო, როგორც
ენა ებიუტერნის შვილი უცნობი მამისაგან.
რადგან მშობლები დაქორწინებულნი არ იყ-
ვნენ. ამას აქამდე არ აძლევდნენ დიდ მნიშ-
ნელობას და ყოველთვის სახვადილოდ ხდებდ-
ნენ. თუმცა მალე პარიზში დაბრუნების შემ-
დეგ, ენას მეორე ორსულობის დროს, ამედე-
ომ მტკიცედ გადაწყვიტა გაეფორმებინა თავი-
სი ქორწინება, შეადგინეს კიდევ განცხადება,
ხელიც მოაწერეს, დაამოწმეს მეგობრებმა,
მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანეს საქ-
მე. ეტყობა, რადაცამ შეუშალა ხელი, ალბათ
ავადმყოფობამ. ამ ხანებში იგი ხწერდა დედას
ფლორენციაში:

საყვარელო დედა,

უსაზღვროდ მაღლობები ვარ შენი აღერხიანი წერილისათვის. პატარა კარგად არის, მეც კარგად ვარ. ხულოც არ მიკვირს, რომ ისეთი დედამ, როგორც უოველთვის იყავი შენ, ნამდვილ ბებეად იგრძნო თავი, მიუხედავად რაღაც „კანონიერი გაფორმებისა“.

გიგზავნი ფოტოსურათს. მისამართი შეიცვალა ახლა ახე უნდა მომწერო: ნიცა, რიუ დე ფრანსი, 18.

გაკონი მაგრად.

ეს უკვე მეხამე მისამართი იყო ნიცაში. ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას.

1918 წლის დამლევს ზბოროვსკი პარიზში წავიდა. იმედი მქონდა, რომ მოახერხებდა რომელიმე მისი სურათის გაყიდვას, რათა მომავალში უფრო რეგულარულად მიეწოდებინა ფული... ამჯერად იგი შეეცადა ცნობილ მწერლებსა და კრიტიკოსებს შორის მოეძებნა კლიენტები. რომელიღაც კრიტიკოსმა, როგორც უამბობდა ზბოროვსკი შემდეგ ედლიჩკას, ხაში სურათი იყიდა მისგან. ამასთან პირველში გადაიხადა 300 ფრანკი, მეორეში—275, მესამეში — 250, როცა მეოთხეზე დაიწყო ლაპარაკი, ზბომ, მიუხედავად ჩვეული გულკეთილობისა, აღშფოთებულმა უთხრა: „თუ ანგარიში ჭერ კიდევ სულ არ დამვიწყებია, მეოთხემეტე სურათში უკვე მე უნდა გადაგიხადოთ და არა თქვენ“. ამით დამთავრდა მათი ურთიერთობა.

ზბოროვსკის სტუმრობას მწერლებთან შემდეგში მისივე ხიტუვებით იხსენებს კარკო. იგი ემუდარებოდა, და მხმარება აღმოეჩინათ მხატვრისათვის, ეხსნათ იგი. ისინი კი ზოგჯერ ახე პასუხობდნენ: „რას იზამთ? ეს ბუნებრივია. მხატვარს არც შეზღუდვის უფუფუნებით ცხოვრება, თუკი არა აქვს ამის საშუალება. დეე, თვითონ მოაგვაროს თავისი საქმეები. რატომ პარიზში არ ცხოვრობს?“ — ის ხომ ძალიან ავად არის, ხისხლს აღებინებს! — პასუხობდა ზბოროვსკი. მათ კი არ ხურდათ მოხმენა, აგზავნიდნენ პროვინციულ კოლექციონერებთან, რომლებიც უოველგვარი ცერემონიის გარეშე იხტუმრებდნენ, არავითარ უურადლებას არ აქცევდნენ მის წუბილს. უველგან ერთი და იგივე ცივი. უკმენი მიღება ხვდებოდა. ცნობილ მხატვართა შორის კი, მგონი, ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც ხელი გაუშართა მაშინ მოდილიანის. ეს გახლდათ გულკეთილი რენუარი. მისი დახმარება ხაკმაოდ დელიკატურა იყო. მან გადასცა ზბოროვსკის „საკომისიოდ“ რამდენიმე თავისი სურათი. კარკოს აზრით, მოდილიანი აღმათ ვერც წარმოიდგენდა, რა მხხვერპლად და გაჭირვებად უღირდა უოველივე ეს

ზბოროვსკის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფული, მართალია მცირე თანხას, მაინც უოველთვის რეგულარულად უგზავნიდა ნიცაში.

ახალ, 1919 წელს მოდილიანი რენტორანში შეხვდა სიურვაეებთან ~~ქვემოთ~~ ~~შეხვედრად~~ მძიმე ცხოვრებისა და ~~და~~ ~~და~~ ~~და~~ განწყობილება მაინც კარგი მქონდა ამ ახალი წლის ღამეს, თუ ვიმხველებთ ზბოროვსკისადმი მიწერილი შემდეგი წერილით:

(1 იანვარი, 1919, ნიცა)

შუალამე.

ძვირფასო მეგობარო,

გებვევით ახლა, როგორც მოგეხვეოდით თქვენი წახვლის დღეს, ამის საშუალება რომ მქონოდა...

მე და სიურვაეი „ოქროს მამალში“ ვქვეფობთ. გავყიდე უველა ჩემი სურათი. ხარჯაროდ გამომიგზავნეთ ფული.

მდინარედ იღვრება შამპანური...

გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენს ხაუვარელ მეუღლეს ახალ წელს!

მოდილიანი.

Resurrectio vita!

Hic incipit vita nova! Il novo Anno!

მოდილიანი

სიურვაეის მინაწერი:

გილოცავთ ახალ წელს! (რუსულად) გაუშარჯოს ნიცას, გაუშარჯოს ახალი წლის პირველ ღამეს!

სიურვაეი.

ზბოროვსკიმ წერილი რომ მიიღო, უურადლება არ მიაქცია საკმაოდ უცნაურ წინააღმდეგობას: „გავყიდე უველა ჩემი სურათი“, „სახწრაფოდ გამომიგზავნეთ ფული“. გარდა ამისა, მას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ არავითარი შამპანური იქ არ უოფილა. მხოლოდ სრულიად ჩვეულებრივ იაფფასიან წითელ ღვინოს ხვამდნენ — „gros rouge“, რაც მრავალი წლის შემდეგ სიურვაეამაც დაადასტურა. ზბოროვსკი უსაზღვროდ შეურაცხყოფილი იყო და მაშინვე იეჭვიანა მოდილიანის ვიდაც ახალ კეთილისმყოფელებზე, რომლებმაც გაუყიდეს სურათები, ხანამ ის თავქუდმოვლენილი დარბოდა პარიზში. ნიცადან გამომგზავნილმა მეორე უთაროდო წერილმა უველაფერს ნათელი მოჭფინა, მაგრამ აქ ლაპარაკი იყო კიდევ რაღაც ახალ, გაუთვალისწინებელ უხედურებაზე.

ძვირფასო მეგობარო,

1 ცხოვრების გარდაქმნა, ასე იწვევა ახალი ცხოვრება (ლათ).

2 გილოცავთ ახალ წელს! (იტალ).

რა გულუბრუნებდა ხარ, როგორ ვერ მიმი-
ხედოთ ხუმრობას. არაფერი არ ვამბობდი და
ხვალ ან ზევ გამოვიგზავნით საქონელს. მაგ-
რამ ის კი, რაც ხუთ ახლახან წამდვილად შე-
ნიშობდა, ძალიან სერიოზულია. მომპარეს სა-
ფულე, რომელშიც 500 ფრანკი მქონდა. რო-
გორც გავიგე, ნიციბთვის ეს ჩვეულებრივი
ამბავი ყოფილა. აბა წარმოადგინეთ, რა გულ-
დასაწყვეტია!

ახლა, რაღა თქმა უნდა. უფულოდ ან თითქ-
მის უფულოდ ვარ. რა ხუთეულურ მდგომარე-
ობაში ჩავვარდი. მაგრამ, რაკი ჩემი უხახს-
რობა არც თქვენთვის არის ხელსაყრელი
და არც ჩემთვის, აი, რას გთავაზობთ: გამო-
მიგზავნეთ ტელეგრაფით 500 ფრანკი შტრუც-
ვაგებს მიხამართზე... თუკი ამის საშუალება
გქნებათ. მე ყოველთვისად გადაგიბდი 100
ფრანკს იმ თანხიდან, რაც მერგება. ბოლოს
და ბოლოს ასე იქნება თუ ისე, ვაღს დავიბ-
რუნებთ. ეს ფულის დაკარგვა, რომ აღარაფე-
რი ვთქვა საბუთებზე, უკიდურესად მადლე-
დებს.

ესლა მაკლდა, ისიც სწორედ იმ დროს, რო-
ცა ბოლოს და ბოლოს შემეძლო ცოტა მაინც
დავმშვიდებულყავი...

თუკი იმედი მაქვს, ეს ამბავი არხებითად
ვერაფერს შეცვლის. ჩემს ერთგულებასა და
მეგობრობაში კი, ჩემო ძვირფასო, ეჭვი ნუ-
რასოდეს შეგეპარებათ.

სალამი გადაეცით თქვენს მეუღლეს, თქვენ
კი გულთბილად გართმევთ ხელს.

მოდელიანი.

შემონახულია კიდევ ექვსი წერილი, გამოგ-
ზავნილი ნიციდან ზბორცხისადმი იანვრის
წესის რიცხვებიდან 1918 წლის მაისის დამლე-
ვადე. ამ წერილებში ფულზე ზრუნვასა და
ხაზუთების დაკარგვასთან დაკავშირებულ სა-
ვალალო ამბებთან ერთად ბევრი მნიშვნელო-
ვანი წერილმანია მის მუშაობაზე, მის დამო-
კიდებულებაზე საკუთარ შემოქმედებასთან და
ახალ შემოქმედებით გატაცებებზე (პეიზაჟი).
რამდენიმე მოკლე, თავშეკავებული ფრაზის
მიღმა შეიძლება აგრძნოთ ახალი აზრიც, რაც
გამოიწვია მის ცხოვრებაში გოგონას დაბადე-
ბამ, და მზადება მომავალი ბრძოლისათვის.
ახლებურად იხსნება აქ მისი ხანიათიც, მისი
ხიამაყე, ამავე დროს თავმდაბლობა და მკაც-
რი თავიშეფასება, მისი იმპულსიურობა და
დელიკატურობა მეგობრებთან ურთიერთობაში.
და მაინც როგორ არ მგავს ეს წერილები იმ
კვაკობისდროინდელ პირველ წერილებს,
რომლებსაც ოდესღაც თავის მეგობარს — ოს-
ტრ გილიას სწერდა! მათში თითქოს აღარ
ქდურს ის ახალგაზრდული, მხურვალე ხმა,

მათში უკვე სულ სხვა, გაბზარული, დაქანცუ-
ლი, წრინწიანი ხმა ისმის. და განა ეს გახაკ-
ვირია? ანა ახმატოვას სიტყვებით რომ ვთქვათ,
მის ცხოვრებას უკვე დიდი ხანია „სახე უც-
ვალა ხედოვნების მხურვალე ხუნთქვამ“, რო-
მელიც მაშინ მხოლოდ შეცვლილ შეეხო.

მაგრამ დეე, ამ წერილებში შეცვლილ თქვან
თავიანთი ხატქმელი. აი მომდევნო, მესამე წე-
რილი, კვლავ უთაროდ:

ძვირფასო ზბო,

აი, რა არის საკითხავი, ან სხვაგვარად რომ
ვთქვათ: that is the question (იხ. „ჰამლეტი“).
ან: be or to be. მე ან ცოდვილი ვარ ან სუ-
დელი. ეს აშკარაა. ვადიარებ ჩემს დანაშაულს
(თუკი ეს დანაშაულია) და ჩემს ვალხაც (თუ-
კი იქნება ვალი). მაგრამ ახლა კი აი, რაზე
მინდა მოგელაპარაკო: მე თუ ქერ კიდევ არ
ჩავძირულვარ თავიანფებებთანად, ყოველ შემ-
თხვევაში, მაგრად ვარ ხელფეხებოქილი...
გთხოვთ, გამოგოთ. თქვენ გამომიგზავნეთ 200
ფრანკი, აქედან 100, რა თქმა უნდა, ხიურვას
მივეცი. ვისი წყალობითაც თავი დავადწიე
სრულ კატასტროფას... ახლა კი...

თუ თქვენ დამიხსნით, მადლობას გადაგიბ-
დით ან სამხანსურისათვის და განვაგრძობ გზას,
თუ არადა — არ შემიძლია დავიძრა ადგილი-
დან, შეკრული მაქვს ფეხები... აბა ვისთვის
არის ეს ხაქირო?

ამჟამად მე მზადა მაქვს ოთხი სურათი. ვი-
ნახუდე გიომში. იმედი მაქვს, დამებმარება
ახალი საბუთების მიღებაში. მისგან უკვე მი-
ვიდე საიშედო ცნობები. ყველაფერი კარგად
იქნებოდა. ეს უბედურება რომ არ დამტედო-
მოდა, რატომ არ უნდა მოედოს ამას ბოლო,
რაც შეიძლება მადე, რათა ამან არ შეაფერ-
ხოს საქმე, რომელიც უკვე დაიძრა ადგილი-
დან.

მაშ ასე, მე ყველაფერში გამოგიტყდით,
ახლა ისე მოიქეცით, როგორც თქვენ გინდო-
დეთ, დრო არ იცდის.

მოდელიანი.

გენგევით. სალამი გადაეცით ქალბატონ ზბო-
როცხისკაიას.

„ვინახუდე გიომში“... ვილაცას შემოუნახავს
ფოტოგრაფია: ინგლისური სანაპირო, ეგრეთ
წოდებული Promenade des Anglais, ყვე-
ლაზე ფეშენებელური სასეირნო ადგილი ნი-
ცაში. პალმების გრიელი ხეივნის იქით მოჩანს
პირველი კლასის სასტუმროებისა და რესტორ-
ნების თოვლივით ქათქათა შენობები. ვილაც
ბატონი საქანაო ხავარძელში ჩამჯდარა და გა-
ზეთს კითხულობს. ზურგშექცევით დგას ტან-
მალაღი ქაღი კრავებიან ოფიცერთან ერთად.
კიდევ მოჩანს რამდენიმე ფიგურა — სანაპი-

როზე მოსიერნენი. პირდაპირ ჩვენკენ კი მო-
ეშართება უცნაური წყვილი: მარცხნივ —
ელეგანტური, წელში გამოყვანილი კოსტუმში
გამოწყობილი, ფართოფარფლებიანი შლაპითა
და მკლავზე გადაკიდებული საზაფხულო პალ-
ტოთი — პოლ გიომი: მარცხნივ — მსურვა-
ლე მზისაგან თვალბმობუტული მოდილიანი,
ძველი შლაპით და რაღაცა პალტოს მსგავსით,
საიდანაც მოუჩანს ძველი, ფორმადაკარგული
შარვალი, ძველი ქურთუკი და გამბლარ კისე-
რზე შემოხვეული დაჭმუჭნული ყელსახვევი...
თუმცა საბოლოოდ საბუთების მიღებაში გი-
ომი ვერაფერს დაეხმარა. ზბოროვსკი კი მა-
შინვე გამოეხმაურა.

პასუხად მოდილიანი ხწერს:
ჩემო ძვირფასო ზბოროვსკი,
მივიღე თქვენგან ნომ, მადლობელი ვარ. ახ-
ლადვე შევუდგები შეწყვეტილ სამუშაოს, ნაცვ-
ვლად სხვადასხვა ახსნა-განმარტებისა (წერი-
ლში ხომ შეუძლებელია ბოლომდე ახსნა ყვე-
ლაფერი): აუცილებელი იყო „დამედწია თავი“.
მივიღე მშვენიერი წერილი თქვენი შეუღ-
ლისაგან.

არ მინდა რაიმე ვალი მაპატიოთ. უმჯობე-
სია, დაწესდეს, ან თუ გნებავთ, მოდით ერთად
დავაწესოთ რაღაც კრედიტი, რომელიც ამო-
ავსებს სიყარიელეს, რამაც შეიძლება კვლავაც
იჩინოს თავი რაიმე გაუთვალისწინებელი გა-
რემოების გამო. იმედი მაქვს ქალე გიბილავთ
ნიცაში, მანამდე კი ველი თქვენგან ცნობას.
მაგრად გართმევთ ხელს.

მოდილიანი.

მომდევნო ხაზი წერილი, ეტყობა, საკმაოდ ხან-
გამოშვებით არის დაწერილი.

ძვირფასო ზბო,
მადლობელი ვარ ფულისათვის. ხვალ დილით
გამოგიგზავნით რამდენიმე ტილოს.
ვაწყებ პეიზაჟზე მუშაობას. პირველ ტი-
ლოებზე შეიძლება კიდევ სადღაც იჩინოს თავი
„ახალბედა“.

სხვა ყველაფერი კარგად მიდის.
ხალაში გადაეცით ჩემგან ქალბატონ ზბო-
როვსკიას. მაგრად გართმევთ ხელს.

მოდილიანი.

ჩემს საქმეზე მიაკითხეთ გიომს. რაღაც
„პროტექციას“ დამპირდა ჩემი საბუთების
აღსადგენად — იქნებ გამომიგზავნოს.
პარახკევი ხალაში.

ჩემო ძვირფასო ზბო,
მადლობას გიხდით ფულისათვის. ველოდები,
როდის გაშრება თავი ცოლის პორტრეტზე,
რათა გამოგიგზავნოთ (თქვენთვის უკვე ცნო-
ბილ სხვა სურათებთან ერთად) ოთხი ტილო.

მე ძველებურად ზანგივით ვმუშაობ.
არა მგონია, ამანათის განსაზღვრული წონის
გამო, ერთდროულად შეიძლება ოთხ ან
ხუთ ტილოზე მეტის გამოგზავნა.

ჩემი გოგონა შეხანიშნავად გრძნობს თავს.
მომწერეთ წერილი, ფუქსეფენდელს ძალიან
ძნელი არ არის.

გიომილიანი

გულითადი ხალაში გადაეცით ქალბატონ
ზბოროვსკიას, თქვენ კი მაგრად გართმევთ
ხელს.

მოდილიანი.

რაც შეიძლება მალე გამოგიგზავნეთ ტილო-
არ დაგავიწყდეთ ის საქმე რავინიანას მოე-
დანზე. მომწერეთ.

ძვირფასო მეგობარო,

მადლობელი ვარ იმ ხუთასისათვის და, რაც
მთავარია იმისათვის, რომ ასე ხწრაფად გამო-
მიგზავნეთ. მე მხოლოდ დღეს გამოვიგზავნე
ტილოები (ოთხი ცალი).

ამიერიდან ჩემი სამუშაო ადგილი იქნება:
ჩიუ დე ფრანსე, 12.

გარემოებამ, უფრო ხწორად გარემოების
შეცვლამ, ამინდის ცვლილებამ — უოველივე
ამან, ვშიშობ, არ გამოიწვიოს ჩემში რიტმისა
და განწყობილების შეცვლა.

ვნახოთ, დროთა განმავლობაში შეიძლება
კიდევ აღმოცენდეს რაღაც და აუვაგდეს.

უკანასკნელ დღეებში ცოტა ვიზარმაცე, ნა-
ყოფიერი სიზარმაცე — სწორედ ეს არის მუ-
შაობა.

სიურვაჟზე კი მხოლოდ ერთი რამ შემოძ-
ლია ვითბრა: გოჭია.

თქვენ აპრილში აპირებთ ჩამოხვლას? საბუ-
თების საქმე თითქმის მოგვარდა ჩემი ძმის
წყალობით. ფაქტიურად მე უკვე შემოძლია
იქედან წამოსვლა, როცა მოვისურვებ. ჭერჭე-
რობით კი ჩემთვის სასურველია აქ დარჩენა,
ივლისამდე მაინც.

მომწერეთ, თუ გექნებათ დრო და გადაეცით
ჩემი ხალაში ქალბატონ ზბოროვსკიას. გართ-
მევთ ხელს.

მოდილიანი.

გოგონა ძალიან კარგად არის.

ძვირფასო მეგობარო,

დიდად ამადელვა თქვენმა მშვენიერმა წერილ-
მა. ახლა მე უნდა გადავიხადოთ მადლობა.

რაც შეეხება რეკლამას, რა თქმა უნდა,
ყველაფერში თქვენზედ ვარ მონდობილი...
თუ ეს ხაერთოდ აუცილებელია...

1 რა საქმე იყო ეს, რაზედაც ლაპარაკია შე-
მდეგ წერილშიც, დღემდე არ არის გამორკვე-
ული.

თქვენი საქმე — ჩვენი საქმეა, და თუ გუ-
ლში მე მონაცლამაინც არ მომეწონა ეს რეკ-
ლამა, პარტველ უკვედისა, ეს პრინციპის საქ-
მეა, მეორეც ის, რომ მე არ მიმაჩნია ჩემი
თავი ხაკმაოდ მომწიფებულად, — ეს სულაც
არ ნიშნავს იმას, რომ მე უარვყოფ „ხაზიწ-
დარ უფულს“. მაგრამ რაკი ჩვენ უკვე მოვი-
ლაპარაკეთ ამაზე, ახლა სხვა საქმეზე გადა-
ვადეთ.

აი თარბი და ჩემი დაბადების ადგილი:
ამდღე მოდილიანი, დაიბადა 1884 წლის 12
ივლისს, ლივორნოში. მე მივწერე ძმას ორი
თუ სამი დღის წინ და ახლა პასუხს ველოდე-
ბი. აი კიდევ რა: ჩემი „ნამდვილი“ პა-
რადობის მოწმობა არის პარიზში, კომისარი-
ატში, კამპან-პრემიერის ქუჩაზე (საფულეში
მხოლოდ ქვითარი მქონდა). ასე რომ, მთელი
ამ ამბის გამოსწორება არც ისე ძნელია.

ახლა შემდეგზე მოვლაპარაკოთ. იწერებით,
რომ აპრილის ბოლოს აპირებთ ჩამოსვლას.
მე მგონია, შემძლია მანამდე დაგელოდოთ
აქ.

ამახობაში გარკვე იქნება, თუ თქვენ რაიმე
იღონებთ ჩვენს მოსაწყობად პარიზში. იმი-
ტომ რომ ეს დიდ დაბრკოლებას გვიქმნის
(ოღენმე აპირებთ თუ არა ხელი მოჰკიდოთ
მონმარტრის საქმეს?).

ჩემი გოგონა ხალყარი სიხწრაფით იზრდება.
მასში ვპოულობ ხიმშივიდეს და სტიმულს მუ-
შაობისათვის, რაც მომავალში შეიძლება მხო-
ლოდ გაძლიერდეს.

მადლობელი ვარ სათამაშოებისათვის. ოღონდ
ცოტა ნაადრევი კია...

ვამთავრებ წერილს და მიინდა ხმამაღლა
შევძახო თქვენთან ერთად: „Ga ira!“ სადადე-
ბლად ადამიანებისა და ხალხებისა. ჩემის აზ-
რით, ადამიანი მთელი სამყაროა, ზოგჯერ
ყოველნაირ სხვა სამყაროზე უკეთესი და
ყველაზე წარმტაცი პატივმოყვარეობა ის
არის, რასაც ხაფუძვლად უღევს ანონიმურო-
ბის სიამაყე: Non omnibus sed mini et tibi!

მოდილიანი
გადაეცით ჩემი გულითადი სალაში თქვენს
საყვარელ მეუღლეს.

ჩვენ არ ვიცით კონკრეტული მიზეზი, რამ
გამოიწვია ამ წერილის დასკვნითი სტრიქონე-
ბი, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ მნიშვნელო-

1 დასაწყისი და მისამღერი ცნობილი ხალ-
ხური სიმღერისა საფრანგეთის დიდი რევო-
ლუციის წლებში. გადატანითი მნიშვნელობით:
„ჩვენ გავიმარჯვებთ!“
2 ყველას არა, მაგრამ შენ და მე (ლათ.).

ბას. მათში შეიძლება მოგვეხმას იმ დემოკრა-
ტიული პუმანიზმის თავისებური გამოძახილი,
იმ დიდი აღმავლობა, რაც გამოიწვია მაშინ
მთელ ევროპაში რუსეთის რევოლუციის გა-
მარჯვებამ.

ზბოროვსკისადმი მიწერილ წერილებში ბევ-
რი რამ არის საგულწიფად მოდილიანის შინა-
განი ხამყაროს ასახსნელად მისი სულიერი
სიმწიფის პერიოდში. ეს ძვირფასი პარტველ-
წყაროა. გვაქვს კიდევ ერთი შესაძლებლობა
გავიგოთ, რას ამბობს მოდილიანი ამ ხანებში
თავის თავზე, თავის შემოქმედებაზე, თავის
მწუხარებაზე, ლეობლად სიურფაფის ჩაწერილი
აქვს მისი ცალკეული მოსაზრებები სხვადასხვა
თემებზე, უფრო ხწორად რამდენიმე ნაწყვეტი
მათი საუბრებიდან ნიცაში, სადაც თითქმის უკ-
ველადღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს „კროკე-
ბი“ იმდენად არსებითია მოდილიანის პიროვნე-
ბისათვის, რომ შეუძლებელია არ მოვაყვანოთ
ამ წიგნში.

„მე არც მეპატრონე ვარ, არც მუშა, მაგრამ
მაგისტრ არა ვარ თავისუფალი. ჩემი ოცნებაა—
ვიცხოვრო იტალიაში ამ ხელოვნებით გაულენ-
თილ ქვეყანაში, ვიცხოვრო ფლორენციაში ან
ლივორნოში, ჩემს მშობლიურ ქალაქში. მაგრამ,
ცტუობა, მხატვრობა ჩემს ხურვილებზე ძლიე-
რია იგი მოითხოვს, ვიცხოვრო პარიზში. მხო-
ლოდ პარიზის ატმოსფერო ბადებს ჩემში შთა-
გონებას. პარიზში მე უბედური ვარ, მაგრამ,
რაც მართალია, მართალია, მუშაობა მხოლოდ
იქ შემიძლია“.

„ჩვენ — ცალკე ხამყარო ვართ, ბურჟუა
მეორე — ჩვენთვის უცხო ხამყარო“.

„აღკომოლი გვთიშავს გარე ხამყაროსაგან,
მაგრამ მისი საშუალებით ვწვდებით ჩვენს ში-
ნაგან ხამყაროს და ამავე დროს შეგვეყავს მას-
ში ვარე ხამყარო“.

„ყველაზე დიდი მოგებაც ვერ ახშობს აზ-
არტს. მე ყოველთვის ვიტოვებ რაღაცას მარა-
გად. მხატვრობაში არახოდეს არ უნდა გამოამ-
ულავნო ყველაფერი ბოლომდე“.

„ხაზი — ქადონსური ჭობია, მაგრამ მისი გა-
მოყენება რომ შესძლო, ამისათვის გენიოხო-
ბაა საჭირო“.

„ჩვენ ვოცნებობთ შეგქმნათ ახალი ხამყარო
საამისოდ მივმართავთ ფორმას, ფერებს, მაგ-
რამ ეს ხამყარო შეიძლება განაგოს მხოლოდ
აზრმა“.

„მეც რომ სხვებივით მქონოდა სახელოსნო..
მაგრამ ამ მოხეტიალე ცხოვრებასაც აქვს თავისი
სიკეთე“.

„სკულპტურა მეტისმეტად მძიმე პროფესიაა.
ამიტომ ჭერ მხატვრობაში უნდა გაიწაფო ხე-
ლი“.

„მაშინებს ალკოჰოლი. მე იგი მიტაცებს. როგორმე დავაღწევ თავს ამას“.

„ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ ჩვენს ტვინზე. მაგრამ მაინც სწორედ ტვინი გვხელმძღვანელობს და გვაკონტროლებს. ჩვენ უველაფერს მისი შუამავლობით ვაკეთებთ“.

„ნურაფერს შეტყვიოთ კუბისტებზე. ისინი ეძებენ მხოლოდ საშუალებებს და ყურადღებას არ აქცევენ ცხოვრებას, რომელიც განაგებს ამ საშუალებებს. გენიოსი სწრაფად, პირველი შეხედვისთანავე უნდა ჩასწვდეს ცხოვრების არსს“.

„შენ ღოთი ხარ? — არა, მე შემიძლია დავლიო მხოლოდ მაშინ, როცა მუშაობისათვის მჭირდება, მერე კი თავი დავანებო, როცა მოვისურვებ“.

„შთაგონება ნიავის ნაზი შემოქროლვია, ქარიშხლის მომასწავებელი. ჩვენ შევიგრძნობთ მას ჩვენს ირგვლივ და ჩვენში. იგი შეიძლება ქარიშხლად გადაიქცეს და კარგი შეზღვაური უნდა იყოს, რომ გაუმკლავდეს ამას. ხანგრძლივი სიმშვიდე — უბედურებაა, უიმედობა“.

„რამ, ეს ქალები!.. საუკეთესო საჩუქარი, რომელიც შეგიძლია მიუძღვნა მათ, ბავშვია, ოღონდ არ უნდა აჩქარდეს ხამისოდ. მათ უფლება არ უნდა მისცე, თავდაყირა დააყენონ ხელოვნება. ისინი უნდა ემსახურონ ხელოვნებას. ჩვენი ვალია თავლყური ვადევნოთ ამას“.

„უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. ჩემთვის ძალიან კარგი იყო შენთან ყოფნა. მადლობელი ვარ ამისათვის. მივდივარ პარიზში. რაოდენ გამომეტყველი ბედნიერება ან უბედურება აწერილით აღამიანებს სახეზე ამ ქალაქში! პარიზი — ჩემი სახელოსნოა, ჩემი სამუშაო ადგილი. ნიცაში — ბედნიერებაა და ჯანმრთელობა. აქ ვიკრებ ძალას, პარიზში კი ტანჯვა ასტიმულირებს ჩემს მუშაობას. მონპარნახზე მომავალ შეხვედრამდე!“

„ს ი უ რ ვ ა უ ი: რატომ არის, რომ შენს პორტრეტზე მხოლოდ ცალი თვალი მაქვს?“

მოდლიანი: იმიტომ, რომ შენ ცალი თვალით უყურებ ქვეყანას. მეორე თვალით საკუთარ თავში იხედები. გაყიდე, — სხვას დაგხატავ, უფრო უკეთესს“.

„მე არც მუშა ვარ, არც მეპატრონე. მხატვარი თავისუფალი უნდა იყოს, თავის ნებაზე უნდა იცხოვროს. ეს განსაკუთრებული ცხოვრებაა. თუმცა თუკი ვინმე ეწევა ნორმალურ, ბუნებრივ ცხოვრებას, — მხოლოდ და მხოლოდ ისევე ვლები, მიწის მუშა“.

„ადამიანი — აი რა მაინტერესებს მე. ადამიანის სახე — ბუნების უმაღლესი ქმნილებაა. ჩემთვის ეს დაუშრეტელი წყაროა.“

„Cara Italia...! მინდა დავბრუნდე ლივორნოში — ჩემი სულიერი გარდაქმნისათვის“.

„შინ მინდა, დედასთან!“

„მე დავიბადე მორიელის ნიშნით. თვითონ ვანგრევ ჩემს თავს და ეს აწერი მანგრევს, როცა მთვრალი ვარ“.

„მუშაობისათვის აუცილებლად მჭირდება ცოცხალი არსება. აუცილებლად უნდა ვხედავდე მას ჩემს თვალში. მხატვრის უფროსი, კლავს — იგი ჩიხია“.

„შევეცადოთ ჩავუღრმავდეთ შეუცნობელის ქვეარსს. ამას ცდილობდა კანდინსკი, პიკაბია და სხვები. ორგანიზება ქაოხისა... რაც უფრო თხრი, მით უფრო ღრმად ვარდები რაღაც ორმოში. შევეცადოთ ფარშის ორგანიზებას ისე, რომ შევინარჩუნოთ წონასწორობა უფსკრულებსა და მზეს შორის“.

„არც მეპატრონე ვარ, არც მუშა. არამედ ის, ვინც თვითონ განაგებს თავის შესაძლებლობებს“.

ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც გვიხატავს მოდილიანის ნიცაში — ამ შემთხვევაში გვიხატავს არა გადატანითი მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — გვიხატავს მხატვრის ფანქრით. ეს ფანქის ჟანას პატარა ნახატი, სადაც დიდი გულიანობითაა დაკერილი მისი შეცვლილი იერი და კიდევ რაღაც მისი შინაგანი სულიერი სამყაროდან. იგი მრგვალ მაგიდასთან ზის, მხრებზე პალტო აქვს წამოსხმული, თავზე შლაპა ახურავს, რაღაც წიგნს კითხულობს, მაგრამ მოუკუშავს ოდნავ წინ წამოწეული ბაგე. მაგიდაზეა ჩიბუხი, საფარფლე, გრაფინი, ჭიქა და კუბოკრულაბაუჭრიანი დიდი ნავთის ლამპა. ნახატი იმდენად დახვეწილია და ზუსტი, რომ მხოლოდ ტანხაცმლის წვრილმანებისა და აქსესუარების სიმრავლე გვიშლის ხელს, გარკვევით ვილაპარაკოთ იმის გავლენაზე, ვისითაც არის იგი შთაგონებული.

არავითარი პირდაპირი ცნობა არ შემონახულა, როგორ ცხოვრობდა ჟანა ნიცაში (ვილაციის წერილში გაიხდვა ერთმა ფრაზამ, რომ, მიუხედავად ფეხმძიმობისა, ჟანა ძველებურად მომხიბვლელია, რომ „გვირგვინით ადგას თავზე თმა“). შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მძიმე იქნებოდა მისთვის ცხოვრება ნიცაში — უფულობა და მოუწყობლობა, დაძაბული ურთიერთობა დედასა და ქმარს შორის, განუწყვეტელი შეგრძნება იმისა, რომ ამ გამგზავრებამ კი არ მოამაგრა, პირიქით, უფრო შეარყია ამედეოს ჯანმრთელობა, ძუძუთა ბავშვი, რომლის მოვლა თავისი სიხალგაზრდავის გამო არ შეეძლო, მაგრამ არავის ახსენდება (იმიტომ რომ არავის გაუგონია) მისი ჩივილი, საყვედური ან

1 საყვარელო იტალია! (იტალ.).

ჯულის გატეხვა. არც იმაზე წამოსცდენია მდურვა, რომ ამედეოს იშვიათად მიიყვავდა საღმე. ისიც ხომ ჯერ სრულიად ახალგაზრდი იყო, ალბათ მახაც უნდოდა ვართობა, ახალი ადამიანების გაცნობა, ახალი ადგილების ნახვა, ნუთუ უოველივე ამასაც შთანთქავდა მისი თავგანწირული სიყვარული? ამასთან იგი მარტო ერთგული შეუდგენ კი არა, ნიკიერი მხატვარიც იყო. ამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ მისი ქალაქის პეიზაჟი, თუნდაც რეპროდუქცია, რომლის დედანი ახლა მოდილიანების საოჯახო კოლექციაში ინახება. როგორც მისი ქალიშვილი ამბობს, ეს სურათი (იგი შეტანილია მის წიგნში, მხოლოდ, სამწუბაროდ, შეუფერადებელი) თავისი მკაცრი ტონალობით, ფერების სითბოთი (მუქი წითელი, ყავისფერი, ვარდისფერი), შერწყმული თავდაქრებულ გამხედრობასთან, მართლაც საოცარია ასეთი ახალგაზრდა ქალისათვის. ძველებური სახლის ერთი ნაწილი, ქვის საფეხურიანი პარზალით, ფანჯრით, რომელიც ნახევრად დაფარულია დაგრენილი, შიშველი ტოტებით, თითქოს ერთი ხელის მოხმით დაუქერია მხატვარს, სადაც ზვიდან თუ გვერდიდან. მას ხხვა ნაშუაგვრებიც ჰქონდა. მარჯ ტალოვი დიდად უფრთხილდებოდა პარისში შესრულებულ თავისი ახალგაზრდობის პორტრეტს — უანა ებიუტერნის შესანიშნავ ნახატს.

1919 წლის გაზაფხულის რაღაც ნაწილი მოდილიანებმ ისევ კანში გაატარა. აქედან 12 აბრილს გაუგზავნა დედას ღია ბარათი ქალაქის ხედით, რომელშიც სწერდა: „როგორც კი მოვეწყობი, მაშინვე შეგატყობინებ ზუსტ მისამართს“. მაგრამ მალე ისევ ნიცაში დაბრუნდა, სადაც ბოლო ხანებში მუშაობაში სულ ხელს უშლიდა დაკარგულ საბუთებზე ზრუნვა. გარდა ამისა, აქ შეეყარა „ესპანური გრიპი“ — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც მაშინ მთელს ევროპაში მძვინვარებდა. ძლივს წამოდგა ლოგინიდან და ისევ მუშაობას შეუდგა.

მისი შემოკლებების ინტენსიობა ამ პერიოდში და მომდევნო პარიზის პერიოდში ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, განსაკუთრებით თუ ვიფიქრებთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, უკვე უკურნებელი ხენით იყო შეპყრობილი. მარტო ეანას რამდენი ფერწერული პორტრეტი, რამდენი ნახატი პორტრეტი შექმნა, მერე მისი შესანიშნავი „გოგონა ცისფერებში“, შემდეგ ეერმენ სიურვაჟის და ქალბატონ ოსტერლინდის თვალწარშტაცი პორტრეტები, მერე „შიდა ბავშვით“, რომელსაც ჩვეულებრივ „ბოშა ქალს“ უწოდებ-

დენ, მერე უამრავი, უფრო და უფრო გასრულყოფილებული ნიუ... ყველაფერი ეს შეიქმნა სულ რაღაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოდილიანის ბოლოდროინდელი ქმნილებების განათებაზე. მისი პარმონიულობის სიმშვიდეზე წერს თითქმის ყველა მისი ბიოგრაფი. მაგრამ მოდილიანის ძალიან ძვირად უფირდა ამ პარმონიის მიღწევა.

„იცით, ტილოზე რომ გადმოეტანა ეს მაძღარი, მოწვიმე ვარდისფერი, ბევრი ტანჯვა უნდა გადაეტანა ამისათვის... დამიჭერეთ...“ — ამბობდა ხეიანი ტინტორეტოს ერთი ხუროთის შესახებ.

ალბათ, სწორედ იგივე შეიძლება ითქვას მოდილიანის ბოლოდროინდელ ტილოებზეც.

მხოლოდ მყვირალა უხამსობას შეეძლო ეწოდებინა მისი უკანასკნელი ნიუხათვის „შიშველთა შორის უშიშველესი“ („the nudest of the nudes“), თითქოს ეს სტრიპტიზის რაღაც სარეკლამო აბრა იყო, მონმარტრზე გამოფენილი: „Nues les plus osées du monde.“¹

შეიძლება მართლაც ბევრი ტანჯვა იყო საჭირო მოდილიანისთვისაც, რათა მიეღწია ამ სწინივოსან სხეულებრივობისათვის“, ამ მყარ და გამჭვირვალე ფორმაში მომწყვდეული ფაქიზი ცეცხლისათვის. თავისი ბოლოდროინდელი პორტრეტების შექმნისათვის მასაც უნდა გადაეტანა თავისი დროის, თავისი გარემოს, თავისი მეგობრების, თავისი ბოროტი ბედისწერის ყველა სატყვიარი. მაგრამ რაღაც აუხსნელი კონტრასტის გამო სწორედ ყველა ამ ცხოვრებისეულმა ტვირთმა აქცია მოდილიანი სიჭაბუკის სხივმოხილ პოეტად თავისი ლირიკითა და დრამატიზმით, თავისი მიმნდობლობით და შეურიგებლობით. ეს ნაწილობრივ უანას პორტრეტებსაც ეხება, სწორედ პორტრეტებს და არა მისადმი მიძღვნილ ბოლოდროინდელ სურათებს, სადაც უანას ცოცხალი სახე თანდათან შეცვალა „სტილისტიკურმა სიმბოლოებმა“, როგორც კარგად თქვა ფრანკო რუსოლიმ. ეს უფრო სიწმინდის, ქალურობის, დედობის მოდილიანისეული იდეალია, ვიდრე პორტრეტი. დასავლეთში ამ სურათებში ხედავენ ყველაზე მეტ სიახლოვეს იტალიურ ტრადიციებთან, იხხენებენ ხან სიმონე მარტინის, ხან ბოტიჩელის, ხან პიზანელის. მაგრამ ვანა უფრო მნიშვნელოვანი არ იქნება დავინახოთ ამ პორტრეტ-ხურათებში მხატვრის რაღაც ახალი გზის დასაწყისი, მხატვრისა „რომელიც მუდამ დაუღალავად ეძიებდა უბრალოებისა და პოეზიის სინ-

¹ „ყველაზე გაბედული სიშიშველე მსოფლიოში“.

თეს ფერწერულ ხელოვნებაში? ოღონდაც ამ გზას გაგრძელება აღარ ეწერა...

1918 წლის 31 მაისს მოდილიანი პარიზში დაბრუნდა და ცხოვრობდა ეოზეფ ბარის ქუჩაზე ზბოროვსკებთან. ეანა და ბავშვი ისევ ნიცაში რჩებოდნენ, მანამ მოდილიანი პარიზში მოაწესრიგებდა თავის საქმეებს. სამი კვირის შემდეგ ამედეომ დეპეშა მიიღო ეანახაგან: „არა გვაქვს გზის ფული. გამომიგზავნე დეპეშით ას სამოცდაათი ფრანკი პლიუს ოცდაათი ძიძისათვის. წერილს მიიღებ. ჩამოვდივარ შაბათს ჩქარით. გააფრთხილე ძიძა.“

არავითარი ახალი ბინა არ მოუძებნია ზბოროვსკის და ეანას ჩამოსვლის შემდეგ, რომელიც კვლავ ფეხმძიმედ იყო, ეანა და ამედეო ისევ სახელოსნოში გადავიდნენ, დე და გრანდ შოშერის ქუჩაზე. პატარა დროებით ზბოროვსკებში დაიტოვეს. ლიუნია ჩეკოვსკამ, ზბოროვსკების ოჯახის მეგობარმა, დროებით იკისრა ბავშვზე მზრუნველობა, რადგან სახელოსნოში ბავშვისათვის ხრულხად შეუფერებელი პირობები იყო. მოდილიანი ხშირად მიდიოდა იქ ბავშვის სანახავად, ზოგჯერ მთვრალიც, შუალამისას. ახეთ შემთხვევაში მას ბავშვთან არ უშვებდნენ და მთელ ღამეს კიბეებზე ატარებდა, ჭიუტად უარს ამბობდა წახვლაზე.

იგივე ლიუნია ჩეკოვსკა თავის მოგონებებში წერს, რომ პარიზში დაბრუნებული მოდილიანი „მუშაობდა, როგორც გიჟი“.

7 ივლისს ამედეო სწერს დედას: „საყვარელო დედა! გიგზავნი ფოტოსურათს. სამწუხაროდ, გოგონას სურათი არა მაქვს. ბავშვი სოფელშია ძიძასთან, განზრახული მაქვს გაწაფხულზე მაინც როგორმე მოვახერხო ჩამოსვლა იტალიაში. მინდა მთელი „პერიოდი“ გავატარო მანდ. მაგრამ ჭერჭერობით საბოლოოდ მაინც არა მაქვს გადაწყვეტილი“.

12 ივლისს მას ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა.

აგვისტოში ზბოროვსკიმ მოდილიანის 13 სურათი გამოიტანა გამოფენაზე ლონდონში, პილის გალერეაში. რამდენიმე ტილო გაიყიდა იქ (მოდილიანის სურათებზე დაწესებული იყო ფასი — ოცდაათიდან ორმოც დოლარამდე). გამოფენის მესვეურებმა მოახერხეს და ოც დოლარად ჩაიდეს ხელში მისი „ახალგაზრდა გლეხის გოგო“. კრიტიკოსების — ტ. უ. ერპას და გაბრიელ ეტკინის პირველი საგაზეთო წერილები დიდ აღტაცებას გამოხატავდნენ. რე-

1 შევიცარიული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი. 1919 წლის 15 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო ფ. კარკოს სტატია მოდი-

ციწიები დაიბეჭდა ჟურნალებში («Burlington Magazine» და სხვა). ამედეო წერდა დედას (საფოსტო შტემპელით კონვერტზე აღნიშნულია 17 აგვისტო):

„საყვარელო დედა, მაღლობელი ვარ შენი კარგი ღია ბარათისათვის. მე გამოგიგზავნე ჟურნალ „L'Eventail“-ის ნომერი, სადაც მოთავსებულია სტატია ჩემს შესახებ. ჩემი სურათებიც, სხვა მხატვრებთან ერთად, გამოფენილია ლონდონში.² მე ვთხოვე, გამოგზავნათ შენთვის ამონაჭრები გაზეთებიდან“.

დადგა ზამთარი. ამ დროისათვის მოდილიანი უკვე საგრძნობლად დახუხტდა. მაგრამ გადაჭრით უარს ამბობდა მკურნალობაზე. ახლა უკვე თავზეხელაღებით სვამდა, უფრო ხწორად, სვამდა იმითომ, რომ უამინოდ მუშაობა აღარ შეეძლო. თავის სახელოსნოში თითქმის არავის უშვებდა, თვითონ კი ხშირად გამოდიოდა გარეთ, დაეხეტებოდა ქუჩებში, პაერი განმკურნავსო, ამბობდა. იქვე იყო ლუქსემბურგის ბაღი, რომელიც ახლა, ზამთარში, თითქმის სულ დაცარიელებულიყო. ქარი მირეკავდა მერხებიდან დამჭკნარ ფოთლებს ჭერ ისევ მარია მედიჩის დროს დარგულ თელების ხეივანში. ხშირად დარბოდნენ აქ ბავშვები „კარგი ოჯახებიდან“. ხარობდნენ პარიზისათვის იშვიათი თოვლით, ზოგჯერ გუნდაობდნენ და შრიაშილით ავხებდნენ ხეივანს, მოდილიანი კი სიცივისაგან იკუნტებოდა თავის ძველ პალატოში.

1 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე „შემოდგომის საღონში“ გამოფენილი იყო მოდილიანის ოთხი სურათი. არც ერთი არ გაყიდულა. არც პრესაში უოფილა გამოხმაურება.

ავადმყოფობა კი თანდათან უმწვავედებოდა და ზოგჯერ პარაქსიზმულ გაშმაგებასაც იწვევდა თვით ეანას მიმართაც კი. საღმონი გვარწმუნებს, რომ დაინახა, ერთხელ ღამით იმავე ლუქსემბურგის ბაღის გალავანთან, მოდილიანი როგორი გაშმაგებით ეკვეთა ეანას მუშტებით. ბევრად უფრო მჭერა მეორე მონათხრობი: ერთხელ ვიდაცას უნახავს ისინი ბუღვარის მერხზე. მოდილიანი მღუმარედ, დაუინებით შეპყურებდა ეანას, ეანა კი, უიშედო ხევდით შეპყრობილი, წინ იყურებოდა, იმასაც კი არ ცდი-

ლიანის შემოქმედებაზე, ხოლო 15 აგვისტოს ნომერში მისი რამდენიმე ნახატის რეპროდუქცია.

2 თანამედროვე ფრანგული ხელოვნების გამოფენაზე მოდილიანისთან ერთად გამოტანილი იყო პიკასოს, მატისის, დერენის, ვლამინკის, უტრილოს, კისლინგის, სუტინის, ორტის დე სარატეს და სხვათა სურათები. სკულპტორებიდან ცადკინისა და არხიპენკოს ნამუშევრები.

ლა ხელი მოეკიდა მიხთვის და შინ წაეყვანა. ახლა აღარავის უკვირდა, როცა ღამით უანა „როტონდას“ ან „კლოზრის“ კარებში გამოჩნდებოდა, დაივლიდა მაგიდებს და მორიდებით ეკითხებოდა ნაცნობებს: „თქვენ ხომ არ გინახავთ მოდილიანი?“

ერთხელ კაფე „კლოზრი დე ლილიში“ მოდილიანი შეხვდა თავის ძველ ნაცნობს — ლიატურტს, რომელიც შემდეგ იხსენებს: „მე ფულხა ვშოულობ, — მარწმუნებდა იგი და ჩახრინწული ხმით იცინოდა. — სადმე უნდა შევიხანო. შენ ხომ ამის სპეციალისტი ხარ, ამომიჩიე ვინმე ხანკირი... მე ის ვერ მომატყუებ... შეეცდება კოლეგის შვილს ყველაზე ხელსაყრელი საშუალება გამოუხანოს...“ მისი ტრახახი წითელი ამონახველით დასრულდა. — „ცუდადაა ჩემი საქმე. იქნებ მთის ჰაერმა მიშველოს. აი, მონმარტრის ჰაერი მომიხდებოდა... სიამოვნებით მოვიხანებდი იქ რამდენიმე სახელს... იქნებ როგორმე გამოვიარო ამ დღეებში. ერთად ვისაუზმოთ ლიაბისთან... დიდი ხანია იმისი ვალი მაქვს გამოყოლილი, უნდა გადავუხადო... ნახვამდის...“

მართლაც მალე მოინახულა მონმარტრი, ოღონდ რესტორანში კი არ მიხულა, სუნანა ვალადონს ესტუმრა, უტრილოს დედას, უტრილო მაშინ პიკიპუსის საავადმყოფოში იწვა მორიგი მკურნალობის ჩასატარებლად. უანა მოდილიანი წერს თავის წიგნში ამ ვიზიტის შესახებ: „მოდილიანი ზოგჯერ გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ერთხელ ხალამოს იგი სუნანა ვალადონის სანახავად ავიდა მონმარტრზე, რომელიც დედასავით უყვარდა. მისვლისთანავე, როგორც დამსწრენი გვიყვებიან, ღვინო მოითხოვა, მერე რაღაც გრძელი, ებრაული სიმღერა წამოიწყო და ატირდა. ეტყობა, ეს იყო „კალიში“, მიცვალებულთა ხულის მოხაზვებზელი ლოცვა, ერთადერთი ლოცვა, რომელიც ყველამ იცოდა მოდილიანთა ურწმუნო ოჯახში“.

„ერთხელ ხალამოს ჩვენ ერთად ვისადილეთ, — წერს ლიფშიცი. — ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. მაშინვე მივაქციე ამას უურადღება. ხაჭმელსაც უცნაურად ქამდა. ყოველნაირ კერძს ჭერ ბლომად მოაყრიდა მარილსა და წიწკას და მხოლოდ ამის შემდეგ გაუსინჯავდა გემოს. როცა დარიგება დაფუწვე, თავი დაენებებინა ამ თვითგანადგურებისათვის და ოღნავი წესრიგი მაინც შეეტანა თავის ცხოვრებაში, ისე განმირისხდა, ისეთმა გაშმაგებამ აიტანა, როგორც აღრე არახოდეს გაუმფლავნება“.

ახლა მონპარნახზე მას გამუდმებით გაჩს ეს-

ვია ვილაც ხალხი, ზოგჯერ თითქმის უცხო ადამიანები და ელოდნენ, როდის დაარიგებდა უფახოდ თავის ნახატებს, რომელიც გაუიღვის იმედი აღარ ჰქონდა. ზოგი მას დაწყევლილად მიიჩნევდა, ზოგი კი მასზე ბედავდა „გაუფენის გზა-ჯვარედინის“ — ბოტემის — ცენტრის წამდვილ სახეს... გ. ედლიჩკას ჩაწერილი აქვს ინდენბაუმის შემდეგ მონათხრობი: „ერთხელ ღამით ინდენბაუმს უნახავს იგი მერხზე მჭდარი სადღაც მონპარნახის მახლობლად. იგი იჭდა, სკამის საზურგეს მიყრდნობილი, ცალი ხელი სკამისთვის ჩაევლო, რათა არ ებარბაცა. ინდენბაუმი მივიდა მასთან. მოდილიანი თითქოს ბურუსში ხედავდა მას. ხელი გაიშვირა იქით, ხადაც ერთმანეთს ჰკვეთდა ბუღვარი მონპარნახს და რას-ნაი და რალაცნაირი დამძიმებული ხმით, რომელშიც ხევდანარევი ზიზღი ისმოდა, უთხრა: „Ah! le dôme!.. Et la Rotonde!.. Que je déteste tout cela!...“ (ოპ, ეს „დომი“.. ეს „როტონდა“.. როგორ მეზიზღება ყოველივე ეს!..“

ეს რამდენიმე ხანი იყო, მონპარნახს გოლგოთად იქცა მისთვის. მკონი, იმავე ინდენბაუმისათვის უთქვამს: „იტალიაში მივდივარ, ჩემთვის მზე არის საჭირო. აქ შეტისმეტად მოღუშულია ყველაფერი“. ამას ეუბნებოდა სხვებსაც.

იმ წამთარს შესრულებული ერთ-ერთი ნახატის მეორე მხარეს, სადაც გამოხატულია ახალგაზრდა ათლეტი თითქოს დასარტყმელად შემართული ხელით, მოდილიანის ფრანგულად წაუწერია რამდენიმე ხტრიქონი ნოსტრადამუსის წინახწარმეტყველებიდან.

ბრძოლის ველზე, არნახულ ბრძოლაში, ახალგაზრდა ღმერთი ხმლევს მოხუცს. თვალს გამოსთხრის ოქროს გალიაში. ორი კლასიდან ერთი დაილტუება სასტიკი სიკვდილით.

დაგაგვიანდა, უკვე მოვიდა თავისუფლება, პირქარი უბერავს. წერილი გზაში დაუჭერია ერთი სექტის თოთხმეტ გაფიცულს, წითური გიმზადებთ ხრიკებს...“

თუ გავიხსენებთ ილია ერენბურგის სიტყვებს, რაზედაც წინა თავში გვქონდა ლაპარაკი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოდილიანი კვლავ განაგრძობს ფიქრს რუხეთის რევოლუციის ბედზე. როგორც ყოველთვის, მის წარმოსახვაში ახლაც თავისებურად, უცნაურად ირეკლებოდა მსოფლიოს მოვლენები. ეს ნახატი, რომელიც პლაკატის ესკიზს მოგვაგონებს, და ნოსტრადამუსის ხიმბოლიკაც შეიძლება მისთვის რაღაცნაირად უკავშირდება 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას და შემდეგ თოთხმეტი სახელმ-

წიფოს შეტევას ახალგაზრდა საბჭოების რესპუბლიკაზე.

საახალწლოდ ფლორენციიდან 27 დეკემბერს გამოგზავნილი ღია ბარათი მოვიდა:

„იმედი მაქვს, ჩემო საყვარელო დედა, ამ ბარათს ახალი წლის პირველსავე დილას მიიღებ ნაცვლად შენი მოხუცა დედის ნაზი ამბობისა, რომელიც გიგზავნის უოველნაირ ლოცვა-კურთხევას და კეთილ სურვილებს, როგორც კი შესაძლებელია. თუ ტელეპათია მართლაც რაღაცას ნიშნავს, იგრძნობა, რომ მე შენთან და შენიანებთან ვარ.

ათასჯერ გკოცნი.
დედა“.

ეს ღია ბარათი, როგორც ორი წინა წერილი, უპასუხოდ დარჩა.

როგორც მოდილიანის და — მარგერიტა ამბობს: „ამედეომ კარგად იცოდა, რომ ოჯახს უოველთვის მხვეგრპლის ფახად უჭებოდა მისთვის მატერიალური დახმარების გაწევა. ახლაც უკან დააბრუნა უკანასკნელად გაგზავნილი ფული“.

და აი, დადგა მისი უკანასკნელი ღამე პარიზის ქუჩებში, ღამე, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ამაზე მოგვითხრობს ლასკანო ტეგი. ეს მოხდა იანვრის შუა რიცხვებში. „...იმ საღამოს მოდილიანი ხმაურიანი და თითქმის საშიში იყო. იგი აეკიდა მხატვართა ერთ კომპანიას, ვისთანაც გაეტარებინა ის საღამო. ისინი კი ცდილობდნენ, როგორმე მოეცილებინათ თავიდან; ახლა იგი მძიმე ტვირთად ქცეულიყო მათთვის. უნდოდათ, როგორმე დაეყოლიებინათ და სახლში გაეგზავნათ დასაძინებლად, მოდილიანი კი შეურაცხყოფად ღებულობდა ამას და არაფრით არ უნდოდა შინ წასვლა, ყვიროდა და ჭიუტად მიხდევდა მათ შორიანდ. სუსხიანი ღამე იყო; ცივი ქარი იოლად ატანდა მის კურტაკში, პალტოს კი ხელით მიათრევდა. წინ შეხვედრილთ აშინებდა, მოულოდნელად გადაუდგებოდა წინ, ახლოს მიუტანდა თავის გამბდარ, გაცრეცილ სახეს, თითქოს უნდოდა თვალეში ჩაეხედა მათთვის. ხალხი ვარბოდა მისგან. კომპანია მხატვარ ბენიტოსთან აპირებდა მისვლას რიუ დე ლა ტომბისუარზე. მოდილიანი კარამდე მიჰყვა მათ. და აპირეს კიდევ მისი შეყვანა, მაგრამ მოდილიანი არ დათანხმდა, იქვე, ქუჩაში დაუწყო მათ ლოდინი, თან ყვიროდა. პოლიციელს ეგონა, ჩხუბობდნენ, მივიდა მასთან და უანდარმერიაში წაყვანა დაუპირა. მაგრამ უკანასკნელ წუთებში ამხანაგები გამოვიდნენ სადარბაზოდან და დაიყოლიეს პოლიციელი, თავი დაენებებინა მისთვის. ისევ შეეცადნენ შეყვანას, მაგრამ მო-

დილიანი დაუინებით მოითხოვდა, ისინიც მასთან ერთად ჩამომხსდარიყვნენ მერბზე, რომელიც უცებ „ნავსადგურად“, „ნავსაყუდელად“ წარმოიდგინა. ბოლოს მატოვეს მარტო, ის კი უკანიდან მისძახოდა: „არა მყავს მე მეგობრები! არა მყავს მე მეგობრები!“ ესევე შეეცადნენ, როგორმე წაეყვანათ. აფერხებინათ ამ გაყინული მერბიდან, მაგრამ ამაოდ. ბოლოს წავიდნენ, ის კი ისევ იქ დარჩა. ეს მოხდა მონრუჟის ეკლესიასთან“.

შეორე დღეს ძალიან ცუდად იგრძნო თავი და მალე დაწვა. ლოცინში მწოლიარე დაუხვდა ორტის დე ხარატეს, რომელიც იმავე სახლში ცხოვრობდა და ძლივს გააგონა კარზე კაკუნი. უნაც იქვე, მის გვერდით იწვა. ოთახში საშინელი სიციფე იყო. კუთხეებში ეყარა ხარდინის კოლოფები და ცარიელი ბოთლები. მოლბერტზე შრებოდა ამედეოს უკანასკნელი ნამუშევარი — კომპოზიტორ მარიო ვარვოლის პორტრეტი. ამედეო საშინელ ტკივილებს უჩიოდა თირკმელების მიდამოში. ორტის დე ხარატე კისლინგთან ერთად ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ექიმმა მაშინვე დაუსვა დიაგნოზი: ნეფრიტი. ამის შემდეგ უოველდღე დადიოდა ავადმყოფის სანახავად. მერე ორტის დე ხარატემ და კისლინგმა სხვა ექიმებიც მოუყვანეს. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და 22 იანვარს მოდილიანი გადაიყვანეს „შარიტეში“ — დატაკა და უხახლკაროთა საავადმყოფოში, უაკობის ქუჩაზე. საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, გრძნობაზე აღარ იყო. ამბობენ, თითქოს პალატაში გონზე მოვიდა და უცებ ძალიან შეეშინდა, თავის ირგვლივ ამდენი ავადმყოფი რომ დაინახა. მერე ისევ დაიწყო ბოდვა — აგზნებული, აჩქარებული, გაუგებარი, დროდადრო ლექსებსაც გამოურევდა ხოლმე. სრულიად მკაფიოდ ისმოდა მხოლოდ ორი სიტყვა იტალიურ ენაზე: „Cara Italia... Cara, cara Italia!“.

24 იანვარს, საღამოს რვა საათსა და ორმოცდაათ წუთზე იგი გარდაიცვალა.

ენაზე ამ დროს ზბოროვსკები ზრუნავდნენ. 24 იანვრის ღამე, რათა მარტო არ დარჩენილიყო, პატარა სასტუმროში გაატარა სენის ქუჩაზე, ზბოროვსკების მეგობარ ქალთან, პოლეტა შურდენტთან ერთად, რომელიც მრავალჯერ დახატა ამედეომ. დილით, როგორც პოლეტა შურდენი ამბობს, დამლაგებელმა ქალმა უნახ ბალიშის ქვეშ სტილეთი იპოვა.

საავადმყოფოში იგი მაშახთან ერთად წავიდა. მამას ერთი სიტყვაც არ დახცდენია. თან ახლ-

1 საყვარელო იტალია... საყვარელო, საყვარელო იტალია... (იტალ.).

დათ ცოლ-ქმარი ფიუშე — მათი მეგობრები. საავადმყოფოში დახვდათ კიხლინგი. უნა მარტო მივიდა ამედგოს ცხედართან და დიდხანს, დიდხანს დაძულებდა. შერე თვალი არ მოუცილებია, არც შეტრიალებულა, იხე წავიდა უკან-უკან კარისაკენ, მეგობრებმა სასწრაფოდ გაუღეს კარი.

საავადმყოფოდან ზბოროვსკებთან მივიდნენ. მამამ დაიწინა, რომ უნა მასთან ერთად წახულიყო შინ, ამიოხ კუჩაზე. როგორც პოლიტა ვურდენი იგონებს, უნას ხელი მოუკიდია მისთვის და ჩუმად უთქვამს: „ნუ მიმატოვებ!“ მაგრამ ბოლოს მაინც დაუჭერა მამას. სახლში არ უტირია, ოღონდ ხუფ გაჩუმებული ყოფილა. დადგა დაშე. უველა თავ-თავის ოთახში გავიდა. განთიადისახ, დილის ოთხ საათზე, უნა შეეკვსე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა და სასიკვდილოდ დაშავდა. როგორც ყოველთვის ხდება ამგვარ შემთხვევაში, უველას გვაოცებს კატახტროფის გარდუვალობა, რომლის სიახლოვე უნდა ეგრძნოთ შინაურებს. უნას ძმა, რომელსაც ძალიან უყვარდა უნა, ღამით რამდენჯერმე შესულა მასთან და ყოველთვის ფანჯარასთან მდგომი დახვედრია...

იმ დღეს კიხლინგი და სალმონი, რომელთაც ჯერ არ უწყობდათ ახალი ტრაგედია, „როტონდაში“ ფუფს აგროვებდნენ „მოდლიანის ყვავილებისათვის“, თან ძლივს იკავებდნენ ცრემლებს. მეორე დღეს, 27 იანვარს, მეგობარმა მხატვრებმა, ლიტერატორებმა, მონპარნასისა და მონმარტრის მრავალმა მცხოვრებმა, რომელთაც არაფერი აკავშირებდათ ხელოვნებასთან, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე გააცილეს მისი ცხედარი... გზაჯვარედინებთან პროცესიას თვალურს ადევნებდნენ პოლიციელები. სამგლოვიარო განცხადებები გამოაქვეყნეს მემარცხენე გაზეთებში, მათ შორის „Humanite“-შიც „მანიფესტაციის ეშინოდათ“.

მეორე დღეს პარიზის გარეუბნის შორეულ სასაფლაოზე — ბანიოში — მამა, დედა და ძმა ასაფლავებდნენ უნას. მათი ხურვილით დაკრძალვა დანიშნული იყო ძალიან ადრე, დილის რვა საათზე, ყოველგვარი სამგლოვიარო განცხადებების გარეშე. ცხედარი გამოასვენეს დე ლა გრანდ შომერის კუჩაზე მდებარე სახელოსნოდან, ხადაც მაშინვე მიახვეწეს იმ უბედურების შემდეგ. პატარა საბარგო მანქანას, რომელზეც იდგა კუბო, მიჰყვებოდა ორი ტაქსი. ერთში იჭდა ებიუტერების ოჯახი და უნას ორი ამხანაგი: შანტალ კენევილი (იგი უნასთან ერთად ხწავლობდა კოლაროსის აკადემიის დეკორატიული ხელოვნების სკოლაში) და მოქანდაკე ხანა ორლოვა; მეორე ტაქსში, რომელიც შორიახლო მიჰყვებოდათ, ისხდნენ ამედგოს

მეგობრები: ზბოროვსკები, კიხლინგი და სალმონი. სასაფლაოს გაღრმავებაში იხინი არ შეუშვებს.

ხანა ორლოვა იგონებს, რომ სიკვდილის ხარეცელზე უნას სხეული მეტონმეტად პატარა და ბავშვური ჩანდა. ხანა [სიკვდილს] გაუკეთებია უნას ხის სტატუეტს, რომელზეც სამწუხაროდ ომის დროს დაეკარგა. გადარჩენილია მხოლოდ ფოტოსურათი, სადაც ეს სტატუეტი პატარა გოტიკურ მადონას გვაგონებს.

ერთი საფლავის ქვის ქვეშ ამედგო და უნა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაასაფლავეს, მოდილიანების ოჯახის დაუინებელი თხოვნის შემდეგ.

ამედგოს ძმამ ემანუელემ ვერ მოახწრო დაკრძალვაზე ჩამოსვლა იტალიიდან: პარლამენტის დეპუტატისათვის, სოციალისტისათვის იმ დროს ძნელი იყო საზღვარგარეთის პასპორტის აღება. იგი უფრო მოგვიანებით ჩამოვიდა პარიზში, რათა ფლორენციაში წაეყვანა პატარა უნა. შემონახულია ორი წერილი, რომელიც ამედგოს მეგობრებმა გაუგზავნეს ძმის დაკრძალვის შემდეგ.

ლუიჯი ჩეზანი — ემანუელე მოდილიანის (დედანი დაწერილია იტალიურად)

პარიზი. 27. 1. 1930.

ჩემო ძვირფასო მენე! ვამედგონებ, უკვე მიიღე ჩემი გუშინდელი წერილი. დღეს გავაცილეთ დედო უკანასკნელი განხვენების ადგილამდე... დეე, ჩვენი მანუგე-შებელი ამ მწუხარებაში იყოს სიყვარულის გულწრფელი გამოვლენა, რომელიც მიაცილებდა თქვენთვის უხაყვარლეს ადამიანს.

დღეს სხვადასხვა შემარცხენე გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ (გიგზავნი ამონაგერს „ლანტერნეიდან“). საავადმყოფოსთან უამრავმა მეგობარმა მოიყარა თავი. მათ შორის მრავლად იყვნენ ქალებიც. დაკრძალვას დაეხწრნენ უველა ქვეყნისა და ეროვნების მხატვრები: ფრანგები, რუსები, იტალიელები, ჩინელები და ა. შ. მრავლად იყო ცოცხალი უვაილები და ორი გვირგვინი წარწერით: „ჩვენს შვილს“, „ჩვენს ძმას“. უველანი ფეხით გაჰყვინენ ბაღდახინს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, რომელიც დაახლოებით შვიდი-რვა კილომეტრით არის დაცილებული შარიტედან. მის საფლაოზე რაბინმა ლოცვები წაიკითხა. მე უკვე გწერდი გუშინდელ წერილში, რომ არ ვიცი, როგორ შეხედავდი ამას ან რას იტყოდა ამაზე შენი საცოდავი ძმა, მაგრამ მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ უკეთესი იყო დაეძახათ მღვდლისათვის, რადგან ეს სახიამოვნო იქნებოდა განხვენებულის მამისათვის. წარმოიდგინე,

რახინმა იკითხა, რა ჰქვიაო განსვენებულის მამას და ჩემს გარდა ვერაფერს შეძლო პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, რომლის აზრსაც ვერა და ვერ ჩავწვდი...

სულით და გულით შენი
ძველი მეგობარი ჭიჭი.

ლეოპოლდ ზაოროვსკი — ემანუელე მოდილიანის

პარიზი, 31. I. 1920.

ძვირფასო მოდილიანი!

ამიერიდან ამედგომ, ჩემი ყველაზე უახლოესი მეგობარი, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე განისვენებს. თანახმად თქვენი და ჩვენი ხურცილისა, მისი საფლავი ყვავილებით არის მოფენილი. მთელი ახალგაზრდობა, ვისაც კი რაიმე აკავშირებდა ხელოვნებასთან, მონაწილეობდა ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და ჩვენი ეპოქის ყველაზე ნიჭიერი მხატვრის ამადღევებელ, საწიემო დაკრძალვაში.

უკანასკნელ თვეს ამედგომ სულ ოცნებობდა, ჩამოსულიყო იტალიაში მეუღლესთან და შეილთან ერთად. მხოლოდ მეუღლის მშობიარობას ელოდა — უნდოდა ახალშობილი ბავშვი დაეტოვებინა საფრანგეთში, იმავდროინდელს, რომელთანაც იმყოფება ახლა მისი გოგონა — ჯოვანა.

ბოლო ხანებში მისი ჯანმრთელობა, რომელიც მანამდეც სუსტი იყო, მეტისმეტად აღაშფოთებდა ყველას. ჩემს რჩევას — ხაჩქაროდ წახუთიყო შვეიცარიის რომელიმე სანატორიუმში — შედეგი არ მოჰყოლია. როცა ვეტყვოდი, არა ხარ კარგად, იმპურნალე-მეთქი, ისე შემომხედავდა, როგორც პირად მტერს და მეტყვოდა: „ნოტაციებს ნუ მიკითხავ!“ ის ხომ ვარსკვლავთა შველი იყო და მისთვის რეალური სინამდვილე არ არსებობდა.

მაგრამ ასეთ სწრაფ კატასტროფას არავინ ელოდა. მადა არახოდეს დაუპირგავს, სასიეროდ გამოდიოდა, განწყობილებაც კარგი ჰქონდა. არახოდეს უჩიოდა რაიმე შინაგან ტკივილს. გარდაცვალებიდან ათი დღით ადრე ლოგინად ჩავარდა და დაეწყო ძლიერი ტკივილები თირკმელებში. მოვიდა ექიმი და გამოგვიცხადა, რომ ნეფრიტი აქვსო (მანამდე ვერავინ დაიყოლია, ჩვენებოდა ექიმს), საშინელი ტკივილები სტანჯავდა, მაგრამ თვითონ აბედი ჰქონდა, მალე გაუვლიდა ყველაფერი. ექიმი ყოველდღე დადიოდა. მისი ავადმყოფობის მეექვსე დღეს მე თვითონაც ავად გავხდი და დილით ჩემი მეუღლე წავიდა ხანახავად. იქიდან მობრუნებულმა მითხრა, მოდილიანის სისხლის დებინება დაეწყო. გაიქცნენ ექიმთან, რომელმაც განაცხადა, რომ ხაჭირთა მისი გა-

დაყვანა საავადმყოფოში, რათა სისხლი შეუჩერონო. ორი დღის შემდეგ გადაიყვანეს საავადმყოფოში უკვე უგონოდ. მე და ჩემმა მეგობრებმა ყველაფერი ვიღონეთ, რაც შეიძლებოდა. რამდენიმე ექიმი გამოვიძახეთ, მაგრამ ტუბერკულოზური მენინჯიტი აღმოჩნდა, რაც დიდი ხნის განმავლობაში ანადგურებდა მის ჯანმრთელობას და რასაც ექიმი ადრე ვერ მიხვდა. მოდილიანი განწირული იყო.

ორი დღის შემდეგ, შაბათს, ხალამოს რვა საათსა და ორმოცდაათ წუთზე თქვენი ძმა გარდაიცვალა, ყოველგვარი ტანჯვის გარეშე, ისე რომ გონზე აღარ მოხუდა.

მისი უკანასკნელი დიდი ოცნება იყო, წახუთიყო იტალიაში. იგი ძალიან ბევრს და ძალიან ხშირად ლაპარაკობდა თქვენზე, თავის მშობლებზე. მისმა უბედურმა მეუღლემ ვერ გადაიტანა მისი სიკვდილი. მეორე დღეს დილის ოთხ საათზე გადმოხტა მეხუთე სართულის ფანჯრიდან, იმ სახლიდან, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, და სასიკვდილოდ დაშავდა.¹

როგორი ტრაგედიაა, ძვირფასო მოდილიანი! წარმოიდგინეთ, რომ სულ ახლახან მე მათთან ვიყავი, ვლაპარაკობდით, ვიცინოდით, ვპირდებოდით, შენთან უნდა ჩამოვიდე-მეთქი იტალიაში...

მისი მშვენიერი გოგონა, რომელიც ახლა თოთხმეტი თვისაა, ისევ იმ ძიძვასთან იმყოფება, ვისაც მოდილიანი და მისმა მეუღლემ მიამარეს, პარიზის მანობლად. სიკვდილამდე სამი კვირით ადრე მოდილიანი, თითქოს იგრძნობოდა მოახლოებული აღსასრული, დილის შვიდ საათზე ადგა, რაც სავსებით უჩვეულო იყო მისთვის, და წავიდა შვილის სანახავად. იქიდან ძალიან ბედნიერი დაბრუნდა. ახლა მე ვზრუნავ ბავშვზე. მაგრამ მშობლების შეცვლა შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ. მე და ჩემი მეუღლე სინარულით ვიშვილებდით მას, მაგრამ ამედგომ ყოველთვის გამოთქვამდა სურვილს, რომ მისი შვილი აღზრდილიყო იტალიაში, მის ოჯახში.

პატარაზე არ იქავროთ. ამ დღეებში მე და ჩემი მეუღლე წავალთ სანახავად. დაშვილებული იყავით, ბავშვი სავსებით ჯანმრთელია და უკვე სწავლობს სიარულს.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე სურვილი მოდილიანის შვილის თაობაზე, მომწერეთ და მე შევასრულებ თქვენს ნებას.

მოდილიანის ხსოვნის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა პატარა საზოგადოება, რომელსაც განზრახული აქვს, შეკრიბოს სხვადასხვა მხატვრის

¹ ფაქტიურად ეს იყო მეექვსე სართული. საფრანგეთში პირველ სართული, ვერეთ წოდებული იყო «rez de chaussée» სართულად არ ითვლება.

სურათები და გაყიდოს მისი შვილის სასარგებლოდ. ოცდახუთი ან ოცდაათი ათასი ფრანკი მაინც შეგროვდება და შეგიძლიათ მიიღოთ გოგონასათვის. მხატვრებს სურთ ამით პატივი სცენ მისი მამის ხსოვნას.

ძვირფასო მოდილიანო, მაპატიეთ, რომ ადრე ვერ მოგწერეთ, მაგრამ მე იმდენად თავზარდაცემული ვიყავი ამ საზარელი ამბით, რომ ძალია არ შემწევდა არც წერისა და არც ფიქრისათვის.

ჩემთვის ძალიან სახიამოვნო იქნება, თუ რამდენიმე სიტყვას მიხწერთ ანდრე ხალმონს (ჟოზეფ ბარის ქუჩა, 8), რომელიც იყო მისი მეგობარი და თაყვანისმცემელი და ბევრი გააკეთა მისთვის ავადმყოფობის დროსაც და სიკვდილის შემდეგაც. აგრეთვე მის მეგობარს — კისლინგს (ჟოზეფ ბარის ქუჩა, 8).¹ ისიც ეძებდა ექიმებს, მიჰყავდა ავადმყოფთან და, როცა უველაფერი დახრულდა, ის ხელმძღვანელობდა დაკრძალვას, რადგან მე ხულ დაეკარგე თავგზა. გარდა ამისა, მან დახატა მოდილიანი სიკვდილის ხარეცულზე. მე გამოგიგზავნით ფოტოსაც და ამ ნახატსაც.

უველა მისი ნიუთი შენახული მაქვს და გადმოგცემთ, როცა ჩამოხვალთ პარიზში.

მოკლე ხანში განზრახული მაქვს მოვაწურო მოდილიანის სურათების დიდი გამოფენა და ამის შესახებ წინასწარ შეგატყობინებ...

მე კიდევ გამოგიგზავნით რამდენიმე ამონაჭერს გაზეთებიდან.

ამით ვამთავრებ წერას და მომავალში კიდევ გამოგიგზავნით წერილს.

გულთად ხალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო მოდილიანი, და გთხოვთ გადასცეთ ჩემი მოკრძალებული ხალამი მშობლებს.

მომწერეთ წერილი და თუ ვაქვთ რაიმე ხურვილი, ნუ მომერიდებით.

თქვენი ერთგული
ლევოლად ზბოროვსკი

პარიზი, VI, ჟოზეფ ბარის ქუჩა, 8.

ახე რომ მოდილიანის მცირეწლოვანი შვილისათვის მცირეოდენი ფულადი ფონდის შესაქმნელად ზბოროვსკი ჯერ ისევ სხვა მხატვრე-

¹ ათი წლის შემდეგ კისლინგი წერდა მოდილიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ სპეციალურ ქურნალში: „რა შემძლია გითხრათ მასზე ისეთი, რაც ჯერ არ თქმულა? მხოლოდ ის, რომ ჩემთვის იგი ნამდვილი ძმა იყო, მიყვარდა და ხშირად აღტაცებული ვიყავი მისით, რომ მე და სალმონმა უველაფერი გავაკეთეთ, რათა იგი ღირსეულად მიგვებარებინა მიწისთვის.“

ბის სურათების გაყიდვაზე ამყარებდა იმედს (ოჯახის გადაწყვეტილება — სასწრაფოდ ვზრუნათ ბავშვზე — მან ჯერ კიდევ არ იცოდა), მოდილიანის საქვეყნო დიდებ. კი მართლაც თითქმის კარზე იყო მომდგარი. მის ქმნილებებზე თითქოს უცებ აფხარდათ თვალი! ამ ხაქმის მცოდნეთაც და კოდექსორმენტებმაც მოდილიანის ტილოებზე აღნიშნულ ჩვეულებრივ ფასს — 30-40 ფრანკს — საჩქაროდ მიემატა თითონოლი, შემდეგ ორი ნოლი, შემდეგ ხაში...¹

მალე ეს ნაწარმოებები პარიზის ფართო საზოგადოებამაც გაიცნო. ზბოროვსკიმ აღახრულა თავისი სიტყვა და მისი უშუალო მონაწილეობის შედეგად 1921 წელს „ლ'ევრის გალერეაში“ გაიხსნა მოდილიანის სურათების პირველი დიდი რეტროსპექტული გამოფენა.²

ამას მოჰყვა მეორე გამოფენა ბერნში უმცროსის გალერეაში. ორივე გამოფენას დიდი წარმატება ხვდა და პრესაც გამოეხმაურა, პროგრესული დემოკრატიული მიმართულების ცნობილმა კრიტიკოსმა — პოლ იუსონმა, უფრონად „მონპარნასის“ რედაქტორმა. 1922 წელს გამოაქვეყნა დიდი სტატია — „გრძნობა ტრაგიკულია“, რომელშიც ლაპარაკი იყო უტრილოზე, ვლამინკზე და უმთავრესად მოდილიანიზე. ეს სტატია მისი სიკვდილის შემდგომი დიდების დასაწყისი იყო. აქ ვხვდებით ასეთ სტრიქონებს:

„გოგენის შემდეგ მან უეჭველად უველაზე უკეთ შეძლო გამოეხატა თავის შემოქმედებაში გრძნობა ტრაგიკულია, მაგრამ მასთან ეს გრძნობა ბევრად უფრო ინტიმურია და გამორიცხავს ყოველგვარ განკერძოებულობას.“

...ამ მხატვარში მოცემულია უველა გამოუთქმელი მისწრაფება ახალი გამომხატველობისაკენ, რაც დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის, რომელიც ეძიებდა აბსოლუტურს და არ იცოდა მიხკენ ხავალი გზები.

¹ 1965 წლის დეკემბერში ფირმამ „Hammer Galleries“ ნიუ-იორკში 272 ათას დოლარად შეისყიდა მისი „ხალხის შვილი“.

² შემდეგში ზბოროვსკიმ გახსნა პატარა გალერეა სენის ქუჩაზე. იგი არ გამდიდრებულა, მაგრამ ერთხანს მისი საქმეები კარგად მიდიოდა, უმთავრესად მოდილიანის, სუტინის და რამდენიმე მისი საყვარელი მხატვრის სურათების გაყიდვის წყალობით. მაგრამ მაინც ვერ დადგა მისგან გამოცდილი, მომგებიანი მარშანი. ყოველნაბიჯზე ატყუებდნენ. პიერ სიშელი გვიყვება თავის წიგნში, ერთმა თაღლითმა როგორ დაარწმუნა ზბოროვსკი, რომ ნაღდი მყიდველი ჰყავდა ბერლინში გოგენის ერთი სურათისა, რომელიც შეფასებული იყო 100 ათას ფრან-

...ბერნჰეიმმა, რომელმაც გახუტ თვეს მოაწყო მოდილიანის სურათების გამოფენა, ასე ვთქვათ, დაადასტურა ამ მხატვრის დიდება... ერთად შეკრებილი სურათები დიდებული დემონსტრირება იყო ამისა, თუ რა შეუძლია მოგვცეს დღევანდელმა მხატვარმა, რომელმაც მხოლოდ თავისი ხელოვნების სიყვარული ამოძრავებს და გულგრილად უყურებს წუთიერ მოდასა და სურათებით მოვაჭრეთ მოთხოვნილებას.

...მოდილიანი, რომელიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა მონპარნასზე, უცხო მიწის შვილი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი თავის სამშობლოსთან და საფრანგეთში ჰპოვა ჭეშმარიტი

კად. ზბოროვსკიმ ხელწერილის გარეშე გაატანა სურათი და ამის შემდეგ თვალითაც იღარ უნახავს, ასეთი ბედი ხვდა ეტრილოს სურათების კოლექციასაც, ვალენტმა ხელ-ნელა გააღარიბეს და 1932 წელს, როცა იგი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა, მისი მეუღლე, იძულებული გახდა გაეყიდა ყველაფერი, რაც დარჩა მისი დიდი პირადი კოლექციიდან. ამავე წელს იგი გარდაიცვალა და ნათელი ხსოვნა დატოვა მეოცე საუკუნის ხელოვნების ისტორიაში.

სამშობლო თავისი ხელოვნებისათვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე თანამედროვეა ჩვენს თანამედროვე მხატვართა შორის. მან შეძლო გამოეხატა არა მარტო თანამედროვეობის მახვილი გრძნობა, არამედ უწყვეტად ურთობს კემპარიტებას, რომელიც უწყვეტად ურთობს მიღმა დგას. იყო თანამედროვე მხატვარი, არსებითად იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითად გადმოსცე შენი ეპოქის თრთოღვა, გამოხატო მისი ცოცხალი, ღრმა ფსიქოლოგია. ამისათვის არ კმარა შეჩერდე საგანთა მხოლოდ გარეგნულ გამოხახვაზე, ამისათვის საჭიროა შეგწმენდეს უნარი მათი ხულის გახსნისა, და ხწორედ ეს დიდებულად შეძლო მოდილიანიმ, მონპარნასელმა მხატვარმა, მხატვარმა, რომელიც ამიერიდან მსოფლიოს კუთვნილებად იქცა..."

რა შეიძლება დაუშვამათო მოდილიანის თანამედროვე, მგრძნობიარე, შეუცდომლად მოაზროვნე ადამიანის ამ დიდებულ სიტყვებს? მხოლოდ ის, რომ მოდილიანის შემოქმედება ასეთივე რჩება დღესაც, ჩვენთვის, ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ხელოვნებაში კემპარიტი ადამიანურობა, გარდახასული ამადლებულ, მგზნებარე პოეტურ სახეებში.





„მლჩანე რომანსეაროვს, რა დროს რომანსეაროა?“ ანუ თარიღად სიტუაცია
თანამედროვე დასავლური ლირიკის საეციფიკის თაობაზე
(პარმანულენოვანი კოეფიკის მიხედვით)

თანამედროვე დასავლური ლირიკის შესახებ დაწერილი ამ მცირე წერილისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეპიგრაფი წაგვემძღვარებინა, ამ ლირიკის სპეციფიკას, და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამედროვე დასავლურ ლირიკულ სიტუაციას ფორმულიზებული დაწურულობითა და ზედმიწევნით რომ გამოხატავს:

„ბუღბუღები და ვარდები განიდევნენ; დიდი ქალაქის ქუჩის ორმეტრიულში უცნაურად გაიხმის ბუღბუღის გალობა და ელექტრომუქზე ვარდებიც აღარ ჩანს ძველებურად ვარდისფერი“ (ვირჯინია ვულფი).

„ოსვენციმის შემდეგ ლექსების წერა აღარ შეიძლება“ (თეოდორ ვ. ადორნო). ადორნო, ცხადია, ტრადიციულ მელოდიურ, ჰარმონიულ, „იდილიურ“ ლექსებს გულისხმობს.

ამ მხრივ დამახასიათებელია ლირიკოსი ქალის, მარგარეტ ჰანსმანის ლექსი „1958-ის მთვარიანი ღამე“, რომელიც გოეთეს ლექსის „მთვარე კეთილო, ასე წუნარად რომ რონი-ნებ“ — საპირისპიროდაა დაწერილი: „დღესაც ისა ხარ, რომ აღაპსებდი ბუნდნარს და მინდორს ციმციმა ნისლით — მთვარეო, თუ ხარ შხამით გავსილი — ოსვენციმსა და ფლანდრიაზე გადმოკიდული?“

ხაზგასმული სიტყვები გოეთეს ლექსიდან ამოღებული ციტატა, რაც მკაფიოდ გამოკვეთს გაუვალ უფსკრულს კლასიკურ პოეზიასა და თანამედროვე ლირიკას შორის.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ თანამედროვე დასავლეთგერმანელი რომანისტი, ვოლფგანგ მილდენსჰაიმერის პარადოქსიც:

„ოსვენციმის შემდეგ რომანების წერა (ცხადია, მილდენსჰაიმერიც ტრადიციულ რომანს გულისხმობს, — ნ. კ.) აღარ შეიძლება, მხოლოდ — აბსურდული ლექსებისა...“

აბსტრაქციონიზმის მამამთავარს, XX ს. ერთ-ერთ უდიდეს მხატვარს, ვასილი კანდინსკის, რომელიც ერთხანს გერმანიაში ცხოვრობდა და გერმანულ მხატვარ, ფრანც მარკ-

თან ერთად 1912 წ. დააარსა ხელოვანთა გაერთიანება — „ცისფერი მხედარი“, ეკუთვნის გენიალური გამოხატვაში: „რაც უფრო საშინელი ხდება სამყარო (და ახლა იგი სწორედ ისეთი საშინელია, როგორც არასოდეს), მით უფრო აბსტრაქტული ხდება ხელოვნება, იმ დროს როცა ბედნიერი სამყარო ქმნის რეალისტურ ხელოვნებას“.

(ალხანიშნავია, რომ ამ დროს კანდინსკიცა და ფრანც მარკიც ახლოს იდგნენ ექსპრესიონისტებთან, კანდინსკის ექსპრესიონისტული ლექსებიც დაუწერია გერმანულ ენაზე, ხოლო ექსპრესიონისტთა ერთ-ერთ მანიფესტსა და კანდინსკის ერთ ფერწერულ ტილოს ჰქვიათ: — „ცისფერი მხედარი“. იხილეთ შეიძლება შევნიშნოთ, რომ მარკსაც აქვს ფერწერული ნამუშევარი „ლურჯა ცხენების კოში“ — 1918).

თანამედროვე დასავლელი ლირიკოსების აზრით, XX საუკუნის და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანი არსებითად განსხვავდება გასული საუკუნეების ადამიანისაგან. და რადგან შეიცვალა ადამიანი, მისი ცნობიერებაცა და უოფიერებაც, ბუნებრივია, დაიბადა მოთხოვნილება და საჭიროებაც, ადამიანის სულიერი სამყაროს გამომხატველი უნარის — ლირიკის, მისი თემატიკისა და შინაარსის, ასევე ფორმისა და გამომხატველი საშუალებების, ლირიკული „ენის“ ადეკვატური შეცვლისაც — ადამიანის ახალ, შეცვლილ ფსიქიკასა და ცნობიერებას ვეღარ გამოხატავს ძველი ყაიღის, ტრადიციული პოეტური „ინვენტარი“ და „ინსტრუმენტარიუმით“ აღჭურვილი ლირიკა — ადამიანის ახალი ფსიქიკა ახალმა ლირიკულმა ფორმებმა, ახალმა ლირიკულმა „ენამ“ უნდა გამოხატოს.

კატახტროფებითა და კატაკლიზმებით დანადმულ, დისჰარმონიულ ეპოქას აღარ შეეფერება კლასიკური, ჰარმონიულად გაწონასწორებული, „იდილიური“, მელოდიური პოეზია — დისჰარმონიულ ეპოქას შეესაბამება დისილუზიური ლირიკა, დისონანსებით, კონტრასტებით.

გროტესკით, ტრაგიკომიზმითა და „შავი ჰუმორით“ გამსჭვალული ლირიკა.

ახალმა სათქმელმა — ახალი ფორმა, ახალმა მსოფლალქმამ, ახალმა მსოფლგანცდამ, ხამყაროს ახალმა ხედვამ და წვდომამ — ახალი ტონები, ახალი ანტონაციები, ახალი აქცენტები, ახალი ხალებავები, ახალი ხაზები, ახალი უღერადობა, ხმის დაწევა, სულ სხვა, — ახალი რეგისტრის პოეტური შეტყველება მოითხოვა. კრიზისულმა ეპოქამ ამ ეპოქის შესაფერისი ტრაგიკულ-გროტესკული, კონტრასტულ-პაროდული დიქცია მოითხოვა. თანამედროვე ლირიკოსების აზრით, კლასიკური, კონვენციური ლექსი თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის გადმოცემისათვის შედაბირული, ცალმხრივი და ერთგანზომილებიანია.

„უშუბარების ჩრდილში გაზრდილი თაობის“ სულისკვეთებას ველარ გამოხატავ რომანტიკული რომანსერობით (გავიხსენოთ ვალაკტიონის „მღერენ რომანსერობს, რა დროს რომანსეროა?“). ეს, უბრალოდ, სათქმელის ადეკვატური არ იქნება.

თანამედროვე დასავლური ლირიკის, ისევე როგორც მთელი ლიტერატურისა, ძირითადი თემაა ეგზისტენციურად შეჭირვებული ადამიანის ეპოქალური მდგომარეობა, მისი სიმარტოვე, გაუცხოება და თვითგაუცხოება, უკონტაქტობა და არაკომუნიკაბელობა ინდუსტრიულ მქანაზეებულ, ტექნოკრატიულ, დაპროგრამებულსა და კონსუმურ (მომხმარებელურ) საზოგადოებაში; თანამედროვე დასავლური ლირიკა — ეს არის განმარტოებული, საკუთარ თავში გამომწყვდეული ადამიანის სასოწარკვეთილი კვიდი, ძახილი მილიონიან ქალაქ-„უდაბნოში“, სადაც შეზობელს შეზობლისა არ ესმის, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა დაშორება ბუნებასთან, მოწყვეტა ბუნებისაგან. ეს არის „არსებობა უოველგვარი „შენ — აბექტის გარეშე“ (ბაცონ ფ. ბროკი).

თანამედროვე ლირიკა გამოხატავს ხელოვნებისადმი მტრულად განწყობილ ტექნიკურ-ცივილიზატორულ გარემოში მოქცეული ადამიანის მდგომარეობას, სადაც ხელოვნება კომერციალიზებულია, აგრეთვე თანამედროვე ადამიანის აბოკალიფხურ ძრწოლას ატომურა საშინელების წინაშე — დასავლურ ლირიკაში ბატონობს წარღვნისწინა განწყობილება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი დასავლური თაობის სულისკვეთებას გამოხატავს ავსტრიული ლირიკოსი ქალი, ინგებორგ ბანმანი, როცა ერთ თავის ლექსში წერს:

ჩვენი ღვთაება,
ატორია, საფლივს გვიშხადებს,

და ექიდან კი არ არსებობს მკვდრებით
„ტოტემი“.

თანამედროვე დასავლური ლირიკიდან განი-
დევნა არსებობის სიხარული, იდილიური კმა-
ყოფილება და სიცოცხლის „მათისი“.

თანამედროვე დასავლური ლირიკა, როგორც მთელი დასავლური ხელოვნება საერთოდ, ილა-
შქრებს ჰიპერტროფირებული ტექნიკის, ავ-
ტომატების, მანქანების, რობოტების კულტის, ბუნებისშეტყველურ მეცნიერებათა და მათი მეთოდების გააბსოლუტურების, ამ მეთოდების ადამიანურ სფეროში (ეთიკა, ხელოვნება, სოციოლოგია) გადატანის წინააღმდეგ, იბრძვის ხელოვნებისადმი სამომხმარებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ. თანამედროვე დასავლური ლირიკის სატირის, უარყოფის ობიექტია კონფორმიზმი (გაბატონებული, გავრცელებული, დაშვიდრებული ვითარებასთან შეგუების მიდრეკილება), აგრეთვე „ისტებლიშმენტის“ სულისკვეთება (არსებული, გაბატონებული სისტემის, მტკაცედ დამკვიდრებული მდგომარეობის შენარჩუნების ტენდენცია); ამ ლირიკის ირონიული მახვილი მიმართულია ტექნოკრატიებისა და „ჰომო ფაბერების“ წინააღმდეგ (ე. ი. ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა კერპი ნრვთიერი კეთილდღეობა — „პროსპერიტეტია“, რომლებიც აღიარებენ მხოლოდ „გამომთვლელ“, ოდენობრივი ცვლილებებისა და განსხვავების აღმწახველ ინტელექტს და უარყოფენ უოველგვარ გრძნობას, ადამიანურ „სისუსტეებს“, ზედმეტად ზიარწევენ პოეზიას, ხელოვნებას და ყველაფერს, რაც მატერიალურ, ნრვთიერ ღირებულებას არ ქმნის — მათთვის არსებობს მხოლოდ ტექნიკისა და კომფორტის გაუმჯობესება-სრულქმნის, საერთოდ ბუნებისშეტყველურ მეცნიერებათა პრობლემები, ხოლო ეთიკის საკითხები მათი აზრით ფიქცია).

უოველივე ზემოთქმულის შესაბამისად დასავლური ლირიკა განთავისუფლდა ტრადიციული პოეტური „სამყაულებისაგან“, „ჩუქურთმებისა“, არაბესკებისა თუ ორნამენტებისაგან, მელოდორობისა და კეთილხმოვანებისაგან (შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე დასავლური ლირიკის სპეციალისტი, ჰუგო ფრიდრიში ამ ლირიკას „დეპოეტოზირებულ პოეზიას“ უწოდებს). რა პარადოქსულადაც უნდა უღერდეს, ლირიკა განიძარცვა ლირიზმისაგან, გულითადობისაგან, უშუალო მგრძნობელობისაგან, ინტიმურობისაგან, ხალასი გრძნობებისაგან, — იგი განიმსჭვალა ირონიულ-პაროდული ტონებით, გროტესკით, კონტრასტულობით და ძრწოლის, ვრუანტელისმომგვრელი.

ამაზრუნენი კომიზმით, მკუმუნვარე ამბივალენტურა „შავი ბუმორით“ (სიურრეალიზმის მამამთავრის ანდრე ბრეტონის გამოთქმა). თანამედროვე ლირიკაში გაძლიერდა მეფისტოფელიური ქირქილი, „შავი სიცილი“. თანამედროვე დასავლური პოეზია „ასკეტური“, „უხორცო“, „ულამაზო“ ლირიკაა. მისთვის, ისევე როგორც საერთოდ მთელი ლიტერატურისათვის, დამახასიათებელია შეგნებული, წინასწარგანზრახული ხტილური აღრევა, და ეს იმ დროს, როცა კლასიკური, უფრო ზუსტად, რომანტიზმამდელი ხელოვნებისათვის, საერთოდ, და ლირიკისათვის, კერძოდ, ხტილის ერთიანობა, სიწმინდე და შეურევლობა იყო ნიშანდობლივი. ვინკელმანი წერდა: „უწმინდური არ უნდა შევურიოთ წმინდას და საზარელი არ უნდა ავრიოთ ამადლებულში“, — ეს იყო კლასიკური ჰარმონიული ხელოვნების ძირითადი ესთეტიკური პრინციპი.

თანამედროვე დასავლურ ლირიკაში კი შეგნებულადაა წაშლილი ზღვარი წმინდასა და უწმინდურს, ამადლებულსა და მდაბალს შორის. რადგან ეს, ერთი მხრით, გამოსატავს თანამედროვე დასავლელი მწერლების, საერთოდ, და, კერძოდ, ლირიკოსების მიერ ემპირიულ სინამდვილეში წესრიგის, უზენაესი ზნეობრივი პრინციპის, კანონზომიერების დაუნახველობას, მათ მიერ სამყაროს აბსურდულობის, ქაოტურობის განცდას (ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დაკარგეს ღირებულებათა შეფასების უნარი, ჩაქრა შემფასებელი პათოსი და ფეხი მოიკიდა რელატივიზმმა, რის მიხედვითაც უველაფერს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ანდა უველაფერი თანაბრად უმნიშვნელოა) მეორე მხრით, ეს ხერხი თუ მეთოდი (რომელიც ურთიერთსაპირისპირო ელემენტების აღრევას გულისხმობს) ქმნის კონტრასტის, „ცივი შხაბის“ ეფექტს, რაც იწვევს „ჩათბუნებული“, „მაძლარი“, „დამშვიდებული“, არხენი, უზრუნველი მკითხველის შოკირებას, ეპატირებას, გაცოფებას, რომელსაც მატერიულ კომფორტთან ერთად ხულიერი კომფორტის შენარჩუნებაც სწადია, ზოლო მწერლები სწორედ ხულიერ კომფორტს ურღვევენ მას. მაშასადამე, ყოველივე ეს ნაწილობრივ პროტესტის თავისებური სახეცაა. ეს არის მკითხველის გაღიზიანება, მისი პროვიცირება, წინააღმდეგობის, პოლემიკური პათოსის აღძვრა მასში.

თანამედროვე ლირიკას საოცრად გრძნობიერი „აღღრგია“ თუ „იდიოსინკრაზია“ აქვს მაღალფარდოვნების, ხენტიმენტალობის, გრძნობამოჭარბებულობის, „ჩამტკბარობის“, „მიბნედილობის“ და „ჩახუჭუჭებულობის“ მიმართ

(ჰაინეს ლირიკაც კი შეტისშეტად „ტკბილი“ და „მიბნედილი“ ეჩვენებათ თანამედროვე ლირიკოსებს). 1982 წელს ჯარდაცვლილმა ლირიკოსმა პაულ ვინსმა ახე დაახსიათა თანამედროვე ლირიკის ძირითადი ტენდენცია: „მე ვფიქრობ, პოეზიაში სიმძიმის ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს... პათოსიდან — ბრძნული სიფხიზლისაკენ, ლამაზი შესამოსელიდან — შიშველი სიმართლისაკენ...“

გერმანულენოვან ლირიკაში დიდხანს, კერძოდ, XX საუკუნემდე, ამ საუკუნის 20-30-იან წლებამდე ბატონობდა ჰაინეს მუსიკალურ-მელოდიური, პლასტიკური სილამაზის შემცველი პოეზიის ნაკადი. ნელ-ნელა გზას იკაფავდა, მკვიდრდებოდა ურითმო, „არამელოდიური“, „შიგნითჩაბრუნებული“, „ჩაშინაგანებული“ ლირიკა. გაბატონებული უანრი გახდა ლირიკული გროტესკი.

თანამედროვე ლირიკა უკიდურესად ანტი-რომანტიკული და აგრეთვე აშკარად გამოკვეთილი პოსტნიშოლისტური პოეზიაა. აქ დომინანტობს არა მხედველობითი, ვიზუალური ანდა აკუსტიკური შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი, არამედ შინაგანი ხილვები, ვიზიონები; არსის (და არა თვალის ანდა ყურის) შთაბეჭდილებანი; არა მუსიკა ანდა ხილული ხატი, არამედ სულის უფსკრულების, ეგზისტენციური შეჭირვების პარაბოლურ-არქექტიპული გამოხატვა; არა ნანევარჩრდილები და ნანევარტონები, არამედ ეგზისტენციური შიშით გათანგული სულის კვილი.

გერმანულენოვანი ლირიკის ისტორიაში რაინერ მარია რილკემ დაახრულა დასავლეთეუროპული „ლირიკული“ ლირიკის ხაზი, და დასაბამი მისცა „უგრძნობელ“, კატაკლიზმებითა და კატასტროფებით შეძრულ, აპოკალიფსური ხილვებისა და „ყუმბარების ჩრდილში გაზრდილ თაობის“ დისონანსურ და დისჰარმონიულ ლირიკას, რაც მუსიკალურობას, რითმების კეთილხმოვანებას „მკრეხელობად“ და „ანაქრონიზმად“ მიიჩნევს. თანამედროვე დასავლური ლირიკის პოზიციიდან თუ შევხედავთ, მაღარმე, ვერლენი, რემპო და თვით რილკეც უკვე ტრადიციან, ისტორიან, კლასიკან. უფრო შეტიც, თანამედროვე, XX ს. მეორე ნახევრის დასავლეთეუროპული პოეზია თვისობრივად განსხვავდება ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლების ლირიკისაგანაც. მასში ძირითადად ორი ინტონაცია ისმის — გოდებისა და ბრალდების, „პახუხის მოთხოვნის“ ინტონაცია.

თანამედროვე დასავლური ლირიკა, ისევე როგორც მთელი ლიტერატურა, მკითხველის აქტიუობას მოითხოვს — დაუძაბავად, მოშე-

ბულად, „ლაღად“ ამ პოეზიის აღქმა შეუძლებელია (ეს აღბათ ბევრს ანტიპოეტურობად და „ანტილირიკულობად“ მოეჩვენება). უოფილი ექსპრესიონისტი, გფრ-ის ლირიკის მამამთავარი, გოტფრიდ ბენი ასე ახასიათებდა თანამედროვე ლირიკულ ლექსს. „სავსებით ახალი მასალა იჭრება ლექსში: გარე სამყაროს შთაბეჭდილებანი, სწავლული რემინისცენციები, უცხოენოვანი ციტატები, პირდაპირი შეტყუვლება, ლექსიკალური შენიშვნები, კინოწაფენები, წინარე რაციონალური გამოცდილების სიმბოლოები და ა. შ.“.

თანამედროვე დასავლური ლირიკა მიზნად ისახავს მცონარე, ინერტული, დინებასმინდობილი, მასიურ ფსიქოზში ჩათრეული, მოდას და ფეხისხმას აუოლილი, ათახგვარი რეკლამებით, საცხოვრებო სტანდარტებითა და კლიშეებით კეშმარიტ ადამიანურ გზას აცდენილი მკითხველის შენჭლრევას, აფორიაქებას, აღშფოთებას. ასე ცხოვრება არ შეიძლება, ეს დამღუპველია, ანტიადამიანურია, გონს მოდით, გამოფხიზლდით...!!!

თანამედროვე დასავლური ლირიკის ერთ-ერთი მიზანია, გაუქარწყლოს მკითხველს, ასე ვთქვათ, ლირიკულის მოლოდინი, ე. ი. გააქარწყლოს ის, რასაც მკითხველი ლირიკისაგან, ლირიკული ლექსისგან მოეღის... ამას გარდა, ამ ლირიკის, ისევე როგორც მთელი თანამედროვე დასავლური ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა პაროდულიობა, აგრეთვე კლასიკური პოეზიის (მაგ. გოეთეს) ციტირება, რაც კონტრასტის საფუძველზე ქმნის ირონიულ-პაროდულ ეფექტსაც (მანსმანის ლექსის ანალიზი).

ცნობილი გერმანელი პოეტი, პეტერ ბუხელი, იმისათვის, რათა თვალნათლივ წარმოგვიდგინოს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, ახდენს სახარების, ქრისტესშობის პაროდირებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, პოეტი თითქოს სახარებას ან ქრისტიანობას დასცინოდეს, არა! ეს მიზანი ლირიკოსს არა აქვს.

ლექსში, რომელიც მოთავსებულია კრებულში — „შარაგზები, შარაგზები“... (1968), ნარვენებია ბოსელი, ბაგა ტყვიებითაა დაცხრილული, მაგრამ ღვთისმშობელი მკვდარია, შარავანდი ხისხლითაა მოსვრილი. ხამი ზღლმწიფე ნიღბაფარებულ ხამ ქარისკაცად გადაქციულა, რომელთაც არ ესმით ბავშვის ტირილი, ვერ ამჩნევენ ვარსკვლავების ციმციმს...

ლექსში სახარების ტექსტი ალაგ-ალაგ თითქმის უცვლელადაა შეტანილი, ოღონდ აღარ ჩანან ცხოველები, სახედარი, ხარი, არც საკმევის კმევაზეა ლაპარაკი, სამაგიეროდ არის

კვარტლი და ბენზინი, არის ტექნიკის ნაშთები, ტანკების ნამსხვრევები...

ტიპიურ მაგალითად გამოდგება აგრეთვე პოეზია 1972 წ. გარდაცვლილი, მრავალი, უაღრესად საპატიო ლიტერატურული პრემიის ლაურეატის¹, ცნობილი დასავლეთგერმანელი პოეტის, გიუნტერ აიპისა, რომელსაც არა მარტო გფრ-სა თუ ავსტრიაში, ლუქსემბურგსა თუ ლიქტენშტაინში, შვეიცარიაში თუ გდრ-ში, ჩვენშიაც დიდად აღასებდნენ და მიიჩნევდნენ ომის შემდეგდროინდელ ლირიკოსთა თაობის ერთ-ერთ უნიჭიერეს და უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად².

გიუნტერ აიპი დაიბადა 1907 წელს ოდერის პირას მდებარე პატარა ქალაქ ლებუსში, ბავშვობა და სიურმე ბერლინში გაატარა, სწავლობდა სინოლოგიას (ჩინურ ენასა და ლიტერატურას) და სამართლისმცოდნეობას. 1932 წლიდან მწერლობა დაიწყო, ცხოვრობდა დრეზდენსა და ბერლინში. 1939-1945 წლებში ქარში იყო გაწვეული, იყო ამერიკელთა ტყვე-

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, 1946 წლიდან 1952 წლამდე გნაიზენჰაუზენში (პატარა ქალაქია დასავლეთ გერმანიაში) ცხოვრობდა. 1952 წელს დაქორწინდა სახელგანთქმულ ავსტრიულ მწერალზე ილზე აიპინგერზე და მასთან ერთად ზემო ბავარიაში, ლენგგარისში გადავიდა. ბოლოს ცოლ-ქმარი ავსტრიაში, გროს-გმაინში დასახლდა. აქვე 1972 წელს, აიპი გარდაიცვალა.

ცხადია, მცირე მოცულობის წერილში არა გვაქვს გიუნტერ აიპის რთული და მრავალწახნაგოვანი ლირიკის სრული განხილვის

1. „გგლფი 47“-ის პრემია — 1950; ბავარიის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის ლიტერატურული პრემია — 1951; ომში დაბრმავებულითა პრემია — 1952; გეორგ ბიუჰნერის პრემია — 1958 (დასავლეთ გერმანიაში ყველაზე საპატიო ლიტერატურული პრემია); ქალაქ შტუტგარტის შილერის პრემია — 1968 და სხვ.

2. იხ. გფრ-ის ლიტერატურის ისტორია, სსრკ-ს მეც. აკადემია, ა. მ. გორკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. „ნაუკის“ გამომც. მოსკოვი, 1980, გვ. 448 (ამ წიგნში სპეციალური, სახელდობრ, 26-ე თავი, ეძღვნება გიუნტერ აიპს (ხოლო გდრ-ში 1975 წ. გამოცემულ „გერმანულენოვან მწერალთა ლექსიკონში“ (ტ. 1) ვკითხულობთ: „აიპის ლირიკულმა შემოქმედებამ... პოეტი აღრევე მოაქცია დასავლეთგერმანული პოეზიის სათავეში“ (გვ. 183).

პრეტენზია — შევეცდებით მხოლოდ გაცვრით შევეხოთ მისი პოეზიის ერთ მხარეს და ზოგიერთ თავისებურებას.

მომხმარებლური, უტილიტარისტული, ანტი-ესთეტიური, კონფორმისტული სულიკვებით საზოგადოებით გულარეული გიუნტერ აიძი თავის ლირიკაში შეგნებულად ამხსვრევს რომანტიკული სილამაზის იდეალს, რადგან, მისი აზრით, თანადროული ეპოქა აღარ შეესაბამება პარმონიული, კლასიკური ხელოვნების ესთეტიკურ კატეგორიებს. ლირიკოსი შეგნებულად მიმართავს „არალირიკულ“ თემებს — ვარდების ნაცვლად მის ლექსებში ვხვდებით კინკარს, ბუღბუღების მაგიერ — ობობებს, ვარსკვლავების წილ — სველი ტელეგრაფის შავთულებზე ჩამომსხდარ გაქუცულ ყვავებს.

ახეთი „დაბალი“ სფეროებიდან აღებული რეალიები ქმნიან ძრწოლისმომგვრელ განწყობილებებს; პოეტს სურს შეაშფოთოს, მუუდროება, ხულიერი კომფორტი დაურდვიოს მამდარსა და თვითკმაყოფილ ბურჟუებს. არა-იშვიათად გიუნტერ აიძი კონტრასტულობის ეფექტს მიმართავს: ერთმანეთის გვერდით ათავსებს „მადალსა“ და „დაბალ“ რეალიებს: „ცის სილაუვარდე“ და „დასაკლავი გოჭის უურის-წამლები ჭყვირილი“, „პოლდერლინი“ და „შარდი“, „ნიბელუნგები“, „ფაუსტი“ და „ტიღები“ და ა. შ.

სამაგალითოდ გავეცნოთ გიუნტერ აიძის ერთ-ერთ ცნობილ ლექსს, რომელიც თანამედროვე გერმანულენოვანი ლირიკის თითქმის ყველა ანთოლოგიაში იბეჭდებოდა ხოლმე და რომლის ქართული თარგმანიც გამოქვეყნდა „საუნჯის“ 1988 წლის მეხუთე ნომერში.

მართალია, ფრიდრიხ შლეგელისა არ იყოს, ლექსისათვის დართული ახსნა-განმარტება იგივეა, რაც მწვადის მიართვევის წინ ანატომიის ლექცია, მაგრამ აიძის ამ ლექსის ქართულმა თარგმანმა იმდენი მიოქმა-მოთქმა და გაუგებრობა გამოიწვია, რომ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მიზანშეწონილი და გამართლებულია შლეგელის „შეგონების“ დარღვევა.

გიუნტერ აიძის ლექსი, რომელსაც ერთობ გამომწვევი და სკანდალური სათაური აქვს — „ჩენმა“, მოთავსებული იყო პოეტის ლექსთა კრებულში — „მივარდნილი კარ-მიდამოები“, 1948 წელს რომ გამოქვეყნდა (ჩვენ უკვე ვიცით, რომ გიუნტერ აიძი მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს და ინტერნირებული იყო ამერიკელ ტყვეთა ბანაკ-

ში). სწორედ ამ კრებულში ჩათავსებულ ლექსებში შეეცადა პოეტი გადმოეცა დატყვევებული ჯარისკაცის განცდები და ხულიერი განწყობილება. ლექსის ტექსტში გამოხატავს ტყვეთა ბანაკში შინაგანად დასუსტებული და დამშეული, რწმენადაკარგული და სახოწარკვეთილი გერმანელი ჯარისკაცის მდგომარეობასა და მსოფლმხედველობას.

ცნობილი დასავლეთგერმანელი ლირიკოსა და ლირიკის სპეციალისტი, პორსტ ბინგელი წერს აიძის ამ ლექსზე:

„ცხადია, პოლდერლინსა და შარდს შორის რაიმე კავშირის დანაბვა, შეიძლება მკრეხელობად მოგვეჩვენოს, მაგრამ მაინც სწორედ ამქვეყნად გავრცელებულმა მკრეხელობამ გახადა შესაძლებელი ეს ლექსი: ომის უაზრობამ და აღამიანის მივლინებამ მასობრივი მკვლელობისათვის“⁴.

ეს ლექსი დაწერილია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და დატყვევებული გერმანელი ჯარისკაცის პოზიციიდან. მთელი ლექსი წარმოადგენს ჯარისკაცის შინაგან მონოლოგს. ეს ჯარისკაცი „საზარბაზნე ხორცად“ (თუკი ეს გამოთქმა მეორე მსოფლიო ომის მიმართ გამოდგება) წამოიყვანეს ფრონტზე, შემდეგ ტყვედ ჩავარდა, ახლა მას არავითარი ილუზია აღარ შემორჩენია „სამშობლოზე“, რომელიც სხვებს დაესხა თავს. არაფრის რწმენა აღარა აქვს. ნაციისტებმა ჯარისკაცები ცხოველებად აქციეს, არც ამერიკელთა ბანაკში ცდილან საგანგებოდ მასში აღამიანის გაღვიძებას — ამ ჯარისკაციდან თითქმის მთლიანად „გამოდენილია“ ხულიერი ღირებულებების აღქმის უნარი. ის ბიოლოგიური ინსტინქტების ამარაა დარჩენილი. მისი ოცნება და ფიქრი არ სცილდება უოველდღიური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, დანაურებისა და საჭმლის შეტნაკლებად ნორმალური მონელების ფარგლებს — მას ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური პროცესებიც გაძნელებულად აქვს... ლექსში აშკარად ჩანს, რომ ბიოლოგიური ინსტინქტები ბატონობენ ამ გაძვალტყავებულ, დამშეულ გერმანელ ჯარისკაცში; „ნივთიერი“, „ფიზიოლოგიური“ ინტერესები და ღირებულებები ჩაბნიან მასში „პოლდერლინს“, რაც ამ ლექსში ხულიერის, აშალლებულის, მშვენიერის სიმბოლოს წარმოადგენს.

ლექსი აშკარად შეიცავს პაროდის ელემენტს: აღამიანის ქვენა ინსტინქტებზე, ფიზიო-

4. იხ. გერმანული ლირიკა. ლექსები 1945 წლის შემდეგ. გამოცემული პორსტ ბინგელის მიერ. გერმანული ენის წიგნის გამომცემლობა. III გამოცემა 1966. მიუნჰენი. გვ. 226.

3. იხ. ეკავ დასახლებული გფრ-ის ლიტერატურის ისტორია, გვ. 450.

ლოგიურ პროცესზე ლაპარაკია პათეტიკური, „მაღლებული“ ტონითა და სტილით, თითქმის საუბარი „მაღალ მატერიებს“ ეხებოდეს — პაროდულიობის ეფექტს ქმნის შეუსაბამობა მაღალფარდოვან, მოჩვენებითად შეფრფინვით ტონსა და შინაარსის, სათქმელის „სიმდაბლეს“, მეტისმეტ მიწიერებას შორის — ე. ი. წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარს შორის.

II მსოფლიო ომის მონაწილე და დატყვევებული, გაუბედურებულ გერმანელ ჯარისკაცს რა ემოციური დინამიკა და რა ერომანტიკოსება?

გიუნტერ აიში მკითხველს აძლევს — შეხედოს ერთდროულად ჭუჭყსა და პოეზიას, სიმალღესა და ადამიანის უკიდურეს დაცემას — ამ უღმობელ კონტრასტებს მკითხველმა უნდა შეხედოს ფხიზლად, ემოციების გარეშე და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს, გაიაზროს, კრიტიკულად შეაფასოს ის ანტიადამიანური მდგომარეობა, რომელშიაც XX საუკუნის ადამიანები ჩააყენეს ნაცისტებმა.

რაც შეეხება „დაბალი“ რეალიების გამოყენებას, ფიზიოლოგიურ პროცესებზე საუბარს და ა. შ., სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტს სიამოვნებას ანიჭებს ნაგავში ხელის ფათური, არა, ეს არ არის მისი პირველობა, ახირება ანდა უზნეობა. ლექსით გიუნტერ აიში სიმშვიდეს ურღვევს, „ცივ შხაპს“ ასხამს გამძლარსა და ჩათბუნებულ ადამიანებს, რომლებიც თვალს ხუჭავენ ხოლმე მათ გარშემო არსებულ სიბილწეზე. თავს იტყუებენ, ვითომ ირგვლივ ჰარმონია და იდილიაა გამეფებული, მათ არაფერი გაუგონიათ, არაფერი იციან, არაფერი დაუნახავთ, ყველაფერი აყვია და ცილისმწამებელმა ადამიანებმა მოიგონეს...

მეორე მხრით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მდაბალი რეალიებისა და „მაღალი მატერიების“ ასეთი დაპირისპირება XX საუკუნის გამოგონილი არ არის. კრიზისულ ეპოქაში ლიტერატურა ამ ზერხს წინათაც მიმართავდა. მაგალითისათვის ავიღოთ მე-17 საუკუნის გერმანული ლიტერატურა. ცნობილია, რომ ამ საუკუნეში, განსაკუთრებით ოცდაათწლიანი ომის დროს (1618-1648) გერმანია ყველანაირად გაჩანაგებული და იავარქმნილი იყო და პოეტი ანდრეას გრიფიუსი, ჩვენში თავისი ტრაგედიით — „ეკატერინე ქართველით“ — რომაა ცნობილი, იმდროინდელი ადამიანის მძიმე მდგომარეობას, მისი არსებობის უმტკიცობასა და სწრაფ ცვალებადობას ერთ-ერთ ლექსში ასე „უცენზუროდ“ გამოხატავდა: „დღეს ყვავილები, ხვალ ნებვი“ (დედაწი უფრო „მაგრადაა“ ნათქვამი: „იტც ბლუმენ, მორგენ კოტ“).

გიუნტერ აიში ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ლირიკული კრებულის („შინაარსი კარ-მიდამოები“) მეორე ლექსში კიდევ უფრო დაუფარავად და შეუღამაზებლად გამოხატავდა ტყვეთა ბანაკში დაწვედილი ჯარისკაცის ბედს. გიუნტერ აიში ამ ლექსშიც უპირისპირებს ერთმანეთს „მაღლებულსა“ და „მდაბალს“, „პოეტურსა“ და „მიწიერს“, სულიერ ინტერესებსა და ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ ინსტინქტებს.

მოვიტან ამ ლექსის პწკარედულ თარგმანს. შინ, სამშობლოში გადაგვეწვა, გადაგვებუგა სამოსელი და ფეხთსაცმელი, ნიბელუნგები და ფაუსტი.

აქ კი თვალს ვაყოლებ მოსკიტების ფრენას, თვლები ციებისგან ანთებული მაქვს, გამოთაყვანებული ვარ და ჩატილული

დღეები ვლიან მავთულბლარებში, გვეძინავს პროექტორების მჭახე შუქის ქვეშ. ჩემს ილღებსა და სასირცხოს მიდამოებში საზრდოობენ ტილები. ბანაკი იძირება მღვრიე სიჩუმეში. ჩემი კვნესა ვერავის ყურამდე ვერ აღწევს. სამყართ გვესალმება ჩემისა და ქლთრის სურნელებით. სამყართ სრულყოფილებას არ აღვლევს არაფერი, ღმერთის სუსხიანი ფშვინვა ქრის ტყვეთა კარავის ზეგარდმო.

ამ ლექსშიც აიში კონტრასტის ეფექტს ქმნის ურთიერთსაპირისპირო სფეროების, პოლარული სიბრტყეების, ურთიერთშეუთავსებელი რეალიებისა და ელემენტების პარადოქსული განლაგებით.

ამ ლექსითაც აშკარად დასტურდება, რომ ე. წ. „უცენზურო“ ადგილებს თვითმიზნური, თავისთავადი კი არა, არამედ ფუნქციური მნიშვნელობა და დანიშნულება ენიჭებათ.

დაახლოებით ასე შეიძლება მოკლედ, დაწურულად შემოგხაზოთ თანამედროვე დასავლური ლირიკის არსებითი სპეციფიკა და ამ ლირიკის ტიპურ წარმომადგენლის, გიუნტერ აიშის პოეზიის მხოლოდ ერთი მხარე.

5. პატარ-პატარა მწერებია, რომლებიც ადამიანებსა და ცხოველებს სისხლს სწოვენ და მოსკიტურ ციებ-ცხელებას იწვევენ — ნ. კ. რ. ორიგინალში ერთმანეთს ერთმება: „ფაუსტი“ და „ტილიანი“ — „ფაუსტ“ — „ფერლაუზტ“.





თარგმნა ნანა ახოზაძემ

უმძაფრეს შემგრძნებათა ერა

მ რომცდაათიან წლებში დასავლეთის საზოგადოების ცხოვრებაში მძიმე დრო დადგა, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე „მღელვარე ერადად“. ვფიქრობ, ეს არის ხაკმაოდ ზედაპირული ფურნალისტური ფორმულირება, ჩვენს წარმოდგენაში რომ აცოცხლებდა საყოველთაო საწუხარის პირქუშ სურათებს, რომელიც შედგებად მოჰყვა ატომური ბომბის გამოყენებასა და ცხოვრებაში ტექნიკის შექრას, მასობრივი კულტურის ზემოქმედებით ადამიანის ინდივიდუალობის დაკარგვასა და სოციალური პერტურბაციების წინაშე მის უმწეობას.

მაგრამ ხომ იყვნენ ჩვენ გარშემო ისეთები, რომელთაც არ სჭეროდათ, რომ რუსები ბოლოს და ბოლოს წავიდოდნენ თვითშეკვლეობაზე და ბომბებს დაუშენდნენ ამერიკას, ან, — თვითშეკვლელობისათვის თავს გაამეტებდნენ ამერიკელები და ატომურ ბომბს მომართავდნენ რუსეთისაკენ; ისეთები, რომლებიც ტექნიკის წინსვლაში ხედავდნენ ცხოვრების პირობების შემსუბუქების შესაძლებლობას; ისეთები, რომლებიც არ უფრთხოდნენ მასობრივი კულტურის ზემოქმედებას და ინდივიდუალობის დაკარგვას.

ამ ფორმულირების ზედაპირულ ხასიათს ამქვანებდა ისიც, რომ მის სიდრმეში ილანდებოდა ადამიანის შესაძლებლობის და მისი მოქნილი ბუნების უცოდინარობა. ფორმულირებას არ გააჩნდა ის სიდრმე და უნივერსალობა, რაზედაც პრეტენზიას აცხადებდა. მაგრამ რადაცა მასში ნამდვილად იყო, ზედაპირულობის მიუხედავად, მან უკიდევანოდ ააღებდა ადამიანები — დაიწყო გაუთავებელი დავა და, უნდა ითქვას, — ღირდა ეს საკითხი დავად. არა, არა, რადაცა მასში მართლაც ნამდვილად იყო.

ჩემი ფიქრით, ჩვენი დასავლური საზოგადოების ცხოვრების დღევანდელ ეტაპს ასეთი

ვე გააზრებით შეიძლება ვუწოდოთ „უმძაფრეს შემგრძნებათა ერა“. მომეტებულად ეს ხელოვნების შესახებ ითქმის. იდეა პირველად რამდენიმე წლის უკან დაიბადა, მაგრამ მთელი ძალით დამიბურო წარსულ ზამთარს, როდესაც მე და ჩემი მეუღლე ერთ სპექტაკლს ვესწრებოდით. არ არის გამორიცხული, ბიძგად გამომდგარიყო რომელიც ვნებავთ ფილმი, წიგნი ანდა სამხატვრო გამოღენა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ აზრმა განსაკუთრებული ძალით სწორედ თეატრში ამაფორიაქა.

ეს მოხდა ლონდონში, ერთ შაბათ საღამოს, შექსპირის სამეფო თეატრის სპექტაკლზე მიდიოდა თანამედროვე პიესა. ჩვენს წინ, ერთი რიგის გამოტოვებით, იაფფასიან ადგილებზე მოთავსებულნიყო ასაკოვან მეუღლეთა ორი წყვილი. გარეგნობაზე ეტყობოდით — სავსებით ჩვეულებრივი, წესიერი მოქალაქენი უნდა ყოფილიყვნენ (თუმცა, ეტყობოდით კი არა, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ასე იყო.) ოთხივე — ბალისიანი, ჩაფსკვნილი, ჭადარა, სათვალისიანი, — ვერ ვიტყვი, განსაკუთრებით ნათელი-მეტქი, მაგრამ ცხადად ჩანდა, — ჯანსაღად მოაზროვნე ხალხი იყო. წვრილ ვაჭრებს ჰგავდნენ, ოღონდ, უჩვეულოდ მერჩვენა მხოლოდ ერთი რამ: წამოძახილებიდან, რომლითაც სპექტაკლის დაწყებამდე მიმართავდნენ ერთიმეორეს, დავასკვენი — ესენი ვაზდდნენ ერთობ ვატაცებული თეატრალები — უკვე მოესწროთ უკლებლივ უველაფრის ნახვა (საუბრის მოსმენა შესაძლებელი ვაზდა იმიტომ, რომ დარბაზის ხაში მეოთხედი ცარიელი იყო; როგორც ცნობილია, შექსპირის სამეფო თეატრი, დოტაციას ხახელმწიფოსაგან იღებს).

ფარდა ახდლიც არ იყო, რომ სცენაზე იფეთქა რადაც საოცარმა ვნებათაღებვამ — ჩანდა, სწორედ ამისათვის გადავიხადეთ ფული. პიესა მუშის ოჯახის ცხოვრებას ეხებოდა. დასაწყისშივე ოჯახის უფროსი სრულიად უმი-

ზეზოდ ისე დაეძგერა მუცელში თავის მოწრ-
ლილ ვაჟს, ხოლო შემდეგ შეგობარს, რომ
ერთი და მეორეც ძირს გაგორდა. ჩვენს წინ
მსხდომი ტანდაბალი, ჩასუქებული ოთხეული
თითქოს აფეთქდა — როგორც ემარობათ
ვნებიან თეატრალებს, როცა მხანობის წარ-
მატება ან რეჟისორის მახვილგონივრული მი-
გნება გაახარებთ.

შემდეგ მეორე ვაჟმა, იმ ქარაფშუტამ და
გამოწყვიტებულმა ნაძირალამ გვამცნო, როგორ შეს-
თავაზა თავისი სხეული ერთმა არისტოკრატმა
ქალმა, მან კი უარყო ეს შეთავაზება, რადგან ის
ქალი ზეზეულად დაეღპო სიფილისს: ამ აღ-
გილას ჩვენმა მედუქნეებმა არც თუ ისე შეწუ-
ხებულვებმა ჩაიქირქილეს. მერმე იმ პრანქიამ
დაიწყო მოყოლა, თუ ვით სცემა არისტოკრატ
ქალს. მედუქნეებმა ამჯერად ხმაშაღლა გაიცინეს.
იმან კი დასძინა, რომ შეეძლო სიკვდილის პი-
რამდე ეცემა ქალი, მაგრამ შეშინდა, პოლი-
ციას განგაში არ აეტება. აქ ჩვენი მეგობრები
სიცილისაგან ჩაბჭირდნენ.

ძალზედ ჩვეულებრივი, წესიერ, ასაკოვან
მედუქნეთა ოთხეული... წვრილი ხულიგნები
კი არა, ანდა გულგაქვავებული მოწარდები და
მოდური ინტელიქტუალები, ოთხი ჩვეულებ-
რივი ადამიანი, — ისეთი როგორიც მილიონე-
ბია, — სინდისდამშვიდებული, უმანკო ცნობის-
წადილით მისჩერებოდა სცენას და თავგადაგ-
დებით ხარხარებდა, დრო ვიხელთე და, რაკი
სიცილში ჩემს ნათქვამს ვერ გაიგონებდნენ,
მეუღლეს ვუჩურჩულე: „ალბათ, ინგლისში
საკმარისად დაიძებნება ისეთი ხალხი, სიკვდი-
ლით დასჯას რომ უყურებს დიდი ხალხისთ,
არა?“

დღესდღეობით ჩვენს კულტურაში შექმნი-
ლი ატმოსფერო ორი თავისებურებით ხასიათ-
დება, რომლებიც, ჩემი აზრით, გვაძლევენ სა-
ბაბს შეშფოთებისათვის, თანაც სერიოზული
შეშფოთებისათვის. პირველი თავს იღებს საზო-
გადოებაში დაამკვიდროს აზრი, რომ ხელოვნე-
ბის ნაწარმოების ერთ-ერთი უპირველესი
ფუნქციაა გამოიწვიოს უმძაფრესი შეგრძნება,
შეცბუნება, შეკრთომა (მე კი ვფიქრობ, თუკი
საზოგადოება თანახმაა გაიზიაროს ეს შეხედუ-
ლება, მაშინ ერთ-ერთი უპირველესი ფუნქცია
გადაიქცევა ხელოვნების ერთადერთ ფუნქციად).
მეორე თავისებურება, რომელიც პირველისაგან
მომდინარეობს, ის გახლავთ, რომ სულ უფრო
ბევრი ადამიანი მიიჩნევს მართებულად, თითქოს
მომეტებულად მძაფრ შეგრძნებებს იწვევდეს
სისასტიკისა და ხექსის ჩვენება — თავდაპირ-
ველად მართოდენ სისასტიკისა ან მართოდენ
ხექსისა, ხოლო შემდგომ მათი კომბინაცია.
სპექტაკლი, რომელზეც სტატიის დასაწყისში

მოგახსენეთ, მხოლოდ მეორე ნაწილისთვის მოწ-
მეა იმიხა, თუ ვით ამოავსო უკანასკნელი ოცი
წლის მანძილზე პორნოგრაფიამ — ხექსმა და
სისასტიკემ — ჩვენს ხელოვნების ყვე-
ლა კუთხე და კუნძულებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კავშირშია
ჩვენი კულტურული ცხოვრების ეს ორი თავი-
სებურება საზოგადოების ბუნებასთან, რომლის
წიაღშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელსაც თავად
ვუწოდეთ „შემწყნარე?“ ვფიქრობ, — ერთი-
ცა და მეორეც უთუო ნაყოფია ამ საზოგადოე-
ბისა. მეტბაც ვიტყვი: შესაძლოა ისინი იყოს
განსხვავებული ნიშნებიც ამ საზოგადოებისა,
რომელსაც თავის წინაშე არ დაუსახავს რაიმე
მიზანი და სასოწარკვეთას მისცემია.

უმძაფრეს უმგრძნებლობა „მომწოდებელნი“
აურაცხელ მოგებას აკეთებენ. ორმაგი პორნო-
გრაფიის — ხექსისა და სისასტიკის — ერთი
უპირველესი პროპაგანდისტთაგანი გახდა კი-
ნოწარმოება. სიმართლე უნდა ითქვას, კინომ
მოგვცა რამდენიმე შედეგრი, რომლებიც იმ-
თავითვე როდი იყვნენ გამიზნულნი მაყურებელ-
ში მძაფრი შეგრძნებების გამოსაწვევად. ყოველ
შემთხვევაში, მათი ჩასახვის მომენტიდანვე გე-
ზი აღებული იყო იქითკენ, რომ ფილმები ყო-
ფილიყო გახართობი და შემოსავლიანი. გასარ-
თობის ქვეშ კინოსაქმონები გულისხმობდნენ
უპირველესად მაყურებლის გაოცების ოსტატო-
ბას, ისეთი რამის ჩვენებას, რაც გააოცებდა და
სუნთქვას შეუკრავდა მას. ხოლო შემოსავლია-
ნობა, მათი აზრით, უნდა უზრუნველყო, პირ-
ველყოფლისა უამრავი რაოდენობის მაყურებ-
ლისაგან უამრავი ფულის ამოქაჩვის ოსტატო-
ბას, მაყურებელში იმ ინსტინქტის გაღვივებას,
რომელიც ყველაზე საიმედო დასაყრდენი აღ-
მოჩნდებოდა გასამდიდრებლად. რომელ ინს-
ტინქტზე შემოქმედება იქნებოდა საიმედო გა-
რანტია გამდიდრებისათვის — კინომწარმოებ-
ლებმა ესეც უშალვე მოისაზრეს.

სახვით ხელოვნებაში უკანასკნელი წლების მან-
ძილზე მოდაში შემოვიდა აუდიტორიაზე ზემო-
ქმედების სხვა საშუალებებიც. შოდის მიმდრ-
ვარ ამგვარი ხელოვნებისათვის განსაკუთრებით
ბუნებრივი შეიქნა მისწრაფება — შეაცბუნოს,
შეკრთოს პუბლიკა ყველაზე ჩვეულებრივი,
ყოველდღიური, პროზაული საოჯახო ნივთების
ჩვენებით, უბრალოდ — ყველანაირი ხარახუ-
რის ჩვენებით. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ
ყველაში, მათ შორის თვით მხატვარმაც კარგად
იცოხ, ეს სწორედ რომ უმნიშვნელო საოჯახო
ნივთია და ხარახურა. მაგალითად, ხელოვნების
ნაწარმოებად მიიჩნევა ხისგან დამზადებული და
ვერცხლისფერი საღებავით შეფერილი მტვერ-
სახრუტი ანდა ბრინჯაოდაფერილი თუნუქისა-

გან გაკეთებული ღუდის ჭურჭელი. მაგრამ იმე-
დი უნდა ვიქონიოთ — ეს სიცარიელე ხენსა-
ციას გამოიწვევს. რადგან, იმის მიუხედავად,
რომ უველას კარგად მოეხსენება — ეს ხარახუ-
რია, თანაც სრულიად ჩვეულებრივი, საოჯახო
ხარახურა — მხატვრის ამგვარი გაკადნიერება,
უფრო კი ვაჭრის უტიფრობა და მათი წყალო-
ბით პუბლიკისთვის მსგავსი „ხელოვნების ნაწარ-
მობების წარდგენა ფულის ამოქაჩვის მიწ-
ნით ჭეშმარიტად ხენსაციური ამბავია. ფულის
ამოქაჩვა ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარ-
მობისათვის კი არა, ლითონის ხარახურისა-
თვის.

დაბნეულობას იწვევს განსაცვიფრებელი ეს-
თეტიკური თეორია, რომელიც ისწრაფვის გა-
მართლება მოუძებნოს ამგვარ ხელოვნებას. ამ
თეორიის თანახმად მხატვარს შეუძლია ესა თუ
ის საგანი გამოაცხადოს ხელოვნების ნაწარმოე-
ბად. მაგალითად, ხისაგან დამზადებულ მტვერ-
სასრუტს ხელოვნების ნაწარმოებს რომ უწო-
დებს, მხატვარი ამით ასრულებს შემოქმედე-
ბით აქტს, რომელიც პუბლიკაში აღძრავს გან-
საზღვრულ ესთეტიკურ რეაქციას. რაღა გვეთქ-
მის, ჭეშმარიტად აღძრავს!

უველა, ვისაც კი შეხწევს ძალა, სწორად
შეაფასოს ეს თეორია, უცილობლად დაასკვნის,
თუ ვით გადააქცევს იგი უაზრობად დღევანდელ
ხელოვნებას.

ახლა კი — რამდენიმე სიტყვა მოდის თაობა-
ზე. დადგენილია, რომ მოდას მუდამ მიუძღო-
და თავისებური წვლილი იმ ცვლილებებში,
რაც კი ხელოვნებაში მიმდინარეობდა. მაგრამ
ბოლო ოცი წლის მანძილზე ხელოვნებაში მო-
დის შექრამ მიიღო უკიდევანო ხახიათი და მე-
ვფიქრობ, ამის დაუნახაობა შეუძლებელია. ეს
პროცესი მიმდინარეობს ფართო მასშტაბით,
თანაც ფრიად ენერგიულად (მე ვიტყვოდი, —
ძალდატანებით) რადიოს, ტელევიზიის, პრესის
საშუალებებით. ოცი წლის მანძილზე მათმა აქტი-
ვობამ აპოგეას მიაღწია.

თავდაპირველად მოდის აპოლოგეტები გვამც-
ნობენ, რომ მოდაში შემოდის აბსურდის თეატ-
რი, შემდგომ, — აბსურდის თეატრი მოძველდა
და, — ამიერიდან მოდაში შემოდის სისასტიკის
თეატრი, შემდგომ და შემდგომ — სისასტიკის
თეატრიც გამოცხადდება მოძველებულად —
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. საკითხის ამგვა-
რი დაყენების წყალობით, ე. ი. მოდისდაკვალად
დრამას აფასებენ ისეთივე კრიტიკიუმიებით,
როგორითაც ქალის ვარცხნილობას, დრამატურ-
გიის ქმნილებას განიხილავენ იმავე საზომებით,
რითაც თერძის ნახელავს.

ხელოვნებაში ამა თუ იმ მოდური მიმართუ-
ლების წარმატებას განაპირობებს სიმძაფრე,

რახაც იწვევს მისი სიახლე და უჩვეულობა. მა-
გრამ სრულიადაც არა ესთეტიკური, მორალურ-
უნებობრივი ანდა საზოგადოებრივი ღირებულე-
ბა, ზოგიერთი თეორეტიკოსი ცდის არ აკლებს,
გამართლოს ეს მოვლენა და ამტკიცებს: „ხე-
ლოვნება, როგორც ქალის ტანსაცმელი, საჭი-
როებს განახლებას.“ მეორენი, უფრო გაუბე-
დავნი, ამბობენ: „ხელოვნება ჩამოდის პიედეს-
ტალიდან.“ ერთნიცა და მეორენიც მართლნი
არიან. უოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ლაპა-
რაკია ხელოვნების იმ ნაწარმოებებზე, რომლის
დაცვაც მათ იღებს თავს. მაგრამ ის კი ცხადია,
რა ქმნის ამგვარ სიტუაციას სინამდვილეში.
ხელოვნება მოითხოვს განახლებას მხოლოდ და
მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოვანს აღარ
ძალუძს — შექმნას გაუზუნარი ფასეულობა. ხე-
ლოვნება ტოვებს პიედესტალს მაშინ, როდესაც
ხელოვანს აღარ ძალუძს შექმნას ნაწარმოები,
რომელიც მას აღამაღლებს.

დროებით დავეხსნათ ხელოვნების პრობლე-
მას და განვიხილოთ „უშმაფრეს შეგრძნებათა
ერისთვის“ ნიშნეული მეტად საუურადღებო
მოვლენა. საუბარია იმაზე, თუ როგორ იძირე-
ბა ცალკეული ინდივიდი შეგრძნებათა უკიდუ-
რესად პიროვნულ სამყაროში, რისთვისაც მოი-
მარჯვებს ხოლმე სხვადასხვა ნარკოტიკებს. შე-
გრძნება თავისი არსით ძალუმად პიროვნული მო-
ვლენაა, რომელსაც განიცდის მხოლოდ ერთი,
ცალკეული ინდივიდი. აქედან დასკვნა — რაც უფ-
რო ღრმად ჩაიძირება ინდივიდი თავის შეგრძ-
ნებაში, მით უფრო დაშორდება ადამიანებს.
მაშასადამე, უნდა გვახსოვდეს, რომ პირადი
გამოცდილება ცხოვრებისეული გამოცდილე-
ბის საგულისხმოდ, უცილობელი ნაწილი კი გახ-
ლავთ, მაგრამ შეგრძნებათა სამყაროში ერთიანად
ჩაძირვა მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ სხვა ად-
ამიანებთან ურთიერთდამოკიდებულებების ერთი-
ანად გაწუხებით (ეს განსაკუთრებით მაშინ ხდე-
ბა საგრძნობი, როდესაც ადამიანი ტრანსის
მდგომარეობაში იმყოფება, რომელსაც იწვევს
LSD-ს ზემოქმედება, სულ ერთია, იქნება ეს
ბალუცინაციური, ექსტატიკური თუ მისტიკუ-
რი).

მე აგრე მგონია, უშმაფრეს შეგრძნებებზე გა-
მოდევნების მიზნით სულ უფრო ფართო გავრ-
ცელება ნარკოტიკებისა და მისდამი პუბლიკის
გაზრდილი ინტერესი გვაიძულებს ვალიაროთ,
რომ საზოგადოებაში, რომელიც თავის კალთის
ქვეშ იფარავს რომელიც გნებავთ მორალური
დასაზღვრულობის უარყოფას, სულ უფრო
ძლიერდება ტენდენცია პირად შეგრძნებათა
ახოციალურ სამყაროში ინდივიდის გადასახლე-
ბისა (ალბათ აქედან მომდინარეობს შეხედუ-

ლება — რაც უფრო „თავისუფალია“ საზოგადოება — თუკი თავისუფლებად მივიღებთ მორალური და სოციალური სანქციების შეგუებაზე უარის თქმას, — მით უფრო ბევრს ამ საზოგადოების წევრთაგან სწყურია რაც შეიძლება სწრაფად განუდგეს მას).

აქ, მგონი, უპირაინა ბრქუალებში ითქვას რამდენიმე სიტყვა იმაზეც, როგორ გამოიყურება სინამდვილეში „განდგომა საზოგადოებისაგან“. მე ვფიქრობ — ის, ვინც აღიარებს თავის „განდგომას საზოგადოებისაგან“ (ეს კი გამოიხატება ამა თუ იმ სასარგებლო სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმით), უმრავლეს შემთხვევაში აღმოჩნდება საზოგადოების კმაყოფაზე და ღებულობს მიხგან დახმარებას ამა თუ იმ სახით. რა შეიძლება ითქვას კალიფორნიელი „ბიპენის“ შესახებ, რომლებიც „განუდგნენ საზოგადოებას“ და ეძებენ ნავსაყუდარს მარიხუანასა თუ აღმოსავლურ რელიგიებში? პირდაპირ შეკითხვაზე — რით ცხოვრობენ, — ბევრმა იმათგან დარცხვენით განაცხადა, რომ ცხოვრობს მშობლებისაგან მიღებული ცოტაოდენი ფულის ხარჯზე. მაშ — რა განდგომაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ისინი ისე მიძაბრებიან საზოგადოების მკერდს, როგორაც დედის ძუძუს.

საუკუნეთა მანძილზე ყველა ჯურის წინასწარმეტყველები და მესიები ჩაგვიჩინებდნენ, რომ ესა თუ ის შეგრძნება სულ მცირე სიმბაფრით მაინც რომ გამოგცადოთ, საჭიროა დასაწყისშივე გამოვრიცხოთ გონება. არ შევაწუხებ ძველებს და არ დავიმოწმებ არც ამჟამინდელ, მეოცე საუკუნის უბირველეს და უავტორიტეტეს წინასწარმეტყველს — დევიდ ლოურენსს. არა, ვიქნები ულტრათანამედროვე და მოვუხმობ ახალაღვლენილ მესიას, რომელიც თავის მიმდევართ თანაგრძნობის ნიშნად LSD-ს ნარკოტიკებს სთავაზობს. ვგულისხმობ დ-რ ტიმოტი ლირის, რომელიც ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის აპლოშბით გვამცნობს: „გონება — ეს არის ანტიხელოვნება“, რაღა თქმა უნდა, მას მხედველობაში აქვს თავის მიმდევართა „უხიქოდელისტური ხელოვნება“, რომლის მომეტებულად ჩვეულებრივ ნიშნულად (მაგ. კალიფორნიაში) გამოდგება ეკრანზე ცეცხლის ენების კალიდოსკოპური სიქრელის პროექცია. აქ კი ნამდვილად ვერ აღმოაჩენ გონებისა და გრძნობის ნაკვალევს, ისევე როგორც ვერ აღმოაჩენ ხელოვნების ნაკვალევს.

ბარემ ისიცა ვთქვათ, რომ არც სიტყვა „უხიქოდელისტური“ არის მოხმობილი საჭიროებისამებრ. მისი აზრით უკუღმა ნაგულისხმევი. ეს კი — ტენდენციაა, ფრიად ჩვეულებრივი მათთვის, ვინაც დღეს ახე გაილაშქრა გონების

წინააღმდეგ. სიტყვა ხომ გონების ნაყოფი და მისი საყრდენია; მაშასადამე, შერყენა სიტყვის მნიშვნელობისა — საკმაოდ ხელსაყრელი დასაწყისია იმათთვის, ვინც უნდა შეტყობს გონების წინააღმდეგ. ჩვენ განუწყვეტელი გვიმტკიცებენ და გვარწმუნებენ, რომ სიტყვა „უხიქოდელისტური“ (ერთ-ერთი მისი ბერძნული ძირი — „დელოს“, რაც ნიშნავს „ცხადს“) აღნიშნავს „ცნობიერების გაფართოებას“. მშვენიერია, მაგრამ მაშინ რატომღა იყუენებენ განუწყვეტელი ამ სიტყვას ისეთი მდგომარეობის გამოხატავად, რომლის დროსაც ცნობიერება იბინდება? ნარკოტიკებს რომ ვიყუენებთო, — გვიმტკიცებენ ისინი, გონებას გამოვრიცხავთ, რათა დაუბრკოლებლად მივეცეთ შეგრძნებას — ვიყნოსოთ ფერი, შევეწოთ ბგერას და ა. შ. და ამას ეძახიან „ცნობიერების გაფართოებას“? შეგრძნებათა დახლართულობა — აი, რა ჰქვია ამას. გაუკუღმართება სიტყვისა — აი, რა ჰქვია ამას!

ცნობიერების დავიწროება — გახლავთ პირველი ნაბიჯი უმბაფრეს შეგრძნებათა დევნის გზაზე. ამას მომყვება გრძნობათა კომპლექსის გაღარიბება, გრძნობისა, რომელიც ადამიანს სხვა ადამიანებთან აკავშირებს, რომელსაც განიცდის ნაცნობი ინდივიდისადმი, საზოგადოების იმ ნაწილისადმი, რომელსაც თავად განეკუთვნება და ბოლოს — რომელსაც განიცდის მთელი კაცობრიობისადმი. ჩემი აზრით, მოდური ხელოვნების ამჟამინდელი „უმბაფრეს შეგრძნებათა ერის“ ყველაზე გასაოცარი თავისებურება არის უგულობა და უგრძნობელობა.

ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ პიესას, რომელზეც ზემოთ ვწერდი. ჩვენ გვიჩვენებდნენ სიხასტიკის სცენებს. ეს იყო სიხასტიკე ადამიანებისა, რომელთაც შეეძლოთ ერთიმეორისათვის მიეყენებინათ ყოველნაირი ტკივილი, თუკი მოისურვებდნენ, რადგან მათ არ აკავშირებდათ არანაირი გრძნობა. ხოლო — სადაც არ არის გრძნობა, სადაც უგრძნობელობაა — იქავა სიხასტიკეც.

შეგრძნება, ბოლოს და ბოლოს განიცდება მხოლოდ თვით ინდივიდის მიერ. ხოლო გრძნობა, სიყვარული აკავშირებს მას სხვებთან. ეს საყოველთაო ხასიათის მდგომარეობა გამოხატულებას პოულობს „უმბაფრეს შეგრძნებათა ერის“ ხელოვნებაშიც.

დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა მდიდარია სქესობრივი აქტის აღწერით. დღეს, რაკი მწერალს უფლება „მიეცა“, რაც მოესურვება, ის წეროს, იგი ყოველი წვრილმანის აღნუსხვით აღწერს ორგაზმს. წინათ არ იყო ახე. აი, შედეგი, რომელიც მოგვცა თავისუფლებამ. მე ხაზგასმით ვამბობ „მოგვცა“, რადგან ვგულისხმობ საზოგადოებას მთლიანად. რაღა თქმა უნ-

და, მსგავსი წიგნები აღრეც იწერებოდა, მაგრამ მათი გავრცელების არე ისე მცირე იყო, რომ არ ძალუძდათ თავისი ეპოქის მხატვრული ლიტერატურის საერთო სახე განეპირობებინათ, დღეს კი განაპირობებენ. და მერე როგორ განაპირობებენ. ამის დანახვა არ შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დაატონიზშითაა დაავადებული.

მაშ ასე, სქესობრივი აქტი გახდა ხელოვნების ობიექტი. მაგრამ ამასთან ერთად ხელოვნებიდან გაუჩინარდა რაღაც (საინტერესოა, შენიშნეს თუ არა ეს მათ, ვინც მხატვრის თავისუფლებას დაუდებენ?). გაქრა გრძნობა, სქესობრივი ვნება, რადგან სქესობრივ აქტში წინა პლანზე გამოდის შეგრძნება, ხოლო სქესობრივ ვნებას საფუძვლად უდევს გრძნობა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთი ხაჯარო გამოსვლისას ჩარლზ სნოუ ამბობდა. ჩვენს კულტურაში დღესდღეობით გამეფებული ატმოსფეროს პირობებში თითქმის შეუძლებელია ველოდოთ ისეთი რომანის გამოჩენას, როგორც „ანაკარენინააო“. იქ ვერ წააწყდებით მინიშნებასაც სქესობრივ აქტზე, მით უფრო—მის უნამს აღწერას. ეს მაშინ, როცა ამ წიგნში ნაჩვენებია უზარმაზარი ძალის სქესობრივი ვნება. მაგრამ დღეს, „უშმაფრეს შეგრძნებათა ერაში“ ჩვენ ან სხვანაირად ვუცქერთ ცხოვრებას, ან არადა ვფიქრობთ, რომ სულ სხვანაირია იგი. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მხატვრების უმეტესობა ხატავს მას სხვანაირად.

მსურს ერთხელ კიდევ ვთქვა ხაზგასმით: მე როდის ვამბობ, რომ შეგრძნება არ უნდა იყოს ხელოვნების ობიექტი, მე მხოლოდ ის მაშფოთებს, მან უველაფერი რომ განდევნა ხელოვნებიდან და მოსალოდნელია, კიდევ მეტი საშიშროება დაგვატეხოს თავს.

ერთ კრიტიკულ ნაშრომში, რომელიც ნიუ-იორკში გამოვიდა, ნათქვამია — ხელოვნება არის შეგრძნებათა დაპროგრამება. ეს თეორია გულისხმობს, რომ შეგრძნებაში უპირატესად უნდა დაპროგრამდეს რაღაც დიაპაზონის ფარგლებში, როგორც უკიდურეს წერტილებად მიიჩნევიან ერთის მხრივ ზიზლი, მეორის მხრივ — მოწყენილობა. სხვაგვარად თუ ვიტყვი, როგორც ჩანს, ივარაუდება, რომ ძირითადად უნდა დაპროგრამდეს ის შეგრძნებები, რომლებიც გამიზნული არიან შოკში ჩაადგონ საზოგადოება, ან შეურაცხუნ იგი. ალბათ სწორედ ეს შეგრძნებებია მომეტებულიად საჭირო და აუცილებელი. მაგრამ დავეკითხოთ საკუთარ თავს: განა ხშირად შევხვედრივართ ისეთ ხალხს, რომლებიც ტოვებენ სპექტაკლს და ფილმს, ანდა სამხატვრო გამოფენას, განა ხშირად დახურავენ წიგნს იმის გამო, თავს შოკირებულად რომ იგრძნობენ? პირიქით მაგანსა და

მაგანს ეგებ კიდევ ეგუხებება და მოსწონს შოკში ჩავარდნა. ეგებ კიდევ ამკობინებს, ხერხთოდ არ იგრძნოს არაფერი? ზოგჯერ გგონია კიდევ, მათთვის ეს ვრუდვერუდუ ლიტერნატივა იყოს.

ყოველივე ეს გვაიბულებს, დავფიქრდეთ, თუ სადამდე მიგვიყვანს ხელოვნების მიერ შეგრძნებათა დაპროგრამება, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, — იმ პრინციპის აღიარება, რომ ხელოვნების ნაწარმოების უპირველესი ფუნქციაა — უშმაფრესი შეგრძნებების გამოწვევა.

რადგან შეგრძნებას ახასიათებს ერთი საბედისწერო თავისებურება: კიდევ და კიდევ გამეორებისას იგი სუსტდება და ჩლუნდდება. შეგრძნების სიმძაფრე რომ უცვლელი დარჩეს, გამუდმებით უნდა გაძლიერდეს რაღაც ზღვარი. მაშასადამე, ვიდრე ადამიანი ამა თუ იმ შეგრძნების გამოცდას მოისურვებდა, მისთვის უკვე ნათელი იყო, სადამდე—რა გაგულგრილება და უთვისტომობამდე მიიყვანდა ეს სურვილი.

შეგრძნებებით გატაცებაში მუდამ იგულისხმება სასოწარკვეთისა და უიმედობის ჩანახაზი. ეს არ არის გასაკვირი. რადგან სასოწარკვეთა და უიმედობა — მისი უცილობელი დასასრულია, ზოგჯერ კი ამოსავალი წერტილიც. ერთ-ერთი მიზეზი ხომ სასოწარკვეთა და უიმედობაცაა, ადამიანი რომ შეგრძნებათა საკუთრივ მისეულ სამყაროში იძირება, რაკი არ ძალუძს შეიყვაროს ვინმე, რაკი არ ძალუძს დაუშეგობრდეს ვინმეს.

დღეს მოდაში შემოდის სოციალური აქცენტის მქონე ორი ფსიქოლოგიური თეორია, რომლებიც ამართლებენ პორნოგრაფიას ხელოვნებაში. ჩემი აზრით, ორივე თეორია უაღბოა იდეურად და არანაირად არ დასტურდება პრაქტიკით. პირველი — ეგრეთწოდებული „დამცველი სარქველის“ თეორია — ემყარება სწორ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ადამიანთა უმრავლესობას აქვს პორნოგრაფიის ფანტაზიის უნარი, მაგრამ ამ თეორიის მქადაგებელნი აკეთებენ უცნაურ დასკვნას: — ვინც პორნოგრაფიულ ლიტერატურას კითხულობს და მასში თავისი ფანტაზიის ხორცშესხმას პოულობს, თითქოს საბოლოოდ თავისუფლდება შეგრძნებათაგან, თანაც საკმარისად უმტკივნეულოდ. მეორენაირად, პორნოგრაფიული ლიტერატურა თითქოსდა თამაშობს დამცველი სარქველის როლს.

მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ასეთი წიგნები უზარმაზარი ტირაჟებით გამოდის, ეჭვი არ არის და არც შეიძლება იყოს, რომ ისინი ერთიანად და მთლიანად აძლიერებენ ორთქლის წნევას ქვაბში. „დამცველი სარქველის“ თეორია უაღბოა,

არაკეთილსინდისიერი და რაც უველაზე უმთავრესია — საშიში.

მეორე თეორია, რომელიც „დაქანცვის თეორიად“ იწოდება, იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც უარყოფითი. ამ თეორიის მომხრენი აღიარებენ, რომ სიმძაფრის გაძლიერებისდაკვალად შეგრძნება სუსტდება, და ამის საფუძველზე ასკვნიან: „დაე გაძლიერდეს პორნოგრაფია ლიტერატურაში, ბოლოს და ბოლოს ადამიანები მოიქანცებიან და უარყოფენ მას“. დიდებული თეორიაა, რაღა გვეთქმის!

ბუნებით ადამიანი მეტიხმეტად დამყოლი და შემგუებელია, გაცილებით უფრო შემგუებელი, ვიდრე ჩვენ ვაღიარებთ (უფრო სწორად, არ გვინდა ვაღიაროთ, რითაც ჩვენს სულიერ სიმშვიდეს ვუფრთხილდებით). ისმის კითხვა: რა შემოქმედებას ახდენს ადამიანზე უსულგულო ხელოვნება? მე მიმაჩნია, რომ უსულგულო ხელოვნებამ უნდა გააღვივოს უსულგულობა. სწორედ ეს აზრი მაწვალებდა, როცა იმ სპექტაკლს ვესწრებოდი, სტატიის დახაწვისში რომ მოგახსენეთ.

ჩემ წინაშე წამოიჭრა სხვა კითხვებიც: მოდას რომ მივდევთ და ამგვარ სპექტაკლებს ვესწრებით (თანაც სახელმწიფო დოქტრინაზე არსებულ თეატრში), ხომ არ ვახშობთ სრულიად ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას—ზიზღს, რომელიც უნდა აღძრას სისასტიკის, გულქვაობის, დეგრადაციის ჩვენებამ? განა ისე არ გამოდის, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა ყოველივე ამას სცენიდან გვიჩვენებენ ზიზღის აღძვრის მიზნით (ვიყოთ დიდსულოვანნი და დაფუშვით, რომ თეატრს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს), სინამდვილეში მსგავსი ხანახაობა აღძრავს ავადმყოფურად მძაფრ შეგრძნებას, შიშს, რომელსაც თან ახლავს აგზნებული ხითხითი? და კიდევ ერთი, უაღრესად საგულისხმო კითხვა: სისასტიკეს, გულცივიობასა და გულქვაობას რომ გვაჩვენებენ სცენაზე ერთობ ხშირად, განა ამით არ ჩლუნგდება ადამიანის ზიზღი ასეთი შეგრძნებებისადმი, არ გადაიქცევიან განა ისინი ერთს ჩვეულებრივ რასმე თვისებად ადამიანისა?

ეს კითხვები მომეტებულად საგულისხმო გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ განუწყვეტლივ გვიხდება ხელოვნებასთან შეხვედრა — ოღონდ ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობათაგან დაცლილ თეატრალურ ხელოვნებასთან კი არა, რომელსაც, როგორცა ჩანს, ხელეწიფება ეს გრძნობები ამობუგოს ადამიანის გულიდან, ერთი სიტყვით — უსულგულო ხელოვნებასთან, რომელიც გამიზნულია უსულგულო ადამიანთათვის.

ადამიანური გრძნობების კულტივაციას ცივილიზაცია ახდენს, რადგან ამაზეა დამოკიდებულ

ლი მისი არსებობის ძლიერობა. მათი გაძლიერება ჩვენ თავად ძალგვიძს, თუკი ქეროვან მორალურ და სოციალურ სიმედვრეს გამოვიჩინოთ, მაგრამ ამასთან ერთად ისიც ძალგვიძს, ჩავახშოთ ისინი — და ამ სპექტაკლში დიდი როლის შესრულება შეუძლია ხელოვნებას.

როდესაც საზოგადოება თავის წევრს უფლებას მისცემს, აკეთოს ის, რაც მოეგონებება, საზოგადოების წევრები ფიქრობენ, რომ საზოგადოება გულგრილია მათი ბედის მიმართ. არც გაემტყუნებათ. აი რატომაც, ჩემის აზრით, არც ისე მოულოდნელი, რომ საზოგადოების მხრივ შეწყნარების უველაზე გულწემოსახვედრი შედეგი არის ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის გართულებული ურთიერთობა, უამიდან უამად კი წარმოუდგენლად გართულებულიც. თუმცა კი, როგორც ვიცით, მათი ურთიერთობა არც არახოდეს ყოფილა მოგვარებული. სიყვარულს მოწყურებული ახალგაზრდობის საწუნარი ყოველთვის იყო და არის ერთი რამ — რომ მისთვის არავის სცალია. შემწყნარე საზოგადოებამ დაიმსახურა ის, რისი დაუოკებელი სურვილიც ჰქონდა.

რაც შეეხება თავისუფლებას ხელოვნებაში, მან კი არ გააფართოვა, არამედ შეზღუდა ხელოვნების სფეროები, ამასთან—კი არ გახადა შემგუებელი, არამედ დააჩლუნგა აუდიტორია. რასაკვირველია, უველას აქვს უფლება იქონიოს საკუთარი შეხედულება. პირადად მე ერთს ვიტყვი მხოლოდ. ახლა, როცა დავინახეთ, რას ნიშნავს თავისუფლება ხელოვნებაში, მე გავაკეთე არჩევანი და რაღა თქმა უნდა, თავისუფლების საწინააღმდეგო. მაგრამ ჩემი პირადი არჩევანი არას მოასწავებს, არჩევანი უნდა გააკეთოს მთელმა საზოგადოებამ, გადაუღებლად გააკეთოს, რადგან ის თავისუფლება, რომელიც, როგორცა ვთქვით, მოთმენისა და შეწყნარების შედეგი გახლავთ, ერთობ ძვირი უჯდება საზოგადოებას. ისიც სახურველია, საზოგადოებამ ჰკითხოს თავის თავს — ღებულობს თუ არა რაიმეს ამის ხანაცვლოდ და თუ ღებულობს — რა ღირებულებისაა იგი? თუმცა, შესაძლოა, ამ საკითხის დაუენება უკვე გვიანიც იყოს. ანდა, ამასაც გვეტყვიან, საკითხის დასმას გამართლება ჰქონდეს საზოგადოებაში, რომელსაც თავის წინაშე დაუსახავს მნიშვნელოვანი სოციალური მიზნები, რადგან სიტუაცია, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, აღმოცენდება ისეთი საზოგადოების წიაღში, რომელსაც მიზანი არ გააჩნია. მართალი გითხრათ, დავიბენი. ერთის თქმა კი შემიძლია, საზოგადოებაში, რომელსაც მნიშვნელოვანი სოციალური მიზნები დაუსახავს, უარობად აღიქმება სრული შემწყნარებლობაც, უარობად აღიქმება „უმძაფრესი შეგრძნებათა ერთი“.



... რასაც ის ხედავდა, ფერფლი იყო

(ხეშუელ ბეკეტის დრამატურგიის ზოგიერთი საკითხი)

მომოცდაათიან წლებში საფრანგეთის თეატრალურ ხელოვნებაში გამოიკვეთა ახალი ავანგარდისტული მიმდინარეობა, რომლის მამამთავრებიც ეყენიონესკო, არტიურ ადამოვი და ხეშუელ ბეკეტი არიან. მათი პიესები გამოსახვის ფორმების თვალსაზრისით ჭერ კიდევ ომამდე არსებული სხვადასხვა დრამატული ნაწარმოებისა და თეატრალური სანახაობის (20-იანი წლების სიურრეალისტები, ანტონენ არტოს თეატრი, ბრეტის ეპიკური თეატრი და სხვ.) გარკვეულ ტრადიციას ემყარება, ხოლო მათი იდეური კონცეფცია ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას ეხმარება.

მხოლოდ ფორმისა და იდეის ხაოცრად შარშონიული ერთიანობა, აუვანილი მხატვრული მეთოდის ძირითადი პრინციპის დონემდე, გამოაცალკევებს ე. წ. „აბსურდის თეატრს“ უველა მსგავსი მოვლენისაგან (მსგავსი, როგორც მხატვრული, ისე იდეური თვალსაზრისით).

აბსურდის თეატრსა და ეგზისტენციალისტებს არსებითად ერთნაირად აქვთ გააზრებული სამყარო, როგორც უაზრო, აბსურდული და ქაოტური, მაგრამ თუ ეგზისტენციალისტი აღბერკამიუ ამტკიცებს, რომ ილუზიებს მოკლებულ ჩვენს საუკუნეში სამყარომ აზრი და მნიშვნელობა დაპყარგაო, იგი ამას აკეთებს მორალიატის ტრადიციულ ლოგიკურ-თანამიმდევრულ სტილში, მაშინ როდესაც აბსურდისტება ცდილობენ, რომ გამოხატვის საშუალებები მაქსიმალურად შეუხამონ სათქმელს. აქედან გამომდინარე, მათი პიესების პროტაქა მაქსიმალურად მიესადაგება არსს.

აბსურდის თეატრი პრინციპულად განსხვავდება აგრეთვე ე. წ. „პოეტურ-ავანგარდისტული“ თეატრისაგან, რომელთანაც ერთგვარ პარალელში, ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ფორმის მსგავსება იწვევს. მართლაც, ამ ორი თეატრალური მოვლენის მხატვრული მეთოდები

ხშირად ერთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არსებული კონცეპციური განსხვავება საბოლოო ჯამში მხატვრულ ხერხებსაც პრინციპულად თიშავს, რაც განსაკუთრებით მუდავდება მათ განსხვავებულ დამოკიდებულებაში, ენის, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი მხატვრული ატრიბუტის, მიმართ. „პოეტურ ავანგარდს“ ახასიათებს სრულიად განსხვავებული განწყობილება, — ის მეტად ლირიულია, მოკლებულია ტრაგიზმს.

ხეშუელ ბეკეტის პიესებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პირველი დრამატული ნაწარმოები „გოდოს მოლოდინში“ („Waiting for Godot“). ეს პიესა შეიძლება მივიჩნიოთ ბეკეტის საპროგრამო ნაწარმოებად, რომელშიც ავტორმა მის მიერ მოაზრებული სამყაროსათვის ორგანული და მასთან შარშონიულად დაკავშირებული ეხთეტიკური პრინციპები წარმოგვიდგინა.

პიესის მხატვრული ქსოვილის უქლებლიე ყველა ელემენტი ორგანულად ერწყმის ბეკეტის ამოსავალ თეზას სამყაროს აბსურდულობას შესახებ და ამ თეზის მხატვრულ გამოსახვას ემხანურება.

პიესა შედგება ორი სტრუქტურულად ერთგვაროვანი აქტისაგან. ორივე მოქმედება ერთნაირად, ორი მაწანწალის შემოსვლით იწყება, მაწანწალებს მობყვება კიდევ ორი არსება, რომელთა გასვლის შემდეგაც შემოდის პატარა ბიკი და როგორც პირველ, ასევე მეორე მოქმედებაში ამცნობს მაწანწალებს, რომ მათი შეხვედრა გოდოსთან გადატანილია შემდეგი დღისათვის. ვლადიმირი და ესტრაგონი (ასე ბყვიათ მაწანწალებს) ორივე შემთხვევაში წახვლას გადაწყვეტენ, მაგრამ ადგილიდან არ იყრიან. ამრიგად, პიესა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ერთგვაროვანი ციკლის ერთობლიობა, უხასრულოდ გრძელი ჭაჭვის ორი რგოლი.

ბუნებრივია, ამგვარი კომპოზიციური სიმეტრიულობის ატმოსფეროში არ შეიძლება ადვილად

შქონდეს ტრადიციული დრამისათვის დამახასიათებელ სიუჟეტურ განვითარებას, კონფლიქტის წარმოშობას, კვანძის შეკვრას, გახსნას და სხვა.

სიუჟეტი, შინაარსის განვითარება, მოვლენათა თანამიმდევრული თრობა საერთოდ ეწინააღმდეგება აბსურდის თეატრის მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებს. მთელი პიესა არის არა მოვლენათა გარკვეული მიმდინარეობა, არამედ ერთი მთლიანი სიტუაცია მოლოდინისა. ვლადიმერ შარი და ესტრაგონი მთელი პიესის განმავლობაში ელოდებიან ვინმე გოდოს, რომელსაც მოსვლა არ უწერია. არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს საქმე გვაქვს აქტიურად დაძაბული მოვლენისა თუ კონსტრუქციული ცვლილების მოლოდინთან. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფუნქციონალური მოლოდინის აქტი. ინერტული, პასიური, ფაქტიურად უმოქმედო მოქმედება.

პიესაში ხუთი პერსონაჟია, რომელთაგან სამი დაკავშირებულია მოლოდინთან, ხოლო ორი მათგანი — პოცო (Pozzo) და ლაქი (Lucky), სიუჟეტურად სრულიად „ზედმეტი“ (ბუნებრივია, „სიუჟეტისა“ და „პერსონაჟის“ ტრადიციული გაგების თვალსაზრისით). პოცო ბატონია, ხოლო ლაქი — მისი მსახური. პირველ აქტში პოცოს თავისი მსახური ბაზარზე გასაყიდად მიყავს, მაგრამ მეორე აქტში ისინი კვლავ ერთად არიან.

ამრიგად, დარღვეულია დრამატული ნაწარმოების, როგორც ასეთის, არსებობის უმთავრესი ტრადიციული ფაქტორი — პიესას არ გააჩნია შინაარსი, მოცემულია მხოლოდ სიტუაცია.

რასაკვირველია, აბსურდის თეატრის პერსონაჟებაც ცვლილებას განიცდიდნენ. ტრადიციულად დრამის გმირებისაგან განსხვავებით, ბეკეტის პერსონაჟები მოკლებულნი არიან მთლიანობას. ისინი არ წარმოადგენენ ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბებულ ინტეგრალურ მხატვრულ სახეებს. სცენაზე დაძრწიან მხოლოდდა ადამიანთა ხუროგატები. ისინი არხაიდან მოსულან და არხად მიდიან. მათი არსებობის აზრი მდგომარეობს მხოლოდდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ხოლო ორი მათგანი — ვლადიმერი და ესტრაგონი, დამატებით გოდოს მოლოდინით არიან „დაკავებულნი“. ამ არსებებს საკუთარი უმწიფობის, უბედურობისა და შემადრწუნებელი ყოფის აღქმის უნარიც ადარა აქვთ.

სემუელ ბეკეტი, ერთგულია რა აბსურდის ტების ესთეტიკური პრინციპებისა, თავისი მსოფლალქმის ნათელსაყოფად, გარეგნული ხერხე-

ბის გამძაფრებით, უკიდურესად პროტესტულიად წარმოგვიდგენს ფუნქციონალური ადამიანების აბსურდულ არსებობას. მათ მოქმედებას არა აქვს ლოგიკა. იმის ^{დასაბუთებლად} დალაშქროს თუ არა, ისინი ცაში რუხუნების, ლოდინის პროცესის შესამოკლებლად თუ „გასახალისებლად“ ვლადიმერი და ესტრაგონი თავის ჩამოხრჩობას გადაწყვეტენ, მაგრამ ვერც აქ აღწევენ შედეგს. ეს უბადრუკი არსებები სასაცილონი იქნებოდნენ, სატირალი რომ არ იყოს მათი არსებობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოების უკლებლივ ყველა კომპონენტი აბსურდულობა საერთო განწყობის გამოხატვას ემხანურება. ქვემოთ გვექნება საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ იღწევს ბეკეტი მიზანს ვერბალურ დონეზე, ანუ მეტყველების როგორი ფორმა მიაჩნია მიზანშეწონილად თავისი მსოფლმხედველობის მხატვრული ახასიისათვის. აქვე დავიძენთ, რომ „აბსურდის ტების“ ყურადღება, შეიძლება ითქვას, ფოკუსირებულია ენაზე, როგორც უმთავრეს მხატვრულ ატრიბუტზე. ეფენ იონესკო ამ თვალსაზრისით სპეციალურად განიხილავს ენას თავის წიგნში „La Tragédie du Langage“.

ჩვენი საუკუნის მრავალი პრობლემიდან დასავლეთის მწერლობას განსაკუთრებით აღემატება გაუცხოების პრობლემა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. ზებეგრიითი თვითმფრინავებისა და კოსმოსის ხანაში, რადიოს, ტელევიზორის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა ათასგვარი შესწრაფი და ზემოქმედი საშუალებების ეპოქაში ადამიანი არნახულად გაუუცხოვდა არა მხოლოდ მოყვასს, არამედ საკუთარ თავსაც და ეს პარადოქსული დამთხვევა როდია. ამ ორ მოვლენას შორის მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ კავშირის ანალიზს, რადგან იგი სცილდება როგორც ჩვენი კვლევის სფეროს, ასევე ჩვენს შესაძლებლობებს და მხოლოდ უტყუარი ფაქტის კონსტატაციით დავეკმაყოფილდებით.

უიმედოდ უცხონი არიან ერთმანეთისათვის ბეკეტის გმირები.

აბსურდის თეატრში დიალოგი მოკლებულია ინფორმაციულობას ანუ გმირების საუბარი არ გულისხმობს ტრადიციული თეატრისათვის აუცილებელ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. დიალოგის, საერთოდ მეტყველების ფუნქციონალი ამგვარი გათიშვა ტრადიციულსა და აბსურდის თეატრში ხავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციულ დრამაში მეტყველება მოწოდებულია, რათა მსურებელს მოუღოს როს ამბავი. გააცნოს საქმის ვითარება, კონ-

ფლიქტი, უმთავრესად დიალოგის საშუალებით იძებნება მხატვრული სახეები და გამოაშკარავდება პრობლემები. აბსურდის თეატრში დიალოგი მოკლებულია ყველა შემოსხენებულ ფუნქციას ამ უკანასკნელის გარდა, რომელთა განაც მას უმთავრესად გაუცხოების გამოხატვა აქისრია.

მეტყველების დეზინტეგრაციას ბეკეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა გზით ახდენს მარტივი გაუგებრობებიდან დაწყებული, ვიდრე სასვენი ნიშნების გამოტოვებამდე (როგორცაა, მაგალითად, კითხვის ნიშანი იმის საჩვენებლად, რომ რაკი ენამ დაკარგა კომუნიკაციის ფუნქცია კითხვები აღარ მოითხოვენ პასუხს). გმირების მეტყველება გადატვირთულია კლიშეებით, გამეორებებით, ისინი ვერ პოულობენ საჭირო სიტყვებს.

მეტყველების დეზინტეგრაციის ფორმალურ მიმნიშნებლებზე უფრო მნიშვნელოვანი მარჯვენებელია დიალოგის შინაგანი ბუნება, რომელიც მოკლებულია აზრთა კეშმარიტ დიალექტიკურ გაცვლა-გამოცვლას, ვინაიდან აბსურდისტების ინდეტერმინირებულ სამყაროში დიალოგმა, ისევე როგორც მოქმედებამ, დაკარგა ლოგიკა და დროის მოსაკლავ თამაშად იქცა.

გარდა იმისა, რომ ცალკეულმა სიტყვებმა დაკარგა მნიშვნელობა, კომუნიკაცია კიდევ იმითაც ირღვევა, რომ აღამიანებს არ გააჩნიათ მენსიერება. მათ არ ახსოვთ წარსული, რადგან არც გააჩნიათ იგი. თუ ფოლკნერის გმირებისათვის აწმყო ნიშნავს წარსულის ჯამს (ისინი ცხოვრობენ იმდენად, რამდენადაც წარსულში იცხოვრებს და წარსული განუწყვეტლივ მოქმედებს აწმყოზე), ბეკეტის სამყაროში, სტატიკური ყოფის პირობებში წარსული ხერხოდ არ არსებობს. ტუილად კი არ ორჭოფობს ესტრაგონი თავისი ახაკის თაობაზე, მან არ იცის ხამოცი-ხამოცდაათი, თუ თერთმეტი წლისაა, რამდენადაც განვლილ წლებს მნიშვნელობა არა აქვს. მას ხომ ეს წლები არ უცხოვრია.

ამრიგად, ბეკეტის პერსონაჟები ჩვენთვის საინტერესონი არ არიან, როგორც აღამიანთა ინტეგრალური მხატვრული სახეები, რამდენადაც ასეთებს არ წარმოადგენენ. მაშ, რა ფუნქცია აქისრიათ მათ დრამაში? ისინი ბეკეტის ფილოსოფიური, რელიგიური და ფსიქოლოგიური კონცეფციების სიმბოლურ გამოხატვას ემსახურებიან. ამ სიმბოლოების ინტერპრეტირება, ანუ გაშიფვრა-დეკოდირება, უფრო გასაგებს ხდის ბეკეტს მკითხველისათვის და უფრო ახლოვებს მასთან, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ბეკეტის ნაწარმოებების მხატვრული აღქმისათვის აუცილებლად საჭიროა ამგვარი მანა-

პულაციის ჩატარება. კეშმარიტი ბელოვნება არ საჭიროებს შუამავალს. ეს აკი დამტკიცდა კიდევ, როდესაც 1957 წლის 19 თებერვს სანკვენტინის საპატიმროს ტუსადებს „გოდოს მოლოდინში“ წარმოადგინეს (ამ ფაქტზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

„გოდოს მოლოდინის“ პერსონაჟები სიმეტრიულ წყვილებად არიან დალაგებულნი, ერთის მხრივ პოცო — ლაქი, მეორეს მხრივ ვლადიმირი — ესტრაგონი. ორივე წყვილი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ბინარული სიმბოლო, რომლის თითოეული კომპონენტი მეორესთან მიმართებაში იძენს ღირებულებას; ისინი ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ მთლიან სიმბოლურ სახეს. ამ თვალსაზრისით გოდოს მიერ გამოგზავნილი პატარა ბიჭი თითქოს „ამოვარდნილია“ ხერხთო კანონზომიერებიდან. მართლაც, გოდო და პატარა ბიჭი არ ქმნიან სიმბოლურ წყვილს, მაგრამ ისინი მაინც ავსებენ ერთმანეთს, რადგან მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი გარკვეულ რელიგიურ ასოციაციას იწვევს, რაც ნაწარმოების მთლიან ელერადობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხმას წარმოადგენს.

პოცო — ლაქის სიმბოლურ სახეს ლაიონელ აბული თავის ეხეიში „ჯოისი — მამა, ბეკეტი — შვილი“ მეტად საეჭვო ახსნას აძლევს. მისი აზრით, პოცო და ჰემი ჯოისის ლიტერატურული პორტრეტებია, ხოლო ლაქი და ქლოვი თავად ბეკეტია („თამაშის დასასრულში“ ჰემი პარალიზებული ბატონია, ხოლო ქლოვი — მისი მხახური), ამგვარ ასოციაციას, აღბათ, იწვევს ბიოგრაფიული ფაქტების გარკვეული გარეგნული დამთხვევა.

ამგვარი აზრის გამოტანას ეწინააღმდეგება პოცო — ლაქისა და ჰემი—ქლოვის ურთიერთდამოკიდებულების შინაგანი ხასიათი. ჰერ ერთი, არც პოცო და არც ჰემი სრულიად არ გამოირჩევიან არტისტიკაშითა თუ სხვა რაიმე დადებითი თვისებით, რომ სულიერ გავლენაზე იყოს ლაპარაკი. ჰემი მართალია, წიგნს წერს, მაგრამ პიესაში არაორაზროვნად არის აღნიშნული, რომ ეს წიგნი ძალიან შორს არას ხელოვნების ნაწარმოებისაგან და მხოლოდ საშუალებაა ავტორისათვის თავისი დანაშაულის გრძნობის გამოსახატავად, ხოლო ქლოვი აბსოლუტურ უინტერესობას ამჟღავნებს ბატონის მოდვაწეობის მიმართ და ჰემი იძულებულია „მოთაფლოს“ თავისი მიზრწინილი მამა, რომ ამ უკანასკნელმა ყური დაუგდოს მის „Work in Progress“-ს. ამგვარი სიტუაცია სრულიად არ შეეფარდება ჯოის-ბეკეტის კეშმარიტ ურთიერთდამოკიდებულებას. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ „Work in Progress“ („ნაწარმოები, რომელ-

იც იწერება“ ან „შექმნის პროცესში მყოფი ნაწარმოები“) ჯიბის „ფინანსების ქედი“ საჯურნალო პუბლიკაციის სათაური იყო.

გავრცელებული თვალსაზრისით პოცოს ადამიანის ხორციელ გამოვლინებად მიიჩნევენ. მაშინ როდესაც ლაქა — სულიერი ხაწყისია. ისინი ერთნი არიან, თუმცაღა ხშირად ტკივილს აყენებენ ერთმანეთს. მაგრამ უერთმანეთოდ არ არსებობენ. აკი, კიდევაც თოკითა მყავს გამოშული პოცოს თავისი მსახური, ანუ ხორცს—სული, ხორცი დომინირებს სულზე, ბატონობს მასზე, შედარებით უფრო დონორულადაც გამოიყურება, სული მთლად დანაწიანებულია, მაგრამ არსებითად ორივე მიხრწნილია.

ლაქის, პიესის მთელი მსვლელობის მანძილზე, მძიმე ტვირთი აქვს აკიდებული, რომლის ტარებაც ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც არასოდეს უშვებს ხელს, რომ ოდნავა შევება იგრძნოს. რაზე მიგვანიშნებს ბეკეტის ლაქი — სულის ამ ტვირთით?

„ძველ აღქმაში“ მოთხრობილია, თუ რა ფასად დაუქდათ ადამსა და ევას აკრძალული ხიდის კამა — ისინი ვააძვევს ედემის ბაღიდან. ადამში იტვირთა მიწიერი ცხოვრების მთელი სიმძიმე, მაგრამ უფალმა მთლად არ გადაუწურა იმედი ადამიანს და შეჰპირდა, რომ სამოთხეში დააბრუნებდა, თუკი მკაცრ მიწიერ გამოცდას გაუძლებდა. „მოთმინებითა შენითა მოიბოვე სასუფეველი შენით“.

იქნებ, ლაქის ტვირთიც ის ტვირთია, ადამს რომ აქიდეს ოდესღაც, მაგრამ ადამისაგან განსხვავებით, ლაქი არაფერს მოეღის ხანაცვლოდ. ან კი რას შეიძლება ელოდეს, მას პოცოსაგან ერგო ეს სიმძიმე, ხოლო ადამს თვით დვთაებისგან. ხორცმა სულს გადააბარა ის, რაც თავად მძიმე ეჩვენა, მაგრამ სულიც ვერ გაუმკლავდა ტვირთს და მთლად გაპარტახდა. ამით პირველსაწყისმა პათოსმა დაკარგა თავისი დიდი მნიშვნელობა, სწორედ ამიტომ ლაქის ტვირთი სინამდვილეში ყველახათვის გამოუსადეგარი ბარგი-ბარბანაა. რაკილა სააქაო ყოფა უაზრო გამოდგა, ადამის ცოდვასაც ნიადაგი გამოეცალა. მისი მისია არ შედგა, ამიტომაც ტვირთი სულის შედმეტ ბარგად იქცა.

„გოდოს მოლოდინის“ პერსონაჟთა ინტერპრეტირებაში დანშარებას გვიწევს თანამედროვე ფსიქოლოგია.

ცნობილი გერმანელი ფსიქოანალიტიკოსი ერიხ ფრომი თვლის, რომ ადამიანს მიღებული აქვს ე. წ. „ნეგატიური თავისუფლება“, ანუ უკველი ინდივიდი თავისუფალია არჩევანში, მაგრამ მას თვითონ არა აქვს გაცნობიერებული

თუ რა უნდა, მან არ იცის ხალხ შევიდეს ეს წინააღმდეგობა, ფრომის აზრით, არას ნეგატივის მიზეზი. ამის საბასსებოდ ადამიანს გამოუშუშავდება ე. წ. „დამცველი შექმნილი“, რომელიც ფრომის აზრით, სამჯერი არსებობს: სადომაზონშიში, ავტომატური კონფორმიზმი და დამანგრეველობა.

ლაქისა და პოცოს სადომაზონისტური ურთაერთობა ნეგროტიული ხამყარობ ნაყოფია, მისი გამოვლინებაა ადამიანთა დამოკიდებულებაში.

ფრომის „ავტომატური კონფორმიზმი“ გულისხმობს, რომ ადამიანი თავისად მიიჩნევს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრებსა და ნორმებს. იგი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ექცევა საზოგადოების გავლენის ქვეშ. მაგრამ ეს არა აქვს შემეცნებული, რადგან საკუთარ დამოკიდებულებას ხამყარობ მიმართ თავის ორიგინალურ გამოვლინებად მიიჩნევს. სინამდვილეში იგი კონფორმისტია, ოდონდ თვითონ ეს არც იცის. ამიტომაცაა იგი „ავტომატური“ კონფორმისტი.

ვლადიმირი და ესტრაგონი ავტომატური კონფორმიზმის ბეკეტისეული ვადააზრების მხატვრული ხორცშესხმაა. ეს ორი მაწანწილა მთელ „აქტივობას“ გოდოს მოლოდინში აეფენს. მათი დამოკიდებულება ვარე ხამყარობთან მხოლოდ მოლოდინის აქტივ მუდავნდება. ამდენად ბეკეტისეული მოლოდინი სიმბოლური გამოვლინებაა ადამიანისა ცხოვრებასთან კავშირში. ფრომის თვალსაზრისით, ვლადიმირისა და ესტრაგონის მოლოდინში ავტომატური კონფორმიზმის გამოვლინება იქნებოდა. საკითხის ამგვარი დაყენება ადამიანს ერთგვარად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან თუ ადამიანის საქციელი გამოვლინებაა მის უსუცნობელ დონეზე არსებული აზრებისა, რაც თავის მხრივ მას საზოგადოებამ მოახვია თავს, მაშინ არც ბრალის დადება შეიძლება. ფილოსოფიაში ამგვარი თეორია ნეოპოზიტივიზმმა განავითარა. ამ თვალსაზრისს პრინციპულად გაემიჯნა ეგზისტენციალიზმი, რომლის აზრითაც ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ესა თუ ის საქციელი არ აიხსნება ვარეუებისგან დამოუკიდებლად არსებული მიზეზებით. ამიტომ ყოველი დანაშაულისათვის პასუხისმგებლად ეგზისტენციალიზმი ადამიანს მიიჩნევს. ამ აზრით ისინი ფსიქოანალიტიკოსებსაც ემიჯნებიან, რომლებიც ადამიანის საქციელს ქვეშეცნეულით ხსნიან, ეგზისტენციალისტებს მიანიწიან, რომ ქვეშეცნეული არ არსებობს, ყველა აზრი (თვით ფროიდის ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსები) ადამიანს გაცნობიერებული

აქვს. მაშინ ფორმის ავტომატური კონფორმის-
შიც მორალური დანაშაულია და ამდენად აღარც
ავტომატურა იქნება.

მწერალი იმით განსხვავდება ფსიქოლოგისა-
გან, რომ იგი არ გამოყოფილდება ფაქტების
კონსტატირებით და საკუთარი წინგობრივი კრი-
ტიკულობებიდან გამოსული აქტიურად ერევა
აღაშინების ქცევაში. ვლადიმირისა და ესტრაგონ-
ის მოლოდინი არის ჩვევად ქცეული იმედო,
უკანასკნელი ილუზია, რომელიც შესაძლოა ბო-
ჭავს მათ, არ ამღვეს ხაშუალებას მთელი სი-
ხავებით შეეგრძნონ საკუთარი არსებობის სრუ-
ლი უიმედობა. პიესის ბოლოს ვლადიმირი თით-
ქოს უკვე მომზადებულია იმსახთვის, რომ ჩა-
სწვდეს თავისი მოლოდინის ილუზორულობას.
მან თითქმის თავი უნდა დააღწიოს ამ ცხადად
ქცეულ ხიზმარს და რაკი მიხვდება, რომ ამგვარ-
ი ყოფი (თუკი ამას ყოფი ჰქვია) უფარვისია.
შესაძლოა, ხნა გზის გამოჩანვას ეცადოს. მაგ-
რამ სწორედ ამ დროს გამოჩნდება გოდოს მიერ
გამოგზავნილი ბიჭი და ვლადიმირს თავის ქუ-
სიურ ილუზიებთან დააბრუნებს.

საფიქრებელია, რომ ბეკეტისეულ მოლოდინს
ეგზისტენციალისტის ხარტრი შეაფასებდა რუ-
გორც მორალურ დალატს — „მორალური და-
ლატის პირველი აქტი არის თავიდან აცილება
იმისა, რასაც ვერ აერიდები, იმისა, რაც ხარ“.
ამ დალატის მთელი სიმძიმე, მისივე აწრით,
აღაშინს, ანუ ვლადიმირსა და ესტრაგონს დააწ-
ვებოდა.

ბეკეტი, რომელიც არც ფსიქოანალიზის მიწ-
დევარია და არც აშკარა ეგზისტენციალისტი,
პასუხისმგებლობის სიმძიმეს ანაწილებს ორ
მაწანწაღასა და გოდოს შორის. როგორც აღ-
ნიშნავს ევა მეტმანი „გოდოს ფუნქცია კითქოს
ის არის, რომ მასზე დამოკიდებული ხალხი
გაურკვევლობაში ამყოფოს“. აღსანიშნავია
ისიც, რომ პიესის ამ ორი წყვილიდან (ბოცო-
— ლაქი, ვლადიმირი — ესტრაგონი) ბეკეტი
ვლადიმირსა და ესტრაგონს უფრო მადლა აქმი-
ნებს, რაკი მათ ის მაინცა აქვთ შეგნებული.
რომ ძველი გზით ხიარული აღარ შეიძლება,
თუმცა ამ ცოდნით „შეიარაღებულნი“, ისინი
არ ცდილობენ ახალი გზის გამოჩანვას, სოლო
ბოცო და ლაქი ჭიუტად განაგრძობენ ძველ
გზაზე ხიარულს იმისდა მიუხედავად, რომ ეცე-
მიან, ძალა აღარ შეხწევთ და მთლად პარტაბ
დებიან.

საინტერესოა, ვინ არის თვითონ გოდო, რომ
მელწეც ამდენი სჯა-ბაასია პიესაში და რომე-
ლიც არხად ჩანს. ამის გარკვევაში, ერთის
მხრივ, მისი სახელის ეტიმოლოგიაც დაგვებმა-
რება. უპირველეს ასოციაციას Godot გვიქმ-
ნის God-თან, Pierre-Pierrot, Charl-Charlot-ის

ანალოგიით, თანაც, მიიჩნევენ, რომ პიე-
სის ფრანგული სათაური (თავისებურეულად პიე-
სა ფრანგულად დაიწერა) „Attendant Godot“,
ილუზიაა სიმონ უელის (Simone Weil) წიგნის
სათაურისა „Attente de Dieu“ („dieu“
ფრანგულად „ღმერთის“ შესწავლა) კახე რომ
ერთის მხრივ, ეტიმოლოგიურად გოდო უძველ-
ლად ღმერთთან არის დაკავშირებული, მაგრამ
ლიტერატურული ილუზია ამით არ ამოიწურება.
ერთე ბენტლი აღნიშნავს, რომ ბალზაკის ერთ-
ერთ კომედიაში არის პერსონაჟი, რომელწეც
გაუთავებლად დაპარაკობენ და რომელიც არ-
ხად ჩანს, სახელად Godeau. ბალზაკის Co-
deau-ს არაფერი აქვს საერთო ღმერთთან.
ბალზაკის გმირი ვაჭრობასთან არის დაკავში-
რებული. მას გაუტაცია კამიტალი თავისი პარტ-
ნიორის წილითურთ, რომელიც დიდ ფინანსურ
ვაჭარებას განიცდის. მეორეს მხრივ, თავის
მრავალრიცხოვან კრედიტორებს იგი ისევ
Godeau-ს დაბრუნებით ამხედებს და ასე იშო-
რებს ბოლმე თავიდან. Godeau-სა და Godot-ს
შორის პარალელი იმდენად დიდია, რომ არ შე-
იძლება ეს უბრალო დამთხვევა იყოს. ამრი-
გად, გოდო სინთეზური სახეა, ერთის მხრივ
იგი ღმერთია, სოლო მეორეს მხრივ — გაქნი-
ლი სპეკულანტი, ამიტომაც არის იგი Godot —
„ღმერთუკა“ და არა God — ღმერთი.

პიესის ფრანგულ ვარიანტში არაორაზროვნად
არის ნათქვამი, თუ კონკრეტულად რას ელიან
ვლადიმირი და ესტრაგონი გოდოსაგან: „შესაძ-
ლოა ამაღამ ჩვენ მის სახლში დავიძინებთ, საც
ხე მუცლებით, თივაზე, თბილსა და მშრალ აღ-
გელას, განა არ ღირს ამისთვის ლოდინი?“

მაშ, ამ გზაბნეული მაწანწაღების უმთავრესი
ოცნებაც თბილ ადგილას მოკალათება და კუ-
ქის გაძღომა ყოფილა. აბა, როგორღა ვამბობთ,
რომ ბეკეტი მათ პოცოსა და ლაქიზე მადლა
აყენებს, თუკი საბოლოო ჯამში მათ, პრინცი-
პში, საერთო იდეალი აქვთ, და მაინც ვლადიმი-
რი და ესტრაგონი განსხვავდებიან მარტივი
ფილისტერებისაგან. მათ შეგნებული აქვთ, რომ
ის, რისთვისაც უმეტესობა იღვწის, არა ღირს
მაინცდამაინც დიდ მცდელობად, ამიტომაც მია-
ნებებს თავი ყოველდღიურ ფუსფუსს და მთელი
არსებით გოდოს მოლოდინს მიენდნენ. და თუკი
ახეთ დროსაც ისევ იმახვე დაუბრუნდნენ, რა-
საც ერთხელ განუდგნენ, განა ეს უფრო აღა-
შინის ინსტინქტის გამოძახილი არ არის, რომ
დაიკმაყოფილოს ელემენტარული სასიცოცხ-
ლო მოთხოვნილებანი? შესაძლოა, ამით ავტორს
იმის თქმაც უნდოდა, რომ ისეთი აღაშინიც კი,
რომელიც მთელი თავისი შინაგანი პათოსით

უპირისპირდება შეშინასა და ობივატელს, აუტანელ პარობებში მოექცა, შესაძლოა ფილისტერული ცხოვრების მორევმა ჩაითრია, თუნდაც დროებით. გარდა ამისა, ვლადიმირისა და ესტრაგონის არსებობა არ ექვემდებარება ფილისტერული საზოგადოების ცხოვრების წესს, მაგრამ ეს როდია ნიშნავს, რომ თვით ისინი სრულყოფილნი არიან. მათი არსებობა ოდნავ წინ გადადგმული ნაბიჯია გარშემომყოფთა ყოფიანთან შედარებით, მაგრამ თავისთავად ძალიან შორს არის ბეკეტის იდეალიზაციის რამეთუ, რაკი არ იციან, არც ეძებენ ხსნიის საშუალებას და მხოლოდ პასიური მომლოდინენი არიან, რომელთაგანაც ბუნებრივია მერყეობა. დროის მსვლელობა შემაწუხებელი და მომქანცველი ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი აქტიურად კი არ ცხოვრობს, არამედ მხოლოდ გვერდიდან შეჰყურებს დროის მიმდინარეობას, ამიტომაც ვლადიმირისა და ესტრაგონის ცხოვრება, ანუ ინერტული მოლოდინი გულისგამაწვრილებლად უაზრო და უშინაარსია. თვითონ ბეკეტი აღნიშნავს: „ვერსად გაექცევი საათებსა და დღეებს, ვერც ხვალისდღელ დღესა და ვერც გუშინდელს, ვინაიდან გუშინდელმა დღემ გარდაგვქმნა ჩვენ ან ჩვენ გარდაგვქმენით იგი“.

ნიშნდობლივია ის გარემოებაც, რომ ბიესის ინგლისურ ვარიანტში ბეკეტმა არ შეიტანა ვლადიმირისა და ესტრაგონის მიერ ნანატრი „სამოთხის“ დახასიათება. შესაძლოა, ამით მან, ერთის მხრივ, თავი აარიდა კონკრეტული პრინციპის, და არ უღალატა თავის მხატვრულ პრინციპს, ხოლო მეორეს მხრივ, ამტკობინა, რომ ეს წყვილი ბოლომდე პაცო — ლაქიანე მალღა მდგარი იყო.

როდესაც ბეკეტს ეკითხებიან, თუ რა არის „გოდოს მოლოდინის“ თემა, იგი იხსენებს ერთ ადგილს წმინდა ავგუსტინეს ნაწარმოებებიდან: „ერთი საოცარი წინადადება აქვს წმინდა ავგუსტინეს. ნეტავ ლათინურად მახსოვდებ. ლათინურად კიდევ უფრო მშვენიერია, ვიდრე ინგლისურად: „ნუ შეიცვებით სასოწარკვეთახ: ერთ-ერთი ავაჯი გადარჩა, ნუ გაამაუღლებით ერთ-ერთი ავაჯი შეჩვენეს“, შემდეგ ბეკეტი უმატებს: „მე მაინტერესებს ფარმა აზრისა, მაშინაც, როცა აზრი არ მწამს... ამ წინადადებას საოცარი ფორმა აქვს, აქ ფორმაა მთავარი“.

ბიესას თავიდან ბოლომდე გახდევს ბიბლიური აღუზიება. განსაკუთრებულ ინტერესს ამტკობს ვლადიმირი სახარებაში მოთხრობილი ორი ავაჯის ამბის მიმართ, რომლებიც ქრისტესთან ერთად აცვეს ჯვარს. ბიესის დახაწვისში იგი ამბობს: „იმ ავაჯებიდან ერთი ვა-

დარჩა. მაინც გვარჩინა პოპულარული“. შემდეგ ვლადიმირი კიდევ უფრო ახსნის აზრს „ორი ავაჯი... ერთი, რომელიც ვერცა ამბობენ, გადაურჩა, მეორე, რომელიც შეჩვენეს მაშ, რომელიც გამრდინ, რომ ოდნე მახარობლიდან მხოლოდ ერთი ყველა ასე ამ ამბავს, ოთხივენი ხომ იქ ექნებოდნენ, ან ახლომანლო მაინც, და მარტო ერთი კი ყველა, ერთი ავაჯი გადარჩაო“.

სახარების ოთხივე ავტორი აღნიშნავს, ქრისტესთან ერთად ორი ავაჯიც აცვეს ჯვარსო. მაგრამ მხოლოდ ლუკა ამბობს, რომ როდესაც ერთ-ერთმა ქრისტე შეურაცხყო, მეორემ დაგმობისი საქციელი და ქრისტეს უდანაშაულობა სცნო. ამის საპასუხოდ ქრისტემ მას სამოთხეში მოხვედრა აღუთქვა, ხოლო მეორე ჯოჯობეთში გაისტუმრა. მათე, მარკოზი და იოანე არაფერს ამბობენ ავაჯის გადარჩენის თაობაზე. ამით ვლადიმირის ეჭვი გადარჩენის შესაძლებლობის მიმართ კიდევ უფრო აზრდება, მაგრამ მთავარი მიზეზი ის არის, რომ მისთვის, ისევე როგორც ბეკეტისათვის, სავსებით გაუგებარია ქრისტეს კრიტიკიუმი, რომელიც ასე ხელაღებით ანაწილებს ადგილებს სამოთხესა და ჯოჯობეთში. ბეკეტის აზრით, ავაჯის შემთხვევითი წამოსროლილი რეპლიკები ძალიან ადვილად შეიძლება შეცვლილიყო და მაშინ ასევე ადვილად შეიცვლებოდა მათი ადგილები „სამუდამო სასუფთველში“. საფიქრებელია, რომ ბეკეტი ეჭვის ქვეშ აყენებს ქრისტიანული რელიგიის სამართლიანობას ადამიანის სააქო ცხოვრების განხვის შესახებ. იმავე აზრის გამოტანა შეიძლება ვლადიმირისა და პატარა ბიესის დიალოგიდან. ბიესი ამბობს, რომ გოდოს თეთრი წვერი აქვს (როგორც წესი, ღმერთიც თეთრი წვერით ჰყავთ ხოლმე წარმოდგენილი) და მას კარგად ექცევა: მაგრამ მის უფროს ძმას უოველთვებს სცემს. „შენ რატომ არ გცემს?“ ეკითხება ვლადიმირი. „არ ვიცი, ხერ“. სავსებით ცნადია პარალელი ბიბლიურ მითთან აბელისა და კანის შესახებ. აბელისგან ღმერთმა შესაწირავი მიიღო, ხოლო კანისგან — არა. ამის ნიადაგზე კენმა მოკლა თავისი ძმა, ხოლო ღმერთმა იგი დასწვევდა. ქრისტიანული რელიგია მოთხრობისა და შენდობისკენ მოუწოდებს ხალხს და გვახწავლის „გიჟვარდის მოყვასი შენი და მტერი შენი“, ამიტომ იგი შეჩვენებს კენს და აცხონებს იობს, რომელმაც უღრტვიანველად აიტანა უოველგვარი სააქო ტანჯვა, რამეთუ იგი ერთი წუთითაც არ დაუტოვებია რწმენას.

სხვაგვარად ფიქრობს ბეკეტი. მისი გმირები სააქო ცხოვრების ბედუკვლმართობისთან დასამკლავებლად ვერ მოიკრებენ ძალებს იქიდან.

საიდანაც იოხი იკრებდა, რადგან მათთვის ღმერთი მოკვდა, მაშ ვინლაა ვოდო? ვოდო ჩვენი დროის „ღმერთუკა“, მოკლებული იედოვას უზენაეს ძალასაც და უზენაეს სიკეთესაც. მისი ძალა იმაშიდა ვლინდება, რომ ფუჭი მოლოდინის ჩვევა შეუნარჩუნოს ხალხს, ხოლო სიკეთისაგან იქნებ იმთავითვე იყო დაცლილი.

* *

თუ „გოდოს მოლოდინში“ წარმოდგენილი სამყარო გარდუვალი დაღუპვის წინაშე დგას, ბეკეტის შემდგომ პიესაში „თამაშის დასასრული“ კატასტროფა უკვე მოხდა. ტოტალურ ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა მხოლოდ ოთხი არსება — პარალიზებული, ბრმა ჰეპი. მისი მხახური კლოვი და ჰემის უფებო მშობლები, რომლებიც ნაგვის ყუთებში სხედან.

„გოდოს მოლოდინის“ მსგავსად პერსონაჟები აქაც დაწვევილებულნი არიან. ერთის მხრივ, კვლავ ბატონი და მხახური, ხოლო მეორეს მხრივ, ცოლ-ქმარი, ანუ თანახმარი ურთიერთობა.

მოქმედება მიმდინარეობს ცარიელ ოთახში. რომელიც პიესაში თავშესაფარადაც მოიხსენიება. ოთახს ორი საკმედი აქვს, მარჯვენა — მიწას გადაჰყურებს, ხოლო მარცხენა — ზღვას. ისინი იმდენად შალაა კედელში, რომ როდესაც ჰემის ბრძანებით ქლოვი დროგამოშვებით ტელესკოპით ათვალიერებს გარე სამყაროს, იგი იძულებულია, კიბე მოიშველიოს, რათა საკმელებს შესწვდეს.

ჰემი მიჯაჭვულია ბორბლებიან სკამზე, კლოვს დაქლომა არ შეუძლია. ჰემი ინფანტილურია და საკუთარი თავისადმი სიბრაღეუდით არის აღვსილი. კლოვის გარეშე, რომელიც მას ემსახურება იგი დაიღუპება. კლოვს სძულს თავისი ბატონი და სურს მიატოვოს, მაგრამ იძულებულია დაემორჩილოს მის ნება-სურვილს. თუ კლოვი შესძლებს და მიატოვებს თავის ბატონს, იგი თავადაც დაიღუპება, რადგან საკმელის მარაგი მხოლოდ ჰემსა აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოთახში კიდევ ჰემის უფებო მშობლები იმყოფებიან. ჰემსა და მის მშობლებსაც ექავრებათ ერთმანეთი.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა დაბნული სივრცე და მასში მოთავსებული აგონიზირებული არსებანი, რომლებსაც სიძულვილი და ზიზღა აკავშირებთ, მაგრამ თითოეული მათგანა მხოლოდ იქ, იმ ოთახში და მხოლოდ ერთმეორესთან ურთიერთობაში ინარჩუნებს ფიზიკური არსებობის შესაძლებლობას. ამდენად, პიესა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მონოდრამა, ხადაც თითოეული პერსონაჟი ერთი არსების

სხვადასხვა ასპექტს გამოხატავს. ჰემი ადამიანის ემოციური ხაწყისია. იგი უკიდურესად ევოცენტრულია. მისი არსებობა განისაზღვრება პირადი სურვილების დაკმაყოფილებით. გარდა ამისა, ჰემი წერს წიგნს კატასტროფის შესახებ. რომელმაც ხალხი გაანადგურა. ეს წიგნი ჩაფიქრებულია, როგორც აღსარება-მონანიება დანაშაულისა, მძიმე ტვირთად რომ აწევს ჰემს, რადგან კატასტროფის დროს შეეძლო მას მრავალი ადამიანის გადარჩენა, მაგრამ ეს არ გააკეთა. როგორც ჩანს, ჰემის ამგვარი მოქმედებია მიზეზი მხოლოდ მისი ბოროტება და შეუბრალებლობა იყო, რადგან სხვა რაიმე რაციონალური მიზეზი (ვთქვათ, საკუთარი თავის გადარჩენა სხვების დაღუპვის ფასად) პიესაში არ ჩანს. როგორც ვხედავთ, პიესაში წარმოდგენილი არსების ემოციური დამოკიდებულება სამყაროსადმი ბოროტებითა და სისასტიკით არის გაუღენთილი. რაც თავად თუ არ იწვევს, ყოველ შემთხვევაში მრავალწილად განაპირობებს სამყაროს ტოტალურ განადგურებას. მოცემულ სიტუაციაში ჰემი გარე სამყაროსთან კავშირს კლოვის საშუალებით ამყარებს. მისივე საშუალებით ინარჩუნებს იგი არსებობას. თუ პიესას განვიხილავთ, როგორც მონოდრამას, მაშინ კლოვი ადამიანის პრაქტიკულ-რაციონალური ხაწყისი უნდა იყოს, რომელიც იმორჩილებს ბოროტ მიხწრაფებებს. ემსახურება მათ. ამავე დროს, იგი ჰემის კუთვნილი საკვებით საზრდოობს. ესე იგი, თავადაც მასზეა დამოკიდებული, ამდენად, იგი ვერ არღვევს იმთავითვე შეჩვეულ ურთიერთობას თავის ბატონთან, თუმცა განუწყვეტელ კონფლიქტშია მასთან.

პიესის მონოდრამად წარმოდგენისას ჩვენ მივმართავთ პიროვნების სტრუქტურის შესახებ ფსიქოანალიზის თეორიას. ზიგმუნდ თროვდი გამოჰყოფდა სამ ინსტანციას, როგორც პერტორგანიზაციის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს. მისი აზრით, ახალშობილის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან განისაზღვრება მხოლოდ ინსტინქტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შეუსწობელ დონეზე. ამ ინსტანციას ფროიდის მიხედვით ეწოდება „იდი“ (Es). დროთა განმავლობაში უალიბდება შეგნებული ადამიანი, როდესაც გაიმიჯნება ქვეცნობიერი ცნობიერებისაგან და ჩამოყალიბდება „ეგო“ (ich). ამ სტრუქტურის განსხვავების კრიტერიუმად ფროიდმა შემოგვთავაზა მათი ფუნქციონალური სხვაობა. ცნობიერი „ეგო“ შეესაბამება რეალობას და ექვემდებარება ფიზიკურ კანონებს, სოციალურ წესებსა და ლოგიკას, ხოლო არაცნობიერ „იდს“ საფუძვლად უდევს ბიოლოგიური და აფექტური ხასიათის ხუბიექტური მოთხოვნილებანი. პირ-

ველს რეალობის პრინციპი — მართავს, ხოლო მეორეს — სიამოვნებისა. გარდა ამ ორი ინსტანციისა, ფროიდს შემოაქვს კიდევ „სუპერ-ეგო“, რომლის არაცნობიერი მოქმედებაც აიჭრება „ეგოს“ თავი აარიდოს დანაშაულს და დაიცვას თავი „იდიხაგან“ გამომდინარე ინსტინქტური იმპულსებისაგან. ფსიქოანალიტიკოსების მიხედვით, „სუპერ-ეგო“ არის პერსონიფიცირებული მშობლების ხატი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ სამი ინსტანციიდან მხოლოდ „იდიხა“ გააჩნია საკუთარი ენერჯია, რომლითაც „ეგოც“ საზრდოობს და „სუპერ-ეგოც“. ამრიგად, პიესის ასეთ რაკურსში განხილვის შემთხვევაში ეგოცენტრული, ინფანტილური ჰემი წარმოგვიდგება როგორც „იდიხა“ მხატვრული ბორცვისებო; მუდამეფაშს მოსიარულე კლოვი, რომელიც ტელესკოპით ხელში გადაჭურებს ქვეყნიერებას და ამგვარად აკავშირებს დაბნეული ოთახის მკვიდრთ სამყაროსთან, „ეგოს“ გამოხატავს, ხოლო ჰემის მშობლები, რომლებიც მართლაც აქეზებენ კლოვს თავისი შვილის წინააღმდეგ, „სუპერ-ეგოს“ გამოვლინება იქნება.

ჩვენთვის, რასაკვირველია, საინტერესოა არა პიესის პერსონაჟთა დაჯგუფება ფროიდის სქემის მიხედვით, არამედ ის, თუ როგორ აქვს გადააზრებული ბეკეტს თითოეული ამ სტრუქტურათაგანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰემი ბოროტებით არის გატენილი. პაროვნების შინაგანი, ემოციური დამოკიდებულება ცხოვრებასთან დაკლილია სიყვითისა და ლმობიერებისაგან. იგი არათუ არ აღუდგება საყოველთაო ნგრევას და განადგურებას, არამედ, პირიქით, შინაგანად ეთანხმება და ხელს უწყობს ყოველივე ბოროტს. არაცნობიერი იმპულსების დათრგუნვის საფუძველი ძევს „სუპერ-ეგოში“ ანუ ხინდისში, რომელიც პიესაში ჰემის მშობლების სახით არის წარმოდგენილი. ეს ორი არსება უკვლავ შემაძრწუნებელია თავისი გარეგნული სახით. ისინი ცოცხლად დაბნობენ და ინტენსივობის წყურთში, ხაიდანაც დროგამოშვებით გამოპყროფენ ხოლმე თავს, რათა რამდენიმე დანაწევრებული ფრაზა წარმოხსთქვან. ამ ორ საბუარს არც უნარი შესწევს და არც სურვილი გააჩნია, რომ ჰემის ზნეობაზე იფიქროს. მათ არც არახოდეს ბქონიათ ამგვარი ფუნქცია, ხოლო ზიზღი ფავისი ნაშიერის მიმართ იმთავითვე დაბუვით. მაშასადამე, უველაზე გათვლილი, უველაზე უნიათო და შემზარავი თავისი არსებობის ფორმით ადამიანის ხინდისა ყოფილა. ხწორედ მისმა ამგვარმა დაკნინებამ და გადაგვარებამ შვა აბსოლუტური ბოროტება.

ჰემის მამა სიამოვნებით იხსენებს, თუ მრავალი წლის წინ როგორ უნებოდა მას პატარა ჰემი, როდესაც სიბნელისა ვშინოდა და როგორ მიდიოდნენ მშობლები ისეთ ადგილას, სადაც ჰემის ხმას ვერ გაიგონებდნენ. მამამ მშვიდად დაეძინათ. იქნებ მაშინ ქვე-სამსუქებელი ბოროტება ინსტინქტურად მოუხმობდა სინდისს, რადგან ჯერ თავად არ შეეძლო, რომ სიბნელეში გარკვეულიყო და ამ სიბნელით შეშინდა, მაგრამ სინდისს არაფერი ესაქმებოდა მასთან, მას იმ დროს მშვიდად ეძინა. უკვე მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ბოროტების აქტი შედგა და პარალიზებული ჰემი თავის აღსარება-მონანიებას უკითხავს თავის ხეიბარ მშობლებს, მას არც ამის გავონება ხურს. იგი იმ დროზე ოცნებობს, როდესაც ჰემს კვლავ პანიკური შიში აიტანს და მისი ერთადერთი იმედი კვლავ მამა იქნება. მაშინ მიიღებს იგი ნამდვილ სიამოვნებას, თორემ შვილის მონანიებასთან შზა რა ესაქმება?

მაშინ, როდესაც ჰემი და მისი მშობლები უმოქმედოდ დაფავენ სულს, რადგან მძიმედ დასნეულებულებს მოძრაობის უნარი დაკარგული აქვთ, კლოვს პირიქით, დაჯდომა არ შეუძლია. იგი განუწყვეტელი მოძრაობის განსახიერება. კლოვი შეუხვეწებელი მოქმედებს, მაგრამ ბოლომდე ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რაც ხურს — ვერ შორდება მისთვის საძულველ ჰემს. თუმცა პიესის ბოლოს კლოვი სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი გამოჩნდება, მაგრამ ფარდის დაშვებამდე იგი უძრავად დგას და ჰემის მონალოვს უხმენს, ასე რომ, ღიად რჩება საკითხი კლოვის წასვლა-დარჩენის შესახებ.

კლოვს ერთგვარი მიზანი გააჩნია, უფრო სწორად — ოცნება, ან არსებობის იდეალური ფორმა, ესაა მისთვის წესრიგი: „მე მიყვარს წესრიგი. ეს ჩემი ოცნებაა. ხამყარო, სადაც უველაფერი მდუმარე და უძრავი იქნება, თითოეული საგანი თავის საბოლოო ადგილზე, საბოლოო მტვერის ქვეშ“. იქნებ კლოვის ეს უკიდურესად გადაჭარბებული მისწრაფება პოწესრიგებულობისაკენ სწორედ წესრიგს მოკლებული სამყაროს გავლენის შედეგია, იმ ხამყაროსი, რომელშიც მრავალფაშიერი არსებობის შემდეგ მოკვდა და გაითელა მანამდე ექვმიტანილი მარადიული არსება, რომელიც უკვე თავისი უზენაესი არსებობით პოტენციალურად ყოველივეს თავისთავად აწესრიგებდა იმით, რომ ადამიანის ცხოვრებას აზრს არ უკარგავდა. ახლი კი, აზრდაკარგულმა არსებობამ სიცარიე-

ლის შესახებ უაზრო წესრიგი გაიხდა თეომიწნად და მას დაუქვემდებარა სხვა ყველაფერი. ამაშია სწორედ მისი აბსურდულობა. იმიტომაც ვერ შორდება კლოვი თავის ბატონს, რომ უხეხურით და უნიადაგო მიზანი აქვს.

პიესაში, რომელშიც არსებითად არაფერი ხდება, ხალცი მთელი მოქმედება დაყვანილია კლოვის უაზრო მოძრაობამდე და რომელიც დანგრეული და დაცარიელებული ხამყაროს უღიმღამო ხურათს ასახავს, უდავოდ უმნიშვნელოვანესი მომენტია პატარა ბიჭის აღმოჩენა სადღაც შორს, დაცარიელებულ სივრცეში. თავდაპირველად კლოვი ტელეკოპით ბუნდოვნად არჩევს ბიჭის ხილუეცს, მაგრამ რა წამსაც და რწმუნდება, რომ იგი ნამდვილად არსებობს, მაშინვე ხარჯს წამოავლევს ხელს, რათა „შეიპუროს“ ეს „პოტენციური სიცოცხლის ჩამსახველი“, მაგრამ პეში შეანელებს მის ამგვარ ვულმოდგინებას: „თუ იგი არსებობს, ის მოკვდება იქ, ან მოვა აქ“ თავდაპირველად პეში თითქოს ეჭვის ქვეშ აყენებს ბიჭის არსებობას, მაგრამ დარწმუნდება რა, რომ კლოვი სიმართლეს ამბობს, აღმოხდება: „ეს აღსასრულია, კლოვი ჩვენ აღსასრულთან მოვედით. შენ აღარ მჯერდება“. ამ სიტუაციაშიც გაუკუღმართებულა მათი გრძნობები და რეაქცია. ახალი სიცოცხლის ნიშანწყდის გამოჩენა შიშსა და დაძაბუნებას იწვევს, პემისათვის ეს სრული აღსასრულის მომახწავებელია.

პიესის ფრანგულ ვარიანტში ეს ებაზოდი უფრო ვრცელია და შეიცავს რელიგიურ მინიშნებებს; როდესაც პეში შეიტყობს, რომ ბიჭი შურგით ზის რალაციისაკენ, მას ეს „რალაც“ წარმოუდგება, როგორც „აწეული ლოდი“, ხოლო შემდეგ იკითხავს, მომაკვდავი მოხეს თვალებით ხომ არ შემოხცქერიო ხახლს და, რაც ამაზე უარყოფით პასუხს მიიღებს, სრულიად გადაფწურება იმედი და უკვე კლოვის ხამსახურსაც, ანუ საკუთარ ფიზიკურ არსებობას. შედეგად ჩათვლის (ეს უკანასკნელი მომენტი, როგორც აღვნიშნეთ, უკვე ინგლისურ ვარიანტშიც არის).

მასახალაში, დაცარიელებულსა და მკვლარ დედამიწაზე მოულოდნელად გამოჩენილი პატარა ბიჭი პემს წარმოუდგება როგორც ქრისტე; ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ხომ ლოდი, რომელიც მის გვამს ედო, ხალხს გადაღლებული დახვდა. პეში ერთხანს იმხაც დაუშვებს, რომ ბიჭს მისი თავშესაფარი აღთქმული მიწა მგონია და როგორც სიკვდილის პირას მიხული მოსე შესცქეროდა აღთქმულ მიწას, ისე იყავს, იტყობს პემის ხახლს, ამ უკანასკ-

ნელ აზრს პეში თითქოს ჩაებლაუქება, მაგრამ მალე დარწმუნდება, რომ ბიჭი არც სიკვდილის პირასაა მიხული და არც მის ხახლს შესცქერის. იგი მიწაზე ზის და საკუთარ მუცელს ჩაშტერებია (ესეც პიესის ფრანგულ ვარიანტშია). ამრიგად, პემისათვის ~~ქრისტე~~ შორს გამოჩენილი ბიჭი უწინ მოუვსებს სუფიერეკანწმენდისათვის ჯვარცმული და აწ „სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი“ — ქრისტეა. ეს კი მისთვის დასასრულს, არსებობის დასასრულს მოასწავებს, ხოლო ბეკეტისათვის ეს დასასრული თამაშის დასასრულია (Endgame), რამეთუ დაბნულ თთანში ცოცხლად დამარხული არსებების ყოფას არაფერი აქვს ხეართო ცხოვრებასთან, ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით; ეს უფრო თამაშია, აღბათ, ბოროტი თამაში.

ბეკეტის, როგორც აბსურდისტის, ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს პიესის ფრანგულ და ინგლისურ ვარიანტებს შორის არსებული განხვავება. მართლაც, ფრანგულ ვარიანტში მოცემული დიალოგი ერთგვარად გამჭვირვალეა, რაც, ერთის მხრივ, აბსურდის თეატრის ესთეტიკას ეწინააღმდეგება, ხოლო, მეორეს მხრივ, საკითხის ამგვარი კონკრეტაზაცია როგორც ჩანს, არ ეთანხმება ბეკეტის შეხედულებებს, რომელიც ცდილობს არ დაავაწროს ახლად ჩახახული ხულიერის არსების პოტენციური პერსპექტივის ჩარჩოები. ცხადია ერთი რამ, ახალი ადამიანი შინაგანად მიუღებელია პემისათვის, ხოლო ვინ არის იგი, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე თუ რომელიმე ახალი „ღმერთუკა“ (Godot), ეს კიდევ უცნობია. იქნებ იმიტომ არ შეიტანა ბეკეტმა ეს ბიბლიური აღუწია ინგლისურ ვარიანტში, რომ არ მოინდომა, ანდა შედმეტად ჩათვალა იმის გამეორება, რაც უკვე მოხდა იცო საუკუნის წინათ და რამაც, აღბათ, მისივე აზრით, ფუჭად ჩაიარა.

„თამაშის დასასრულსა“ და „გოდოს მოლოდინში“ გამოყენებული მხატვრული ხერხების შედარებისას აღსანიშნავია, რომ „თამაშის დასასრულში“ ბეკეტი ნაწილობრივ უარს ამბობს „გოდოს მოლოდინში“ დაცდილ ზოგიერთ ხერხზე. ამ პიესაში არ შეინიშნება მეტყველების იმგვარი დეზანტეგრაცია, როგორც ეს „გოდოს მოლოდინში“ იყო. დიალოგები ხშირ შემთხვევაში ინფორმაციულია ტრადიციული გაგებით, ნაკლებად გვხვდება კლიშეები და გამეორებები. გარდა ამისა, თუ „გოდოს მოლოდინის“ პერსონაჟები სტატიურად არსებობენ და მათთვის დრო ფაქტიურად არც არსებობს, „თამაშის დასასრულის“ თითოეულ მოქმედ პირს გააჩნია წარსული, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მათი აქლანდელი ყოფა, და რალაც გაურ-

კვლევი მომავალიც, რომლის წარმოდგენაც უკანასკნელ სახიფათო ძალებს ართმევს ზემს.

აღნიშნული განსხვავებანი პრინციპული ხასიათისაა, თუ გავითვალისწინებთ აბსურდის თეატრის ესთეტიკას ზოგადად. საგარეოდ, რომ ეს ცვლილებები განაპირობა „თამაშის დასასრულის“ განსხვავებულმა პრობლემატიკამ და მიზანმა. „გოდოს მოლოდინში“ ბეკეტის გვიჩვენებს ზოგადად ადამიანის უოქვას, ცდილობს დაგვანახოს მისი ამგვარი არსებობის აბსურდულობა, ხოლო „თამაშის დასასრულში“, ჩვენის აზრით, ბეკეტის მხედველობის არც შედარებით დავიწროებულა და ფოკუსირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსა და აბსურდული ურდის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მწერალი მაინც ლიბიტირებულია მხატვრული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, ზოგიერთ მხატვრულ ხერხზე, აღმათ, ნაწილობრივ უარის თქმა შეუძლება ბეკეტსაც. აქვე დავხმენთ, რომ ეს „გადახვევა“ კომპენსირებულია ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის სხვა ასპექტებით — აზრობრივი, ხიტუაციური და სხვ. „თამაშის დასასრულის“ პერსონაჟები ნაგვის უსუთებში სხედან და ცოცხლად იზრწნებიან, მათი არსებობა დახშულ ჭურჭელში მიმდინარეობს, ხაიდანაც ვერცერთი მათგანი ვერ გადის, ვინაიდან ზოგადი აზრი და უმთავრესი მიზანი, რასაკვირველია, ორივე ნაწარმოებს ხაერთო აქვს.

* *

ბეკეტისათვის მიუღებელია ურველნაირი კონკრეტიზაცია. როგორც „გოდოს მოლოდინში“, ასევე „თამაშის დასასრულში“ არ არის აღნიშნული, თუ სად ან როდის მიმდინარეობს მოქმედება. ბეკეტის ნაწარვეი ეტება ჩვენს სამყაროს დასაბამიდან მოკიდებული დღევანდელობამდე და ცოტა მეტს. ამიტომაც აქვს „გოდოს მოლოდინის“ არქიტექტონიკას ციკლური ხასიათი, ამასვე გულისხმობს გერმანელ სტუდენტთა სიმღერის შემოტანა „გოდოს მოლოდინის“ მეოთხე აქტის დასაწყისში. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქულების ცვლის ეპიზოდი „გოდოს მოლოდინიდან“, ვლადიმირ იპოვის ლაგის ქუდს და დაიხურავს, ხოლო თავისას ესტრაგონს გადახცემს. ახლა ესტრაგონი

დაიხურავს ვლადიმირის ქუდს და თავისას ვლადიმირს გადახცემს. ქულების ეს ერთი შეხედვით უაზრო ცვლა რამდენჯერმე მეორდება, ვინემ, პირველსაწყის მდგომარეობაზე უბრუნდებიან. ეს ეპიზოდიც კონსტრუქციულ კონკრეტია იდეას სამყაროს უაზრო, აბსურდული წრებრუნვის შესახებ, იმის შესახებ, რომ სამყაროს არსებობის ესა თუ ის ისტორიული მონაკვეთი თავდაპირველად არსებითად ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა, რაც ისევ მისივე ჭვარციით უნდა დასრულდეს.

1868 წელს გამოქვეყნდა ნიცშეს „Also Sprach Zarathustra“, სადაც ნათქვამია, რომ როდესაც ზარათუსტრა ჩამოვიდა მთებიდან, რათა კაცობრიობისათვის ექაღაგა, მას ტყეში შეხვდა განდგომილი, რომელიც თავის ცხოვრებას ღმერთის ქებაში ატარებდა; ზარათუსტრა გაოცდა: „ნუ თუ ეს შეხატლებულია. ამ ტყეში მცხოვრებ მოხუც წმინდანს ჭერ არ გაუგია, რომ ღმერთი მოკვდა“. XX საუკუნის დასავლეთის ხელოვნება და ლიტერატურა იმ ეპოქის გამოვლინებაა. რომელშიც ღმერთი მოკვდა, აზრი დაიკარვა. მიზანი მოიხსო და ხალხიც ერთმანეთს გაუუცხოვდა.

ბეკეტისათვის, როგორც აღმათ, სხვა მრავალისათვის, მოკვდა ღმერთი, როგორც უმაღლესი წნეობრივი კატეგორია. ამაშია ბეკეტის მსოფლმხედველობის უღრმესი ტრავიზმი — მისტერიული არსების, აბსოლუტის მოხპობაში. თანამედროვე ინტელექტუალური „მორწმუნისათვის“ ღმერთი, იქნება ეს ქრისტე, ბუდა თუ ალაჰი, შეიძლება ერთგვარი დასაყრდენი იყოს. უპირველესად ყოვლისა, როგორც მაღალმორადური და მაღალწნეობრივი კატეგორიის უმაღლესი განსაზიერება. ასეთი ადამიანისათვის (თუკი ის არ არის ორთოდოქსი ქრისტიანი) ჭვარცი და შემდეგ მისი აღდგომა უმთავრესად გულისხმობს ადამიანის კათარზისს და ამდენადაა მნიშვნელოვანი. ანუ ზოგადად ბრძოლა სიკეთისათვის მისთვის განწმენდის საშუალებაა უმთავრესად; მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია მიზნის აუცილებელი მიღწევა, ე. ი. ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება, ანუ ბოროტების ხაბოლოო დაძლევა და სიკეთის ზეიმი. ამიტომ ეს ადამიანი ფარ-ხმალს არ მყრის; მის ცხოვრებასთან გამუდმებული ჰიდილის დროს კათარზისის იმედი აქვს. ვერც გულგატეხილობა

ერევა, რადგან თუ მოყვასი გაუცრუებთ იმედს, ქრისტეს წმინდა და ნეტარ არსებას შიამყრობს გონების თვალს და გზას განაგრძობს.

რაც შეეხება ბეკეტს, მისთვის არც ქრისტე და არც სხვა უწინაესი არსება წნეობრივი იმპერიატივი არ არის და, ამდენად, გარემონცველი სამყაროს წნეობრივი დაცემის შემწედარევერც მათ დაეყრდნობა, რათა სძლიოს გულგატეხილობას. ამიტომ იგი დავინებით ეძიებს ახალ დესაყრდენს, ახალ გზას; ამის თაობაზე წურაბ კაკაბაძე აღნიშნავს: „თანამედროვე დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების ტიპიური და წამყვანი წარმომადგენლები... ეძიებენ (გზას — მ. ა.) და რაზან ეძიებენ, ასე თუ ისე, იმდენად აქვთ, რომ კბოვებენ — სრული უიმედობა შეუძლებელს გახდიდა მათ მუშაობას“.

ბეკეტის ნაწარმოებები სპეციალისტების ინტერპრეტირების გარეშეც შეამჩნევდავი და გასაგებია ყველასათვის, ვინც ფიქრობს ადამიანზე და აწუხებს მისი ბედი.

ბეკეტი დიდი ხელმოკანია, იგი მოგვაგონებს იმ მხატვარს „თანაშის დასასრულიდან“, რომელიც ჰემს ასე უცნაურად დაამაზნოვრდა: „მე ვიცნობდი ერთ გიჟს, რომელიც ფიქრობდა, რომ ქვეყნის აღსასრული დადგა. ის მხატვარა იყო, გრაფიკოსი. მე ხანდახან ვნახულობდი მას საგიჟეთში. მოკვიდებდი ხელს და მივათრევდი ფანჯარასთან. შეხედე! იქით მთელი ეს აბიზინებული ქვეყნის ან იქით შეხედე.. რა სიღამაზეა — .. იგი გამომგლეჯდა ხოლმე ხელს და ისევ თავის კუთხეში მიიუფებოდა შეძრწუნებული. ერთადერთი, რასაც ის ხედავდა, ჟურფლი იყო“.





თარგმნა მადონა ცაიტიშვილმა

რ ა ფ ა ე ლ ი

ხუთასმა გაზაფხულმა იყვავილა. ხუთი საუკუნე მოდიოდა ზაფხული, მოდიოდა ერთსა და იმავე დროს, შემდეგ შეუვითლდებოდა ფოთლები და დგებოდა შემოდგომა. მოგვიანებით იმძლავრებდა ზამთარი და შერე ისევ და ისევ გაზაფხულს უთმობდა გზას. ხუთასი წელი იცვლებოდა თაობები. აუჩქარებლად იფურცლებოდა პლანეტის მატრიანის ფურცლები, მაგრამ მიუხედავად ამ გარდაუვალი წრებრუნვისა, მოვლენათა და თაობათა ცვლილებისა, ადამის მოდგმა წმინდად ინახავდა ურბინოელი მხატვრის ხსოვნას, რომელიც 1488 წლის აპრილში იტალიის პატარა ქალაქში დაიბადა, ხოტბა შეასხა ადამიანს, შექმნა სურათები წარმტაცო და მარადიული სამყაროსი. დაგვიტოვა დედის სრულყოფილი ხატება — მოხიყვარულე და სევდიანი, საოცარი და დაუვიწყარი.

აღბათ სწორედ რაფაელს ესადაგება ყველაზე მეტად ნიუტონის სიტყვები: „მე ვერ ვიქნებოდი ნიუტონი, გიგანტების მხრებზე რომ არ ვმდგარიყავი“. მართლაც, თითქოს იტალიის რენესანსი, მთელი შემოქმედება იმდროინდელი დიდი მხატვრებისა და უპირველესად რაფაელის თანამედროვეებისა — ლეონარდოსი და მიქელანჯელოსი — ნიადაგს უმზადებდნენ გენიალური მხატვრის დაბადებას, რომელმაც განაწოგადა გრანდიოზული გამოცდილება, ხორცი შეასხა მას, არაჩვეულებრივი სიღრმით შეიცნო ბუნების არსი და ადამიანის ნატურა.

რაფაელმა შეძლო ეს, — შეძლო შეუძლებელი. მოახდინა ერთმანეთისაგან განსხვავებულ მხატვართა ექსპერიმენტების სინთეზი, გაითავისა მათი მიღწევები და შექმნა საკუთარი — განუმეორებელი სიცხადისა და უბრალოების გამომსახველობითი ენა, სრულიად თავისთავადი და პირველადი სისტემა სახეებისა, რომელიც ადვილად მისაწვდომი და გასაგებია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის... ყველა დიდი მხატვრის ხელოვნებაში საიდუმლოებაა ჩაქსოვილი. სხვანაირად შეუძლებელია ახალი სილამაზის დაბადება. მხატვრის ცხოვრების, მის მიერ დროის შეგრძნების და წვდომის, დაგროვილი გამოცდილების წყალობით, შეშთაგონების რომელიღაც მომენტში ხდება ის მოუხელთებელი და მოულოდნელი პლასტიკური აფეთქება, რომელიც ახალი ვარსკვლავის დაბადებას ჰგავს. მაგრამ დაფუბრუნდეთ რაფაელის ახალგაზრდობას, ოციოდე წლის ხელოვანმა შეძლო გადაეწევიტა მარადიული თემა — დედობა და უამრავ პატარა ტილოში მხოლოდ თავისი სულის აღმაფრენით ასახა ყველა გრძნობა, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდა.

ეს ადვილი ასახსნელია. მხატვარმა ძალიან ადრე დაკარგა დედა და ნუგეშს ბავშვობაზე ოცნებაში, ბავშვობის უმანკობასა და გულუბრყვილობაში პოულობდა. ციკლი მადონებისა, რომლებიც განუმეორებელნი არიან თავიანთი სიტურფით, სულიერი სიმდიდრითა და რაღაც განსაკუთრებული ლირიულობით, იწ-

უბა ჩვენი ერშიტაუის მშვენიერებით — „მადონა კონესტაბილე“ (1500-1502 წლები), სადაც მთელი მომხიბვლელობა უმაწვილი ქალისა, ქალწულებრივად ნაწი და სათნო სახე ღვთის-მშობლისა წმინდა მოგონებაა ურბინოში გატარებული ბავშვობისა. შემდეგ მოდის — „მადონა მწვანეზე“ (1505 წელი), რომელშიც იგრძნობა ლეონარდოს გავლენა, მაგრამ უკვე ეღერს რაფაელისეული ნათელი პლასტიკაც. ჩაფიქრებული, დიდებული „მადონა დელ გრანდუკა“ და „მადონა ურბა იოსებით“, — დაახლოებით 1505 წელსაა შექმნილი; ბოლოს „მადონა ნიკობატონათი“ (1506 წელი), მომაჯადოებელი თავისი აღერსიანი, ნათელი პარმონითა და ბედნიერებით. თანდათან მტკიცდება და მძლავრად ეღერს ინტონაცია, რომელიც ამ სურათებს წინამორბედ მხატვართაგან განსხვავებულ, დამატყვევებელსა და მთრთოლვარე სტილს ანიჭებს — მოკლებულს უოველგვარ სიმშრალესა და ლიტერატურულ იერსახეს.

1505 წელს ვატიკანში გამოჩნდა ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მარადიულ ქალაქში ჩამოვიდა არა როგორც უბრალო მოგზაური, რომსა და მის სიძველეებს რომ გასცნობოდა, არამედ პაპის სასახლეში მოვიდა უკვე ცნობილი მხატვარი, მუღერი და ადვილად დასამახსოვრებელი სახელით — რაფაელი. მან თან ჩამოიტანა ტილოები, ნახატები, ესკიზები, მაგრამ არსა ვატიკანში ჩამოსვლისა მხოლოდ ეს არ იყო. პაპმა იულიუს II-მ მხატვარი თავისი საუვარდელი ხუროთმოძღვრის, დონატო ბრამანტეს რეკომენდაციით მოიწვია, რომელიც რაფაელის ნათესავი იყო. ამბობდნენ, ურბინოს მერცხოვმა ფრანჩესკო მარია დელა როვერენაც ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშაო... და აი, კარისკაცთა ბრბოს, წმინდა კარდინალებს, ბრწვინვალე დიდებულებსა და ძვირფასი ქვებით შემკულ ბრქვეიალა სამოსით მორთულ მშვენიერ მანდილოსანთა შორის უცებ გამოჩნდა მოხდენილი ტანისა და სასიამოვნო, ნათელი პირისახის მოკრძალებული ახალგაზრდა; იგი უბრალოდ, ერთიანად შავებში იყო ჩაცმული. ბავერდის ბერტიც კი შავი ეხურა, მხოლოდ წვრილი ოქროს ძეწვი უმშვენიებდა მკერდს ჭაბუკ ხელოვანს. ფინ წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც ხუთ წელიწადში იგი რომის სკოლას ჩაუდგებოდა სათავეში და შექმნიდა ფრესკებს, რომლებიც მოუტანდა დიდებას ვატიკანსა და უკვდავოფდა პაპ იულიუს II, და რაც უვედაზე უმთავრესია, გახდებოდა კანონმდებელი კლასიკური მიმართულების ფერმწერთა მთელი თაობებისა.

რაფაელის ცხოვრებამ რომში მეტეორივით გაიფლვა. მისი სამუშაო დღე, მიუხედავად ერ-

თი შეხედვით შინაგანი, დარბაისლური სიმშვიდისა, აღსავსე იყო ქანცვამტელი შრომითა და შეხვედრებით, შეხვედრებითა კვეყნის ძლიერებთან, უწმინდესი პაპიდან — კარდინალებამდე, მისი ნიქის ქუცხე უფარისმცემლებიდან — მოსწავლეებამდე და უწმინდესებამდე. უოველი დღე ვადატვირთული და წუთობით გამოთვლილი იყო განთქმულმა მხატვარმა უკვე ოცდაათი წლის ასაკში მიადწია არნახულ (ფერმწერთათვის იმ დალოცვილ დროშიც კი), გრანდიოზულ წარმატებას. პიროვნული მომხიბვლელობა და მთლიანობა, უოველთვის მიმართული ერთადერთი მიზნისაკენ — ეშსაზურის ხელოვნებას, შეუდარებელ გავლენას მოუპოვებდა მხატვარს. მრისხანე იულიუს მეორეს, მოგვიანებით კი ცბიერ ლეო მეათესაც უუვარდათ ოსტატი. კათოლიკური ეკლესიის ეს ორი მბრძანებელი ახლო მჭობარი იყო მისი და ორივე ანგარიშს უწევდა მხატვრის აზრს, ბუნებრივია, რომ უოველის შემდეგ კარდინალებსაც და დიდებულებსაც, რომლებიც მათ ამაღლაში შედიოდნენ, ძლიერებისა და ამპარტავნობის მიუხედავად, ურთიერთობა მქონდათ რაფაელთან და სადღაც, გულის სიღრმეში ეშინოდათ კიდევ ამ მომდიმარე, მაგრამ კედლებზე, გარეგნულად რბილი და მოსიყვარულე, მაგრამ თვითრჭული ფერმწერისა.

თამამად შეიძლება გავიმეოროთ რაფაელზე ფლორენციელი მთავრის კოწიშო მედიჩის სიტყვები: „მხატვარი ციური არსებაა და არა საპაღნის ვირი“.

ერთი შეხედვით რაფაელი ბედის რჩეული ჩანდა, იღბლიანი და თითქოს ბედნიერიც იყო, მას გუნდრუკს უკმევდნენ, აქებდნენ და ეფერებოდნენ კიდევ, მაგრამ როგორც უველაფერს ამქვეყნად, ამასაც მქონდა მეორე უკიდურესობა. სიძლიერე და სიახლე ნატურისა — რაფაელის გენიის გულისგული, შეუმჩნეველად, დღითიდღე დნებოდა და იხარკებოდა. უველაზე საშინელი მაინც მატყუარა, ცბიერ აღამიანებთან ურთიერთობა იყო, მხტვარს ინტრიგებისა და პირფერობის ბადეში რომ ხვევდნენ, რაც რაფაელს ხუთ არ სჭირდებოდა, ვინაიდან პირად ცხოვრებაში მკაცრი და ერთობ თავშეკავებული გახლდათ, უწომოდ შრომისმოყვარე და მუდამ შემართული ჩაწვდომოდა უმადლესი ოსტატობის საიდუმლოებას, და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალიც: მიუხედავად თითქოსდა საუოველთაო აღიარებისა და ქებადიდებისა, დიდებულთა და უსაქმურთა ბრბოს თვალში რაფაელი მაინც ერთი ვიღაც უცხო და უბრალო ხალხის შვილად რჩებოდა.

ოსტატი დაახლოებული იყო ავგუსტანო კიაჩისთან, ამ უმდიდრეს მეცენატთან. მხატვრის

გულის მოგებას ცდილობდა კარდინალი ბიბიენა, რომელიც ოცნებობდა მიეტხოვებინა მისთვის თავისი ძმისწული. ბევრი, ძალზე ბევრი შეძლებული ნატრობდა თავის გვერდით ეხილა ბრწყინვალე და იღბლიანი მანეტრო. მაგრამ ფერწერისათვის და ხერხოდ ყველა შემოქმედისათვის არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე მაღალი საზოგადოების ყოველდღიურ ორბიტრიალში ჩაბმა, მიმზიდველი, მსუბუქი გართობები, ფერითი და მოწვევებითად ზღაპრული ცხოვრებით გატაცება, და რაფაელი, რომელიც მარადიულ ქალაქში ჩამოვიდა ერთი მიზნით — მიეღწია ხელოვნების უმაღლესი მწვერვალისათვის და საოცრად მოკლე დროში მართლა შექმნა კიდევ ვატიკანის ფრესკები — ცნობილი „სტანსები“ და მარტო „ათენის სკოლითაც“ კი უკვდავყო თავისი სახელი, ახლა გადატვირთული იყო უამრავი, ხანდახან უმნიშვნელო შეკვეთებით, გაჭიანურებული, ზოგჯერ უაზრო საუბრებით, ნადიმებითა და აუარება ქანცვამცლელი საქმეებით.

ახე თანდათან, წლების განმავლობაში და შეიძლება თვით ოსტატისათვის შეუმჩინებლადაც კი მისი ტილოებისა და ფრესკების უმეტესობას, თვით რაფაელის მიერ დაწყებულ ესკიზებსა და მისივე შექმნილ დეტალებს მშორად ნიჭიერი, მაგრამ სრულიად არაგენიალური მოწაფეები დაასრულებდნენ ხოლმე. ბრამანტეს სიკვდილის შემდეგ რაფაელი ბედის განგებით რომის მთავარი ხუროთმოძღვარი გახდა, და მთელი სიმძიმე ამ უზარმაზარი და საპატიო, მაგრამ ფერწერისაგან ერთობ დაშორებული პასუხისმგებლობისა, საბოლოოდ ამსხვრევს მისი შემოქმედებითი გეგმებისა და მიზნების მთლიანობას. ახე შეუქმნა შეუბრალებელმა ბედისწერამ დაბრკოლებები რაფაელ-მხატვარს, აქვებდა რა ახალ-ახალი წარმატებებისათვის რაფაელ-ხუროთმოძღვარს, კარისკაცს, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელს. და აქ იწყება ყველაზე საშინელი რამ, შემოქმედებითი კრედიტ ურბინოელი ოსტატისა, რომელსაც საფუძვლად ედო ჰუმანიზმი, ყოფიერების სიღამაზე, მშვენიერებისა და პარმონიის სიყვარული, ხურდავდება ერთფეროვან და ამო მოვალეობათა შესრულებაზე, რომელიც ძალიან შორს იდგა მხატვრის იდუმალი სურვილებისაგან. უმძიმესი ტვირთი რიტორიკული კომპოზიციებისა, დახანლებული რომ იყო ათეულობით პერსონაჟით, შორს აღმოჩნდა სიუმაწვილისდროინდელი სამყაროსაგან, როცა ახალგაზრდა რაფაელმა შექმნა მადონების განუმეორებელი სიუიტი, სადაც ყოველი მათგანი იყო სიმღერა დიდი მხატვრის წმინდა და მთლიანი

სულისა, შერწყმა ყოველივე საუკეთესო, რაც იტალიურმა რენესანსმა შექმნა.

მაგრამ რაფაელი რაფაელია. იგი დაფინებით მიისწრაფვის ხანუკვარი მიზნისაკენ, წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანის ძალ-ღონე დაიხარჯება, ევერეტს რომ მიეღწიოს, და გამარჯვებული დამპყრობი ამ გრანდიოზული სიმაღლისა, გათოშილი და სულშეგუბებული, თითქმის ცოცხალმკვდარი, სულ რამდენიმე წუთი იმყოფება ამ მწვერვალზე. გენიალური მხატვრები კი, აღმოჩენენ ახალი მშვენიერებისა და დამპყრობნი ხელოვნების ახალი მწვერვლებისა, უნდა ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ამ საშინელ სიმაღლეზე წლების განმავლობაში, გარშემორტყმულნი მტრებით. მოშურნეებით, ხანდახან კი ინტრიგებით, მარცხითა და სხეულებებით... რა ცოტა მეგობრები ჰყავდათ ნამდვილ ოსტატებს. აი, რატომაა ასე ჩაუწვდომლად ტრაგიკული და უსასრულოდ შემზარავი რაფაელის უხილავი, საჯარო მარტოობა... ღმერთმა ნუ ქნას, ფენი დაუცდეს. ალბათ ამიტომაცაა ასეთი აღერსიანი და გულელი ურბინოელი ოსტატი. ის ერთი, როგორც არავინ არასოდეს, ყოველდღე შეიგრძნობდა ხოლმე იმ სიმაღლეს, ქვეა-ქუხილის წინამორბედ ატმოსფეროს თითქოსდა მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუახლოებელი მწვერვალისა, რომელზეც მხატვარი ოცნებობდა. ამიტომ, როდესაც ვრცელ მონოგრაფიებში კითხულობ, რომ რაფაელს უზომოდ გაუმართლა, იყო იღბლიანი და ბედის ნებიერი — ეს ბანალობაა და სრული გაუგებრობა მხატვრების, პოეტების, კომპოზიტორების ჭეშმარიტი ხულისა, რომლებიც მუდამ ახლის ძიებაში არიან, იტანჯებიან და გულში არასოდეს არ არიან კმაყოფილნი გაკეთებულით. რაც უფრო გულდასმით ეცნობი და უფიქრდები გენიალური რაფაელის ცხოვრებას, უფრო აშკარა ხდება ჭეშმარიტება მისი რთული და მძიმე ბედისა. დიახ, რაფაელს ესმოდა შეკვეთით მიღებული სამუშაოს ნამდვილი ფასი, რომელსაც მოწაფეები დაასრულებდნენ ხოლმე, მაგრამ მის ხულში თანდათან მწიფდებოდა აზრი, შეექმნა ტილო დამამტკიცებელი მისი ნიჭის სიძლიერისა და პოულობის კიდევ ძალას დაამსხვრიოს მოწესრიგებული ამოება და შექმნას რეჟიმი.

დაახლოებით 1515 წელს რაფაელს რომში შორეული მონასტრის წარმომადგენელი „შავი ბერები“ ეწვივნენ მიურუბულ ქალაქ პიაჩენცოდან და მხატვარს „სიქსტეს მადონა“ შეუკვეთეს. და მოხდა სასწაული. რაფაელმა პირველად ცხოვრებაში ჩარჩოზე უზარმაზარი ტილო გადაქიმა და თავისი ხელით მოწაფეების თითის წაუკარებლად შე-

ქმნა შედეგად — თავისი გიგანტური შემოქმედების აპოთეოზი. დედა ჩვილით, მსოფლიოს უდიდესი ქმნილება — „სიქსტეს მადონა“.

დიახ, რაფაელმა დაამტკიცა, თუ ვინ იყო იგი. მხოლოდ კამერული შემქმნელი პატარა, მომხიბვლელი მადონებისა, შემოქმედი გრანდიოზული ფრესკებისა, თუ დიდებული პორტრეტისტი, რომელმაც ყველა გააკვირვა თავისი ვირტუოზობით?

არა! — პასუხობს რაფაელი „სიქსტეს მადონაში“. რაფაელი — რაფაელია. ხინთეზის უდიდესი ოსტატი ხელოვნებაში, განუმეორებელი და ერთადერთი, რომელმაც თანამედროვეთა ყველა საუკეთესო თვისება, ანტიკური სტილის გამოცდილება და ხიდრმე თავისი დროის ფილოსოფიური იდეებისა შეახამა და ჩააქსოვა „სიქსტეს მადონაში“. ეს იყო ჭეშმარიტი გენიის ნაყოფი. ოცდაცამეტი წლის ოსტატმა თავი მოუყარა მხატვრულსა და სულიერ შესაძლებლობებს, ისარგებლა თითქოსდა მეორეხარისხოვანი შეკვეთით, შექმნა უკვდავი შედეგად და ამქვეყნად სამარადისოდ დაამკვიდრა თავისი დიდება.

„სიქსტეს მადონა“ მხოლოდ ანარქული როლია ურბინოელი ფუნჯის ოსტატის ბრწყინვალე ტექნიკისა. იგი ხორცშესხმა მხატვრის მსოფლმხედველობრივი სიბრძნისა. მაგრამ ამ სურათში უბირველესად ძლიერამოხილება და კაცთმოყვარეობა გვხიბლავს. ტილოზე ვერ ნახავთ მიქელანჯელოსეულ განმაცვიფრებელ რაკურსებს, ვერც ღეონარდოსეულ იღუმალ „სფუმატოს“ შეხვდებით, აქ ყველაფერი ძალიან სადა და უბრალოა.

რაფაელმა ეს სურათი კაცობრიობას უანდერძა და ამ ფერწერულმა ძეგლმა გახადა მისი სახელი ჭეშმარიტად მარადიული.

მავანნი და მავანნი ხშირად სვამენ კითხვას, თუ ვინ გამოიყენა მხატვარმა ღვთისმშობელის ნატურალ? და აი იქ იწყებენ ხელოვნებათმცოდნეები კვლევას ოპტიკით, რენტგენით, ფოტოგრაფიით. პოულობენ მსგავსებას „სიქსტეს მადონასა“ და „დონა ველატას“ შორის („მანდილოსანი“). სწვები ამტკიცებენ, რომ ეს სურათი რაფაელს შთააგონა ფორნარინამ — რაფაელის უმწიკველი და უკანასკნელმა სიყვარულმა. გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის სიბეცე, რომლებიც ვერ ხედავენ ღვთისმშობელში რაფაელის წმინდა ოცნებას.

მარიაშის სახე არის ხინთეზი, სიმბოლო დედისა — ადამიანი მთელი თავისი მშვენიერებითა და ტყველით. მიაშიტი და ცოტა შეცბუნებული მზერით შესცქერის სიქსტე ღვთისმშობელს.

ბელს. იგი შეძრწუნებულია — მიწიერი სიძლიერის სიმბოლო — შიტრა მოკრძალებით დევს კუთხეში და აღარ ამშვენებს მის მელოტ თავს. თვალები დაუბრია ქვეყნის გამოებაზე დაფიქრებულ წმ. ბარბარეს, ორი ანკელოზი ეშმაკური ღიმილით ადევნებს თვალს სურათის წინ თავშეყრილ მაყურებელს. მწვანე ფარდები გადაიწია და ჩვენ ვხედავთ, რომელიც გამოაბიჯა ჩვენკენ ჩაფიქრებულმა, ნაღვლიანმა ქალმა, რომელსაც ჩვილი მიუყრავს მკერდზე, მოდის ფეხშიშველი, ღარდიანი და მწუხარებისაგან გარინდებული.

საკვირველია, როგორ შეძლო რაფაელმა თავიდან აეცილებინა მისთვის დამახასიათებელი მონუმენტური ფერწერის თეატრალიზება და მიეღწია ასეთ მკაცრ, თითქმის სიძუნწემდე მისულ და ამიტომ ასე თვალში საცემ უბრალოებამდე.

„სიქსტეს მადონა“ მართლაც სიმფონიაა. ამ დიდ ტილოში მონახაზთა და მასათა შეხვედრები, გადანლართვანი განმაცვიფრებელია თავისი შინაგანი რიტმითა და კარმონიულობით. მაგრამ ყველაზე ფენომენალური გახლავთ მხატვრის უღუმალი უნარი, მიიყვანოს ყველა ხაზი, ყველა ფორმა, ყველა ფერი ისეთ საოცარ შესატყვისობამდე, რომ ემსახურონ მხოლოდ ერთს, მხატვრის მთავარ მიზანს — გვაიძულოს ვუცქიროთ, უხასრულოდ ვუცქიროთ ღვთისმშობლის ნაღვლიან თვალებს.

რაფაელის სურათი უაღრესად თანამედროვეა. 1520 წელს, როდესაც რაფაელი გარდაიცვალა, სასთუმალთან დარჩა დაუმთავრებელი სურათი „ფერისცვალება“, მთელი რომი მოვიდა საყვარელ მხატვართან გამოსამშვიდობებლად.

„სიქსტეს მადონა“ კი — უკანასკნელი შედეგად, რომელიც რაფაელმა 1516-1519 წლებში შექმნა, მაშინ ჩრდილო იტალიის შორეულ ეკლესიაში, პატარა ქალაქ პიაჩენცოში იმყოფებოდა. ცნობილი მხატვრის სიკვდილის ამბავმა ამ მიყრუებულ ადგილამდეც მიაღწია. ზარების თითქოსდა გაზარული ხმა ქალაქის გარეუბნებსაც აღწევდა. ნაცრისფერი ღრუბლები მძიმედ ჩამოწოლილიყო კრამიტის სახურავებზე. ნესტიანი და ნოტიო ჰაერი ოდნავ ირხეოდა ზარების ხმაზე.

რაფაელი მოკვდა... მაგრამ ეს მხოლოდ წამი იყო ისტორიისა. მან დაამთავრა მიწიერი ცხოვრება და დაიწყო მეორე, მარადიული სიცოცხლე.

რაფაელის ხელოვნება, ადამიანთა ყოფიერების, გონების სიძლიერის, სინათლისა და სიკეთის მებოტბე ხელოვნება — უკვდავია.





რაფაელი, დანტე, ფრესკის დეტალი

რაფაელი, მარტიას დავინდვა





კაზაელი, მადონა ჩიტბატონათი.